

თინათინ ჯერეთლის  
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

**თინათინ ჯერეთელი**

# **სისხლის სამართლის პრობლემები**

**I ტომი**


გამომცემლობა „პერიდიანი“  
თბილისი 2007

სარედაქციო კოლეგია: გიორგი ხუბუა (მთავარი რედაქტორი)  
ოთარ გამყრელიძე  
გიორგი თოდრია  
რუსუდან ბაქანიძე  
თამარ ებრალიძე  
თემურ ცქიტიშვილი  
დავით გეგეჭკორი  
უდიშერ ფუტკარაძე  
გიორგი ლლონტი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007  
© თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და  
სამართლის ინსტიტუტი

ISBN 978-9941-10-042-0 (ტომეული)

ISBN 978-9941-10-043-7 (I ტომი)



025/2025"



## წიგნათქმა

მკითხველს ვთავაზობთ პროფესორ თინათინ წერეთლის ექვსტომეულის პირველ ტომს. რედაქციის გადაწყვეტილებით ამ ტომში შედის მეცნიერის ორი მონოგრაფიული გამოკვლევა – „მოძღვრება დანაშაულზე“, რომელიც პირველად 1968 წელს გამოქვეყნდა, „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ (1961).

მომდევნო ტომებში მკითხველი იხილავს მონოგრაფიებს – „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (1965) და „დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი“ (1967), „Причинная связь в уголовном праве“, რომელიც თ. წერეთელმა სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა და დაიცვა კიდეც მოსკოვში 1949 წ. ავტორის ზოგიერთი ნაწარმოები დღემდე მხოლოდ ხელნაწერის სახით იყო შემონახული და ისინი ტომეულებში პირველად გამოქვეყნდება. ასეთია, მაგალითად, „დანაშაულთან შემხებლობა“ და, რაც მთავარია, თინათინ წერეთლის საკანდიდატო დისერტაცია – „Значение объективного момента для уголовной ответственности“.

მონოგრაფიების შემდეგ დაიბეჭდება თინათინ წერეთლის საჟურნალო წერილები, რომლებიც ქართული და რუსული ჟურნალების ფურცლებზე სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა. ბოლოს გადავწყვიტეთ გამოგვექვეყნებინა ის წერილები, რომლებიც თვითონ მეცნიერის მიმართ დაიწერა. იმედია, მკითხველი ამ ნაწერებსაც ინტერესით წაიკითხავს. ექვსტომეული მომზადებულია თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში.

ოთარ გამყრელიძე



# მომღვრება დანაშაულზე

თავი პირველი

## დანაშაულის ცნების განსაზღვრება

### §1. ზოგადი დებულებანი

ბურჟუაზიული კრიმინალისტები, რომლებიც დანაშაულს მარადიულ და ისტორიულად უცვლელ მოვლენად თვლიან<sup>1</sup>, ცდილობენ გაარკვიონ მისი არსი მხოლოდ ისეთი ნიშნის მიხედვით, რომელიც მათ გამოსადევად მაჩინათ ყველა ეპოქისა და ყველა ფორმაციის დროს არსებული დანაშაულის დახასიათებისათვის. ეს ნიშანი, მათი აზრით, ქმედობის დასჯადობაა. აქედან დანაშაულს განსაზღვრავენ როგორც დასჯად ქმედობას. ბურჟუაზიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებიც სწორედ ამ ნიშანს იყენებენ დანაშაულის ცნების განსაზღვრებისათვის. ასე, მაგალითად, ისეთი ტიპიური ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსი, როგორიც იყო რუსეთის იპერიის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულება დანაშაულად თვლიდა „ქმედობას, რომელიც აკრძალულია მისი ჩადენის მომენტში სასჯელის რიდით“. ასევე შვეიცარიის 1937 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაული არის „ქმედობა, ზუსტად აკრძალული კანონის მიერ სასჯელის რიდით“.

აღსანიშნავია, რომ იგივე კრიმინალისტები, რომლებიც დანაშაულს სასჯელის მეშვეობით განსაზღვრავენ, ამავე დროს სასჯელს განსაზღვრავენ დანაშაულის მეშვეობით როგორც ისეთ იძულებით სახელმწიფო ღონისძიებას, რომელიც შედეგად მოსდევს დანაშაულს. ამით ისინი

---

<sup>1</sup> რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი პროფ. ნ. ტაგანცევი, მაგალითად, პირაპირ აცხადებდა, რომ დანაშაული ადამიანთა საზოგადოებაში ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება: „თავდება სისხლიანი ომები, ურთიერთს ურიგებებიან ხალხები, მაგრამ ბოლო არ უჩანს კაცობრიობის ბრძოლას ამ წერილმან, ხოლო დაუმორჩილებელ ბოროტებასთან; და არა ჩანს ის დრო, როდესაც სახელმწიფო თავის დამსჯელ მახვილს გუთნად გადაადნობს და მშვილობაში მოისვენებს“ (Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, С. – Петербург, 1902, стр. 2).

მანკიერ წრეში ვარდებიან: ერთი ცნების გასაშუქებლად მიუთითებენ ისეთ ნიშანზე, რომელსაც ისევ პირველი ცნების მეშვეობით განსაზღვრავენ.

სასჯელზე მითითება, მართალია, საჩვენებელ გეზს აძლევს მოსამართლეს, რომელიც კანონს იყენებს, მაგრამ იგი არაფერს აძლევს თვით კანონმდებელს, არ უჩვენებს ამ უკანასკნელს, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს მან ამა თუ იმ ქმედობის დასჯადად გამოცხადების დროს.

დანაშაულის ცნების მარტო ფორმალური ნიშნებით განსაზღვრის მეშვეობით ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი მეცნიერება და კანონმდებლობა ჰფარავს დანაშაულის სოციალურ არსს, მის ნამდვილ კლასობრივ ბუნებას და დანაშაულს მუდმივ, არაისტორიულ კატეგორიად წარმოგიდგენს.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის ისეთ განსაზღვრებას იძლევა, რომელშიც პირველ პლანზე დანაშაულის სოციალური არსია წამოწეული; სახელდობრ, მას დანაშაულის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი შეაქვს. მაგრამ ამასთან ერთად საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ივიწყებს დანაშაულის ცნების ფორმალურ ნიშანსაც – მართლწინააღმდეგობას, რომელიც სოციალისტური კანონიერების სიმტკიცეს და ერთგვაროვნებას უზრუნველყოფს.

დანაშაულის ცნების განსაზღვრება მოცემულია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლში (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი). ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წესწყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებს, აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“.

ამ განსაზღვრებაში მითითებულია ისეთ ნიშნებზე, რა სახეობაც საერთოა დანაშაულის ყველა სახისათვის, იმისდა მიუხედავად, წარმოადგენს თუ



არა იგი მძიძე დანაშაულებრივ ქმედობას, რომელიც მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობას ემუქრება, თუ შედარებით მცირე დარღვევას, რომელიც ნაკლები სოციალური ღირებულების მქონე ობიექტს ხელყოფს.

ამგვარად კანონი დანაშაულის ცნების სამ ნიშანზე მიუთითებს: პირველი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაული არის ადამიანის მოქმედება ან უმოქმედობა, ე.ი. ადამიანის ნების გარეგანი გამოვლინება. მეორე ნიშანი გვიჩვენებს დანაშაულის სოციალურ არსს; ეს არის ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება. მესამე ნიშანი დანაშაულის ფორმალურ მხარეს ახასიათებს. იგი მიგვიითითებს, რომ დანაშაულად მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ითვლება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით. თითოეულ ამ ნიშანზე სპეციალურად უნდა შევჩერდეთ, ხოლო შემდეგ უნდა გამოვარკვიოთ, ამოსწურავენ თუ არა კანონში ჩამოთვლილი ნიშნები დანაშაულის არსებას, თუ დანაშაულის ცნების განსაზღვრებას კიდევ რაღაც სხვა ნიშნები უნდა დაემატოს?

## §2. დანაშაული როგორც ადამიანის ნების გარეგანი გამოვლინება

სამართლებრივი ნორმები, რომლებიც სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს იცავენ, მიმართული არიან ადამიანთა ნებისადმი და მოითხოვენ საბჭოთა ადამიანებისაგან, რათა მათი მოქმედება ამ ნორმებს შეესაბამებოდეს. ასეთივე ხასიათი აქვს სისხლისსამართლებრივ ნორმებსაც. ისინი მოითხოვენ საბჭოთა მოქალაქეებისაგან ან განსაზღვრული მოქმედების შეუსრულებლობას, ან განსაზღვრული მოქმედების შესრულებას. პირველ შემთხვევაში სამართლის დარღვევა გამოიხატება ნორმის საწინააღმდეგო გარეგანი კონკრეტული მოქმედების შესრულებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნორმით დაკისრებული მოქმედების არშესრულებაში. ამისდა შესაბამისად საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის ცნების პირველ ძირითად ნიშნად აცხადებს ადამიანის ნების კონკრეტულ გარეგან გამოვლინებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონ-

ნით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა)...<sup>1</sup>.

გარეგანი კონკრეტული მოქმედების გარეშე, რომელიც საფრთხეს ქმნის ან ვნებს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და კომუნიზმისაკენ მიმავალი საზოგადოების მართლწესრიგს, არ არსებობს დანაშაული და არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სოციალისტური სისხლის სამართლისათვის უცხოა პასუხისმგებლობა „ლიტონი ბრალისათვის“ ან „ანტისაზოგადოებრივი ფსიქიკური განწყობილებისათვის“, რომელიც საზოგადოებრივად საშიში კონკრეტული ქმედობით არ გამოვლინდა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის პასუხისმგებლობა ქმედობისათვის და არა სუბიექტის პირადი საშიშროებისათვის.

ამ დემოკრატიული დებულების საწინააღმდეგოდ, ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. სიმპტომატური შეხედულება დანაშაულზე, რომელსაც განსაკუთრებით ტეზარი და კოლმანი ასაბუთებდნენ, ხოლო შემდეგ სოციოლოგიური სკოლის მიმდევრები თავგამოდებით იცავდნენ. სიმპტომატური შეხედულების თანახმად ქმედობა, ადამიანის ნების გარეგანი გამოვლინება წარმოადგენს მხოლოდ სიმპტომს, მხოლოდ საბაბს მოქმედის პიროვნების შე-

---

<sup>1</sup> თავისთავად ცხადია, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი დანაშაულად მხოლოდ ადამიანის მოქმედებას თვლის. საზოგადოების განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებდნენ არა მარტო ადამიანები, არამედ ცხოველებიც, უფრო მეტიც, სისხლის სამართლის ისტორიაში ცნობილია შემთხვევები თვით უსულო საგნების გასამართლებისა. რა თქმა უნდა, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება ასეთ შემთხვევებს არ იცნობს.

ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში საკმაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად დანაშაულად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ადამიანის, ე.ი. ფიზიკური პირის, არამედ აგრეთვე იურიდიული პირის მიერ ჩადენილი ქმედობა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აღიარებენ მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის მესტრი, ლისტე, ზაუერი და სხვ... მათ მხარი დაუჭირა აგრეთვე კრიმინალისტიკის VI საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც მოწვეული იყო 1953 წელს რომში, და VII კონგრესმა, რომელიც მოწვეული იყო 1957 წელს ათენში. იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საყოველთაოდ აღიარებული იყო საშუალო საუკუნეთა კანონმდებლობებში. ამ დებულების კრიტიკა მოცემული იქნება თავში დანაშაულის სუბიექტის შესახებ

ფასებისათვის. ისჯება მოქმედის განწყობა, ქმედობაში გამოვლინებული, და არა თვით ქმედობა<sup>1</sup>.

რეაქციული შეხედულება, რომელიც სჯის არა ქმედობას, არამედ პიროვნების ფსიქიკურ განწყობას, გაკრიტიკებული იყო თავის დროზე მარქსიზმის კლასიკოსების მიერ. 1843 წელს, პროგრესული ბურჟუაზიული გაზეთი *Leipziger allgemeiner Zeitung*-ის აკრძალვასთან დაკავშირებით, კ. მარქსი წერდა: „...არავინ არ შეიძლება დაატუსაღონ, ან არავის არ შეიძლება წაართვან თავისი საკუთრება ან სხვა იურიდიული უფლება თავისი მორალური ხასიათის საფუძველზე, თავისი პოლიტიკური და რელიგიური რწმენის საფუძველზე... ჩვენ მოვითხოვთ ხელშეუხებელ სამართლებრივ მდგომარეობას ყოველი უვარგისი არსებისათვის არა იმიტომ, რომ იგი უვარგისია, არამედ იმდენად, რამდენადაც მისი მანკიერება რჩება მის აზრთა წყობის ფარგლებში, რომლისთვისაც არ არსებობს არც ტრიბუნალი, არც კოდექსი. ამრიგად აზრთა ცულ წყობას, რომლისთვისაც არ არსებობს ტრიბუნალი, ჩვენ ვუპირისპირებთ ცულ ქმედობებს, რომელთათვისაც, თუ ისინი კანონსაწინააღმდეგონი არიან, არსებობს ტრიბუნალი და სასჯელთა დებულება“<sup>2</sup>.

აღნიშნული დემოკრატიული პრინციპი საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში განუზრელად ზორციელდება. ჯერ კიდევ 1925 წლის რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის ერთ-ერთ განჩინებაში მითითებული იყო, რომ „არც აზრი, არც სურვილი სისხლისსამართლებრივი წესით არ დაისჯება, არამედ მხოლოდ ქმედობა, უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე“<sup>3</sup>. იმავე იდეამ თავისი გამოხატულება ჰპოვა რსფსრ-ის იუსტსახკომისა და უმაღლეს სასამართლოს სადირექტივო წერილში 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის გამოცენების შესახებ: „მარტოოდენ ლიტონი

<sup>1</sup> იხ. O. Tesar, Die Symptomatische Bedeutung des verbrecherischen verhaltens. Abhandlungen des kriminalistischen Seminars an der universität Berlin. Neue Folge. 5. band, 3. heft, Berlin, 1907; Kollmann, Die stellung des handlungsbegriffis im strafrechtssystem, straf. Abh, H. 91, 1908.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, стр. 182-183.

<sup>3</sup> იხ.: „Сборник определенных уголовной кассационной коллегии верховного суда РСФСР 1925 г“, вып. I, М., 1925, стр. 154.

განზრახვა, დანაშაულის ჩადენის ლიტონი სურვილი, რომელიც კონკრეტულ მოქმედებაში არ გამოვლინებულა, დანაშაულს არ წარმოადგენს და სოციალური დაცვის ღონისძიებათა გამოყენებას არ იწვევს<sup>1</sup>. უფრო საფუძვლიანად იგივე დებულება დასაბუთებულია სსრკ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 12 ივლისის დადგენილებაში. „სასჯელი, – ნათქვამია ამ დადგენილებაში, – შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ განზრახვი ან გაუფრთხილებელი ბრალის არსებობისა იმ პირის მიმართ, ვინც განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ან უმოქმედობა ჩაიდინა“<sup>2</sup>.

თუ სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობანი და სასამართლო პრაქტიკა მტკიცედ ახორციელებენ სოციალისტური დემოკრატიზმის ზემოაღნიშნულ პრინციპს, იგივე არ ითქმის იმპერიალისტურ ქვეყნებზე. ვი. ლენინი ჯერ კიდევ 1910 წელს აღნიშნავდა: „ბურჟუაზიის მიერ შექმნილი კანონიერების ეპოქა იცვლება უდიდესი რევოლუციური ბრძოლების ეპოქით, ამასთან ეს ბრძოლები არსებითად იქნება მთელი ბურჟუაზიული კანონიერების, მთელი ბურჟუაზიული წყობილების დანგრევა, ფორმის მხრივ კი ისინი უნდა დაიწყოს (და იწყება) ბურჟუაზიის თავგზაბნეული ცდებით თავიდან მოიშოროს მის მიერვე შექმნილი და მისთვის დღეს უკვე აუტანელი კანონიერება“<sup>3</sup>.

ბურჟუაზიული კანონიერების რღვევამ თავისი გამოხატულება სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც ჰპოვა. მთელი რიგი კანონები, გამოცემული იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ, დასჯადად აცხადებენ თვით აზრთა წყობას, ლიტონ განზრახვას, რომელიც სასურველი არ არის მონოპოლისტური კაპიტალისათვის. საკმარისია გავისხენოთ თუნდაც მაკარენ-ულის სახელწოდებით ცნობილი 1950 წლის 23 სექტემბერს გამოცემული კანონი. ეს კანონი დასჯადად აცხადებს ყოველ ორგანიზაციას, „რომელიც მოქმედებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელების მიმართულებით“. ეს და სხვა მსგავსი კანონები ფაქტიურად დასჯადად აცხადებენ არა

<sup>1</sup> იხ.: „Еженедельник советской юстиции“ 1927 г. №2, стр. 44.

<sup>2</sup> იხ.: „Сборник действующих постановлений Пленума Верховного суда СССР“, М., 1958, стр. 55.

<sup>3</sup> ვი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 388.

განსაზღვრულ, კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედობას, არამედ „ანტისოციალურ“ (უფრო სწორად ანტიიმპერიალისტურ) ფსიქიკურ განწყობილებას. ასეთი კანონების გამოცემის თეორიული დასაბუთება შესაძლებელი ხდება იმ რეაქციული მიმართულებების წყალობით, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვნენ და განსაკუთრებით ფეხი მოიკიდეს თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში. ესენი არიან ანტროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ სისხლისსამართლებრივი რეპრესიის საფუძველი მოქმედებიდან მოქმედზე გადასულიყო და რომლებიც ასაბუთებდნენ „სოციალური დაცვის ღონისძიებათ“ გამოყენებას იმ პირთა მიმართ, ვისაც არაერთარი დანაშაულებრივი ქმედობა არ ჩაუდენია, მაგრამ „სოციალურად საშიშია“.

### §3. დანაშაული როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა

დანაშაულის ცნების მეორე ნიშანს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს. მითითება, რომ დანაშაულად მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა უნდა ჩაითვალოს, საბჭოთა ხელისუფლების უკვე პირველივე წლების კანონმდებლობის აქტებში გვხვდება.

რსფსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საწყისებში, რომელნიც რსფსრ-ის იუსტიციის სამინისტრომ 1919 წლის 12 დეკემბერს დაამტკიცა, პირველად საკანონმდებლო წესით მოცემული იყო დანაშაულის ცნების ზოგადი მატერიალური განსაზღვრება. სახელმძღვანელო საწყისების მე-1 მუხლის თანახმად, „დანაშაული არის სისხლის სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წესრიგის დარღვევა“, ხოლო იმავე „სახელმძღვანელო საწყისების“ მე-6 მუხლში დანაშაული განსაზღვრულია როგორც „საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსებული სისტემისათვის საშიში მოქმედება ან უმოქმედობა“. მართალია, „სახელმძღვანელო საწყისების“ აღნიშნული მუხლები პირდაპირ არ მიუთითებდნენ, თუ სახელდობრ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა როგორ სისტემას ხელყოფს დანაშაული, მაგრამ ეს ხარვეზი შევსებული იყო მე-3 მუხლით, სადაც ნათქვამი იყო, რომ „საბჭოთა სისხლის სამართლის ამოცანას წარმოადგენს რეპრესიის

მეშვეობით დაიცვას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც შეესაბამება გაბატონებულ კლასად ორგანიზებული მშრომელთა კლასების ინტერესებს კაპიტალიზმიდან კომუნისტურ გარდამავალი პროლეტარული დიქტატურის პერიოდში“.

ამგვარად, საბჭოთა სისხლის სამართლის პირველ კოდიფიცირებულ საკანონმდებლო აქტში თავსებით გარკვევით არის მითითებული დანაშაულის ცნების სპეციფიკურ მატერიალურ ნიშანზე – მის საშიშროებაზე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი სახელმწიფოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემისათვის. ამ დროიდან მოყოლებული, საზოგადოებრივი საშიშროება როგორც დანაშაულის შემადგენელი არსებითი ელემენტი შეტანილია დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში ყველა მომდევნო საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის მიერ.

დანაშაულის კლასობრივი შინაარსის ზუსტი საკანონმდებლო ფიქსირება მოცემული იყო რსფსრ-ის 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. ამ კოდექსის მე-6 მუხლში ნათქვამი იყო: „დანაშაულად ჩაითვლება ყოველი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ემუქრება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წყობილებაზე გარდამავალი პერიოდისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“.

ახსიათებდა რა რსფსრ-ს პირველი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტს, იუსტიციის პირველი სახალხო კომისარი კურსკი აღნიშნავდა: „...ამ კოდექსმა, უპირველეს ყოვლისა, ჩამოაყალიბა ძირითადი მოვლენა, რომელსაც იგი ებრძვის – დანაშაული. კოდექსი განსაზღვრავს დანაშაულს, როგორც მოვლენას, რომელიც საშიშია იმ წყობილებისათვის, რასაც ჩვენ ვიცავთ“<sup>1</sup>.

დანაშაულის ცნების განსაზღვრება, მოცემული 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიერ, სრულყოფილი არ იყო. ჯერ ერთი, არ იყო სწორი მითითება, თითქოს დანაშაულად ჩაითვლება ყოველი მოქმედება, რომელიც ემუქრება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს და საბჭო-

<sup>1</sup> იხ.: „III сессия Всероссийского Центрального Исполнительного Комитета IX созыва (12-27 мая 1922 г)“, М., 1922 Бюллетень №3, стр. 27.

თა მართლწესრიგს. საბჭოთა წყობილების საფუძვლებს შეიძლება ეპუქრებოდეს ისეთი მოქმედებაც, რომელიც ჩადენილია შეურაცხი პირის მიერ, ხოლო ასეთი მოქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება. მით უმეტეს, არა ყოველი მოქმედება, რომელიც არღვევს საბჭოთა მართლწესრიგს, შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. საბჭოთა მართლწესრიგს არღვევს აგრეთვე სამოქალაქო დელიქტი, ადმინისტრაციული ან დისციპლინური დარღვევა, მაგრამ მათ დანაშაულთან ვერ გაეაიგივებთ.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1924 წლის ძირითადი საწყისები დანაშაულის ცნების განსაზღვრებას სპეციალურად არ იძლეოდნენ, მაგრამ დანაშაულის კლასობრივი ბუნება ხაზგასმული იყო 1 მუხლში, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანას სახავდა. ამ ამოცანას, ძირითადი საწყისების მიხედვით, წარმოადგენს „შპრომელთა სახელმწიფოს სასამართლო-სამართლებრივი დაცვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობებისაგან, რომელნიც ძირს უთხრიან შპრომელთა ხელისუფლებას ან არღვევენ მის მიერ დამყარებულ მართლწესრიგს“.

დანაშაულის ცნების განსაზღვრება, მოცემული რსფსრ-ს 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსში, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებით გადავიდა რსფსრ-ს 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-1 მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში. საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში დანაშაული განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: „საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად (დანაშაულად) ჩაითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რაც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილებისათვის ან არღვევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“.

ამ განსაზღვრებას იგივე ნაკლი ახასიათებდა, რაც 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიერ მოცემულ განსაზღვრებას: დანაშაული გაიგივებული იყო საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ერთ-ერთი ძნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ მათ შორის იგივეობის ნიშანი არ შეიძლება დაისვას.

მოქმედი კანონმდებლობა ინარჩუნებს დანაშაულის მატერიალურ

განსაზღვრებას, შეაქვს რა მასში საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი. თანაც საზოგადოებრივი საშიშროების ცნება აქ გათანაბრებული არ არის დანაშაულის ცნებასთან, არამედ მის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს. ამავე დროს საფუძვლების მე-7 მუხლში დაკონკრეტებულია, თუ როგორი მოქმედება უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად. ეს კონკრეტიზაცია ხდება იმ ძირითადი ობიექტების ჩამოთვლით, რომელთაც ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედობა. მე-7 მუხლში მოცემული ჩამოთვლა ატარებს არა ამომწურავ, არამედ სანიშნო ხასიათს. სწორედ ამიტომ კანონში კონკრეტული ობიექტების ხელმყოფ ქმედობასთან ერთად მითითებულია სოციალისტური მართლწესრიგის ხელმყოფ სხვა საზოგადოებრივად საშიშ ქმედობაზეც.

მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა „ხელყოფა?“, საფუძვლების მე-7 მუხლი ხელყოფის შინაარსს არ განსაზღვრავს. საბჭოთა ძველი სისხლის სამართლის კოდექსები „ხელყოფის“ მაგივრად ხმარობდნენ სხვა ტერმინებს, სახელდობრ, „საფრთხეს წარმოადგენს“ ან „არღვევს“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ტერმინი „ხელყოფა“ არ ნიშნავს სამართლით დაცული ამა თუ იმ ობიექტის მხოლოდ რეალურად დაზიანებას, არამედ გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც ჰქმნის ასეთი დაზიანების საფრთხეს. საფრთხის ცნება – რეალური შესაძლებლობის კატეგორიასთან არის დაკავშირებული. იგი გულისხმობს ისეთი ობიექტური პირობების არსებობას, რომელთაც კანონზომიერად შეუძლიათ გამოიწვიონ ობიექტის ნამდვილი დაზიანება. და მართლაც დანაშაულად ითვლება არა მარტო ისეთი ქმედობა, რომელმაც ვნება მიაყენა ობიექტს (მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება და ა.შ.), არამედ ისეთი ქმედობებიც, რომლებიც ობიექტისათვის ვნების მიყენების საშიშროებას შეიცავენ (მაგალითად, მოწმის ცრუ ჩვენება, ალიმენტის ბოროტად არგადახდა და ა.შ.). ამგვარადვე დანაშაულად ითვლება არა მარტო დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედობა, როდესაც საშიშროება უკვე რეალიზებულია, არამედ აგრეთვე დაუმთავრებელი დანაშაულიც, რომელიც შედეგის განხორციელების მხოლოდ შესაძლებლობას შეიცავს.

ის, რომ საზოგადოებრივი საშიშროება გულისხმობს როგორც



ობიექტის ნამდვილად დაზიანებას, ისე მისი დაზიანების ობიექტურ საფრთხეს, კარგად არის ნაჩვენები სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში. ასე, მაგალითად, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 პარაგრაფის მე-2 პუნქტში ნათქვამია: „საზოგადოებრივად საშიშია ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს ან ემუქრება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ან ეკონომიკურ წყობილებას, პიროვნებას და მოქალაქეთა უფლებებს“. საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ანალოგიური განსაზღვრება მოცემულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალ (1968 წლის) კოდექსში: „ქმედობა საზოგადოებრივად საშიშია, როდესაც იგი ზიანს აყენებს ან ემუქრება სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წყობილებას, პიროვნებას; მოქალაქის პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებს, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას და სხვა ინტერესებს, რომელთაც იცავს სოციალისტური მართლწესრიგი“.

საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების ობიექტური თვისებაა. იგი რეალურ სინამდვილეში არსებობს და გამოხატავს „ურთიერთობას პირის მოქმედების ან უმოქმედობის ობიექტურ გამოვლინებას და ობიექტურად არსებულ საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წყობილებას შორის“<sup>1</sup>.

საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს თვით ქმედობას როგორც ადამიანის ნების გარეგან გამოვლინებას და არა ამ ქმედობის სუბიექტს, არა მისი პიროვნების თვისებებს. დანაშაულის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების ცნების შეტანით სოციალისტური სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ზაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოციალისტური სახელმწიფო ებრძვის სისხლისსამართლებრივი სასჯელით, ე.ი. სახელმწიფო იძულების ამ ყველაზე მკაცრი ღონისძიების მეშვეობით არა ლიტონ ბრალს, ანტისოციალურ ფსიქიკურ განწყობას, არამედ მხოლოდ ქმედობას, რომელიც ეწინააღმდეგება კომუნისტური მშენებელი

---

<sup>1</sup> К. Лютов, Содержание понятия „Общественной опасности“, „Вопросы уголовного права стран народной демократии“, М., 1963, стр. 217.

საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რომლებიც ამ კანონზომიერებას შეესაბამებოდნენ, საბჭოთა მოქალაქის უფლებასა და ინტერესებს.

საზოგადოებრივი საშიშროება აბსტრაქტული კატეგორია როდია. იგი კონკრეტულ-ისტორიული კატეგორიაა და დამოკიდებულია საზოგადოებაში გაბატონებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში დასახულ ამოცანებზე. გასაგებია ამიტომ, რომ ქმედობანი, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში საზოგადოებრივად საშიშად ითვლებოდნენ, შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში კარგავენ ასეთ ხასიათს, და პირიქით: ის, რაც დღეს საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, წინაისტორიულ პერიოდში შეიძლება ასეთ ხასიათს არ ატარებდა.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სრული თანხმობაა იმ დებულების გამო, რომ საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. მაგრამ ამ ცნების შინაარსისა და მოცულობის თაობაზე ჯერ კიდევ არ არსებობს ერთსულოვნება. სადავოა ის საკითხიც, მხოლოდ დანაშაულის აუცილებელი ნიშანია საზოგადოებრივი საშიშროება, თუ იგი ყოველ მართლსაწინააღმდეგო ქმედობას ახასიათებს (მაშასადამე, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სხვა სახის სამართალდარღვევასაც).

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი განსაზღვრავს საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას როგორც საშიშროებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემისათვის. ამ შეხედულებას იზიარებს, მაგალითად, პროფ. ნ. დურმანოვი. იგი აქედან აკეთებს დასკვნას, რომ ვინაიდან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დარღვევა ეწინააღმდეგება, ამიტომ საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს დანაშაულის ცნების სახეობით და არა გვარეობით ნიშანს, და რომ დანაშაული სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება სხვა სახის სამართლებრივი დარღვევისაგან. პროფ. ნ. დურმანოვი საკითხს ასე აყენებდა: „განსხვავდება თუ არა დანაშაული სხვა სამართალდარღვევათაგან ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებით, რომელიც მისთვისაა თანაარსი, თუ მხოლოდ ყველა სამართალდარღვე-

ვისათვის თანაარსი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით“<sup>1</sup>. ამ კითხვაზე პროფ. ნ. ღურმანოვი უპასუხებდა, რომ „ყველა სამართალ-დარღვევა როდი შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად“<sup>2</sup>, რომ ეს ნიშანი არ ახასიათებს არც სამოქალაქო დელიქტს, არც ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ დარღვევას. „უმნიშვნელო დარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციული ან დისციპლინური წესით იღვევებიან, არ შეეხებიან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას და ამიტომ ისინი არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიშად ჩათვალოთ“<sup>3</sup>. პროფ. ნ. ღურმანოვი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული გადაცდომანიც ხელს უშლიან რაღაც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის განხორციელებას და ამიტომ ობიექტურად მავნე მოქმედებანი არიან, მაგრამ მთელი საზოგადოებისათვის საშიშროება, რაც დამახასიათებელია დანაშაულისათვის, მათ არ ახასიათებთ<sup>4</sup>. აქედან წარმოიშვა ფორმულა: დანაშაული არის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ხოლო ადმინისტრაციული ან სხვა სახის სამართალ-დარღვევა — მავნე მოქმედება.

პროფ. ნ. ღურმანოვი არ უარყოფს იმას, რომ მოქმედება შეიძლება არ იყოს აღიარებული კანონის მიერ დანაშაულად და ამავე დროს საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს. მოყავს რა მაგალითები, როდესაც ესა თუ ის ქმედობა აშკარა საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებრივი წყობილებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღიარებული არ არის დანაშაულად, პროფ. ნ. ღურმანოვი დაასკვნის: „ამგვარად: 1) საშიში ქმედობა ამავე დროს ყოველთვის როდია დანაშაული და 2) საშიშროების წარმოშობის და მისი მოსპობის მომენტი ყოველთვის როდი ემთხვევა ქმედობის აღიარებას დანაშაულად ან პირიქით მის ამორიცხვას დანაშაულთა სიიდან“<sup>5</sup>.

ნ. ღურმანოვის ზემოთ მოტანილ დებულებებს იზიარებს აგრეთვე ი. სამოშჩენკოც, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება, რომელსაც იცნობს სისხლის სამართლის

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, стр. 135.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 290.

<sup>5</sup> იქვე. გვ. 169.

კოდექსი, არ შეიძლება გაიგივებულ იქნას საზოგადოებრივი მკვებლობის ცნებასთან, რაც შეიძლება ახასიათებდეს ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის სამართალდარღვევასაც. დანაშაული არ არის უბრალოდ მკვნე მოქმედება. მარქსიზმის კლასიკოსებს დანაშაული ესმით როგორც საზოგადოების არსებობის პირობების დარღვევა. როგორც არ უნდა იყოს ეს პირობები!... „საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა აკვალიფიცირებს როგორც დანაშაულს მართლწესრიგის მხოლოდ ისეთ დარღვევებს, რომლებიც ხელყოფენ საბჭოთა საზოგადოების არსებობის პირობებს, ე.ი. სხვა სიტყვებით, ხელყოფენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს ან არსებით ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც თუმცა ჩვენი წყობილების საფუძვლებს ან წარმოადგენენ, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვთ მისთვის“<sup>2</sup>.

აქედან ი. სამოშჩენკო აკეთებს დასკვნას, რომ საზოგადოებრივი საშიშროება დამახასიათებელია მხოლოდ დანაშაულისათვის და სწორედ ამ ნიშნით დანაშაული თვისობრივად (და არა რაოდენობრივად, ე.ი. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით) განსხვავდება სამართალდარღვევის სხვა სახეებისაგან.

სამოშჩენკო არ უარყოფს იმას, რომ სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ დისციპლინური დარღვევაც ვნების მომტანია საბჭოთა საზოგადოებისათვის, მაგრამ მაშინ, როდესაც სამართლებრივი დარღვევის სხვა სახეები ხელყოფენ ამა თუ იმ ცალკეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მართლწესრიგის ამა თუ იმ მხარეს, დანაშაული ხელყოფს მართლწესრიგს მის მთლიანობაში. აქედან ი. სამოშჩენკო უშვებს გამოწვევის მხოლოდ ერთი სახის სამართალდარღვევისათვის, სახელდობრ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდებისა და ანტი-საზოგადოებრივი პარაზიტული ცხოვრების წესისათვის. ამ დარღვევას ჩვენი სამართალი, მართალია, ადმინისტრაციული წესით ებრძვის, მაგრამ ი. სამოშჩენკოს აზრით, იგი ხელყოფს მთლიან მართლწესრიგს, ეწინააღმდეგება სოციალისტური საზოგადოების არ-

---

<sup>1</sup> იხ. И.С. Самошенко. Понятие правонарушения по советскому законодательству, Изд. „Юридическая литература“ М., 1963, стр. 57.

<sup>2</sup> იქვე გვ. 58-59

სებობის პირობებს, ამიტომ, საზოგადოებრივად საშიშად და, თავისი არსით, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. „ამგვარად, იმის დათქმა, რომ მუქთახორობა, სხვა დარღვევებისაგან განსხვავებით, უნდა ჩაითვალოს მთელი საბჭოთა მართლწესრიგის ხელყოფად, - ეს ისეთი გამონაკლისია საერთო წესიდან, რომელიც მხოლოდ ადასტურებს წესს: დანაშაულის ობიექტი მთელი საბჭოთა მართლწესრიგია, ხოლო დარღვევათა ობიექტი - მართლწესრიგის ცალკეული მხარეები“<sup>1</sup>.

უკანასკნელ ხანს ამ შეხედულებას პროფ. მ. სტროგოვიჩიც შეუერთდა. მისი აზრით, თუ ყველა სამართალდარღვევა საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად ჩავთვალეთ და ვაღიარეთ, რომ ეს ქმედობები ერთმანეთისაგან მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით განსხვავდებიან, მაშინ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება ყოველგვარ გარკვეულობას დაკარგავს. „მაგრამ საზოგადოებრივი საშიშროება - შეტად სერიოზული ცნებაა, მისი მომარჯვება ყოველი არამართლზომიერი ქმედებისადმი შეუძლებელია...“<sup>2</sup>. საზოგადოებრივი საშიშროება, სტროგოვიჩის აზრით, მხოლოდ დანაშაულის თვისებაა, და სწორედ ამ თვისებით განსხვავდება იგი სხვა სამართლებრივი დარღვევებისაგან, რომლებიც თუმცა უარყოფით საზოგადოებრივ, სამართლებრივ და მორალურ შეფასებას იმსახურებენ, მაგრამ საზოგადოებრივი საშიშროებით არ ხასიათდებიან<sup>3</sup>.

ასეთია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული შეხედულება საზოგადოებრივი საშიშროების როგორც მხოლოდ დანაშაულის დამახასიათებელი ნიშნის შესახებ.

საზოგადოებრივი საშიშროებით როგორც დანაშაულის სახეობით და არა გვარობითი ნიშნის გაგებას ვერ დავეთანხმებით. შეუძლებელი და არასწორია იმის მტკიცება, თითქოს სხვა სახის სამართალდარღვევანი არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიშად ჩაითვალოს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს შეხედულება აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობას. საქართველოს სისხ-

<sup>1</sup> იხ. И. С. Самощенко. Понятие правонарушения по советскому законодательству, Изд. „Юридическая литература“ М., 1963, стр. 175.

<sup>2</sup> М. С. Строгович, Основные вопросы советской социалистической законности, Изд. „Наука“, 1966, стр. 199.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 200-201.

ლის სამართლის კოდექსის 1-ლ მუხლში ნათქვამია, რომ ამ კოდექსის ამოცენების განსახორციელებლად იგი განსაზღვრავს, თუ „რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობებია დანაშაული...“. მაშასადამე, ყველა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა როდია დანაშაული, არამედ კოდექსი საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა წრიდან ირჩევს მხოლოდ ზოგიერთს და მათ უკავშირებს სისხლისსამართლებრივ სანქციას.

ასეთივე დასკვნა უნდა გამოვიტანოთ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლიდან, სადაც მოცემულია დანაშაულის ცნების განსაზღვრება. განსაზღვრების თანახმად, დანაშაულად ითვლება მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც კანონით გამოცხადებულია დასჯადად.

დებულება, რომ საზოგადოებრივი საშიშროება თანაარსია მხოლოდ დანაშაულისათვის და სხვა სამართალდარღვევას არ ახასიათებს იმ არასწორი საფუძვლიდან გამომდინარეობს. თითქოს ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა უშუალო საშიშროებას წარმოადგენს მთელი სოციალისტური საზოგადოების არსებობის პიოებებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის, ხოლო ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სხვა სახის დარღვევა არავითარ საფრთხეს არ ქმნის მთელი მართლწესრიგისათვის. ამ ორი დებულებიდან არც ერთი არ არის სწორი.

დანაშაული, რაც უნდა მძიმე იყოს იგი, როგორც წესი, არ ქმნის უშუალო საფრთხეს სოციალისტური საზოგადოების არსებობისათვის. ასეთი უშუალო საფრთხე შეიძლება შექმნას მხოლოდ ზოგიერთმა მძიმე სახელმწიფო დანაშაულმა, და თანაც გარკვეულ პირობებში. დანაშაული ჰქმნის უშუალო საფრთხეს იმ კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის, ე.ი. იმ ობიექტისათვის, რომლის წინააღმდეგაცაა იგი მიმართული. იმის მტკიცება, თითქოს ყოველი დანაშაული უშუალო საშიშროებას ქმნის მთელი საბჭოთა საზოგადოების არსებობის პირობებისათვის, მაშასადამე მთელი მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისათვი, ფაქტიურად მოასწავებს ინდივიდუალური დანაშაულებრივი აქტის გაიგივებას დანაშაულობასთან როგორც ასეთთან.

მაგრამ არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ რადგან თითოეული დანაშაულებრივი ქმედობა უშუალოდ მიმართულია გარკვეული ობიექტის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ქმნის საფრთხეს გარკვეული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, იგი ამავე დროს არ წარ-

მოადგენდეს არაუშუალო საშიშროებას სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებისათვის. უშუალოდ აზიანებს რა საბჭოთა საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების კომპლექსში შედის როგორც მისი ერთ-ერთი ელემენტი, ვნებს რა საბჭოთა მართლწესრიგის ერთ მხარეს, რომელიც ამ მართლწესრიგის შემადგენელი ელემენტია, დანაშაული ამით საშიშროებას ჰქმნის მთელი საზოგადოებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის. განუმარტოთ ეს კონკრეტულ მაგალითზე: ვინმემ მიითვისა სახელმწიფო ქონება მცირე რაოდენობით. თავისთავად, უშუალოდ ამ დანაშაულმა არ შეიძლება შექმნას საშიშროება მთელი მართლწესრიგისათვის, მთელი საზოგადოების არსებობის პირობებისათვის. მაგრამ, რამდენადაც სოციალისტური საკუთრების ურთიერთობა ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ჩვენი სამეურნეო წყობილებისა და ჩვენი მართლწესრიგისა, ყოველი აქტი, უშუალოდ მიმართული სოციალისტური საკუთრების ცალკეული ობიექტის წინააღმდეგ, ამავე დროს არაპირდაპირ, არაუშუალოდ ხელყოფს მთელი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს, მართლწესრიგს როგორც მთლიანობას. საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანი, არ შეიძლება შეფასებულ იქნას მხოლოდ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობის ჩარჩოებში, არამედ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, თუ რა საშიშროებას ქმნიან სოციალისტური საზოგადოებისათვის საერთოდ ამგვარი ქმედობანი.

თავისთავად ცხადია, რომ თუ ცალკეული დანაშაული არღვევს უშუალოდ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მხოლოდ არაპირდაპირ – საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას, დანაშაულის ცალკე სახეები ადვილად შეიძლება განვასხვავოთ მათი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით. ამ ხარისხის ძირითადი განმსაზღვრელი მომენტი იქნება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის ღირებულება, რომელსაც უშუალოდ ხელყოფს დანაშაული. შემთხვევითი არ არის ამიტომ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოცემული სისტემა ძირითადად სწორედ დანაშაულის ობიექტს ემყარება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე დაწერილებით მოძღვრება დანაშაულზე, პირველი გამოცემა, თავი მეოთხე, §1 და 2.

აღსანიშნავია, რომ თვით ი. სამოშენკო თანმიმდევრულად ვერ იცავს თავის შეხედულებას საზოგადოებრივ საშიშროებაზე როგორც ისეთ ნიშანზე, რომელიც აღნიშნავს ქმედობის საშიშ ხასიათს უშუალოდ მთელი სოციალისტური საზოგადოების არსებობის პირობებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის. მიუთითებს რა, რომ საზოგადოებრივი საშიშროება განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლებს ხელყოფს, ი. სამოშენკო დასძენს: „მაგრამ თავის მასაში დანაშაულნი საზოგადოებრივად საშიში არიან არა იმიტომ, რომ მიმართული არიან საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ... უმეტეს შემთხვევაში დანაშაულობანი წარმოადგენენ განსაკუთრებით მკვე ხელყოფას ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც შეიძლება იყვნენ სხვა სამართალდარღვევათა ობიექტებიც“<sup>1</sup>.

არამართებულია იმის უარყოფაც, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროების მომენტი არ ახასიათებს სხვა სახის დარღვევას — დისციპლინურს, ადმინისტრაციულს, სამოქალაქოს.

ასეთი შეხედულება უპირველესად ყოვლისა, ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ქმედობა, რომელიც დანაშაულად იყო გამოცხადებული, შემდეგ ამორიცხული იქნა დანაშაულთა სიიდან და სახელმწიფო მათ უკვე დისციპლინური ან ადმინისტრაციული ღონისძიებების მეშვეობით ებრძვის. ამას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსების შედგენის დროს. ასეთი ქმედობების სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღება ხშირად მოტივირებული იყო არა იმიტომ, რომ ისინი დღევანდელ პირობებში საერთოდ აღარ წარმოადგენენ საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ იმიტომ, რომ მცირე საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედობებთან ბრძოლა სახელმწიფო იძულების ისეთი მკაცრი ღონისძიების მეშვეობით, როგორცაა სისხლისსამართლებრივი სასჯელი, მიზანშეუწონელია და საკმარისია დავეკრდეთ ადმინისტრაციული ან დისციპლინური სახდელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების გამოყენებას.

<sup>1</sup> ი. სამოშენკო, დასახ. ნაშრ. გვ. 167-168.



შეიძლება მოვიტანოთ მეორე საბუთიც. ზოგიერთ ქმედობა ერთი საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გამოცხადებულია დანაშაულად, ხოლო მეორე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით – ადმინისტრაციულ დარღვევად. მაგალითად, ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესების დარღვევა, თუ ეს დარღვევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს და ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულადაა გამოცხადებული (მუხ. 241, ნაწ. 1), ხოლო რსფსრ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობა მას დანაშაულად არ თვლის (იხ. მუხ. 212) და ადმინისტრაციულ დარღვევად აცხადებს. მაგრამ განა აქედან შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ საქართველოს ფარგლებში ეს ქმედობა საზოგადოებრივად საშიშია, ხოლო რსფსრ-ის ფარგლებში – არ არის საზოგადოებრივად საშიში?

ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია ის დებულება, რომ ყოველი სამართლებრივი დარღვევა განსაზღვრული ხარისხის, მეტ თუ ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს. ყოველი სამართლებრივი დარღვევა მიმართულია განსაზღვრული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ, არღვევს მართლწესრიგის ამა თუ იმ მხარეს, ხოლო არაპირდაპირ იგი არღვევს მართლწესრიგს როგორც მთლიანობას.

„პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, – წერს ო. შიშოვი, – რომ ცალკეული ადმინისტრაციული დარღვევანი, თავისთავად აღებულნი, როგორცაა მაგალითად, ქუჩის გადასვლა აკრძალულ ადგილას, გაზონებზე სიარული და სხვ. მეტად უმნიშვნელოა და ამიტომ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. მაგრამ არ შეიძლება მხედველობიდან გაუშვათ, რომ ცალკეული სამართალდარღვევის საზოგადოებრივ საშიშროებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ამგვარ მოქმედებათა ერთობლიობის საფუძველზე... ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება უნდა შევაფასოთ არა მარტო მისი გამოვლინების ცალკეული ფაქტების მიხედვით, არამედ ამგვარ სამარ-

თაღარღვევათა გავრცელებულობის, მათთან ბრძოლის წარმატებულობის და სხვ. მისთ. მიხედვით<sup>1</sup>.

სავსებით მართებულად წერს აგრეთვე პროფ. ა. სახაროვი დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ, რომ „საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მომუშავის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობათა ყოველი დარღვევა, რომელიც უცილობელ კვალს ტოვებს მთელი აპარატის წარმატებით საქმიანობაზე, საზოგადოებრივად საზიანო და შეუწყნარებელი მოვლენა“<sup>2</sup>.

დებულება, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროება მხოლოდ დანაშაულს ახასიათებს და ადმინისტრაციული თუ სხვადასხვა სახის დარღვევანი სწორედ ამ ნიშნის არარსებობით განსხვავდებიან დანაშაულისაგან, ეწინააღმდეგება საბჭოთა სოციალისტური სამართლის სხვადასხვა დარგების მიზნების ერთიანობას. საბჭოთა სამართლის სხვადასხვა დარგები ერთ მწყობრ სისტემას წარმოადგენენ და სხვადასხვა გზით თუ მეთოდით ერთი და იმავე საბოლოო მიზნის განხორციელებისაკენ არიან მიმართული. ეს მიზანია – საზოგადოების კომუნისტურად გარდაქმნა, ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენება. ამ მიზანს ემსახურება როგორც სამოქალაქო, ისე სახელმწიფო, ადმინისტრაციული თუ სხვა სამართალი. აქედან, ცხადია, რომ სამართლის ყოველი დარგის ნორმათა დარღვევა საბოლოო ანგარიშში, მეტად თუ ნაკლებად, ხელს უშლის სამართლის ამ საბოლოო მიზნის განხორციელებას. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენენ არც ადმინისტრაციული, დისციპლინური თუ სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევანი. და თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ ყოველი სამართლებრივი დარღვევის ობიექტური არსი სწორედ მის საზოგადოებრივ საშიშროებაშია, თუმცა ამ საშიშროების ხარისხი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ზოგის უფრო მძიმე, ზოგისა კი უმნიშვნელო.

დაბოლოს, აღსანიშნავია ერთი მომენტი. ქმედობის საზოგადო-

<sup>1</sup> О. Ф. Шиншов, О разграничении преступлений и административных проступков в советском праве „Советское государство и право“ 1951 г. N 6, стр. 70-71.

<sup>2</sup> А. Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1956, стр. 150.

ბრივი საშიშროება – ეს არის ქმედობის დამახასიათებელი ობიექტური თვისება, რომელიც არსებობს იმისდა მიუხედავად, გამოცხადებულია თუ არა იგი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დასჯად ქმედობად. ხოლო, თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება არ ახასიათებს არც ერთ სხვა სამართლებრივ დარღვევას, გარდა დანაშაულისა, მაშინ ამით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი თვისება კი არ ყოფილა, არამედ თვისება, რომელიც მას მიანიჭა თვით კანონმდებელმა მისი დანაშაულად გამოცხადებით. სინამდვილეში, ამა თუ იმ ქმედობის შეტანით სისხლის სამართლის კოდექსში სახელმწიფო პირველად კი არ აფუძნებს მის საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ, აღიარებს რა, რომ ეს ქმედობა ობიექტურად, თავისი თვისებებით ეწინააღმდეგება სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ცნობს მას სისხლის სამართლის ნორმის საწინააღმდეგო და დასჯად ქმედობად. სახელმწიფო ხელისუფლების ეს აქტი ამგვარად აფუძნებს ქმედობის არა საზოგადოებრივად საშიშ, არამედ დანაშაულებრივ ხასიათს. როგორც კ. მარქსი მიუთითებდა, „ოფიციალურ საზოგადოებაზე რამდენადმე დამოკიდებულია დააკვალიფიციროს მის მიერ დადგენილ კანონთა ზოგიერთი დარღვევა დანაშაულად ან მხოლოდ გადაცდომად“<sup>1</sup>.

ამგვარად საზოგადოებრივი საშიშროება არ წარმოადგენს დანაშაულის ცნების სახეობით ნიშანს (*differentia specifica*), რომელიც განასხვავებს მას სხვა სამართალდარღვევათაგან, არამედ იგი არის გვარობითი ნიშანი (*genus proximus*), რომელიც ახასიათებს როგორც დანაშაულს, ისე სამართალდარღვევის სხვა სახეებსაც. უფრო მეტიც, ქმედობა შეიძლება არ ეწინააღმდეგებოდეს არავითარ სამართლებრივ ნორმას და მიუხედავად ამისა საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს. ავიღოთ ისეთი ამორალური ქმედობანი, როგორიცაა სისხლის აღრევა, ცხოველთმავლობა, შეგულიანება ან ხელის შეწყობა სრულწლოვანი შერაცხადი პირის თვითმკვლელობისათვის. ეს მძიმე ამორალური ქმედობანი უეჭველად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ მორალს, სოციალისტური

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 13, 516.

თანაცხოვრების წესებს, მაგრამ სოციალისტური საზოგადოება საჭიროდ თვლის ებრძოლოს მათ არა სახელმწიფოებრივი იძულებითი ღონისძიებების, არამედ საზოგადოებრივი ზემოქმედების მეშვეობით. მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროების ცნების მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე სამართალდარღვევისა. ყოველი სამართლებრივი დარღვევა საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, მაგრამ ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა როდია დანაშაული. ამ შეხედულებას იზიარებს საბჭოთა კრიმინალისტიკის უძრაველესობა<sup>1</sup>. მას ეთანხმებიან აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი კრიმინალისტიკები<sup>2</sup>.

დანაშაულის ცნების სახეობით ნიშნად მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გამოცხადებამ ლიტერატურაში მეორე უკიდურესი შეხედულება წარმოშვა. ეს მეორე უკიდურესი შეხედულება იმ დებულებიდან გამოდის, რომ საზოგადოებრივი საშიშროება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის აუცილებელ ნიშნად და ამიტომ იგი სავსებით უნდა იქნეს გაძევებული დანაშაულის ცნების მეცნიერული და საკანონმდებლო განმარტებიდან.

ეს შეხედულება მეტად არის გავრცელებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტიკებს შორის. მას ემხრობიან პროფ. ი. რენებერგი, პროფ. ი. ლექმასი, დოც. პ. ვებერი, დოც. შტილერი და სხვ.

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, А.А. Пионтковский, учение о преступлении, Госюриздат, М., 1961, стр. 47; А. Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, Госюриздат, 1956, стр. 153-161; его же, Должностное преступление и дисциплинарный проступок. „Советское государство и право“, 1955г. N 2, стр. 98; О.С. Иоффе, М. Д. Шаргородский, Вопросы теории права, Изд. Ленинградского университета, 1961, стр. 401; О.Ф. Шишов, О разграничении преступлений и административных проступков в советском праве, „Советское государство и право“, 1961, N 6; Советское уголовное право, часть общая, ВЮЗИ. М., 1964, Стр. 50; Я.М. Брайншин, Уголовный закон и его применение, М., 1967, стр. 30; Административное право, ВЮЗИ, М., 1967, стр. 178 და სხვ.

<sup>2</sup> Ганс Гератс, „Материальное понятие преступления“ и основания уголовной ответственности. „Государство и право в свете Великого Октября“, Изд. Иностр. лит., М., 1938, Л. Шуберт, Об общественной опасности преступного деяния, Госюриздат, М., 1940, стр. 23-30; Michael benjamin und Helmut Rutsch, Gesellschaftsgefährlichkeit und materialer Begriff der strafat der DDR, „Staat und Recht“ 1963, №10 და სხვ.

აღნიშნული იურისტები ილაშქრებენ იმ დებულების წინააღმდეგ, თითქოს ყოველი დანაშაული ხელყოფს მთელ საზოგადოებას და მამას-აძამე ყოველი სამართალდამრღვევი პრინციპულ და გლობალურ წინააღმდეგობაშია მთელ სოციალისტურ საზოგადოებასთან<sup>1</sup>. ასეთი თვისება ქმედობათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის თავისებურებას შეადგენს. იგი ყოველ სახელმწიფო დანაშაულსაც კი არ ახასიათებს. თვით სახელმწიფო დანაშაულნიც არ ხელყოფენ ხელისუფლების ურთიერთობათა მთელ სისტემას. სამშობლოს ღალატის გარდა, სხვა სახის სახელმწიფო დანაშაული გარკვეულ სპეციფიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობას ემუქრება და ერთიანი ხელისუფლების მხოლოდ გარკვეულ მხარეს ხელყოფს<sup>2</sup>. მით უმეტეს უნდა ითქვას იგივე სხვა სახის დანაშაულზე, განსაკუთრებით მცირე მნიშვნელობის გადაცდომებზე, რომელთაც ჩვეულებრივად საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით ებრძვიან.

ზემოაღნიშნული გერმანელი კრიმინალისტები არა მარტო წინააღმდეგი არიან იმისა, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი დანაშაულის ცნებაში შეიტანონ, არამედ საერთოდ ილაშქრებენ დანაშაულის ზოგადი და ერთიანი ცნების წინააღმდეგ. ამ ცნების ადგილი, მათი აზრით, უნდა დაიჭიროს დასჯადი ქმედობის ცნებამ, ხოლო სისხლის სამართლის კანონში უნდა იქნეს გამოჯნული და განმარტებული დასჯადი ქმედობის ორი მკვეთრად განსხვავებული სახე – დანაშაული და გადაცდომა (Verbrechen und vergehen).

ეს შეხედულება დასაბუთებული იყო პროფ. ი. რენებერგის, დოც. რ. შტილერის და დოც. ჰ. ვებერის მიერ შედგენილ თეზისებში, რომლებიც მათ წარუდგინეს სახელმწიფოსა და სამართლის აკადემიის მიერ 1963 წლის ნოემბერში ჩატარებულ კონფერენციას, მიძღვნილს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტისადმი.

თეზისების ავტორები მოითხოვდნენ დასჯადი ქმედობის ორი სახის

---

<sup>1</sup> იხ. Hans Weber, Zum Begriff der Straftat im Künftigen Strafgesetzbuch. „Staat und Recht“ 1963, N 10, S. 1617.

<sup>2</sup> იხ. Hans Weber, Zum Begriff der straftat im künftigen strafgesetzbuch, „staat und recht“ 1963, N 10, S. 1618.

– დანაშაულისა და გადაცდომის მკვეთრ დიფერენციაციას და მათთვის პასუხისმგებლობის სხვადასხვა პრინციპების შემუშავებას. დანაშაულად ისინი თელიან მხოლოდ მძიმე სახის სამართალდარღვევებს, რომელნიც დასჯად ქმედობათა დაახლოებით 10%-ს შეადგენენ. ხოლო გადაცდომად – დანარჩენ დასჯად ქმედობებს, რომელთა პროცენტი დასჯად ქმედობათა მიმართ 90%-ს უდრის. დანაშაულისა და გადაცდომის დიფერენციაციას, თეზისების ავტორების აზრით, საფუძვლად უდევს განსხვავება მათ მამოძრავებელ ფაქტორებს ანუ სტიმულებს შორის. დანაშაული – „ეს არის სახელმწიფო დანაშაული და სხვა დანაშაული, რომელშიც მუქადება სოციალისტური კანონიერებისა და ადამიანის საერთო ცხოვრების წესების მძიმე და პრინციპული უგულვებლყოფა. ასეთი დანაშაულით დამნაშავე თავის თავს საზოგადოების გარეშე აყენებს<sup>1</sup>.“ ხოლო გადაცდომები ისეთი დასჯადი ქმედობები არიან, რომელთა ჩადენაც განპირობებულია ადამიანის შეგნებაში ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის გადმონაშთების არსებობით.

დასჯად ქმედობათა ამ ორი ძირითადი კატეგორიის მიხედვით თეზისების ავტორები მოითხოვენ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა მკვეთრ დიფერენციაციას. თუ ის დამნაშავენი, რომელნიც სოციალისტური საზოგადოების არსებობას ემუქრებიან, მკაცრად უნდა იქნენ დასჯილნი (ჩვეულებრივად თავისუფლების აღკვეთით), გადაცდომის ჩამდენთა მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

„საზოგადოებრივი საშიშროების“ კატეგორია, თეზისების ავტორების აზრით, არ გამოდგება დასჯად ქმედობათა უმრავლესობის – გადაცდომების საზოგადოებრივი არსების სწორად დახასიათებისათვის, ვინაიდან ეს ნიშანი არ შეესაბამება გადაცდომათა უმნიშვნელო ხასიათს. საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი არც იმისთვის არის გამოსადეგი, რომ გადაცდომა სხვა სახის სამართალდარღვევებისაგან გაიმიჯნოს, ვინაიდან ასეთ გადაცდომათა უმრავლესობა არც ობიექტურად

---

<sup>1</sup> Grundfragen des neuen Strafgesetzbuchs der Deutschen Demokratischen Republik, 1964, S. 69.

და არც სუბიექტურად არ არის უფრო მძიმე, ვიდრე სხვა სახის სამართალდარღვევები<sup>1</sup>. „თუ ჩვენ საზოგადოებრივ საშიშროებას (ვიწრო მნიშვნელობით), დასჯადი გადაცდომისა და არადასჯადი დარღვევების გამმოყვანე კრიტერიუმად გამოვიყენებთ, მაშინ საბოლოოდ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ გადაცდომათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე აღარ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასჯადი ქმედობა და შეტანილ იქნას სისხლის სამართლის კოდექსში“<sup>2</sup>.

დასჯად ქმედობათა სხვადასხვა სახეების გაერთიანება დანაშაულებრივ ქმედობის ერთიან ცნებაში და მათი დახასიათება საერთო ნიშნის „საზოგადოებრივი საშიშროების“ მიხედვით თეზისების ავტორებს იმ მხრივაც მიაჩნიათ მიზანშეუწონლად, რომ ასეთი გაერთიანების შედეგად მიიჩქმალება დასჯად ქმედობათა ორი ძირითადი ჯგუფის – დანაშაულისა და გადაცდომის – თვისობრივი განსხვავება, რაც ხელს შეულის მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას სისხლის სამართლის სფეროში. მართლმსაჯულების მთელი ყურადღება მიპყრობილი იქნება იმაზე, რაც საერთოა ყველა დასჯადი ქმედობისათვის, იმის მაგივრად, რომ შესრულებულ იქნას პარტიის მითითებანი დასჯადი ქმედობებისადმი დიფერენცირებულად მიღგომის შესახებ<sup>3</sup>.

ამიტომ თეზისების ავტორები წინადადებას იძლევიან, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არ იყოს შეტანილი დანაშაულის ცნების ზოგადი განსაზღვრება მათი აზრით, საკმარისია, თუ კოდექსში ფორმულირებული იქნება დებულება, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს ის, ვინც ბრალეულად ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაული ან გადაცდომა, და ამის შემდეგ მოცემული იქნება დანაშაულისა და გადაცდომის დახასიათება<sup>4</sup>.

ჩვენის აზრით, ასეთი წინადადება არ შეიძლება იყოს მიღებული, მითითება საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც დანაშაულის ცნების ერთ-ერთ არსებით ელემენტზე, აუცილებელია იმისათვის, რათა შემუშავებულ იქნას დანაშაულთან ბრძოლის საერთო საფუძველი და საერთო

<sup>1</sup> Grundfragen des neuen Strafgesetzbuch der Deutschen Demokratischen Republik, 1964, S. 69, გვ. 72.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 73-74.

პრინციპები. როგორც მართებულად აღნიშნავენ ბ. ბენიამინი და ხ. რუჩი, „ჩვენი სახელმწიფო ორგანოების ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეზღუდოს და დათრგუნოს დანაშაულობის მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფები. კომუნიზმისაკენ გარდამავალი პერიოდისათვის აუცილებელია აცილებულ იქნას ყველა დანაშაულებრივი ქმედობა, ყველა სამართლებრივი დარღვევა“<sup>1</sup>.

საზოგადოებრივი საშიშროების ცნება მეტად გამოსადეგი ცნებაა როგორც დანაშაულთა ცალკეული კატეგორიების დახასიათებისათვის, ისე დანაშაულებრივი ქმედობის გამიჯვნისათვის სხვა სამართალდარღვევათაგან. საზოგადოებრივი საშიშროების ცნება შეფასებითი ხასიათის ცნებაა და მიგვითითებს იმაზე, რომ ამ თვისების მქონე მოქმედება ეწინააღმდეგება ჩვენს საზოგადოებრივ წესრიგს, უარყოფით ზეგავლენას ახდენს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების სიმტკიცეზე და აფერხებს მათ განვითარებას. საზოგადოებრივი საშიშროება შეიძლება სხვადასხვა ხარისხისა იყოს. მოქმედება შეიძლება იყოს მეტად თუ ნაკლებად საზოგადოებრივად საშიში. მოქმედების მეტი თუ ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა მეტ თუ ნაკლებ სიმძიმეზე. როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაულთა კლასიფიკაცია, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილშია მოცემული, ძირითადად სწორედ მათ ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებაზეა აგებული (სხვა საკითხია, თუ რით განისაზღვრება თვით ეს ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება). მაგრამ იგივე ნიშანი – ე.ი. მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს კანონმდებლისათვის სისხლისსამართლებრივი დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გასამიჯვნავად. დანაშაული, როგორც წესი, უფრო დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, ვიდრე სხვა სამართალდარღვევები, და სწორედ ამიტომ არის,

<sup>1</sup> იხ. ბენიამინისა და რუჩის ზემოთ დასახელებული წერილი, „Staat und recht“, 1963, №10, გვ. 1631. იხ. აგრეთვე მ. ბენიამინის მეტად საინტერესო გამოვლანა ზემოხსენებულ კონფერენციაზე პოტსდამ-ბაბელსბერგში: Grundfragen des neuen Strafgesetzbuchs der Deutschen Demokratischen Republik, 1964, S.S. 89-101



რომ სახელმწიფო ებრძვის მას სისხლისსამართლებრივი სასჯელის მეშვეობით, ე.ი. სახელმწიფოს იძულებით ღონისძიებათა შორის ყველაზე უფრო მკაცრი ზომის მეშვეობით. როგორც მართებულად აღნიშნავს უნგრელი კრიმინალისტი ლასლო ვიშკი, — „პრინციპში კანონმდებელს შეუძლია გამოაცხადოს დანაშაულად ყოველი საზოგადოებრივად სშიში ქმედობა. მაგრამ, გამოდის-რა სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანებიდან, იგი ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როდესაც ქმედობა, რომელსაც ის დასჯადად აცხადებს, საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ განსაზღვრულ ხარისხს აღწევს, რომ მასთან ბრძოლა საჭიროა სახელმწიფოებრივი იძულების ყველაზე უფრო ძლიერი საშუალებით — სისხლის სამართლის კანონით“<sup>1</sup>.

ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ცალკეული საზოგადოებრივად მეტად საშიში მოქმედება შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული როგორც დანაშაული. მაგრამ ასეთი ფაქტი სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ საზოგადოებრივი საშიშროების სიმძიმე კანონმდებლისათვის ამა თუ იმ ქმედობის კრიმინალიზაციის ძირითად მასშტაბს წარმოადგენს. ეს მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ კანონმდებელი ამ სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური ამოცანის გადაჭრისას ემყარება არა მარტო ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, არამედ სხვა საფუძვლებსაც. როგორც მართებულად მიუთითებს პროფ. ჰ. გერაცი, „ქმედობის აღიარება დანაშაულად კონკრეტული და ყოველმხრივი სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებების შედეგია. უნდა იქნას გამოკვლეული, თუ როგორია სოციალისტური სახელმწიფოს რეაქცია საშიშ ქმედობაზე და მიღებულ იქნას სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამ პირობებში ამგვარი ქმედობა უნდა დაითრგუნოს, თანაც სასჯელის მუქარისა და კანონით დადგენილი სასჯელის დამნაშავისადმი მიყენების მეშვეობით. საზოგადოებრივი საშიშროების, მორალური გასაკიცხაობის, პოლიტიკური შეუწყნარებლობის ნიშნების გარდა, ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დასჯადობის ნიშანიც. მსჯელობა საშიშროების შესახებ

---

<sup>1</sup> Ласло Вишки, Умысел и общественная опасность. „Вопросы уголовного права стран народной демократии“, Изд. иностран. лит., М., 1963, стр. 279-280.

იდეტური არ არის სისხლის-სამართლებრივი გადაწყვეტილებისა სასჯელის აუცილებლობის შესახებ<sup>1</sup>.

#### §4. დანაშაული როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა

ყოველი დანაშაული საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა, მაგრამ ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა როდია იმავე დროს დანაშაული. არის მთელი რიგი საზოგადოებრივად საშიში ქმედობანი, რომლებიც სისხლის სამართლის წესით არ იდევნებიან. ხულიგნობა მძიმე დანაშაულად ითვლება, მაგრამ წერილმანი ხულიგნობა, პირველად ჩადენილი, ადმინისტრაციული დარღვევაა და ადმინისტრაციულ სახდელს იწვევს. უკანონო ნადირობა საზოგადოებრივად საშიში და დასჯადი ქმედობაა, მაგრამ თუ ის პირველად არის ჩადენილი, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს.

უფრო მეტიც, არსებობს ისეთი ქმედობანიც, რომლებიც უეჭველად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, მაგრამ არათუ სისხლის სამართლის წესით არ ისჯებიან, არამედ საერთოდ სამართალდარღვევას არ წარმოადგენენ და საზოგადოება მათ მხოლოდ მორალური გაკიცხვისა და აღმზრდელობითი ღონისძიებების მეშვეობით ებრძვის. ასეთი ქმედებებია, მაგალითად, სისხლის აღრევა, თვითმკვლელობა ან სრულწლოვანი შერაცხადი პირის შეგულიანება თვითმკვლელობისადმი, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება კერძო პირის მიერ (თუ არ არის სამშობლოს ღალატი ან ჯაშუშობა) და ა.შ.<sup>2</sup> როგორც მართებულად აღნიშნავს უნგრელი კრიმინალისტი ლასლო

<sup>1</sup> Гаис Гератс, „Материальное понятие преступления“ и основания уголовной ответственности, „Государство и право в свете Великого Октября“, М., 1958, стр. 247; ანალოგიურ აზრს გამოთქვამს აგრეთვე ბულგარელი კრიმინალისტი ნენკოი (იხ. Иван Ненов, Наказательно право, обща часть, София, 1963, стр. 213-214) და უნგრელი კრიმინალისტი ვიშკი, იხ. Ласло Вишки, Умысел И общественная опасность, „Вопросы уголовного права стран народной демократии“, Изд. иностр. лит., М., 1963, стр. 278-279, 281-282.

<sup>2</sup> არ შეიძლება ამიტომ სწორად ჩაითვალოს 1952 წელს მოსკოვში გამოცემული სახელმძღვანელოს მტკიცება, რომ „საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ყოველთვის არღვევს სოციალისტური სამართლის განსაზღვრულ ნორმასაც...“ (Советское уголовное право. обща часть., М., 1952, стр. 180. საზგახსულია ჩვენს მიერ თქ.).

ვიშკი, „კანონმდებელი სისხლის სამართლის საწინააღმდეგო ქმედობად საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა მხოლოდ ვიწრო წრეს აცხადებს, სახელდობრ, ისეთ ქმედობებს, რომლებთანაც ბრძოლა სისხლისსამართლებრივი მეთოდებით დასაბუთებული და მიზანშეწონილია. აქედან კი გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი საშიშროება როგორც რეალური სინამდვილის ამსახველი კატეგორია უნდა არსებობდეს სისხლის მართლწინააღმდეგობისაგან დამოუკიდებლად“<sup>1</sup>.

მართლწინააღმდეგობის ცნება ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში. მაგრამ ერთი დებულება შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს: მართლწინააღმდეგობა გამოჰხატავს ადამიანის ქმედობის შეუსაბამობას სამართლებრივი წესრიგისადმი, სამართლებრივი ნორმებისადმი. მართლწინააღმდეგობა გულისხმობს იმას, რომ ობიექტური სამართლებრივი ნორმა უარყოფითად აფასებს ადამიანის განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას. ვინაიდან ასეთი საქციელი ხელს უშლის სამართლის მიზნების განხორციელებას.

ცხადია, მართლწინააღმდეგო შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის ქცევა როგორც მისი ნების გამოვლინება. არ შეიძლება არსებობდეს მართლწინააღმდეგო მდგომარეობა, როგორც ამას ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი ამტკიცებს<sup>2</sup>. სამართალი არსებობს იმისათვის, რომ მოაწესრიგოს ადამიანთა ურთიერთობები. სამართლის ნორმის ერთადერთი ადრესატი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია აღიქვას ეს ნორმა და მის შესაბამისად წარმართოს თავისი მოქმედება. მართლზომიერი თუ მართლწინააღმდეგო „მდგომარეობის“ მტკიცება ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება.

არა ყოველი მოქმედება, რომელიც სოციალისტური სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება, ასაბუთებს სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება. როგორც სწორად აღნიშნავს პროფ. ა. პიონტკოვსკი, „ქმედობის მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში ჩვენ გვესმის როგორც მისი წინააღმდე-

<sup>1</sup> ლ. ვიშკი, დასახ. წერილი. გვ. 281-282.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად: E. Mezger, Strafrecht. Ein Lehrbuch, Berlin und München, 1949, S. 164.

გობა ისეთი სამართლებრივი ნორმისადმი, რომლის დარღვევაც ისჯება სისხლის სამართლის კანონით ამიტომ ესა თუ ის მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება ითვლებოდეს მართლსაწინააღმდეგოდ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის თვალსაზრისით, მაგრამ არ იყოს მართლსაწინააღმდეგო სისხლის სამართლისათვის<sup>1</sup>. ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგო ქმედობას არ გააჩნია ის ნიშანი, რომელიც მას დასჯად ქმედობად გადააქცევს, ე.ი. ასეთი ქმედობა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს არ შეესაბამება.

ქმედობა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება და, მაშასადამე, სისხლის სამართლის თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგოა, შეიძლება იმავე დროს სხვა დარგის ნორმებსაც არღვევდეს. მაგალითად ქონების ფარულად ან აშკარად გატაცება არღვევს არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ აგრეთვე სამოქალაქო სამართლის ნორმებსაც. საკუთრების უფლებას აწესრიგებს სამოქალაქო სამართალი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შეადგენს საკუთრების უფლების შინაარსს, რა შეიძლება იყოს მისი ობიექტი და როგორი მოქმედებანი ჩაითვლებიან საკუთრების უფლების დარღვევად. საკუთრების უფლების დარღვევას მოჰყვება სამოქალაქო სამართლებრივი შედეგები (უკანონო მფლობელისაგან ნივთის დაბრუნება მესაკუთრის მიერ, ნეგატორული სარჩელი, სარჩელი ზარალის ანაზღაურების შესახებ და ა.შ.). მაგრამ საკუთრების უფლების დარღვევას გარკვეულ შემთხვევებში სისხლის სამართლებრივი სანქციაც ანუ სასჯელი მოჰყვება. ასეთი შემთხვევები სხვა მრავალი შეიძლება მოიძებნოს (მაგალითად, მოქალაქეთა საარჩევნო უფლების დარღვევა განსაზღვრულ პირობებში სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს, მაგრამ თვით საარჩევნო უფლება რეგლამენტირებულია სახელმწიფო სამართლის ნორმებით და ა. შ.).

ასეთი ხასიათის სისხლის სამართლის ნორმების არსებობის საფუძველზე ბურჟუაზიულმა კრიმინალისტმა კარლ ბინდინგმა შექმნა თავისებური თეორია, რომელიც ცნობილია ნორმების თეორიის სახელწოდებით და რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მართლწინააღმდეგობის საკითხის დამუშავებაში.

ბინდინგის თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში:

---

<sup>1</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 159.

სისხლის სამართალი არ არეგულირებს ურთიერთობებს ადამიანთა შორის. ეს ურთიერთობები მოწესრიგებულია სამართლის სხვა დარგების (სამოქალაქო ან საჯარო სამართლის) მიერ. სისხლის სამართლის ფუნქცია ამოიწურება იმით, რომ იგი უზრუნველყოფს ნორმის საწინააღმდეგო მოქმედების დასჯადობას, ხოლო ქმედობის ნორმის საწინააღმდეგო ხასიათი სისხლის სამართლის კანონში არ დგინდება.

დამნაშავე, ბინდინგის აზრით, არღვევს არა სისხლის სამართლის კანონს, არამედ ნორმას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის გარეშე არსებობს და წინ უსწრებს მას. ეს ნორმა შეიძლება იყოს წერილობითი (სამოქალაქო ან საჯარო სამართლებრივი) ან დაუწერელი, ე.ი. ტრადიციით გადაცემული. უკანასკნელ შემთხვევაში იგი შეიძლება აღმოჩენილ იქნეს თავისუფალი განმარტების მეშვეობით<sup>1</sup>.

დამნაშავე მოქმედებს არა სისხლის სამართლის კანონის საწინააღმდეგოდ, არამედ მის შესაბამისად, ვინაიდან მისი მოქმედება შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღწერილ ქმედობას. სისხლის სამართლის კანონი არაფერს არ ავალებს და არაფერს არ უკრძალავს მოქალაქეებს. იგი მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს ავალებს მიუყენონ დამნაშავეს, რომელმაც ნორმა დაარღვია, სისხლის სამართლის კანონში აღწერილი სასჯელი. ამიტომ სისხლის სამართლის კანონი შეიძლება დაირღვეს იმით, რომ სახელმწიფო ორგანოებმა არ მიუყენეს ან არასწორად მიუყენეს დამნაშავეს სასჯელი<sup>2</sup>.

ამრიგად, ბინდინგის თეორიის მიხედვით ნორმა იძენს დამოუკიდებელ მნიშვნელობას სისხლის სამართლის კანონის გარეშე და მის გვერდით. ეს შეხედულება, ჩვენის აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

ჯერერთი, მცდარია ბინდინგის აზრი, თითქოს ამკრძალავი ნორმა ყოველთვის სამართლის რომელიმე სხვა დარგში არსებობს და არასოდეს არ არის მოცემული თვით სისხლის სამართლის კანონში. სად, რომელი სხვა დარგის ნორმით არის, მაგალითად, აკრძალული მამოშავლობა, ან გარყვნილი მოქმედება და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ ქმედობათა აკრძალვას ჩვენ სამართლის რომელიმე სხვა დარგში ვერ

<sup>1</sup> K. Binding, Die normen und ihre ubertretung, L. Band, Leipzig, 1922, S. 3.

<sup>2</sup> Ibid, S. 134.

ვიპოვით. თუ ისინი სადმე სხვაგან არიან აკრძალული, სისხლის სამართლის გარდა, მხოლოდ მორალის ნორმებით. მაგრამ რომ მივმართოთ თუნდაც ისეთ ქმედობებს, რომლებიც სისხლის სამართლის სფეროს გარეშეც ატარებენ მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, მაგალითად, სხვისი საკუთრების მიტაცებას, აქაც ჩვენ სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა (უმართლობა) არ შეიძლება გაავიგივოთ სხვა სახის უმართლობასთან. ამ შემთხვევაშიც სისხლის სამართლის სფეროში იქმნება ახალი ტიპის უმართლობა, და ეს ახალი ტიპის უმართლობა იქმნება იმით, რომ იგი აღწერილია სისხლის სამართლის კანონში როგორც დანაშაულის შემადგენლობა.

მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონი დანაშაულის შემადგენლობის შექმნით და მასთან სასჯელის დაკავშირებით ჰქმნის ნორმას, რომელიც სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის. მართალია, სისხლისსამართლის კანონი რედაქციულად არ არის ასე აგებული: ქურდობა ყველასათვის აკრძალულია, და თუ ვინმემ მოიპარა, – ასე და ასე დაისჯებაო. მაგრამ იგი ამას მხოლოდ საკანონმდებლო-ტექნიკური მოსაზრებით არ აკეთებს, ვინაიდან ყველასათვის გასაგებია, რომ თუ კანონი რაიმე მოქმედებას დასჯადად აცხადებს, იგი ამ მოქმედებას კრძალავს. სისხლის სამართლის კანონის ძირითადი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უკრძალავს მოქალაქეთ განსაზღვრული მოქმედების შესრულებას და მხოლოდ, ამის შემდეგ მიმართავს იგი მართლმსაჯულების ორგანოებს და აყალიბებს მათი მოქმედების წესს მოქალაქის მიერ ნორმის დარღვევის შემთხვევაში.

## §5. ბრალეულობა როგორც დანაშაულის ცნების ნიშანი

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური თვისებაა. იგი არსებობს რეალურ სინამდვილეში და „გამოჰხატავს ურთიერთობას პირის მოქმედების ან უმოქმედობის ობიექტურ გამოვლინებასა და ობიექტურად არსებულ საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წყობილებას შორის“<sup>1</sup>.

ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე არ შეიძლება ვილაპარა-

<sup>1</sup> კ. ლუტოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 217.

კოთ იმ შემთხვევაში, როდესაც თვით სუბიექტი ფიქრობს, რომ იგი საზოგადოებრივად მაგნე მოქმედებას ჩადის, სინამდვილეში კი ეს მისი სუბიექტური წარმოდგენა მოქმედების ობიექტურ თვისებებს არ შეესაბამება. მაგალითად, პირი უკიდურესი უვიცობისა და ცრურწმენის გამო დანაშაულის ჩასადენად შელოცვასა და სხვ. მისთ. მიმართავს. ასეთი სახის უვარგისი მცდელობა საბჭოთა სისხლის სამართლით არ დაისჯება ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო.

დანაშაულის ცნების ასეთსავე ობიექტურ თვისებას წარმოადგენს მისი მართლწინააღმდეგობა. ის გარემოება, რომ ესა თუ ის ქმედობა გამოცხადებულია კანონის მიერ დასჯადად, მამასადამე, კანონსაწინააღმდეგოა, ქმედობას ობიექტური მხრით ახასიათებს.

არ შეიძლება ვილაპარაკოთ ქმედობის მართლწინააღმდეგობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედობა მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაშია აკრძალული კანონით, სინამდვილეში კი დანაშაულს არ წარმოადგენს. მაგალითად, ვინმე სჩადის სისხლის აღრევას, ფიქრობს, რომ ეს ქმედობა კანონის მიერ დანაშაულად ითვლება. ასეთი ქმედობა წარმოადგენს მხოლოდ მოჩვენებით დანაშაულს (*delictum putativum*), რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს.

მეორე მხრით, პირმა შეიძლება ჩაიდინოს ქმედობა, რომელიც ობიექტურად ზიანს აყენებს სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მაგრამ არ არის მოცული მისი ბრალით. შეიძლება თუ არა ასეთი ქმედობა საზოგადოებრივად საშიშად და მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვალოს? თუ საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ქმედობა გულისხმობს თავის აუცილებელ ელემენტად ბრალეულობასაც? ეს საკითხი სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად წყდება.

პროფ. ნ. დურმანოვის აზრით, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა წარმოუდგენელია ბრალის გარეშე. სისხლის სამართლის კანონი კრძალავს და სჯის მხოლოდ განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედობას. „განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარეშე ჩადენილი ქმედობა, საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, არასდროს არ არის სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, Изд. АН СССР, М., 1948, стр. 202.

ამავე შეხედულებას იზიარებს პროფ. ვ. კუდრიავცევი. მისი აზრით, ბრალი შეიძლება არ ჩაითვალოს მართლწინააღმდეგობის ცნების აუცილებელ ელემენტად სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან სამოქალაქო სამართალი ცნობს პასუხისმგებლობას ბრალის გარეშეც. მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობაზეც, რომელიც ყოველთვის ბრალს გულისხმობს. ვ. კუდრიავცევის მიხედვით, „ობიექტური“ მართლწინააღმდეგობის, ე.ი. ბრალის გარეშე ჩადენილი მოქმედების მართლწინააღმდეგობის ცნებას, საბჭოთა სისხლის სამართლის თვალსაზრისით, არაერთი პრაქტიკული აზრი არა აქვს, ვინაიდან მას არ შეიძლება მოყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და, მაშასადამე, იგი მოკლებულია სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას<sup>1</sup>. უფრო მეტიც, ვ. კუდრიავცევი თვლის, რომ „ობიექტური“ მართლწინააღმდეგობის ცნებამ შეიძლება არასასურველი დასკვნები გამოიწვიოს. „ადამიანის „არაბრალეული“ მოქმედების აღიარებიდან სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით „მართლსაწინააღმდეგოდ“ ერთი ნაბიჯია მისი „ეჭვის ქვეშ დატოვებამდე“ ან იქამდე, რომ იგი ამა თუ იმ ხარისხით პასუხისმგებლად ცნვით დანაშაულისათვის, რომელიც მას სინამდვილეში არ ჩაუდენია“<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ზოგჯერ საზოგადოებრივად საშიშად და მართლსაწინააღმდეგოდ თვლის ისეთ ქმედობებსაც, რომელნიც სუბიექტის ბრალის გარეშე არიან ჩადენილი და, მაშასადამე, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევენ. საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ... ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეიძლება ჩადენილ იქნას განზრახვისა და

<sup>1</sup> В. Н. Кудрявцев, О противоправности преступления, „Правоведение“ 1959, N 1, стр. 69.

<sup>2</sup> იქვე გვ. 69



გაუფრთხილებლობის, ე.ი. ბრალის გარეშე და ასეთ შემთხვევაში იგი პასუხისმგებლობას არ იწვევს. ამავე საფუძვლების მე-11 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხადობის მდგომარეობაში...“ შეურაცხი პირი არ შეიძლება ბრალეულად მოქმედებდეს, მაგრამ მან შეიძლება ჩაიდინოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ობიექტურად საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ასეთი ქმედობის ჩადენა არ წარმოადგენს საფუძველს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასჯადობისათვის, მაგრამ იგი არის საფუძველი სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისა. ამაზე პირდაპირ მოუთითებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი: „იმ პირების მიმართ, რომლებმაც შეურაცხადობის მდგომარეობაში ჩაიდინეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა... სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს სამედიცინო ხასიათის... იძულებითი ღონისძიებანი...“.

ამავე შეხედულებას ადგია საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაც. საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1944 წლის 13 ივლისის დადგენილებაში დანილოვის საქმეზე მითითებულია, რომ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი მიზნად ისახავენ არა მარტო ავადმყოფობის მკურნალობას, არამედ აგრეთვე „საზოგადოების დაცვას ავადმყოფის საშიში ქმედობებისაგან, რომლებიც მან ჩაიდინა თავისი ავადმყოფური მდგომარეობის გამო“<sup>1</sup>. საკითხს იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ წყვეტს მხოლოდ სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე. „...როგორც თვით აღიარება სოციალური საშიშროების ფაქტისა, რაც იძულებითი ღონისძიების გამოყენებას მოითხოვს, ისე ამ ღონისძიების შერჩევა სოციალური საშიშროების ხარისხის შესაბამისად, მოითხოვს სასამართლოსაგან მთელ რიგ სასამართლო მოქმედებას, რომლებიც მოსამზადებელ სხდომაზე ვერ იქნება შესრულებული...“<sup>2</sup>.

ამ დადგენილების კომენტარებისას პროფ. მ. ისაევი აღნიშნავდა:

<sup>1</sup> М. М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М., 1948, стр. 43.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41.

„სწორედ ის გარემოება, რომ შეურაცხმა პირმა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩაიდინა, აიძულებს საბჭოთა კანონს დააკისროს რეაგირება ამ მოქმედებაზე სასამართლოს და არა რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოს. მხოლოდ სასამართლოს შეუძლია ავტორიტეტულად დაადგინოს, ჩაიდინა თუ არა შეურაცხმა პირმა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“<sup>1</sup>.

იგივე უნდა ითქვას აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

არის სხვა შემთხვევებიც, როცა სისხლის სამართალს ესაჭიროება საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ცნების ობიექტური გაგება. სახელდობრ, ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას არ გამოორიციხავს შეურაცხადი პირის შეცდომა თავისი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების თაობაზე. ისევე, როგორც პირის არასწორი წარმოდგენა საზოგადოებრივი საშიშროების არსებობაზე არ გადააქცევს ქმედობას, რომელიც მართლწინააღმდეგობას და საზოგადოებრივ საშიშროებას არ შეიცავს, საზოგადოებრივად საშიშად და მართლსაწინააღმდეგოდ, პირის არასწორი წარმოდგენაც, თითქოს მისი მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და საზოგადოებრივად საშიში, არ სკობს ამ მოქმედების ამგვარ ხასიათს. მაგალითისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ აუცილებელი მოგერიება სულით ავადმყოფთა წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, აუცილებელი მოგერიება კანონით ნებადართულია მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო მოქმედების წინააღმდეგ. საბჭოთა ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით ნებადართულია აუცილებელი მოგერიება სულით ავადმყოფთა წინააღმდეგ, აგრეთვე იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ბრალის გარეშე მოქმედებს, (ე. ი. მოჩვენებითი მოგერიების წინააღმდეგ). აქედან გამომდინარეობს, რომ მოქმედება შეიძლება არ იყოს ბრალეული და, მიუხედავად ამისა, იყოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> М. М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М., 1948, стр. 45.

<sup>2</sup> საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო ისეთი შეხედულება, თითქოს აუცილებელი მოგერიების უფლება სულით ავადმყოფის თავდასხმის წინააღმდეგ მხოლოდ იმ პირს აქვს, ვინც არ იცის, რომ თავდასხმელი შეურაცხავაუნარია. ხოლო თუ პირმა

მაშასადამე არ მართლდება ვ. კუდრიავეცევის სიტყვები, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ობიექტური გაგება პრაქტიკული თვალსაზრისით სისხლის სამართალს არაფერს აძლევდეს: არც ის არის სწორი, თითქოს ასეთი გაგებიდან ობიექტურ შერაცხვამდე ერთი ნაბიჯია. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ცალკული წანამძღვრების შინაარსის დადგენის დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ იზოლირებულად აღებული ერთი რომელიმე წანამძღვარი არასდროს არ მოგვცემს პასუხისმგებლობის საკითხის სწორ გადაწყვეტას. ცხადია, პასუხისმგებლობის საკითხი ვერ გადაწყდება ვერც მართოდენ საზოგადოებრივი საშიშროების და მართლწინააღმდეგობის საფუძველზე, ვინაიდან დანამულის ცნება ამ ორი ნიშნით არ ამოიწურება, არამედ, ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის გარდა, აუცილებელია კიდევ ბრალის არსებობაც. მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში, მართლწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და არა მართლწინააღმდეგო ქმედობა თავისთავად.

ის, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება არ შეიცავს ბრალის მომენტს, სხვაგვარადაც შეიძლება დამტკიცდეს. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, განზრახვა გულისხ-

---

იცის, რომ თავდასხმელი შერაცხვაუნაროა, მაშინ მას არ შეუძლია გამართლოს თავი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით. „მისი მოქმედება, მიმართული უშუალო საფრთხის წინააღმდეგ, კვალიფიცირებულ უნდა იქნას, როგორც ჩადენილი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში“ (И. И. Слущкий, *Обстоятельства, исключаяющие уголовную ответственность*, Изд. Л.-го универс., Л., 1956, стр. 49).

ამ შეხედულებამ შეიძლება პრაქტიკულად მოუღებელ დასკვნამდე მოგვიყვანოს. ცნობილია, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს არ შეიძლება გადაარჩინო ტოლფასოვანი სიკეთე, არამედ გადაარჩენილი სიკეთე უთუოდ მეტი ღირებულებისა უნდა იყოს, ვიდრე დაზიანებული. ასეთი მოთხოვნა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობისათვის არ არსებობს. და თუ სულთი ავადმყოფთა თავდასხმისაგან დაცვას განვიხილავთ როგორც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობას და არა აუცილებელ მოგერიებას, მაშინ თუ პირი, რომელსაც სულთი ავადმყოფი მოკვლით ეზუქრება, თავდაცვის მიზნით ჰკლავს მას, რათა თავი იხსნას აუცილებელი სიკვდილისაგან, ასეთი პირი, სლუცკის თეორიით, დაისჯება, ვინაიდან მან გადაარჩინა ტოლფასოვანი და არა უფრო მეტი სიკეთე.

გარდა ამისა, თავდასხმელის მოქმედების ხასიათი არ შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს იმისდა მიხედვით, ჯანმრთელად თვლის მას მოგერიებელი თუ ავადმყოფად. თავდამცველის შეცდომა თავდასხმელის ჯანმრთელობის მდგომარეობაში ვერ გადააქცევს არამართლზომიერ მოქმედებას მართლზომიერად.

მობს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის მიმართ. მამასადამე, პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქმედობა ზიანს აყენებს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან ეშუაქრება მათ. თუ ბრალი საზოგადოებრივი საშიშროების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია (მამასადამე, მთლიანობის ერთი ნაწილია), როგორღა შეიძლება იყოს იგი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივი საშიშროებისადმი (რომელიც ბრალსაც გულისხმობს), მამასადამე დამოკიდებულება თავის თავისადმი. ცხადია, ბრალი მხოლოდ იმიტომ გულისხმობს საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას, რომ ამ უკანასკნელ ცნებას მისგან დამოუკიდებელი შინაარსი აქვს.

ამგვარად, საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, რომლებიც გამოხატავენ ქმედობის ობიექტურ წინააღმდეგობას სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მართლწესრიგისადმი, ბრალის ცნებისაგან განსხვავებით, რომელიც გამოხატავს დამნაშავეის შინაგან, ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედობის ფაქტიური ნიშნებისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროებისადმი, ობიექტური შინაარსის შემცველი ცნებებია.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო, დანაშაულებრივი ქმედობის ცნების განსაზღვრებაში, ჩვენი აზრით, შეტანილ უნდა იქნეს მითითება მის ბრალეულ ხასიათზე. ბრალეულობის ნიშანი დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში შეაქვს მრავალ საბჭოთა კრიმინალისტს. მაგალითად, პროფ. ა. პიონტკოვსკის აზრით, „დანაშაულად შეიძლება ცნობილ იქნას მხოლოდ ბრალეული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ან უმოქმედობა, ე.ი. ჩადენილი პირის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით“<sup>1</sup>. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორების აზრით, „დანაშაული საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით – ეს არის ბრალეული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ჩადენილი განზრახ ან გაუფრთხილებლობით“<sup>2</sup>. ანალოგიურ შეხედულებას იზიარებს დოც. პ. გრიშაევი. მისი აზრით, „საზოგა-

<sup>1</sup> А. А. Понятковский, Учение о преступлении, Изд. АН СССР, М., 1961, стр. 29.

<sup>2</sup> Советское уголовное право. Часть общая, Госюриздат, 1962, стр. 68.

დოებრივად საშიში ქმედობა შეიძლება ცნობილ იქნას დანაშაულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩადენილია ბრალეულად, ე.ი. როდესაც მისი ჩამდენი პირი განსაზღვრულ ფსიქიკურ დამოკიდებულებაშია ქმედობასთან და მის შედეგებთან<sup>1</sup>. ამავე შეხედულებას იზიარებენ სხვა სოციალისტური ქვეყნების კრიმინალისტიებიც. მაგალითად, ბულგარელი კრიმინალისტი ს. ნენოვის აზრით, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და დასჯადობა დანაშაულს ობიექტური მხრით ახასიათებენ. ხოლო პირის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან, ე.ი. ბრალი დანაშაულის აუცილებელ სუბიექტურ თვისებას წარმოადგენს<sup>2</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა თუმცა დანაშაულის ცნების განსაზღვრების დროს პირდაპირ არ მიუთითებს ბრალზე როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელ ნიშანზე, მაგრამ ეს მომენტი გამოყოფილია საფუძვლების სპეციალურ, მე-3 მუხლში როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი საფუძველი. ამ მუხლში ნათქვამია: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიშ ქმედობა“.

მითითება ბრალზე როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელ ელემენტზე გვხვდება ზოგიერთი ქვეყნის კოდექსებში.

მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულად ითვლება მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, „რომელიც ჩადენილია ბრალეულად“ (მუხ. 9).

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1961 წლის კოდექსის თანახმად „დანაშაულად ითვლება საზოგადოებრივად საშიში ქმედობა რომლისთვისაც კანონით სასჯელია დადგენილი და რომელიც ჩადენილია განზრახ ან გაუფრთხილებლობით, თუ კანონი ამ უკანასკნელისთვისაც

<sup>1</sup> П. И. Гришаев, Понятие преступления. Причины преступности. „Советское уголовное право“ Часть общая, вып. в ВЮЗИ, М., 1960, стр. 23.

<sup>2</sup> И. Ненов, Наказательно право. Общая часть, София, 1963, стр. 215.

სასჯელს ითვალისწინებს“. ბრალის ნიშანი შეაქვთ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში ზოგიერთი სხვა სოციალისტური ქვეყნის კოდექსებსაც.

ბრალის მოთხოვნას სოციალისტური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის საფუძვლად უდევს სოციალისტური მართლმსაჯულების ჰუმანიურობისა და სამართლიანობის პრინციპები. სოციალისტური სამართლის ნორმები, მათ შორის სოციალისტური სისხლის სამართლის ნორმები, აკისრებენ საბჭოთა მოქალაქეებს განსაზღვრულ მოვალეობებს. ნორმით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა, ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც არღვევს სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქის მოვალეობას, განიხილება საბჭოთა მართლწესრიგის მიერ როგორც გასაკიცხი მოქმედება. ასეთი გაკიცხვა სოციალისტური საზოგადოების მხრით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედების მომენტში პირს შეეძლო შეეგნო ნორმის მნიშვნელობა, გაეთვალისწინებინა მოქმედების ფაქტიური მხარე და შეეგუებინა თავისი ქცევა სოციალისტური სამართლის ნორმის მოთხოვნისათვის. პირიქით, ასეთი გაკიცხვა შეუძლებელია, ისეთი პირის მიმართ, ვისაც ან საერთოდ არა აქვს ასეთი უნარი (შერაცხვის უნარს მოკლებული პირი), ან მოქმედების დროს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების მკვეთრი შედეგი, და მაშასადამე, გაეთვალისწინებინა ის, რომ იგი საბჭოთა მოქალაქის მოვალეობას არღვევს (შემთხვევა, casus).

მაგრამ გაკიცხვა სოციალისტური მართლწესრიგის თვალსაზრისით არის ამა დროს ზნეობრივი გაკიცხვაც: ხოლო სამართლებრივი მოვალეობის დარღვევა არის იმავე დროს ზნეობრივი მოვალეობის დარღვევაც. მაშასადამე, დამნაშავედ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, ვისი სულიერი განწყობილებაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს შეიძლება შეფასებულ იქნას როგორც გასაკიცხი სოციალისტური ზნეობის მხრივ. ამ პუნქტში, ე.ი. ბრალის მოთხოვნაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის სოციალისტური სისხლის სამართალი მჭიდროდ უკავშირდება სოციალისტურ ზნეობას.

ის გარემოება, რომ დანაშაულებრივი ქმედობა იმავე დროს ამორალური ქმედობაა, რომ იგი სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა ზნეობრივ შეხედულებებს ეწინააღმდეგება და ამიტომ ამ საზოგადოების მხრივ მორალურ-პოლიტიკურ გაკიცხვას იწვევს, ერთხმად აღიარებულია სოციალისტური სისხლის სამართლის მეცნიერების წარმომადგენელთა მხრივ. მაგრამ სადავოა საკითხი: საჭიროა თუ არა დანაშაულის ცნების მეცნიერულ განსაზღვრებაში შეტანილ იქნას მითითება, რომ დანაშაული ამორალური ქმედობაა. კრიმინალისტიკის ერთი ნაწილის აზრით, ქმედობის მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობის ნიშანი არ უნდა შევიდეს დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში. ასე მაგალითად, პროფ. ა. პიონტოვსკი მიუთითებს: „თუმცა ყოველი დანაშაული ჩვენს საზოგადოებაში არა მარტო მართლსაწინააღმდეგოა, არამედ იმედგარეულად ამორალურია, მაინც აუცილებელი არ არის, რომ ეს უკანასკნელი ნიშანი სპეციალურად შევიტანოთ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში, ვინაიდან ქმედობის მართლწინააღმდეგობა ამავე დროს გულისხმობს მის წინამძღვრებას კომუნისტური მორალისადმი“<sup>1</sup>. ამგვარადვე პროფ. ნ. ღურმანოვს, რომელიც თავის მონოგრაფიაში დანაშაულის ცნების შესახებ, დაწერილებით ჩერდება დანაშაულის ცნების ამორალურ ხასიათზე<sup>2</sup>, არ შეაქვს ეს ნიშანი დანაშაულის ცნებაში, რომელსაც იგი განსაზღვრავს, როგორც „საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო, კანონით დასასჯელ მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც ჩადენილია განზრახ ან გაუფრთხილებლად“<sup>3</sup>.

პირიქით, ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი თვლის, რომ ქმედობის მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობა დანაშაულის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს და შეტანილი უნდა იყოს მის განსაზღვრებაში. მაგალითად, პროფ. ა. გერცენზონის აზრით, დანაშაული არის „საბჭოთა წესწყობილების და საბჭოთა მართლწესრიგის, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით, რომელიც ამის გამო იწვევს

<sup>1</sup> А. А. Понтовский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 33-34.

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М. – Л., 1948, стр. 241-247.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 202.

უარყოფით მორალურ-პოლიტიკურ შეფასებას და რომელსაც თან სდევს სასჯელი“<sup>1</sup>.

ამგვარადვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ავტორები მიუთითებენ, რომ „დანაშაული არის არა მარტო საზოგადოებრივად საშიში, არამედ ამავე დროს და ყოველთვის მორალურ-პოლიტიკურად გასაკიცხი ქმედობა“<sup>2</sup>. ასეთსავე შეხედულებას იზიარებს იმავე რესპუბლიკის დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტებისათვის შედგენილი სახელმძღვანელოს ავტორები. „მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობა, მათი აზრით, აგრეთვე წარმოადგენს დასჯადი ქმედობის მატერიალურ ნიშანს, რომელიც დამოკიდებული არ არის ქმედობის დასჯადად გამოცხადებაზე. იგი ახასიათებს დასჯადი ქმედობის ანტიისოციალურ არსს მორალისადმი და მშრომელთა სოციალისტური შეხედულებებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით და გამოჰხატავს იმას, რომ დასჯადი ქმედობა იმავე დროს ყოველთვის მორალურ-პოლიტიკურად გასაკიცხი ქმედობაა, ე.ი. ქმედობა, რომელიც შეუთავსებელია მშრომელთა მორალურ პრინციპებთან, მოქმედების წესთან და სოციალისტურ შეხედულებებთან“<sup>3</sup>.

ჩვენის აზრით, დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში როგორც დამოუკიდებელი ნიშნის — ქმედობის მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობის შეტანა ზედმეტია, ვინაიდან ეს მომენტი უკვე მოცემულია ბრალის ნიშანთან ერთად. ბრალი ეს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედობასთან და შედეგთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას სოციალისტური საზოგადოების მხრივ. ამიტომ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობის ნიშნის შეტანა იქნებოდა იმის აღიარება, თითქოს დანაშაულის სხვა ნიშნებში ეს მომენტი მოცემული არ არის.

<sup>1</sup> A. A. Герцензон, Понятие преступления в советском уголовном праве, М., 1955, стр. 54.

<sup>2</sup> Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, allgemeiner Teil, Berlin, 1957, S. 272.

<sup>3</sup> Strafrecht der Deutschen Demokratischen Republik, Allgemeiner teil, H. 2. B.1, 1963, S. 55.



## §6. დასჯადობა როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანი

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას მიუთითებს, რომ დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა (საფუძვლები, მუხ. 8. აგრეთვე მუხ. 3) სისხლის სამართლის კანონი, როგორც ცნობილია, შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მოცემულია დანაშაულის შემადგენლობა. ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობას ასრულებს, ამით არღვევს სისხლის სამართლის ნორმას. სისხლის სამართლის კანონის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია განსაზღვრული სასჯელი ნორმის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. სისხლის სამართლის კანონი ემუქრება ყველას, ვინც დანაშაულის შემადგენლობას ასრულებს და, მაშასადამე, ნორმის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, სასჯელით. მაშასადამე, ყოველი დანაშაული ამავე დროს დასჯადი ქმედობაა.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ეს ნიშანი, ქმედობის დასჯადობა, ერთგვარ ეჭვს იწვევდა.

ასე, მაგალითად, პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი თავის ლექციებში<sup>1</sup> ასაბუთებდა შეხედულებას, რომ დასჯადობა არ უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულის აუცილებელ ელემენტად. თუ ჩვენ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში დასჯადობის ელემენტს შევიტანთ — აღნიშნავდა ლ. ანდრონიკაშვილი, — მაშინ უნდა დავამტკიცოთ, რომ ყოველ დანაშაულებრივ აქტთან აუცილებლობით არის დაკავშირებული სასჯელი. ეს დებულება კი ინდუქციურად უნდა დავასაბუთოთ. ინდუქციური ანალიზის შედეგად ლ. ანდრონიკაშვილი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულს თან არ ახლავს სასჯელი. მაგალითად, უცხოელი, რომელიც დანაშაულს საზღვარგარეთ ჩაიდენს, არ შეიძლება დაისაჯოს ჩვენი კანონების თანახმად. მეორე მაგალითი პირობითი მსჯავრია: კანონი უფლებას აძლევს მოსამართლეს განსაზღვრულ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენა დამტკიცებულია, არ გამოიყენოს სასჯელი. შესაძე

<sup>1</sup> იხ. ვ. მაყაშვილი. ლ. ანდრონიკაშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა. „საბჭოთა სამართალი“, 1963 წ., №3, გვ. 63-64.

მაგალითი — სასჯელისაგან გათავისუფლება ისეთი პირისა, ვინც დანაშაულის ჩადენის მომენტში საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. ასეთი და მრავალი სხვა ანალოგიური მაგალითის მოყვანით პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი იმ საბოლოო დასკვნამდე მიდიოდა, რომ დასჯადობა არ წარმოადგენს დანაშაულის აუცილებელ ელემენტს.

ჩვენი აზრით, პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი მართალია იმ მხრით, რომ საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად ყოველი დანაშაული აუცილებლობით როდი იწვევს სასჯელის გამოყენებას. ეს დებულება განსაკუთრებით მხედველობაში მისაღება თანამედროვე პირობებში, როდესაც დანაშაულთან ბრძოლაში სულ უფრო მეტად ებმება საბჭოთა საზოგადოებრიობა და როდესაც ზოგ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი თავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და გადაეცემა აღსაზრდელად კოლექტივს (საზოგადოებრივი თავდებობა) ან მისი საქმე გადაეცემა განსახილველად ამხანაგურ სასამართლოებს.

თანაც საქმის გადაცემა ამხანაგური სასამართლოს განსახილველად ან დამნაშავის გადაცემა საზოგადოებრივ თავდებობაში რაიმე განსაკუთრებულ გამოჩენისს კი არ წარმოადგენს, არამედ განსაზღვრული კატეგორიის საქმეებზე ფართო მასშტაბით ზორციელდება (საქ. სსრ სსკ 52-ე და 53-ე მუხლები). დაბოლოს, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მთელ რიგ მუხლებში, სასჯელთან ერთად, ალტერნატიულად გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება (იხ. მაგალითად, საქ. სსრ სს კოდექსის მუხლები 112-ე, ნაწ. მე-2, 116-ე, ნაწ. 1-ლი, 137-ე ნაწ. 1-ლი, 138, ნაწ 1-ლი და სხვ.). საბჭოთა კავშირში არსებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ინსტიტუტების განვითარება ხშირად სულ უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ხელი ავიღოთ სახელმწიფოებრივი იძულების ისეთ ღონისძიებებზე, როგორიცაა სასჯელი და წმინდა მორალურ ზემოქმედებას დავეყრდეთ. ამიტომ დღეისათვის სწორი არ იქნებოდა დაგვესაბუთებინა, რომ სასჯელი აუცილებლობით უნდა მოსდევდეს დანაშაულს. მაგრამ, მოუხდავად ამისა, დანაშაულის ცნების განსაზღვრება, ჩვენი აზრით, მაინც უნდა შეიცავდეს დასჯადობის მომენტსაც. ეს მომენტი ჩვენ ისე გვესმის, რომ სისხლის სამართლის კანონი, როდესაც რაიმე ქმედობას დანაშაულად აცხადებს, მის ჩამდენს სასჯელით ემუქრება. აი ეს სასჯელის მუქარა წარმოადგენს ჩვენი

აზრით, დანაშაულის აუცილებელ ელემენტს<sup>1</sup>. მაშასადამე ყოველი დანაშაული პრინციპულად დასჯადია, რაც არ გამოორიცხავს იმას, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დანაშაულის ჩამდენი შეიძლება გადაეცეს სათანადო ზემოქმედებისათვის საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

ამგვარად დანაშაული შეიძლება განესაზღვროთ, როგორც საზოგადოებრივად საშიში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, ბრალეული და დასჯადი ქმედობა.

**§7. საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. მოქმედებისა და მოქმედის საზოგადოებრივი საშიშროების მოსპობა დანაშაულის ჩადენის შემდეგ**

ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, როგორც დაინახეთ, წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს იმ საკითხის გადასაჭრელად, საჭიროა თუ არა ქმედობის გამოცხადება დანაშაულად და თუ საჭიროა, როგორი სასჯელი უნდა იქნეს გათვალისწინებული კანონით ამ დანაშაულისათვის.

ამავე დროს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს კრიტერიუმს მოსამართლისთვისაც. ჯერ ერთი, საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის კონკრეტული ზომის შეფარდების დროს როგორც პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი (საფუძვლების 32-ე მუხ., საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი). და მეორე, თუ მოსამართლე დარწმუნდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული ქმედობა კონკრეტულ პირობებში საზოგადოებრივ საშიშ-

---

<sup>1</sup> ანალოგიური აზრი გამოთქმულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმძღვანელოში დაუსწრებელი სტუდენტებისათვის. „დასჯადობის ნიშანი, – ნათქვამია ამ სახელმძღვანელოში, – მხოლოდ იმ აზრით უნდა გაევიგოთ რომ... უწყვეტი დანაშაულებრივი ქმედობა აბსტრაქტულად დაბუქრებულია სათანადო კონკრეტული სისხლის სამართლის კანონით და ამდენად დასჯადია“ (Strafrecht der Deutschen Demokratischen Republik, Allgemeiner Teil, H. 2, I, Teil, 1963, S. 69.

როებას არ შეიცავს, მას უფლება არა აქვს ასეთი ქმელობა დანაშაულად ჩათვალოს.

პირველი საკითხი სასჯელის დანიშვნის ზოგად საფუძვლებს შეეხება და ამიტომ განხილულ უნდა იქნას სასჯელის შეფარდების პრობლემასთან დაკავშირებით. მეორე საკითხზე კი აქ დაწერილებით უნდა შევჩერდეთ, ვინაიდან იგი პირდაპირ კავშირშია დანაშაულის საკითხთან.

საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის) თანახმად, „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმელობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“.

ამ ნორმის არსებისა და გამოყენების მოცულობის განსაზღვრისათვის საჭირო იქნება მისი ჩამოყალიბების ისტორიას შევეხოთ.

1925 წლის 9 თებერვალს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იყო მუხ. 4-ა შემდეგი შინაარსისა: „...პროკურორსა და სასამართლოს უფლება აქვთ უარი განაცხადონ სისხლისსამართლებრივი ღვენის აღძვრაზე და აგრეთვე სისხლის სამართლის საქმე წარმოებით მოსპონ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირის ქმელობა თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმელობის ნიშნებს, მაგრამ არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 6) თავისი შედეგების უმნიშვნელობის, მცირემნიშვნელობის ან არარსებობის გამო, აგრეთვე მაშინაც, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრა ან საქმის შემდგომი წარმოება აშკარად მიზანშეუწონელია“.

პირველ ხანებში საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკა ამ ნორმას მეტად ხშირად მიმართავდა. განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ იმ ნაწილს, რომელიც მიუთითებდა მიზანშეუწონლობის მოტივით საქმის არაღძვრის ან აღძრული საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. იყო შემთხვევები, როცა ამ მოტივით მეტად მნიშვნელოვანი დანაშაულის ჩამდენებიც კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე

რჩებოდნენ. ამის გამო რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში იძულებული შეიქმნა 1925 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით სპეციალური მითითება მიეცა სახალხო სასამართლოებისათვის აღნიშნული ნორმის უფრო შეზღუდულად გაგებისა და გამოყენების შესახებ. ამავე დროს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სასამართლოებს წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებანი კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის თაობაზე<sup>1</sup>.

სასამართლოთა მიერ წარდგენილი მოსაზრებების საფუძველზე რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1926 წლის 28 ივნისს საჭიროდ სცნო სისხლის სამართლის კოდექსში ახალი მუხლის შეტანა. ამ მუხლს „შესაძლებლობა უნდა მიეცა სასამართლოსა და პროკურატურისათვის პრაქტიკულად გამოეყენებინათ საბჭოთა სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი გაგება დანაშაულისა, როგორც სოციალურად საშიში ქმედობისა და არა როგორც სისხლის სამართლის კანონის ფორმალური დარღვევისა და, მაშასადამე, უნდა აღეკვეთა იმის შესაძლებლობა, რომ პასუხისგებაში მიეცათ და საბრალდებო დასკვნა გამოეტანათ ისეთი ქმედობისათვის, რომელიც მხოლოდ ფორმალურად შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს, მაგრამ თავისი შინაარსით არ შეიცავს სოციალური საშიშროების იმ მინიმუმს, რომელიც მე-9 მუხლის თანახმად დანაშაულის არსებით ნიშანს წარმოადგენს“<sup>2</sup>.

პლენუმმა შესაბამისი წინადადება შეიტანა რსფსრ-ის საკანონმდებლო ორგანოებში, სადაც იმ პერიოდში რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი იხილებოდა, და ამ წინადადების საფუძველზე რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იყო მე-9 მუხლის შენიშვნა შემდეგი შინაარსისა: „არ ჩაითვლება დანაშაულად მოქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად უდგება ამა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს, მაგრამ აშკარა მცირეზნიშვნელოვანებისა და მკვლელობის გამო მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“. ეს ნორმა

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948. стр. 261.

<sup>2</sup> იხ.: Сборник циркуляров и важнейших разъяснений Пленума Верховного Суда РСФСР, январь 1925 – май 1926 г., М., 1927, стр. 14-16.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის უმნიშვნელოვანეს ნორმად გადაიქცა და შემდგომ იგი შეტანილ იქნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში მართალია, იგი შეტანილი არ ყოფილა, მაგრამ ცოტა სხვაგვარი რედაქციით შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მე-4<sup>1</sup> მუხლის სახით.

რა სიახლე მოგვცა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4<sup>1</sup> მუხლთან შედარებით?

აღსანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, რომ ნორმა, რომლის თანახმად ქმედობის მცირემნიშვნელობა სპობს მის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, ამოღებული იქნა საპროცესო კოდექსიდან და გადატანილი მატერიალურ სისხლის სამართლის კოდექსში. ეს სწორიცაა, ვინაიდან ეს ნორმა არსებითად ავსებდა დანაშაულის ცნების მატერიალურ განმარტებას, რომელიც მოცემული იყო მე-6 მუხლში. თუ ამ მუხლის თანახმად დანაშაულად ითვლებოდა მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მუხლის შენიშვნა, ანეითარებდა-რა ამ დებულებას, მიუთითებდა, რომ საზოგადოებრივ საშიშროებას მოკლებული ქმედობა არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, თუნდაც იგი ფორმალურად სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლს შეესაბამებოდეს. ასეთი ნორმის მატერიალურსამართლებრივ ხასიათზე მითითებული იყო ჯერ კიდევ რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის მოხსენებაში 1925 წლის მუშაობის შესახებ. მოხსენებაში ნათქვამი იყო: „პირის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობის თუ არარსებობის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 4-ა მუხლის გამოყენების შესახებ, მუხლისა, რომელიც თავისი არსებით უფრო მატერიალური, ვიდრე პროცესუალური ხასიათის ნორმა“<sup>1</sup>.

მეორე: თუ საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი უფლებას ანიჭებდა პროკურორს და მოსამართლეს ან არ აღეძრათ საქმე ან მოესპოთ

<sup>1</sup> „Еженедельник советской юстиции“ 1927 г, N 2.

უკვე აღძრული სისხლის სამართლის საქმე, როდესაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნა ასეთ პირობებში უარყოფდა თვით დანაშაულის არსებობას: მამასადამე პროკურორს და მოსამართლეს უფლება არ ჰქონდათ ამ პირობებში საქმის აღძვრისა, ხოლო, თუ საქმე უკვე აღძრული იყო, ისინი ვალდებული იყვნენ საქმის წარმოება მოესპოთ დანაშაულის არარსებობის გამო.

მესამე: მე-6 მუხლის შენიშვნაში შეტანილი არ იყო მითითება მიზანშეუწონლობის მოტივით საქმის არ აღძვრის ან აღძრული საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამ პროცესუალურმა წესმა, როგორც დავინახეთ, არასასურველი შედეგები გამოიღო.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, მართალია, არ შეინარჩუნა სისხლის სამართლებრივი დევნის მიზანშეუწონლობით საქმის წარმოების შეწყვეტის ნორმა, მაგრამ სხვა მხრივ იგი უფრო ახლოს იყო რსფსრ საპროცესო კოდექსის მე-4ა მუხლთან. ვიდრე რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნასთან. სახელდობრ, მის მე-4<sup>1</sup> მუხლში აღნიშნული იყო: „სისხლის სამართლის დევნა შეიძლება მოისპოს პროცესის ყველა სტადიაში, უკეთეს ბრალდებულის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა თუმცა ფორმალურად შეიცავს საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ნიშნებს, მაგრამ თავისი უმნიშვნელობით და მანე შედეგის არარსების გამო ან კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვის გამო არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივად საშიში ხასიათი“.

როგორც ვხედავთ, აქაც სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეიძლება მოისპოს და არა უნდა მოისპოს. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4<sup>1</sup> მუხლის მითითებას, რომ სისხლის სამართლის საქმე შეიძლება მოისპოს იმ შემთხვევაშიც, როცა ქმედობას „კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვის გამო არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივად საშიში ხასიათი“. ანალოგიური ნორმა არსებობდა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსშიც. იგი მოთავსებული იყო ამ კოდექსის







ბით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისა და თანამონაწილეობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი მუხლის დისპოზიციაში სათანადო ცვლილებების შეტანით<sup>1</sup>. მცირე მნიშვნელოვანი პროფ. ნ. ღურმანოვის აზრით, „შეიძლება იყოს ზოგიერთი მოსამზადებელი მოქმედება, თანამონაწილეობის მესამეხარისხოვანი ფორმები და უვარგისი მცდელობის ზოგიერთი სახე“<sup>2</sup>.

ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი პ. გერაცი. ემყარებოდა რა ჩვენი სასამართლოების პრაქტიკას, საიდანაც ჩანს, რომ კონფლიქტი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ფორმალურად განხორციელებასა და ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობას შორის მეტად იშვიათია, პ. გერაცი წერდა: „იმ საკითხის გადაჭრა, საჭიროა თუ არა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს მე-ნ მუხლის შენიშვნის მსგავსი ნორმა, არსებითად დამოკიდებულია იმაზე, იქნება თუ არა მასში ზოგადი ფორმით დასჯადად გამოცხადებული მოსამზადებელი მოქმედება, იმაზე, თუ როგორ არის მოწესრიგებული მასში პასუხისმგებლობა მცდელობისა და თანამონაწილეობისათვის და რამდენად იქნება დაკონკრეტებული განსაკუთრებული ნაწილის ის დებულებები, სადაც შესაძლებელია ასეთი კოლიზიები, (განსაკუთრებით წვრილმანი გატაცება, სხეულის დაზიანება, სამეურნეო დანაშაულობანი და დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ)“<sup>3</sup>.

ამგვარად, ნ. ღურმანოვსა და პ. გერაცს, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰქონდათ, რომ თუ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხელს აიღებდა მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობაზე, აგრეთვე გაითვალისწინებდა მცირე დანაშაულში თანამონაწილეობის დაუსჯელობას, თუ ამავე დროს იგი ამოიღებდა სისხლის სამართლის კოდექსიდან წვრილმან დარღვევებს და დააწესებდა მათთვის ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ზემოხსენებული ნორმა საჭირო აღარ იქნებოდა. პროფ. ღურმანოვის და პროფ. გერაციის ასეთი შეხედულება ნაწილობრივ განპირობებული იყო იმით,

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, стр. 272.

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, стр. 268.

<sup>3</sup> პ. გერაცი, დასახ. ნაშრ. გვ. 218.

რომ მათი აზრით, „ქმედობა ან უმოქმედობა, რომლითაც უკვე განხორციელებულია რაიმე დანაშაულის შემადგენლობა, ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მცირემნიშვნელოვნად“<sup>1</sup>. აქედან თითქოს ისეთი დასკვნა გამოძინარეობდა, რომ დამთავრებული დანაშაულის მიმართ მე-6 მუხლის შენიშვნა არ შეიძლებოდა გამოეყენებინათ, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხებოდა მესამეხარისხოვან თანამონაწილეობას მცირემნიშვნელოვან დანაშაულში.

6. ღურმანოვი და პ. გერაცი სწორი არიან იმ მხრივ, რომ უფრო ხშირად ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების უმნიშვნელობა ახასიათებს დანაშაულის მოსამზადებელ მოქმედებას, უკარგის მცდელობას და მცირე ხასიათის თანამონაწილეობას. მაგრამ ვერ დავეთანხმებით მათ იმაში, თითქოს დანაშაულის დამთავრებული შემადგენლობა ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მცირემნიშვნელოვნად. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ამ ნორმის გამოყენება სწორედ დამთავრებული დანაშაულის ჩამდენი პირებისადმი. მაგალითად, მოსკინი მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შესამე მუხლით იმისათვის, რომ 1951 წლის 10 მარტს გაიტაცა კოლმეურნეობის ყანიდან 20 კილოგრამი მარცვლეულის ნარჩენი. სსრკ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1952 წლის 14 მაისის განჩინებაში რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნის საფუძველზე, მოსკინის საქმის წარმოება მოსპო, თანაც მოუთითა: „მოქმედება, რომელიც ბრალად ედება მოსკინს, თუმცა ფორმალურად უდგება „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის“ შესახებ გამოცემული ბრძანებულების 3 მუხლს, მაგრამ აშკარა მცირემნიშვნელოვანებისა და მავნე შედეგის არარსებობის გამო მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“<sup>2</sup>. ამგვარადვე უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1945 წლის 26 აპრილის განჩინებაში შესაძლებლად სცნო შეეფარდებინა რსფსრ 1926 წლის სსკ-ის 6 მუხლის შენიშვნა კოპინცევისათვის, რომელმაც ბაზარზე 7 პარკი მოიპარა. ამ განჩინების

<sup>1</sup> 6. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 268.

<sup>2</sup> იხ.: „Судебная практика Верховного суда СССР“, 1953, №3, стр. 5-6.





საც მოქმედებას არ შეუქმნია ამ ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე, მაშასადამე, როდესაც მოქმედებას არ მიუღწევია მცდელობის სტადიისათვის. მაგალითად, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის, ყალბი ფულის დამზადების, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან სოციალისტური ქონების გატაცების მძიმე შემთხვევების დროს მავნე შედეგის განხორციელების შორეულმა შესაძლებლობამაც კი შეიძლება დაასაბუთოს ქმედობის დასჯადობა და საზოგადოებრივი საშიშროება. მაშასადამე, სასამართლოს შეუძლია საზოგადოებრივად საშიშად და დასჯადად სცნოს ასეთი დანაშაულის მომზადებაც. პირიქით, როდესაც ქმედობა მიმართულია ისეთი ობიექტის წინააღმდეგ, რომელსაც სოციალისტური მართლწესრიგის თვალსაზრისით შედარებით ნაკლები ღირებულება აქვს, ასეთ შემთხვევაში დანაშაულის განხორციელების უშუალო საფრთხეც ყოველთვის როდია საკმარისი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და დასჯადობის დასაბუთებისათვის, და მოსამართლეს შეუძლია, მიუხედავად მცდელობის სტადიის არსებობისა, მიუყენოს ქმედობას „საფუძვლების“ მე-7 მუხლის მეორე ნაწილი. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა თუმცა არ ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის რაიმე ფორმალურ შეზღუდვებს, მაგრამ საბჭოთა მოსამართლეს ზოგჯერ შეუძლია არ ჩათვალოს თვით მცდელობაც კი საზოგადოებრივად საშიშად და დანაშაულებრივად.

აღნიშნული მომენტები მხედველობაში მიიღება აგრეთვე თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროსაც. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აქაც რაიმე ფორმალურ შეზღუდვას, ე.ი. არ ითვალისწინებს, რომ თანამონაწილეობა მცირე დანაშაულში არ ისჯება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყოველგვარ დანაშაულში თანამონაწილეობა აღწევს საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ ხარისხს, რომ მისი დასჯადობა აუცილებელი იყოს, ამის თაობაზე პროფ. ა. ტრანინი მართებულად მიუთითებდა: „...თუ თვით დანაშაულის ავტორი — ამსრულებელი — მე-6 მუხლის შენიშვნის ძალით მცირემნიშვნელოვან შემთხვევებში თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მით

უმეტეს მიზანშეუწონელია მცირემნიშვნელოვან დანაშაულთა დამხმარეებისა და დამფარავების მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში<sup>1</sup>.

3. მესამე მომენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გადაჭრისათვის, ეს არის იმ ზიანის სიდიდე, რომელიც შეიძლება განიცადოს ობიექტმა ხელყოფის განხორციელების შედეგად. თუ, მაგალითად, ხელყოფამ მცდელობის სტადიას მიაღწია, თანაც იგი მიმართულია დიდი საზოგადოებრივი ღირებულების ობიექტის – სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს სუბიექტს განზრახული აქვს სულ უმნიშვნელო ზიანის მიყენება ამ საკუთრებისათვის (მაგალითად, რამდენიმე მანეთის ღირებულების საქონლის მოპარვა), სასამართლოს შეუძლია ასეთი მოქმედება მცირემნიშვნელოვნად ცნოს და საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილი შეუფარდოს. ცხადია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ სახელმწიფო რეალურად ნაკლებად დაზარალდა, არამედ იმას, რომ თავიდანვე არსებობდა მცირე ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ამ მომენტზე მართებულად მიუთითებს პროფ. ნ. დურმანოვი, რომელიც აღნიშნავს: „თუ მოქმედება მიმართული იყო მნიშვნელოვანი ზიანის ან განუსაზღვრელი სიდიდის ზიანის მისაყენებლად, ხოლო სინამდვილეში მიყენებულია უმნიშვნელო ზიანი, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მცირემნიშვნელოვან ქმედობაზე“<sup>2</sup>.

ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

ვ.-ს ბრალად ედებოდა, რომ კ.-სთან ერთად ვაგონის დათვალიერების დროს მოგლიჯა ლუქი და გააღო ვაგონის კარი. ამის შემდეგ ვ. ვაგონთან დარაჯად დადგა, ხოლო კ. შევიდა ვაგონში სახელმწიფო ქონების გატაცების მიზნით. კ-მ მხოლოდ 5 კოლოფი პაპიროსის მოპარვა მოახერხა, ვინაიდან ვ.-მ გააფრთხილა, რომ მატარებელს მატარებლის შემდგენი უახლოვდება. ვ. დააკავეს, ხოლო კ-მ გაქცევა მოასწრო. ვ. პასუხისგებაში იყო მიცემული „სახელმწიფო და საზოგადო საკუთრების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Учение о соучастии, Юриздат, М., 1941, стр. 146.

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М.-Л., 1948, стр. 266.

1947 წლის 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით, მაგრამ რკინიგზის სახაზო სასამართლომ ვ.-ს მიმართ საქმის წარმოება მოსპო. თავის განჩინებას სახაზო სასამართლომ საფუძვლად დაუდო ის, რომ გატაცებულია უმნიშვნელო რაოდენობის ქონება. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს რკინიგზის კოლეგიამ 1949 წლის 12 მაისის განჩინებით გააუქმა რკინიგზის სახაზო სასამართლოს ეს განჩინება, თანაც მიუთითა, რომ ქონების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით გატაცების მიზეზი იყო ვაგონის შემდგენის მოქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა დამნაშავეებს სრული მოცულობით განეხორციელებინათ თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა<sup>1</sup>.

ამ მომენტის მნიშვნელობაზე სპეციალურად მიუთითა სსრკ უმაღლეს სასამართლოს პლენუმზე 1957 წლის ივნისში უმაღლეს სასამართლოს თავჯდომარის მოადგილემ ნ. მოროზოვმა. მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ სასამართლოები არასწორად უფარდებენ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულებას, „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“, ვინაიდან მხედველობაში იღებენ მხოლოდ ფაქტიურად გატაცებული ქონების ოდენობასა და ღირებულებას და ამავე დროს ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო გაცილებით უფრო მეტი ღირებულების ქონების გატაცებაზე, მაგრამ ეს განზრახვა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი დამნაშავეს ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ნ. მოროზოვს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ვინმე სოროკინი შეიპარა ბუფეტში და მოასწრო 3 კგ კონსერვის, ერთი კოლოფი პაპიროსისა და 1 კოლოფი ყელეს გატაცება. მოროზოვმა აღნიშნა: „სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ სოროკინს მიუსწრეს და დააკავეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე იმ მომენტში, როდესაც მან მხოლოდ დაიწყო სოციალისტური ქონების მოპარვა. საქონლის ის მცირე რაოდენობა, რისი აღებაც სოროკინმა მოასწრო, არ აძლევდა სასამართლოს უფლებას მსჯავრი დაედო მისთვის სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცებისათვის, რამდენედაც საქმის ყველა გარემოებიდან ჩანს, რომ სოროკინის განზრახვა მიმართული იყო მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონლის გატაცებაზე. ასეთ

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1949 г, N 9, стр. 20-21.



პირობებში სოროკინის მოქმედება განხილული უნდა ყოფილიყო როგორც იმ გატაცების მცდელობა, რაც გათვალისწინებულია 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით<sup>1</sup>.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებს საკითხის გადაჭრისას სამივე ზემოთ მოხსენებული მომენტი ერთობლივად უნდა იქნას გათვალისწინებული და არა იზოლირებულად. თანაც მხედველობაშია მისაღები, რომ მკვნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობის საკითხი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ორ უკანასკნელ მომენტთან. მამსადამე, რაც უფრო მეტია ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება და რაც უფრო დიდია შესაძლებელი ზიანის მოცულობა, დანაშაულებრივი შედეგის მით უფრო მცირე შესაძლებლობაა საკმარისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის. და პირიქით, რაც უფრო მცირეა ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და შესაძლებელი ზიანის მოცულობა, მით უფრო დიდი უნდა იყოს შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, რომ დაასაბუთოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება.

აღნიშნული სამი ძირითადი მომენტის გარდა, თავისთავად ცხადია, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აგრეთვე მთელი რიგი სხვა გარემოებანი: დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი, სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვა, რომელშიც ჩადენილია ქმედობა, ქმედობის მიზანი და ა.შ. კანონის აზრიდან გამომდინარეობს, რომ მე-7 მუხლის შენიშვნის შეფარდებისას მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს ძირითადად ისეთი გარემოებანი, რომლებიც დანაშაულის ობიექტს და დანაშაულებრივ ქმედობას შეეხებიან. ხოლო გარემოებანი, რომლებიც სუბიექტის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს განსაზღვრავენ, მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ საფუძვლების 43-ე მუხლის გამოყენებისას, ე.ი. როდესაც წყდება საკითხი, შეიძლება თუ არა გათვალისწინდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან ის პირი, რომელიც გამოძიების ან საქმის განხილვის მომენტისათვის საზოგადოებრივად საშიში აღარ არის (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი).

საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილში მოცემული ნორმის

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного суда СССР“ 1957 г, N 4, стр. 16.

ანალოგიური ნორმა შეტანილია აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „არ ჩაითვლება დანაშაულად ქმედობა, რომელიც თუმცა შეიცავს კანონით გათვალისწინებული რაიმე დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ თავისი უმნიშვნელობის გამო საზოგადოებრივად საშიში არ არის ან მეტად მცირე საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს“.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „ქმედობა, რომლის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი უმნიშვნელოა, არ წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნებს შეიცავს“ (§3, პ. 2).

ანალოგიური დადგენილება არსებობს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ (1968 წ.) სისხლის სამართლის კოდექსში. სახელდობრ, ამ კოდექსის მე-3 პარაგრაფის პირველ ნაწილში ნათქვამია: „დასჯადი ქმედობა არ არსებობს, თუ მოქმედება, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებს სიტყვიერად შეესაბამება, ვნებას არ აყენებს მოქალაქის უფლებებსა და ინტერესებს ან საზოგადოებას და ამასთანავე მოქმედის ბრალიც უმნიშვნელოა“.

## §8. დანაშაულთა კლასიფიკაცია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

1. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1924 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები და მათ საფუძველზე გამოცემული მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები (საქ. სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლი) დანაშაულებრივ ქმედობებს ორ ძირითად კატეგორიად ჰყოფდნენ: 1) დანაშაულებრივი ქმედობანი, რომლებიც მიმართულია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ სსრ კავშირში დამყარებული საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ და რომელნიც ამის გამო უაღრესად დიდ საშიშროებას წარმოადგენენ, და 2) ყველა სხვა დანაშაულებრივი ქმედობანი. პირველი კატეგორიის დანაშაულისათვის

კოდექსით დაწესებული იყო ის უმდაბლესი საზღვარი, რომლის ქვევით სასჯელის გადაწყვეტა სასამართლოს არ შეეძლო, ხოლო მეორე კატეგორიისათვის – მხოლოდ უმაღლესი ზღვარი.

აღსანიშნავია, რომ ამ დაყოფას იმთავითვე მინცლამინც დიდი პრინციპული მნიშვნელობა არა ჰქონდა, ვინაიდან კოდექსი ზოგჯერ აწესებდა მხოლოდ უმაღლეს ზღვარს მეტად მძიმე დანაშაულისათვის და, პირიქით, მხოლოდ უდაბლეს ზღვარს შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. რაც მთავარია, ასეთ დაყოფასთან რაიმე არსებითი სამართლებრივი შედეგები დაკავშირებული არ იყო. დროის განმავლობაში ასეთმა დაყოფამ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა, ვინაიდან შემდგომ გამოცემული სისხლის სამართლის კანონები ჩვეულებრივად უთითებდნენ სასჯელის როგორც უმაღლეს, ისე უდაბლეს ზღვარს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში ასეთი დაყოფა აღარ არსებობს. მაგრამ ახალი კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულებრივ ქმედობებს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი სხვადასხვა მუხლებში ითვალისწინებს მძიმე (განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლისა და მცირემნიშვნელოვან დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი. დანაშაულის მიკუთვნებას ამა თუ იმ კატეგორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამასთან სხვადასხვა იურიდიული შედეგებია დაკავშირებული. მაგალითად, ამით განისაზღვრება საპრობილეში ან შრომაგასწორების ამა თუ იმ სახის კოლონიაში მოთავსება, სამხედრო თუ სხვა სპეციალური წოდების, აგრეთვე ორდენის, მედლისა და საპატიო წოდების ჩამორთმევის შესაძლებლობა, ვადამდე პირობით გათავისუფლების სხვადასხვა წესის გამოყენება, ამხანაგური სასამართლოსათვის განსახილველად საქმის გადაცემა ან პირის გადაცემა საზოგადოებრივ თავდებობაში და ა. შ. ამიტომ ამ ცნებათა დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მძიმე (განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულზე ვხვდებით მითითებას სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდ-

ბლობის საფუძვლების სხვადასხვა მუხლში (მუხ. მუხ. 22, 23, 35, 54 და ა.შ.). მაგრამ მძიმე დანაშაულის ცნების განსაზღვრება საფუძვლებში მოცემული არ არის. ასეთ განსაზღვრებას მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები იძლევიან. მძიმე დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები სხვადასხვა გზით წავიდნენ.

რუსურ სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მეორე შენიშვნაში მოცემულია მძიმე დანაშაულთა ამომწურავი ჩამოთვლა, თანაც აქ დასახელებული ყველა დანაშაული ითვლება მძიმე დანაშაულად, იმისდა მიუხედავად, თუ კონკრეტულად რა სასჯელი დაენიშნა დამნაშავეს.

სხვა პოზიცია უჭირავს ამ საკითხში უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსს. ამ კოდექსის 25-ე მუხლის შენიშვნაში მითითებულია: „იმ პირების მიმართ, ვისაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი, საპრობილეში მოთავსების საკითხის გადაჭრის ან შრომაგასწორების კოლონიის სახის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მძიმე დანაშაულად, გარდა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისა, ითვლება აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაული, თუ ამასთან პირს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ხუთი წლისა...“ როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, მძიმე დანაშაულად უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ითვლება: 1) განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიესაჯა ამ დანაშაულისათვის დამნაშავეს, და 2) 25-ე მუხლის შენიშვნაში დასახელებული ერთ-ერთი სხვა დანაშაული, თუ პირს ამასთანავე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ხუთი წლისა. ზოლო თუ ამავე დანაშაულისათვის პირს ნაკლები მიესაჯა, ის მძიმე დანაშაულის ჩამდენად არ ითვლება. ამგვარად, უკრაინის კოდექსი, მძიმე დანაშაულის განსაზღვრებისას, მხედველობაში იღებს როგორც ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, ისე (იმ დანაშაულთა მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე სახელმწიფო დანაშაულს არ წარმოადგენენ) – პიროვნების საზოგადოებრივ საშიშროებას.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი მძიმე დანაშაულის განსაზღვრებას იძლევა 25-ე მუხლში, საპრობილეში მოთავსების საკითხთან დაკავშირებით. ამ მუხლის მეოთხე ნაწილში ნათქვამია:

„თავისუფლების აღკვეთა საპრობილეში მოთავსებით სასჯელის მთელი ვადით ან ნაწილობრივ სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს... იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით სამიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74 მუხლები), აგრეთვე მსჯავრდებულებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ხუთი წლისა შემდეგი მძიმე დანაშაულისათვის...“ და ა.შ.

დაახლოებით ანალოგიურად არის მოცემული მძიმე დანაშაულის ცნების განსაზღვრება დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში.

ერთის შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია აღნიშნულ საკითხში ემთხვევა უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პოზიციას<sup>1</sup>. მაგრამ თუ 25-ე მუხლის ზემოთმოტანილ ტექსტს დავუკვირდებით, სხვა დასკვნამდე მივალთ. აქ ის კი არ არის ნათქვამი, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მძიმედ, როცა პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ხუთი წლისა, არამედ ის, რომ ჩამოთვლაში მოხსენიებული მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება მოთავსებულ იქნეს საპრობილეში მხოლოდ მაშინ, თუ მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ხუთი წლისა. მამასადამე, სხვა სამართლებრივი შედეგები, რაც დაკავშირებულია კანონმდებლობით მძიმე დანაშაულის ჩადენასთან, არ მოითხოვს აუცილებლად ამ პირობას, თუ ასეთი შეზღუდვა კანონით პირდაპირ მითითებული არ არის<sup>2</sup>. მაგალითად, სასამართლომ შეიძლება დააყენოს საკითხი ორდენების, მედლებისა თუ წოდების ჩამორთმევის შესახებ იმ შემთხვევაშიც, როცა მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს ხუთ წელზე ნაკლები სასჯელი

---

<sup>1</sup> ასეც ფიქრობს ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი, მაგალითად, ნ.ბ. შერინის აზრით, ამ საკითხში კანონის სიტყვა-სიტყვით განმარტებას კი არ უნდა მივმართოთ, არამედ იმ დებულებიდან უნდა გამოვიდეთ, რომ მძიმე დანაშაულის ცნება, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსში, გარდა რსფსრ-ის კოდექსისა, გულისხმობს მსჯავრდებას არანაკლებ ხუთი წლისა (იხ. მისი წერილი, Признаки понятия тяжкого преступления. „Советское государство и право“, 1966 г., N 12, стр. 78-79).

<sup>2</sup> იხ. მაგალითად: А. Пушечников. Понятие тяжкого и особо тяжкого преступления, „Социалистическая законность“, 1964 г., N 9., стр. 51-53; С.Г. Закутский, О понятии тяжкого (особо тяжкого) преступления, „Правоведение“, 1967 г., №6, стр. 67-69.

მიესაჯა. იგივე უნდა ითქვას ადმინისტრაციული ზედამხედველობის დანიშვნის შესახებ<sup>1</sup>. პირიქით 25-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა (მსჯავრდება არანაკლებ, ვიდრე 5 წლით) შეტანილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებისა და დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისათვის.

ამრიგად, 25-ე მუხლის მე-4 ნაწილში მოხსენებული დანაშაული ყველა მძიმე დანაშაულად ითვლება, მოუხდავად დანიშნული სასჯელისა. რომელია ეს დანაშაულებრივი ქმედობანი? — კანონში ჩამოთვლილია მძიმე დანაშაულის შემდეგი სახეები: განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული (65-74-ე მუხლ.), ბანდიტიზმი (მუხ. 78-ე), მოქმედება, რასაც ღებორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (მუხ. 78-ე), მასობრივი არეულობა (მუხ. 80-ე), მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება (მუხ. 87-ე), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის მომზადება და გასაღება (მუხ. 88-ე), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა (მუხ. 89-ე), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება (91-ე მუხლის მესამე ნაწილი, 92-ე მუხლის მესამე ნაწილი, 93-ე მუხლის მესამე ნაწილი, 94-ე მუხლის მესამე ნაწილი, მუხლი 96<sup>1</sup>-ე); გაძარცვა დამამძიმებელ გარემოებებში (92-ე მუხლის მეორე ნაწილი, 151-ე მუხლის მეორე ნაწილი), ყაჩაღობა (96-ე, 152-ე მუხლები), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება დამამძიმებელ გარემოებებში (მე-100 მუხლის მეორე ნაწილი, 157-ე მუხლის მეორე ნაწილი), განზრახ მკვლელობა (104, 105-ე მუხლები), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 110-ე), გაუპატიურება (მუხლი 117-ე), სპეკულაცია დამამძიმებელ გარემოებებში (165-ე მუხლის მეორე ნაწილი), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დამამძიმებელ გარემოებებში (187-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი), ქრთამის აღება, მექრთამობაში შუამავლობა და ქრთამის მიცემა (189-ე, 189<sup>1</sup>-ე, 190-ე მუხლები), უდანაშაული პირის შეგნებულად

<sup>1</sup> იხ. ადმინისტრაციული ზედამხედველობის დებულება, დამტკიცებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დამამძიმებელ გარემოებებში (192-ე მუხლის მეორე ნაწილი), წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (193-ე მუხლის მეორე ნაწილი), ჩვენების მიცემის იძულება დამამძიმებელ გარემოებებში (195-ე მუხლის მეორე ნაწილი), პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევა დამამძიმებელ გარემოებებში (203-ე მუხლის მეორე ნაწილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1966 წლის 18 თებერვლის კანონის რედაქციით – „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1966 წ. N 2 (301), მუხ. მე-15), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (მუხლი 209<sup>1</sup>-ე), ბოროტი ხულიგნობა (228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1966 წ. 29 აგვისტოს კანონის რედაქციით – „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1966 წ., N 8 (307), მუხ. 130-ე), ურჩობა დამამძიმებელ გარემოებებში (256-ე მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტები), უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევა ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (მუხლი 258-ე), უფროსის მიმართ ძალმომრეობითი მოქმედება (მუხლი 260-ე), ღებურტარობა (მუხლი 265-ე), სამხედრო ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება დამამძიმებელ გარემოებებში (269-ე მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტები), რადიოტექნიკურ საგუშაგოებზე და მორიგე ქვეანაყოფებში სამსახურის შესრულების წესების დარღვევა (მუხლი 275-ე).

მძიმე დანაშაულთა ასეთივე ჩამოთვლა მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლში. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ამ მუხლში მძიმე დანაშაულთა რიცხვიდან სპეციალურად გამოყოფილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობანი, რომელთა ჩამდენის მიმართ ვადაძლე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი ნაწილით არ გამოიყენება, იმისდა მიუხედავად, თუ კონკრეტულად რა სასჯელი დაუნიშნა მათ სასამართლომ (მუხ. 45-ე, ნაწ. IV).

მძიმე დანაშაულთა კაზუისტური ჩამოთვლა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსებშია მოცემული, ჩვენი აზრით, დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი კაზუისტური ჩამოთვლა ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად ნებისმიერია. კანონმდებელს ადვილად

შეიძლება გამორჩეს იმავე სიმბიზის ან თუნდაც უფრო მძიმე დანაშაუ-  
ლი და, პირიქით, მან შეიძლება მძიმე დანაშაულთა სიაში შეიტანოს  
ისეთი, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოად-  
გენს. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, კა-  
ზუისტური ჩამოთვლის მაგივრად, კოდექსში მოცემული ყოფილიყო  
მძიმე დანაშაულის ზოგადი ფორმულა. სისხლის სამართლის ლიტ-  
ერატურაში წამოყენებულა წინადადება, რომ მძიმე დანაშაულის ცნება  
განისაზღვროს ასე: „მძიმე დანაშაულად ითვლება დანაშაული, რომ-  
ლისთვისაც კანონის თანახმად სასამართლომ განსაზღვრა თავისუფლების  
აღკვეთა ვადით არა ნაკლებ ხუთი წლისა“<sup>1</sup>. ასეთი განსაზღვრება ჩვენ  
უფრო სწორად მიგვაჩნია.

გარდა მძიმე (განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულის ცნებებისა, მოკავ-  
შირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები იცნობენ  
აგრეთვე ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულის ცნებებს. ამ ცნებათა  
განსაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებშია მოცემუ-  
ლი, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგე-  
ბლობისაგან გათავისუფლებას და საქმის გადაცემას ამხანაგურ სასა-  
მართლოში ან პირის გადაცემას საზოგადოებრივ თავდებობაში. პირე-  
ულ შემთხვევაში ისინი ლაპარაკობენ მცირემნიშვნელოვან დანაშაულზე,  
ხოლო მეორე შემთხვევაში – დანაშაულზე, რომელიც დიდ საზოგა-  
დოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს. ის საკითხი, თუ რა უნდა  
ჩაითვალოს მცირემნიშვნელოვან დანაშაულად, რომელიც დიდ საზოგა-  
დოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, საქართველოს სსრ სისხ-  
ლის სამართლის კოდექსში სხვაგვარად წყდება, ვიდრე სხვა მოკავ-  
შირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. რსფსრ სს  
კოდექსის 51-ე მუხლით ამხანაგურ სასამართლოს შეიძლება გადაეც-  
ეს საქმეები შემდეგ დანაშაულთა შესახებ:

1. სხეულის განზრახ დაშავება ან ცემა, რასაც ჯანმრთელობის  
მოშლა არ მოჰყოლია; კოლექტივში კოლექტივის წევრის შესახებ  
ცრუ, სახელგამტეხი ხმების გაერცელება; შეურაცხყოფა.

2. სხვა ქმედობა, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის  
განსაკუთრებული ნაწილის მუხლის თანახმად ნებადართულია საზოგა-

<sup>1</sup> იხ. ზაკუტსკი, დასახ. წერილი, „Правосудение“, 1967 г., ч. №6, стр. 73.



დოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება (მაგალითად, სახელმწიფოსათვის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების გზით ზარალის მიყენება, თუ ეს ქმედობა არ შეიცავს გატაცების ნიშნებს; ნაპოვნი ნივთის მითვისება, თუ პირმა იცის, რომ ეს ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას; სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში დატოვება და სხვ.).

3. სხვა მცირემნიშვნელოვანი ქმედობა, თუ ჩადენილი ქმედობის ხასიათისა და დაზნაშავის პიროვნების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი გამოსწორება შესაძლებელია სასჯელის გამოყენების გარეშე საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა მეშვეობით.

ამგვარად, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 51-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მოცემულ ჩამოთვლას მხოლოდ სანიმუშო ხასიათი აქვს, ხოლო პრინციპულად, მე-3 პუნქტის თანახმად, ამხანაგურ სასამართლოს შეიძლება გადაეცეს განსახილველად ყოველი ქმედობა, რომელსაც მოსამართლე მცირემნიშვნელოვნად ჩათვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ საკითხის გადაჭრა, მცირემნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი ქმედობა თუ არა, მთლიანად მოსამართლის თავისუფალ მიხედულებას ეკუთვნის.

ჩვენის აზრით, ეს წესი მეტად აფართოებს მოსამართლის თავისუფალი მიხედულების სფეროს და ხელს ვერ შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას. ის, რაც ერთ მოსამართლეს, თავისი საკუთარი გამოცდილების, გემოვნების, შეხედულების მიხედვით, შეიძლება მცირემნიშვნელოვნად მოეჩვენოს, მეორემ შეიძლება მძიმე დანაშაულად ჩათვალოს. რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ გარკვეულ ფარგლებში მოსამართლისათვის თავისუფალი მიხედულების მინიჭებისა, მაგრამ ეს სწორედ „გარკვეულ ფარგლებში“ უნდა მოხდეს, თანაც ეს ფარგლები მხოლოდ კანონმდებელს შეუძლია დააწესოს.

ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია ამ საკითხში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია. ეს უკანასკნელი საკანონმდებლო წესით თვით განსაზღვრავს იმ დანაშაულთა წრეს, რომლებიც შეიძლება გადაეცეს განსახილველად ამხანაგურ სასამართლოებს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის 1

ნაწილში ნათქვამია: „უკეთუ პირმა ჩაიდინა მცირეზნის მენელოვანი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა, ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, და თუ მისი გამოსწორება შესაძლებელია სასჯელის გამოყენების გარეშე საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა მიღებით, სასამართლოს და საგამომიებო ორგანოებს უფლება აქვთ გაათავისუფლონ ასეთი პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და საქმე გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად“<sup>1</sup>.

ასეთია მცირეზნის მენელოვანი დანაშაულის ცნების განსაზღვრება საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსებში.

რაც შეეხება ისეთი დანაშაულის ცნებას, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, ამ ცნების განსაზღვრაც საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსებში სხვადასხვაგვარად ხდება. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსი სრულიად არ იძლევა ასეთი დანაშაულის განსაზღვრებას. კოდექსის 52-ე მუხლში მითითებულია, რომ თუ პირის მიერ ჩადენილია დანაშაული, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, და ამასთან ამ ქმედობას მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო თვით დანაშაულის პიროვნებაც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მან გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, ასეთი პირი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით შეიძლება გაათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და გადაეცეს თავებქვეშ ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და კოლექტივს, რომელთაც შუამდგომლობა აღძრეს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 53-ე) თვით განსაზღვრავს, თუ როგორი დანაშაულის ჩამდენი შეიძლება გადაეცეს საზოგადოებრივ თავებობაში. სახელდობრ, 53-ე მუხლში მითითე-

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ნორმამ საბჭოთა კრიმინალისტიკის დადებითი შეფასება დაიმსახურა. მაგალითად, პროფ. ა. პონტკოვსკი წერს: „საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსს განსახილველ საკითხში უფრო სწორი პოზიცია უჭირავს“ (А. А. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, стр. 39; იხ. აგრეთვე: Б. С. Никифоров, Проекты республиканских уголовных кодексов, „Социалистическая законность“, 1959, N 8, стр. 9; Советское уголовное право. Часть общая, М., 1962, стр. 156-157 და სხვ.

ბულია, რომ ეს შეიძლება იყოს ისეთი დანაშაულის ჩამდენი, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს სამი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი<sup>1</sup>.

ა. პიონტკოვსკის აზრით, ისეთი ქმედობანი, რომლებიც შეიძლება გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს ან რომელთა ჩამდენიც შეიძლება გადაეცეს საზოგადოებრივ თავდებობაში, უკვე აღარ წარმოადგენენ დანაშაულს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. „ცხადია, — წერს იგი, — რომ ამ პირობებში დანაშაულის პირველად ჩადენისას ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი არ აღწევს ისეთ დონეს, რაც საჭიროა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის. ამიტომ აქაც ჩადენილი სამართალდარღვევა წარმოადგენს არსებითად უკვე არა დანაშაულს, არამედ თავისებურ ანტისაზოგადოებრივ გადაცდომას“<sup>2</sup>.

ასეთი შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაული აუცილებლობით როდი იწვევს სასჯელს. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს გადაეცემა ან პირი გადაეცემა აღსაზრდელად კოლექტივს, არსებობს სხვა შემთხვევებიც პირის სასჯელისაგან გათავისუფლებისა: მაგალითად, პირობითი მსჯავრი, პირის გათავისუფლება სასჯელისაგან იმის გამო, რომ იგი უკვე გამოსწორდა და იძულებით აღზრდას არ საჭიროებს (საფუძვლების 43-ე მუხ.) და სხვ.. მაგრამ ამ პირთა მიერ ჩადენილი ქმედობა მაინც დანაშაულად რჩება. დასჯადობის ნიშანი, რომელიც შედის დანაშაულის ცნებაში, როგორც უკვე განმარტებული იყო, ისე უნდა გავიგოთ, რომ დანაშაულებრივ ქმედობასთან აუცილებლობით არის დაკავშირებული კანონის მუქარა და არა სასჯელის შეფარდება. თუ ამ თვალსაზრისით იმ ქმედობებს განვიხილავთ, რომლებიც ამხანაგურ სასამართლოებს გადაეცემა და რომელთა ჩამდენი პირი საზოგადოებრივ თავდებობაში გადაეცემა, იქაც დანაშაულის ყველა ელემენტთან გვაქვს საქმე და კერძოდ სასჯელის მუქარასთან.

52-ე და 53-ე მუხლების გამოყენების საფუძველი არის არა მარტო .

<sup>1</sup> ამ ნორმამაც დაიმსახურა მთელი რიგი კრიმინალისტების მოწონება. ასე, პროფ. ა. პიონტკოვსკი აღნიშნავს: „ეს პოზიცია ჩვენ უფრო სწორად მივაჩნია, იგი უფრო შეესაბამება სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ამოცანას“ (А. А. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, стр. 42).

<sup>2</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, стр. 49.

ქმედობათა მცირეზნიშვნელოვანობა, არამედ, აგრეთვე მოქმედის მიმართ სასჯელის გამოყენების მიზანშეუწონლობა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების საკმარისობა. ერთი და იმავე ქმედობის ჩამდენთ, ქმედობისა, რომელიც თავისი ობიექტური ნიშნებით აკმაყოფილებს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს, ერთს შეიძლება შეეფარდოს ეს მუხლი, მეორეს კი არა. ამა თუ იმ ქმედობის გამოცხადება დანაშაულად თუ ანტისაზოგადოებრივ გადაცდომად შეიძლება მოხდეს მხოლოდ ქმედობის ობიექტური ნიშნების და არა მოქმედის სუბიექტური თვისებების მიხედვით.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც დანაშაულში თანამონაწილეობის დროს სასჯელისაგან ათავისუფლებენ ზოგიერთ თანამონაწილეს, რომელიც ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს და შეიძლება გამოსწორდეს კოლექტივის ზემოქმედების გავლენით. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ ერთი და იგივე დანაშაულბრივი ქმედობა დანაშაულიც არის (იმ პირთათვის, ვისაც სასჯელი მიესაჯა) და ანტისაზოგადოებრივი გადაცდომაც (იმ პირის მიმართ, ვინც აღსაზრდელად კოლექტივს გადაეცა).

დაბოლოს, შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: ვთქვათ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე პირი გადასცეს აღსაზრდელად მშრომელთა კოლექტივს. პროფ. ა. პიონტკოვსკის აზრით, ამ პირის მიერ ჩადენილი ქმედობა უნდა ჩაითვალოს არა დანაშაულად, არამედ ანტისაზოგადოებრივ ქმედობად. მაგრამ დაეუშვათ, რომ თავლებქვეშ აყვანილმა პირმა არ გაამართლა კოლექტივის ნდობა და არღვევს პირობას, რომ ის სამაგალითო მუშაობით და პატიოსანი შრომით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, ან ასეთი პირი ტოვებს კოლექტივს, რათა თავი აარიდოს საზოგადოებრივ ზემოქმედებას. ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, ის ორგანიზაცია, რომელმაც თავდებობა იკისრა, გამოიტანს გადაწყვეტილებას თავდებობაზე უარის განცხადების შესახებ და დანაშაულზე პასუხისმგებლობა მიეცემა იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენასთან დაკავშირებით ის გადაცემული იყო თავლებქვეშ. აქ უკვე პროფ. ა. პიონტკოვსკიმ უნდა აღიაროს, რომ ქმედობას, რომელიც ერთ მომენტში დანაშაულს აღარ წარმოადგენდა, უბრუნდება მისი დანაშაულბრივი ხასიათი, რაც ამკარა შეუსაბამობაა.

ყველა ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დანაშაულს

აქვს ადგილი, თუმცა ეს დანაშაული ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს, ვიდრე დანარჩენი დანაშაულებრივი ქმედობანი.

დანაშაულთა მესამე, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან კატეგორიას ეკუთვნიან ისეთი დანაშაულობანი, რომლებიც, ერთი მხრით მძიმე (განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულს არ წარმოადგენენ, ხოლო მეორე მხრით, არ შედიან იმ მტირემნიშვნელოვან დანაშაულთა ჯგუფში, რომელთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

2. ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსებში მიღებულია დანაშაულთა კლასიფიკაცია ფორმალური ნიშნის — კანონით დადგენილი სასჯელის სიდიდის მიხედვით. სხვადასხვა კოდექსში ვხვდებით ორწევროვან და სამწევროვან დაყოფას. უფრო გავრცელებულია სამწევროვანი დაყოფა (ტრიზოტომია). ასეთი დაყოფა პირველად შემოღებული იყო საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის 1-ლი მუხლის მიხედვით არსებობს დანაშაულებრივ ქმედობათა სამი სახე: crime (დანაშაული), delit (გადაცდომა) და contravention (დარღვევა). დანაშაულებრივ ქმედობათა ასეთივე დაყოფა მოცემულია ავსტრიის 1852 წლისა და გერმანიის 1871 წლის კოდექსებში: Verbrechen (დანაშაული), Vergehen (გაცდომა), Übertretung (დარღვევა), რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის კოდექსში: тяжкое преступление (მძიმე დანაშაული), преступление (დანაშაული), проступок (გადაცდომა). დანაშაულთა სამწევროვანი დაყოფა გვხვდება უფრო ახალ სისხლის სამართლის კოდექსებშიც, მაგალითად, შვეიცარიის 1937 წლის, საბერძნეთის 1950 წ. და სხვა თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსებში. ყველა ჩამოთვლილი კოდექსი მიაკუთვნებს დანაშაულს ამა თუ იმ ჯგუფს იმ სასჯელის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია მისთვის კანონით, და არა იმ სასჯელის მიხედვით, რომელიც შეიძლებოდა დანიშნული ყოფილიყო მოსამართლის მიერ კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად, საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაული (crime) არის ისეთი ქმედობა, რომელსაც კანონი ემუქრება დამტანჯველი და გამაწილებელი სასჯელით, გადაცდომა (delit) ქმედობა, რომელსაც კანონი ემუქრება გამასწორებელი სასჯელით, და დარღვევა (contravention) — ქმედობა, რომელსაც კანონი ემუქრება პოლიციური სასჯელით. რუსე-

თის 1903 წ. დებულების მიხედვით მძიმე დანაშაულად (ТЯЖКОЕ преступление) ითვლებოდა ქმედობა, რომლისთვისაც კანონით დადგენილი იყო სიკვდილით დასჯა, კატორღა ან გადასახლება დასახლებით (ссылка с поселением), დანაშაულად (преступление) – ქმედობა, რომლითაც კანონით დადგენილი იყო დატუსაღება გამასწორებელ სახლში, ხოლო გადაცდომად (проступок) – ქმედობა, რომლისთვისაც კანონით დადგენილი იყო პატიმრობა (арест).

დანაშაულთა კლასიფიკაციას ბურჟუაზიული სისხლის სამართალში საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, რუსეთის 1903 წლის დებულების მიხედვით, მძიმე დანაშაულის მცდელობა ისჯებოდა ყოველთვის, დანაშაულისა – მხოლოდ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევაში, ხოლო გადაცდომისა კი საერთოდ არასოდეს არ ისჯებოდა (მუხ. 49-ე). იმავე დებულებით მძიმე დანაშაულის და დანაშაულის თანამონაწილე (წამქეზებელი და ღამხმარე) ისჯებოდა ყოველთვის, გადაცდომის თანამონაწილე კი ისჯებოდა მხოლოდ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში (მუხ. 51-ე). დანაშაულთა კლასიფიკაციას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვა საკითხების გადაჭრისთვისაც, მაგალითად, სისხლის სამართლის დენის ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრისათვის, კონკურენციის საკითხის გადაჭრისათვის და ა.შ.

დანაშაულთა დაყოფა ფორმალური ნიშნის მიხედვით ვერ ასახავს კონკრეტული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ნამდვილ ხარისხს. კანონით მითითებული სასჯელი დანაშაულის მხოლოდ ზოგად, აბსტრაქტულ სიმძიმეს გვიჩვენებს, ხოლო ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი და იმავე სასჯელით დამუქრებული ქმედობა საქმის გარემოებების მიხედვით შესაძლებელია სულ სხვადასხვა საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს. ამიტომ სოციალისტურმა სისხლის სამართალმა არ მიიღო დანაშაულთა კლასიფიკაცია ფორმალური კრიტერიუმის მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია ეწინააღმდეგება დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრებას, რომელიც სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებშია მოცემული.

## დანაშაულის შემაღმენლობა

§1. დანაშაულის შემაღმენლობის ცნება და მისი მნიშვნელობა  
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.  
ანალოგიის აკრძალვა

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა წრე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე დასჯად ქმედობათა წრე. სოციალისტური სახელმწიფო მიმართავს ამ მეტად ძლიერ იარაღს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი საკმაოდ დიდია და როდესაც სწორედ სასჯელი წარმოადგენს ყველაზე უფრო ეფექტურ საშუალებას ამ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან საბრძოლველად. იმ საკითხის დადგენა, ღირსია თუ არა გარკვეული საზოგადოებრივად საშიშ ქმედობა სასჯელისა, საბჭოთა სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენს. მხოლოდ თვით კანონს შეუძლია განსაზღვროს ის ზუსტი ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ქმედობას როგორც დანაშაულებრივს, და გაითვალისწინოს მისთვის შესაბამისი სასჯელი<sup>1</sup>.

კანონით დადგენილი ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც ახასიათებენ

<sup>1</sup> ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავგებულ იქნეს ისე, თითქოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება ან საზოგადოებრივი სარგებლიანობა დამოკიდებულია არა იმაზე, თუ როგორია მისი ობიექტური და სუბიექტური თვისებები და როგორ არიან ისინი შეხამებული... არამედ იმაზე, თუ როგორ აფასებს მას კანონმდებელი, რომელსაც შეუძლია „გამოაცხადოს“, ან „არ გამოაცხადოს“, „აღიაროს“ ან „არ აღიაროს“ იგი საზოგადოებრივად საშიშად“. ასეთი გაგება მოგვაწერა ჩვენ ბულგარელმა კრიმინალისტმა კოსტადინ ლიუტოვმა (იხ. Костадин Лютов, Содержание понятия „общественной опасности“, „Вопросы уголовного права стран народной демократии“, М., 1964, стр. 219). საზოგადოებრივი საშიშროება, რა თქმა უნდა, ქმედობის ობიექტური დახასიათებაა და წინ უსწრებს კანონის მიერ ქმედობის დასჯადად გამოცხადებას. მაგრამ კანონმდებელი ქმედობის დასჯადად გამოცხადებით მიუთითებს, თუ რა ხარისხის საზოგადოებრივ საშიშროებას თელის იგი დანაშაულებრივად და სასჯელის ღირსად.

ქმელობას როგორც საზოგადოებრივად საშიშს და დასჯადს, ეწოდება დანაშაულის შემადგენლობა.

ამ განსაზღვრებაში მოცემულია ორი ძირითადი მომენტი:

1) დანაშაულის შემადგენლობას ეკუთვნის ისეთი ნიშნები, რომლებიც ერთობლივად ობიექტურ საშიშროებას წარმოადგენენ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის. თანაც ისეთი ხარისხისა და ხასიათის საშიშროებას, რომელიც სასჯელის გამოყენებას მოითხოვს.

2) ამ ნიშნებს განსაზღვრავს თვით კანონმდებელი, რომელიც აღწერს ქმელობას სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ან სპეციალურ სისხლის სამართლის კანონში, და უკავშირებს მას სასჯელს.

დანაშაულის შემადგენლობის ძირითად მომენტს წარმოადგენს კანონით ზუსტად განსაზღვრული კონკრეტული გარეგანი ქმელობა (მოქმედება ან უმოქმედობა). ამ ძირითადი ნიშნის გარშემო თავმოყრილია სხვა ნიშნები, სახელდობრ, ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ქმელობის სუბიექტურ მხარეს, დანაშაულის სუბიექტს და ა.შ.

დამნაშაის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენას, ე.ი. იმის დამტკიცებას, რომ კონკრეტული სუბიექტის მიერ ჩადენილი მოქმედება შეესაბამება კანონში აღწერილი დანაშაულებრივი შემადგენლობის ნიშნებს, უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. დანაშაულის შემადგენლობის შექმნით კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ მოქმედებათა წრეს, რომლებიც ხელყოფენ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და სასჯელს იწვევენ. მოსამართლეს არ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს ის საკითხი, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ქმელობა დანაშაულს. ერთადერთი უზენაესი მსაჯული ამ საქმისა კანონის ნებაა, ე.ი. საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელთა საერთო ნება, დანაშაულის შემადგენლობა სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეთა პირადი თავისუფლების საიმედო გარანტიაა. იგი იცავს საბჭოთა მოქალაქეებს სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების ცალკეულ წარმომადგენელთა შესაძლებელი თვითნებობისა და ბოროტმოქმედებისაგან. ამგვარად, დანაშაულის შემადგენლობის მოთხოვნა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპის გამოხატულებ



ბას წარმოადგენს. მეორე მხრით, დანაშაულის შემადგენლობა სოციალისტური მართლწესრიგის გარანტიასაც წარმოადგენს, ვინაიდან იცავს მას ისეთი მოქმედებებისაგან, რომლებიც სოციალისტური სახელმწიფოს მიერ უდავოდ აღიარებული არიან საზოგადოებრივად საშიშად და დანაშაულებრივად.

დანაშაულის შემადგენლობის მეშვეობით ხდება აგრეთვე ერთი დანაშაულის გამიჯვნა მეორე დანაშაულისაგან. კანონი, აღწერს რა ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობებს, განასხვავებს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულთ ერთმანეთისაგან იმით, რომ მათ სხვადასხვა სიმძიმის სასჯელებს უკავშირებს.

დანაშაულის შემადგენლობას როგორც დანაშაულებრივ ქმედობათა არადანაშაულებრივი ქმედობებისაგან გამიჯვნის საშუალებას და როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობათა ერთმანეთისაგან გამიჯვნის საშუალებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რათა დანაშაულთან ბრძოლა ერთიანი სოციალისტური კანონიერების საფუძველზე განხორციელდეს. მტკიცე შემადგენლობათა გარეშე შეუძლებელია საბჭოთა სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკის ერთგვაროვნად განხორციელება, შეუძლებელია სოციალისტური მართლმსაჯულების სიმტკიცე და გარკვეულობა.

ზემოაღნიშნულის გამო დანაშაულის შემადგენლობა სამართლიანად აღიარებულია საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველად.

დანაშაულის შემადგენლობის გამოცხადება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველად მჭიდროდ არის დაკავშირებული ანალოგიის აკრძალვასთან, რომელიც პირველად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველებში განხორციელდა.

რსფსრ 1922 წლის და 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსები და მოკავშირე რესპუბლიკების იმდროინდელი კოდექსები განსაზღვრავდნენ დანაშაულს როგორც საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას და უმოქმედობას და არ მიუთითებდნენ, რომ, დანაშაული ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა, რომელიც სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული. ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ,

როგორც წესი, დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედობა წარმოადგენდა. მაგრამ გამონაკლისის სახით, დანაშაულად შეიძლება აღიარებული ყოფილიყო ისეთი ქმედობაც, რომელიც უშუალოდ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში გათვალისწინებული არ იყო, თუმცა თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობითა და გეარით კანონით გათვალისწინებულ ქმედობას ენათესავებოდა. მაშასადამე, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაშვებული იყო დანაშაულის ანალოგია.

ანალოგიის შემოღება საბჭოთა სისხლის სამართალში განპირობებული იყო კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული პირობებით. პირველი (1922 წლის) სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებამდე მოსამართლეებს უხდებოდათ საკითხის გადაჭრა ცალკეული დეკრეტებისა და რევოლუციური მართლშეგნების საფუძველზე. სისხლის სამართლის ნორმების კოდიფიკაციამდე მოსამართლის სოციალისტური მართლშეგნების გამოყენება საეხებით გამართლებული იყო. ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში მოსამართლეებს უხდებოდათ ბრძოლა მთელ რიგ ახლად წარმოშობილ და სწრაფად ცვალებად დანაშაულებრივ ქმედობებთან, რომლებშიც კლასობრივი წინააღმდეგობა ვლინდებოდა. კლასობრივი ბრძოლის ამ სწრაფად ცვალებადი ფორმების მთელი მრავალგვარობის წინასწარ განჭვრეტა და ზუსტი ფიქსაცია მეტად ძნელი იყო. საბჭოთა პირველ სისხლის სამართლის კოდექსს, ცხადია, ამ გარემოებისათვის ანგარიში უნდა გაეწია და მოსამართლეთათვის უფლება უნდა მიეცა შეეცნოთ კანონმდებლობაში ადვილად მოსალოდნელი ხარვეზები<sup>1</sup>.

მართლაც რსფსრ 1922 წ. სსკ-ში და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში შეტანილი იყო მუხლები, რომლებიც კანონის ხარვეზის

---

<sup>1</sup> რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარმა დ. კურსკიმ სრულიად რუსეთის ცაქში სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის განხილვის დროს განაცხადა: „არც ერთ სისხლის სამართლის კოდექსს არ შეუძლია მოიცავს სისხლის სამართლებრივ ქმედობათა მთელი მრავალგვარობა, რომელიც სინამდვილეში არსებობს და შეიძლება არსებობდეს, — და თუ ჩვენ ვესურს შევქმნათ კოდექსი, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იქნება საბჭოთა წყობილებისათვის საშიშ ქმედობებთან წარმატებით ბრძოლა, მაშინ უნდა გვეჩინდეს მუხლები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მოსამართლეს გამოიყენოს ანალოგია, საშუალებას მისცემენ მოსამართლეს იხელმძღვანელოს სოციალისტური მართლშეგნებით, რათა ამით მონახოს გამოსავალი მდგომარეობიდან“ (Д. И. Курский, Избранные статьи и речи. 1948, стр. 86).

არსებობის შემთხვევაში უფლებას აძლევდნენ მოსამართლეს შეეფარდებინა კანონით გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობათვის ის მუხლი, რომელიც მსგავს დანაშაულებრივ ქმედობას ითვალისწინებდა.

პირველი სისხლის სამართლის კოდექსების მოქმედების დასაწყისშივე ნათლად დადასტურდა, რომ კოდექსს მნიშვნელოვანი ხარვეზები ჰქონდა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში სასამართლო ორგანოები და იუსტიციის სახალხო კომისარიატი შედიოდნენ სათანადო წარდგინებებით საკანონმდებლო ორგანოებში, რომელთაც სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო ცვლილებები შეჰქონდათ და რომელნიც ამგვარად ცდილობდნენ ანალოგიის გამოყენების მაგივრად სამართლის მტკიცე ნორმა გამოეცათ<sup>1</sup>.

ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობა დაშვებულ იქნა აგრეთვე სისხლის სამართლის პირველ საერთო-საკაცშირო კოდიფიკაციურ აქტში – სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1924 წლის ძირითად საწყისებში (მუხ. მე-3). ამ ნორმის შესაბამისად ნორმა ანალოგიის შესახებ შევიდა მოკავშირე რესპუბლიკების 1926-1928 წლების სისხლის სამართლის კოდექსებშიც.

კერძოდ, საქართველოს სსრ სსკ მე-8 მუხლში ნათქვამი იყო: „უკეთუ ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს ამა კოდექსის კერძო ნაწი-

---

<sup>1</sup> მაგალითად, აღმოჩნდა, რომ კოდექსში არ არის მუხლი, რომელიც სჯის სამხედრო აღრიცხვისაგან თავის არიდებას. სასამართლოებს ამიტომ პირველ ხანებში უხედავად სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით შეეფარდებოდა, ხოლო სრ. რუსეთის ცაკის უახლოეს სესიაზე მიღებულ იქნა კანონი, რომელმაც კოდექსის ეს ხარვეზი შეავსო. 1923 წლის გაზაფხულზე რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ გააჩნია ერთი საქმე, რასაც განხილვისას მან ანალოგიის გამოყენების მეშვეობით ეკონომიური კონტრარევოლუციის ცნება ჩამოაყალიბა. ამ შემთხვევაში სრ. რუსეთის ცაკის უახლოეს სესიაზე (1923 წ. 10 ივლისს) მიღებული დადგენილებით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მუხლი, რომელიც ეკონომიური კონტრარევოლუციის შემადგენლობას ითვალისწინებდა.

მრავალი სხვა ასეთი ხარვეზი გამოირკვა და შემდგომ საკანონმდებლო კვით შეივსო 1922 წლის კოდექსის მოქმედების პირველი ორი წლის განმავლობაში.

ილის იმ მუხლის ანალოგიით, რითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვართ ყველაზე უფრო მსგავსი დანაშაული“.

თავდაპირველად ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის გამოყენების შემთხვევები იშვიათ გამოჩენილია წარმოადგენდა. რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1922 წლის 8 ივნისის ცირკულარში „სისხლის სამართლის კოდექსის ცხოვრებაში შემოღების შესახებ“ ნათქვამი იყო: „საერთო წესით სასჯელი და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებანი შეიძლება გამოყენებულ იქნას სასამართლოების მიერ მხოლოდ იმ ქმედობათ მიმართ, რომლებიც ზუსტადაა გათვალისწინებული კანონით. ამ წესის გამოჩენის დასაშვებია მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც თუმცა სამართალში მიცემულის ქმედობა ზუსტად არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით, მაგრამ სასამართლო ცნობს მას აშკარად სამიზნად მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ დამყარებული ახალი მართლწესრიგის საფუძვლების თვალსაზრისით“.

შემდგომ პერიოდში ანალოგიას უფრო ფართოდ იყენებდნენ, თანაც მეტად ხშირად არასწორად. ანალოგიის გამოყენების პრაქტიკის შემოწმებამ მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლოში გვიჩვენა, რომ 1937 და 1938 წწ. ანალოგიის გამოყენებით გარჩეული 15 საქმიდან არც ერთ საქმეში საერთოდ არავითარი დანაშაულის შემადგენლობა არ იყო“<sup>1</sup>. იმავე ავტორმა, რომელმაც გამოიკვლია მოსკოვის საოლქო სასამართლოსა და მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ანალოგიის შეფარდების პრაქტიკა 20 თვის განმავლობაში, აღმოაჩინა, რომ „ეს პრაქტიკა ადასტურებს ანალოგიის მეტად ფართო გამოყენებას სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი მუხლის მიმართ“. თანაც ყველა ამ შემთხვევაში ანალოგიის გამოყენება „არავითარი აუცილებლობით გამოწვეული არ იყო“<sup>2</sup>. იყო შემთხვევები, როდესაც ანალოგიას იყენებდნენ ისეთი დანაშაულის მიმართ, რომელიც პირდაპირ გათვალისწინებული იყო კანონში, მაგრამ მოსამართლის აზრით, კანონით მისთვის სათანადოდ მკაცრი სასჯელი არ იყო დადგენილი. მაგალითად, სამამულო ომის პერიოდში

<sup>1</sup> П. В. Понятие аналогии в советском уголовном праве и практика ее применения. „Советская юстиция“, 1939 г., N 3, стр. 12-13.

<sup>2</sup> იქვე გვ. 12

ერთი პირის მიერ ჩადენილ მკვლელობას უფარდებდნენ ანალოგიით მუხლს ბანდიტიზმის შესახებ, რათა ამ გზით მკვლელისათვის მიესაჯათ სიკვდილით დასჯა, რომელიც იმდროინდელი კანონით მკვლელობისათვის გათვალისწინებული არ იყო.

საერთო საკავშირო სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავებას საბჭოთა ლიტერატურაში წინ უსწრებდა გაცხოველებული დავა ანალოგიის შესახებ.

ანალოგიის შენარჩუნების მომხრეები იყვნენ აკად. ა. ვიშინსკი, ა. ტრანინი, ვ. ჩხიკვაძე, მ. შარგოროდსკი, ვ. კამინსკაია, მ. ბრაინინი და სხვ., მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ ა. პიონტკოვსკი, გერცენ-ზონი, კ. თავგაზოვი, თ. წერეთელი და სხვ.

ანალოგიის მომხრენი შემდეგნაირად ასაბუთებდნენ ანალოგიის შენარჩუნების აუცილებლობას:

1) ანალოგიის ინსტიტუტი განუყრელად დაკავშირებულია დანაშაულის ცნების მატერიალურ განსაზღვრებასთან. მაგალითად, ვ. კამინსკაიას აზრით, „რამდენადაც ჩვენი კანონი დანაშაულის მატერიალური გაგებიდან გამომდის და ამა თუ იმ მოქმედების დანაშაულად აღიარება მის სოციალურ საშიშროებაზე და მოკიდებული, ანალოგიის დაშვება ჩვენს მართლმსაჯულებაში აუცილებელია“<sup>1</sup>.

აღნიშნული შეხედულება მართებულად ვერ აფასებს საზოგადოებრივი საშიშროების როლს დანაშაულის ცნების განსაზღვრებისათვის. როგორც უკვე ნათქვამი იყო, საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების მატერიალურ ნიშანს წარმოადგენს. მაგრამ დანაშაულის ცნების განსაზღვრება ამ ნიშნით არ ამოიწურება. მასთან ერთად, დანაშაულს ახასიათებს ფორმალური ნიშანიც, რომელიც იმით გამოიხატება, რომ თვით კანონის მიერ მოცემულია ცალკეული სახის დანაშაულთა ამოწურავი ჩამოთვლა, ე.ი. მოცემულია დანაშაულის შემადგენლობანი. დანაშაულად მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ითვლება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეესაბამება.

შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ქმედობის საზოგადოე-

<sup>1</sup> В. И. Каминская, Роль Верховного Суда СССР в развитии советского права, „Советское государство и право“, 1948, N 6, стр. 38-39.

ბრივი საშიშროება ერთადერთი გადაწყვეტი ნიშანი უნდა იყოს ქმედობის კრიმინალიზაციისათვის, სწორად ვერ აფასებს დანაშაულის სხვა ნიშნების როლს. ამავე დროს აღნიშნული შეხედულების თანამიმდევრულად განვითარებამ არსებითად განუსაზღვრელ ანალოგიამდე უნდა მიგვიყვანოს.

იმის დასამტკიცებლად, რომ დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრებასა და ანალოგიას შორის არაერთიანი შინაგანი და განუწყვეტელი კავშირი არ არსებობს, საკმარისია მიუთითოთ შემდეგ ფაქტებზე: გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის დებულება დანაშაულს წმინდა ფორმალურად განსაზღვრავს, მაგრამ ამ გარემოებამ სულაც არ შეუშალა ხელი ფაშისტურ ხელისუფლებას 1935 წელს დანაშაულის ანალოგია შემოეღო. ანალოგიას ითვალისწინებს აგრეთვე დანიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც დანაშაულის ფორმალურ განსაზღვრებას იძლევა. მეორე მხრივ, დღევანდელი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულს მატერიალურად განსაზღვრავენ, მაგრამ ანალოგიას არ ითვალისწინებენ.

2) ანალოგიის მომხრეთა მეორე არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ არც ერთ სისხლის სამართლის კოდექსს არ შეუძლია წინასწარ გაითვალისწინოს ყველა საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, რომელიც კრიმინალიზაციას მოითხოვს, და თუ ანალოგია არ იქნება ნებადართული, მრავალი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა დაუსჯელი დარჩება. ასე, მაგალითად, ა. ვიშინსკი აღნიშნავდა: „ჩვენ გაჭირვება გვაიძულებს ანალოგიას მივმართოთ, ვინაიდან შეუძლებელია გავითვალისწინოთ და ჩავწეროთ კანონში დანაშაულის ყველა შესაძლებელი შემთხვევა. მაგრამ გაჭირვება არ შეიძლება სიკეთედ გადავაქციოთ, არ შეიძლება იგი პრინციპად გამოვაცხადოთ, თანაც ისეთ პრინციპად, რომელზედაც აგებული უნდა იყოს მთელი ჩვენი სასამართლო საქმიანობა — ეს კანონიერებისათვის ძირის გამოთხრა იქნებოდა“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> А. Вышинский, Роль процессуального закона в социалистическом государстве рабочих и крестьян, „Социалистическая законность“, 1937 г., № 3, стр. 6.

სისხლის სამართლის კოდექსში რომ ხარვეზები ყოველთვის მოსალოდნელია, ეს ეჭვს გარეშეა. ეს ხარვეზები ზოგჯერ საკანონმდებლო ტექნიკის უსრულობით არის გამოწვეული, ზოგჯერ კი იმით, რომ ცხოვრების ახალ ურთიერთობათა წარმოშობის შესაბამისად შეიძლება წარმოიშვან ახალი საზოგადოებრივად საშიში ქმედობანი, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანა შეუძლებელი იყო. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსების ხარვეზთა შევსების უფლება მოსამართლეებს უნდა მიეცეს?

ჩვენის აზრით, მოსამართლისათვის ასეთი ფართო უფლებების მინიჭება არა თუ ხელს არ შეუწყობდა სოციალისტური კანონიერების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, არამედ პირიქით, შეაფერხებდა მას.

ანალოგიის გამოყენებით ფართო გასაქანი ეძლევა ცალკეულ მოსამართლეთა სუბიექტივიზმს. მოსამართლისათვის იმ უფლების მინიჭებამ, რომ მან თავისი სუბიექტური მიხედულებისამებრ გამოაცხადოს დანაშაულად ისეთი ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონით დასჯადი არ არის, შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დარღვევა. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა თვითნებობას და ამით ზიანი მოუტანოს საბჭოთა მართლმსაჯულებას. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის ადგილს, კანონისა, რომელიც როგორც მშრომელი მასების ნების გამოხატულება გარკვეული წესის თანახმად მხოლოდ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ შეიძლება გამოსცეს, ანალოგიის დროს იჭერს ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულება, პირადი გემოვნება, რომელიც ზოგჯერ კანონის დარღვევის წყაროდ შეიძლება გადაიქცეს. ხოლო, როგორც ვ.ი. ლენინი გვასწავლიდა, „სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ხერხეია, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“<sup>1</sup>.

ამავე დროს სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენების უფლება ხელს უშლიდა ერთიანი სოციალისტური კანონიერების გატარებას. ერთ მოსამართლეს ერთი შეხედულება აქვს რაიმე ქმედობის

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 661

საზოგადოებრივი საშიშროებისა და დასჯადობის შესახებ, მეორე მოსამართლეს კი შეიძლება ამავე საკითხზე დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულება ჰქონდეს. უფრო მეტიც: ერთი და იგივე მოსამართლე გარეშე სიტუაციის ან წუთიერი სუბიექტური განწყობის ზეგავლენით ერთსა და იმავე ქმედობას სხვადასხვა მომენტში შეიძლება სულ სხვადასხვანაირად აფასებდეს. ასეთი სხვადასხვაგვარობება, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობდა მართლმსაჯულების სიმტკიცეს და ერთგვარობებას. ჯერ კიდევ 1922 წელს ვი. ლენინი წერილში „ორმაგი დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ წერდა: „კანონიერება არ შეიძლება არსებობდეს კალუგისა და ყაზანის, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვისაც კი“<sup>1</sup>.

ანალოგიის გამოყენება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას, რომლის თანახმად ნორმას, რომელიც აღგენს ქმედობის დანაშაულებრიობას და დასჯადობას, არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა. ეს დებულება წინათ მოცემული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მუხ. მე-2), ხოლო ამჟამად ფიქსირებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლში (საქ. სსრ სსკ-ის მე-7 მუხლ.). აღნიშნული ნორმა უბრალო ტექნიკური ხასიათის წესი როდია. იგი სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპიდან გამომდინარეობს. იგი წარმოადგენს საბჭოთა მოქალაქის პირადი თავისუფლების ერთ-ერთ გარანტიას. თუ კანონმა წინასწარ არ გამოაცხადა ქმედობა დასჯადად, არ არსებობს მართლმსაწინააღმდეგო ქმედობა, არ არსებობს კანონისადმი დაუმორჩილებლობა: მოქალაქემ არათუ არაფერი იცოდა ქმედობის აკრძალულობისა და დასჯადობის შესახებ, არამედ მას არც შეეძლო სცოდნოდა, ვინაიდან ამკრძალავი კანონი არ არსებობდა. და თუ თვით სისხლის სამართლის კანონსაც კი არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა, მით უმეტეს, დაუმეხებელია ასეთი ძალა მიეცეს ნორმას, რომელსაც მოსამართლე ქმნის.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი უარყოფდა იმას, რომ ანალოგიის

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 428



გამოყენებით მოსამართლე სამართლის ახალ ნორმას ჰქმნის. ეს აზრი არ არის სწორი. ანალოგია არ წარმოადგენს არსებული სამართლის ნორმის გამოყენებას, არამედ იგი სამართალში არსებული ხარვეზის შევსებაა; ვინაიდან სისხლის სამართლის კანონის ანალოგიის დროს მოსამართლე დასჯადად აცხადებს ისეთ ქმედობას, რომელიც კანონით დასჯადი არ არის, ცხადია, ამით მოსამართლე ჰქმნის დანაშაულის ახალ შემადგენლობას, ახალ სისხლისსამართლებრივ ნორმას, რომელსაც ამავე დროს უკუძალას ანიჭებს. მამსადაძე, ანალოგიით სასამართლო პრაქტიკას მეტი ძალა ენიჭება, ვიდრე თვით კანონს, მოსამართლეს იმის გაკეთება შეუძლია, რისი გაკეთების უფლება თვით კანონმდებელსაც კი არა აქვს<sup>1</sup>.

ანალოგიის მოძხრეთა მოსაზრება, რომ კანონით გაუთვალისწინებულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა დასჯის შეუძლებლობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოებისათვის, არ შეიძლება სერიოზულ არგუმენტად ჩაითვალოს ანალოგიის სასარგებლოდ. ჯერ-ერთი, როგორც დავინახეთ, ყოველი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის კრიმინალიზაცია როდია აუცილებელი. ქმედობის დანაშაულად გამოცხადების დროს მხედველობაში მიიღება, გარდა საზოგადოებრივი საშიშროების მომენტისა, მთელი რიგი სხვა გარემოებანი, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილება. მეორე, კიდევაც რომ *de lege ferenda* ყოველმხრივად დასაბუთებული იყოს რაიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედობის დასჯადობის აუცილებლობა, ეს უნდა გააკეთოს არა უშუალოდ მოსამართლემ, არამედ კანონმდებელმა. საბჭოთა კანონმდებელი საკმაოდ სწრაფი და მოქნილია იმისათვის, რომ დროულად შეავსოს სისხლის სამართლის კოდექსში ნამდვილად არსებული ხარვეზი და გამოაცხადოს დასჯადად კანონით გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელსაც უწყებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში მიზანშეწონილია ვებრძოდეთ სასჯელის და არა სახელმ-

---

<sup>1</sup> საესებით სამართლიანად აღნიშნავდა რუსეთის რევოლუციამდელი კრიმინალისტი ნ. ს. ტაგანკევი: „თუ ჩვენ იმასაც კი არ ვუშვებთ, რომ თვით ახალმა კანონმა აღიაროს დანაშაულად ქმედობა, რომელიც წინათ დანაშაულად არ ითვლებოდა, როგორ შეიძლება ასეთი უფლება მოსამართლეს მიეანიჭოთ“ (Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, т. 1, 1902, стр. 189).

წიფობრივი ან საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ღონისძიების მეშვეობით. ის ზიანი, რაც შეიძლება გამოიწვიოს ახალი კანონის გამოცემაზე ასეთი ქმედობების დაუსჯელობამ, მეტად უმნიშვნელო იქნება, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე ის, რაც შეიძლება მოჰყვეს მათ დასჯადობას მოსამართლის თავისუფალი მიხედვლების მიხედვით.

სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა მართლმსაჯულებაში მისი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, კანონმდებლობამ კომუნიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში უარი განაცხადა ანალოგიაზე. 1958 წლის საფუძვლების მე-3 მუხლში მითითებულია: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. ანალოგიური მითითება მოცემულია დანაშაულის ცნების განსაზღვრებაშიც: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა... აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“.

ამგვარად, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მტკიცედ და საბოლოოდ დამკვიდრდა პრინციპი *nullum crimen, nulla poena sine lege*- არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე.

დანაშაულის შემადგენლობის მნიშვნელობა ხაზგასმულია აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს „ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო“. იმავე კოდექსის 310-ე მუხლის ძალით სასამართლომ უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, თუ „სამართალში მიცემულის ქმედობაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა“.

ყოველივე ეს უდავოდ ადასტურებს, რომ დანაშაულის შემადგენლობა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

## §2. სისხლის სამართლის კანონი და დანაშაულის შემადგენლობა

როგორც უკვე აღნიშნული იყო, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ცალკეულ დანაშაულთა აღწერა. ცხადია, კანონი ვერ ასახავს ყოველი ქმედობის ინდივიდუალურ თავისებურებებს ისე, როგორც ეს ქმედობა ცხოვრებაში მიმდინარეობს. კანონში განზოგადოებული სახითაა აღწერილი ის ტიპიური ნიშნები, რომელთა ერთობლიობაც საერთოდ საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია<sup>1</sup>. შემადგენლობაში კანონი აბსტრაქტული ფორმით იძლევა დანაშაულის ნიშნების აღწერას, ხოლო ის ინდივიდუალური, შემთხვევითი ნიშნები, რომლებიც ყოველი ცალკეული დანაშაულის დროს უხედავ გვხვდება, კანონში არც შეიძლება და არც საჭიროა გათვალისწინებულ იქნას. ასე, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ქურდობის შემადგენლობის ასეთი განსაზღვრება: „ქურდობა, ე.ი. მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება“. ამგვარად კანონს ქურდობის შემადგენლობის ცნებაში შეაქვს შემდეგი ნიშნები: 1) მოქალაქეთა პირადი ქონება, 2) გატაცება, 3) ფარულად. იგულისხმება, რომ სწორედ ამ ნიშნების ერთობლიობაა საზოგადოებრივად საშიში და სწორედ ამიტომ გამოცხადდა ქურდობა დანაშაულად.

დანაშაულის შემადგენლობის აღწერა მოცემულია სისხლის სამართლის კანონში, სახელდობრ, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში. ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს შეხედულება, რომ „შემადგენლობა... კანონის შემადგენელი ნაწილია... შემადგენლობაში აღწერილია საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მაგალითად, მკვლელობა, დივერსია, ქურდობა; ამ აღწერას (დისპოზიციას) კანონი უკავშირებს სამართლებრივ შედეგს. შემადგენლობისა და სამართლებრივი შედეგის (დისპოზიციისა და სანქციის) დაკავ-

<sup>1</sup> როგორც ბულგარელი კრიმინალისტი ივანე ნენოვი აღნიშნავს, „ცალკეულ მკვლელობაზე ან ჯაშუშობაზე, დივერსიაზე ან ცილისწამებაზე შეიძლება მთელი რომანი დაიწეროს და მაინც ეს კონკრეტული მოვლენა მხოლოდ ნაწილობრივ და არასრულად იქნება აღწერილი“ (Иван Ненов, Наказательно право, Общая часть, София, 1963, стр. 221, прим. 291).

შირებით საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ცხადდება დასჯად ქმედობად<sup>1</sup>. ამ შეხედულებას იზიარებს როგორც საბჭოთა, ისე სხვა სოციალისტური ქვეყნების კრიმინალისტთა უმრავლესობა<sup>2</sup>.

მაგრამ ცნობილია, რომ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი პირდაპირ როდია მითითებული. ასე, მაგალითად, კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლების უმრავლესობაში ვერ შევხვდებით მითითებას დანაშაულის სუბიექტზე, ზოგჯერ არ არის მითითებული დანაშაულის ობიექტის დამახასიათებელი ნიშნები. არის შემთხვევები, როცა განსაკუთრებული ნაწილის მუხლი არ შეიცავს მითითებას დანაშაულის სუბიექტურ მხარეზე და ა.შ.

ხომ არ არყვეს ეს ფაქტი იმ დებულებას, რომ დანაშაულის შემადგენლობა აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, რომ მაშასადამე დანაშაულის შემადგენლობა ემთხვევა დისპოზიციას. ასეთ დასკვნამდე მივიდა პროფ. ვ. კულრიავეცივი, რომელიც აკრიტიკებს დებულებას დისპოზიციისა და შემადგენლობის დამთხვევის შესახებ და მიუთითებს, რომ შემადგენლობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დისპოზიცია, ვინაიდან შემადგენლობის ნიშნები მითითებულია არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, არამედ აგრეთვე მის ზოგად ნაწილშიც<sup>3</sup>.

გნ. კულრიავეცივის კრიტიკა სამართლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, დისპოზიცია რომ კანონის სიტყვიერი ტექსტით ამოიწურებოდა. მაგრამ დისპოზიცია არ ნიშნავს კანონის მხოლოდ სიტყვიერ ტექსტს. როგორც მართებულად მიუთითებს ჩეხოსლოვაკელი კრიმ-

---

<sup>1</sup> Gerats, Die strafrechtliche Verantwortlichkeit in der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1952, S. 35.

<sup>2</sup> Я. М. Браїнин. К вопросу о составе преступления как основания уголовной ответственности, „Советское государство и право“ 1954, N 7, стр. 69; А. Н. Траїнин. Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 82; Ф. Полячек, Состав преступления по чехословацкому уголовному праву, М., 1960, стр. 269, 271; Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1957, S. 277.

<sup>3</sup> В. Н. Кудрявцев. Теоретические основы квалификации преступлений, М., стр. 82.

ინლისტი ფ. პოლაჩეკი, „დანაშაულის შემადგენლობის შინაარსის გარკვევისას არ შეიძლება კანონის მხოლოდ სიტყვას დავეყაროთ და დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად მხოლოდ ის ჩავთვალოთ, რაც კანონის ტექსტში სიტყვა-სიტყვითაა მითითებული“<sup>1</sup>.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიცია არ შეიძლება წაკითხულ იქნას იზოლირებულად, კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმებისგან მოწყვეტით. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილისა და განსაკუთრებული ნაწილის ნორმები ერთ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენენ და ერთმანეთის გარეშე გაუგებარი არიან. როგორც მართებულად მიუთითებს ა. სანტალოვი, „მრავალ შემთხვევაში იურიდიული ტექნიკის მოსაზრებებით დანაშაულის ცალკეული ნიშნების მითითება ხდება სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის არა განსაკუთრებულ ნაწილში, არამედ ზოგად ნაწილში. ეს შეეხება სუბიექტს, სუბიექტურ მხარეს, განსაზღვრული მნიშვნელობით – ობიექტსაც. არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ მხრივ არც ობიექტური მხარე“<sup>2</sup>. ერთის სიტყვით, ეს შეეხება ისეთ ნიშნებს, რომლებიც საერთოა ყველა სახის დანაშაულისათვის. ამიტომ კანონმდებელი, იმის მაგივრად, რომ მიუთითოს ამ ნიშნებზე თითოეული ცალკეული შემადგენლობის აღწერის დროს, კჭმნის საერთო ნორმას, რომელსაც ზოგად ნაწილში ათავსებს და ამით ზოგად მნიშვნელობას ანიჭებს<sup>3</sup>.

განსაკუთრებული ნაწილის მუხლში იშვიათად შევხვდებით მითითებას დანაშაულის სუბიექტზე, მაგრამ ყოველმა იურისტმა იცის, რომ

---

<sup>1</sup> Ф. Полячек, Состав преступления по чехословацкому праву, М., 1960, стр. 61, 271.

<sup>2</sup> იხ. А. Н. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, „Правоведение“, 1960, N 1, стр. 102.

<sup>3</sup> ვასაგებია ამიტომ, რომ „დანაშაულის შემადგენლობის გასარკვევად საქმარისი არ არის კოდექსის მხოლოდ განსაკუთრებული ნაწილის ცოდნა, არამედ აუცილებელია ვიცოდეთ მისი ზოგადი ნაწილიც. მარტოოდენ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილების ცოდნა წარმოადგენს გარანტიას დანაშაულის შემადგენლობის სწორი გაგებისა და გამოყენებისათვის, ვინაიდან შემადგენლობის შინაარსი ირკვევა არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილიდან, არამედ მისი ზოგადი ნაწილიდანაც“ (ფ. პოლაჩეკი, დასახ. ნაშრ., გვ 160; იხ. აგრეთვე, А. А. Пионтковский, Понятие преступления, М., 1961, стр. 111-112).

თუ მუხლის დისპოზიციაში სუბიექტის ნიშანი სპეციალურად არ არის მითითებული, მან უნდა მოიშველიოს მე-12 მუხლი, სადაც განსაზღვრულია დანაშაულის სუბიექტის ნიშნები.

განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთ მუხლში დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას, რაც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, წარმოადგენს მძიმე შედეგის განხორციელება, თანაც მუხლის დისპოზიციაში ჩვეულებრივად არ არის მითითებული, თუ როგორი ბრალის საჭირო ამ უფრო მძიმე შედეგის მიმართ ან საერთოდ საჭიროა თუ არა ბრალი. ასეთია, მაგალითად, 110-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა – სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, თუ მას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა. იმის დასადგენად, თუ რა სახის ბრალის საჭირო ამ მძიმე შედეგის მიმართ, უნდა მოვიშველიოთ ზოგადი ნაწილიდან მუხ. მე-11, რომელიც ზოგადი ფორმით ადგენს: „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც<sup>1</sup> პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა“.

იგივე შეეხება ნორმებს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესახებ. კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში დანაშაულის შემადგენლობანი ისეა აღწერილი, რომ მათი სიტყვიერი ტექსტი მოიცავს მხოლოდ დამთავრებულ დანაშაულს როგორც შემადგენლობის მთავარ, ძირითად ფორმას, ხოლო დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობაზე აქ არაფერია ნათქვამი. კანონმდებელს შეეძლო, რა თქმა უნდა, დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობასთან ერთად თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში გაეთვალისწინებინა მისი მომზადება და მცდელობაც, მაგრამ ეს მნიშვნელოვნად დაამძიმებდა და გაზრდიდა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მოცულობას. ამიტომ საკანონმდებლო-ტექნიკური მოსაზრებებით მან ამჯობინა ზოგად ნაწილში მიეთითებინა, რომ დამთავრებულ დანაშაულთან ერთად ისევეა ისეთი ქმედობაც, რომელიც ამ დანაშაულის შესრულებისკენაა მიმართული.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ასეთივე შეკვება ზდება იმ

შემთხვევაშიც, როდესაც საქმე შეეხება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლების სიტყვიერი ტექსტი ისეა ფორმულირებული, თითქოს იგი მხოლოდ დანაშაულის უშუალო ამსრულებელს შეეხებოდეს, მაგრამ ჩვენ ვაკვსებთ ამ მუხლების დისპოზიციას ზოგადი ნაწილის მე-19 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის პასუხისმგებლობას<sup>1</sup>.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შეესება ხდება არა მართლ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილიდან, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის კანონის განმარტების მეშვეობით. სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში ზოგჯერ პირდაპირ შეტანილი არ არის დანაშაულის შემადგენლობის ესა თუ ის ნიშანი, რომელიც ამ შემადგენლობაში მაინც იგულისხმება. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე კანონის მიყენების დროს აესებს დისპოზიციის ზარეზს მისი განმარტების მეშვეობით. ასე, მაგალითად, 150-ე მუხლის დისპოზიციაში, როგორც ღვეინახეთ, ქურდობა განსაზღვრულია როგორც „მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება“ და არ არის მითითებული, რომ ამ დანაშაულის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ „სხვისი“ ქონება. მაგრამ არც ერთ მოსამართლეს არ მოუვა აზრად დააკვალიფიციროს საკუთარი ქონების თუნდაც მართლსაწინააღმდეგოდ და ფარულად გატაცება, როგორც ქურდობა. სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიტანოთ მაგალითი, როდესაც სასამართლომ არ სცნო ქურდობად ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ საერთო ქონების ფარულად გატაცება და მიუთითა, რომ აქ საქმე მხოლოდ სამოქალაქო

---

<sup>1</sup> ჩვენ არამართულად მიგვაჩნია ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, თითქოს მოშა-  
დება და მცდელობა, აგრეთვე თანამონაწილეობა დანაშაულის შემადგენლობას არ შეიკავნ  
(იხ. З. А. Вышинская, А. П. Кузнецов. Некоторые замечания к проекту Основ  
уголовного законодательства Союза ССР и союзных республик „Советское  
государство и право“, 1958 г., № 8, стр. 75; В. Солнерж, Соучастие по уголовному  
праву Чехословакии Социалистической Республики, М., 1962, стр. 36). აღნიშ-  
ნული შეხედულების კრიტიკა იხ. А. Санталов. Состав преступления...,  
„Правоведение“ 1960 г., № 1; А. А. Понтоковский, Учение о преступлении,  
1961, стр. 110; თ. წერეთელი, დანაშაულის მოშადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ  
62-66; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ 63-70.

სარჩელის წესით უნდა გადაწყვეტილიყო<sup>1</sup>. ამავე მუხლში არ არის პირდაპირ მითითებული, რომ სხვისი ქონების ფარულად გატაცება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ქურდობად, როდესაც იგი მოხდა ნივთის მისაკუთრების და არა დროებითი სარგებლობის მიზნით. მაგრამ როგორც სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში მტკიცედ არის დადგენილი, რომ მისაკუთრების მიზნის გარეშე ქურდობის და საერთოდ ქონების გატაცების შემადგენლობა არ არსებობს<sup>2</sup>.

### §3. ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი, მისი მართლწინააღმდეგობა და საზოგადოებრივი საშიშროება

როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაულის შემადგენლობის აღწერა მოცემულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში. დანაშაულის შემადგენლობის აღწერით და მასთან სასჯელის დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონი გარკვეულ ქმედობას მართლწინააღმდეგო ქმედობად აღიარებს, თანაც, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა ესა თუ ის ქმედობა წინათ აკრძალული სამართლის რომელიმე სხვა დარგში (მაგალითად, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალში და სხვ.), თუ პირიქით ეს ქმედობა სისხლის სამართლის კანონის გამოცემაზე სამართლის არცერთი სხვა დარგის მიერ

<sup>1</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда РСФСР“, 1962 г., N 4, стр. 11.

<sup>2</sup> ნათქვამთან დაკავშირებით გაკვირებას იწვევს ვ. ნ. კულრაევკის მტკიცება, რომ თუქცა შემადგენლობის ნიშნები მითითებულია კოდექსის განსაკუთრებული და ზოგადი ნაწილის მუხლებში ან სისხლის სამართლის ნორმის განმარტებიდან გამომდინარეობენ, მაგრამ ამასთანავე საქმე შეეხება განმარტებას მხოლოდ იმ ორგანოს მიერ, ვისაც ამის უფლება აქვს – სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, პირს, რომელიც იყენებს კანონს, არ შეუძლია თვით განსაზღვროს მისი შინაარსი“ (იხ. В. Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений, М., 1963, стр. 82).

თუ კანონის განმარტება ნიშნავს კანონის ნამდვილი აზრის დადგენას, – ხოლო სხვაგვარად ეს ცნება არ შეიძლება იქნას გაგებული, – მაშინ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კანონის გამოყენება მისი განმარტების გარეშე. ვ. ნ. კულრაევკის მტკიცება მით უფრო საკვირველია, რომ თვით მას მოჰყავს მშვენიერი მაგალითები შემადგენლობის ნიშნების დაზუსტებისა და შეცვლისა სასამართლოს მიერ კანონის განმარტების მეშვეობით. (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 76-77).



წინასწარ აკრძალული არ იყო. კანონმდებელი დანაშაულის შემადგენლობის ჩამოყალიბებით ქმნის განსაზღვრული სახის უმართლობას, სისხლისსამართლებრივ უმართლობას, თანაც ზუსტად მიჯნავს სისხლისსამართლებრივ უმართლობას ყველა დანარჩენი მოქმედებისაგან, რომელსაც სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა არ ახასიათებს. აქედან ნათელია, რომ დანაშაულის შემადგენლობა არის სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის საფუძველი. მოქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი ნიშნავს იმავდროულად ამ მოქმედების მართლწინააღმდეგობასაც. ქმედობა წინააღმდეგება სისხლისსამართლებრივ ნორმას, თუ იგი შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს და თუ ამავე დროს არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამოპრიცხველი რაიმე განსაკუთრებული გარემოება. ამიტომ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ზუსტად დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების განხორციელებისა და მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

ვინაიდან მართლწინააღმდეგობა ემთხვევა ქმედობის შესაბამისობას დანაშაულის შემადგენლობისადმი, ამიტომ მართლწინააღმდეგობას ცალკე სპეციალური დამტკიცება არ სჭირდება. თუ, მაგალითად, სასამართლომ დაამტკიცა, რომ პირმა ფარულად, მითვისების მიზნით გაიტაცა სხვისი ქონება, ე.ი. დაამტკიცა, რომ პირის ქმედობა ზუსტად შეესაბამება ქურდობის შემადგენლობის ნიშნებს, მას სულაც არ სჭირდება იმ საკითხის გადაჭრა, არის თუ არა ეს მოქმედება მართლსაწინააღმდეგო, ვინაიდან პირველ კითხვაზე დადებითი პასუხი ნიშნავს თავისდათავად დადებით პასუხს მეორე კითხვაზედაც.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით დანაშაულის მხოლოდ ფორმალურ მხარეზე — მის მართლწინააღმდეგობაზე, მაგრამ არაფერი გვითქვამს მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსზე — საზოგადოებრივ საშიშროებაზე და მის ურთიერთობაზე დანაშაულის შემადგენლობასთან.

თავში დანაშაულის ცნების შესახებ აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კანონმდებელი კრძალავს რაიმე მოქმედებას სასჯელის მუქარით იმის გამო, რომ ეს ქმედობა წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, უფრო სწორად, სა-

ზოგადობრივი საშიშროების გარკვეული ხარისხი მისი დანაშაულად გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს.

აქედან ცხადია, რომ თუ მოქალაქემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმელობა, იგი ამავე დროს მოქმედება საზოგადოებრივად საშიშად. მაგალითად, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ სუბიექტის მოქმედება შეესაბამება კანონში აღწერილი ქურდობის ნიშნებს (1. სხვისი, 2. ქონების, 3. გატაცება, 4. ფარულად, 5. მითვისების მიზნით), ამით იგი ამტკიცებს ქმელობის მართლწინააღმდეგობასთან ერთად, მის საზოგადოებრივ საშიშროებასაც.

სასამართლოსათვის იმის დაკისრება, რომ მას ბრალდებულის ქმელობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობასთან ერთად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების არსებობაც დაემტკიცებინა, არა მარტო ზედმეტი იქნებოდა, არამედ აგრეთვე სახიფათოც. ფაქტიურად ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ჩვენ უკუაღმდეგობას ვაძლევთ სასამართლოს რევიზია გაუკეთოს სისხლის სამართლის კანონის დადგენილებებს და დამოუკიდებლად შეაფასოს, ნამდვილად არის თუ არა სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებული ქმელობა ამავე დროს მართლწინააღმდეგო და საზოგადოებრივად საშიში. ამას კი მოჰყვებოდა კანონით ზუსტად მოხაზული მკვეთრი შემადგენლობებისათვის ძირის გამოთხრა და კანონმდებლის მიერ დადგენილი ნათელი და მტკიცე კრიტერიუმების შეცვლა მოსამართლის სუბიექტური შეხედულებებით და აზრებით.

მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე. ხოლო გამონაკლისის სახით შეიძლება აღმოჩნდეს რომ ესა თუ ის ქმელობა ფორმალურად შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რომლებიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში, მაგრამ არ არის საზოგადოებრივად საშიში, ვინაიდან არსებობს განსაკუთრებული გარემოება, რომელიც გამორიცხავს საზოგადოებრივ საშიშროებას.

„... კანონი, რომელიც აღწერს დანაშაულის შემადგენლობას, ნავარაუდევია განსაზღვრულ გარემოებებზე, განსაკუთრებულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებზე, ხოლო ცხოვრებაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი სიტუაცია, როდესაც იმავე ქმელობას (ე.ი. დისპოზიციით გათვალისწინებული ნიშნების მქონე ქმელობას) არ ახასიათებს საზოგადოებრივი

საშიშროება“<sup>1</sup>. ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია პირველ ყოვლისა თვით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, სახელდობრ, საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილში, მე-13 მუხლში და მე-14 მუხლში.

მე-7 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს“.

მე-13 მუხლის თანახმად, „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში...“.

ამგვარადვე, მე-14 მუხლი ადგენს: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში...“.

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები კანონისა იმ აზრს გამოხატავენ, რომ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში ქმედობა თუმცა ფორმალურად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ ვინაიდან არსებობს მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების გამოძრიცხველი გარემოება, ასეთი მოქმედება დანაშაულად არ ჩაითვლება.

ამ დებულებამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და უმაღლეს სასამართლოს 1927 წლის 15 იანვრის სადირექტივო წერილში რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნის გამოყენების შესახებ. ამ წერილში ნათქვამია: „მე-6 მუხლის შენიშვნის გამოყენების დროს, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ რომ იგი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც საერთო ფაქტიური გაუქმება დანაშაულის ფორმალური ნიშნებისა, რომლებიც მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში. სისხლის სამართლის

<sup>1</sup> ვ. კულრაიცივი, დასახ. ნაშრ., გვ. 89-90.

კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები სავალდებულოა სასამართლოსათვის, და სასამართლებმა ამ ნიშნებით უნდა იხელმძღვანელონ ბრალდებულისათვის ინკრიმინირებულ მოქმედებათა დანაშაულებრიობის განსაზღვრისას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა ჰკარგავს თავის სოციალურად საშიშ შინაარსს იმის გამო, რომ ქმედობა აშკარად მცირეზნიშვნელოვანია და მას მკენე შედეგები არ მოჰყოლია“.<sup>1</sup>

ავიღოთ ამ აზრის საილუსტრაციოდ გარკვეული მაგალითი.

ვთქვათ, ვინმემ მოიპარა ერთი კოლოფი ასანთი. ფორმალურად ამ მოქმედებაში მოცემული გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები: 1) სხვისი, 2) ქონების, 3) ფარულად, 4) გატაცება, 5) მითვისების მიზნით. მაგრამ მოქმედების მცირეზნიშვნელობის გამო ამ ნიშნების ერთობლიობა აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, რაც გამოირიცხავს სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას და მაშასადამე ქმედობის დანაშაულებრიობას. ამგვარად ჩარჩო დარჩა, მაგრამ მისი არსი, მისი გული კი აღარ არის. ამავე მდგომარეობას ადგილი აქვს უკიდურესი აუცილებლობის დროს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ტუნდრებში დაკარგული მწყემსები, რომლებიც გაფანტულ ირმების ჯოგს ეძებენ, რამდენიმე დღის შიშშილის შემდეგ წააწყდებიან გეოლოგიური პარტიის საწყობს და შიშშილით სიკვდილისაგან თავის გადასარჩენად მოიპარავენ ამ საწყობიდან ხორცს. აქაც ფორმალურად გვაქვს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ნიშნები სხვისი ქონების ფარულად გატაცებისა, ე.ი. ქურდობისა, მაგრამ განსაკუთრებული გარემოების არსებობის გამო ეს ქმედობა არ არის საზოგადოებრივად საშიში და მართლწინააღმდეგი.

ამგვარად, დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონშია აღწერილი, ტიპიზებულ სისხლისსამართლებრივ უმართლობას წარმოადგენს. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედობის ტიპს ფორმალურად შეესაბამება, მატერიალურად არ არის დანაშაული, ვინაიდან განსაზღვრულმა კონკრეტულმა გარემოებამ, რომელიც

<sup>1</sup> იხ. „Еженедельник советской юстиции“. 1927 г., N 2, стр. 14.

შეიძლება გათვალისწინებული იყოს თვით სისხლის სამართლის კანონში, გამორიცხა ასეთი ქმედობის მართლწინააღმდეგი და დანაშაულებრივი ხასიათი. სისხლისსამართლებრივი უმართლობის გამომრიცხველი გარემოების ასეთი განსაკუთრებული ხასიათი კარგად იყო ხაზგასმული ზემოაღნიშნულ სადირექტივო წერილში, რომელშიც ნათქვამია, რომ „... სისხლის სამართლის კოდექსის მე-ნ მუხლის შენიშვნა არის მხოლოდ გამოსავალი ზოგიერთი შემთხვევისათვის, როდესაც ფორმალურმა მიდგომამ დანაშაულის შემადგენლობისადმი შეიძლება გადააქციოს სასამართლო განაჩენის კანონზომიერი აქტი თავის წინააღმდეგობად, ე.ი. ისეთ აქტად, რომელიც საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის თვალსაზრისით არსებითად ამკარად მიზანშეუწონელი იქნებოდა“<sup>1</sup>.

ამგვარად, ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე:

- 1) დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ჩამოყალიბება ხდება ამ ნიშნების ერთობლიობის საზოგადოებრივი საშიშროების გამო;
- 2) დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ჩამოყალიბება ასაბუთებს ამ ქმედობის სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას;
- 3) საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებელ ნიშნებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი ახასიათებენ დანაშაულის შემადგენლობას მთლიანად. „ამაში მდგომარეობს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის თავისებური ხასიათი, ყველა სხვა ნიშნისაგან განსხვავებით, რაც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტსა და ობიექტურ მხარეს, სუბიექტსა და სუბიექტურ მხარეს ახასიათებს“<sup>2</sup>;
- 4) დანაშაულის შემადგენლობა ტიპიურად, ზოგადად ასაბუთებს ქმედობის მართლწინააღმდეგობას და საზოგადოებრივ საშიშროებას, ე.ი. თუ არ არსებობს განსაკუთრებული საფუძველი, რომელიც გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას და საზოგადოებრივ საშიშროებას;
- 5) საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოების არსებობის შემთხვევაში, დანაშაულის შემადგენლობა არსებობს მარ-

<sup>1</sup> იხ. „Еженедельник советской юстиции“, 1927, N 2, გვ. 14.

<sup>2</sup> В. М. Чхишвадзе, Понятие и значение состава преступления. „Советское государство и право“, 1955, N 4, стр. 59.

ტოოდენ ფორმალურად, ხოლო არსებითად დანაშაულის შემადგენლობა მისი მატერიალური მნიშვნელობით არ არსებობს, ვინაიდან შემადგენლობას გამოეცალა ის საფუძველი, რის გამოც გარკვეული ნიშნების მქონე ქმედობა დანაშაულად იყო გამოცხადებული, სახელდობრ — საზოგადოებრივად საშიში ხასიათი;

6) პრაქტიკულად მართლწინააღმდეგობის და საზოგადოებრივი საშიშროების საკითხების განსაკუთრებული გამოკვლევა საბჭოთა სასამართლოს უხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი შეეხება მათ გამოძრინებულ გარემობას, ვინაიდან დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დამტკიცება, ამ განსაკუთრებულ გარემობათა გარეშე, სასამართლოსათვის ნიშნავს იმავდროულად მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების არსებობის დამტკიცებას.

#### §4. დანაშაულის ცნება და დანაშაულის შემადგენლობის ცნება

დანაშაულის ცნებისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ერთსულოვანი შეხედულება ჯერ კიდევ არ არის გამოუმუშავებული.

საკმაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად დანაშაული და დანაშაულის შემადგენლობის ცნებები ისეთ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, როგორც გვარეობითი ცნება სახეობით ცნებასთან. ასე, მაგალითად, პროფ. პიონტკოვსკის აზრით, „დანაშაულის მატერიალური ცნება მიზნად ისახავს მოგვეცეს დანაშაულის ცნების ზოგადი განსაზღვრება... მისი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გახსნით...“<sup>1</sup>. „დანაშაულის ზოგადი მატერიალური ცნება როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა განმარტავს საბჭოთა სისხლის სამართლისათვის ცნობილი ყველა დანაშაულის არსებას“<sup>2</sup>. ამის საპირისპიროდ „დანაშაულის ყოველი შემადგენლობა როგორც იმ ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას ახასიათებენ, არის იურიდიული ცნება ცალკეული დანაშაულის შესახებ“<sup>3</sup>.

ამ ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ პროფ. პიონტკოვსკის აზრით:

<sup>1</sup> А. А. Ппонтковский, Учение о преступлении, 1961, стр. 114.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>3</sup> იქვე.

1) დანაშაულის ცხება არის ყოველი დანაშაულის ზოგადი ცხება, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ხოლო შემადგენლობის ცნება – ეს არის განსაზღვრული, ცალკეული დანაშაულის ცნება; 2) დანაშაულის ზოგადი ცნება განისაზღვრება მატერიალურად, მისი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის მიხედვით, ხოლო შემადგენლობის ცნება ცალკეული დანაშაულის იურიდიულ დახასიათებას წარმოადგენს.

ფიქრობთ ეს მსჯელობა ლოგიკურად სწორი არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა დანაშაულის შემადგენლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულის ზოგადი ცნების სახეობით ცნებას, დანაშაულის ზოგადი ცნების სახეობითი ცნება იქნება ცალკეული დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობის, ქურდობის, ყაჩაღობის და სხვ.) და არა შემადგენლობის (ე.ი. განსაზღვრული დანაშაულის აღწერის) ცნება. მეორე მხრით, ცალკეულ შემადგენლობათა (მაგალითად, ქურდობის შემადგენლობის, მკვლელობის შემადგენლობის და სხვ.) გვარობითი ცნება იქნება დანაშაულის შემადგენლობის ზოგადი ცნება<sup>1</sup>. მეორე, დანაშაულის ზოგადი ცნება არ ამოიწურება მისი მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური დახასიათებით. როგორც დაინახეთ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლში დანაშაული განსაზღვრულია არა მარტო როგორც საზოგადოებრივად საშიში, არამედ აგრეთვე როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო ქმედობა, მასსადაც დანაშაულის ზოგად განსაზღვრებაში მოცემულია როგორც მისი მატერიალური, ისე ფორმალური ნიშანი<sup>2</sup>. მეორე მხრივ, დანაშაულის შემადგენლობის ცნება თუმცა თავისი ბუნებით ფორმალური, იურიდიული ცნებაა, მაგრამ მასში როგორც დაინახეთ, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებაც იგულისხმება, რამდენადაც საზოგადოებრივი საშიშროება კანონმდებლისათვის შემადგენლობის შექმნის საფუძველია<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> და არა დანაშაულის ზოგადი შემადგენლობა. დანაშაულის ზოგადი შემადგენლობა ისეთივე უაზრობაა, როგორც ზოგადი დანაშაული.

<sup>2</sup> თვით პროფ. ა. პიონტკოვსკი განსაზღვრავს დანაშაულის ცნებას როგორც „საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ და დასჯად ქმედობას...“ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 29).

<sup>3</sup> სხვათა შორის, თვით პროფ. ა. პიონტკოვსკი დაინებთ მოითხოვს, რომ შემადგენლობის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი იქნეს შეტანილი (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 115-116).

ძირითადი განსხვავება დანაშაულის ცნებასა და შემაღვენლობის ცნებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულის ცნება ასახავს ადამიანის ქმედობას როგორც რეალურ, თვით ცხოვრების მოვლენას, როგორც რეალურ პროცესს, მაშინ როდესაც შემაღვენლობა სისხლის სამართლის კანონის განსაზღვრულ ნაწილში (დისპოზიციაში) ფიქსირებული ნიშნების აღწერას წარმოადგენს. როგორც სწორად მიუთითებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ავტორები, „შემაღვენლობა არის კანონით ფიქსირებული ცნება განსაზღვრული დანაშაულისა... და არა თვით დანაშაული“<sup>1</sup>. ისევე, როგორც დანაშაულის ცნება არ შეიძლება გაიგივებულ იქნას დანაშაულის შემაღვენლობის ცნებასთან, არც დანაშაულის ელემენტები შეიძლება გაიგივებულ იქნენ შემაღვენლობის ნიშნებთან, რომლებიც ამ ელემენტებს აღწერენ. ეს მომენტი კარგად აქვს ნაჩვენები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტს კ. გერაცს. „დანაშაული, – წერს იგი, – არ არის შემაღვენლობის ნაწილი და არც იდენტურია შემაღვენლობისა. განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ადამიანი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტია, შემაღვენლობის ნიშანს წარმოადგენს? – ან სახალხო საკუთრება, რომელიც სოციალისტური სექტორის საფუძველს წარმოადგენს, შემაღვენლობის ნიშანია?... იგივე უნდა ითქვას თვით ქმედობაზე. მკვლელობა (განსაზღვრულმა ადამიანმა მოჰკლა მეორე ადამიანი) არ არის შემაღვენლობის ნიშნების ჯამი, არამედ რეალური საზოგადოებრივი პროცესი თავისი საკუთარი საზოგადოებრივი მიზეზებითა და შედეგებით, მაშინ როდესაც შემაღვენლობა კანონის შემაღვენელ ნაწილსა და ამით ჩვენი ზედნაშენის იურიდიულ დაწესებულებას წარმოადგენს. შემაღვენლობა ამიტომ არ უნდა იქნას გაიგივებული დანაშაულთან“<sup>2</sup>.

ეს შეხედულება თავისთავად სწორია, მაგრამ, ჩვენი აზრით, საკმარისი არაა დანაშაულის ცნებისა და შემაღვენლობის ცნების ურთიერთგამიჯენისათვის. შემაღვენლობა – სისხლის სამართლის კანონია, მაგრამ მოქმედება, რომელიც შემაღვენლობას შეესაბამება, ე.ი. შეიცავს სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ნიშნებს – ეს უკვე სისხლის

<sup>1</sup> Lehrbuch des Strafrechts der DDR, Berlin, 1957, S. 278.

<sup>2</sup> H. Gerats, Die strafrechtliche Verantwortlichkeit in der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, SS. 276-279.



სამართლის კანონი კი აღარ არის, არამედ წარმოადგენს რეალურ საზოგადოებრივ პროცესს რეალური მიზეზებითა და შედეგებით. ამიტომ საჭიროა გარკვეულ იქნას: იდენტურია თუ არა შემადგენლობის შესაბამისი ქმედობის ცნება დანაშაულებრივი ქმედობის ცნებასთან თუ იდენტურია, მაშინ რაღა საჭიროა შეიქმნას ორი ცნება: დანაშაულებრივი ქმედობისა და შემადგენლობის შესაბამისი ქმედობისა, – ჩვენი აზრით, ეს ცნებები იდენტური არ არის.

თუმცა საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს (კანონმდებლისათვის) საფუძველს შემადგენლობის შესაქმნელად, ხოლო შემადგენლობა წარმოადგენს (მოსამართლისათვის) საფუძველს საზოგადოებრივი საშიშროების დადგენისათვის, მაგრამ მაინც შემადგენლობას ვერ გავაიგივებთ საზოგადოებრივ საშიშროებასთან. ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობასთან – დანაშაულის ფორმალური ნიშანია. საზოგადოებრივი საშიშროება – მისი მატერიალური ნიშანი. დანაშაული ფორმალური და მატერიალური ნიშნების ერთობლიობას წარმოადგენს მამასადამე, დანაშაულის შემადგენლობა დანაშაულის ისეთივე აუცილებელი ელემენტია, როგორც საზოგადოებრივი საშიშროება. დანაშაულის შემადგენლობა რომ დანაშაულის აუცილებელი ელემენტია, ეს გამოხატულია თვით კანონის სიტყვებით, რომელიც ლაპარაკობს „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობაზე“.

## §5. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები

ყოველი დანაშაულის შემადგენლობა შედგება ცალკეული ნიშნებისგან, რომელთა ერთობლიობა ზუსტად აღწერს განსაზღვრული ტიპის დანაშაულებრივ ქმედობას. ადამიანის მოქმედება შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, თუ მასში არის შემადგენლობის ყველა ნიშანი. ერთი ნიშნის არარსებობაც კი გამოორიცხავს შემადგენლობას. მაგალითად, 150-ე მუხლში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს, თუ პირმა ფარულად გაიტაცა არა სხვისი, არამედ საკუთარი ქონება, ე.ი. თუ არ არსებობს ქურდობის ის ნიშანი, რომ ქონება სხვისი უნდა იყოს.

შემადგენლობის ნიშნები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად კატეგორიად: აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად. აღწერილობითი ისეთ

ნიშნებს ეწოდება, რომლებიც დანაშაულის ფაქტიურ მხარეს აღწერენ, რომლებიც მამასადამე დროსა და სივრცეში არსებობენ, და შეიძლება აღქმული იქნენ ჩვენი გრძნობების მეშვეობით. ეს ნიშნები ჩვეულებრივად მიზეზობრივად არიან დაკავშირებული მოქმედებასთან. ასეთი ნიშნებია, მაგალითად, ადამიანის სიკვდილი (მკვლელობის დროს), ქონების გატაცება (გატაცების შემადგენლობებში), ქონების დაზიანება (ქონების დაზიანების შემადგენლობაში), გამაწილელი ცნობების გავრცელება (ცილისწამების დროს) და ა.შ. არსებობენ შემადგენლობის ისეთი ნიშნებიც, რომლებიც თუმცა მიზეზობრივად არ არიან დაკავშირებული მოქმედებასთან, მაგრამ მაინც ფაქტების სფეროს ეკუთვნიან, ე.ი. ჩვენი გრძნობების მეშვეობით აღიქვებიან. ასეთია მაგალითად, ნიშანი „ნივთი“ ქონების გატაცების შემადგენლობებში, ქალის „ორსულობა“ – ორსული ქალის მკვლელობის შემადგენლობაში და აღწერილობით ნიშნების მიმართ მოსამართლეს ევალება მხოლოდ დაადგინოს, ნამდვილად არსებობს თუ არა ეს ნიშანი, მაგალითად, ნამდვილად გატაცებულია თუ არა ქონება ან ნამდვილად მოკლულია თუ არა კაცი, ნამდვილად ორსულად იყო თუ არა ქალი და სხვ.

აღწერილობითი ნიშნებისაგან განსხვავებით, შეფასებითი ნიშნები ეწოდება შემადგენლობის ისეთ ნიშნებს, რომლებიც არ შეიძლება აღქმული იქნენ ჩვენი გრძნობების მეშვეობით და რომელთა არსების დადგენა შეიძლება მხოლოდ ნორმის შემფარდებლის შეფასებითი მსჯელობის მეშვეობით, ე.ი. აზრის გარკვეული ოპერაციის შედეგად ანუ „გონების თვალთ“. ასეთი ნიშნებია მაგალითად: ნიშანი „სხვისი“ 147-ე მუხლში (სხვისი ნაწარმოების გამოშვება საკუთარი სახელით), ნიშანი „განსაკუთრებული სისასტიკე“ 104-ე მუხლში (განზრახი მკვლელობა), ნიშანი „წერილმანი“ 95-ე მუხლში (სოციალისტური ქონების წერილმანი გატაცება), ნიშანი „გარყვნილი“ 120-ე მუხლში (გარყვნილი ქმელობა), ნიშანი „სახელის გამტეხი ცნობები“ 137-ე მუხლში (ცილისწამება) და ა.შ. ის საკითხი, არის თუ არა ნაწარმოები „სხვისი“, შეიძლება დადგენილ იქნას იმ სამართლებრივი ნორმების მეშვეობით, რომლებიც აწესრიგებენ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებს (საავტორო ურთიერთობებს); საკითხი ჩადენილია თუ არა მკვლელობა „განსაკუთრებული სისასტიკით“, არის თუ არა ქმელობა „გარყვნილი“, აქვს თუ არა დამნაშავის

მერ გავრცელებულ ხმებს სახელგამტეხი ხასიათი, — ყოველივე ეს შეიძლება დადგინდეს იქნას მხოლოდ სოციალისტური ზნეობის თვალსაზრისით შეფასების მეშვეობით; საკითხი, არის თუ არა გატაცებული ქონება წვრილმანი, შეიძლება გადაეკვრათ მხოლოდ სამეურნეო (ეკონომიური) კრიტიკის მოშველიებით<sup>1</sup>.

როგორც ამ მცირეოდენი მაგალითებიდანაც ჩანს, შემადგენლობის „შეფასებით“ ნიშნები ნაკლებად ზუსტნი, ნაკლებად განსაზღვრული არიან. ამიტომ მათი დადგენა არ ხდება მათი არსებობის უბრალო კონსტატაციის მეშვეობით, არამედ მოსამართლეს უხდება გარკვეული ნორმების (სამართლებრივი თუ ზნეობრივი) ან ეკონომიური თუ სხვაგვარი კრიტერიუმის მოშველიება მათი არსების გასარკვევად. მაშასადამე, ამ ნიშნების დადგენისას მოსამართლის თავისუფალ მიხედულებას ერთგვარი გასაქანი ეძლევა. ამიტომ საბჭოთა კანონმდებელს ასეთი ნიშნები მხოლოდ მაშინ შეაქვს დანაშაულის შემადგენლობაში, როცა შემადგენლობის დახასიათება წმინდა აღწერილობითი ნიშნებით შეუძლებელია ან მეტად ძვილია.

საზღვარი დანაშაულის აღწერილობით და შეფასებით ნიშნებს შორის ხშირად მერყევიან. ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება აღწერილობითი იყოს და შეფასებითიც. ამის მაგალითი მოჰყავს ვ. მაყაშვილს, რომელიც მიუთითებს „... ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში ხელყოფის საგნად აღნიშნულია „ლოკუმენტი“ (იხ. საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე მუხლი, სადაც ლაპარაკია ლოკუმენტის გატაცების ან დაზიანების შესახებ). ლოკუმენტის ისეთი ნიშნები, როგორცაა ქალაქი, შტამპი, ხელმოწერა, ბეჭედი და სხვ., ფაქტიურნი არიან, ისინი შეიძლება აღქმულ იქნენ გრძობების მეშვეობით. ხოლო ლოკუმენტის ის თვისება, რომ მას შეუძლია იურიდიული ფაქტების დადასტურება, აღიქმება მხოლოდ გონების თვალთ<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კრიმინალისტი უარყოფს შემადგენ-

---

<sup>1</sup> ასე, მაგალითად, სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში ხ.ს. და მ.ს. საქმეზე ნათქვამია: „ყველა შემთხვევაში ის საკითხი, შეიძლება თუ არა გატაცება წვრილმანად ჩაითვალოს... სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით“ („Бюллетень Верховного суда ССР“, 1959 г., №1, стр. 10).

<sup>2</sup> В. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, „მაცნე“, 1966, №6, გვ. 77.

ლობის „შეფასებითი“ ნიშნების არსებობას. ასე, მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ავტორების აზრით, „შემადგენლობის ყველა ნიშანი აღწერილობითი (დესკრიფციული) ბუნებისა, მაშასადამე არ არსებობენ არავითარი ევრეთ-წოდებული ნორმატიული ნიშნები, ე.ი. ისეთი ნიშნები, რომლებსაც „შეფასება“ ესაჭიროებათ...“<sup>1</sup>. ამავე დროს აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები არ უარყოფენ იმასაც, რომ დანაშაულის შემადგენლობებში გვხვდება შედარებით განუსაზღვრელი ნიშნები, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა სასტიკი მოპყრობა. მაგრამ, მათი აზრით, „ასეთი ნიშნების შინაარსი იმით კი არ ღვინდება, თუ რა აზრს ჩააქსოვს მათში ცალკეული ინტერპრეტატორი (მოსამართლე, პროკურორი ან მეცნიერი), არამედ უპირველეს ყოვლისა კანონმდებლის ნებიდან და მის საფუძვლად მდებარე სპეციფიკური საზოგადოებრივი რეალობიდან ჩვენს დემოკრატიულ წყობილებაში, ე.ი. ეკონომიური, პოლიტიკური და ზნეობრივი ურთიერთობებიდან, რომლებიც აღწერილი არიან შემადგენლობის სხვადასხვა ნიშნების მეშვეობით“<sup>2</sup>.

ჩვენის აზრით, ეს მოსაზრება შემადგენლობის შეფასებითი ნიშნების წინააღმდეგ მოკლებულია საფუძველს. უკვე თვით აღიარება შედარებით განუსაზღვრელი ნიშნების არსებობისა მიგვიბრუნებს, რომ შემადგენლობის ყველა ნიშანი როდი ატარებს წმინდა ფაქტიურ, აღწერილობით ხასიათს, რომ ზოგიერთი ნიშნის არსებობის დადგენისათვის შეუძლებელია დავეკერდეთ მხოლოდ ფაქტების დადასტურებას, არამედ უნდა მივმართოთ მათ შეფასებას სოციალისტური სამართლებრივი თუ ზნეობრივი ნორმების თვალსაზრისით, სოციალისტური მართლშეგნების საფუძველზე. თავისთავად ცხადია, რომ შეფასებითი ნიშნების დადგენა სრულიადაც არ გულისხმობს კანონის შემფარდებლის თვითნებობას. ამ პროცესს და მისი მეშვეობით გამორკვეულ ცნებას ობიექტური საფუძველი აქვს. „როგორც ყოველი სხვა მსჯელობაც, შეფასებითი მსჯელობაც შეიძლება შემოწმებულ იქნეს შესაბამისი მოვლენის ან საგნის ობიექტური თვისებების

---

<sup>1</sup> იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1957, S. 282.

<sup>2</sup> იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1957, S. 283.

გარკვევით<sup>1</sup>. არსებობს განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა მოსამართლემ კანონის ინტერპრეტაციის დროს: ეს არის საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი პრინციპები და სოციალისტური მართლშეგნება, რომელთა მეშვეობით მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს კანონის ნამდვილი აზრი კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში. გასაგებია ამიტომ, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კრიმინალისტიკები აღიარებენ შემადგენლობის შეფასებითი ნიშნების არსებობას<sup>2</sup>.

2. დანაშაულის შემადგენლობაში აღწერილი ნიშნები შეეხებიან დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს და სუბიექტურ მხარეს.

საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს უბნიშვნელოვანეს სოციალისტურ ურთიერთობათა დაცვა. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამოცანაა, – ნათქვამია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის .1-ლ მუხლში, – დაიცვას საბჭოთა საზოგადოებრივი და სოციალისტური წესწყობილება, სოციალისტური საკუთრება, მოქალაქის პიროვნება და უფლებანი და მთელი სახელმწიფო მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.“

დანაშაულის ობიექტად საზოგადოდ ითვლება ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელსაც იცავს სისხლის სამართლის კანონი. დანაშაულის თითოეული ცალკეული შემადგენლობის შექმნით კანონმდებელი მიზნად ისახავს საეხებით განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვას. მაგალითად, 91-ე, 92-ე, 93-ე და სხვ. მუხლები იცავენ სოციალისტურ საკუთრებას, 104-ე, 105-ე და სხვ. მუხლები – ადამიანის სიცოცხლეს, 110-ე, 111-ე, 112-ე, 113-ე და სხვ. მუხლები – ადამიანის ჯანმრთელობას, 137-ე და 138-ე მუხლები – ადამიანის პატივსა და ღირსებას და ა.შ.

---

<sup>1</sup> В. Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений, М., 1963, стр. 122.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, В. Н. Кудрявцев, Теоретические основы..., стр. 120-129; В. Г. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, „მაცნე“, 1966, №5, გვ. 76-78. ბ. ს. ნიკიფოროვი შემადგენლობის „შეფასებითი ნიშნების“ მაგივრად ლაპარაკობს შემადგენლობის „სოციალურ ნიშნებზე“ (იხ. Б. С. Никифоров, Об умысле по действующему уголовному законодательству, „Советское государство и право“, 1965, №6, стр. 30-32).

მითითება დანაშაულის ობიექტზე ხშირად პირდაპირ მოცემულია დანაშაულის შემადგენლობაში. მაგალითად, 65-ე მუხლში (სამშობლოს ღალატი) დანაშაულის ობიექტად მითითებულია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ტერიტორიული ხელშეუხებლობა და სამხედრო ძლიერება; პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიძლება დადგენილ იქნას როგორც დანაშაულის ობიექტი მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის განმარტების მეშვეობით.

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობას ორი ობიექტი აქვს. მაგალითად, 152-ე მუხლის (ყაჩაღობის) შემადგენლობის ობიექტს წარმოადგენს როგორც საკუთრება, ისე პიროვნება.

ასეთი შემადგენლობებისაგან უნდა განეასხვავოთ შემადგენლობები, რომელთაც ალტერნატიულად ორი ან მეტი ობიექტი აქვთ. ასე, მაგალითად, 65-ე მუხლის (სამშობლოს ღალატის) ობიექტი არის: 1) ან სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, 2) ან ტერიტორიული ხელშეუხებლობა, 3) ან სამხედრო ძლიერება.

დანაშაულის შემადგენლობის აღწერისას განსაკუთრებული ყურადღება დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნებს ექცევა, ხოლო მათ შორის – შემადგენლობის ძირითად ბირთვის – ქმედობას, რომლის გარშემო თავმოყრილია ყველა სხვა ნიშანი. ქმედობა გაგებულ უნდა იქნას როგორც ადამიანის ნებელობითი აქტი, გამოხატული როგორც პოზიტიური (მოქმედების), ისე ნეგატიური (უმოქმედობის) ფორმით. შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის აგრეთვე დანაშაულებრივი ქმედობის შედეგი და მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედობასა (უმოქმედობასა) და შედეგს შორის.

იმისდა მიხედვით, შეტანილია თუ არა მითითება განსაზღვრულ შედეგზე დანაშაულის შემადგენლობაში, შემადგენლობანი ორ სახედ განიყოფებიან: შედეგიანი და შედეგგარეშე შემადგენლობანი (ამ საკითხზე დაწერილებით იხ. თავი მეხუთე). შედეგიან დანაშაულთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაჭრას (იხ. თავები მეექვსე და მეშვიდე).

დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის აგრეთვე ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ მოქმედების საშუალებას, დანაშაულის ჩადენის დროს, ადგილსა და გარემოცვას.

როგორც წესი, დანაშაულის შემადგენლობის არსებობა არ არის დამოკიდებული იმ საშუალებაზე, რომლითაც დანაშაულია ჩადენილი. მკვლელობა მკვლელობად ითვლება იმისდა მოუხედავად, დანით მოკლეს ადამიანი თუ საწამლაით, ფიზიკური თუ ფსიქიკური საშუალებით, დაღებთი მოქმედებით თუ უმოქმედობით. მაგრამ გამონაკლისის წესით არსებობენ ისეთი შემადგენლობანი, რომელნიც მოქმედების განსაზღვრულ საშუალებას მოითხოვენ. ასე, მაგალითად, 135-ე მუხლის (იბულება) შემადგენლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია ფიზიკური ძალადობის ან დასჯადი ბუქარის (ე.ი. მოკვლის, სხეულის მძიმე დაზიანების ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანების ბუქარის) მეშვეობით. ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის საშუალება თუქცა შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი არ არის, მაგრამ აკვლიფიცირებს (ამძიმებს დანაშაულს. მაგალითად, მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით ან ძრავალი ადამიანისათვის სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით წარმოადგენს მკვლელობას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში( მუხ. 104-ე, პ. მე-6).

იგივე უნდა ითქვას დანაშაულის ჩადენის ადგილისა, დროისა და პირობების შესახებ.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი, რომელიც მიღწეულია 16 წლის ასაკს (ხოლო ზოგი სახის დანაშაულისათვის – 14 წლის ასაკს). მითითება დანაშაულის სუბიექტის თვისებებზე მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში (მუხ. მუხ. მე-12-მე-13). განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში, როგორც წესი, არაფერია ნათქვამი დანაშაულის სუბიექტზე. ამიტომ იგულისხმება, რომ ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას ყოველი იმ პირის მიერ, რომელიც საზოგადოდ აღჭურვილია დანაშაულის სუბიექტის თვისებებით. მაგრამ არის ზოგიერთი დანაშაული, რომლის სუბიექტი (უფრო სწორად – რომლის ამსრულებელი) შეიძლება იყოს მხოლოდ განსაზღვრული თვისებებით აღჭურვილი პირი. ასეთია – თანამდებობის დანაშაული, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, სამხედრო დანაშაული, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო მსახური; იგივე უნდა ითქვას სამშობლოს ღალატზე. ეს დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ საბჭოთა მოქალაქემ, რომელსაც აქვს სპეციალური მოვალეობა სამშობ-

ლოს წინაშე. შეიძლება მოვიტანოთ სხვა მაგალითები: 117-ე მუხლის (გაუპატიურების) ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ მამაკაცი, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს დანაშაულის ამსრულებელი. თანამონაწილე აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედობებში შეიძლება იყოს ის პირიც, რომელსაც სუბიექტის ეს განსაკუთრებული ნიშნები არ ახასიათებს.

დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს მითითებას აგრეთვე ნიშნებზე, რომლებიც სუბიექტურ მხარეს ახასიათებენ.

შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს მიეკუთვნება, პირველ ყოვლისა, ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ბრალს და მის ფორმებს — ე.ი. განზრახვას და გაუფრთხილებლობას. ამასთან ერთად დანაშაულის შემადგენლობაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშნები, რომლებიც ქმედობის ობიექტურ ნიშნებთან ერთად მის საზოგადოებრივ საშიშროებას და მართლწინააღმდეგობას განსაზღვრავენ. ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის არსებით ელემენტს განსაზღვრული მიზანი წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა გულისხმობს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების ან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზანს (მუხ. 71-ე). ტერორისტული აქტის აუცილებელი ელემენტია საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზანი (მუხ. 67-ე), უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტის შემადგენლობაში შედის ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების მიზანი (მუხ. 68-ე), ყალბი ფულის დამზადების შემადგენლობაში — გასაღების მიზანი, ქალის მოტაცების შემადგენლობაში — ქორწინების მიზანი (მუხ. 134-ე), სპეკულაციის შემადგენლობაში — გამორჩენის მიზანი (მუხ. 165-ე) და ა.შ.

არიან შემადგენლობანი, რომელთა აუცილებელ ელემენტად კანონი ითვალისწინებს განსაზღვრულ მოტივს, ანუ შინაგან მამოძრავებელ მიზეზს. მაგალითად, მურგუობის გამოყენება სამეურვეო პირის საზიანოდ დანაშაულია მაშინ, როცა ეს ხდება ანგარების მოტივით (მუხ. 125-ე) და ა.შ.

ზოგჯერ სუბიექტური მხარის ნიშანი (განსაზღვრული მიზანი, მოტივი, გრძნობა) თუქცა შემადგენლობის არსებით, კონსტიტუციურ ელ-



ემენტს არ წარმოადგენს, მაგრამ საფუძველი ხდება ე.წ. კვალიფიციური შემადგენლობის შექმნისა. მაგალითად, მკვლევობა ანგარებით ან ხულოფურთხ ქუჩა გრძობით წარმოადგენს მკვლევობას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში (მუხ. 104-ე), ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, გვაძლევს ამ დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას (მუხ. 186-ე) და ა.შ. არის შემთხვევები, როდესაც დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშნის მიხედვით გამოპყოფენ შემადგენლობას შემამსუბუქებელი გარემოებებით.

3. დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება კვალიფიცირებული იქნას ერთი და იგივე ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით. ასეთი კლასიფიკაციისას მხედველობაში მიიღება ხელყოფის ობიექტის, ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელი ნიშნები. კანონმდებელი ერთ ან რამდენიმე ნიშანს საგანგებო მნიშვნელობას აძლევს და ამის საფუძველზე დანაშაულის მარტივი, ძირითადი შემადგენლობიდან ცალკე გამოყოფს ისეთ შემადგენლობას, რომელიც დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებს ასახავს.

ამისდა მიხედვით განასხვავებენ დანაშაულის შემადგენლობის სამ სახეს: ა) დანაშაულის შემადგენლობის მარტივი ანუ ძირითადი სახე. ასეთი შემადგენლობა არ ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებს. ასეთია, მაგალითად, მკვლევობის მარტივი შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლში; ბ) დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიციური სახე. ასეთ შემადგენლობაში ასახულია იგივე ქმედობა, მაგრამ ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში. მაგალითად, 104-ე მუხლი ითვალისწინებს განზრახ მკვლევობას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში, გ) დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც შემამსუბუქებელ გარემოებებს ითვალისწინებს. ასეთია, მაგალითად, 106-ე მუხლი, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლევობისათვის.

ზემოაღნიშნული იმას როდი ნიშნავს, თითქოს ყველა დანაშაულის შემადგენლობა სამ სახედ იყოფოდეს. მრავალი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მხოლოდ ერთ შემადგენლობაშია გათვალისწინებული (მაგალითად, საშიშ მდგომარეობაში

ჩაყენება – მუხ. 128-ე, დახმარების აღმოუჩენლობა – მუხ. 130-ე, შრომის კანონმდებლობის დარღვევა – მუხ. 144-ე და სხვ.) გარდა ამისა, ზოგიერთი დანაშაული შეიძლება ორ, ძირითად და კვალიფიციურ შემადგენლობაში იყოს გათვალისწინებული (მაგალითად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა – მუხ. 97-ე, პირადი ქონების გამოძალვა – მუხ. 154-ე, პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება – მუხ. 157-ე და სხვ.). დასასრულ, დანაშაულთა გარკვეული ჯგუფი ასახულია ძირითად შემადგენლობასა და ისეთ შემადგენლობაში, რომელიც შემამსუბუქებელ გარემოებებს ითვალისწინებს (მაგალითად, ბავშვის მოტაცება ან შეცვლა – მუხ. 127-ე, მიმოწერის საიდუმლოების დარღვევა – მუხ. 143-ე და სხვ.).

ზოგჯერ ძირითადი შემადგენლობისაგან ნაწარმოები შემადგენლობის დამოუკიდებლობა იმდენად მაღალი ხარისხისაა, რომ ზემოაღნიშნული საშწევროვანი კლასიფიკაცია თავის მნიშვნელობას კარგავს. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, რომელიც სისხლის სამართლის ლიტერატურაში ცნობილია ე.წ. სპეციალობის პრინციპის სახელწოდებით. სპეციალობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ორი სისხლისსამართლებრივი ნორმა ერთმანეთთან იმყოფება ზოგადი და სპეციალური ნორმების მიმართებაში. სპეციალურ სისხლისსამართლებრივ ნორმას უპირატესობა ეძლევა ზოგად სისხლისსამართლებრივ ნორმასთან შედარებით (*lex specialis derogat legi generalis*). სპეციალური სისხლისსამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს განსაზღვრული ქმედობის სპეციფიკურ საზოგადოებრივ საშიშროებას. ზოგადი და სპეციალური ნორმების დამოკიდებულების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დამოკიდებულება 196-ე მუხლსა (ხელისუფლების ან სამსახურებრივი დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება) და სხვა თანამდებობრივ დანაშაულთა შორის, დანაშაულის დაფარვასა (მუხ. 205-ე) და შეგნებულად ცრუ ჩვენებას შორის (მუხ. 197-ე) და სხვ.

გარდა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა, დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნენ მათი სტრუქტურის მიხედვით. ამ თვალსაზრისით დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება დავყოთ მარტივ შემადგენლობად და რთულ ანუ შენადგენ შემადგენლობად. მარტივი შემადგენლობა პირველად აფუძნებს საზოგადოე-

ბრივად საშიში ქმედობის დანაშაულებრიობას. მოცემული შემადგენლობის გარეშე შესაბამისი ქმედობა დანაშაული არ იქნებოდა. ეს არ ითქმის შენადგენ დანაშაულზე. შენადგენი დანაშაული არსებობს მაშინ, როდესაც ორი ან მეტი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედობა ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ სხვა, მესამე ერთიან დანაშაულს ქმნიან. შენადგენი დანაშაულია, მაგალითად, ყაჩაღობა, ყაჩაღობის შემადგენლობა აერთიანებს ორი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. ესენია: 1) პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა, 2) მოქალაქის პირადი ქონების ან სახელმწიფო სოციალისტური ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

რთული დანაშაულის შემადგენლობის სახეებია აგრეთვე ალტერნატიული შემადგენლობა და კუმულაციური შემადგენლობა. ალტერნატიული შემადგენლობა ხასიათდება იმით, რომ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარისია კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ნიშნის არსებობა. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებულა საწარმოთა, ნაგებობათა, გზათა და მიმოსვლის საშუალებათა, კავშირგაბმულობის საშუალებათა ან სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დანგრევა ან დაზიანება აფეთქებით, ცეცხლის წაქიფებით ან სხვა გზით, მასობრივი მოწამვლა ან ეპიდემიებისა და ეპიზოტიების გავრცელება საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით. ამ დანაშაულისათვის საკმარისია, თუ სუბიექტი ერთ-ერთ აღნიშნულ მოქმედებას ჩაიდენს.

კუმულაციური შემადგენლობა ხასიათდება ან ორი მოქმედებით, ან ბრალის ორი ფორმით, ან ორ ობიექტზე ხელყოფით. მაგალითად, ორი მოქმედება გათვალისწინებულია სპეკულაციის შემადგენლობაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად დამთავრებული სპეკულაციის შემადგენლობისათვის აუცილებელია საქონლის ან საგნების შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით. ბრალის ორი ფორმის არსებობა აუცილებელია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისათვის (სხეულის მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი). ამ შემადგენლობისათვის თავდაპირველად უნდა დადგინდეს განზრახი ბრალი სხეულის მძიმე

დაზიანებისადმი, ხოლო შემდეგ გაუფრთხილებელი ბრალი დაზარალებულის სიკვდილისადმი. ერთდროულად ორ ობიექტს – საბჭოთა იუსტიციის ორგანოების სწორ, კანონიერ საქმიანობას და პიროვნების ინტერესებს აზიანებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული (უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში).

## §6. ბურჟუაზიული თეორიები დანაშაულის შემადგენლობის შესახებ

ბურჟუაზიული იურისპრუდენცია იცნობს დანაშაულის შემადგენლობის ცნებას ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით დანაშაულის შემადგენლობად ითვლება კანონით აღწერილი ყველა პირობა ქმედობის დასჯადობისა, მაშასადამე ამ ცნებაში შედის მართლწინააღმდეგობა და ბრალიც. ხოლო შემადგენლობა ვიწრო მნიშვნელობით, ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის აზრით, ეს არის ქმედობის დამახასიათებელი თვისებების აღწერა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამოკლებით. ამ ვიწრო ცნების მიხედვით „დანაშაულის შემადგენლობისადმი შესაბამისობა“ დანაშაულის ცნების დამოუკიდებელი ელემენტია – მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ელემენტებთან ერთად.

დანაშაულის შემადგენლობის ასეთი ცნების დადგენა ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ე. ბელინგის დამსახურებად ითვლება. 1906 წელს გამოაქვეყნა ბელინგმა თავისი ცნობილი მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულზე“ (Die Lehre vom Verbrechen) და მას შემდეგ გერმანიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამუდმებით მიმდინარეობს დანაშაულის შემადგენლობის ცნების შესახებ.

საშუალო საუკუნეების იურისპრუდენცია დანაშაულის შემადგენლობის ცნებას თანამედროვე გაგებით არ იცნობდა. თავდაპირველად არ არსებობდა თვით ეს ტერმინიც. მის მაგივრად ხმარობდნენ ტერმინს corpus delicti, მაგრამ ეს ტერმინი უფრო პროცესუალური შინაარსის მქონე იყო, ვიდრე მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსისა. როგორც ცნობილია, საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია ორ ნაწილად განიყოფებოდა –

ზოგად ინკვიზიციად და სპეციალურ ინკვიზიციად. ზოგადი ინკვიზიციის ამოცანა იყო დაედგინა თვით დანაშაულის ფაქტის არსებობა, ხოლო ამის შემდეგ საქმე გადაიგზავნებოდა სპეციალურ ინკვიზიციაში, რომელიც უკვე განსაზღვრული დანაშაულის წინააღმდეგ იყო მიმართული და მიზნად ისახავდა, გამოეტყვნა ეს დანაშაულები ჩადენილ დანაშაულში. „დაწყებული ფარინაციუსიდან (1581) ტერმინი და ცნება „corpus delicti“ ნიშნავს ჩადენილი დანაშაულის გარეგან ნიშნებს, ე.ი. დანაშაულის დამამტკიცებელ ყველა ობიექტურ გარემოებას... „corpus delicti“ იყო სპეციალური ინკვიზიციის პროცესუალური წინამძღვარი“<sup>1</sup>.

ტერმინი „შემადგენლობა“ პირველად გვხვდება გერმანელი იურისტის ე. კლაინის 1791 წ. გამოცემულ შრომაში. კლაინის აზრით, „ფაქტები, რომლებიც, ერთობლივად აღებულნი, განსაზღვრავენ გარკვეული სახის დანაშაულის ცნებას, წარმოადგენენ შემადგენლობას (corpus delicti)“<sup>2</sup>.

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, კლაინის მიხედვით შემადგენლობა არის არა დანაშაულის ზოგადი ცნება, არამედ ცნება დანაშაულის ცალკეული სახის შესახებ.

ასევე ა. ფოიერბახის მოძღვრებაშიც შემადგენლობა არის აბსტრაგირებული ცნება ცალკეული, განსაზღვრული ქმედობის (მკვლელობის, ცეცხლის წაკიდების და სხვ) შესახებ. იგი განსაზღვრავს შემადგენლობას როგორც „რაიმე კონკრეტული ქმედობის ან ფაქტის ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც მოცემულია განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო ქმედობის საკანონმდებლო ცნებაში...“<sup>3</sup>. დანაშაულის შემადგენლობას ა. ფოიერბახი აკუთვნებდა ძირითადად ქმედობის ობიექტურ ნიშნებს, ე.ი. ქმედობას და შედეგს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებდა, რომ ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში, კერძოდ იმ დანაშაულთა შემადგენლობაში, რომლებიც თავისი ბუნებით აუცილებლად სპეციალურ მიზანს მოითხოვენ, შედის აგრეთვე წმინდა სუბიექტური ნიშნები (მაგალითად, animus lucri faciendi ქურდობის შემადგენლობაში). სუბიექტური ნიშნები, კერძოდ, განზრახვა, არ მიეკუთვნება შემადგენლობას ყველა იმ

<sup>1</sup> იხ. Heinrich Schweikert, Die Wandlungen der Tatbestandslehre seit Beling, Karlsruhe, 1957, S. 7.

<sup>2</sup> კლაინი ციტირებულია შვაიკერტის წიგნის მიხედვით, გვ. 8.

<sup>3</sup> A. Feuerbach., Lehrbuch des gemeinen in Deutschland gültigen peinlichen Rechts, V Aufl., Giessen, 1912, p. 81.

დანაშაულის შემადგენლობაში, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნას არა მარტო განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობითაც<sup>1</sup>. ამ, პრინციპულად მაინც ობიექტურ შემადგენლობას ა. ფოიერბახმა დაუპირისპირა სუბიექტური მომენტები. ეს მომენტები, რომლებიც დაკავშირებული არიან თვით დანაშაულის პიროვნებასთან, მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ იმ საკითხის გადაჭრისას, შეიძლება თუ არა ქმედობა ბრალად შეერაცხოს კონკრეტულ პიროვნებას.

დებულებას, რომ ბრალის ნიშნები დანაშაულის შემადგენლობაში არ შედის, იზიარებს შტიუბელიც, მხოლოდ შემადგენლობისა და შერაცხვის გაყოფა და დაპირისპირება მას უფრო მკვეთრად აქვს გატარებული, ვიდრე ფოიერბახს. შტიუბელის აზრით, „დანაშაულის შემადგენლობა არის ყველა იმ ფაქტის ერთობლიობა, რომლებსაც შედეგად უნდა მოყვეს კრიმინალურ კანონში განსაზღვრული სასჯელი, იმ ფაქტების გამოკლებით, რომლებიც შერაცხვის უნარს ეკუთვნიან“<sup>2</sup>, თანაც „შერაცხვის უნარის“ („Zurechnungsfähigkeit“) შტიუბელი აკუთვნებს *dolus*-სა და *culpa*-ს, აგრეთვე მართლწინააღმდეგობის შეგნებას, რომლებიც ერთობლივად „სუბიექტურ დასჯადობას“ ასაბუთებენ“<sup>3</sup>. ამავე დროს, ფოიერბახის მსგავსად, ისიც აღიარებს შემადგენლობის სუბიექტური ელემენტების არსებობას (მაგალითად, გამდიდრების განზრახვა ქურდობის დროს). „შეუძლებელია უარყოთ, რომ განსაზღვრული პიროვნული თვისებები და სუბიექტური ფაქტები ეკუთვნიან განსაზღვრულ დანაშაულთა არსებას ანუ ბუნებას, ასე რომ ამ ნიშნების არარსებობის შემთხვევაში დანაშაულიც არ არსებობს... მაგრამ ისინი მხოლოდ იმდენად მიეკუთვნებიან შემადგენლობას, რამდენადაც ცვლიან ქმედობის მართლწინააღმდეგობას და დანაშაულის სიმძიმეს ანდა ხაზავენ განმასხვავებელ ზღვარს სხვადასხვა კლასის დანაშაულთა შორის, და არა იმდენად, რამდენადაც მათზე დამოკიდებულია სუბიექტური დასჯადობა და შერაცხვა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> როგორც ქ. შვაიკერტი აღნიშნავს, ა. ფოიერბახმა 100 წლით ადრე, ვიდრე ნავლერმა და შ. ე. მაიერმა, აღმოაჩინა და დაასაბუთა შემადგენლობის სუბიექტური ნიშნების არსებობა (იხ. H. Schweikert, op. cit. პ. 9).

<sup>2</sup> K. Stübel, Über den Tatbestand der Verbrechen, Wittenberg. 1805, S. 1.

<sup>3</sup> Ibid, p. 1.

<sup>4</sup> Ibid, §2.

ვ. ფოიერბახმა და შტიუბელმა მოამზადეს ნიადაგი შემადგენლობის ცნების შემდგომი დამუშავებისათვის, ხოლო შემადგენლობის ცნება თანამედროვე გაგებით პირველად ჩამოაყალიბა ე. ბელინგმა თავის მონოგრაფიაში დანაშაულის ცნების შესახებ.

„შემადგენლობა, — ბელინგის აზრით, — წარმოადგენს იმ ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც მიგვითითებენ, თუ რომელი ტიპის დანაშაულთან გვაქვს საქმე...“<sup>1</sup>. „შემადგენლობა უნდა განისაზღვროს როგორც დანაშაულის ტიპის მონახაზი“<sup>2</sup>.

თავისი მონოგრაფიის შესავალში ბელინგი მიუთითებს, რომ შემადგენლობა, როგორც ძირითადი სისხლისსამართლებრივი ცნება, არ ეკუთვნის სისხლის სამართლის მხოლოდ განსაკუთრებულ ნაწილს, განსაკუთრებულ ნაწილს მარტოოდენ ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობანი ეკუთვნიან. ხოლო, ბელინგის აზრით, ჩადენილი ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი წარმოადგენს დანაშაულის ზოგად აუცილებელ ნიშანს. სწორედ ამ ნიშანზე ააგო ბელინგმა თავისი მოძღვრება დანაშაულის შესახებ. „ტიპიურობა ანუ შემადგენლობისადმი შესაბამისობა წარმოადგენს დანაშაულის აბსტრაქტულ ნიშანს; იგი არის დანაშაულის თვისება, მისი *conditio sine qua non*“<sup>3</sup>.

თვით დანაშაულის ცნება ბელინგის სისტემაში სამი ელემენტისაგან შედგება, ე.ი. გარდა ქმედობის შესაბამისობისა დანაშაულის შემადგენლობისადმი, იგი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. „დანაშაული არის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული, სასჯელით დამუქრებული და დასჯადობის პირობების შემცველი ქმედობა“<sup>4</sup>.

მამსადაძე, ბელინგი მკვეთრად მოგნავს ერთმანეთისაგან ქმედობის შესაბამისობას დანაშაულის შემადგენლობისადმი, მართლსაწინააღმდეგობას და ბრალეულობას. მოსამართლემ, მისი აზრით, შემდეგი თანამიმდევრობით უნდა დაადგინოს დანაშაულის ზემოთ მითითებული ელემენტების არსებობა. თავდაპირველად მან უნდა დაადგინოს ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი. ამით ხორციელდება

<sup>1</sup> E. Beling. Die Lehre vom Verbrechen, Tübingen, 1906, S. 6.

<sup>2</sup> Ibid, p. 110.

<sup>3</sup> Ibid, p. 24.

<sup>4</sup> Ibid, p. 7.

შემადგენლობის საგარანტიო ფუნქცია. იგი გამოხატავს პრინციპს: *nullum crimen sine lege*. შემდეგ უნდა დადგინდეს, რომ ეს ქმედობა ობიექტურად მართლსაწინააღმდეგოა, თანაც მართლწინააღმდეგობა გააგებულა როგორც წმინდა ობიექტური კატეგორია. დაბოლოს მოსამართლე ბრალულობის დადგენით წვეტს განსაზღვრული პირისათვის ქმედობის შერაცხვის საკითხს.

ეხლა საინტერესოა, რა შინაარსი აქვს ბელინგის მიერ დადგენილ შემადგენლობის ცნებას, როგორია ამ ცნების მოცულობა?

შემადგენლობა, ბელინგის სისტემაში, მხოლოდ ქმედობის ობიექტური ნიშნების აღწერაა. მაშინაც კი, როდესაც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში პირდაპირ მითითებულია სუბიექტურ ნიშანზე (მაგალითად, მთვისების მიზანი ქმედობის შემადგენლობაში), ეს ნიშანი ბელინგს შემადგენლობის ელემენტად არ მიაჩნია. იგი, განზრახვასა და გაუფრთხილებლობასთან ერთად, ბელინგის აზრით, ბრალის კვაში შედის, ხოლო ბრალი შემადგენლობიდან გამორიცხულია. ბრალი არის ფსიქიკური დამოკიდებულება შემადგენლობის ნიშნებისადმი, რომლებიც წმინდა ობიექტურ ხასიათს ატარებენ.

ბელინგი გამორიცხავს შემადგენლობის ცნებიდან აგრეთვე იმ ნიშნებს, რომლებიც შეფასებით ხასიათს ატარებენ. შემადგენლობას იგი მხოლოდ ფაქტიური ხასიათის გარემოებებს (*Tatumstande*) აკუთვნებს. ისეთი ნიშნები, როგორიცაა, მაგალითად, ნიშანი „სხვისი“ ან ნიშანი „უკანონო“ და სხვ. მისთ., რომლებიც ზოგჯერ მოხსენებულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, არ წარმოადგენენ შემადგენლობის ნიშნებს, არამედ მართლწინააღმდეგობას მიეკუთვნებიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბელინგის სისტემაში შემადგენლობა როგორც აბსტრაქტული იურიდიული წარმონაქმნი, რომელსაც წმინდა დესკრიფციული (აღწერილობითი) ხასიათი აქვს, მკვეთრად არის გამოყოფილი მართლწინააღმდეგობისაგან როგორც შეფასებითი მსჯელობისაგან.

„იმის დადასტურება, რომ შესრულებულია შემადგენლობა, თავისთავად არავის არ აკისრებს პასუხისმგებლობას. შემადგენლობაში არ ძვეს შეფასებითი მსჯელობა. მართალია, არსებობენ შემადგენლობანი, რომელთა განხორციელება, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ თავისთავად ტიპიურობა არასდროს არ იძლევა მზამზარეულ დასკვნას, რომ პირი მოქმედებდა არამართლზომიერად. მართლწინააღმ-



დევობა – დამოუკიდებელი პრობლემაა. შემადგენლობის შესაბამისობის გამოკვლევა წმინდა ნეიტრალურ ნიადაგზე რჩება“<sup>1</sup>.

მაგალითად, თუ ვინმემ კაცი მოკლა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ: მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იყოს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან ბრძოლის ველზე (ჯარისკაცის მიერ საბრძოლო ვითარებაში მტრის მოკვლა).

ამიტომ საკმარისი არ არის, რომ მოსამართლემ დაადგინოს ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი. ამ საკითხის გადაჭრის შემდეგ მოსამართლემ მეორე საკითხი უნდა გადაჭრას: არის თუ არა შემადგენლობის შესაბამისი ქმედობა ამავე დროს მართლსაწინააღმდეგოც. ეს უკვე მოსამართლის წმინდა შეფასებით მსჯელობას წარმოადგენს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შემადგენლობის არსებობასთან.

იბადება კითხვა: თუ შემადგენლობა წმინდა აღწერილობითი ხასიათისა და თუ მოსამართლის მსჯელობას ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათზე არაფერი აქვს საერთო პირის მოქმედებაში შემადგენლობის ნიშნების არსებობასთან, მაშინ რას ეფუძნება მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ? ეს მსჯელობა, ბელინგის აზრით, ეფუძნება სისხლის სამართლის კანონის გარეშე მდებარე ნორმებს. ნორმების ერთობლიობა, ე.ი. მართლწესრიგი მთლიანად წარმოადგენს საფუძველს იმ საკითხის გადასაჭრელად, არის თუ არა ქმედობა მართლსაწინააღმდეგო. ხოლო დანაშაულის შემადგენლობის როლი ამ მსჯელობისათვის მეტად მცირეა. შემადგენლობა მხოლოდ ამახვილებს მოსამართლის ყურადღებას, რომ საჭიროა შესწავლილ იქნას მართლწინააღმდეგობის საკითხი.

ბელინგის შეხედულებასთან ამ საკითხში მეტად ახლოს დგას მ. ე. მაიერის თეორია. მისი აზრით, დანაშაულის შემადგენლობა არის მართლწინააღმდეგობის სამხილი, *ratio cognoscendi* (საფუძველი შეცნობისა) და არა *ratio essendi* (საფუძველი მისი არსებობისა). დანაშაულის შემადგენლობა, – ამტკიცებს მაიერი, – ისეთსავე ურთიერთობაშია მართლწინააღმდეგობასთან, როგორშიც არიან კვამლი და ხანძარი. ისევე, როგორც კვამლის არსებობა მიგვიითითებს, რომ საჭიროა გაეიგოთ, ხომ არ არის ხანძარი, შემადგენლობის არსებობაც მიგვიითითებს,

<sup>1</sup> Ibid, p. 147

რომ საჭიროა შევისწავლოთ მართლწინააღმდეგობის საკითხი. მაგრამ ისევე, როგორც კვამლი არ ამტკიცებს თავისთავად ხანძრის არსებობას, შემადგენლობაც თავისთავად არ ამტკიცებს მართლწინააღმდეგობის არსებობას, არ აფუძნებს მას<sup>1</sup>.

მართლწინააღმდეგობის საკითხის გადაჭრაში მაიერი კიდევ უფრო შორს მიდის, ვიდრე ბელინგი. მ. ე. მაიერის აზრით, მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ უნდა გადაწყდეს „კულტურის ნორმების“ საფუძველზე. ამგვარად, ნორმათა ერთობლიობის, მართლწესრიგის ადგილს მ. ე. მაიერის მოძღვრებაში „კულტურის ნორმების“ კიდევ უფრო გაურკვეველი ცნება იჭერს.

ბელინგის მოძღვრება შემადგენლობის შესახებ არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, ჯერ ერთი, არ არის სწორი, რომ ბელინგმა და მისმა მიმდევრებმა გამორიცხეს ყოველგვარი სუბიექტური ელემენტი დანაშაულის შემადგენლობის ცნებიდან. თუ პირმა მოიტაცა სხვისი ქონება დროებითი სარგებლობისათვის (მაგალითად, მალულად შეგვდა სხვისი ცხენზე გასასეირნებლად), ამ შემთხვევაში ქურდობის შემადგენლობა არ გვექნება სწორედ იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა სხვისი ნივთის მითვისების მიზანი. მაშასადამე, ამ შემთხვევაში სუბიექტური ნიშანი (“მითვისების მიზანი”) ქურდობის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს. ასევე არ არსებობს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შემადგენლობა, თუ პირს, რომელმაც თავისი მოქმედებით ობიექტურად საფრთხე შექმნა სამართლის მიერ დაცული ობიექტისათვის, არ ჰქონდა ამ ობიექტის დაზიანების განზრახვა.

მეორე, შემადგენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს ყოველგვარ შეფასებას მოკლებულ, სოციალურად ინდიფერენტულ, ნეიტრალურ ცნებად. როდესაც კანონმდებელი ადამიანთა უპირავე მოქმედებისაგან გამოჰყოფს განსაზღვრულ ქმედობებს, როგორც დანაშაულის შემადგენლობებს ამით იგი აღიარებს, რომ ასეთი ქმედობები საზოგადოებრივად საშიშნი და მართლწესრიგის საწინააღმდეგონი არიან. უკვე თვით შემადგენლობის დადგენა და დანაშაულთა აბსტრაქტული ტიპების შექმნა კანონმდებლის შეფასებითი მსჯელობის შედეგია. მაშასადამე, შემადგენლობა, ერთი მხრივ, ხოლო ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, მე-

<sup>1</sup> იხ. M. E. Mayer, Strafrecht. Allgemeiner Teil, 1915, SS. 10, 182.

ორე მხრივ, არ შეიძლება გათიშულ იქნას ერთმანეთისაგან როგორც ფაქტისა და შეფასების სფერო, როგორც კანონის მიერ ფაქტობრივ გარემოებათა აღწერილობა და მოსამართლის შეფასებითი მსჯელობა.

ბნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ბელინგისა და მაიერის შეხედულება შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის შესახებ ეფუძნება ბინდინგის ნორმათა თეორიას. ბელინგი და მაიერი მართლწინააღმდეგობის ცნებას სისხლის სამართლის კანონს კი არ უკავშირებენ, არამედ მის გარეშე ეძებენ. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ თუ ბინდინგის აზრით მართლწინააღმდეგობას ასაბუთებს ცალკეული ნორმა, რომელიც სამართლის სხვა დარგში ძვეს (სამოქალაქო ან სხვ. სამართალში), ბელინგის აზრით, მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ ეფუძნება მართლწესრიგს როგორც მთლიანობას, ხოლო მაიერის მიხედვით — „კულტურის ნორმებს“. მაგრამ სამივე ავტორისათვის ეს არის შეფასებითი მსჯელობა, რომელიც ემყარება არა დანაშაულის შემადგენლობას, აღწერილს სისხლის სამართლის კანონში, არამედ ნორმებს, რომლებიც ფაქტიურად და ლოგიკურად წინ უსწრებენ სისხლის სამართლის კანონს.

აღსანიშნავია, რომ ბელინგის მიერ შექმნილი მოძღვრება დანაშაულის შემადგენლობის შესახებ სუბიექტურად ვერ კიდევ არ იყო მიმართული ბურჟუაზიული კანონიერების ნგრევისა და მოსამართლის თვითნებობის დანერგვისაკენ. როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი კრიმინალისტი კ. პოლაკი მოუთითებს, პირიქით, ბელინგის აღნიშნული შრომა დაწერილი იყო სოციოლოგიური სკოლის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა დაეცვა სისხლის სამართლის დოგმატიკა ამ სკოლის გამანადგურებელი ზეგავლენისაგან. ბელინგისათვის „სისხლის სამართალი არ უნდა გამხდარიყო თვითნებობის სამართალი, სისხლის სამართლის კანონს არ უნდა წართმეოდა თავისი ფუნქცია — იყოს სამართლებრივი გარანტიების გამტარებელი — რაც სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლებიდან გამომდინარეობს. ყოველი ქმნობა როდი შეიძლება გახდეს საფუძველი მოსამართლის შეფასებითი მსჯელობისა, არამედ მხოლოდ ადამიანის ქცევის განსაზღვრული ტიპის შესაბამისი ქმნობა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> К. Полак, Учение о составе преступления в буржуазной уголовно-правовой литературе. „Советское государство и право“, 1940 г., N 12, стр. 75.

და მაინც ბელინგის თეორია წარმოადგენს იმ დასაწყის მომენტს, საიდანაც დანაშაულის შემადგენლობის ცნებაში შეიჭრება თვითნებობისა და ბურჟუაზიული კანონიერების რღვევის ელემენტები. ეს მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ უარყოფილია კანონით დადგენილი შემადგენლობის როლი მართლწინააღმდეგობის შესახებ შეფასებითი მსჯელობისათვის. ამ მსჯელობის საფუძველს უკვე სისხლის სამართლის კანონი კი აღარ წარმოადგენს, არამედ ამ კანონის გარეშე მდებარე მომენტები. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ მ. ე. მაიერის „კულტურის ნორმები“, რომლებიც გასცდნენ არათუ სისხლის სამართლის, არამედ საერთოდ სამართლის ფარგლებს. „კულტურის ნორმების“ კრიტიკიუმი არსებითად კლასობრივი კრიტიკიუმი. საკმარისია შევამოწმოთ, თუ რა პრაქტიკული დასკვნები გამოაქვთ ბურჟუაზიულ კრიმინალისტიკებს შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ცნებათა ასეთი დაპირისპირებიდან, და მაშინვე დავინახავთ ამ თეორიის რეაქციულ-კლასობრივ ხასიათს.

როგორც თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები ადასტურებენ, დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ასეთ გაგებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი შეეხება კერძო მეწარმეთა გათავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან იმ „უბელური შემთხვევებისათვის“, რომელთაც ადგილი აქვს წარმოებაში. მტკიცება, რომ შემადგენლობა მართლწინააღმდეგობას არ ასაბუთებს, შესაძლებლობას აძლევს ბურჟუაზიულ მოსამართლეს გაამართლოს საწარმოს პატრონი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის იმაზე მითითებით, რომ საწარმოს პატრონის მოქმედება, რომლითაც დანაშაულბრივი შედეგა გამოწვეული, არ ეწინააღმდეგება მართლწესრიგს მთლიანად, არ ეწინააღმდეგება „კულტურის ნორმებს“ და ამიტომ არ არის მართლსაწინააღმდეგო.

ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტიკი პ. ტარნოვსკი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „უმეტეს შემთხვევაში, როდესაც მუშა განიცდის ზიანს მანქანის მართვის დროს საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, საწარმოს პატრონის დასჯას, რა თქმა უნდა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს“<sup>1</sup> ამიტომ პ. ტარნოვსკის აზრით, სისხ-

<sup>1</sup> H. Tarnowski, Die systematische Bedeutung der adäquaten Kausalitätstheorie für den Aufbau des Verbrechensbegriffs, 1927, S. 255.

ლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ „შესაძლებელი იყოს გამოვრიცხოთ მეწარმეთა პასუხისმგებლობა საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევისათვის, როგორც წესი მაინც“<sup>1</sup>.

თუ ბელინგი და მისი მიმდევრები მკვეთრად უპირისპირებენ ერთმანეთს შემადგენლობას როგორც აღწერილობით ცნებას და მართლწინააღმდეგობას როგორც შუფასებით მსჯელობას, ბურჟუაზიულ იურისტთა მეორე ჯგუფი პირიქით იმ აზრს ემხრობა, რომ მართლწინააღმდეგობა სავსებით უნდა გაითქვიფოს შემადგენლობის ცნებაში. ამ შეხედულებას იზიარებს „შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების თეორია“, რომლის ძირითადი წარმომადგენლები არიან მირეიჩკა<sup>2</sup>, ბაუმგარტენი<sup>3</sup>, კაუფმანი<sup>4</sup> და სხვ.

ზემოხსენებული ავტორების აზრით შემადგენლობა შედგება არა მარტო პოზიტიური ნიშნებისაგან, რომლებიც პირდაპირ მითითებულია სისხლის სამართლის კანონში (მაგალითად, სხვა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა), არამედ აგრეთვე ნეგატიური ნიშნებისაგან, რომლებიც შემადგენლობაში პირდაპირ მითითებული არ არიან, მაგრამ მასში მდუმარედ იგულისხმებიან. ასეთი ნეგატიური ნიშნებია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, დაზარალებულის თანხმობა, სავალდებულო ბრძანების, პროფესიული ფუნქციის, უფლების ან ვალდებულების შესრულება და ა.შ.). ეს ნიშნები იგულისხმებიან შემადგენლობაში ნეგატიურად, ე.ი. როგორც არარსებულნი. მაშასადამე, შემადგენლობას ადგილი აქვს მაშინ, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება, ზოლო თუ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება, შემადგენლობა არ არის. „... მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ყველა გარემოების კომპლექსის არარსებობა წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის პოზიტიურ ნიშანს, ანუ, სხვაგ-

<sup>1</sup> Ibid, p. 256.

<sup>2</sup> A. Miřička, Die Formen der Strafschuld und ihre gesetzliche Regelung. Tübingen, 1907.

<sup>3</sup> A. Baumgarten, Der Aufbau der Vebrechenslehre, 1913.

<sup>4</sup> A. Kaufmann, Schuld und Strafe. Studien zur Strafrechtsdogmatik, 1966.

ვარად რომ ვთქვათ, ასეთი შემთხვევების კომპლექსი წარმოადგენს შემადგენლობის ნეგატიურ ნიშანს<sup>1</sup>. მართლწინააღმდეგობის გამოძრვიცხველი გარემოებანი ისეთივე ნიშნებია ყველა შემადგენლობისა, როგორც მაგალითად, „სხვისი ქონება“ ან „მითვისების მიზანი“ ქონების გატაცების შემადგენლობისათვის, და კანონმდებელს რომ შესძლებოდა „ასე უბრალოდ და ზუსტად, ერთი გამოთქმით... რეალურად აღენიშნა ყველა შემთხვევა, როდესაც მაგალითად, მკვლელობა, ან ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა ან სხვის სახლში შეჭრა მართლსაწინააღმდეგოა, და გამოეყო ეს შემთხვევები მართლწინააღმდეგობის გამოძრვიცხვის შემთხვევებისაგან, – ეჭვს გარეშეა, რომ კანონმდებელი აქაც ასე მოიქცეოდა; იგი შეიტანდა ამ გამოთქმას თითოეული დანაშაულის კანონისმიერ განსაზღვრებაში“<sup>2</sup> და თუ კანონმდებელი ასე არ მოიქცა, არამედ მხოლოდ კოდექსის ზოგად ნაწილში მოუთითა აუცილებელ მოგერიებაზე და უკიდურეს აუცილებლობაზე, თანაც ამასთან ერთად მდუმარედ დაუშვა პასუხისმგებლობის გამოძრვიცხველი მრავალი სხვა გარემოებანი, ეს მხოლოდ ტექნიკური მოსაზრებებით ხდება<sup>3</sup>.

აქედან „შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ თეორიის წარმომადგენლები აკეთებენ დასკვნას, რომ პასუხისმგებლობის გამოძრვიცხველი გარემოების, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის არსებობა გამოძრვიცხავს არა მარტო ქმედობის მართლწინააღმდეგობას, არამედ აგრეთვე შემადგენლობასაც.

„შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ თეორიის თაობაზე უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ იგი ხსნის საერთოდ მართლწინააღმდეგობის პრობლემას. ამ თეორიისათვის მართლწინააღმდეგობა არ წარმოადგენს დანაშაულის ცნების დამოუკიდებელ ნიშანს, არამედ იგი შემადგენლობის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია, თანაც ისეთი ელემენტი, რომელიც გათანაბრებულია შემადგენლობის სხვა ელემენტებთან, მაგალითად, ნიშანთან „სხვისი“ ქონება გატაცების დროს.

ჩვენის აზრით, არც მართლწინააღმდეგობა როგორც შემადგენლობის პოზიტიური ნიშანი, არც მართლწინააღმდეგობის არარსებობა როგორც

<sup>1</sup> ა. მიჩურა, დასახ. ნაშრ., გვ. 124-125.

<sup>2</sup> ა. მიჩურა, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

<sup>3</sup> იქვე

შემადგენლობის ნეგატიური ნიშანი, არ შეიძლება დაყვანილ იქნას შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტამდე, ვინაიდან იგი ახასიათებს შემადგენლობის ყველა ნიშანს, ერთად აღებულს. ქურდობის შემადგენლობა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც შემდგარი ასეთი ნიშნებისაგან: 1) სხვისი ქონების, 2) ფარულად 3) ამოღება სხვისი მფლობელობიდან, 4) მისი მისაკუთრების მიზნით, 5) თუ იგი მართლსაწინააღმდეგოა (ან „შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების“ თეორიის მიხედვით – თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი არც ერთი გარემოება).

მართლწინააღმდეგობა შემადგენლობის დამოუკიდებელი ნიშანი კი არ არის, არამედ იგი ახასიათებს შემადგენლობის ყველა ნიშნის ერთობლიობას, ერთად აღებულს. მართლსაწინააღმდეგოა სწორედ სხვისი ქონების ფარულად ამოღება სხვისი მფლობელობიდან მისი მისაკუთრების მიზნით. სწორედ ამ ნიშნების ერთობლიობაა საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი და სწორედ ამ ნიშნების კომპლექსის საზოგადოებრივი საშიშროების გამო კანონმდებელმა აკრძალა ქმედობა, ე.ი. გამოაცხადა იგი მართლსაწინააღმდეგოდ.

მეორე, „შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების თეორია“ ერთ სიბრტყეში ათავსებს ისეთ ნიშნებს, რომლებიც ასაბუთებენ მართლწინააღმდეგობას (მაგალითად: 1) სხვისი ქონების 2) ამოღება სხვისი მფლობელობიდან, 3) მისაკუთრების მიზნით), და ისეთ გარემოებებს, რომლებიც გამოძრიცხავენ პასუხისმგებლობას (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და ა.შ.), მაშინ როდესაც ლოგიკურად ისინი სწორედ საპირისპირო ცნებები არიან. მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი გარემოებანი, რომლებიც გვხვდებიან არა მარტო სისხლის სამართალში (როგორც მაგალითად, აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა), არამედ მართლწესრიგის სხვა სფეროშიც (მაგალითად, სავალდებულო ბრძანების, უფლების ან ვალდებულების შესრულება და ა.შ.), არ შეიძლება წარმოადგენდნენ სისხლის სამართლის კანონის შემადგენელ ნაწილებს, კანონისა, რომელშიც აღწერილია აკრძალული ქმედობა. პირიქით, ეს გარემოებანი, როგორც გამამართლებელი გარემოებანი, აბათილებენ მართლწინააღმდეგობას, რომელსაც სისხლის სამართლის კანონში აღწერილი შემადგენლობა აფუძნებს და

ამდენად მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ. როგორც თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები მიუთითებენ, „მოძღვრება შემადგენლობის ნეგატიურ ნიშნებზე ერთმანეთში ურევს სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის დამფუძნებელ და მის გამოძირცხველ გარემოებებს“<sup>1</sup>. ამავე დროს იგი, ერთის მხრივ, ამცირებს შემადგენლობის ძირითად ფუნქციას – შემოხაზოს და აღწეროს ტიპური სისხლისსამართლებრივი უმართლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ივიწყებს ნებადართველ გარემოებათა დამოუკიდებელ მნიშვნელობას. „აუცილებელი მოგერიების არსებობა, ამ მოძღვრების თანახმად, ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც შემადგენლობის ნიშნის არარსებობა: ადამიანის მოკვლა აუცილებელი მოგერიების დროს სამართლებრივი თვალსაზრისით იგივე გამოდის, რაც რწყილის მოკვლა“<sup>2</sup>.

დაბოლოს, „მოძღვრებამ შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების შესახებ“ პრაქტიკულად იმ დასკვნამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ სისხლის სამართლის კანონით აღწერილი შემადგენლობის ნიშნების დამტკიცების შემდეგ მოსამართლემ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაადასტუროს შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების არარსებობა. მაგალითად, მას შემდეგ რაც მან დაამტკიცა, რომ ვინმემ მისაკუთრების მიზნით ფარულად მიიტაცა სხვისი ნივთი, ან რომ ვინმემ ვნება მიაყენა სხვა ადამიანის ჯანმრთელობას და ა.შ., სასამართლომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაამტკიცოს ისიც, რომ არ არსებობს არც ერთი გარემოება, რომელიც გამოიციხავს მართლწინააღმდეგობას. მაშასადამე, ეს თეორია, რომელიც ერთის შეხედვით

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, H. Schweikert, Die Wandlungen der Tatbestandslehre seit Beling, Karlsruhe, 1957, S. 37.

<sup>2</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Göttingen, 1957, S. 22, ამაზე ა. კაუფმანი უკასუხებს, რომ ადამიანის მკვლელობა და რწყილის მკვლელობა კი არ უთანაბრდება ერთმანეთს, არამედ ადამიანის მკვლელობა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ისევე არ წარმოადგენს აკრძალვის საგანს (მატერიას) და მაშასადამე შემადგენლობას, როგორც რწყილის მოკვლა (იხ. A. Kaufmann, Schuld und Strafe, 1966, S. 129). მაგრამ ვლტელეიც სწორედ ამაზე მიუთითებდა: ადამიანის მკვლელობა, თუნდაც აუცილებელი მოგერიების დროს, მინც ადამიანის მკვლელობაა, ამიტომ იმისათვის, რომ იგი არამართლწინააღმდეგოდ აღიარონ, საჭიროა სატყველურად იქნეს დადგენილი, რომ ეს მკვლელობა ისეთ გარემოებაში იყო ჩადენილი, რომელიც აბათილებს კაცის მოკვლის სამართლებრივ აკრძალვას, ხოლო რწყილის მიმართ ასეთი საკითხი არ იმის, რადგან რწყილის სიცოცხლეს მართლწინააღმდეგობა საზოგადოდ არ იცავს.



დამპეტრულად ეწინააღმდეგებოდა ბელინგის თეორიას, პრაქტიკულად იმავე დასკვნამდე მიდის, როგორც ეს უკანასკნელი.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ბელინგს შემადგენლობა ესმის როგორც ქმედობის წმინდა ობიექტური ნიშნების აღწერა, ხოლო ყოველივე სუბიექტური მის სისტემაში გაძევებულია შემადგენლობის ცნებიდან და შედის ბრალის ცნებაში, რომელიც დანაშაულის დამოუკიდებელ ელემენტს წარმოადგენს. ლოგიკურად ბელინგის სისტემა აგებული იყო შემდეგნაირად: 1) დანაშაულის შემადგენლობა, ობიექტურად გაგებული, 2) მართლწინააღმდეგობა, ე.ი. შეფასებითი მსჯელობა იმის შესახებ, რომ შემადგენლობა, ე.ი. ქმედობის ობიექტური ნიშნების ერთობლიობა ეწინააღმდეგება მართლწესრიგს და 3) ბრალი, ე.ი. დანაშაულის სუბიექტური დამოკიდებულება შემადგენლობის ნიშნებისადმი.

ბურჟუაზიული მეცნიერების შემდგომი განვითარება იმ მიმართულებით წავიდა, რომ დანაშაულის შემადგენლობაში თანდათანობით შეტანილ იქნა სუბიექტური ნიშნები, რომლებიც, ობიექტურ ნიშნებთან ერთად გადაიქცნენ საფუძვლად მართლწინააღმდეგობის შესახებ შეფასებითი მსჯელობისათვის. თავდაპირველად ბელინგის მიმდევარმა მ. მაიერმა მიუთითა, რომ მსჯელობა მართლწინააღმდეგობის შესახებ არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებს, არამედ იგი სუბიექტურ ნიშნებსაც ემყარება. ასეთი ნიშანია, მაგალითად, სუბიექტური მიზანი, რომლის განხორციელებისაკენ მიიღტვის დანაშავე. მიზანი ზოგჯერ მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ საკითხის გადასაწყვეტად, ეწინააღმდეგება თუ არა ქმედობა „კულტურის ნორმებს“, ე.ი. არის თუ არა იგი მართლწინააღმდეგო. ამგვარად მაიერმა აღიარა მართლწინააღმდეგობის სუბიექტური ელემენტების არსებობა, მაგრამ მაიერს ეს სუბიექტური ელემენტები შემადგენლობის ცნებაში არ შექჰონდა და ამდენად ბელინგის მოძღვრებას შემადგენლობაზე როგორც ობიექტური ნიშნების აღწერილობაზე იგი არ ეწინააღმდეგებოდა.

პირიქით, ნაგლერმა, ზაუერმა და განსაკუთრებით მეცკერმა სუბიექტური ელემენტები, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გამოკლებით, რომლებიც ბრალს მიაკუთვნეს, დანაშაულის შემადგენლობაში შეიტანეს და ამგვარად დაუკავშირეს შეფასებით მსჯელობას ობიექტური მართლწინააღმდეგობის შესახებ. ასე, მაგალითად, ისინი აკუთვნებენ შემადგენლობას ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ფულის გაყალბების სურვილი ყალ-

ბი ფულის გაკეთების დროს, სექსუალური მოტივი გარყვნილი მოქმედების ჩაღენის დროს, მისაკუთრების მიზანი გატაცების დროს და ა.შ.

დაბოლოს, ფინალურმა თეორიამ აღნიშნულ სუბიექტურ ნიშნებთან ერთად შემადგენლობაში შეიტანა განზრახვაც, რომელიც ბრალის ცნებიდან გამოაძევა და შემადგენლობის სხვა ნიშნებთან ერთად გახადა მართლწინააღმდეგობის შესახებ შეფასებითი მსჯელობის საგნად. ფინალური თეორია დანაშაულის სისტემას შემდეგნაირად აგებს: 1) შემადგენლობა, რომელშიც შედის მოქმედების ყველა, ობიექტური, ნორმატიული და სუბიექტური (ფსიქოლოგიური) ნიშანი, განზრახვის ჩათვლით. შემადგენლობა ფინალური თეორიის მამამთავრის, ველცელის აზრით, წარმოადგენს აკრძალვის მატერიას; 2) მართლწინააღმდეგობა, რომელიც წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას ქმედობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშნების შესახებ. ველცელი მას მატერიის აკრძალვას უწოდებს; 3) ბრალი, ე.ი. მოქმედის გასაკიცხაობა, უფრო სწორად მოსამართლის შეფასებითი მსჯელობა სუბიექტის გასაკიცხაობის შესახებ. შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ველცელი ისევე წყვეტს, როგორც ბელინგი. პირის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა შეიძლება გამოადგეს მხოლოდ როგორც ინდიცია (მითითება), რომ ქმედობა მართლსაწინააღმდეგოა. მაგრამ იგი მართლაც მხოლოდ ინდიციაა და სხვა არაფერი. შემადგენლობის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმას, ე.ი. ცალკეულ (აბსტრაქტულ) აკრძალვას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის განსაზღვრულ მუხლშია მოცემული. ხოლო მართლწინააღმდეგობა, ველცელის აზრით, ნიშნავს იმას, რომ ქმედობა მიმართულია მართლწინააღმდეგობის, როგორც მთლიანის წინააღმდეგ. „ამკრძალავ ნორმებს განსაზღვრულ შემთხვევებში უპირისპირდებიან უფლებით აღმჭურველი დებულებანი, რომლებიც ხელს უშლიან იმას, რომ აბსტრაქტული (ზოგადი) სამართლებრივი ნორმა კონკრეტულ სამართლებრივ მოვალეობად გადაიქცეს, და ამიტომ ამართლებენ შემადგენლობის განხორციელებას. ასეთ უფლებით აღმჭურველ დებულებებს ეწოდებათ „გამართლების საფუძვლები“. ესენია აუცილებელი მოგერიება, თვითდასმარება, დაზარალებულის თანხმობა და ა.შ. მათი არსებობის შემთხვევაში შემადგენლობის განხ-

იკნავს ამიტომ არა შემაღვენლობის შესაბამისობას, არამედ მხოლოდ მის მართლწინააღმდეგობას<sup>1</sup>.

ველცელის თეორიის გადმოცემიდან ნათლად ჩანს, რომ იგი, ერთის მხრივ, ისევე თიშავს შემაღვენლობას და მართლწინააღმდეგობას როგორც ბელინგი, ხოლო, მეორე მხრივ, ბელინგისაგან განსხვავებით, შემაღვენლობის შინაარსში შეაქვს სუბიექტური მომენტები, თვით განზრახვაც კი. და რამდენადაც შემაღვენლობა არის საგანი შეფასებითი მსჯელობისა მართლწინააღმდეგობის შესახებ, აძენად მართლწინააღმდეგობა ველცელის სისტემაში უკვე აღარ წარმოადგენს ობიექტური შინაარსის შემცველ ცნებას.

მოქმედების ცნებაში განზრახვის შეტანით, ხოლო მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საფუძვლად მოქმედების სუბიექტური შინაარსის, ე.ი. განზრახვის აღიარებით ველცელმა მართლწინააღმდეგობა წმინდა სუბიექტურ ცნებად გამოაცხადა, რითაც წაშალა ნათელი და მკვეთრი ზღვარი, რომელიც საკითხის ხანგრძლივი მეცნიერული დაშუშავების შედეგად დაიღო მართლწინააღმდეგობის ობიექტური შინაარსის ცნებასა და ბრალის სუბიექტური შინაარსის ცნებას შორის.

სოციალისტურ სამართალში გაბატონებული შეხედულების თანახმად მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედობის ობიექტურ წინააღმდეგობას სამართლებრივი ნორმისადმი. მართლწინააღმდეგობა აფასებს მოქმედებას როგორც უარყოფითს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან ჰქმნის ასეთი ზიანის მიყენების შესაძლებლობას, ე.ი. მაშინ, როდესაც მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს წარმოადგენს. ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ეს მოთხოვნა მოქალაქის თავისუფლების გარანტიას წარმოადგენს: სოციალისტური სახელმწიფო მხოლოდ მაშინ აძლევს თავის თავს უფლებას დასაჯოს ქმედობა, როდესაც იგი ნამდვილად ობიექტურად ებუქრება სისხლის სამართლის კანონით დაცულ ინტერესებს.

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystems, Göttingen, 1957, SS. 20-21; იხ. მისივე, Das Deutsche Strafrecht, 9, Aufl, 1965, S, 74.

ფინალურ მოძღვრებას მოქმედებაზე მართლწინააღმდეგობის საკითხის გადაჭრის მთელი სიძიმე მოქმედების სუბიექტურ მხარეზე გადააქვს. მართლწინააღმდეგობა, ამ თეორიის წარმომადგენელთა აზრით, არის არა შედეგის გასაკიცხაობა, არამედ მოქმედების გასაკიცხაობა, და რამდენადაც მოქმედების ცნების ცენტრს მისი ფინალურობა წარმოადგენს, ამდენად მართლწინააღმდეგობის ცნების საფუძველსაც მოქმედების სუბიექტური შინაარსი განსაზღვრავს. აქედან დასკვნა: მოქმედება შეიძლება არ შეიცავდეს არავითარ საშიშროებას სამართლით დაცული ინტერესებისათვის, მაგრამ თუ იგი ფინალური თვალსაზრისით გასაკიცხია, – მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს.

სუბიექტური მომენტის – კერძოდ განზრახვის შეტანას მოქმედებისა და მართლწინააღმდეგობის ცნებებში განსაზღვრული კლასობრივი აზრი აქვს. ბურჟუაზიული მოსამართლე ბუნებრივად გამოიყენებს ფინალური თეორიით შექმნილ შესაძლებლობას და დამნაშავეის დასჯადობისათვის გადაწყვეტ მომენტად ჩათვლის არა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს პირის ქმედობას ობიექტურ სინამდვილეში და როგორია ამ მოქმედებით შექმნილი საზოგადოებრივი საშიშროება, არამედ იმას, თუ როგორი იყო სუბიექტის მოქმედების მიზანი, მისი ფინალურობა.

როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ბ. მანკოვსკი, „ფინალურ სისხლის სამართლის თეორიაში კანონით ზუსტად გათვალისწინებული და დასჯადი ქმედობის ადგილს იჭერს პასუხისმგებლობა პირის განწყობისათვის, მისი ისეთი აზრთა წყობისათვის, რაც მიუღებელია გაბატონებული ბურჟუაზიისათვის“<sup>1</sup>. მართლაც, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილ კრიმინალისტს ლექსასს თავის ერთ-ერთ შრომაში მოჰყავს დასავლეთ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან მაგალითები, საიდანაც ჩანს, თუ როგორ იყენებენ „ფინალურ მოძღვრებას მოქმედების შესახებ“, ერთი მხრივ მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი გერმანელი პატრიოტების დასასჯელად, ხოლო, მეორე მხრივ, მძიმე დანაშაულთა ჩამდენი ფაშისტი დამნაშავეების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განსათავისუფლებლად.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Б. С. Маньковский. Реакционная неокантианская теория финального уголовного права. „Советское государство и право“. 1959 г., №4, стр. 102.

<sup>2</sup> И. Лекшас, Вина как субъективная сторона преступного деяния. М., 1954, стр. 40-41.

**დანაშაულის ობიექტური მხარე  
დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი**

**§1. დანაშაულებრივი ქმედობა როგორც ადამიანის ქცევის აქტი.  
ნებელობითი ქცევის არსი**

ადამიანის კონკრეტული ქმედობა წარმოადგენს იმ ძირითად ნიშანს, რომლის გარეშე სოციალისტურ სისხლის სამართალში არ არსებობს დანაშაულის ცნება და მამასადამე არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადამიანი ისჯება ქმედობისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, და ამის შესაბამისად ქმედობა წარმოადგენს არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და არსებით პირობას, არამედ აგრეთვე ამ პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ კონსტიტუციურ ნიშანს.

რამდენადაც დანაშაულებრივ ქმედობას ასეთი არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის სოციალისტურმა სისხლის სამართალმა უნდა შექმნას დანაშაულებრივი ქმედობის ისეთი ცნება, რომელიც გამოსადეგი იქნება დანაშაულის ყველა სახისა და ყველა გამოვლინებისათვის. სახელდობრ, დანაშაულებრივი ქმედობის ცნება უნდა მოიცავდეს როგორც დადებით მოქმედებას, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებას, როგორც განზრახ დანაშაულებრივ ქმედობას, ისე გაუფრთხილებელს, როგორც დაუშთაერებელ დანაშაულს, ისე მომზადებას და მცდელობას და ა.შ.

დანაშაულებრივი ქმედობის ასეთი საერთო ცნება არის ქმედობა როგორც ადამიანის შეგნებული და მიზანდასახული ქცევა.

დებულება, რომ პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებულ იქნას მხოლოდ ადამიანის შეგნებულ და მიზანდასახულ ქცევასთან, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიული პროდუქტია.

სამართალი, საერთოდ, და სისხლის სამართალი, კერძოდ, არეგულირებს მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამართლებრივი ნორმები ადამიანებს მიმართავენ და მათგან მოითხოვენ ნორმ-

ის შესაბამის ქცევას. სოციალისტური სამართლის ნორმის აღრესატად ითვლება ადამიანი როგორც ცნობიერი არსება, რომელსაც შეიძლება მოეთხოვოს, რომ მან თავისი ქცევა საზოგადოების ინტერესების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების შესაბამისად წარმართოს. ამის შესაბამისად სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არა ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას, არამედ მხოლოდ საქციფიკურ ადამიანურ მოქმედებას, ე.ი. შეგნებულ მიზანდასახულ საქციელს, რომლის ჩადენის დროსაც ადამიანი გამოდის როგორც გონიერი არსება, რომელსაც უნარი აქვს გაიგოს და შეასრულოს მართლწესრიგის მოთხოვნანი. ამიტომ საჭიროა უპირველესად ყოვლისა დადგინდეს ნებელობითი ქცევის არსი და მისი შემადგენელი ელემენტები.

ნებელობითი ქცევის უნარი ადამიანს შეუმუშავდა შრომის პროცესში, ე.ი. პროცესში, „რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით მოსაშუალებობს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის“<sup>1</sup>. თავისი ნებელობითი ქცევით ადამიანი ზემოქმედებას ახდენს გარემო სამყაროზე და ცვლის მას. მარქსიზმი არ უარყოფს, რომ ბუნებაზე ზემოქმედებას მარტო ადამიანი როდი ახდენს; პირიქით, იგი თვლის, რომ გეგმაზომიერი მოქმედების უნარი ცხოველსაც აქვს. „მაგრამ ვერც ერთი ცხოველის ვერავითარმა გეგმაზომიერმა მოქმედებამ ვერ შეძლო ბუნებაზე თავისი ნებისყოფის დაღი დაეწნია. ეს მხოლოდ ადამიანმა შეძლო“<sup>2</sup>.

ადამიანის არსებითი განსხვავება ცხოველისაგან იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს აქვს უნარი შეგნებული, მიზანსწრაფული მოქმედებისა, რისი მეშვეობითაც იგი ცვლის გარეშე სამყაროს წინასწარ დასახული მიზნისა და შედეგნილი გეგმის შესაბამისად. კ. მარქსი წერდა: „ობობა ასრულებს ისეთ ოპერაციებს, რომელნიც ფეიქრის ოპერაციებს მოგვაკონებენ, და ფუტკარი თავისი ფიჭის უჯრედების აშენებით ბევრ ხუროთმოძღვარს გააწბილებს, მაგრამ რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფუტკარისაგან განასხვავებს, ეს ის გარემობაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიჭის უჯრედს ააშენებდეს, უკვე თავის თავში ააშენა იგი“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, სახელგამი, 1954, გვ. 227.

<sup>2</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, იბ., 1964, გვ. 99.

<sup>3</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 228.

შეგნების მომენტის გამო კავშირი გარეშე სიტუაციის იმპულსებსა და ადამიანის ნებელობით მოქმედებას შორის უშუალო და ერთმნიშვნელო კი არ არის, არამედ გაშუალებულია შეგნების მომენტით. ადამიანში წარმოშობილი აქტუალური მოთხოვნილება ნებელობით აქტის დროს უშუალოდ როდი გადადის მოძრაობაში<sup>1</sup>. ნებისყოფა მოქმედებისათვის საჭირო ენერგიას სხვა წყაროებში ნახულობს და არა აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უშუალო იმპულსში. ნებელობით აქტის ჩადენის დროს ადამიანი ჯერ შეიგნებს ამ მოთხოვნილებას, განსაზღვრავს თავისი მოქმედების მიზანს, დასახავს სხვადასხვა გზებს მის მისაღწევად, შეაფასებს ამ გზებს და ბოლოს მოქმედებს ამ შეფასების შედეგების შესაბამისად. გარესამყაროს მოვლენები ადამიანზე უშუალოდ კი არ მოქმედებენ, არამედ მოტივად გარდაქმნილ წარმოდგენათა მეშვეობით. ადამიანი აფასებს ამ მოტივებს, შეგნებულად აწონ-დაწონის მათ და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს. თანაც მოტივების აწონ-დაწონის დროს ადამიანს შეუძლია დაუსხლტეს ზოგიერთი მოტივის ზეგავლენას და თავისი ქცევა სხვა მოტივებს დაუმორჩილოს. მას შეუძლია ჩაიკლას ერთი სურვილი და აღიძრას სხვა, თუნდაც უფრო შორეული და უშუალო იმპულსთან კავშირში არ მყოფი. მაშინ, როდესაც იმპულსურ აქტში მოქმედებს თვით იმპულსი, რომელიც მთელ მოძრაობას იმორჩილებს, ნებელობით აქტში მოქმედებს სუბიექტი, რომელიც შეგნებულად და გეგმაზომიერად არეგულირებს თავის მოქმედებას წინასწარ დასახული მიზნის შესაბამისად<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ეს მომენტი იმდენად მნიშვნელოვანია ნებელობითი ქცევის ცნებისათვის, რომ აკად. დ. უზნაძის აზრით, ნებისყოფის პრობლემა ნების სწორედ ამ თავისებურებაში მდგომარეობს და ამიტომ ფსიქოლოგიამ განსაკუთრებით უნდა გამოარკვიოს იმ სპეციფიკური წყაროს პირობა, საიდანაც ნება მოქმედების ენერგიას იღებს (იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 145).

<sup>2</sup> უშუალო სიტუაციის იმპულსებისაგან გათავისუფლება და საკუთარ თავზე ბატონობის უნარი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის მოქმედება აბსოლუტურად არ არის დეტერმინირებული, ადამიანის ნებელობითი მოქმედება ისევე მიზეზობრივად განპირობებული, როგორც მისი სხვაგვარი მოქმედება, მაგრამ ამ მიზეზობრიობას განსაკუთრებული, სპეციფიკური ხასიათი აქვს, ვინაიდან იგი გაშუალებულია ცნობიერების მოქმედებით.

ნებელობითი აქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ერთგვარად გამოჰყოფს თავის თავს ობიექტური გარეშე სამყაროსაგან, უპირისპირებს თავის თავს ამ სამყაროს, გააობიექტებს თავის მომავალ ქცევას მანამდე, ვიდრე მოქმედებას დაიწყებდეს, თავის გონებაში შეცვლის ობიექტს, რომელიც საჭიროა მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სუბიექტსა და ობიექტურ გარეშე სამყაროს შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც ნებელობის პროცესში გამოვლინდება როგორც წინააღმდეგობა მოქმედების მიზანსა და მიზნის დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილ ობიექტს შორის, მოისპობა (დაიძლევა) ქმელობის მომენტში, ე.ი. მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მომენტში. „შრომის პროცესის დასასრულს ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად უკვე არსებობდა“<sup>1</sup>.

ამრიგად ადამიანის ნებელობითი მოქმედება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ადამიანის შეგნებული მიზანსწრაფული ზემოქმედება მის გარემომცველ ობიექტურ სამყაროზე.

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, ნებელობით მოქმედებაში ორი მხარეა – ობიექტური და სუბიექტური. მოქმედების სუბიექტური ანუ ფსიქოლოგიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედება განსაზღვრულ მიზანს ისახავს და განსაზღვრული მოტივებით არის წარმართული. მოქმედების შეგნებული მიზანი, – წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი ი. ლექშასი, – „პიროვნების იმ შინაგან განწყობას წარმოადგენს, რომელმაც წარმართა იგი ამ მოქმედებისაკენ, რომელიც ამგვარად შესაბამის ობიექტურ პროცესში გადავიდა და მოქმედების შინაარსად გადაიქცა“<sup>2</sup>. მოქმედების ობიექტური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი ზემოქმედებას ახდენს ობიექტურ გარესამყაროზე ნებისყოფის გარეგანი გამოვლინებით, ე.ი. დადებითი მოქმედებით ან მოქმედებისაგან თავის შეკავებით. მაშასადამე მოქმედება არ ამოიწურება არც მარტო შინაგანი მხარით, არც მარტო სხეულის

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 228.

<sup>2</sup> J. Lekschas, Die Lehre von der Handlung unter besonderer Berücksichtigung strafrechtlicher Probleme, Berlin, 1953, S. 39.



მოძრაობით. იგი ობიექტური და სუბიექტური მომენტების დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს.

ნებელობითი მოქმედების არსება შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსთან, საზოგადოებასთან, სხვა ადამიანებთან, ვინაიდან თავისი ნებელობითი მოქმედებით ადამიანი ურთიერთობას ამყარებს სხვა პირებთან, საზოგადოებასთან. „როდესაც თვით მოქმედი სუბიექტი შეიცნობს მოქმედებას თავის ამ თვისებაში, მაშინ მოქმედება ქცევად გადაიქცევა. ქცევა – ისეთი მოქმედებაა, რომელსაც თვით მოქმედი სუბიექტი აღიქვამს და შეიცნობს როგორც საზოგადოებრივ აქტს, როგორც სუბიექტის გამოვლინებას, რომელიც გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან“<sup>1</sup>.

როგორც ღავეინახეთ, ნებელობითი მოქმედების ობიექტური მხარე გულისხმობს ქცევას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც ზემოქმედებს ახდენს ობიექტური გარესამყაროს ობიექტზე დასახული მიზნის რეალიზაციისათვის. თავისთავად ცხადია, ადამიანი მხოლოდ მაშინ შესძლებს ზემოქმედებას ობიექტურ გარესამყაროში არსებულ ობიექტზე, თუ იგი გამოიყენებს განსაზღვრულ საშუალებებს, რომლებიც თვითონაც ამ გარესამყაროს ეკუთვნიან და გარეშე კანონზომიერებას ემორჩილებიან. ადამიანი „სარგებლობს ნივთთა მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით, რათა, თავის მიზნის შესაბამისად, გამოიყენოს ისინი როგორც ძალა-საშუალებანი სხვა ნივთებზე ზემოქმედებისათვის“<sup>2</sup>. შრომის პროცესის გამოკვლევისას კ. მარქსი იძლევა შრომის საშუალებათა კლასიკურ განსაზღვრებას, რომელიც საზოგადოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის შეგნებული მიზანდასახული საქმიანობის ახსნისათვის. შრომის საშუალება, კ. მარქსის აზრით, – ეს არის „ნივთი ანუ კომპლექსი ნივთებისა, რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელნიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადამტანის როლს ასრულებენ“<sup>3</sup>. შრომის უმარტივეს, ყველაზე უფრო პრიმიტიულ საშუალებებად კ. მარქსი

<sup>1</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 543.

<sup>2</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 229.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 229.

თვლის ბუნებრივ ორგანოებს, რომლებიც ადამიანის სხეულს ეკუთვნის, ე.ი. ხელს, ფეხს, თავსა და თითებს. ადამიანს შრომის საშუალებად შეუძლია გამოიყენოს ისეთი საგნებიც, რომელნიც თვით ბუნებაში ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. ეს, ბუნებაში მოცემული, საგნები თავისთავად როდი წარმოადგენენ საშუალებას; თვით ადამიანი გადააქცევს მათ საშუალებად, რამდენადაც თავისი მიზნისათვის იყენებს. „ამრიგად, საგანი, მოცემული თვით ბუნების მიერ, იქცევა მისი მოქმედების ორგანოდ, რომელსაც იგი თავისი საკუთარი სხეულის ორგანოებს უმატებს და ამით, წინააღმდეგ ბიბლიისა, თავის ბუნებრივ სხეულს აგრძელებს“<sup>1</sup>. ადამიანმა დასახული მიზნის განხორციელებისათვის შეიძლება გამოიყენოს მის მიერ სპეციალურად შექმნილი საშუალებანიც, რომელნიც ამგვარად თვით არიან პროდუქტი მისი მიზანშეწონილი, შრომითი საქმიანობისა. თანაც ადამიანს ძალუძს ისე გამოიყენოს ეს საშუალებანი გარეშე ობიექტურ სამყაროზე ზემოქმედებისათვის, რომ თვით უშუალოდ არ ჩაერიოს ამ ზემოქმედების პროცესში. ამ საკითხზე კ. მარქსს ჰეგელის შემდეგი სიტყვები მოყავს: „გონება ისევე ხერხიანია, როგორც ძაღვიანი. ხერხიანობა საერთოდ მდგომარეობს იმ შემეგობითი სახის მოქმედებაში, რომელიც, აიძულებს რა ობიექტებს მათი ბუნების შესაბამისად ზემოქმედება მოახდინონ ერთმანეთზე და ურთიერთდამუშავება განიცადონ, ისე რომ თვითონ უშუალოდ ამ პროცესში არ ერევა, — მაინც მხოლოდ თავის მიზანს ახორციელებს“<sup>2</sup>.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სადავოა ის საკითხი, ეკუთვნის თუ არა ადამიანის მოქმედების საშუალება თვით მოქმედების ცნებას, თუ იგი მოქმედების ცნებაში არ შედის. დადებით პასუხს ამ კითხვაზე პროფ. ნ. დურმანოვი იძლევა. მისი აზრით, რამდენადაც ადამიანის მიერ გამოყენებული საშუალებანი „მისი გაგრძელებული ორგანოები“ არიან, ამდენად ისინი „არ უპირისპირდებიან მას როგორც დამოუკიდებელი ძალები, არ წარმოადგენენ შედეგის წარმოქმნის პირობებს მის საქმიანობასთან ერთად, ისინი მხოლოდ და მხოლოდ თვით ადამიანისა და მისი საქმიანობის ნაწილი არიან“<sup>3</sup>. აქედან

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 229-230.

<sup>2</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 229.

<sup>3</sup> Н. Д. Дурманов, Общие основания причинной связи в уголовном праве. „Вопросы уголовного права“, Сборник I, М., 1945, стр. 49.

პროფ. ნ. დურმანოვი იმ დასკვნას აკეთებს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ცნება „მოიცავს არა მარტო ადამიანის სხეულებრივ მოძრაობას, არამედ აგრეთვე იმ ძალებსაც, რომელთაც იგი იყენებს, და იმ კანონზომიერებებს, რომლებითაც იგი სარგებლობს“<sup>1</sup>.

ამ შეხედულებას ბოლო დროს პროფ. ა. პიონტკოვსკიც მიემხრო. მისი აზრითაც მოქმედება არ ამოიწურება სხეულის მოძრაობით. სხეულებრივი მოძრაობა, თავისთავად აღებული, იმ კონკრეტული პირობების გარეშე, რომელშიც მას ადგილი ჰქონდა, იმ საშუალებისაგან მოწყვეტილად, რომელნიც პიროვნებამ გამოიყენა, და იმ ცვლილებების მხედველობაში მიუღებლად, რაც მას მოჰყვა, ლიტონ ასსტრაქციას წარმოადგენს<sup>2</sup>.

საბჭოთა კრიმინალისტების მეორე ნაწილი, ერთის მხრით, უდავოდ აღიარებს იმ დებულებას, რომ რამდენადაც ადამიანის ქცევა გამოიხატება ადამიანის ზემოქმედებაში ობიექტურ გარესამყაროზე, ამდენად ადამიანს არ შეუძლია იმოქმედოს ისე, რომ მხედველობაში არ მიიღოს ამ გარეგანი პროცესის კანონზომიერებანი და არ გამოიყენოს ბუნების კანონები; მაგრამ, მეორე მხრით ამ კრიმინალისტებს სწორად არ მიაჩნიათ გარეშე ქვეყნის კანონზომიერებათა და, მაშასადამე, მოქმედების საშუალებათა შეტანა თვით მოქმედების ცნებაში. „ადამიანის მოქმედება მის ნებაზეა დამოკიდებული, – წერს ნ. კუზნეცოვა, – ხოლო გარეშე სამყაროს კანონზომიერებანი დამოუკიდებელია ადამიანის შეგნებისა და ნებისაგან“<sup>3</sup>. ასე, მაგალითად, მკვლელობის დროს ადამიანს შეუძლია გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, მიიღოს რა მხედველობაში მისი ზემოქმედება და ისარგებლოს რა ამ ზემოქმედების კანონზომიერებით. მაგრამ ყველა ეს გარეგანი პროცესი – თოფის წამლის აფეთქება, ტყვიის გავარდნა და ა.შ. ადამიანის მოქმედების ნაწილად ვერ გადაიქცევა.

ჩვენი აზრით, ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას კ. მარქსის დებულებანი შრომის პროცესის შესახებ. კ. მარქსი წერდა: „შრომის პროცესის მარტივი მომენტებია:

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, стр. 54.

<sup>2</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 173.

<sup>3</sup> Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий. М., 1958, стр. 11.

მიზანშეწონილი მოქმედება, ანუ თვით შრომა, შრომის საგანი და შრომის საშუალებანი<sup>1</sup>.

ამგვარად, კ. მარქსი შრომის პროცესში სამ მომენტს განასხვავებს: ა) ადამიანის მიზანშეწონილ მოქმედებას ანუ თვით შრომას, რომელსაც იგი აკუთვნებს, ერთის მხრივ სუბიექტურ მომენტებს – ე.ი. მიზნის დასახვას და ნებისყოფის სხვა ელემენტებს, ხოლო, მეორე მხრივ – ობიექტურ მომენტებს, ე.ი. იმ ორგანოების დაძაბვას, რომელთა მეშვეობით ადამიანი მოქმედებს; ბ) შრომის საგანს, ე.ი. იმ მასალას, რომელზედაც ზემოქმედებას ახდენს ადამიანი შრომის პროცესში, და გ) შრომის საშუალებებს, ე.ი. იმ ნივთებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ზემოქმედებას ახდენს შრომის საგანზე, და რომელთა რიცხვში კ. მარქსს შრომის პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ყველა მატერიალური პირობა შეაქვს (ამ უკანასკნელთ კ. მარქსი უწოდებს შრომის პროცესის საშუალებებს უფრო ფართო მნიშვნელობით). როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, კ. მარქსი შრომის პროცესიდან გამოკყოფს თვით შრომას თავისდათავად და ამ უკანასკნელში შრომის საშუალებანი და საგანი არ შეაქვს.

კ. მარქსის ეს დებულება შრომის პროცესის შესახებ შეიძლება გამოვიყნოთ საზოგადოდ ადამიანის ყოველი მიზანდასახული მოქმედების ასახსნელად. თუ ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედების მთელ პროცესს ავიღებთ, იგი შეიძლება შემდეგ შემადგენელ ელემენტებად დავეყოთ: ადამიანის შეგნებული მოქმედება, გარესამყაროს ობიექტი, რომელზედაც მიმართულია ეს მოქმედება და მოქმედების საშუალებანი. როგორც ჩანს, ასევე უნდა იქნეს აგებული დანაშაულებრივი ქმედობის ცნებაც.

ამ კონცეფციას, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს კ. მარქსის დებულებიდან შრომის პროცესის შესახებ, საკვებით შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტის ი. ლექსასის შეხედულება, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისაგან მოქმედებას და მოქმედების მთელ პროცესს. მოქმედების პროცესს, ლექსასის აზრით, ეკუთვნის თვით სუბიექტი, მოქმედება როგორც ადამიანის შეგნებული მიზანწარმართული ზემოქმედება გარესამყაროზე, მოქმედების სა-

<sup>1</sup> კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I, 1954, გვ. 228.

შუალეხანი და ობიექტი, რომელზედაც მიმართულია მოქმედება და რომელშიც უნდა მოხდეს სასურველი ცვლილება, ე.ი. ის შედეგი, რისთვისაც ადამიანი იღწვის. რაც შეეხება მოქმედებას, ი. ლექმასი მას სავსებით სწორად აკუთვნებს ადამიანის შეგნებულ მიზანს, შინაგან განწყობას, რომელმაც გამოიწვია მასში მოქმედების სურვილი, და ამ საქმიანობის ობიექტურ გამოვლინებას, ე.ი. ადამიანის გარეგან მოქმედებას ანუ უმოქმედობას<sup>1</sup>.

აქედან თანამიმდევრულად გამოდინარეობს, რომ დანაშაულებრივი ქმედობის საშუალეხანი თუმცა დანაშაულის განხორციელების მთელი პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ თავისთავად მოქმედების ცნებაში არ შედიან.

რამდენადაც ნებელობითი ქცევის უნარის წყალობით ადამიანს შეუძლია დაუსხლტეს უშუალო სიტუაციის იმპულსთა ზეგავლენას და თავისი მოქმედება საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმათა მოთხოვნებს დაუმორჩილოს, ამდენად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებულ იქნას სწორედ ადამიანის ნებელობით ქცევასთან. პირიქით, სისხლის სამართალმა არ შეიძლება მხედველობაში მიიღოს ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის ნებისყოფის გამოვლინებას არ წარმოადგენს<sup>2</sup>.

ზემოაღნიშნულის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაკავშირებულ იქნას რეფლექტორულ მოქმედებასთან, რომელიც ავტომატურად, უშუალო ფიზიოლოგიური გაღიზიანების შედეგად, ადამიანის შეგნებული კონტროლის გარეშე ხორციელდება. თუ, მაგალითად, ტრამეაის ძლიერი და უეცარი მოძრაობის შედეგად ა., რომელიც ტრამეაის ბაქანზე იდგა, ტრამეაიდან ჩამოვარდნის დროს, თანდაყოლილი რეფლექსის გამო, ავტომატურად ხელს წააგვებს მოქალაქე ბ.-ს და იმასაც გადაიყოლებს, ასეთი მოძრაობით გამოწვეული მენე შედეგისათვის ა. სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს, ვინაიდან მას ნებელობითი მოქმედება არ ჩაუდენია.

ნებელობითი მოქმედება გამორიცხულია აგრეთვე დაუძლეველი

<sup>1</sup> იხ. J. Lekschas, Die Lehre von der Handlung unter besonderer Berücksichtigung strafrechtlicher Probleme, Berlin, 1953, S. 39.

<sup>2</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 543.

ძალის დროს (ეგრეთწოდებული vis absoluta), ე.ი. ისეთი სხეულებრივი მოძრაობის დროს, როდესაც სუბიექტი გარეგანი ძალის უნებისყოფო იარაღს წარმოადგენს. მაგალითად, ვინმე მეორე პირს ხელზე ხელს მოუჭერს და ფიზიკურად აიძულებს მას ხელი მოაწეროს ყალბ დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს არა ის, ვინც ფიზიკური ძალდატანების გამო იძულებული იყო ხელი მოეწერა ყალბ დოკუმენტზე, არამედ ის, ვინც ამ მიზნით ძალა გამოიყენა.

სხვაგვარად წყდება საკითხი ფსიქიკური ძალადობის დროს (vis compulsiva), როდესაც მიძულებელი უშუალოდ ფიზიკურ ზემოქმედებას კი არ ახდენს სუბიექტზე, არამედ მის ნებისყოფაზე ზეგავლენის (მუქარის) მეშვეობით განსაზღვრავს სუბიექტის მოქმედებას თავისთვის სასურველი მიმართულებით.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, ფსიქიკური ძალადობა ისევე გამორიცხავს ნებულობის აქტს, როგორც ფიზიკური ძალადობა. ამ შეხედულებას იზიარებდა პროფ. ა. ტრაინინი. მისი აზრით, „ქმედობის სისხლისსამართლებრივი თვისება უარყოფილ უნდა იქნას ისეთი მოქმედების დროსაც, რომელიც ჩადენილი იყო ნებისყოფის დამთრგუნველი ფსიქიკური ძალადობის ზეგავლენით. პირი, რომელიც მოქმედებს სიკვდილის უშუალო და აშკარა მუქარის ზეგავლენით, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნას როგორც სხვისი ნების მქაჩიური ამსრულებელი“<sup>1</sup>. აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად ა. ტრაინინს შემდეგი მაგალითი მოჰყავდა: მოლარემ სიკვდილის მუქარის ზეგავლენით გადასცა თავდამსხმელს სალაროს ნაღდი. ასეთ შემთხვევაში პროფ. ა. ტრაინინის აზრით, მოლარე გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არა იმიტომ, რომ იგი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში იმყოფება, არამედ „იმიტომ, რომ არ არსებობს „მოქმედება“ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით: პირი ემორჩილება ბოროტმოქმედს სიკვდილის მუქარის ზეგავლენით, იგი სხვისი ნებისყოფის ბრმა შემსრულებელია, იარაღია სხვის ხელში და სწორედ ამიტომ შეიძლება წარმოიშვას საკითხი სასჯელის გამოყენების შეუძლებლობის შესახებ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 135.

<sup>2</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 329.

აღნიშნული შეხედულება, ჩვენი აზრით, სწორად ვერ აფასებს ფსიქიკური ძალადობის (მუქარის) ზეგავლენით ჩადენილ ქმედობის ფსიქოლოგიურ ბუნებას და ვერ იძლევა მის ზუსტ იურიდიულ კვალიფიკაციას.

ფსიქიკური ძალადობა არ გამოირიცხავს მოქმედების ნებელობით ხასიათს, არამედ იგი ჰქმნის უძლიერეს მოტივს გარკვეული მოქმედების სასარგებლოდ. ამავე დროს პირს მაინც რჩება შესაძლებლობა უძლიერეს მოტივს (ამ შემთხვევაში – შიშს) სხვა მოტივი (მაგალითად, მოვალეობის გრძობა) დაუპირისპიროს და მოქმედება არ ჩაიდინოს. ამგვარად ფსიქიკური ძალადობის ზეგავლენით ჩადენილი მოქმედების დროს ნებისყოფის მომენტი არ არის აბსოლუტურად გამორიცხული, არამედ მოტივაციის პროცესია შეზღუდული. ამიტომ თუ ფსიქიკური ძალადობით ჩადენილმა მოქმედებამ უფრო მნიშვნელოვანი სიკეთე დააზიანა, ვიდრე ის სიკეთე, რომელსაც მოძალადე ემუქრებოდა, ასეთ შემთხვევაში, უკიდურესი აუცილებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობის არარსებობის გამო, პირი არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, თუ ვინმე მოკვლის მუქარით გასცემს მტერს სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას, რომლის გაცემამ სახელმწიფოს შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიყენოს, საიდუმლოს გამცემი, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არ იმყოფება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში და არ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაშასადამე ფსიქიკური ძალადობის დროს მოქმედი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან არა იმიტომ, რომ იგი არ მოქმედებს, არამედ მართლოდენ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის საფუძველზე (თუ ამ უკანასკნელისათვის საჭირო პირობები არსებობს).

ნებელობითი ქცევა არ არის იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი სხეულებრივი მოძრაობის ან უმოქმედობის დროს, რამაც მანვე შედეგი გამოიწვია, იმყოფებოდა უგონობის მდგომარეობაში, როდესაც გამორიცხულია თავის ტვინის მკონტროლებელი საქმიანობა. მაგალითად, ბოროტმოქმედებმა რკინიგზის დარაჯს დასაძინებელი წამალი მისცეს, რის გამოც ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება და ვერ აცნობა მემანქანეს მატარებლის მარცხის საფრთხის

შესახებ. რკინიგზის დარაჯის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია, ვინაიდან მის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა არ წარმოადგენს ნებელობით ქცევას.

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში „გადაძმვეტია არა ამ პროცესების შემთხვევითი გარეგანი ფორმა, არამედ ის, რომ აღნიშნული პროცესების შედეგად ადამიანის გარეგანი მოძრაობა განპირობებული არ არის მისი საზრიანი საქმიანობით, ან, სპეციალური გამოთქმა რომ ვიხმართ, გარეგანი ქცევა განპირობებული არ არის ადამიანის ნებით“<sup>1</sup>.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საკითხი აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. როგორც ცნობილია, აფექტი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, თუმცა იგი ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება<sup>2</sup>.

აფექტში ჩადენილი მოქმედება იმპულსური მოქმედებაა. როგორც წესი, აფექტი სავსებით როდი გამორიცხავს ადამიანის შეგნებულ კონტროლს, არამედ მხოლოდ ასუსტებს მას. საბჭოთა ფსიქოლოგების აზრით, „სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს აფექტის მდგომარეობაში ადამიანი სრულიად არ შეიგნებს იმას, რასაც იგი აკეთებს და თითქოს ამიტომ იმპულსური მოქმედებანი სავსებით მოკლებული არიან შეგნებულობას... იმპულსურ მოქმედებათა თავისებურებას მათი სრული შეუცნობლობა კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ ის, რომ, ჯერ ერთი, არ არსებობს მოქმედების მიზნით ნათელი შეგნება და, მერე, გაძნელებულია საკუთარი მოქმედების შეგნებული კონტროლი“<sup>3</sup>. იმ-

<sup>1</sup> იხ. ი. ლექსისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს აფექტს როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ზოგად გარემოებას (დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით), ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში გათვალისწინებულია როგორც სპეციალური შემადგენლობანი განზრახი მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხ. 106-ე) და სხეულის განზრახი მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი ამავე მდგომარეობაში (მუხ. 113-ე). ამ მუხლებით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული იყოს დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო ძალადობით ან მძიმე შურეაცხყოფით დაზნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ.

<sup>3</sup> В. М. Тенлов, Психология, М., 1948, стр. 157.



პულსურ მოქმედებასაც თავისი დასაბამი ფსიქიკურ (შეგნებულ) პროცესში აქვს, მაგრამ იმპულსი გადადის მოქმედებაში საწინააღმდეგო წარმოდგენათა არარსებობის პირობებში, რის გამოც იმპულსურ მოქმედებაში არ გადადის მთელი პიროვნება მისი ყველა პიროვნული თვისებებითა და მიზანდასახულობით, არამედ მხოლოდ ერთი უძლიერესი იმპულსი. რამდენადაც იმპულსური ქცევის დროს ნება, თუმცა პრიმიტიულია, მაინც იღებს მონაწილეობას სხეულებრივი მოძრაობის დასაწყის მომენტში, ამდენად ასეთი ქცევა შეიცავს ნებელობითი ქცევის ერთგვარ ელემენტს. სწორედ ამიტომ ზოგიერთი საბჭოთა ფსიქოლოგი (მაგ. რუბინშტეინი) აფექტში ჩადენილ მოქმედებას თვლის ნებელობით მოქმედებად ფართო მნიშვნელობით.

ნათქვამს უნდა დაემატოთ, რომ აფექტური მოქმედება, საბჭოთა ფსიქოლოგების აზრით, არ ითვლება ისეთ მოქმედებად, რომელიც არ შეიძლება იქნას დაძლეული. მართალია, თვით აფექტური აფეთქების მომენტში ადამიანს ეკარგება თავისი მოქმედების წარმართვის უნარი და იგი მთლიანად აფექტის ბრჭყალებშია მოქცეული, მაგრამ მას აქვს უნარი არ დაუშვას თავისი თავი აფექტურ აფეთქებამდე, არ მისცეს აფექტს განვითარების შესაძლებლობა. „ამიტომ, – წერს საბჭოთა ფსიქოლოგი ს. რუბინშტეინი, – საკითხი ასე კი არ უნდა დაეყენოთ: დასძლიეთ – როგორც გსურთ, – აფექტი, რომელმაც თქვენ უკვე შეიპყროთ, და თქვენ არ დაუშვებთ უპასუხისმგებლო აფექტურ ქცევას როგორც დამთავრებული სახით უკვე გაფორმებული აფექტის გარეგან გამოხატულებას, არამედ ამგვარად: ნუ დაუშვებთ, რომ აღძრული აფექტი მოქმედების სფეროში შეიჭრას, და ამით თქვენ დაძლეეთ აფექტს, მოაცილებთ თქვენში აღძრულ ემოციურ მდგომარეობას მის აფექტურ ხასიათს“<sup>1</sup>.

მაგრამ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში აფექტის მდგომარეობამ შეიძლება ცნობიერების ისეთი სრული დაკარგვა გამოიწვიოს, რომელიც საესეებით გამორიცხავს აზროვნების უნარს და შეგნებული კონტროლის რაიმე ნიშან-წყალს. ასეთ აფექტს პათოლოგიური აფექტი ეწოდება. პათოლოგიური აფექტის დროს ნებელობითი მოქმედება საესეებით გამორიცხულია, ვინაიდან ადამიანის თავის ტვინი ჰკარგავს

<sup>1</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 506.

თავის მაკონტროლებელ უნარს და ამის გამო სუბიექტს არ შეუძლია უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. ამიტომ პათოლოგიური აფექტის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სავსებით გამორიცხულია, მაშინ როდესაც ფიზიოლოგიური აფექტი შეიძლება მიღებულ იქნას მხედველობაში მხოლოდ როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება.

ნებელობითი მოქმედება გამორიცხული არ არის იმ შემთხვევებში, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია *actio libera in causa*-ს სახელწოდებით. ამ უკანასკნელთა არსება იმაში მდგომარეობს, რომ თუმცა მაინუ შედეგის გამოწვევის მომენტში პირი უკონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ეს უკონო მდგომარეობა ბრალეულად არის გამოწვეული თვით მოქმედის მიერ. მაგალითად, მატარებლის მარცხის გამოწვევის მიზნით, რკინიგზის მეისრე დათერება ისე, რომ მატარებლის მოსვლის მომენტში შესაძლებლობა არა აქვს გადაიყვანოს ისარი, ან დედა, ძუძუმწოვარა ბავშვისათვის ვნების მიყენების მიზნით, საწოლში ჩაიწვენს ბავშვს, რათა მოგუდოს ძილში. ასეთ შემთხვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებელი ქმედობის დროს. „თუ დედა ძილში გასრესს ბავშვს, — მ. ისაევი, — საკითხი ბავშვის სიკვდილისათვის მისი პასუხისმგებლობის შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი ძილის წინ, იმაზე, იცოდა თუ არა, რომ ძილი ძალიან მშფოთვარე აქვს, ჰქონდა თუ არა შეგნებული ძილში ბავშვის გასრესის შესაძლებლობა და ა.შ. ყველა გარემოებისდა მიხედვით შეიძლება დადგენილ იქნას მისი ბრალის ფორმაც; ბრალი შეიძლება იყოს გაუფრთხილებლობითი, თუ მან არ იცოდა, როგორი ძილი აქვს, მაგრამ უნდა სცოდნოდა ამის შესახებ; ბრალი შეიძლება იყოს განზრახვითი, თუ ძილის წინ ბავშვი ლოგინში ჩაიწვინა სწორედ იმ განზრახვით, რომ ძილში იგი გაესრისა“.<sup>1</sup>

აღნიშნული მოსაზრებებიდან ნათლად ჩანს, რომ ქცევა (რომელთანაც დაკავშირებულია ბრალეულობის მომენტი) იმ დროს ეკუთვნის, როდესაც დედა ბავშვს ლოგინში იწვენს, ე.ი. როდესაც იგი შეგნებულად,

---

<sup>1</sup> М. М. Исаев. Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М., 1948, стр. 76.

ნებისმიერად მოქმედებს. ამ შეგნებული მოქმედების დროს დელას იქნებ წარმოადგენილი არ ჰქონდეს ვნება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მისი მოქმედების შედეგად, თუმცა შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ეს ვნება. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს შეუცნობელ გაუფრთხილებლობას ანუ დანაშაულებრივ დაუდევრობას, რომელიც ბრალად ერა ცხება სუბიექტს. „საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა, — წერს პროფ. მ. ისაევი, — ყოველგვარი მერყეობის გარეშე ბრალად ურაცხავს ტრანსპორტის მომუშავეს — მემანქანეს მატარებლის მარცხს, თუ მარცხი იმის გამო მოხდა, რომ მემანქანემ შეგნებულად დაიძინა თავისი მორიგეობის წინ და არ მიიღო არავითარი ზომები, რომ გაეღვიძებინათ. ის საკითხი, შეურაცხ მდგომარეობაში იყო თუ არა იგი ძილის დროს, არც კი აღიძვრის“<sup>1</sup>.

## §2. მოქმედებისაგან თავის შეკავება როგორც ნებელობითი ქცევა

ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება ის საკითხი, ეკუთვნის თუ არა ნებელობით აქტს, დადებით მოქმედებასთან ერთად, მოქმედებისაგან თავის შეკავება (უმოქმედობა), თუ ნებელობითი აქტი ადამიანის მხოლოდ დადებით მოქმედებას გულისხმობს.

ამ საკითხს ბურჟუაზიული კრიმინალისტიკების დიდი ნაწილი უარყოფითად წყვეტს. მაგალითად, გ. რადბრუხი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა მოქმედების პრობლემას სისხლის სამართალში, ამტკიცებდა, რომ დადებითი მოქმედება და მოქმედებისაგან თავის შეკავება არ შეიძლება გაერთიანებულ იქნენ ნებისყოფის აქტის ერთ საერთო გვარეობით ცნებაში და ამიტომ დანაშაულის ცნება არ შეიძლება აგებულ იქნას მონისტურად, არამედ მხოლოდ დუალისტურად. გ. რადბრუხი წერდა: „ისევე, როგორც ცნება და მისი კონტრადიქტორული წინააღმდეგობა, A და არა A არ შეიძლება მოთავსდნენ ერთი უმაღლესი ცნების ფარგლებში, სწორედ ასევე მოქმედება და უმოქმედობა არ-

<sup>1</sup> М. М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М., 1948. стр. 76.

სებობენ ერთიერთმანეთის გვერდით როგორც დაუკავშირებელი ცნებანი“<sup>1</sup>. ამ დებულებას გ. რადბრუხი იმით ასაბუთებდა, რომ უმოქმედობას არ ახასიათებს მოქმედებისათვის თანაარსი არც ერთი ნიშანი: უმოქმედობის დროს არ არის ნება, არც სხეულებრივი მოძრაობა და არც მიზეზობრივი კავშირი მათ შორის.

ეს შეხედულება არ შეიძლება ხწორად ჩაითვალოს. სინამდვილეში განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავება, მოძრაობის სტიმულის ჩახშობა ისევე შეიძლება იყოს ნებელობითი იმპულსის გამოვლინება, როგორც დადებითი მოქმედება. ხშირად რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება ნებელობითი ენერჯის გაცილებით უფრო ღიდ დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე დადებითი ქმედობის ჩადენა.

როდესაც სისხლის სამართალში უმოქმედობაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ არა სუბიექტის აბსოლუტური პასივობა, არამედ თავის შეკავება განსაზღვრული მოქმედებისაგან, რომელსაც ამ სუბიექტისაგან მოელოდნენ. ასეთ უმოქმედობაში შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო ადამიანის ნებელობითი გადაწყვეტილება, არამედ განსაზღვრულ პირობებში იგი შეიძლება წარმოადგენდეს ისეთსავე ზემოქმედებას ობიექტურ გარესამყაროზე, ისეთსავე პირობების შექმნას განსაზღვრული შედეგის განხორციელებისათვის, როგორც ადამიანის დადებითი მოქმედება. უმოქმედობის დროსაც ადამიანმა შეიძლება გამოავლინოს განსაზღვრული დამოკიდებულება გარესამყაროსადმი. როგორც სწორად შენიშნავს საბჭოთა ფსიქოლოგი პროფ. ს. რუბინ-შტინი, „ქცევა იმდენად არ შეიძლება დავიყვანოთ გარეშე მოძრაობამდე, რომ ზოგჯერ თავის შეკავება რაიმე მოქმედებაში მონაწილეობისაგან თვით შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვანი რეზონანსის მქონე ქცევას, თუკი მასში გამოვლინდა ადამიანის პოზიცია, მისი დამოკიდებულება გარეშე სამყაროსადმი“<sup>2</sup>.

სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ტერმინი „მოქმედება“ ხშირად ნახმარია ფართო მნიშვნელობით, რომელშიც მოიცავს არა მარტო დადებით მოქმედებას, არამედ აგრეთვე მო-

<sup>1</sup> G. Radbruch. Der Handlungsbegriff in seiner Bedeutung für das Strafrechtssystem, Berlin, 1904, S. 141-142.

<sup>2</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 537.

ქმედებისაგან თავის შეკავებასაც, ე.ი. უმოქმედობას. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში ნებელობითი აქტის ზოგადი ცნების გამოსახატავად ხმა-რობენ ტერმინს „ქმედობას“, რომელიც მოიცავს როგორც დადებით მოქმედებას, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებას. საფუძვლების მე-7 მუხლში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში) ნათქვამია: „დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა)“.

ამგვარად, სოციალისტური სისხლის სამართლებრივი ლიტერატურა და კანონმდებლობა აერთიანებენ დადებით მოქმედებას და უმოქმედობას ერთ უმაღლეს ცნებაში და ამით უარყოფენ იმ შეხედულებას, თითქოს ეს ცნებანი გეტეროგენულნი არიან და მათ გვარეობითი საერთო ცნება არა აქვთ.

იმ საერთო წესიდან, რომ ადამიანს შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ ნებელობითი მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, სისხლის სამართალი სცნობს გამონაკლისს, რომელიც გაუფრთხილებელი დანაშაულის სფეროს ეკუთვნის. ეს არის ისეთი დანაშაულებრივი უმოქმედობა, რომლის დროსაც ადამიანს შეგნებული არა აქვს არა მარტო თავისი ქცევის შედეგი, არამედ თვით ქცევაც. მაგალითად, თუ სუბიექტმა გულმავიწყობის გამო არ დაკეტა შლაგბაუმი იმ მომენტში, როცა ეს საჭირო იყო, ან თუ მას დაავიწყდა გაზის ონკანის გადაკეტვა, იგი არ ითვალისწინებს არა მარტო თავისი გულმავიწყობის შედეგებს, არამედ საზოგადოდ თავის ქცევას; არ ითვალისწინებს, რომ არ ასრულებს ქმედობას, რომელიც მისგან მოსალოდნელი და სავალდებულოც იყო. ასეთ შემთხვევებში ძნელია ვილაპარაკოთ ნებელობით ქცევაზე. რა თქმა უნდა, იმ მომენტში, როდესაც იგი არ ასრულებს მისთვის სავალდებულო მოქმედებას, იგი შეიძლება არც იყოს აბსოლუტურად პასიურ მდგომარეობაში, არამედ რაიმე სხვა ნებელობით მოქმედებას ასრულებდეს. მაგალითად, რკინიგზის თანამშრომელი იმ მომენტში, როცა მან შლაგბაუმი უნდა ჩაკეტოს, შეიძლება ჭადრაკს თამაშობდეს, ან თავის ბოსტანში მუშაობდეს. მაგრამ სისხლის სამართლისათვის მისი ეს ნებელობითი მოქმედება არავითარ ინტერესს

არ წარმოადგენს. მთავარი აქ ის არის, რომ მოქმედებისაგან თავის შეკავება არ არის პირის ნებელობითი გადაწყვეტილების პროდუქტი: იგი არ მოქმედებს, ვინაიდან დაავიწყდა, რომ უნდა ემოქმედნა.

მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ასეთი უმოქმედობაც არ გამოირიცხავს სუბიექტის განსაზღვრულ პოტენციურ დამოკიდებულებას თავისი ქმედობისადმი. ეს დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტის მიერ შეუსრულებელი მოქმედება მისი შესაძლებლობის სფეროში იყო. ნამდვილი ნებელობითი აქტის ადგილს აქ ამგვარად შესაძლებელი ნებელობითი აქტი იჭურს. მაგრამ შესაძლებელი ნებელობითი აქტის მიღმა პასუხისმგებლობა შეუძლებელია. პირიქით, იქ, სადაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ადამიანის ქცევაზე, რამდენადაც მოქმედების ჩადენა ნებისყოფის ბატონობის სფეროში იყო და უმოქმედობა ნებისყოფის არასაკმარისად დაძაბვის პროდუქტს წარმოადგენს.<sup>1</sup>

### §3. ქმედობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა

ნებელობითი ქცევის ცნების დადგენა მეტად მნიშვნელოვანია დანაშაულის ცნების აგებისათვის, ვინაიდან ნებელობითი ქცევა („ქმედობა“) ის ლოგიკური ცენტრია, რომელსაც უნდა დაუკავშირდეს შემდგომი ელემენტების სახით საზოგადოებრივი საშიშროება, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა, რათა ვიმსჯელოთ დანაშაულებრივი ქმედობის არსებობაზე და ამ ქმედობის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ნებელობითი აქტის ცნება გამოსადეგია ამ მიზნისათვის იმის გამო, რომ ქცევას მოქმედება მხოლოდ იმდენად წარმოადგენს, რამდენადაც „იგი გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისადმი, რაც ნივთების მეშვეობით ხორციელდება“<sup>2</sup>. მაგრამ აქედან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გაკეთება, თითქოს საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობის და ბრალეულობის ცნებანი თვით ნებელობითი აქტის

<sup>1</sup> ანალოგიურად წვეტს აღნიშნულ საკითხს ვ. ნ. კუდრიავეცი (В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, стр. 13-14).

<sup>2</sup> С. Л. Рубинштейн, Бытие и сознание, М., 1957, стр. 252.

შემაღვანელ ელემენტებს წარმოადგენენ. ეს იქნებოდა შექმნა მოქმედების სპეციალური ცნებისა, რომელიც სამართლებრივი შეფასების შემცველი და მოქმედების ზოგადი ფსიქოლოგიური ცნებისაგან განსხვავებული ცნება იქნებოდა. ამავე დროს მოქმედების ფსიქოლოგიური ცნება არ შეიცავს სამართლებრივი შეფასების მომენტს; მოქმედება ფსიქოლოგიური მნიშვნელობით შეიძლება იყოს იურიდიული თვალსაზრისით მართლზომიერიც და მართლსაწინააღმდეგოც, ბრალეულიც და უბრალოც. ამიტომ მოქმედების ცნების განსაზღვრებაში არ შეიძლება შეტანილ იქნას პირის წარმოდგენათა ხასიათი და შინაარსი, რომელთაც პირიქით არსებითი მნიშვნელობა აქვთ ბრალისათვის. ითვალისწინებდა თუ არა სუბიექტი განსაზღვრულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, ჰქონდა თუ არა მას შესაძლებლობა გაეთვალისწინებინა ეს შედეგი, — ყოველივე ეს არ შედის მოძღვრებაში მოქმედების შესახებ. თუ ვინმე დაბურულ ტყეში ნადირობდა და სრულიად შემთხვევით, ყოველგვარი ბრალის გარეშე, კაცი დაჭრა, იგი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ეს ხდება არა იმიტომ, რომ პირი არ მოქმედებდა, არამედ იმიტომ, რომ მას ბრალი არ ჰქონდა: მას არ უნდა გაეთვალისწინებინა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ კაცს დაჭრიდა.

ადამიანის ქცევის შედეგების მოცულობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ეს პირის შეგნებითაა მოცული. პირი, რომელიც მიზანდასახულად მოქმედებს, მიიღტვის გამოიწვიოს განსაზღვრული ცვლილება გარესამყაროში. ეს განსაზღვრული ცვლილება ობიექტში — მისი ნებელობითი ქცევის მიზანია. მაგრამ ნებელობით ქცევას შეიძლება მოჰყვეს მრავალი სხვა შედეგი, რომელთაგან ზოგიერთი დასახულ მიზანს არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, რომელიც არასასურველია მოქმედებისათვის. დაბოლოს, ნებელობით ქცევას შეიძლება ისეთი შედეგიც მოჰყვეს, რომელსაც მოქმედი არც კი ითვალისწინებდა.

იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგისაკენ მიისწრაფოდა სუბიექტი, რა შედეგი იყო მოცული მისი შეგნებით, როგორც ნებელობითი ქცევის თანამდევი შედეგი, ე.ი. სუბიექტის ნების შინაარსის მიხედვით, ჩვენ სხვადასხვაგვარად ვაფასებთ მის ქცევას ზნეობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. მაგრამ ის გარემოება, რომ ნებელობითი

ქცევის ზოგიერთი შედეგი მოცული არ იყო პირის შეგნებით, რომ მაშასადამე ამ შედეგის მიმართ პირი გაუფრთხილებლად მოქმედებდა, არ გამოორიციხავს მთლიანად ქმედობის ნებელობით ხასიათს. ნებელობით ქცევას შეიძლება უნებლიედ და განუსაზღვრელად მრავალი სხვადასხვა შედეგი მოჰყვეს. მაგრამ რამდენადაც თვით ადამიანის მოქმედება შეგნებული იყო, ამდენად რომელიმე ამ შედეგთაგანი მაინც უშუალოდ უნდა შელიოდეს მოქმედი სუბიექტის შეგნებულ მიზანში<sup>1</sup>.

ამიტომ ზემოთ მოტანილ მაგალითში მონადირის ქცევა (თოფის გასროლა ნადირის მოკვლის მიზნით) რჩება შეგნებულ ნებელობით ქცევად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქცევის განსაზღვრულ კონკრეტულ შედეგს (ადამიანის დაჭრას) მოქმედი სუბიექტი არ ითვალისწინებდა. ასეთ ქმედობებს, რომლებშიც შეგნებული არ არის რაიმე, ჩვენთვის საინტერესო შედეგი, შეუცნობელი ქცევა ეწოდება. „... როდესაც ამბობენ, — წერს პროფ. ს. ლ. რუბინშტეინი, — რომ ადამიანი შეუცნობლად მოქმედებს, ... ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შეცნობილი არა აქვს არა თავისი ქცევა, არამედ შედეგები, რომლებიც უნდა მოყვეს ამ ქცევას, ან უფრო ზუსტად, მას შეცნობილი არა აქვს თავისი ქცევა, რამდენადაც შეცნობილი არა აქვს მისგან გამოძინარე შედეგები; მას შეგნებული არა აქვს, თუ რა გააკეთა, ვიდრე არ შეუგნია, თუ რას ნიშნავს მისი ქცევა იმ რეალურ ვითარებაში, რომელშიც იგი იყო ჩადენილი“<sup>2</sup>.

ამრიგად, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი ადამიანის ქცევას, საკმარისია, რომ გამოვლინებული იყოს ნებისყოფა, და სულაც არ არის საჭირო, რომ ეს ნებისყოფა ეკუთვნოდეს სწორედ ჩვენთვის საინტერესო შედეგს. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვადიაროთ ნებელობითი ქცევის არსებობა არა მარტო განზრახვი, არამედ გაუფრთხილებელი მოქმედების დროსაც. კერძოდ ნებელობითი ქცევა გვაქვს დანაშაულებრივი დაუდევრობის (შეუცნობელი გაუფრთხილებლობის) დროსაც, რამდენადაც პირს შეგნებული აქვს თვით ქცევა

<sup>1</sup> იხ. С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 541-542; შ. ჩხარტიშვილი, ნებელობითი ქცევის მოტივის პრობლემა, თბილისი, 1958, გვ. 323.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 9-10.



და რაიმე, თუხდაც სრულიად სხვა შედეგი. უფრო მეტიც, ხებელობით ქვევს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შედეგის არაბრალეულად გამოწვევის დროსაც. ამაზე სწორედ მიუთითებს პროფ. ნ. დურმანოვი. „უნდა აღინიშნოს, – წერს იგი, – რომ დანაშაულად ადამიანის ქვევის მხოლოდ შეგნებული ნებელობითი აქტის აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს წინასწარ ბრალეულობისა და ბრალის ფორმის საკითხის გადაჭრასაც. იმისათვის, რათა ქმედობა ადამიანის ქვევის აქტად ჩაითვალოს, საკმარისია, რომ ქვევა ნებისყოფით იყოს წარმართული, ხოლო მნიშვნელობა არა აქვს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას შედეგებისადმი“<sup>1</sup>.

#### §4. ბურჟუაზიული თეორიები მოქმედების შესახებ

მოძღვრებამ ქმედობის შესახებ ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში განვითარების გრძელი გზა განვლო. XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს ბურჟუაზიულ თეორიულ-პრაქტიკულ ცხოვრებაში გაბატონებული იყო ე.წ. „ბუნებრივი“ ანუ „კაუზალური“ სწავლება მოქმედებაზე, რომელიც ცივილისტმა ე. ციტელმანმა დაასაბუთა, ხოლო სისხლის

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов. Понятие преступления М., 1948, стр. 39.

ვ. სმირნოვი ილაშქრებს იმ დებულების წინააღმდეგ, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობა გულისხმობს ადამიანის შეგნებულ, ნებელობით მოქმედებას, რომელიც მიზანდასახულ ხასიათს ატარებს. ვ. სმირნოვის აზრით, „მიზნის ნათლად დასახვა, ქმედობის ამკარა მიზანდასახულობა არსებობს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს. უკვე არაპირდაპირი განზრახვის დროსაც კი შეუძლებელია ვამტკიცოთ „წმინდა სახით“ მიზანდასახული, ნებელობითი აქტის არსებობა (იხ. „Правоведение“, 1957 г., №1, გვ. 155). როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ვ. სმირნოვს მხედველობაში აქვს ნებისყოფის დამოკიდებულება თვით დანაშაულებრივი შედეგისადმი. მისი „ნდობა“ სუბიექტის მიერ, რაც „წმინდა სახით“ მართლაც მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს არსებობს. ჩვენ კი სულ სხვა გეანტერესებს, სახელდობრ, რა ნიშნები ახასიათებს ქმედობას როგორც იმ მიზეზობრივი ჯაჭვის პირველ რეკლს, რამაც სამართლით დაკული ობიექტის დაზიანება გამოიწვია. ამ კითხვაზე ჩვენ ვუპასუხებთ: ქმედობას შეგნებული, მიზანდასახული ხასიათი უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი შედეგი ყოველთვის სუბიექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს, დანაშაულებრივი შედეგი შეიძლება სუბიექტის მიზნის მიღმა იყოს. უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტი შეიძლება მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში არ უშვებდეს შედეგის განხორციელების შესაძლებლობას ან არ ითვალისწინებდეს მისი განხორციელების განყენებულ შესაძლებლობასაც კი.

სამართალში განსაკუთრებით ფ. ლისტმა და ე. ბელინგმა განავითარეს.

ციტელმანს ქედობა ესმოდა როგორც სხეულებრივი მოძრაობა. რომლის მიზეზსაც ნებისყოფის გამოვლინება წარმოადგენს, ხოლო ნება – როგორც ისეთი ფენომენი, რომლის თაობაზე არაფერი არ არის ცნობილი, გარდა იმისა, რომ თვით იგი სხეულებრივი სამყაროს მოვლენას არ წარმოადგენს, მაგრამ სხეულებრივ მოძრაობას იწვევს. თანაც ციტელმანი განიხილავდა ნებისყოფას და სხეულის მოძრაობას არა როგორც მთლიანობას, არამედ როგორც პროცესებს, რომლებიც მიზეზისა და შედეგის ცალმხრივ მიმართებაში იმყოფებიან. ციტელმანის აზრით, ნებისყოფის აქტი – ფსიქიკური პროცესია, რომელიც გარედან წარმართავს ადამიანის საქმიანობას მოტორული ნერვების აღძვრის მეშვეობით. რაც შეეხება სხეულებრივ მოძრაობას, ეს უკანასკნელი, წარმოიშვება რა როგორც ნებისყოფის შედეგი, თავის მხრივ ხდება მიზეზი ცვლილებისა გარეშე სამყაროში<sup>1</sup>. სწორედ ამგვარადვე ლისტისათვის „ნებისყოფა, რომელიც მისი განხორციელების დროს გამოძლევენდება, მდგომარეობს... მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფის იმპულსში. უკანასკნელი ფიზიოლოგიურად შეიძლება განისაზღვროს როგორც ინერვაცია, ხოლო ფსიქოლოგიურად – როგორც ის ფსიქიკური პროცესი, რომლის მეშვეობით მიზეზს ვადგენთ“<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, „ბუნებრივი“ მოძღვრება მოქმედების შესახებ განმარტავს ნებისყოფის აქტს როგორც პროცესს, რომელიც მთლიანად გარეგანი, მექანიკური მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება, შინაგანი, ფსიქოლოგიური პროცესები სავსებით გაძევებულია მოქმედების ცნებიდან, რომელიც წარმოგვიდგება როგორც წმინდა ფიზიკური მოვლენა, როგორც ლიტონი მიზეზობრივი საწყისი.

ნებისყოფის აქტის ასეთი გაგება ცალმხრივია და მის ნამდვილ არსებას არ გამოხატავს. თუ ნებისყოფა განმარტებული იქნება როგორც მხოლოდ სხეულებრივი მოძრაობის მიზეზი, მაშინ აქედან გამოტანილი უნდა იქნეს დასკვნა, თითქოს ნებისყოფის საგანი შეიძლება იყოს მარტოოდენ სინამდვილეში განხორციელებული სხეულებრივი მოძრაობა, ვინაიდან მიზეზი მხოლოდ იმდენადაა მიზეზი,

<sup>1</sup> E. Zittelmann, Irrtum und Rechtsgeschäft, Leipzig. S. 29 ff.

<sup>2</sup> Ф. Лист, Учебник уголовного права. Общая часть, М., 1903, стр. 126.

რამდენადაც მან შედეგი წარმოშვა. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ფაქტი ისეთი შინაგანი ნებელობითი პროცესების არსებობისა, რომელნიც სხეულებრივ მოძრაობაში არ გამოვლინებულან. ეს მაშინ ხდება, როდესაც დასახული მიზნის განხორციელების საშუალება სხეულებრივ მოძრაობაში კი არ მდგომარეობს, არამედ წმინდა შინაგან პროცესში, რომლის დროსაც მოტორული ნერვების აღგზნებას ადგილი არა აქვს. ასეთ შემთხვევებს, როდესაც ნებისყოფის პროცესი გარეგნულად არ გამოვლინდება, „შინაგანი“ მოქმედება ეწოდება. შინაგანი ნებელობითი აქტის მაგალითს წარმოადგენს ნებისმიერი მოგონება რაიმე აბიისა. „რამდენადაც ადამიანის შინაგანი ფსიქიკური პროცესები იმავე სტრუქტურას ამჟღავნებენ, რასაც გარეგანი მოქმედება, სრული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ არა მარტო გარეგან, არამედ აგრეთვე შინაგან მოქმედებაზეც“<sup>1</sup>.

მოქმედების ციტელმანისებური გაგების მეორე თანამიმდევარ დასკვნას წარმოადგენს ნებელობითი ქცევის უარყოფა მოქმედებისაგან თავის შეკავების დროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში სხეულებრივ მოძრაობას ადგილი არა აქვს. მართლაც, ამ შეხედულების მიმდევრები უარყოფენ უმოქმედობის დროს როგორც ნებელობითი აქტის არსებობას, ისე მის კაუზალურ ხასიათს შემდგომი გარეშე მოვლენის განხორციელების მიმართ. უმოქმედობის ნებელობითი ხასიათის უარყოფის უსწორობა უკვე აღვნიშნეთ.

ეს „კაუზალური“ ანუ „ბუნებრივი“ სწავლება ქმედობის შესახებ შემდგომ გაკრიტიკებული იყო „ნორმატივისტული“ შეხედულების მომხრეთა მიერ, რომლებიც თვლიდნენ, რომ „ბუნებრივი“ სწავლება მოქმედებაზე არ შეესაბამება სისხლის სამართლის პრაქტიკულ მოთხოვნებებს და ამიტომ სისხლის სამართალში უნდა შეიქმნას სპეციფიკური სწავლება მოქმედების შესახებ.

„ნორმატული“ სწავლების ფესვები საკმაოდ ღრმად მიდის. ჯერ კიდევ პეგელის მიმდევრები სისხლის სამართლის სფეროში – კესტლინი, ბერნერი და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებამ უნდა შეიმუშავოს ქმედობის განსაკუთრებული ცნება, რომელიც განსხვავდება ფსიქოლოგიასა და სხვა მეცნიერებებში მიღებული ცნებ-

<sup>1</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946\_ стр. 542.

ისაგან. მოქმედების ცნება, ამ კრიმინალისტიკების აზრით, შერაცხვის ცნებას ემთხვევა, მაშასადამე იგი მართლწინააღმდეგობასა და ბრალსაც მოიცავს. აღნიშნული შეხედულების თანახმად, მოქმედებად სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმელობა.

მოქმედების ასეთ გაგებას უერთდება შემდგომ კ. ბინდინგი, რომელიც ამტკიცებს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით მოქმედება „განხორციელებულ იურიდიულად რელევანტურ ნებას წარმოადგენს“<sup>1</sup>. მაშასადამე, მისი აზრით, ნებისყოფის აქტის ცნება იმ მნიშვნელობით, როგორც იგი ფსიქოლოგიას ესმის, სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია.

მოქმედების წმინდა იურიდიული, ნორმატივისტული გაგება დამახასიათებელია განსაკუთრებით იმპერიალისტური პერიოდის სისხლის სამართლისათვის. ნეოკანტიანელი კრიმინალისტიკები, რომლებიც პრინციპულად თიშავენ ყოფიერების და ჯერარსობის სფეროს და, ამის შესაბამისად, აღწერილობითსა და შეფასებით მეცნიერებათა სფეროებს, ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის თვალსაზრისით რელევანტური ცნება მოქმედებისა, ისევე, როგორც სხვა სისხლისსამართლებრივი ცნებანი, წმინდა ნორმატიულ ხასიათს ატარებს. ასე, ვ. ზაუერის აზრით, „მართლწესრიგის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ახსნას და აღწეროს ადამიანის მოქმედება როგორც ბუნებრივი მოვლენა, არამედ იმაში, რომ შეაფასოს იგი — როგორც სოციალური მოვლენა“<sup>2</sup>. ნორმატიული თეორიის მიხედვით, მოქმედება სისხლის სამართლის აზრით გაგებულ უნდა იქნას არა როგორც ობიექტურ სამყაროში მიმდინარე რეალური პროცესი, რომელშიც ადამიანი შეგნებულად და მიზანდასახულად ახდენს ზემოქმედებას გარე სამყაროზე, არამედ როგორც შეფასებითი მსჯელობა, რომლისთვისაც ის, რაც ნებისყოფამ გამოიწვია, მნიშვნელოვანია მარტოდენ როგორც საბაბი სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდებისათვის.

ამრიგად, ნებელობითი ქცევის მეცნიერულად დასაბუთებული ცნებების მაგიერად ნორმატივისტიკები გვთავაზობენ ყოველგვარი ობიექტურ-

<sup>1</sup> K. Binding, Die Normen und ihre Übertretung, B. 2, Leipzig, 1916, S. 92.

<sup>2</sup> W. Sauer, Grundlagen des Strafrechts, Berlin und Leipzig, 1921, S.35.

ისაგან დაცლილ სუბიექტურ ცნებას, რომლის შინაარსს თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში ადგენს ბურჟუაზიული მოსამართლის შეფასებითი მსჯელობა.

ქმელობის სუბიექტური გაგება თავის კულმინაციურ პუნქტს აღწევს ახალ თეორიაში ქმელობის შესახებ, რომელსაც „ფინალური მოძღვრება“ ეწოდება. მისი მამამთავარია ჰ. ველცელი, ხოლო ძირითადი წარმომადგენლები — მაურახი, ნიზე, გალასი და სხვ.

ფინალურ თეორიას საფუძვლად უდევს ბურჟუაზიული ფილოსოფოსის ნიკოლაი ჰარტმანის ონთოლოგიური მოძღვრება ყოფიერების შესახებ, სახელდობრ, ჰარტმანის თეზისი ადამიანის ქმელობის ფინალური ბუნების შესახებ.

ფინალური თეორია პრეტენზიას აცხადებს მოქმედების ისეთი ცნების შექმნაზე, რომელიც წინ უსწრებს ამ ცნების სამართლებრივ გაგებას და საერთოა დანაშაულის გამოვლინების ყველა ფორმისათვის, ე.ი. როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მოქმედებისათვის, როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი ბრალისათვის. ამ მოთხოვნას, ფინალური თეორიის აზრით, ძველი „კაუზალური თეორია“ ვერ აკმაყოფილებდა.

მოქმედების „კაუზალური თეორიის“ ძირითად ნაკლად „ფინალური მოძღვრების“ წარმომადგენლები იმას თვლიან, რომ მას ქმელობის არსად მიაჩნდა მისი კაუზალური ხასიათი შედეგის მიმართ. ქმელობის „კაუზალური“ თეორიისათვის მოქმედება როგორც ნებისყოფის აქტი იმით ხასიათდება, რომ „სხეულებრივი მოძრაობა გამოწვეული იყო ნებით“, რომ მაშასადამე, რაღაც იყო ნასურვები. მაგრამ ეს თეორია საჭიროდ არ თვლიდა დაეყენებინა ის საკითხი, თუ რა იყო ნასურვები, რისკენ მიისწრაფოდა ნება; ნებისყოფის შინაარსს, კაუზალური თეორიის მიხედვით, მნიშვნელობა არა აქვს მოქმედების ცნებისათვის; ნებისყოფის შინაარსი მიეკუთვნება მოძღვრებას ბრალის შესახებ, თანაც ბრალად „კაუზალური“ თეორია განზრახვას და გაუფრთხილებლობას თვლის.

ფინალურ თეორიას ქმელობის ძირითად ელემენტად მიაჩნია არა მისი კაუზალური ხასიათი, არამედ მისი სუბიექტური შინაარსი, მისი მიზანსწრაფულობა. „ადამიანის მოქმედება მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებას წარმოადგენს. ქმელობა ამიტომ „ფინალური“ და არა

მხოლოდ კაუზალური მოვლენა<sup>1</sup>, – აცხადებს ფინალური მოძღვრების მამამთავარი ჰ. ველცელი. მაგრამ რას ნიშნავს ქმედობის „ფინალურობა“? ამ კითხვაზე ფინალური მოძღვრება ქმედობის შესახებ ასე უპასუხებს: „ქმედობის ფინალურობა ანუ მიზანსწრაფულობა იმას ემყარება, რომ ადამიანს თავისი კაუზალური ცოდნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვრული მოცულობით გაითვალისწინოს თავისი საქმიანობის შესაძლებელი შედეგები, დასახოს სხვადასხვა მიზნები და გეგმაზომიერად წარმართოს თავისი საქმიანობა ამ მიზნების მიღწევისაკენ“<sup>2</sup>. ფინალური თეორიის წარმომადგენლები ცდილობენ მკვეთრად გამოჰყონ ფინალური მოქმედება კაუზალურისაგან. „ფინალური საქმიანობა – ეს არის მიზნისაკენ შეგნებულად მიმართული მოქმედება, მაშინ, როდესაც წმინდა კაუზალური მოვლენა მიზნით წარმართული კი არ არის, არამედ რაიმე მიზეზობრივი კომპონენტების არსებობის შემთხვევითი შედეგია. ამიტომ – ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ – ფინალურობა თვალხილულია, ხოლო კაუზალობა – ბრმა“<sup>3</sup>.

ფინალური მოქმედების ძირითად ელემენტად ამ შეხედულების წარმომადგენლები ნებას თვლიან. იგი ობიექტურად აფორმებს და გარდაქმნის გარეგან კაუზალურ მოვლენას, რომელიც ნებისყოფით წარმართვის გარეშე, სწორედ რომ ბრმა პროცესი იქნებოდა.

მოქმედების ფინალური სტრუქტურა ორი ძირითადი საფეხურისაგან შედგება. პირველი საფეხური მთლიანად აზროვნების სფეროში მიმდინარეობს და შემდეგ მომენტებს მოიცავს: ა) მოქმედებისათვის დასახული მიზნის წინასწარ განჭვრეტა (Vorwegnahme), ბ) შერჩევა საშუალებისა ანუ კაუზალური ფაქტორისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება მიზნის მიღწევა; გ) იმ თანამდევი შედეგების გათვალისწინება, რომლებიც მიზნის განხორციელებასთან არიან დაკავშირებული. ფინალური მართვის მეორე საფეხური რეალურ სამყაროში მიმდინარეობს და გულისხმობს მოქმედების მიერ წინასწარ დასახუ-

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystem. Eine Einführung in die finale Handlungslehre, Göttingen, 1957, S. 3, მისვე, Das Deutsche Strafrecht, Berlin, 1960, S. 28.

<sup>2</sup> R. Maurach, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, Karlsruhe, 1954, S. 130.

<sup>3</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystem, 1957, S. 3.

ლი მიზნის, არჩეული საშუალებებისა და თანამდევი შედეგების გათვალისწინების საფუძველზე კაუზალური პროცესის წარმართვას<sup>1</sup>.

ფინალურად განხორციელებული, ამ თეორიის თანახმად, მხოლოდ ის შედეგი იქნება, რომელიც წინასწარ გათვალისწინებული იყო სუბიექტის მიერ როგორც მოქმედების მიზანი ან საშუალება ან თანამდევი შედეგი და რომლის განხორციელებაზე ამგვარად მიმართული იყო ფინალური ნებისყოფა.

ის, რომ ადამიანის მოქმედება მიზანდასახული ქცევაა, რომ ადამიანს უნარი აქვს წინასწარ წარმოიდგინოს თავისი მომავალი მოქმედების შედეგი და თავის თავში აავოს ის, რაც შემდეგ ობიექტურ სინამდვილეში უნდა განახორციელოს, რომ ადამიანს უნარი აქვს შეარჩიოს სათანადო საშუალებანი და გამოიყენოს შესაბამისი მექანიკური, ფიზიკური თუ ფსიქიკური კანონზომიერებანი დასახული მიზნის მისაღწევად — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სწორია და ამაში არაფერია ახალი და ორიგინალური. ფინალური თეორიის არსება რომ ამით ამოიწურებოდეს, ჩვენ მის წინააღმდეგ არაფერი გვექნებოდა სათქმელი. მაგრამ ფინალური თეორიის ძირითადი არსება ამ დებულებით არ ამოიწურება. მთავარი ამ თეორიისათვის ის არის, რომ ის აიგივებს ქმელობის ფინალურობას და განზრახულობას და განზრახვა მოქმედების ცნებაში შეაქვს. განზრახვა, ამ თეორიის აზრით, ბრალის ელემენტს კი არ წარმოადგენს, არამედ თვით მოქმედების არსებითი შემადგენელი ნაწილია. წინააღმდეგ მოქმედების „კაუზალური“ თეორიისა, რომელიც მოქმედებას განიხილავდა წმინდა ნატურალისტურად, როგორც გარე სამყაროს ცვლილებას, რომელიც შეიძლება გრძობელობით აღიქვას, ფინალური მოძღვრება მოქმედებაზე განიხილავს მას როგორც არსებითად სუბიექტური შინაარსის მქონე ცნებას. „არაფინალურ მოძღვრებად ქმელობის შესახებ — წერს რ. მაურახი, — უნდა ჩაითვალოს ყველა შეხედულება, რომელიც განზრახვას ბრალის შემადგენელ ელემენტად თვლის. თანამიმდევარი ფინალისტი მხოლოდ ის არის, ვინც განზრახვას განიხილავს როგორც ბუნებრივ განზრახვას, ე.ი. როგორც ისეთ ფენომენს, რომელიც მხოლოდ ქმელობის შემადგენლობას ეკუთვნის, ხოლო არაფინალისტია ის, ვისაც

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild des Strafrechtssystem, 1957, S. 3-4.

განზრახვა ესმის ტრადიციულად როგორც *dolus malus*, შერაცხვის უნარი – როგორც განზრახვის წარმოშობის წინამძღვარი, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნება – როგორც განზრახვის შემადგენელი ნაწილი<sup>1</sup>.

ამგვარად, ფინალისტები ილაშქრებენ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული დებულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით განზრახვა ბრალის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა, „ბოროტი“ განზრახვაა და არა სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ინდიფერენტული მოვლენის გათვალისწინება და სურვილი ან დამკვირვება.

ამით ფინალისტები განზრახვის შინაარსს მნიშვნელოვნად ცვლიან, ეს უკვე აღარ არის „ბოროტი განზრახვა“, *dolus malus*, ე.ი. პირის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედობისადმი, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც ზნეობრივად გასაკიცხი, არამედ წარმოადგენს ყოველგვარ შეფასებას მოკლებულ ბუნებრივ ფსიქიკურ პროცესს, რომელიც არსებითად ნიშნავს პირის ნებისყოფას იმოქმედოს განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად. ასეთი განზრახვის აუცილებელ წინამძღვარს არ შეიძლება წარმოადგენდეს შერაცხვაუნარიანობა. მაშინ, როდესაც გაბატონებული შეხედულების თანახმად, განზრახი მოქმედება შეიძლება მხოლოდ შერაცხადმა პირმა ჩაიდინოს, ფინალური მოძღვრება მოქმედების შესახებ თვლის, რომ განზრახი მოქმედების უნარი შეურაცხ პირებსაც აქვთ<sup>2</sup>.

ვინაიდან განზრახვა ფინალურ თეორიას მოქმედების ცნებაში შეაქვს, ამიტომ იგი, როგორც „უმართლობის“ სუბიექტური ელემენტი, მართლწინააღმდეგობის აუცილებელ საფუძვლად იქცევა. მართლაც, როგორც უკვე აღინიშნა, ფინალური თეორიის წარმომადგენლები ილაშქრებენ მართლწინააღმდეგობის ცნების ობიექტური გაგების წინააღმდეგ და განიხილავენ მას როგორც სუბიექტურ ცნებას.

მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც ფინალური თეორიიდან გამომდინარეობს, ბრალის ცნებას შეეხება. თუ ბრალის ცნებიდან გან-

<sup>1</sup> რ. მაურახი. დასახ. ნაშრ., გვ. 131.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 143.



ზრახვა და გაუფრთხილებლობა გავაძევეთ, მაშინ რაღაა ბრალი? ამ კითხვაზე ფინალური თეორიის წარმომადგენლები ასე გვიპასუხებენ: ბრალი არ შედის დანაშაულის შემადგენლობაში, იგი შემადგენლობის გარეშეა. ბრალი არის მსჯელობა ნებისყოფის დასაგმობი ხასიათის შესახებ, პერსონალური გაკიცხვა, მიმართული პიროვნების წინააღმდეგ, რომლის არსება იმაში მდგომარეობს, რომ პირი არასწორად მოქმედებდა, თუმცა მას შეეძლო ჰქონოდა ნორმის შესაბამისად მოქმედების ნებისყოფა. „ბრალის კონსტიტუციურ ელემენტს... – წერს ჰ. ველცელი, – მხოლოდ გასაკიცხაობა (Vorwerfbarkeit) წარმოადგენს. იგი გადამწყვეტი ახალი მომენტია, რომელიც მოქმედებას ემატება და მას ბრალეულობის თვისებას ანიჭებს. მხოლოდ გასაკიცხაობაზეა ლაპარაკი მოძღვრებაში ბრალის შესახებ, მაშინ როდესაც საგანი, რომელიც ფასდება როგორც ბრალეული – მოქმედება, და მოქმედების ჩადენის ნებისყოფა – განიხილება უკვე მოძღვრებაში მოქმედებისა და უმართლობის შესახებ“<sup>1</sup>.

როგორც ფინალური თეორიის გადმოცემიდან ჩანს, ფინალისტები მიზნად ისახავენ შექმნან მოქმედების ისეთი ცნება, რომელსაც მნიშვნელობა ექნება მთელი მოძღვრებისათვის დანაშაულის შესახებ, გვარობითი ცნება (genus proximum), რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მისგან დედუქციურად დანაშაულებრივი ქმედობის ყველა სახეობანი გამოვიყვანოთ. მაშასადამე ფინალური თეორია პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ მის მიერ შექმნილი ფინალური მოქმედების ცნება უმაღლეს ცნებას წარმოადგენს როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის. სინამდვილეში, როგორც ამას თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტებიც მიუთითებენ, ფინალური მოძღვრება მოქმედების შესახებ ვერ ასაბუთებს გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალურ ხასიათს<sup>2</sup>. თვით ფინალისტების მტკიცებით, „მხოლოდ ის შედეგია ფინალურად გამოწვეული, რომლის განხორციელებაზე მიზნის, საშუალების ან თანამდევი შედეგის სახით ფინალურად არის წარმართული ადამიანის ნება. ყველა დანარჩენი (თანამდევი) შედეგი,

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild..., S. 39-40.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, Th. Rittler, Lehrbuch des österreichischen Strafrechts, Allgemeiner Teil, Wien, 1954, S. 61.

რომელიც ნების ფინალური განხორციელებით მოცული არ არის, წმინდა კაუზალურ შედეგად უნდა ჩაითვალოს<sup>1</sup>.

იბადება კითხვა: მაშ, რაში გამოიხატება გაუფრთხილებელი დანაშაულებრივი ქმედობის ფინალურობა? გაუფრთხილებლობის არსება ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტს შეგნებული არა აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი და მაშასადამე, მთელი კაუზალური პროცესი, ე.ი. არ იცის, რომ ის ძალები, რომელთაც იგი მიმართავს, ასეთ შედეგს გამოიწვევენ. მაშასადამე, კაუზალურ მოვლენათა შეგნებული დეტერმინირება აქ გამორიცხებულია.

ფინალისტები, რომლებიც ცდილობენ გაუფრთხილებელი დანაშაულებრივი ქმედობა როგორმე ფინალური მოქმედების პროკრუსტეს სარეცელში მოათავსონ, გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალური ბუნების დასაბუთების რამდენიმე ცდას იძლევიან.

თავდაპირველად ველცელი მიუთითებდა, რომ წინააღმდეგ განზრახვი დანაშაულისა, რომელიც აქტუალურ ფინალურობას წარმოადგენს, გაუფრთხილებელ დანაშაულს პოტენციური ფინალურობა ახასიათებს. გაუფრთხილებლობა, მისი აზრით, პოტენციურად ასაცდენი ქმედობაა: „... ფინალური მოქმედება სამართალში ორი ასპექტით გამოდის: როგორც მოქმედება გასაკიცხი ფინალობით – განზრახვი ქმედობა, და როგორც მოქმედება სოციალურად ინდიფერენტული ფინალობით, მაგრამ სოციალურად არასასურველი არაფინალური შედეგებით, რომლებიც არ განხორციელდებოდნენ, სწორი ფინალური მიმართულება რომ ყოფილიყო არჩეული – გაუფრთხილებელი ქმედობა“<sup>2</sup>.

ეს დასაბუთება მიზანს ვერ აღწევდა. იმის მაგივრად, რომ დაესაბუთებინათ გაუფრთხილებლობის ფინალური ხასიათი, ფინალისტები სწორედ მის არაფინალურობაზე მიუთითებდნენ და ასაბუთებდნენ არაფინალური მოქმედების გასაკიცხ ხასიათს, სახელდობრ იმას, რომ სუბიექტს ნების სოციალური თვალსაზრისით სწორად წარმართვის შემთხვევაში შეეძლო აეცდინა საზოგადოებისათვის არასასურველი შედეგი. მაგრამ ის საკითხი, შეეძლო თუ არა მოქმედს სწორად ემო-

<sup>1</sup> H. Welzel, Das neue Bild..., 1957, S. 4-5.

<sup>2</sup> H. Welzel, Aktuelle Strafrechtsprobleme im Rahmen der finalen Handlungslehre, Karlsruhe, 1953, S. 6.

ქმენა, ეი. თავისი მოქმედების საზოგადოებრივად არასასურველი შედეგები წინასწარ გათვალისწინებინა და აეცდინა, შედის არა მოძღვრებაში მოქმედების შესახებ, არამედ მოძღვრებაში ბრალის შესახებ და უნდა გადაწყვეს მას შემდეგ, რაც მოქმედებისა და მიზეზობრივი კავშირის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ცხადია, ბრალის საკითხზე მსჯელობის დროს სულ სხვა მომენტებია მხედველობაში მისაღები, ვიდრე ზიანის გამოძწვევი მოქმედების არსებობის თუ არარსებობის დადგენისას.

უკანასკნელ ხანს ფინალური თეორიის წარმომადგენლები სხვა ხერხს მიმართავენ იმისათვის, რომ დაასაბუთონ გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალური ხასიათი. ისინი ამტკიცებენ, რომ თუმცა „განზრახ ქმედობებში ფინალურობა უფრო მკვეთრად ჩანს: აქ მოქმედების ნებელობა და განზრახვა ერთმანეთს ემთხვევა“. მაგრამ გაუფრთხილებელი ქმედობანიც არ არიან მოკლებულნი ფინალურობას<sup>1</sup>. ფინალურობა შეიძლება ვრცელდებოდეს მხოლოდ ზოგიერთ შედეგზე და არ ვრცელდებოდეს სხვა შედეგებზე, რომელნიც თუმცა კაუზალურად დაკავშირებული არიან მოქმედებასთან, მაგრამ არც შეგნებით და არც ნებით მოცული არ არიან. არ არსებობს „თავისთავად“ და „აბსოლუტურად“ ფინალური მოქმედება. მოქმედება ფინალურია ნების განხორციელებით გამოწვეული წინასწარ გათვალისწინებული შედეგის მიმართ. ექთანნი, რომელმაც ავადმყოფს შეცდომით მორფიუმის სასიკვდილო დოზა შეუშხაპუნა, მოქმედებს ფინალურად ინექციის (შეშხაპუნების) მიმართ და არა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის მიმართ<sup>2</sup>. განსხვავება განზრახ და გაუფრთხილებელ მოქმედებას შორის, ფინალისტების აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ „თუ განზრახი ქმედობის დროს ფინალურობა მიმართულია შემადგენლობის შესაბამის შედეგზე, განუზრახველ დელიქტებს სწორედ ის ახასიათებს, რომ აქ ფინალურობა მიმართულია არა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის, არამედ, როგორც საერთო წესი, სამართლებრივი თვალსაზრისით ინდიფერენტულ შედეგზე“<sup>3</sup>.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, მოქმედების „კაუზალური“ თეორიის

<sup>1</sup> რ. მაურახი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

<sup>2</sup> H. Welzel, Das neue Bild..., 1954, S. 5.

<sup>3</sup> რ. მაურახი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

ძირითად ნაკლად ფინანსისტები იმას თვლიან, რომ ეს თეორია მნიშვნელობას არ ანიჭებს ნებისყოფის შინაარსს და მოქმედების არსებობისათვის საკმარისად თვლის იმ ფაქტს, რომ პიროვნებამ ჩაიდინა ნებელობითი მოქმედება, რომელიც შედეგის მიმართ კაუზალური იყო. ე.ი. ველცელის მაგალითი რომ ავიღოთ, ექსანი, რომელმაც ავადმყოფს შეცდომით მორფიუმის სასიკვდილო დოზა შეუშხაპუნა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, მკვლელობას ჩადის. მართალია მისი მიზანი ავადმყოფის მკურნალობა იყო, მაგრამ, თუ მის მოქმედებას კაუზალური თვალსაზრისით განვიხილავთ, ე.ი. იმ თვალსაზრისით, რომ შედეგი ობიექტურად მის ავტორს დაუკავშიროთ, მაშინ ეს მოქმედება ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის ანუ მკვლელობის მოქმედებად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას ეწოდება გაუფრთხილებლობითი მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი სუბიექტის მოქმედების მიზანს არ წარმოადგენს, ე.ი. ფინალური არ არის. ფინალური თეორიის მიხედვით კი ამ შემთხვევაში მკვლელობის მოქმედებას ადგილი არა აქვს, ვინაიდან ფინალურობა მხოლოდ ინექციის გაკეთებას შეეხება. ამიტომ ამ თეორიის აზრით, მოქმედებად საკუთრივი მნიშვნელობით, ე.ი. მოქმედებად, რომელშიც ნების შინაარსი მის განხორციელებას ემთხვევა, მხოლოდ ინექცია უნდა ჩაითვალოს. ფინალურია მართლოდენ ინექცია, ხოლო პაციენტის სიკვდილი კაუზალურად არის მიყენებული. და თუ ფინალური თეორია მაინც ცდილობს გაუფრთხილებელი ქმედობის ფინალურობა დაასაბუთოს, ამას იგი მხოლოდ იმით აღწევს, რომ თავის ძირითად პრინციპზე ხელს იღებს, ვინაიდან გაუფრთხილებელი მოქმედება სწორედ იმით ხასიათდება, რომ ნებისყოფის შინაარსი და ფაქტიური კაუზალური პროცესი ერთმანეთს არ ემთხვევა. არსებითად გაუფრთხილებელი დელიქტების დროს ფინალური თეორია მოქმედების ცნებას ისევე ახასიათებს, როგორც ტრადიციული მოძღვრება. სახელდობრ, გაუფრთხილებელი დელიქტებისათვის იგი მოითხოვს, რომ თავისთავად მოქმედება იყოს ნებელობითი და რომ ეს ნებელობითი მოქმედება კაუზალურ დამოკიდებულებაში იყოს საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან. მაშასადამე, აქ იგი ნებელობითი მოქმედების მხოლოდ კაუზალობას სჯერდება. ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიული

კრიმინალისტიკის ი. ბაუმანის მითითება, რომ „ფინალური მოძღვრება მოქმედების შესახებ მხოლოდ განზრახვი დელიქტების დროს მოითხოვს, რომ ნება ფინალურად წარიმართებოდეს საბოლოო შედეგისაკენ, ხოლო გაუფრთხილებელი ქმედობების დროს იგი უფრო ნაკლებით კმაყოფილდება“<sup>1</sup>. მაგრამ ფინალური თეორიის გადახვევა თავისი ძირითადი დებულებიდან და გაუფრთხილებელი ქმედობის ახსნისას ტრადიციულ მოძღვრებაზე გადასვლა ისეთ ბუნდოვან ფორმაში ხდება, რომ მკითხველისათვის ამის ნათლად გაგება ზოგჯერ მეტად ძნელია<sup>2</sup>.

მანკიერია ფინალისტების მტკიცება, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა გადატანილ უნდა იქნენ მოქმედების სფეროში და გაძვეებული ბრალის სფეროდან. თუ განზრახვაზე კიდევ შეიძლება ითქვას, რომ თავისთავად აღებულნი, იგი მოკლებულია შეფასების მომენტს და ამიტომ შეიძლება გათანაბრებულ იქნას ფინალურობასთან, ამას ვერ ვიტყვით გაუფრთხილებლობაზე იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობის ცნება თავის თავში უკვე შეიცავს შეფასების მომენტს. განზრახვი შეიძლება გააკეთო კარგი საქმეც და ცუდიც, შეიძლება იყოს კეთილი და ბოროტი განზრახვაც. მაგრამ არ შეიძლება იყოს კარგი გაუფრთხილებლობა. გაუფრთხილებლობა ყოველთვის გულისხმობს უარყოფით მსჯელობას, გულისხმობს იმას, რომ სუბიექტმა დაარღვია ჯეროვანი, სწორი მოქმედების ნორმა. მაშ როგორ შეიძლება ეს ცნება მიეკუთვნოს მოქმედების ცნებას, ე.ი. ისეთ ცნებას, რომელიც თვით ფინალისტების მითითებით მოკლებულია სამართლებრივი შეფასების, ნორმატიულობის მომენტს და წინ უსწრებს სამართლებრივ შეფასებას როგორც ონტოლოგიური ცნება.

მეორე, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით განზრახვაც არ არის ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებული. განზრახვა არის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი. სწორედ ამიტომ იგი ყოველთვის ბოროტი განზრახვაა.

<sup>1</sup> I. Baumann, Strafrecht, Allg. Teil, 2, Aufl. Bielefeld, 1961, S. 158.

<sup>2</sup> სავსებით მართებულად აღნიშნავს ამიტომ ა. ვეგნერი, რომ ფინალური თეორია მოქმედების შესახებ იურიდიულ კუბიზმს წარმოადგენს და მისი გაგება, მით უმეტეს მისი პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია (A. Wegner, Strafrecht, Allg. Teil Göttingen, 1951, S. 105).

ჩვენ უარყოფითად ვაფასებთ სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგთან და ეუწოდებთ მას ბრალეულს იმის გამო, რომ სუბიექტს გათვალისწინებული ჰქონდა და სურდა (ან უშვებდა) ისეთი ქმედობა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ფინალურმა თეორიამ სრული არევიარევა შეიტანა დანაშაულის ცნების სისტემაში. დანაშაულის ცნება, ისე, როგორც იგი თანამედროვე სისხლის სამართალში ჩამოყალიბდა, ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტია. საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, დანაშაული ორი ძირითადი მხარისაგან შედგება: ერთი — ეს არის დანაშაულის ობიექტური მხარე, ე.ი. ადამიანის ქცევა როგორც ნებისყოფის გარეგანი გამოვლინება, ამ ქცევის საზოგადოებრივად საშიში შედეგი და მიზნობრივი კავშირი მათ შორის, მეორე — დანაშაულის სუბიექტური მხარე, ბრალი, ე.ი. პიროვნების გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან და მის შედეგთან, რაც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით ვლინდება. დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთიანობა ხორციელდება არა იზოლირებულად აღებული ქმედობის ცნებაში, რომელიც ფინალისტების აზრით, ონტოლოგიურ ცნებას წარმოადგენს და ყოველგვარ სამართლებრივ მსჯელობას წინ უსწრებს, არამედ დანაშაულის საერთო ცნებაში<sup>1</sup>.

## §5. დანაშაულის შედეგი

ადამიანის ქცევის ცნებისაგან უნდა განვასხვავოთ ამ ქცევის შედეგის ცნება. როგორც დავინახეთ, ადამიანის ქცევა წარმოადგენს ზემოქმედებას მის გარემომცველ ობიექტურ გარესამყაროზე. მოქმედება სრულდება განსაზღვრული ცვლილების შეტანის მიზნით ობიექტში, რომელიც ამ გარესამყაროს განეკუთვნება. შედეგი წარმოადგენს ადამიანის მოქმედებით გამოწვეულ ცვლილებას გარესამყაროში.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სადავოდ ითვ-

---

<sup>1</sup> ფინალისტების შეხედულება ბრალის შესახებ დაწერილებით გამოცემული და გაკრიტიკებული იქნება ამ ნაშრომის მეორე ნაწილში, თავში ბრალის შესახებ.

ლება ის საკითხი, ყველა დანაშაული გულისხმობს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას, თუ არსებობს ისეთი დანაშაულიც, რომელსაც ეს მომენტი არ ახასიათებს.

საბჭოთა კრიმინალისტიკის ერთი ჯგუფის აზრით, ყველა დანაშაულებრივი ქმედობა როდი გულისხმობს აუცილებლობით მაენე შედეგის განხორციელებას. არსებობენ ისეთი დანაშაულობანი, რომელთა აღწერის დროსაც დასჯადობა, კანონის თანახმად, დაკავშირებულია გარკვეულ მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან, იმისგან დამოუკიდებლად, მოჰყვა თუ არა ამ ქმედობას რაიმე მაენე შედეგი. ასეთი შეხედულება გატარებული იყო, მაგალითად, 1943 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში. „უნდა განვასხვავოთ, — ნათქვამი იყო ამ სახელმძღვანელოში — ჯერ ერთი, დანაშაული, რომელშიც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარედ კანონი თვლის ადამიანის მიერ მოქმედების შესრულების ან უმოქმედობის თვით ფაქტს, მის მიერ გარესამყაროში გამოწვეული შემდგომი შედეგების მიუხედავად (ე.წ. ფორმალური დანაშაული)... და, მეორე, დანაშაული, რომელშიც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის არსებობისათვის სისხლის სამართლის კანონი მოითხოვს არა მარტო ადამიანის მოქმედებას ან უმოქმედობას, არამედ მოქმედებით ან უმოქმედობით მაენე შედეგების განხორციელებასაც (ე.წ. მატერიალური დანაშაული)“<sup>1</sup>. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ პროფ. ნ. ღურმანოვი<sup>2</sup>, ვ. კურლიანდსკი<sup>3</sup> და სხვ.

ამ შეხედულების წინააღმდეგ გაილაშქრა პროფ. ა. ტრაინინმა. მისი აზრით, რამდენადაც ყოველი დანაშაული ხელყოფს რაიმე ობიექტს, ამდენად ყოველი დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელება აუცი-

---

<sup>1</sup> Уголовное право. Общая часть. М., 1943, стр. 116-117; აგრეთვე 1948 წ. გამოცემული სისხლის სამართლის სახელმძღვანელო (გვ. 299); 1952 წ. გამოცემა (გვ. 184-185) და 1959 წ. გამოცემა (გვ. 127-128).

<sup>2</sup> იხ. Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 35-42; ნ. ღურმანოვი უსწოროდ თვლის ტერმინებს „ფორმალური დანაშაული“ და „მატერიალური დანაშაული“, რომლებიც, მისი აზრით, ვერ გამოხატავენ ზუსტად მათ ცნებებში მოცემულ აზრს.

<sup>3</sup> იხ. В. И. Курляндский. Рецензия на работу А. Н. Трайнина, „Состав преступления по советскому уголовному праву“, М., 1951, „Советское государство и право“, 1952 г., N 8, стр. 74-79.

ლებლად გულისხმობს ამ ობიექტის დაზიანებას. ისევე, როგორც არ არსებობს უობიექტო დანაშაული, არ არსებობს არც უშედეგო დანაშაული. ხელყოფის ობიექტისათვის მიყენებული ვნება, როგორც არ უნდა იყოს ამ ვნების ფორმა და ოდენობა, წარმოადგენს შედეგს, რომელიც ყოველი დანაშაულის აუცილებელი ელემენტია<sup>1</sup>. „ხელყოფის უვნებადი ობიექტი – შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა. უვნებელი ობიექტი – მცდელობისათვის პასუხისმგებლობის საფუძველია“<sup>2</sup>.

ვისაც დანაშაულებრივი შედეგი ყველა დანაშაულის ელემენტად არ მიაჩნია, მას, პროფ. ა. ტრაინინის აზრით, არასწორად ესმის შედეგის ცნება სახელდობრ – როგორც ობიექტისათვის მატერიალური ზიანის მიყენება. შედეგის ასეთი გაგება კი მეტად ვიწროა.

მაგნე შედეგი შეიძლება განხორციელდეს არა მარტო მატერიალურ, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ, ფსიქიკურ, მორალურ სფეროში. რადგანაც ასეთი ხასიათის შედეგი ძნელი დასადგენია, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იმ დანაშაულის შემადგენლობაში, რომლითაც ზიანს, მაგალითად, პოლიტიკური ან მორალური ღირებულება განიცდის, სისხლის სამართლის კანონი არ ითვალისწინებს შედეგს როგორც დანაშაულის აუცილებელ ელემენტს.

დანაშაულის შედეგის შესახებ წარმოშობილი დავა, ჩვენი აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ სისხლის სამართლის კანონი ამ ცნებას ორი სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს: ზოგჯერ ფართო და ზოგჯერ ვიწრო მნიშვნელობით. საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, განზრახვისათვის აუცილებელია, რომ პირი ითვალისწინებდეს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდეს ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდეს მათ დადგომას. შედეგის ცნება, ამ მუხლში მოცემული, უეჭველად ფართოდ უნდა იქნეს გაგებული; თუ ჩვენ ეს ცნება გავიგეთ ვიწროდ, ე.ი. როგორც

---

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Состав преступления по советскому уголовному праву. М., 1951, стр. 188-195; მისივე, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 138-144. პროფ. ა. ტრაინინის თვალსაზრისს იზიარებენ ლენინგრადის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს ავტორები (იხ. Советское уголовное право, часть общая, Л., 1960, стр. 261-262).

<sup>2</sup> А. Н. Трайнин, Состав преступления, 1951, стр. 195; მისივე, Общее учение о составе преступления, 1957, стр. 144.



ისეთი ცვლილება გარესამყაროში, რომელიც პირდაპირ მითითებულია თვით კანონში როგორც მისი აუცილებელი ელემენტი, მაშინ გამოვა, რომ მე-9 მუხლი განსაზღვრავს განზრახვის ცნებას მხოლოდ მატერიალური დანაშაულის მიმართ და არაფერს ამბობს განზრახვაზე ფორმალური დანაშაულის დროს. ეს, რა თქმა უნდა, უაზრობა იქნებოდა. მაშასადამე, სიტყვა „შედეგი“ ნახმარია აქ ფართო მნიშვნელობით როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის ყველა ელემენტის განხორციელება, იმისდა მიუხედავად, მოჰყვა თუ არა ადამიანის ქმედობას რაიმე ცვლილება მატერიალურ გარესამყაროში. სწორედ ასე ფართოდ იყო განსაზღვრული დანაშაულის შედეგი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1950 წლის კოდექსში. ამ კოდექსის 75-ე პარაგრაფში ნათქვამი იყო: „კანონით გათვალისწინებულ შედეგად ითვლება განსაკუთრებულ ნაწილში მოცემული დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნების ერთობლიობა, ბრალის გამოკლებით“.

ამგვარად, დანაშაულის შედეგი ფართო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ როგორც ის მდგომარეობა, რომელიც წარმოიშვება დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელებით, იმისდა მიუხედავად, რაიმე მატერიალურ ზიანში გამოიხატება ეს მდგომარეობა თუ მორალურ, ფსიქიკურ, პოლიტიკურ თუ სხვ. მისთ. ზიანში. შედეგის ასე ფართოდ გაგებული ცნება არსებითად დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას ემთხვევა. მაშასადამე, ყველა შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები განხორციელებულია, თავისთავად იგულისხმება, რომ განხორციელდა დანაშაულის შედეგიც ფართო მნიშვნელობით. ამიტომ სპეციალური დედგენა შედეგისა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით სასამართლოს არ მოეთხოვება. მაგალითად, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ პირის მოქმედებაში არის სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის (შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა) ნიშნები, ამით უკვე დამტკიცებულია, რომ დაირღვა სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესები, ვინაიდან მოწმის მიერ ცრუ ჩვენების ფაქტი თავისთავად ქმნის უსამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. მაგრამ ნამდვილად შეიყვანა თუ არა შეცდომაში სასამართლო ან საგამომიებო ორგანო ცრუ ჩვენებამ, ნამდვილად არასწორად იყო თუ არა გამოტანილი უსწორო

განაჩენი, ამას დანაშაულის შემაღვენლობის არსებობისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

გარდა დანაშაულის შედეგისა ფართო მნიშვნელობით, სისხლის სამართალში გამოიყენება აგრეთვე ვიწრო მნიშვნელობის შედეგის ცნება. დანაშაულის შედეგი ვიწრო მნიშვნელობით არის ის ცვლილება გარესამყაროში, რომელიც სპეციალურად აღნიშნულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში როგორც დანაშაულის შემაღვენლობის აუცილებელი ელემენტი.

ასეთი შედეგა, მაგალითად, კაცის სიკვდილი მკვლელობის დროს (მუხ. 104-108-ე), ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა ან დასახიჩრება სხეულის დაზიანების დროს (მუხ. 110-115-ე) და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის ვნების მიყენება ხდება ამ ურთიერთობის სუბიექტის მოსპობით ან დაზიანებით ან იმ ნივთის განადგურებით თუ დაზიანებით, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის საგანს წარმოადგენს. დანაშაულებრივი შედეგი შეიძლება აგრეთვე იმაში გამოიხატებოდეს, რომ ხელყოფის ობიექტი ამოღებულ იქნას იმ პირის მფლობელობიდან, ვის ხელშიც იგი იყო და ამგვარად შეიცვალოს მისი საზოგადოებრივი ფუნქცია ან მიზნობრივი დანიშნულება<sup>1</sup>. ასეთი შედეგი ახასიათებს მაგალითად, ქონების გატაცების დანაშაულს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის შედეგი პირდაპირ შეტანილია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში როგორც მისი აუცილებელი ელემენტი, დანაშაული დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შედეგი ნამდვილად განხორციელდა. თუ ეს შედეგი არ განხორციელებულა, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დანაშაულის მცდელობაზე ან მომზადებაზე (განხრახი დანაშაულის დროს).

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი ცდილობს მოგვეცეს დანაშაულის შედეგის ვიწრო ცნების უფრო გაშლილი განსაზღვრება. ასე, მაგალითად, პროფ. ნ. დურმანოვის აზრით, დანაშაულის შედეგად უნდა ჩაითვალოს „ის თვისობრივი ცვლილება, რომლებიც მიყენებული აქვს

<sup>1</sup> იხ. И. Реннеберг, Объективная сторона преступления, М., 1957, стр. 35.

ხელყოფის ობიექტს სუბიექტის მოქმედებით ან უმოქმედობით<sup>1</sup>. თანაც „თვისობრივი ცვლილება“ პროფ. ნ. ღურმანოვს ესმის როგორც ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისადმი<sup>2</sup>. ავითარებს რა თავის თვალსაზრისს, პროფ. ნ. ღურმანოვი ამტკიცებს, რომ „თვისობრივი“ ცვლილებებში იგულისხმება არა მეორეხარისხოვანი ცვლილებანი ხელყოფის ობიექტში, არამედ მხოლოდ არსებითი ხასიათის ცვლილებანი. „ამიტომაც, თუ ის მოქმედების შედეგად, რომელიც მიმართული იყო ადამიანის მოსაკლავად, კაცი მხოლოდ დაიჭრა, თუნდაც მძიმედ, ლაპარაკია მცდელობაზე და არა დამთავრებულ დანაშაულზე, აქ ობიექტის ერთგვარ ცვლილებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ, მას თვისობრივი ხასიათი არ ჰქონია. ამიტომაც ვლაპარაკობთ, რომ მოქმედებას ადგილი ჰქონდა, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა სუბიექტისათვის დამოუკიდებელი მიზეზების გამო“<sup>3</sup>.

დანაშაულის შედეგის ცნების განსაზღვრებაში, რომელსაც პროფ. ნ. ღურმანოვი იძლევა, სწორია ის, რომ შედეგად (ვიწრო გაგებით) უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ის ცვლილება ხელყოფის ობიექტში, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, და არა ყოველი, თუნდაც მეტად არსებითი ცვლილება ობიექტურ გარესამყაროში, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დანაშაულს. მაგრამ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამ განსაზღვრებაში ცვლილების „თვისობრივი“ ხასიათზე მითითება. აღნიშნული მომენტი არათუ ხელს არ უწყობს დანაშაულებრივი შედეგის ცნების დაზუსტებას, არამედ, პირიქით, აბუნდოვანებს მას. თუ ვინმე მოკვლის მიზნით განხორციელებული ქმედების შედეგად მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინვალიდად დარჩება, ეს, რა თქმა უნდა, მეტად არსებითი და „თვისობრივი“ ცვლილებაა ხელყოფის ობიექტში, ე.ი. დაზარალებულის პიროვნებაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, დამნაშავე დაისჯება არა დამთავრებული მკვლელობისათვის, არამედ მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის, რადგან არ განხორციელებულა სწორედ ის შედეგი, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციის თანახმად აუცილებელია მკვლელობის შემადგენლობისათვის.

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М.-Л., 1948, стр. 57.

<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> იქვე.

ცნობთ რა დანაშაულის შედეგად (ვიწრო გაგებით) მხოლოდ ისეთი ცვლილებას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში აღნიშნული, ჩვენ ამით ვაღიარებთ შედეგის ცნების შეფარდებით ხასიათს. შედეგის ცნების ეს შეფარდებითი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ ხელყოფის ობიექტის ამა თუ იმ ცვლილების აღიარება დანაშაულის შედეგად შემაღგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე დამოკიდებული. „ასე, გასროლა „შედეგია“ ჩაზმახის დაცემისა, გულის ქსოვილის გარღვევა – შედეგია გულში ტყვიის მოხვედრისა, მსხვერპლის სიკვდილი – გულის ქსოვილის ტყვიით გარღვევისა, დედის თვითმკვლელობა – ერთადერთი შვილის სიკვდილისა და ა.შ.“<sup>1</sup>. მაგრამ ყველა ამ უთვალავი შედეგებიდან მკვლელობის შემაღგენლობის შედეგად სისხლის სამართალი თვლის მხოლოდ იმ ცვლილებას გარესამყაროში, რომელიც კაცის სიკვდილში მდგომარეობს, რადგანაც სწორედ კაცის სიკვდილია, სისხლის სამართლის კანონის თანახმად, მკვლელობის აუცილებელი ელემენტი. შედეგის სწორედ ასეთი შეფარდებითი ხასიათის გამო სხეულის დაზიანება, როცა იგი ისეთი მოქმედებითაა მიყენებული, რომელიც მკვლელობაზე იყო მიმართული, იძლევა მცდელობის შემაღგენლობას და არა დამთავრებულ დანაშაულს. პირიქით, სხეულის ასეთივე დაზიანება დამთავრებული დანაშაულის შემაღგენლობას იძლევა, თუ მოქმედების მიზანი სხეულის დაზიანება იყო. მაშასადამე, შედეგის არსებობა (ვიწრო აზრით) დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელდობრ როგორ ცვლილებას მიაკუთვნებს კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის შემაღგენლობას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.

---

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 144.

## §6. დანაშაულის შემადგენლობათა დაყოფა შედეგგარეშე და შედეგიან დანაშაულად

იმისდა მიხედვით, გათვალისწინებულია თუ არა დანაშაულებრივი შედეგი დანაშაულის შემადგენლობაში, შემადგენლობანი ორ ნაწილად განიყოფებიან: შედეგგარეშე და შედეგიან შემადგენლობებად<sup>1</sup>.

შედეგგარეშე შემადგენლობა ეწოდება ისეთ შემადგენლობას, რომელშიც კანონი აღწერს დამთავრებული დანაშაულის სახით ქმედობას თავისთავად (მოქმედებას ან უმოქმედობას) და, არ მოუთითებს შემდგომ შედეგებზე, როგორც მის აუცილებელ ელემენტზე. შედეგგარეშე შემადგენლობის არსებობის დროს დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შესრულებულია აკრძალული მოქმედება და რაიმე შედეგის განხორციელება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის საჭირო არ არის.

შედეგგარეშე შემადგენლობანი თავის მხრივ ორი სახისა არიან. შედეგგარეშე მოქმედებითი დანაშაულის შემადგენლობა და შედეგგარეშე უმოქმედობითი დანაშაულის შემადგენლობა. შედეგგარეშე მოქმედებითი დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ განსაზღვრული, კანონში მითითებული პოზიტიური მოქმედების მეშვეობით. შედეგგარეშე უმოქმედობითი დანაშაულის შემადგენლობა არის ისეთი შემადგენლობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს პირისათვის სავალდებულო გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებით. ასეთ შემადგენლობებს წმინდა უმოქმედობის შემადგენლობანი ეწოდება.

შედეგგარეშე მოქმედებითი შემადგენლობის მაგალითებია: შეგნებულად ცრუ დასმენა (საქ. სსრ სისხლის სამ. კოდექსის 196-ე მუხ.). შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (მუხ. 197-ე), მოკლევის ან წინასწარი

---

<sup>1</sup> ამ ცნებათა შესაბამისად საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია ტერმინები: „ფორმალური“ და „მატერიალური“ დანაშაული. ეს ტერმინები ვერ გამოხატავენ საქმის არსებას, ვინაიდან ყოველ დანაშაულს აქვს ორი მხარე – მატერიალური (ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება) და ფორმალური (ქმედობის მართლწინააღმდეგობა). გერმანულ ლიტერატურაში შედეგიან დანაშაულთა გამოსახატავად ხმარობენ ტერმინს Erfolgsverbrechen, ხოლო შედეგგარეშე დანაშაულთა გამოსახატავად – Begehungsverbrechen.

გამოძიების მონაცემების განმარტება (მუხ. 201-ე), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დაშვება ან გასაღება (მუხ. 88-ე) და ა.შ.

შედეგარეშე უმოქმედობითი შემადგენლობის მაგალითებია: გადასახდელად გადახდისათვის თავის არიდება (მუხ. 83-ე), დანაშაულის განუცხადებლობა (მუხ. 206-ე), ალიმენტის გადახდისათვის თავის არიდება (მუხ. 124-ე) და ა.შ.

შედეგარეშე შემადგენლობებს კანონმდებელი შემდეგ შემთხვევებში აყალიბებს:

ა) როცა შედეგი გარდუვალად დგება განსაზღვრული მოქმედების შესრულებასთან ერთად და ამიტომაც მათი ერთმანეთისაგან გათიშვა ფაქტიურად შეუძლებელია (ასეთია, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, ლეზერტირობა და სხვ.);

ბ) როცა განსაზღვრულმა ქმედობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვაგვარი დანაშაულებრივი შედეგები და ამიტომაც მათი კონკრეტ-იზაცია ძნელი ხდება. ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი მოქმედების შედეგის დადგენა პრაქტიკაში განსაზღვრულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული<sup>1</sup>.

გ) როცა დასაცავი საზოგადოებრივი ურთიერთობანი იძენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი შესაძლებლად არ თვლის მოქმედების დამთავრება ნამდვილი ზიანის დადგენას დაუკავშიროს და ამიტომ დასჯადად აცხადებს თვითონ მოქმედებას. ასეთია, მაგალითად, ანტისაბჭოთა ავიტაცია და პროპაგანდა (მუხ. 71-ე), ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნა (მუხ. 73-ე), შეიარაღებული ბანდის შექმნა (მუხ. 78-ე) და ა.შ.

შედეგარეშე შემადგენლობათა შექმნისას კანონმდებელი ზოგადად გულისხმობს მოქმედების ან უმოქმედობის აბსტრაქტულ საფრთხეს და ათავისუფლებს მოსამართლეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ საფრთხის რეალურად დადგომის დამტკიცების მოვალეობისაგან. სწორედ ამიტომაც, რომ შედეგარეშე დანაშაულის შემადგენლობანი დამთავრ-

---

<sup>1</sup> იხ. Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий, М., 1958, стр. 43-44; В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, стр. 157; А. С. Михлин, Понятие и виды последствий преступления, „Вопросы уголовного права и процесса“, ВИОН, М., 1958, стр. 68; его же, Значение последствий преступления для квалификации содеянного, „Ученые Записки ВИОН“, вып. 12, И., 1961, стр. 77.

ბულად ითვლებიან უკვე აკრძალული მოქმედების ჩადენის მომენტში, ან, პირიქით, სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობის მომენტში.

ნათქვამი არ გამორიცხავს იმას, რომ ასეთ დანაშაულს ფაქტიურად შეიძლება მოყვეს რაიმე მავნე შედეგი. მართალია, მავნე შედეგის არსებობას მნიშვნელობა არა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის, მაგრამ ამ ფაქტს შეუძლია გავლენა მოახდინოს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე და, მაშასადამე პასუხისმგებლობის მოცულობაზე.

სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფლებას აძლევს მოსამართლეს მხედველობაში მიიღოს ეს მავნე შედეგი სასჯელის დანიშვნის დროს. კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი (საქ. სსრ სისხლის სამ. კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი) სპეციალურად ითვალისწინებს „დანაშაულით მძიმე შედეგების მიყენებას“ როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას.

„შედეგგარეშე“ დანაშაულის შემადგენლობიდან ე.წ. „შედეგიანი“ დანაშაულის შემადგენლობა იმით განსხვავდება, რომ აქ კანონის დისპოზიციაში აღწერილ დანაშაულის შემადგენლობაში პირდაპირ არის გათვალისწინებული განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელება.

კანონმდებელი შედეგიანი დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციას ჩვეულებრივ მიმართავს მაშინ, როდესაც დანაშაულის ობიექტისათვის ზიანის მიყენება დაკავშირებულია დანაშაულის საგანზე ზემოქმედებასთან და შეიძლება აღქმულ იქნას ადამიანის გრძნობების მემკვიდრით. ასეთია მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონების დაზიანება ან განადგურება, ქონების გატაცება და სხვ. შედეგიანი დანაშაულის შემადგენლობა დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა გარესამყაროში განხორციელდა ის გარკვეული ცვლილება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი, თუ რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ის შემადგენლობა, რომლის აუცილებელ ელემენტად კანონის დისპოზიცია სამართლით დაცული ობიექტისათვის

ზიანის მიყენების კონკრეტულ საფრთხეს ითვალისწინებს. ასეთია მაგალითად, რკინიგზის, წყლის ან საპაეო ტრანსპორტის მუშაკის მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა, თუ მას არ მოჰყოლია მძიმე შედეგები, მაგრამ თუ ის აშკარად ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს (მუხ. 86-ე), მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების დანგრევა და დაზიანება, თუ მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ზომალდის ავარია ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნორმალური მუშაობის დარღვევა (მუხ. 87-ე), ტელეგრაფის საზღვაო კაბელის გაუფრთხილებლობით დაზიანება, თუ მან გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია სატელეგრაფო კავშირის შეწყვეტა (მუხ. 227-ე), შეგნებულად ჩაყენება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში პირისა, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად (მუხ. 128-ე) და სხვ. ასეთ დანაშაულს სხვაგვარად კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დანაშაული ეწოდება.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით ასეთი შემადგენლობანი არ შეიძლება მივაკუთვნოთ შედეგიან შემადგენლობათა კატეგორიას, რადგან კანონი მათი დაბთავრებისათვის თხოულობს არა მავნე შედეგის რეალურად დადგომას, არამედ მისი დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას. რამდენადც ზემოთმოყვანილ შემადგენლობებში არ არსებობს შედეგიანი შემადგენლობისათვის აუცილებელი ნიშანი — მავნე შედეგის რეალიზაცია, იმდენად ამ შემადგენლობებს შედეგგარეშე შემადგენლობებს აკუთვნებენ<sup>1</sup>.

ჩვენის აზრით, შედეგიან შემადგენლობებს უნდა მიეკუთვნოს არა მარტო ის შემადგენლობები, რომელთა საკანონმდებლო კონსტრუქცია მოითხოვს სისხლის სამართლის კანონის მუხლის დისპოზიციაში მითითებული რეალური ზიანის მიყენებას, არამედ ისინიც, რომელთა დისპოზიცია ამ ზიანის განხორციელების კონკრეტულ საფრთხეზე მიუთითებს. შედეგის დადგომის საფრთხეც, სიტყვის გარკვეული მნიშ-

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, Н. Д. Дурманов. Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955; стр. 40 А. С. Михлин, Понятие и виды последствий преступления, „Вопросы уголовного права и процесса“, ВЮОН. М., 1958, стр. 69-71; его же, Значение последствий преступления для квалификации содеянного виновным, „Ученые записки ВЮОН“, вып. 12, М., 1961, стр. 77-78.



ვნელობით, დანაშაულის შედეგს წარმოადგენს, საფრთხე, ე.ი. მავნე შედეგების განხორციელების რეალური საშიშროება არ არის მხოლოდ „ჩვენი ფრაგმენტული ცოდნის, მოვლენათა განვითარების პროცესში ჩვენი შეზღუდული ჩაწვდომის შედეგი“ – როგორც ამას ბურჟუაზიული კრიმინალისტიები ამტკიცებენ<sup>1</sup>. პირიქით, იგი გულისხმობს რეალურ პროცესებს ობიექტურ გარესამყაროში, ე.ი. ისეთი პირობების შექმნას, რომელთაც გარკვეული პირობების განვითარების საერთო კანონზომიერებათა შესაბამისად შეიძლება მავნე შედეგი გამოიწვიონ. რამდენადაც ეს პირობები უკვე შექმნილია, მაშასადამე, რამდენადაც განსაზღვრული ცვლილებები ობიექტურ გარესამყაროში უკვე მოხდა, იმდენად საფრთხე ობიექტური კატეგორიაა და ამიტომ დანაშაულებრივი შედეგის განსაზღვრულ სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს<sup>2</sup>.

აქედან ცხადია, რომ თუ მითითება მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობაზე შეტანილია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში, ასეთი შემადგენლობა „შედეგიან“ შემადგენლობას უნდა მიეკუთვნოს. ამიტომ იმ შემადგენლობების არსებობისას, რომელნიც თავის აუცილებელ ელემენტად მავნე შედეგის განხორციელების საფრთხეს ითვალისწინებენ, მოსამართლე არ უნდა დაჯერდეს მხოლოდ მოქმედების ან უმოქმედობის დადასტურებას, არამედ უნდა დაადგინოს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად არსებობ-

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, Th. Rittler, Lehrbuch des österreichischen Strafrechts, Allg. Teil, Wien, 1954, S. 84.

<sup>2</sup> ამ შეხედულებას თანამიმდევრულად ასაბუთებს ნ. კუზნეცოვა. მისი აზრით, საფრთხე, – „ეს არის ობიექტის განსაზღვრული მდგომარეობა იმ საზოგადოებრივად მავნე ცვლილებების შედეგად, რომლებიც მასში სუბიექტის დანაშაულებრივმა ქმედობამ გამოიწვია... საფრთხე ქმედობითაა შექმნილი, მაგრამ ქმედობის ფარგლებს გარეთ არსებობს“ (იხ. Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий, М., 1958, стр. 25). ანალოგიურ შეხედულებას იზიარებენ აგრეთვე ვ. კუდრიავეცი, ა. მიხლინი, ფ. პოლიაჩეკი (იხ. В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, стр. 160, 156-157; 172; Ф. Полячек, Состав преступления по чехословацкому уголовному праву, М., 1960, стр. 130). უკანასკნელ ხანს ამ შეხედულებას ნაწილობრივ პროფ. ა. პიონტოვსკიც მიემხრო. მისი აზრით, „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ განსაზღვრულ შემთხვევებში მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა სისხლის სამართლის კანონშიც განხილულ იქნეს როგორც თავისებური დანაშაულებრივი შედეგი“ (А. А. Понтовский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 176).

და ზიანის დადგომის რეალური შესაძლებლობა, ანუ ადამიანის ნებელობითმა ქცევამ შექმნა ისეთი პირობები, რომლებიც შემადგენლობაში გათვალისწინებული შედეგის რეალიზაციის პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავენ. სწორედ ეს აუცილებლობა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დამტკიცებულ იქნას მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და შექმნილ საფრთხეს შორის, იძლევა საშუალებას, რომ აღნიშნული შემადგენლობანი შედეგიან შემადგენლობათა რიცხვს მივაკუთვნოთ.

შედეგიანი შემადგენლობანი შეიძლება განხორციელდნენ როგორც დადებითი მოქმედებით (*delicta commissiva*), ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებით (*delicta commissiva per omissionem*). ორივე შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა მოქმედებასა ან მოქმედებისაგან თავის შეკავებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის.

ისევე, როგორც შედეგგარეშე შემადგენლობების დროს, შედეგიან შემადგენლობათა შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას შემდგომი შედეგები, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში მითითებული არ არის. ამ შემდგომ შედეგებს არა აქვთ მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის, მაგრამ მათ უდავოდ შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე და ამიტომ უნდა იქნან მხედველობაში მიღებული სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრისას.

შედეგიანი დანაშაულის დროს დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მიზეზობრივი კავშირის საკითხი. მაგნე შედეგი მხოლოდ მაშინ შეიძლება შეერაცხოს პიროვნებას, როდესაც მისი გამომწვევი მიზეზი ადამიანის მოქმედება ან უმოქმედობა იყო. ამიტომ შედეგი თავი მიზეზობრივი კავშირის პრობლემას ეძღვნება.

**დანაშაულის ობიექტური მხარე (გაბრაკლება)  
მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში**

**§1. მიზეზობრივი კავშირის საკითხი ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში**

მიზეზობრივი კავშირის საკითხი დამოუკიდებელი მეცნიერული შესწავლის საგანი გახდა სისხლის სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. საშუალო საუკუნეების დოქტრინას მიზეზობრივი კავშირი აინტერესებდა მხოლოდ როგორც კერძო საკითხი მკვლევლობისა და სხეულის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთების დროს. ამ პერიოდის იურისტები აყალიბებდნენ ცალკე, კერძო ხასიათის დებულებებს კონკრეტულ კაზუსებთან დაკავშირებით. მაგალითად, წინადადებას იძლეოდნენ, რათა მხედველობაში ყოფილიყო მიღებული ვადა, რომელიც გავიდა დაზარალებულის დაჭრასა და მის სიკვდილს შორის<sup>1</sup>, იმ იარაღის თვისებები, რომლითაც კაცი დაჭრეს, ჭრილობის ხასიათი, დაზარალებულის ორგანიზმის თავისებურებანი და ა.შ. რაიმე ზოგადი ხასიათის დებულებანი მიზეზობრივი კავშირის შესახებ შემუშავებული არ ყოფილა.

XIX საუკუნიდან დაწყებული, ბურჟუაზიული კრიმინალისტები თავს ესხმან საშუალო საუკუნეების კაზუსიტურ დოქტრინას და ცდილობენ შემუშავონ ზოგადი დებულებები, რომლებიც გამოსაყენებელი იქნება არა მარტო მკვლევლობისა და სხეულის დაზიანების, არამედ აგრეთვე მიზეზობრივი კავშირის ყველა შემთხვევის ერთგვაროვნად გადაწყვეტისათვის.

<sup>1</sup> ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში დღემდე შემორჩენილია ისეთი წესი, რომ პირი არ შეიძლება დაისაჯოს მკვლევლობისათვის, თუ დაზარალებულმა მისი დაჭრის შემდეგ ერთი წელი და ერთი დღე იცოცხლა, თუნდაც ჭრილობა მიყენებული იყოს მოკვლის განზრახვით (იხ. Э. Дженкс, Английское право, М., 1947, стр. 152; I. Miller, Handbook of Criminal Law, St. Paul, 1934, p. 80).

განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიზეზობრივი კავშირის პრობლემას გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ექცეოდა XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში. მიზეზობრივი კავშირი მონოგრაფიების, სტატიების, დისერტაციების ერთ-ერთ პოპულარულ თემად გადაიქცა, შეიქმნა აუარებელი თეორიები, რომლებიც ერთმანეთს მკვეთრად ეწინააღმდეგებიან. ბურჟუაზიული კრიმინალისტი პ. ტარნოვსკი 1927 წელს აღნიშნავდა: „თუმცა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ამ პრობლემას მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა მიეძღვნა, მაინც სხვადასხვა შეხედულებათა ერთ საერთო თვალსაზრისამდე დაყვანა დღემდე არ მოხერხდა. პირიქით, რაც უფრო იზრდება თეორიათა რიცხვი, მით უფრო ღრმავდება წინააღმდეგობა მათ შორის“<sup>1</sup>.

იმ მრავალრიცხოვან შეხედულებებს შორის, რომლებიც ბურჟუაზიული სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში გვხვდება, ყველაზე მეტი პოპულარობით როგორც მეცნიერებაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში ორი თეორია სარგებლობს: პირველი — ეს არის ეკვივალენტობის ანუ პირობათა ტოლფასოვნობის თეორია, ხოლო მეორე — ადეკვატური თეორია. ამ თეორიებმა ერთგვარი ზეგავლენა საბჭოთა სამართლებრივ მეცნიერებაზედაც მოახდინეს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ მათზე შევჩერდებით.

#### ა) ეკვივალენტობის თეორია

ეკვივალენტობის თეორიის ფილოსოფიური ფესვები ძირითადად ინგლისის პოზიტიურ ფილოსოფიაში ან უფრო ზუსტად, აგნოსტიციზმში უნდა ვეძებოთ.

მიზეზობრივი კავშირის იმ თეორიის მიხედვით, რომელსაც ინგლისელი აგნოსტიკოსები ავითარებენ, მიზეზის ცნებას ჩვენ ცდიდან ვითვისებთ. მაგრამ თვით ცდა გაგებულა ვიწრო, სუბიექტურ-ფსიქოლოგიური აზრით და არა როგორც ობიექტური სინამდვილის ანარეკლი. ყოველგვარი ცოდნის წყაროდ ინგლისელი აგნოსტიკოსები მხოლოდ ჩვენს გრძნობებს თვლიან.

ვი. ლენინი ერთმანეთს უპირისპირებდა ფილოსოფიური აზრის

---

<sup>1</sup> H. Tarnowsky, Die systematische Bedeutung der adäquaten Kausalitätstheorie für den Aufbau des Verbrechenbegriffs, Berlin-Leipzig, 1927, S. 1.

განვითარების ორ ხაზს: „ერთი ხაზი შეძლევა: გრძნობები გვაძლევენ საგნების სწორ ასახვას, ჩვენ ვიცით თვით ეს საგნები, გარეგანი სამყარო ზემოქმედებას ახდენს ჩვენი გრძნობების ორგანოებზე. ეს მატერიალიზმია, რომელსაც აგნოსტიკოსი არ ეთანხმება. რალაშია აგნოსტიკოსის ხაზის არსი? იმაში, რომ იგი არ სცილდება შეგრძნებებს, რომ იგი ჩერდება მოვლენათა გამოღმა მხარეს, უარს ამბობს რაიმე „უტყუარი“ დაინახოს შეგრძნებათა საზღვრებს იქით. თვით ამ საგნებზე (ე.ი. საგნებზე თავისთავად, „ობიექტებზე თავისთავად“, როგორც ამბობდნენ მატერიალისტები, რომელთაც ბერკლი ეკამათებოდა) ჩვენ არაფერი შეგვიძლია უტყუარად ვიცოდეთ, — ასეთია აგნოსტიკოსის საესებით გარკვეული განცხადება.“<sup>1</sup>

მიზეზობრივი კავშირის საკითხისათვის აქედან მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები გამოძვინარეობს: თუ ნივთის ნამდვილი თვისებები არ შეიძლება გაგებულ იქნას არც ჩვენი გრძნობების მეშვეობით, არც მისი წარმომშობი მიზეზებისა თუ მის მიერ წარმომშობილი შედეგების მეშვეობით, მაშასადამე, მიზეზობრივ კავშირში არაფერი არ არის სუბსტანციური. ჰიუმის აზრით, ცდა გვიჩვენებს მხოლოდ მოვლენათა უწყვეტ რიგისობას, ე.ი. ცდიდან ჩვენ მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ ერთი მოვლენა მუდმივი თანამიმდევრობით მისდევს მეორე მოვლენას, „მაგრამ ჩვენ არასდროს არ ძალგვიძს ჩაწვდეთ რაიმე კავშირს მათ შორის“<sup>2</sup>. აქედან ჰიუმი ფაქტიურად მიზეზობრივი კანონის უარყოფამდე მიდის. „... აუცილებელია, როგორც ჩანს, იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ჩვენ სრულიად არა გვაქვს კავშირის ან ძალის იდეა და ამ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ“<sup>3</sup>. მიზეზობრიობის იდეა, ჰიუმის აზრით, ემყარება ჩვეულებას, მოლოდინის გრძნობას, რომელიც გამოწვეულია ადამიანის ცნობიერებაში არსებული ორი წარმოდგენის ასოციაციური კავშირით: როდესაც ჩვენს ცნობიერებაში ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენა გაჩნდება, წმინდა სუბიექტური რწმენის წყალობით ჩვენ მაშინვე მეორე წარმოდგენაზე გადავდივართ, ე.ი. შინაგანი გრძნობის მოთხოვნა თვით გარეგან მოვლენაზე გადაგვაქცის<sup>4</sup>.

<sup>1</sup> კი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 126.

<sup>2</sup> Д. Юм. Исследование о человеческом уме, Петроград, 1916, стр. 80.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>4</sup> Д. Юм, Трактат о человеческой природе, Юрьев, 1906, стр. 84-90.

ეს დებულებები შემდგომ განვითარა ჯონ სტოუარტ მილმა, რომელიც მივიდა მიზეზობრიობის კანონის საყოველთაოების იდეამდე. მილის აზრით, მიზეზობრივი კავშირის ცნებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს რაიმე მოსაზრებებთან მოვლენათა წარმოშობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, არსებობს თუ არა „ნიეთი თავისთავად“<sup>1</sup>. „მიზეზობრივი კავშირის კანონი, რომლის აღიარებაც ინდუქციური მეცნიერების მთავარ საფუძველს წარმოადგენს, მხოლოდ ის საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი დაკვირვების თანახმად ბუნების ყოველი ფაქტი მუდმივი თანმიმდევრობით მისდევს მეორე მის წინამორბედ ფაქტს...“<sup>2</sup>. მოვლენის ნამდვილ მიზეზად მილი ისეთ წინამორბედს თვლის, რომელიც უცილობლად და უცვლელად წინ უსწრებს მას, ვინაიდან წინამორბედთა შორის შეიძლება იყოს ისეთი მოვლენებიც, რომელთა არარსებობა შედეგის წარმოშობაზე ზეგავლენას არ მოახდენდა<sup>3</sup>.

ყოველი მოვლენა, მილის აზრით, შეიძლება წარმოიშვას არა ერთი წინამორბედის, არამედ მთელ რიგ წინამორბედ მოვლენათა ერთობლიობის შედეგად. ამიტომ „ფილოსოფიური თვალსაზრისით, მიზეზი არის ერთად აღებული დადებით და უარყოფით მოვლენათა სრული ჯამი, მთელი ერთობლიობა ყოველგვარი შემთხვევითობებისა (contingencies), რომელთა არსებობაც უცვლელად იწვევს შედეგს“<sup>4</sup>. რაც შეეხება ცალკეულ წინამორბედ მოვლენებს, რომლებიც ამ ჯამში შედიან, ისინი ერთნაირად აუცილებელი არიან მოვლენა-შედეგის წარმოშობისათვის და ამ მხრივ მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. ფილოსოფიური თვალსაზრისით მილს არასწორად მიაჩნია ზოგიერთი პირობის გამოყოფა და მისთვის მიზეზის სახელწოდების მინიჭება, თუმცა ამავე დროს იგი არ უარყოფს, რომ ასეთი რამ ყოველდღიურ სასაუბრო ენაში ხშირად გვხვდება. იგი მოუთითებს, რომ „პრაქტიკაში „მიზეზს“ ჩვეულებრივად იმ პირობას უწოდებენ, რომლის როლი ზერეულ დაკვირვებებისას განსახილველ შემთხვევაში განსაკუთრებით შესაძინევია, ან რომლის მიმართ

<sup>1</sup> Д. С. Милль, Система логики силлогистической и индуктивной, М., 1914, стр. 295.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 295.

<sup>3</sup> Д. С. Милль, Система логики силлогистической и индуктивной, М., 1914, стр. 305-309.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 299.

უწყებულ მომენტში ჩვენ განსაკუთრებული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ მისი აუცილებლობა შედეგის წარმოშობისათვის“<sup>1</sup>.

ძილის შეხედულება მიზეზობრივ კავშირზე საფუძველად დაელო სისხლის სამართალში ე.წ. ეკვივალენტურ თეორიას, რომლის მამამთავარი გერმანელი კრიმინალისტი ბური იყო. ეს თეორია დღემდე გაბატონებულად ითვლება როგორც გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში<sup>2</sup>, ისე სასამართლო პრაქტიკაში, სადაც იგი თავდაპირველად გერმანიის საიმპერიო სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის წევრის – ბურის ზეგავლენით დაინერგა. იგი გაბატონებულა აგრეთვე ავსტრიის უმაღლესი სასამართლოსა<sup>3</sup> და იაპონიის სასამართლო პრაქტიკაში<sup>4</sup>. ეკვივალენტურ თეორიას მრავალი მომხრე ჰყავდა რევოლუციამდელ რუსეთშიც<sup>5</sup>.

ეკვივალენტური თეორიის ძირითადი იდეები ფორმულირებულია ბურის შემდეგ სიტყვებში: „მიზეზობრივი კავშირი მოვლენის წარ-

---

<sup>1</sup> Д. С. Милль, Система логики силлогистической и индуктивной, М., 1914, стр. 298.

მის მთავარ წარმომადგენლებად გერმანულ ლიტერატურაში ითვლებიან: М. Buri, Über Kausalität und deren Verantwortung, Leipzig: ბისივე, Kausalität und ihren strafrechtlichen Bazichungen, Stuttgart, 1885; F. Liszt, Die Deliktsoobligationen im System des bürgerlichen Gesetzbuchs, Berlin, 1898, SS. 68-85; ბისივე, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, 1911, SS. 130-136; E. Hartmann, Das Kausalproblem im Strafrecht, 1900; G. Radbruch, Die Lehre von der adäquaten Verursachung, Berlin, 1902; A. Finger, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, 1904, SS. 274-284; SS. 274-284; M. E. Mayer, Des Allgemeine Teil das Deutschen Strafrechts, Berlin, 1915, SS. 135-149; Pol Merkel, Grundriß des Strafrechts, Allg. Teil, 1927, SS. 48-59; A. Dohna, Der Aufbau des Verbrechenslehre, Bonn, 1936, SS. 9-12; A. Wegner, Strafrecht, Allg. Teil, Göttingen, 1951, S. 107.

იხ. W. Malaniuk, Lehrbuch des Strafrechts, B. I, Wien, 1947, SS. 89, 93; Ф. Новаковский, Австрийское уголовное право, „Современное зарубежное уголовное право“, т. III, М., 1961, стр. 606-607.

<sup>2</sup> Кинсаку Тайто, Японское уголовное право. „Современное зарубежное уголовное право“, т. I, М., 1957, стр. 319.

<sup>3</sup> ამ თეორიას ემხრობოდნენ, კერძოდ, Г. Колоколов, О соучастии в преступлении, М., 1881, стр. 1-40; Н. Д. Сергеевский, Русское уголовное право. Пособие к лекциям, Петроград, 1915, стр. 288-293; П. П. Пусторослев, Причинность и обусловленность в уголовном праве, „Журнал министерства юстиции“, 1906, N 8, стр. 35-43; Русское уголовное право. Общая ч. вып. I, Юрьев, 1912, стр. 18-21; Э. Я. Немировский, Основные начала уголовного права. Одесса, 1917, стр. 373-400.

მოშობის პროცესს ნიშნავს. თუ გვსურს გამოვიკვლიოთ რაიმე მოვლენის მიზეზობრივი დამოკიდებულება, განსაზღვრული თანმიმდევრობით უნდა დავადგინოთ ყველა ის ძალა, რომელმაც რაიმე ქმედითობა გამოავლინა ამ მოვლენის წარმოშობაში. მაგრამ ამავე საფუძვლით თითოეული ეს ძალთაგანიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც მოვლენის მიზეზი, ვინაიდან მოვლენის არსებობა იმდენად არის დამოკიდებული თითოეულ ცალკეულ ძალაზე, რომ თუ მიზეზობრივი კავშირიდან თუნდაც ერთ ცალკეულ ძალას გამოვაკლებთ, მოვლენა არ განხორციელდება. ამრიგად, თითოეული ცალკეული პირობა, რომელიც სასიცოცხლო ძალას ანიჭებს სხვა ძალების მკვდარ მასას, ამით კაუზალურად აქცევს დანარჩენ ძალებსაც<sup>1</sup>.

ბურის აღნიშნული დებულება შემდეგნაირად უნდა იქნას გაგებულნი: მოვლენის მიზეზი ყოველთვის აუცილებელი პირობების ჯამია. ყოველი აუცილებელი პირობა, ე.ი. ისეთი პირობა, ურომლისოდ შედეგი არ წარმოიშვებოდა, განუწყვეტელ კავშირშია სხვა პირობებთან. საკმარისია ამ პირობათა ერთობლიობას თუნდაც ერთი გამოაკლდეს და ყველა დანარჩენი პირობები გადაიქცევიან ინერტულ მასად, რომელსაც არ ძალუძს მოვლენა წარმოშვას. რამდენადაც ყოველი აუცილებელი პირობა გამოუკლებელია შედეგისათვის, ამდენად თითოეულ ამ პირობასაც შეიძლება „მიზეზი“ ვუწოდოთ. ეს სახელწოდება, ცხადაა, პირობითი იქნება, ვინაიდან მკაცრი ფილოსოფიური თვალსაზრისით მიზეზი ყოველთვის აუცილებელი პირობების ჯამია და არა ცალკეული, აუცილებელი პირობა, იზოლირებულად აღებული.

ნათქვამის შესაბამისად, ეკვივალენტური თეორია აღიარებს მიზეზობრივ კავშირს ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის ყოველთვის, როდესაც ეს მოქმედება იყო საზოგადოებრივად საშიში შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა (*conditio sine qua non*). იმის დასადგენად, იყო თუ არა ადამიანის მოქმედება საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელი პირობა (*conditio sine qua non*), ეკვივალენტური თეორია შემდეგ ხერხს გეთავაზობს: წინამორბედ პირობათა ჯამიდან ჩვენს ცნობიერებაში უნდა გამოვირიცხოთ ადამიანის მოქმედება, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს; თუ

<sup>1</sup> M. Buri, Über Kausalität und deren Verantwortung, 1873, S. 1.



აღმოჩნდება, რომ ამ მოქმედების გარეშე საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ დადგებოდა, ეს იმის დამადასტურებელია, რომ მოქმედება იყო შედეგის აუცილებელი პირობა. პირიქით, თუ აღმოჩნდება, რომ შედეგი ადამიანის მოქმედების გარეშეც დადგებოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მოქმედება აღნიშნული შედეგის აუცილებელი პირობა არ ყოფილა. უკანასკნელ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და შედეგს შორის არ დასტურდება. აღნიშნულ ხერხს ლიტერატურაში ჰიპოთეტიური ელიმინაციის მეთოდი ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ ეკვივალენტური თეორიის თვალსაზრისით მიზეზობრივი კავშირი მაშინაც არ არის გამორიცხული, როდესაც: ა) შედეგის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ დაზარალებულის ფიზიკური თუ ფსიქიკური კონსტიტუციის თავისებურებათა გამო; ბ) პირველი პირის მოქმედებასა და შედეგს შორის ჩართული ბუნების ძალთა ან დაზარალებულის თუ სხვა პირთა მოქმედება. გადაშვევტია მხოლოდ ერთი მომენტი: დადგებოდა თუ არა შედეგი ადამიანის მოქმედების გარეშეც.

ეკვივალენტური თეორიის წინააღმდეგ ჩვეულებრივად ის არგუმენტი მოჰყავთ, რომ იგი მეტად აფართოვებს პასუხისმგებლობას: მაგალითად, თუ ვინმემ მოკვლის განზრახვით ესროლა თავის მტერს და მხოლოდ მსუბუქად დასჭრა იგი, მაგრამ დაზარალებული, რომელიც ჭრილობის გამო საავადმყოფოში მოათავსეს, საავადმყოფოში გაჩენილი ხანძრის შედეგად გარდაიცვალა, ეკვივალენტურმა თეორიამ უნდა ცნოს პასუხისმგებლობა დამთავრებული მკვლელობისათვის, რადგან იგი ვერ უარყოფს ვერც მიზეზობრივი კავშირის და ვერც ბრალის არსებობას. მიზეზობრივი კავშირისა – იმის გამო, რომ მოქმედების (დაჭრის) არარსებობის შემთხვევაში დაზარალებული საავადმყოფოში არ დაწვებოდა და ხანძრისაგან არ გარდაიცვლებოდა, ხოლო ბრალისა – იმის გამო, რომ დამნაშავე ითვალისწინებდა პირის სიკვდილს და სურდა კიდევაც მოეკლა კაცი.

ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლები არ უარყოფენ ასეთ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობას, მაგრამ უარყოფენ ბრალს კონკრეტული შედეგის მიმართ და ამიტომ გამორიცხავენ პასუხისმგებლობას დამთავრებული მკვლელობისათვის. ისინი მართებულად მიუთითებენ, რომ დამდგარი შედეგი (ხანძრისაგან სიკვდილი)

არ არის მოცული პირის განზრახვით. განზრახვისათვის აუცილებელია, რომ პირი ზოგად ზაზებში მანც ითვალისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარებას. ხოლო დაზარალებულის სიკვდილს ხანძრის შედეგად პირი არათუ არ ითვალისწინებდა, არამედ არც შეეძლო გაეთვალისწინებინა. ამიტომ დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის. მიზეზობრივი კავშირი, დამოუკიდებლად აღებული, არ ასაბუთებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ბრალის მოთხოვნა წარმოადგენს საიმედო გარანტიას ამ პასუხისმგებლობის შეზღუდვისათვის.

ჩვენი აზრით, ეკვივალენტური თეორიის ნაკლი სულაც არ მდგომარეობს იმ თეზისში, რომ თუ ადამიანის მოქმედება წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელ პირობას, იგი მიზეზობრივ კავშირშია ამ შედეგთან. თეზისი *conditio sine qua non* ლოგიკური თვალსაზრისით სწორია, მასში არაფერი არ არის იდეალისტური. როგორც სამართლიანად მიუთითებდა პროფ. ა. ტრანინი, „ეს თეზისი მიზეზობრივი კავშირის ამა თუ იმ გაგებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ თვით მიზეზის ბუნებასთან...“<sup>1</sup>. ასევე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი ი. ლექშასი წერს: „თეზისი *conditio sine qua non* რომელიც შეეხება მხოლოდ მიზეზისა და შედეგის კავშირს, არაერთგვარ შემთხვევაში არ გამოხატავს რაიმე დამოკიდებულებას მატერიალიზმთან ან იდეალიზმთან. ამ თეზისის ჭეშმარიტებას აღიარებენ როგორც მატერიალისტები, ისე იდეალისტები და არც შეიძლება არ აღიარონ, თუ არ სურთ პირწმინდად უარყონ თვით მიზეზობრივი კავშირი“<sup>2</sup>.

ეკვივალენტური თეორიის მანკიერება სულ სხვა თეზისში მდგომარეობს, სახელდობრ თეზისში აუცილებელ პირობათა ტოლფასოვნების შესახებ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 161.

<sup>2</sup> J. Lekschas, Die Kausalität bei der verbrecherischen Handlung, Berlin, 1952, S. 25.

<sup>3</sup> სწორედ პირობათა ტოლფასოვნების პრინციპის აღიარების გამო ამ თეორიას, რომელიც წინათ ცნობილი იყო სახელწოდებით – თეორია *conditio sine qua non*, ამჟამად ეკვივალენტურ თეორიას უწოდებენ. მართლაც, სახელწოდება *conditio sine qua non* აღნიშნული თეორიისათვის შეუფერებელია.

იმ დებულებიდან, რომ თუ რომელიმე აუცილებელი პირობა გამოაკლდა მიზეზობრიობის ჯაჭვს, შედეგი არავითარ შემთხვევაში არ განხორციელდება, ბურის და მის მიმდევრებს გამოაქვთ დასკვნა, რომ ყველა აუცილებელ პირობას საესებით ერთნაირი მნიშვნელობა აქვს შედეგისათვის. ამ დებულებას ისინი შედეგის განუყოფადობას უკავშირებენ. შედეგის განუყოფადობის გამო არ არსებობს შესაძლებლობა გამოვაცალკევოთ ერთმანეთთან შერწყმული ძალები და გამოვიკლიოთ მათი მოქმედება ბოლომდე, ე.ი. შედეგამდე. ბურის აზრით, „უარი უნდა ვთქვათ შედეგის გაყოფადობის პრინციპზე და ვაღიაროთ, რომ თითოეული ძალა, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იყო მისი ზემოქმედება, იწვევს მთელ შედეგს მთლიანად“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ ბურის და მის რომელიმე მიმდევარს არ მოაქვთ რაიმე დადებითი არგუმენტი პირობათა ტოლფასოვნების დასამტკიცებლად. უფრო მეტიც, ისინი ზედმეტად თვლიან ასეთი არგუმენტების მოტანას. აი, მაგალითად, რას ამბობს პირობათა ტოლფასოვნების პრინციპის ერთ-ერთი თანმიმდევარი წარმომადგენელი ე. ჰარტმანი: „...თითოეული პირობის უცილობლობა, ... რასაც არავითარი ხარისხი არ შეიძლება ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, ისეთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა, რომელიც ყველა პირობას უდავოდ ერთნაირად ახასიათებს და ამიტომ ჩვენ არათუ უფლება გვაქვს, არამედ ვალდებულიც ვართ განვიხილოთ ეს პირობები როგორც თანასწორფასოვანნი, ვიდრე არ გვექნება თვალნათლივი დამამტკიცებელი საბუთი, რომ რაიმე სხვა მიმართებით ისინი კაუზალურად არათანასწორნი არიან“<sup>2</sup>.

დებულება პირობათა კაუზალური ტოლფასოვნების შესახებ ფილოსოფიური თვალსაზრისით არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ამავე დროს ამ დებულებას შედეგად მოსდევს მიუღებელი დასკვნები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

პირობათა თანასწორფასოვნების დებულება არ იძლევა შესაძლებლობას გამოიჯნოთ დანაშაულის მომზადება და მცდელობა რაიმე ზუსტი ობიექტური ნიშნის მეშვეობით. თუ შედეგის ყველა პირობა საესებით ერთგვარ როლს ასრულებს შედეგის წარმოშობაში, არ არსებობს არავითარი

<sup>1</sup> M. Buri, Kausalität und ihre strafrechtlichen Beziehungen, Stuttgart, 1885, S. 13.  
<sup>2</sup> ob. E. Hartmann, Das Kausalproblem im Strafrecht, 1900, S. 55.

საფუძველი ობიექტურად მეტი იურიდიული მნიშვნელობა მივანიჭოთ მოქმედებას, რომლითაც იწყება დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება, ვიდრე მოსამზადებელ მოქმედებას. ამიტომ ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლები იძულებული არიან ეძიონ მომზადებისა და მცდელობის განმასხვავებელი ნიშანი სუბიექტურ, ფსიქიკურ სფეროში. მცდელობის სუბიექტურმა თეორიებმა კი, როგორც ცნობილია, ნადაგი მოამზადეს მცდელობის ცნების გაუქმებისა და ყოველივე დანაშაულებრივი ფსიქიკური განწყობის დასჯადად გამოცხადებისათვის.

პირობათა ტოლფასოვნების დებულება არ იძლევა აგრეთვე თანამონაწილეთა ობიექტური ნიშნის მიხედვით გამიჯვნის შესაძლებლობას. ამიტომ ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლები ცდილობენ თანამონაწილენი სუბიექტური ნიშნის მიხედვით გამიჯნონ (მაგალითად: ამსრულებელია ის, ვინც საკუთარი ინტერესისათვის მოქმედებს, ხოლო თანამონაწილე — ის, ვინც მოქმედებს სხვისი ინტერესისათვის). მაგრამ რადგანაც სუბიექტური ნიშანი უნაყოფო აღმოჩნდა თანამონაწილეთა სახეების გასამიჯნავად, ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ მოეთხოვათ თანამონაწილეობის ცნების სრული გაუქმება.

დაბოლოს თუ ყველა პირობა კაუზალური თვალსაზრისით თანასწორფასოვანია, მაშინ ცხადია, მიზეზობრივი კავშირი არ შეიძლება მიღებულ იქნას მხედველობაში ქმედობის დასჯადობის დროს. დასჯადობა შეიძლება დამოკიდებული იყოს პასუხისმგებლობის მხოლოდ სუბიექტურ საფუძველზე, ე.ი. ბრალზე.

ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენლები მართლაც მიდიან ასეთ დასკვნამდე. მაგალითად, ჰარტმანი პირდაპირ აცხადებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი მოქმედის დანაშაულებრივი ნებაა<sup>1</sup>.

მაგრამ თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი სუბიექტის ბრალია, ბუნებრივად იბადება საკითხი: მაშ რა მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლისათვის ობიექტურ მომენტს — ქმედობას, შედეგს და მიზეზობრივ კავშირს მათ შორის? ამ კითხვაზე ეკვივალენტური თეორიის წარმომადგენელი ჰარტმანი შემდეგ

<sup>1</sup> იხ. ე. ჰარტმანი, დასახ. ნაშრ., გვ. 4-6.

პასუხს გვაძლევს: ობიექტური მომენტი იმიტომ არის საჭირო, რომ იგი დანაშაულებრივი ნების არსებობისა და მისი ინტენსივობის დადგენის აუცილებელ და მთავარ საშუალებას წარმოადგენს. დანაშაულებრივი ნება შინაგანი ფსიქიკური პროცესია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შედეგისა და მიზეზობრივი კავშირის მეშვეობით ვლინდება. „მიუხედავად იმ დიდი როლისა, რასაც შედეგი და მიზეზობრივი კავშირი უეჭველად ასრულებენ სისხლის სამართალში., ისინი ანტიერესებს სისხლის სამართალს არა თავისდა თავად, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ბრალის დადგენისა და გაზომვის აუცილებელ საშუალებას, მისი შეცნობის წყაროს წარმოადგენენ“<sup>1</sup>.

როგორც ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, პირობათა ტოლფასოვნების იდეის თანმიმდევრულმა განვითარებამ მისი მომხრეები იმ დასკვნაზე მიიყვანა, რომ მიზეზობრივი კავშირი და შედეგი არ წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და რომ მათ მხოლოდ ბრალის სიმპტომის, ე.ი. ბრალის დამადასტურებელი საშუალების მნიშვნელობა აქვთ.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩადენილი ქმედობა და მისი შედეგი ხშირად შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც დანაშაულებრივი ნების დადგენის საშუალება. უფრო მეტიც, ძალიან ხშირად ბრალის ხარისხი პროპორციულია ქმედობაში ობიექტური მონაწილეობის ხარისხისა. მაგრამ სიმპტომატური შეხედულება დანაშაულზე გადაჭარბებით აფასებს მიზეზობრივი კავშირისა და შედეგის როლს ბრალის დადგენისა და მისი ხარისხის გამოკვლევისათვის, ხოლო მეორე მხრივ ვერ ამჩნევს მთელ რიგ სხვა მომენტებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ დანაშაულებრივი ნების დამადასტურებელ საბუთად.

მაგნე შედეგის გამომწვევი ქმედობის ჩადენა ყოველთვის როდი იძლევა საშუალებას, რათა დავასკვნათ ბრალისა და მისი ხარისხის შესახებ. თუ ა.-მ თოფი გაისროლა და ბ.-ს მოახვედრა, ამით მტკიცდება მიზეზობრივი კავშირი ა.-ს მოქმედებასა და ბ.-ს სიკვდილს შორის. მაგრამ ჰქონდა თუ არა ა.-ს განზრახვა მოეკლა ბ., თუ იგი მან გაუფრთხილებლობით ან შემთხვევით მოკლა, ეს ყოველთვის როდი

<sup>1</sup> იხ. ე. პარტმანი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

შეიძლება დადგენილ იქნას სიკვდილის გამოწვევის ფაქტიდან.

გარდა ამისა, დანაშაულებრივი ნების დადგენა ზოგჯერ შეიძლება მაშინაც, როდესაც ჩადენილი არ არის მკვლე შედეგის გამოწვევი კონკრეტული ქმედება. იგი შეიძლება დადასტურდეს მაგალითად, პირის აღიარებით, წერილით, დღიურში ჩანაწერით და ა.შ.

მაგრამ თუ მიზეზობრივი კავშირი არ წარმოადგენს ბრალის დამადასტურებელ ერთადერთ საშუალებას, თუ პირის დანაშაულებრივი ნება შეიძლება გამოცნობილ იქნეს სხვა საშუალებებითაც, რომლებიც ქმედობასთან კავშირში არ არიან, და თუ ამასთანავე ბრალი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია, მაშინ თანამიმდევრობა მოითხოვს, რომ პირი პასუხისმგებაში მიეცეს ყველა შემთხვევაში, როდესაც მან რაიმე გზით გამოამჟღავნა თავისი დანაშაულებრივი ნება, თუნდაც ობიექტურად არავითარი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობა არა ჰქონდეს ჩადენილი. ეს კი იქნებოდა უკუგდება დემოკრატიული პრინციპისა, რომელმაც ჰპოვა თავისი გამოხატულება იურიდიულ ანდაზაში – „აზრისათვის ბაჟი არ გადაიხდებინება“, ეს იქნებოდა „პიროვნების საშიში მდგომარეობის“ დასჯადობის აღიარება.

ამგვარად პირობათა ტოლფასოვნების იდეის თანმიმდევრულ განვითარებას მივყევართ დანაშაულის სიმპტომატურ გაგებაში, ხოლო ამ უკანასკნელს, თავის მხრივ – სასჯელის საფუძველად „პიროვნების საშიში მდგომარეობის“ აღიარებამდე. მართლაც პირობათა ტოლფასოვნების თანმიმდევარი დამცველი პარტმანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ თეორიულად საეხებით დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს პიროვნების ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი ფსიქიკური მდგომარეობის დასჯადობის აღიარება<sup>1</sup>.

პარტმანის ეს დებულება საეხებით შეესაბამება სოციოლოგიური სკოლის – იმპერიალიზმის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული მიმართულების – ძირითად თეზისს: „სასჯელის საგანი არის მოქმედი და არა მოქმედება“. პარტმანის მსგავსად, სოციოლოგიური სკოლის მეთაური ფ. ლისტი ამჟღავნებს, რომ თეორიულად დასკვნა „უნდა დაისაჯოს ყოველი სოციალურად საშიში პიროვნება, თუნდაც მას არავითარი კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობა არ ჰქონდეს ჩადენილი“ –

<sup>1</sup> ე. პარტმანი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

სავსებით დასაბუთებული და სწორია. მაგრამ ვერც ლისტმა და ვერც პარტმანმა ვერ გაბედეს მოეთხოვათ თავიანთი თეორიული დასკვნების პრაქტიკულად განხორციელება, ვინაიდან კარგად ესმოდათ, რომ „მაშინ დაპყრავდა უკანასკნელი ზარი სისხლის სამართლისათვის“.

თუ რა გამანადგურებელ დასკვნებს იწვევს სიმპტომატური შეხედულება დანაშაულზე, ეს ყველაზე თვალსაჩინოდ თვით ლისტმა გვიჩვენა: სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილი შემადგენლობანი უნდა შეიცვალოს ერთადერთი ძირითადი დებულებით: „საერთო ინტერესებისათვის საჭიროა, რომ ყოველი საზოგადოებრივად საშიში პიროვნება იქნას გაუვნებელყოფილი“. ეს კი, — როგორც თვით ლისტი აღიარებს, — იმას ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება „სოციალური ჰიგიენით“ უნდა შეიცვალოს; სისხლის სამართლის კოდექსები და თვით სამართალწარმოება უნდა მოისპოს, ვინაიდან სამართალწარმოება წარმოუდგენელია თეორიულ-ფორმალური მეთოდის, სამართლისა და მართლმსაჯულების ცნებათა გარეშე, პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების შეფასება ადმინისტრაციის ხელში უნდა გადავიდეს<sup>1</sup>.

ფ. ლისტი არ თვლიდა ყოველივე ამას აბსურდად, და მაინც მას არ მოუთხოვია ყველა იმ დებულების პრაქტიკულად განხორციელება, რაც თანამიმდევრულად გამოდინარეობდა დანაშაულის ობიექტური მხარის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უარყოფიდან. მისი ასეთი მერყევი პოზიცია იმით აიხსნება, რომ ლისტმა ვერ გაბედა უკუეგლო ფორმალური ბურჟუაზიული დემოკრატიის პრინციპები. სისხლის სამართლის კოდექსის შენარჩუნება, მისი აზრით, საჭიროა ინდივიდუალური თავისუფლების დასაცავად: კოდექსი არის თავისუფლებათა ქარტია (magna charta) დაშნაშვისათვის. ასეთი მერყეობა და არათანმიმდევრობა საერთოდ დამახასიათებელია სოციოლოგიური სკოლისათვის, რომელიც ცდილობდა თავისი რეაქციული დებულებები ლიბერალური ხასიათის მოთხოვნებით შეენიღბა.

მაგრამ ის, რაც სოციოლოგიური სკოლის მიმდევრებმა ვერ გაბედეს, პრაქტიკულად ფაშისტური დიქტატურის პერიოდში განხორ-

<sup>1</sup> იხ. F. Liszt. Die deterministischen Gegner der Zweckstrafe, „Strafrechtliche Aufsätze und Vorträge“, B. 2, Berlin, 1905, S. 59.

ციელდა. ფაშიზმის იდეოლოგიებმა მოხერხებულად გამოიყენეს სოციოლოგიური სკოლის რეაქციული იდეები აღვირაზნისილი თვითნებობისა და ძალადობის დასაწერად. „ფაშისტურ „თეორიებში“, – მიუთითებდა პროფ. ა. ტრანინი, – ანთროპოლოგთა და სოციოლოგთა რეაქციულმა სუბიექტივიზმმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია, უფრო სწორად, ყოველგვარ ზღუდეს გადააბიჯა“<sup>1</sup>.

ამგვარად, დასკვნები, რომლებიც პირობათა ტოლფასოვნების თეორიდან გამომდინარეობენ, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

ა) პირობათა ტოლფასოვნების იდეიდან თანმიმდევრობით გამომდინარეობს სუბიექტივისტური შეხედულება თანამონაწილეობაზე, მომზადებასა და მცდელობაზე, დაბოლოს, თვით დანაშაულზე;

ბ) სუბიექტური შეხედულება დანაშაულზე ასახავს იმ რეაქციულ ტენდენციებს, რომლებსაც იმპერიალიზმის პერიოდის ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში აქვთ თავისი ფესვები.

აღსანიშნავია, რომ პირობათა ტოლფასოვნების იდეა თანმიმდევრულად გამომდინარეობს აგნოსტიციზმიდან. მართლაც, თუ მიზეზობრივ კავშირში არაფერია სუბსტანციური, თუ გარესამყაროში არსებული კავშირის არსება მიუწვდომელია ადამიანის შემეცნებისათვის, თუ ჩვენ ძალგვიძს დავადგინოთ მოვლენათა მხოლოდ უცვლელი და მუდმივი თანმიმდევრობა და სხვა არაფერი, მაშინ ცხადია, რომ მიზეზობრიობის მთლიანი ჯაჭვიდან შეუძლებელია გამოყოფილ იქნას განსაზღვრული პირობები და ამ პირობებს მიეწეროს უფრო აქტიური, ქმედითი როლი სხვა პირობებთან შედარებით. პირობათა ტოლფასოვნების უარყოფა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც მიზეზობრივი კავშირი მატერიალისტურად ესმის, ვისთვისაც მიზეზობრივი კავშირი არის ნამდვილი, რეალურად არსებული კავშირი გარესამყაროს მოვლენათა შორის, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანს თავისი პრაქტიკული საქმიანობით შეუძლია დაამტკიცოს როგორც მიზეზობრივი კავშირის რეალობა, ისე მიზეზის აქტიური, ქმედითი ხასიათი შედეგის მიმართ.

ბურჟუაზიული მეცნიერები სულაც არ მალავენ იმას, რომ პირობების ტოლფასოვნების იდეა მჭიდრო კავშირშია აგნოსტიციზმთან. ასე მა-

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Состав преступления по советскому уголовному праву, М., 1951, стр. 38-39.



გალითად, ე. ჰარტმანი აშკარად აღიარებს, რომ რამდენადაც მოვლენათა ნამდვილი ურთიერთზემოქმედება მიუწვდომელია ადამიანისათვის და ჩვენ არ ძალგვიძს შევიცნოთ ცალკეული ძალების ქმედითობა, ამდენად ჩვენ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა-ლა გვრჩება: განვიხილოთ ყველა პირობა როგორც ტოლფასოვანი<sup>1</sup>.

აქედან ისიც ადვილად შეიძლება აიხსნას, რომ პირობათა ტოლფასოვნების დოგმას იზიარებენ არა მარტო ჰიუმის მიმდევრები, არამედ აგრეთვე კანტიანელებიც, თუმცა ცნობილია, რომ კანტი მიზეზობრივი კავშირის მთელ რიგ საკითხებს ჰიუმისაგან განსხვავებულად ხსნიდა. კანტი, ჰიუმის მსგავსად, აგნოსტიკოსი იყო, ხოლო პირობათა ტოლფასოვნების იდეა წარმოადგენს დასკვნას ყველა სახისა და ყველა ჯურის აგნოსტიციზმიდან: ჰიუმისა და კანტისათვის საერთოა ის, რომ „ისინი „მოვლენებს“ პრინციპულად თიშავენ იმისაგან, რაც გვეკლინება, შეგვრძნებას იმისაგან, რაც შეიგრძნება, საგანს ჩვენთვის – „საგნისაგან თავისთავად“, ამავე დროს ჰიუმს გაგონებაც კი არ სურს „საგანზე თავისთავად“, იგი თვით აზრს მის შესახებ ფილოსოფიურად დაუშვებლად, „მეტაფიზიკად“ თვლის (როგორც ჰიუმისტები და კანტიანელები ამბობენ), კანტი კი მისაღებად თვლის „საგნის თავისთავად“ არსებობას, მაგრამ აცხადებს, იგი შეუცნობადიაო, პრინციპულად განსხვავდება მოვლენისაგან, სხვა პრინციპულ სფეროს ეკუთვნის „მიღბურ“ (Jenseits) სფეროს, მიუწვდომელს ცოდნისთვის, მაგრამ მისაწვდომს რწმენისთვის“<sup>2</sup>.

აქედან ნათელია: ის, ვინც უარყოფს მიზეზობრიობის კანონს, რომელიც უშუალოდ და ადამიანის გრძობებისაგან დამოუკიდებლად არსებობს ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ გარესამყაროში, ის აუცილებლად უნდა მივიდეს აუცილებელ პირობათა ტოლფასოვნების დოგმამდე. „განსხვავება კანტის და იუმის მიზეზობრიობის თეორიებს შორის, – ამბობს ვ.ი. ლენინი, – ეს არის მეორეხარისხოვანი განსხვავება აგნოსტიკოსებს შორის, რომელნიც ერთმანეთს უთანხმდებიან ძირითადში: ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყოფაში და ამით იძულებულნი არიან ესა თუ ის იდეალისტური დასკვნები გააკეთონ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ე. ჰარტმანი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

<sup>2</sup> ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 118-119.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 220.

ზემოაღნიშნულის გამო არ უნდა გვიკვირდეს, რომ ბურჟუაზიული კრიზნალისტები, იმისდა მიუხედავად, კანტიანელები არიან ისინი თუ ჰოუმის მიმდევრები, მიზეზობრივი კავშირის საკითხის გაშუქებისას ურყვედ ღოგმად თვლიან აუცილებელ პირობათა ტოლფასოვნების პრინციპს.

ბ) ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის თეორია

XIX საუკუნის ბოლოს ბურჟუაზიული სისხლის სამართალში წარმოიშვა ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის თეორია, რომელიც კონკურენციას უწევს ეკვივალენტურ თეორიას. ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ეს თეორია შესაძლებლობას იძლევა ისე გადაწყვიტოთ მიზეზობრივი კავშირის საკითხი, როგორც ეს სამართლიანობის გრძნობას შეესაბამება, რომ მისი მეშვეობით შეიძლება მიღწეულ იქნეს პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რის შესაძლებლობასაც ეკვივალენტური თეორია არ იძლეოდა.

რაში მდგომარეობს პასუხისმგებლობის ეს „სამართლიანი“ შეზღუდვა და რამ განაპირობა იმპერიალიზმის პერიოდის სამართლებრივ ლიტერატურაში ამ თეორიის წარმოშობა?

XIX საუკუნის მიწურულისათვის დამახასიათებელია მონოპოლისტური კაპიტალის ინტენსიური ზრდა, მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა მძლავრი განვითარება. ტექნიკის განვითარების წყალობით კაპიტალისტებს შესაძლებლობა ეძლევათ ფართოდ გამოიყენონ დიდი ძალის მექანიკური ძრავები, ორთქლისა და ელექტრონის ენერგია და ა.შ.

ამ საწარმოებში მუშაობასთან დაკავშირებულია მომეტებული საფრთხე ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებული რისკი იურიდიულად საწარმოს პატრონს აწევს. საწარმოს პატრონი ვალდებულია აანაზღაუროს მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი და ამ ვალდებულებისაგან თავს ვერ გაითავისუფლებს, თუნდაც ეს ზიანი შემთხვევით იყოს მიყენებული და არა ბრალეულად. მაგრამ კლასობრივი ინტერესი მოითხოვს, რომ ეს რისკი მეტად მძიმე ტვირთად არ დააწევს ბურჟუაზიულ მეწარმეს, რომ დადგენილ იქნას მატერიალური პასუხისმგებლობის შეზღუდული ფარგლები.

კაპიტალისტური კლასის ინტერესები ზოგჯერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვასაც მოითხოვენ. ეს საჭიროა,

კერძოდ, მაშინ, როცა კაპიტალისტურ საწარმოში ე.წ. „უბედური შემთხვევა“ მოხდა. მეწარმენი დაინტერესებული არიან ისე განისაზღვროს პასუხისმგებლობის წანამძღვრები, კერძოდ, მიზეზობრივი კავშირი, რომ საწარმოში მომხდარი „უბედური შემთხვევა“ არ იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამას არც მალავს ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი. მაგალითად, პ. ტარნოვსკის აზრით, „უმეტეს შემთხვევაში, როდესაც წარმოებაში მუშაა დაზარალებული, საწარმოს პატრონი, რა თქმა უნდა, არ უნდა დაისაჯოს“<sup>1</sup>.

კაპიტალისტური კლასის წარმომადგენელთა ინტერესების დასაცავად მეტად მოხერხებული აღმოჩნდა მიზეზობრივი კავშირის ადეკვატური თეორია, რომლის ელასტიური ფორმულები იძლევიან, საჭიროებისდა მიხედვით, მიზეზობრივი კავშირისა და, მასთან ერთად, პასუხისმგებლობის როგორც შეზღუდვის, ისე იმპედროულად გაფართოების შესაძლებლობასაც.

ადეკვატური თეორია თავდაპირველად დაასაბუთა გერმანელმა მეცნიერმა ი. კრისმა თავის 1888 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — *Über den Begriff der objectiven Möglichkeit und einige Anwendungen desselben* (Leipzig, 1888). სულ მცირე ხნის განმავლობაში მან შრავალრიცხოვანი მიმდევარი მოიპოვა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში<sup>2</sup>. ადეკვატურმა თეორიამ სრულიად გამოაძევა ეკვივალენტური თეორია სამოქალაქო სამართლის სფეროდან და გაბატონებული ადგილი დაიკავა გერმანიის საიმპერიო სასამართლოს სამოქალაქო სენატის პრაქტიკაში. იგი გაბატონებულა აგრეთვე შვეიცარიის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში როგორც სამო-

<sup>1</sup> Die systematische Bedeutung der adäquaten Kausalitätstheorie für den Aufbau des Verbrechensbegriffs, Berlin-Leipzig, 1927, S. 255.

<sup>2</sup> ადეკვატური თეორიის მთავარი წარმომადგენლები არიან გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში: M. Rümelin, Die Verwendung der Causalbegriffe in Straf- und Zivilrecht, Tübingen, 1900; M. Liepmann, Einleitung in das Strafrecht, Berlin, 1900, SS. 47-78; L. Tracger, Der Kausalbegriff im Straf und Zivilrecht, Marburg, 1904; H. Tarnowski, Die Systematische Bedeutung der adäquaten Kausalitätstheorie, für den Aufbau des Verbrechensbegriffs, Berlin-Leipzig, 1927; R. Hippel, Deutsches Strafrecht, B. 2, Berlin, 1930, SS. 134-153.

ქალაქი, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე<sup>1</sup>. რუსულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში ადეკვატურ თეორიას მხოლოდ თითო-ორიოლა მომხრე ჰყავდა<sup>2</sup>.

მიზეზობრივი კავშირის ცნებას, ადეკვატური თეორიის მიხედვით, ორგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ფილოსოფიური და პრაქტიკული. ფილოსოფიური თვალსაზრისით ადეკვატური თეორიის წარმომადგენლებს ერთადერთ სწორ თეორიად მიაჩნიათ ეკვივალენტური თეორია, რომელიც მიზეზად ყოველთვის აუცილებელ პირობათა მთელ ჯამს აღიარებს. ისევე, როგორც ეკვივალენტურ თეორიას, ადეკვატურ თეორიასაც მიზეზობრივი კავშირი ესმის არა როგორც ნივთთა რეალური კავშირი ერთმანეთთან, არამედ როგორც ჩვენი შეშეცნების კატეგორია<sup>3</sup>.

ამიტომ ადეკვატური თეორიაც იძულებულია მიიღოს დებულება, რომელიც თანმიმდევრულად გამომდინარეობს მიზეზობრივ ურთიერთობათა ობიექტური რეალობის უარყოფიდან, სახელდობრ, დებულება,

---

<sup>1</sup> იხ. G. A. German, Das Verbrechen im neuen Strafrecht, 1942, Zürich, S. 163; Guldemann, Zur Lehre von der strafrechtlich bedeutsamen Kausalität, „Schweizerische Zeitschrift für Strafrecht“, 1945, H. I, SS. 112-113.

<sup>2</sup> ადეკვატური თეორია გამოიყენა მოკრინსკომ, რომელმაც მისი ძირითადი დებულებანი საფუძვლად დაუდო თავის მოძღვრებას მოქმედების პოტენციური მომენტის შესახებ (იხ. С. П. Мокринский, Наказание, его цели и предположения, вып. III, Томск, 1905).

<sup>3</sup> წინააღმდეგ ეკვივალენტური თეორიისა, რომლის მიმდევართა უმრავლესობა ჰუმბის ფილოსოფიურ კონცეფციას იზიარებს, ადეკვატური თეორიის წარმომადგენელთა დიდი უმეტესობა კანტის აპირიორიზმის მომხრეა. მიზეზობრიობის კანტიანური გაგება ჩანს კრისის შემდეგი სიტყვებიდან: „ზუსტი მსჯელობა გვიჩვენებს, რომ დებულებანი, რომლებიც მიზეზის მოქმედებას შეეხება, არსებითად იმაზე კი არ მიგვიითხოვენ, თუ რა შეიძლება იქნეს შეცნობილი და დაკვირვების გზით ათვისებული კონკრეტული მოვლენიდან, არამედ იმაზე, რაც თეორიულად ჩვენს მიერ მოტანილია ცდაში“ (იხ. Kries, op. cit., p. 22). მიზეზობრიობის კანტიანური გაგება კიდევ უფრო ნათლად ჩანს მ. ლიპმანის შემდეგი სიტყვებიდან: „მიზეზობრივი ურთიერთობა თვით ნივთებში კი არ სძევს, არამედ ჩვენი შეშეცნების სინთეზია, გონებითი ცნებაა, რომლის მეშვეობით ჩვენ ვაზროვნებთ ერთ ნივთზე როგორც აუცილებლობით დაკავშირებულზე მეორესთან... თანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამით უარყოფით არა მოქმედი ძალების არსებობას, როგორც ამას ამტკიცებს გაერცელებული ფილოსოფიური შეხედულება, რომელსაც არასწორად ესმის კანტის მსჯელობა, არამედ უარყოფით მათი შეცნობადობის შესაძლებლობას“. (M. Liepmann, Einleitung..., S. 49).

რომ მოვლენათა კონკრეტული მსვლელობისათვის ყველა პირობა ერთნაირად არის აუცილებელი და ამიტომ კაუზალური თვალსაზრისით ყველა პირობა თანასწორია.

ამავე დროს აუცილებელ პირობათა ტოლფასოვნება ადეკვატური თეორიის მიხედვით სწორია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქმე კონკრეტულ მიზეზობრივ კავშირს შეეხება. მაგრამ მიზეზობრივი კავშირი შეიძლება გაგებულ იქნას არა მარტო როგორც კონკრეტული, არამედ აგრეთვე როგორც აბსტრაქტული მიზეზობრიობა ყოველდღიურ ცხოვრებაში და აგრეთვე სამართლის პრაქტიკული მოთხოვნილებებისათვის, ადეკვატური თეორიის თვალსაზრისით, კონკრეტული მიზეზობრივი კავშირი გამოსადეგი არ არის, ვინაიდან იგი მეტად აფართოებს პასუხისმგებლობას და არ იძლევა საქმის სამართლიანად გადაწყვეტის შესაძლებლობას. სამართლისათვის საერთოდ დამახასიათებელია საკითხის განმაზოგადოებელი განხილვა. ამიტომ, — ამტკიცებენ ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები, — სამართლის მეცნიერებამ განზე უნდა დატოვოს მიზეზობრივი კავშირის ფილოსოფიური გაგება, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ მიზეზობრიობასთან, და უნდა გამოიყენოს აბსტრაქტული მიზეზობრივი კავშირი, რომელიც სამართლის განმაზოგადოებელ ტენდენციას შეესაბამება. ხოლო აბსტრაქტული მიზეზობრივი კავშირის თვალსაზრისით, ე.ი. თვალსაზრისით, რომელიც სამართლის პრაქტიკულ მოთხოვნილებებს შეესაბამება, აუცილებელი პირობები სულაც არ არიან თანასწორფასოვანნი, არამედ შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

აბსტრაქტული მიზეზობრივი კავშირის ცნებას კრისი და მისი მიმდევრები საფუძვლად უდებენ ე.წ. „ობიექტური შესაძლებლობის“ კატეგორიას. „ობიექტური შესაძლებლობა“, კრისის აზრით, შეუთავსებელია კონკრეტულ კაუზალობასთან. კონკრეტულ სინამდვილეს საქმე აქვს ან მოვლენის წარმოშობის აუცილებლობასთან ან მისი წარმოშობის შეუძლებლობასთან. თუ რაიმე მოვლენა განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ უკლებლივ ყველა აუცილებელი პირობის ერთობლიობით მისი განხორციელების შესაძლებლობა წინასწარ განსაზღვრული იყო. და პირიქით: თუ რაიმე მოვლენა არ განხორციელებულა, წინასწარი პირობებით აუცილებლად განსაზღვრული იყო მისი განხორციელების შეუძლებლობა. მესამე რამ არ არსებობს. შესა-

ძლებლობის კატეგორია შეუთავსებელია კონკრეტულ მიზეზობრიობასთან.

შესაძლებლობის ცნება, ადეკვატური თეორიის წარმომადგენელთა აზრით, აბსტრაქტული კატეგორიაა. იგი გულისხმობს აბსტრაგირებას, განყენებას ცალკეული შემთხვევის კონკრეტულ თავისებურებათაგან. შესაძლებლობის ასეთი ცნება აგებულია განზოგადებულად წარმოდგენილ პირობებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის კი არ უნდა იქნას გარკვეული, შექმლო თუ არა განსაზღვრულ პირობას ზუსტად მოცემულ კონკრეტულ გარემოებებში გამოეწვია ზუსტად განსაზღვრული შედეგი, არამედ შეუძლია თუ არა საზოგადოდ ამგვარ პირობას ჩვენი გამოცდილების თანახმად გამოიწვიოს ასეთი შედეგი.

ოურისტიკისათვის, ადეკვატური თეორიის თანახმად, საკმარისი არ არის იმის დადასტურება, რომ გარკვეული ადამიანის მოქმედება იყო შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, არამედ ამასთან ერთად მან უნდა დაადასტუროს, რომ ამგვარი მოქმედება საზოგადოდ, ჩვეულებრივად იწვევს ხოლმე ასეთი ხასიათის შედეგს, ან როგორც ადეკვატური თეორიის ზოგიერთი მიმდევარი ამბობს, რომ ასეთ მოქმედებას აქვს საერთო ტენდენცია ასეთი შედეგის გამოწვევისა. ასეთი განზოგადოებული ხასიათის მიზეზობრივ კავშირს კრისმა ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი უწოდა. ადეკვატურ მიზეზობრივ კავშირს კი დაუპირისპირა შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირი, ე.ი. ისეთი, როდესაც ადამიანის მოქმედება თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენდა გარკვეული შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, მაგრამ საზოგადოდ, ჩვეულებრივად ხელს არ უწყობს ამგვარი შედეგის წარმოშობას. „ამგვარად, თუ მიზეზობრივმა ფაქტორმა ა.-მ გამოიწვია შედეგი ბ. ა.-ს ადეკვატური შედეგი, როდესაც ა. საზოგადოდ წარმოადგენს ბ.-სათვის ხელისშემწყობ გარემობას; წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს „შემთხვევითი“ მიზეზი და „შემთხვევითი“ ეფექტი“<sup>1</sup>.

ეს განმარტებული თვალსაზრისი საფუძველად უდევს ადეკვატური თეორიის ყველა სახესხვაობას, იმისდა მიუხედავად, თუ რა ნიუანსები შეაქვთ ამ თეორიის ცალკეულ წარმომადგენლებს ადეკვა-

<sup>1</sup> J. Kries, Über den Begriff der objektiven Möglichkeit und einige Anwendungen desselben, Leipzig, 1888, S. 27.

ტური მიზეზობრიობის გაგებაში. ასე, მაგალითად, კრისისათვის ადეკვატური მიზეზი არის „ამგვარივე შედეგისათვის საერთოდ ხელისშემწყობი პირობა“, ლიპმანისათვის „ისეთი პირობა, რომლის კავშირი შედეგთან შეიძლება საზოგადოდ იქნეს გათვალისწინებული“, ტრევერისათვის – პირობა, „რომელიც არაუმნიშვნელოდ ხელს უწყობს შედეგის განხორციელებას“, ალფელდისათვის – „პირობა, რომელიც ცხოვრების გამოცდილების თანახმად საერთო წესით ან არაიშვიათად წარმოშობს შედეგს“ და ა.შ.

ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის თეორიამ, რომელიც ყალბ ფილოსოფიურ შეხედულებას ეფუძნება, ვერ შეძლო მიეცა სასამართლო პრაქტიკისათვის რაიმე მეცნიერულად დასაბუთებული და ზუსტი კრიტერიუმი. უფრო მეტიც, მან ისიც კი ვერ დაასაბუთა, თუ რატომ უნდა შეიზღუდოს პასუხისმგებლობა მხოლოდ განმაზოგადოებელი მიზეზობრივი კავშირით. განმაზოგადოებელი თვალსაზრისის სასარგებლოდ ამ თეორიის დამცველებს მხოლოდ ის არგუმენტები მოჰყავთ, რომ ეს თვალსაზრისი იძლევა საქმის „სამართლიანად“, „სამართლებრივი გრძნობის“ შესაბამისად გადაწყვეტის შესაძლებლობას, მაგრამ „სამართლიანობის“ ან „სამართლებრივი გრძნობის“ შესატყვისობის“ ცნებანი იმდენად სუბიექტური და გაურკვეველი ცნებებია, რომ მათი მეშვეობით ძნელია დასაბუთება რაიმე თეორიისა.

საკმარისია ვცადოთ ამ თეორიის გამოყენება ბრალეული პასუხისმგებლობის დროს, და მაშინვე დავრწმუნდებით, რომ იგი გამოუსადეგარია. ვთქვათ, დამნაშავემ თავისი ბოროტი განზრახვის განხორციელების მიზნით, ისარგებლა მხოლოდ მისთვის ცნობილი განსაკუთრებული ინდივიდუალური გარემოებებით და, ისეთ საშუალებას მიმართა, რომელიც „საერთოდ ხელს არ უწყობს“ ასეთი მავნე შედეგის განხორციელებას. მაგალითად, დამნაშავემ იცის, რომ დაზარალებულმა თავის ტინის დაავადება გადაიტანა, რის შედეგადაც თავის ქალა იმდენად გათხელებული აქვს, რომ საკმარისია მსუბუქი დარტყმა თავში, და იგი მოკვდება. სარგებლობს რა ამ სპეციალური ცოდნით, დამნაშავე მსუბუქად ჩაკრავს თავში ჩიბუხს და მოკლავს კაცს. განზოგადოებელი განხილვის თვალსაზრისით მიზეზობრივი კავშირის არსებობა ადამიანის მოქმედებასა და კაცის სიკვდილს შორის უარყოფილ უნდა

იქნას. ხოლო თუ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ბრალის საკითხი არც შეიძლება წარმოიშვას და პასუხისმგებლობაც უარყოფილ უნდა იქნას. მაშასადამე, ადეკვატურ თეორიას არ შეუძლია დაასაბუთოს პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მზაკერულად და შენიღბულად ჩადენილი დანაშაულის დროს, როდესაც მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობა ატიპური, არაადეკვატური იყო.

ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები ცდილობენ როგორმე თავი დააღწიონ ამ შეცდომას და დაასაბუთონ ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის არსებობა აღნიშნულ შემთხვევებშიც. მაგრამ ისინი ამას ან იმით აღწევენ, რომ ფაქტიურად სტოვებენ განმარტებადელი განხილვის პოზიციებს და ეკვივალენტური თეორიის თვალსაზრისზე გადადიან (რიუმელინი, ტარნოესკი), ანდა იმით, რომ ერთმანეთში ურევენ პასუხისმგებლობის ორ წანამძღვარს – მიზეზობრივ კავშირს და ბრალს (კრისი, ლიპმანი, მოკრინსკი).

ადეკვატური თეორიის მეორე ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მან ვერ შეძლო დაედგინა „ობიექტური შესაძლებლობის“ ანუ „შედევსათვის ხელისშეწყობის“ ის ხარისხი, რომელმაც უნდა დაასაბუთოს ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის, მაშასადამე, პასუხისმგებლობის ობიექტური წანამძღვრის არსებობა.

რადგან ადეკვატური თეორია მიზეზობრივი კავშირის კანტიანურ პოზიციასზე იდგა, ე.ი. მიზეზობრივ კავშირს ჩვენი აზროვნების აპრიორულ კატეგორიად თვლიდა, ამიტომ, ცხადია, მას არ შეეძლო ეღიარებინა შესაძლებლობის ობიექტური ბუნება. ეს არის ერთ-ერთი იდეალისტური დასკვნა ყოველგვარი მიმართულების აგნოსტიციზმიდან.

შესაძლებლობის ცნება, რომელსაც ადეკვატური თეორია იყენებს, არსებითად არ განსხვავდება სუბიექტური ეგებისობის (Wahrscheinlichkeit) ცნებისაგან, განსხვავება მათ შორის უფრო რაოდენობრივია, ვიდრე თვისობრივი. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტურ ეგებისობაზე მსჯელობის დროს ხდება აბსტრაგირება (განყენება) ისეთი გარემოებისაგან, რომლებიც ცნობილი არ არის მსჯელობის სუბიექტისათვის, ხოლო „ობიექტურ“ შესაძლებლობაზე მსჯელობის დროს განზრახ და შეგნებულად ახდენენ აბსტრაგირებას ზოგიერთი კონკრეტული გარემოებისაგან, რომელსაც არა აქვს ზოგადი,



ტიბიური ხასიათი. კრისი მის მიერ დადგენილ შესაძლებლობის ცნებას „ობიექტურ შესაძლებლობას“ უწოდებს. მაგრამ ეს „ობიექტურობა“ კრისისათვის სულაც არ ნიშნავს რეალურ შესაძლებლობას, რომელიც გამოხატავს მოაზროვნე სუბიექტის გარეშე არსებულ ობიექტურ მდგომარეობას, არამედ მხოლოდ იმას, რომ მსჯელობას შესაძლებლობის შესახებ აქვს საყოველთაო მნიშვნელობა, ე.ი. ლოგიკურად სავალდებულო ხასიათი. სახელწოდება „ობიექტური შესაძლებლობა“, მაშასადამე, არ გამორიცხავს ამ ცნების სუბიექტურ ბუნებას.

ადეკვატური თეორია გვთავაზობს ახალი სახელწოდებით აგნოსტიციზმის ძველ შეხულებას. კრისის ობიექტურ შესაძლებლობას კარგად შეესაბამება ის სიტყვები, რომლებითაც ვ. ი. ლენინი „დიდ ფიზიკოსს და პატარა ფილოსოფოსს“ ა. პუანკარეს ახასიათებდა: „პუანკარე ობიექტურად თვლის საყოველთაოს, უძრაველსობის ან ყველას მიერ ცნობილს, — ე.ი. როგორც ყოველი მახისტი, წმინდა სუბიექტურად სპობს ობიექტურ ჭეშმარიტებას; კითხვაზე, არსებობს თუ არა „პარმონია“ ჩვენს გარეშე, პუანკარე კატეგორიულად აცხადებს: „უეჭველად არაო“. სავსებით ცხადია, რომ ახალი ტერმინები ოდნავადაც არ ცვლიან აგნოსტიციზმს უძველეს ფილოსოფიურ ხაზს, ვინაიდან პუანკარეს „ორიგინალური“ თეორიის დედაარსი გამოიხატება ობიექტური რეალობისა და ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყოფაში (თუმცა იგი სრულიადაც ვერ იჩენს თანამიმდევრობას)<sup>1</sup>

აბსტრაქტული შესაძლებლობის ცნების სწორედ სუბიექტური ხასიათის გამო ადეკვატურ მიზეზობრივ თეორიას არ ძალუძს მოგვცეს ზუსტი და ნათელი კრიტერიუმი „ადეკვატური“ და „შემთხვევითი“ მიზეზობრივი კავშირის გასამიჯნავედ. თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის „ობიექტური შესაძლებლობის“ დადგენას ეს თეორია აკისრებს მოსამართლეს მისი სუბიექტური გამოცდილების, მისი ცოდნის, წარმოდგენების და სხვ. მისთ. მიხედვით.

თეორიას, რომელიც პრეტენზიას აცხადებს, რომ მას შეუძლია მოგვცეს „სამართლიანი“ და იურიდიულად სწორი გადაწყვეტილებების გამოტანის შესაძლებლობა, პირველ რიგში ასეთი ზუსტი და

<sup>1</sup> ვი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ 201-202.

ნათელი პრაქტიკული კრიტერიუმის შემუშავება მოეთხოვება. ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები კი ან სრულიად არ იწუხებენ თავს იმის განსაზღვრით, თუ შედეგისათვის ხელის შეწყობის როგორი ხარისხია აუცილებელი მიზეზობრივი კავშირისათვის ანდა სჯერდებიან მხოლოდ იმის მითითებას, რომ მოქმედება „არა უმნიშვნელოდ უნდა აძლიერებდეს ამგვარი შედეგის განხორციელების შესაძლებლობას“ (ტრეგერის ფორმულა, რომელსაც ადეკვატური თეორიის წარმომადგენელთა უმრავლესობა იზიარებს).

დამახასიათებელია, რომ თვით ადეკვატური თეორიის წარმომადგენლებიც არ უარყოფენ ადეკვატურ და არაადეკვატურ მიზეზობრივ კავშირს შორის არსებული ზღვარის მერყეობას და გაურკვეველობას. მაგალითად, კრისი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ის საკითხი შემთხვევითაა in concreto მიზეზობრივი კავშირი თუ ადეკვატური, ხშირად სრული სიზუსტით არ შეიძლება გადაწყდეს“<sup>1</sup>.

თანაც ადეკვატური და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის ზუსტი გამიჯვნის შეუძლებლობას ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები თურქიდიული მეთოდოლოგიის სპეციფიკური თავისებურებებით ხსნიან. სისხლის სამართლის მეცნიერება, – მიუთითებენ ისინი, – არ არის ზუსტი მეცნიერება, მექანიკისა და ფიზიკის მსგავსად; ამიტომ მას არასდროს არ შეუძლია მიადწიოს თავის ცნებათა სრულ განსაზღვრულობას; სისხლის სამართლებრივ ცნებათა უმრავლესობას ზუსტად განსაზღვრული და ნათლად შემოხაზული ფარგლები არა აქვს; მაგრამ ეს ხელს არ უშლის სისხლის სამართალს წარმატებით გამოიყენოს ეს ცნებანი თავისი მიზნებისათვის. ასეთი ცნებებია, მაგალითად, შერაცხადობა და შეურაცხაობა, ევენტუალური განზრახვა და შეგნებული გაუფრთხილებლობა და ა.შ.<sup>2</sup>.

ამგვარად, თეორია, რომელიც აცხადებდა, რომ მისი ამოცანა პასუხისმგებლობის ზუსტი საზღვრების დადგენაა, უარს ამბობს მოგვეცეს ზუსტი და მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმი. საკითხის გადაწყვეტის მთელი სიმძიმე მას მოსამართლეზე გადააქვს. „შესაძლებლობის

<sup>1</sup> J. Kries, op. cit. p. 44; იხ. აგრეთვე, L. Traeger, Der Kausalbegriff im Straf- und Zivilrecht, Marburg, 1904, S. 163.

<sup>2</sup> L. Traeger, op. cit., p. 164-165.

გაღიღება, – ამბობს ლ. ტრევერი, – უნდა გამოიხატებოდეს ისეთ ხელის შეწყობაში, რომელსაც ანგარიშს უწევენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. უფრო მკვეთრად ეს საზღვარი არ შეიძლება იქნას შემოხაზული. ეს გაიგო და მშვენივრად განმარტა უკვე კრისმა. აქ ადგილი უნდა დაეთმოს „შეფასებით მსჯელობებს“ და „პრაქტიკის ნებისმიერ გადაწყვეტილებებს“<sup>1</sup>.

სასამართლოს თავისუფალი მიხედვლების მომარჯვება მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაწყვეტისადმი დამახასიათებელია იმპერიალიზმის პერიოდის ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის. „შეფასებითი მსჯელობისა“ და „პრაქტიკის ნებისმიერ გადაწყვეტილებათა“ მეშვეობით მას სურს შენიღბოს და ამავე დროს იურიდიულად დაასაბუთოს სასამართლოს სუბიექტივიზმი და თვითნებობა. მოსამართლეს ხელში აძლევენ ელასტიურ ფორმულას, რომლის მეშვეობით მას შესაძლებლობა ეძლევა შეზღუდოს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როცა ეს ხელსაყრელია კლასობრივი ინტერესებისათვის და, პირიქით, გააფართოვოს იგი, როცა ამას იგივე კლასობრივი ინტერესები მოითხოვენ.

ამგვარად ჩვენ შემდეგ დასკვნებამდე მივედით:

1. ადეკვატურ თეორიას, მისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური ნაკლის გამო, არ ძალუძს მოგვცეს ზუსტი და ნათელი კრიტერიუმი შედეგის განხორციელების შესაძლებლობის ისეთი ხარისხის დადგენისათვის, რომელმაც უნდა დაასაბუთოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2. ადეკვატური თუ შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენის საკითხს იგი საბოლოო ანგარიშში მოსამართლის თავისუფალ მიხედვლებას აკისრებს.

3. იმ კრიტერიუმის მერყევი და განუსაზღვრელი ხასიათი, რასაც გუთავაზობენ ადეკვატური თეორიის წარმომადგენლები პასუხისმგებლობის ობიექტური წანამძღვრის დასადგენად, მოხერხებულად შეიძლება გამოყენებულ იქნას ბურჟუაზიული სასამართლოს მიერ გაბატონებული კლასის ინტერესებისათვის ხელსაყრელი დასჯითი პოლიტიკის განხორციელებისათვის.

---

<sup>1</sup> Ibid, p. 165.

## §2. მიზეზობრივი კავშირი დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით

მიზეზობრივი კავშირი ფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. მის გარშემო სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობებს შორის ყოველთვის მძაფრი ბრძოლა იყო გამართული. ეს გასაგებიცაა: ამ პრობლემაში პოულობს თავის ასახვას სხვადასხვაგვარი შეხედულება მატერიის არსის, ადამიანის აზროვნების და მათი ურთიერთდამოკიდებულებისა, გარესამყაროს მოვლენათა შემეცნებაში შეგნებისა და ცდის როლის შესახებ და ა.შ. „ნამდვილად მნიშვნელოვანი თეორიულ-შემეცნებითი საკითხი, რომელიც ფილოსოფიურ მიმართულებებს თიშავს, იმაში კი არ მდგომარეობს – გვასწავლის ვი. ლენინი – თუ რა ზედმიწევნულობას მიაღწია ჩვენ მიერ მიზეზობრივი კავშირის აღწერამ და შეიძლება თუ არა ამ აღწერის გამოხატვა ზუსტი მათემატიკური ფორმულით, – არამედ იმაში, თუ რა წარმოადგენს ჩვენ მიერ ამ კავშირის შეცნობის წყაროს – ბუნების ობიექტური კანონზომიერება, თუ ჩვენი გონების თვისება, მისთვის დამახასიათებელი უნარი გარკვეული აპრიორული ჭეშმარიტების შეცნობისა და სხვა“<sup>1</sup>.

დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც აღიარებს გარესამყაროს ობიექტურ რეალობას, განიხილავს მიზეზობრივ კავშირს როგორც სამყაროს მოვლენათა ობიექტურად არსებულ რეალურ კავშირს, ასახულს ჩვენს ცნობიერებაში. „ხოლო ბუნების ობიექტური კანონზომიერების და ამ კანონზომიერების დაახლოებით სწორი ასახვის აღიარება ადამიანის გონებაში – ეს არის მატერიალიზმი“<sup>2</sup>. პირიქით, მარქსიზმის კლასიკოსები იდეალიზმად თვლიან „ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყოფას და „ცდის“ ამა თუ იმ „პირობების“, ამა თუ იმ პრინციპების, პოსტულატების, დებულებების გამოყენას სუბიექტიდან, ადამიანის ცნობიერებიდან, და არა ბუნებიდან“<sup>3</sup>.

დიალექტიკური მატერიალიზმი, მიზეზობრიობის პრობლემის ახსნისას, სამყაროში ყველა მოვლენის ურთიერთკავშირისა და ურთ-

<sup>1</sup> ვი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 194-195.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 189

<sup>3</sup> იქვე, გვ. 203

იერთგანპირობებულობის ფაქტს ემყარება. „პირველი, რაც ჩვენ მოძრავი მატერიის განხილვის დროს თვალში გვეცემა, ესაა ცალკეულ სხეულთა, ცალკეული მოძრაობების ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთგანპირობებულობა“.<sup>1</sup>

მატერიის მოძრაობის რა ფორმასაც არ უნდა ვიხილავდეთ, ჩვენ იმწამსვე თვალში გვეცემა, რომ ბუნება და საზოგადოება წარმოადგენენ არა შემთხვევით, იზოლირებულ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოვლენათა გროვას, არამედ გარკვეულ მთლიანობას, რომელშიაც მოვლენათა უსასრულო რიცხვი ერთმანეთზე გადახლართულია და ურთიერთზემოქმედების პროცესში მკაცრ კანონზომიერებას ავლენს.

იმის დადგენა, რომ ყველა საგანი და მოვლენა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ამ მოვლენების შემეცნებისათვის. „მხოლოდ ურთიერთქმედება“ სიცარიელეა“<sup>2</sup> — ამბობს ვ. ლენინი, იმისათვის, რომ შევიცნოთ თვით კავშირების ხასიათი, აუცილებელია შევიცნოთ ამ კავშირების ცალკეული მხარეები, შევიცნოთ ნაწილები, რომელთაგანაც შესდგება მთლიანი, რადგან „... სანამ ჩვენ ამ ახსნას ვერ შევძლებთ, საერთო სურათსაც ნათლად ვერ წარმოვიდგენთ“<sup>3</sup>.

აქედან გამომდინარე, მოვლენათა ურთიერთკავშირის და ურთიერთგანპირობებულობის შესასწავლად აუცილებელია ჩაწვდეთ იმ კანონთა არსებას, რომელნიც ბუნების მოვლენებს აკავშირებენ. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ადამიანის ჩარევა ბუნების მოვლენების განვითარებაში, ამ მოვლენების დამორჩილება საზოგადოების მიერ დასახული მიზნებისათვის.

მატერიის მოძრაობის ფორმების ამგვარი შესწავლის ნაყოფია მიზეზობრიობის კანონის აღმოჩენა, ე.ი. იმის აღმოჩენა, რომ საგნები მუქანიკურად და დაუკავშირებლად კი არ მოსდევენ ერთმანეთს, არამედ ერთი მოვლენა აუცილებლობით იწვევს მეორე მოვლენას.

მიზეზობრიობის კანონის დადგენა, რასაკვირველია, არ ამოწურავს მატერიის მოძრაობის ყველა კანონის გარკვევას. მიზეზისა და მოქმედების (შედეგის) ურთიერთობა წარმოადგენს მხოლოდ ერთ ფორ-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბილისი, სახელგამი, 1950, გვ. 236.

<sup>2</sup> ვი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 38, გვ. 158.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურიინგი, სახელგამი, 1952, გვ. 26.

მას კანონზომიერებისა, რომელიც სამყაროს ახასიათებს. „მიზეზი და შედეგი, ყველა, მხოლოდ მომენტებია სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებისა, კავშირისა(უნივერსალურის), მოვლენათა ურთიერთგადაჯაჭვულობისა, მხოლოდ რგოლებია მატერიის განვითარების ჯაჭვში“<sup>1</sup>. ამასთან, როგორც ლენინი აღნიშნავს, მიზეზობრიობა „არის მთელი სამყაროს კავშირის მხოლოდ მცირე ნაწილაკი“<sup>2</sup>.

მიზეზისა და შედეგის ურთიერთობის დადგენის დროს ჩვენ ვიღებთ მოვლენათა ამ უნივერსალური ჯაჭვიდან განსაზღვრულ მოვლენებს, ხელოვნურად ვაცალკევებთ მათ ერთიან სამყაროდან და ვიკვლევთ მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობაში. „იმისათვის, რომ ცალკეული მოვლენები გავიგოთ, — ამბობს ენგელსი, — ისინი საყოველთაო კავშირიდან უნდა ამოვკლიოთ, იზოლირებით განვიხილოთ და აი ამ შემთხვევაში ცვლადი მოძრაობანი წარმოვადგებთ ერთნი როგორც მიზეზნი, მეორენი კი როგორც შედეგ-მოქმედებანი“<sup>3</sup>.

აქედან გასაგებია, რომ როდესაც ვაღვნებთ მიზეზობრივ კავშირს ორ კონკრეტულ მოვლენას შორის, ჩვენ ვამარტივებთ სამყაროს ყველა მოვლენას შორის არსებულ კავშირს, რომელიც სინამდვილეში გაცილებით ღრმა, მრავალწახნაგოვანი და უნივერსალურია. თავის ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ვ. ლენინი წერდა: „მიზეზისა და შედეგის ადამიანური გაგება ყოველთვის რამდენადმე ამარტივებს ბუნების მოვლენათა ობიექტურ კავშირს, მხოლოდ დაახლოებით ასახავს მას, ხელოვნურად აცალკევებს ერთი მთლიანი მსოფლიო პროცესის ამა თუ იმ მხარეს“<sup>4</sup>.

მაგრამ თუკი ამ მოვლენებს განვიხილავთ არა იზოლირებულად, არამედ მათ საერთო კავშირში, მათ ურთიერთზემოქმედებაში, მაშინ სურათი სავსებით შეიცვლება. ის, რაც გარკვეული მოვლენის მიმართ მიზეზს წარმოადგენდა, თვით სხვა მიზეზის შედეგად წარმოგვიდგება. მეორე მხრივ ის, რაც რაღაც მოვლენის შედეგს წარმოადგენდა, წარმოგვიდგება მიზეზად გარკვეული შედეგის მიმართ, და ასე უსასრულოდ.

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 154.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 155.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 238.

<sup>4</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 190.

ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგში“ მიუთითებდა: „აგრეთვე, მიზეზი და შედეგი წარმოდგენებია, რომელთაც ძალა აქვთ, როგორც ასეთებს, მხოლოდ ცალკე შემთხვევაზე გამოყენების დროს, მაგრამ როგორც კი ცალკე შემთხვევას განვიხილავთ მის ზოგად კავშირში მსოფლიო მთლიანობასთან, ეს წარმოდგენანი ერთდებიან და უნივერსალური ურთიერთზემოქმედების წარმოდგენაში გადადიან, სადაც მიზეზები და შედეგები მულამ თავიანთ ადგილებს იცვლიან და ის, რაც ახლა ან აქ შედეგი იყო, იქ ან მაშინ მიზეზი იქნება და პირიქით“<sup>1</sup>.

ამგვარად ურთიერთზემოქმედების ცნებიდან ჩვენ მივდივართ მიზეზობრიობის ცნებამდე, მაგრამ შემდგომ ისევ ურთიერთზემოქმედების ცნებას უნდა დავუბრუნდეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივალთ მეტაფიზიკურ მეთოდთან, რომლისთვისაც „საგნები და მათი აზროვნებითი ასახვანი, ცნებანი, წარმოდგენენ კვლევა-ძიების განცალკევებულ, ერთიმეორის მიყოლებით და ერთიმეორის დამოუკიდებლად განსახილველ, მყარ, გაქცევებულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საგნებს“<sup>2</sup>.

ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყოველთვის, როდესაც ვიკვლევთ რომელიმე მოვლენის მიზეზობრივ კავშირს, შესაბამისად მაშინაც, როდესაც საქმე ეხება პიროვნების მიერ დანაშაულის ჩადენას. ამასთან საკმარისი არ არის ვილაპარაკოთ მხოლოდ „იზოლირების“ ანდა „ურთიერთზემოქმედების“ შესახებ, არამედ უნდა გავარკვიოთ, თუ რა მომენტამდე უნდა ჩაეწვდეთ მიზეზობრიობას, რათა ცალკეული დანაშაული საერთო მიზეზობრივ კავშირში ჩავაყენოთ<sup>3</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზეზობრივი კავშირი მატერიალური სამყაროს მოვლენათა ურთიერთკავშირის მხოლოდ ერთი ფორმაა; იგი – „არის მთელი სამყაროს კავშირის მხოლოდ მცირე ნაწილაკი, მაგრამ (მატერიალისტური დამატება) ნაწილაკი არა სუბიექტური, არამედ ობიექტურად რეალური კავშირისა“<sup>4</sup>.

რაში მდგომარეობს დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად მიზეზობრივი კავშირის სპეციფიკური ხასიათი?

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952, გვ. 28.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952, გვ. 27.

<sup>3</sup> იხ. J. Leckschas, Die Kausalität bei der verbrecherischen Handlung, Berlin, 1959, S. 37.

ვო. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 155.

მიზეზობრივი კავშირი გულისხმობს, რომ ერთ მოვლენას მუდმივად და უცვლელად მოსდევს მეორე მოვლენა. მაგრამ დიალექტიკური მატერიალიზმი მიზეზობრივი დამოკიდებულებისათვის ამას არ თვლის საკმარისად. მხოლოდ ეპიზოდული დაკვირვება თავისთავად ჯერ კიდევ არ არის საკმარისი აუცილებლობის დასამტკიცებლად. „მართალია, — ამბობს ენგელსი, — ბუნების გარკვეული მოვლენების მარტო კანონზომიერ ურთიერთმომდევნობას შეუძლია მიზეზობრიობის წარმოდგენა შექმნას: სითბო და სინათლე, რომლებიც მზესთან ერთად ჩნდებიან; მაგრამ აქ ჯერ კიდევ მაინც არ არის მტკიცება, და ამდენად იუმის სკეპტიციზმი მართალი იქნებოდა, თუკი იტყოდა, რომ რეგულარულად განმეორებულ post hoc (რაიმეს შემდეგ) არ შეუძლია დაასაბუთოს propter hoc (რაიმეს მიზეზით)“<sup>1</sup>.

მაგრამ თუკი იუმი, რომელიც ბუნების ობიექტურ კანონზომიერებას უარყოფდა და მიზეზობრიობის კანონი ჩვენს სუბიექტურ მოლოდინამდე დაჰყავდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბუნებაში მიზეზსა და შედეგს შორის არავითარი აუცილებელი კავშირი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, დიალექტიკური მატერიალიზმი, პირიქით ამტკიცებს ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის გზით მიზეზობრიობის კანონის დასაბუთების შესაძლებლობას. ამასთან იგი შესაძლებლად თვლის არა მხოლოდ მოვლენათა თანმიმდევრობის უბრალო ფაქტის დასაბუთებას, არამედ აგრეთვე ამ თანმიმდევრობის აუცილებლობის დასაბუთებასაც. თუკი ადამიანს ხელოვნურად შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული მოვლენების თანმიმდევრობა, მაშინ ჩვენ ვლებულობთ იმის უტყუარ მტკიცებას, რომ მათ შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

„მაგრამ ჩვენ აღმოვაჩინეთ, — აღნიშნავს ფ. ენგელსი, — არა მარტო იმას, რომ გარკვეულ მოძრაობას მეორე მოძრაობა მოსდევს. არამედ ჩვენ იმასაც აღმოვაჩინეთ აგრეთვე, რომ შეგვიძლია გარკვეული მოძრაობა გამოვიწვიოთ, შევქმნათ ისეთი პირობები, რომლის დროსაც იგი ბუნებაში ხდება; ის კი არა, ჩვენ შეგვიძლია ისეთი მოძრაობებიც გამოვიწვიოთ, რომლებიც ბუნებაში სრულიად არ გვხვდება (ინდუსტრია), — ყოველ შემთხვევაში არ გვხვდება ამ სახით, — და შეგვიძლია ამ მოძრაობებს წინასწარ განსაზღვრული მიმართულება და ფარგლები მივცეთ. ამ

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახკლგამი, 1950, გვ. 236.



წყალობით, ადამიანის მოქმედების წყალობით დაფუძნდება სწორედ წარმოდგენა მიზეზობრიობის შესახებ. წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ერთი მოძრაობა მიზეზია მეორე მოძრაობისა“<sup>1</sup>.

ადამიანის პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს გარკვეულ შემთხვევებში post hoc-იდან გავაკეთოთ დასკვნა propter hoc-ის შესახებ, რაც შესაბამისად ადასტურებს მიზეზობრივი კავშირის არსებობას ჩვენი შემეცნების გარეთ თვით საგნებს შორის, უარყოფს არა მარტო იუმის სკეპტიციზმს, არამედ კანტის აპრიორ-იზმსაც, რომელმაც იგი იმის მტკიცებადღე მიიყვანა, რომ კაუზალობის საკითხი წმინდა განსჯითი ხასიათისაა და წარმოადგენს ჩვენი აზროვნების პირველდაწყებით ფორმას, შემეცნების კატეგორიას, რომელიც შესაძლებელს ხდის ცდის ჩატარებას.

ამგვარად კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია. იგი გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო მუდმივ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის უცილობელ თანამიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ.

მიზეზობრივი კავშირის ცნება არ ამოიწურება იმით, რომ იგი აუცილებელი ხასიათისაა. მიზეზობრიობის მთავარ მომენტს წარმოადგენს „გენეტიკური კავშირი, კავშირი იმას შორის, რაც არსებობს, და რაც აღმოცენების პროცესშია“<sup>2</sup>. დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს. მიზეზობრივი კავშირი ორ მოვლენას შორის არსებული ისეთი კავშირია, როდესაც გარკვეული მოვლენა აღმოცენდება წინა მოვლენის არსებობის ძალით, რომელიც აქტიურ საწყისს წარმოადგენს. სწორედ ამ შემოქმედებით ძალაშია მიზეზის არსი, სწორედ მისი წყალობით და მისი საშუალებით ხდება შედეგის წარმოშობა. „როდესაც რომელიმე მოძრაობა ერთი სხეულიდან მეორეზე გადადის, მაშინ, რამდენადაც მოძრაობა გადადის, რამდენადაც იგი აქტიურია, შეიძლება განვიხილოთ როგორც მოძრაობის მიზეზი, რამდენადაც იგი გადაიტანება, ამდენად, პასიურია, და ამ შემთხვევაში ეს მიზეზი, ეს აქტიური მოძრაობა ვლინდება როგორც ძალა, ხოლო პასიური მოძრაობა — როგორც მისი გამოვლენა“<sup>3</sup>

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> „Проблема причинности в современной физике“, М., 1960, стр. 53.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 290.

იმის გარკვევისას, ჰქონდა თუ არა ადგილი განსაზღვრულ თანმიმდევრობას ერთიდან მეორე მოვლენის აღმოცენების დროს და წარმოადგენს თუ არა პირველი მეორის მიზეზს, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი მოვლენა, ე.ი. მიზეზი რთული მოვლენაა, რომელიც გარკვეულ პირობებში მოქმედი რამდენიმე ფაქტორისაგან შედგება, ხოლო შედეგი ამ ფაქტორების ერთობლივი მოქმედების პროდუქტია. ამ ფაქტორებს შეიძლება აუცილებელი პირობები ვუწოდოთ, რადგან მათ გარეშე შედეგი არ დადგებოდა.

ღიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც ცნობს გარესსამყაროს ობიექტურ კანონზომიერებას და მიზეზის აქტიურ, ქმედით როლს შედეგის წარმოშობაში, თანმიმდევრულად მიდის იმ ფაქტორების არატოლფასოვნების აღიარებამდე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოვლენის აღმოცენებაში.

თუკი მიზეზი შედეგში გადადის, თუკი შედეგი მიზეზის გამოვლინებას წარმოადგენს, მაშინ ნათელია, რომ რაც უფრო ქმედითაა მიზეზი, მით ძლიერია ეფექტი, რომელიც მან შეა. აქედან თანამიმდევრულად გამოდინარეობს, რომ თუ შედეგის წარმოშობაში რამდენიმე ფაქტორი იღებდა მონაწილეობას, მაშინ თითოეულის როლი იმით განისაზღვრება, თუ რამდენად აქტიურია ესა თუ ის ფაქტორი შედეგის წარმოშობაში. პირიქით ყოველი მიზეზი, რომელიც ფაქტორების საერთო ჯგუფში მონაწილეობდა, ინდივიდუალურ როლს თამაშობს და ორი აბსოლუტურად ერთგვაროვანი და ტოლფასოვანი ფაქტორი არ შეიძლება არსებობდეს.

ეს დებულება შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური და სხვა ამგვარი მიზეზობრიობის, არამედ სოციალური ცხოვრების ფაქტების სფეროშიც.

მარქსიზმი საზოგადოების განვითარების და სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტების ახსნისას თანამიმდევრულად იყენებს კაუზალური ფაქტორების არატოლფასოვნების პრინციპს. „ჩვენს ისტორიას ჩვენ თვითონ ვქმნით, — წერდა ენგელსი, — მაგრამ ჯერ ერთი, ჩვენ მას ვქმნით ფრიად გარკვეულ წანამძღვრებსა და პირობებში. მათ შორის ეკონომიური წანამძღვარნი და პირობანი საბოლოო ანგარიშით გადაამწყვეტია. მაგრამ პოლიტიკური პირობები და ა.შ., თვით ადამიანთა

თავში დაბუღებული ტრადიციაც კი, გარკვეულ როლს თამაშობენ, თუმცა არა გადამწყვეტს<sup>1</sup>.

დაბოლოს, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება მიზეზობრივი კავშირის შესახებ ასხვავებს მიზეზს ამ სიტყვის ვიწრო გაგებით და შედეგის წარმოშობის პირობებს. მიზეზად მარქსიზმი თვლის მოვლენას, რომელიც მეორე მოვლენას წარმოშობს, ე.ი. რომელსაც მოძრაობა ერთი საგნიდან მეორეზე გადააქვს. პირობებად მარქსიზმი ისეთ მოვლენებს თვლის, რომლებსაც თუმცა უშუალოდ არ გადააქვთ მოძრაობა, მაგრამ ქმნიან შესაძლებლობას მიზეზის ქმედობისათვის და ამგვარად ზემოქმედებას ახდენენ შედეგის აღმოცენებაზე. ამასთან მიზეზისა და პირობის დაპირისპირება შეფარდებით ხასიათს ატარებს, რამდენადაც პირობები თვით ახდენენ ზემოქმედებას „მიზეზებზე“ და მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ ითამაშონ შედეგის დადგომაში. როგორც ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, მიზეზს არ შეუძლია გამოიწვიოს შედეგი შესაბამისი პირობების არსებობის გარეშე.

ამიტომ მოვლენის მიზეზობრივი კავშირის შესწავლის დროს არ შეიძლება იზოლირებულ იქნას პირობების მნიშვნელობა. კიდევ მეტი: შეიძლება სამართლიანად ვცნოთ დასკვნა, რომ პირობები ფართო გაგებით ასევე წარმოადგენენ მოვლენათა მიზეზებს, რადგან მათ გარეშე ეს მოვლენა სულ არ იქნებოდა, ანდა სხვაგვარი იქნებოდა<sup>2</sup>.

### §3. მიზეზობრივი კავშირის საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში

1. საბჭოთა კრიმინალისტიკები განიხილავენ მიზეზობრივ კავშირს არა როგორც აზროვნების აპრიორულ კატეგორიას, არამედ როგორც აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებულ ობიექტურ კავშირს, რომელიც შეიძლება დამტკიცებულ იქნას ადამიანის პრაქტიკული საქმიანობით. ამასთანავე ისინი აღიარებენ, რომ მიზეზობრივ კავშირში შედეგთან შეიძლება იყოს მარტოოდენ ისეთი ქცევა, რომელიც მისი აუცილებელი პირობა, მისი *conditio sine qua non* იყო.

მაგრამ ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი სამართალში მიზეზო-

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, სახელგამი, 1949, გვ. 466

<sup>2</sup> В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, стр. 189-

ბრივი კავშირის არსებობისათვის საკმარისად არ თვლის იმის დადგენას, რომ ადამიანის ქცევა იყო ერთერთი აუცილებელი პირობა საზოგადოებრივად სამიში შეღვევისა, არამედ ეძებს გზებს, რათა შეზღუდოს მიზეზობრივი კავშირი როგორც პასუხისმგებლობის ობიექტური წინაპირობა.

ამისათვის წინადადებას იძლევიან სისხლის სამართალში მხედველობაში იქნას მიღებული მხოლოდ „აუცილებელი მიზეზობრიობის კავშირი“ და არა „შემთხვევითი“ მიზეზობრივი კავშირი. „აუცილებელი მიზეზობრივი“ კავშირის თეორია დაასაბუთა პირველად პროფ. ა. პიონტკოვსკიმ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ზოგად ნაწილში (მოსკოვი, 1938 წელი და შემდეგში მანვე განავითარა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს მომდევნო გამოცემებში (1939, 1943, 1948, 1952 და 1959 წწ) და აგრეთვე სხვა შრომებში<sup>1</sup>.

„აუცილებელი მიზეზობრიობის“ თეორიას საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში იზიარებენ პროფ. მ. შარგოროდსკი, პროფ. ნ. ღურმანოვი, ტ. სერგეევა, მ. კოვალიოვი, პ. ვასკოვი, მ. იაკუბოვიჩი, ვ. კირიჩენკო და სხვ.<sup>2</sup> ამ თეორიას იზიარებს აგრეთვე სხვა დარგის ზოგიერთი წარმომადგენელი: პროფ. გ. ანტიმონოვი, პროფ. ლ. ლუნცი, პროფ. ე. ფლეიშიცი, პროფ. გ. მატვეევი, ი. სამოშჩენკო და სხვ.<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. А. А. Пионтковский, Проблема причинной связи в праве. „Ученые записки ВИЮН и ВЮА“, М., 1949, стр. 70-93; Учение о преступлении, М., 1961, стр. 212-240.

М. Д. Шаргородский, Причинная связь в уголовном праве, „Ученые труды ВИЮН“, вып. X, 1947, стр. 176-203; Н. Д. Дурманов, Общие основания учения о причинной связи в уголовном праве“, „Вопросы уголовного права“, Институт права АН СССР, М., 1945, стр. 34-35; Т. Л. Сергеева, Вопросы причинной связи в судебной практике по уголовным делам Верховного Суда СССР, „Советское государство и право“, 1950, N 3; М. И. Ковалев, П. Т. Васьяков, Причинная связь в уголовном праве, М., 1958; М. И. Якубович, В. Ф. Кириченко, Советское уголовное право, М., 1958, стр. 61-64.

<sup>2</sup> Б. С. Антимонов, К вопросу о понятии и значении причинной связи в гражданском праве, „Труды научной сессии ВИЮН 1-6 июля 1946 г., М., 1948, стр. 62-79. И. Б. Новицкий и Л. А. Лунц, Общее учение об обязательстве, М., 1950, стр. 300-319; Е. А. Флейшиц, Обязательства из причинения вреда и из неосновательного обогащения, М., 1951, стр. 52-72; Г. К. Матвеев, Вина в советском гражданском праве, Киев, 1955, стр. 51-80; И. С. Самощенко, К вопросу о причинности в области юридической ответственности, „Вопросы общей теории советского права“, ВИЮН, М., 1960, стр. 335-383 და სხვ.

პროფ. პიონტკოვსკის აზრით, არა ყოველმა მოქმედებამ, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან, შეიძლება დაასაბუთოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. იმ მოქმედებათა სფეროს შესაზღვრდავად, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნას პასუხისმგებლობის ობიექტურ წანამძღვრად, გამოყენებულ უნდა იქნას აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკური კატეგორიები. იმის დამტკიცების შემდეგ, რომ ადამიანის მოქმედება შედეგის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, უნდა გადაწყდეს მეორე საკითხი: შემთხვევითი იყო თუ აუცილებელი ეს შედეგი მოქმედების მიმართ. „აუცილებელი შედეგი მოცემული მოვლენის განვითარების კანონზომიერების გამოვლინებაა, იგი მისი შინაგანი არსებიდან გამოდინარეობს. შემთხვევითი შედეგი კანონზომიერად არ გამოდინარეობს მოცემული მოქმედებიდან, თუმცა თვით იგი მიზეზობრივად განპირობებულია. იგი იმიტომ დგება, რომ მოცემული კანონზომიერება თავის განვითარებაში მისთვის გარეგან გარემოებათა მოქმედებას გადაეხლართა“<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, პროფ. პ. პიონტკოვსკის აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკავშირდეს ადამიანის მოქმედების შემთხვევით შედეგს. „დანაშაულებრივი შედეგისათვის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დაისვას და დადებითად გადაწყდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს შედეგი ადამიანის მიერ ჩადენილი მოქმედების აუცილებელი კანონზომიერი შედეგი იყო, როცა მას თავისი საფუძველი ამ მოქმედებაში ჰქონდა“<sup>2</sup>. ამასთანავე „აუცილებელი მიზეზობრიობა“ წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მხოლოდ ობიექტურ წანამძღვარს. როცა დამტკიცებულია, რომ ადამიანის ქცევა „აუცილებელ მიზეზობრივ კავშირშია“ დამდგარ შედეგთან, წარმოიშვება უკვე ბრალის საკითხი, ე.ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტური წანამძღვრის საკითხი.

ასეთია ზოგადად თეორია, რომელიც ქმედობის შედეგებს „მიზეზობრივად აუცილებელ“ და „მიზეზობრივად შემთხვევით“ შედეგებად ჰყოფს.

<sup>1</sup> А. А. Понятковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 213.

<sup>2</sup> იქვე.

მიზეზობრივი კავშირის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სისხლის სამართალში ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის მკვეთრად გათიშვით და საზოგადოებრივად საშიში შედეგის ან მხოლოდ აუცილებლად ან მხოლოდ შემთხვევითად გამოცხადებით „აუცილებელი მიზეზობრიობის თეორია“ ისე უპირისპირებს ერთმანეთს აუცილებლობას და შემთხვევითობას, რომ ანგარიშს არ უწევს ამ კატეგორიების დიალექტიკურ ერთიანობას.

დიალექტიკური მატერიალიზმი აკრიტიკებს როგორც მექანიკურ მატერიალიზმს, რომელიც უარყოფს ობიექტური შემთხვევითობის არსებობას, ასევე ხსენებულ კატეგორიების მეტაფიზიკურ ურთიერთდაპირისპირებულობას.

დიალექტიკური მატერიალიზმი აუცილებლობასა და შემთხვევითობას დიალექტიკურ ერთიანობაში განიხილავს. გავიხსენოთ ფ. ენგელსის ცნობილი სიტყვები „წინამდებ ამ ორივე კონცეფციისა, ჰეგელი გამოდის აქამდე ჯერ კიდევ სრულიად გაუგონარი დებულებებით, რომ შემთხვევითს რაღაც საფუძველი გააჩნია, რადგან ის შემთხვევითია, მაგრამ სწორედ ასევე არც აქვს არავითარი საფუძველი, ვინაიდან იგი შემთხვევითია; რომ შემთხვევითი აუცილებელია, რომ აუცილებლობა თავის თავს განსაზღვრავს როგორც შემთხვევითობას, და რომ, მეორე მხრივ, ეს შემთხვევითობა უფრო აბსოლუტური აუცილებლობაა („ლოგიკა“, წიგნ. II, განკ. III, თავი 2: „სინამდვილე“)<sup>1</sup>. შემდეგ, ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ „ბუნების მეცნიერებამ ამჯობინა უბრალოდ უგულვებელყო ეს დებულებები, როგორც „სიტყვათა“ პარადოქსალური თამაშობანა, როგორც თავისი თავის საწინამდებლო უაზრობა და თეორიულად გაიყინა, ერთი მხრივ, ვოლფის მეტაფიზიკის აზრუქონლობაში, რომლის მიხედვით რაღაცა ან შემთხვევითია ან აუცილებელი და არა ერთიცა და მეორეც ერთდროულად; მეორე მხრივ კი — არა ნაკლებ უაზრო მექანიკურ დეტერმინიზმში, რომელიც შემთხვევას საერთოდ სიტყვიერად უარყოფს, რათა პრაქტიკულად ყოველ კერძო შემთხვევაში აღიაროს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 225.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, იქვე.

ფ. ენგელსის მითითებული დებულება შეიძლება გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვალთ იქიდან, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში არ არის მხოლოდ შემთხვევითი ანდა მხოლოდ აუცილებელი მოვლენები, და შემთხვევითობა და აუცილებლობა ბუნებისა და საზოგადოების ყოველი მოვლენის ორ მხარეს წარმოადგენენ. ლენინი მიუთითებდა, რომ “წმინდა” მოვლენები არც ბუნებაში, არც საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს - სწორედ ამას გვასწავლის მარქსის დიალექტიკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ თვითონ სიწმინდის ცნება არის ერთგვარი შეზღუდულობა, ცალმხრივობა ადამიანის შექმნებისა, რომელიც ვერ მოიცავს საგანს ბოლომდე მთელი მისი სირთულით“<sup>1</sup>.

დიალექტიკურ მატერიალიზმს აუცილებლობა ესმის როგორც მთავარი, მიმართულების განმსაზღვრელი, როგორც არსებითი მხარე მოვლენის განვითარებაში, პირიქით შემთხვევითობა მოვლენაში გამოდის როგორც არამთავარი, არარსებითი, ინდივიდუალური, აუცილებლობა ნიშნავს მოვლენის შინაგან კანონზომიერებას, იგი ფესვგადგმულია მოვლენის არსში, მის ღრმში ბუნებაში, განისაზღვრება მისი შინაგანი სტრუქტურით. პირიქით, შემთხვევითობა მოვლენის ზედაპირზე ძვეს, იგი აუცილებლობის გამოვლინების მხოლოდ გარეგან ფორმას და მის დამატებას წარმოადგენს.

აუცილებლობა ხასიათდება არა მარტო კანონზომიერების მომენტით, არამედ გარდუვალობის მომენტითაც. აუცილებლობა შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში უეჭველად უნდა განხორციელდეს. აუცილებელი მოვლენა — ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც თავის მთავარ, ძირითად ნიშნებში უნდა განხორციელდეს ასე და არა სხვაგვარად. ახასიათებდა რა რუსეთში მშრომელთა რევოლუციური ძალების აღმავლობას 1910-1912 წწ., ვ. ი. ლენინი წერდა: „უკანასკნელ წელიწადნახევარში მოვლენათა მსვლელობა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამ აღმავლობაში შემთხვევითი არაფერია, რომ მისი დადგომა საესეებით კანონზომიერია და გარდუვალადა განპირობებული რუსეთის მთელი წინა განვითარებით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 278.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 111.

შემთხვევითობა კი, პირიქით, მოცემულ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არც განხორციელდეს. შემთხვევითობა – შემთხვევითია საერთო კანონზომიერების მიმართ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემთხვევითობა – აბსოლუტური ცნებაა. შემთხვევითი აუცილებელია თავისი საკუთარი საფუძვლის მიმართ. შესაბამისად შემთხვევითობა და აუცილებლობა შეფარდებითი ცნებებია.

აუცილებლობა წარმოადგენს მოვლენის განვითარების შინაგანი კანონზომიერების გამოხატულებას. მაგრამ არც ერთი მოვლენა არ განისაზღვრება მთლიანად მისი შინაგანი ბუნებით ანდა მთლიანად გარეგანი ზემოქმედების ბუნებით. აქედან გამომდინარე არ არსებობს არც აბსოლუტური აუცილებლობა და არც აბსოლუტური შემთხვევითობა.

აუცილებლობა, დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, არის მოვლენის განვითარებაში ზოგადის განხორციელება. „აუცილებლობა – „ზოგადი ყოფიერებისა“ (საყოველთაო ყოფიერებაში)...“<sup>1</sup>

აუცილებლობის საპირისპიროდ შემთხვევითობა ატარებს ერთგვარად ხასიათს.

აუცილებლობა და შემთხვევითობა – ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, მაგრამ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და იმყოფებიან დიალექტიკურ ერთიანობაში. „მაგრამ შემთხვევითობა, – წერს ფ. ენგელსი, – მხოლოდ ერთი პოლუსია ურთიერთდამოკიდებულებისა, მის მეორე პოლუსს აუცილებლობა ჰქვია.“<sup>2</sup>

რამი გამოიხატება აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკური ხასიათი?

ისევე, როგორც ზოგადი შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტულის მეშვეობით, აუცილებლობაც შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ შემთხვევითობის მეშვეობით. ვ.ი. ლენინი მიუთითებდა: „ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით. ყოველი ცალკეული არის (ასე თუ ისე) ზოგადი. ყოველი ზოგადი, არის ცალკეული (ნაწილაკი ან მხარე, ანდა არსება). ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში და ა.შ. და ყოველი ცალკეული ათასობით გადასასვლელითა დაკავშირებული სხვაგვარ ცალკეულებთან (ნივთებთ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 629.

<sup>2</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1964, გვ. 395.



ან, მოვლენებთან, პროცესებთან) და ა.შ. უკვე აქ არის ელემენტები, ჩანასახები, ცნებები აუცილებლობისა, ბუნების ობიექტური კავშირისა, შემთხვევითი და აუცილებელი, მოვლენა და არსება უკვე არის აქ, რადგან როცა ვამბობთ: ივანე კაცია, ცუგა ძაღლია, ეს ხის ფოთლი და ა.შ. ჩვენ უკუვაგდებთ მთელ რიგ ნიშნებს, როგორც შემთხვევითს, ჩვენ გამოვყოფთ არსებითს მოვლინებადისაგან და ერთიმეორეს ეუპირისპირებთ“.<sup>1</sup>

აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთდამოკიდებულების ილუსტრაციისათვის მოვიყვანოთ მაგალითი სისხლის სამართლის სფეროდან.

კაპიტალიზმი შეიცავს პირობებს, რომელნიც მისი შინაგანი კანონზომიერების ძალით აუცილებლად წარმოშობენ დანაშაულს. მაგრამ ეს აუცილებლობა ვლინდება ცალკეულ, ერთეულ დანაშაულთა ფორმაში. ე.ი. შემთხვევითობის ფორმაში, რამდენადაც დანაშაულის ჩადენის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კაპიტალისტური წყობის ზოგადი შინაგანი კანონზომიერება ვლინდება, ამდენად შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული დანაშაული აუცილებლობის გამოვლინების ფორმაა, მაგრამ რამდენადაც ყოველი ცალკეული დანაშაული შეიძლებაოდა ყოფილიყო და შეიძლებაოდა არც ყოფილიყო, რადგან განვითარების ზოგადი ხაზი მაინც ნახავდა თავის გამოვლინებას თუ არა ამ, სხვა კონკრეტულ დანაშაულში მაინც, ამდენად კონკრეტული დანაშაულებრივი მოქმედება შემთხვევითია.

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველ დანაშაულს აქვს თავისი უშუალო მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს მისი ჩადენა, მაგრამ ეს განაპირობებულობა შემთხვევითი და გარეგანია შინაგანი კანონზომიერების მიმართ. აქედან გამომდინარე, გარკვეული კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს შემთხვევითს. მაგრამ სწორედ ამ შემთხვევითობაში ნახულობს თავის გამოხატულებას დანაშაულის არსებობის აუცილებლობა კაპიტალისტური სამყაროს პირობებში.

მოვიყვანოთ ეხლა ის მაგალითები, რომლებშიც „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ თეორიის მომხრენი აუცილებლობის გამოვლინებას ხედავენ. ს-მ ასტეხა უსისტემო სროლა ორ მატარებელს

<sup>1</sup> ვი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 373-374.

შორის ვიწრო გასასვლელში, სადაც ბევრი ხალხი ირეოდა, და ორი კაცი მოკლა. „აუცილებელი მიზეზობრიობის“ მომხრეები ამტკიცებენ, რომ კავშირი ადამიანის მოქმედებასა (სროლას) და დამდგარ შედეგს (ორი კაცის სიკვდილს) შორის აუცილებელ, კანონზომიერ ხასიათს ატარებს. მაშასადამე, შედეგი „შინაგანად თანაარსია მოქმედებისათვის მისი ჩადენის კონკრეტულ პირობებში“<sup>1</sup>.

შეესაბამება თუ არა ასეთი მტკიცება აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკურ გაგებას? ვფიქრობთ, რომ არა. თუ გავითვალისწინებთ აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკურ ბუნებას, შედეგ დასკვნამდე მივალთ: ის, რომ ადამიანი იბადება, ვითარდება და ბოლოს კვდება, ბუნებრივი აუცილებლობაა, რადგან ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივი თვისებებითა განპირობებული. ამ გაგებით ორი ადამიანის სიკვდილში ადამიანის ორგანიზმის განვითარების კანონი გამოვლინდა. მაშასადამე, აღნიშნულ ადამიანთა სიკვდილი აუცილებლობას წარმოადგენდა. ხოლო ის, რომ ეს ადამიანები მოკვდნენ ტყვეით – შემთხვევითობაა, რადგან ადამიანის ორგანიზმის შინაგანი თვისებებიდან გამომდინარეობს საერთოდ სიკვდილის აუცილებლობა, მაგრამ სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ იგი მოკვდეს მოცემული მიზეზით, მოცემულ დროს და მოცემულ კონკრეტულ პირობებში. ს-ს გასროლით შეიძლება მომკვდარიყვნენ სხვა პირები, ტყვია შეიძლება მოცემულ პირებს მოხვედროდა, მაგრამ ისინი არ მომკვდარიყვნენ და ა.შ.

ამვე დროს, თუკი ტყვია ადამიანს მოხვდა და მოჰკლა იგი, სიკვდილი აუცილებლობით იყო განპირობებული ადამიანის სხეულზე გასროლის გარეგანი ზემოქმედებით, ე.ი. მიყენებული იყო სხვა ადამიანის მოქმედებით. ჩვენ აქაც საქმე გვაქვს აუცილებლობასთან, მაგრამ არა შინაგან აუცილებლობასთან, რომელიც მოვლენის განვითარების შინაგან კანონზომიერებას გამოხატავს, არამედ გარეგან აუცილებლობასთან, რომელიც მიზეზობრიობის ელემენტს წარმოადგენს და იმაში გამოიხატება, რომ არც ერთი მოვლენა არ შეიძლება უმიზეზოდ წარმოიშვას.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ „აუცილებელი მიზეზობრიობის“ მომხრეები, კონკრეტული მაგალითების განხილვის დროს თუმცა ცდილობენ აუცილებელი მიზეზობრიობის არსებობის დამტკიცე-

<sup>1</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 216.

ბას. მაგრამ სინამდვილეში ამის მაგივრად ამტკიცებენ საერთოდ მიზეზობრივი კავშირის არსებობას, ე.ი. მიზეზისა და შედეგის კავშირის აუცილებელ ხასიათს. ასე, მაგალითად, პროფ. ა. პიონტკოვსკი წერს:

„... დამდგარი დანაშაულებრივი შედეგი ს-ს მოქმედების აუცილებელი შედეგია; ადამიანთა დალუპვის რეალური შესაძლებლობა შექმნილი იყო მისი მოქმედებით, შემთხვევითობა, რომელმაც შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა განაპირობა, არ ცვლის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის ხასიათს ს-ს მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის“<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ ადამიანთა სიკვდილი გასროლის აუცილებელი შედეგი იყო, სრულიადაც არ ამტკიცებს აუცილებლობის როგორც დიალექტიკური კატეგორიის არსებობას. პირიქით, აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკის მიხედვით სწორედ ტყვიისა და სხეულის შეხვედრა როგორც ორი შინაგანად დაუკავშირებელი კანონზომიერების ურთიერთგადაკვეთა შემთხვევით ხასიათს ატარებს, მაგრამ ამ შემთხვევითობამ ადამიანის სიკვდილი განაპირობა.

„აუცილებელი მიზეზობრიობის“ მომხრეებს სურთ აიცილონ საყვედური აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკის არასათანადოდ შეფასების გამო და იშველიებენ მათ შეფარდებით ხასიათს. მაგრამ როგორ ესმით მათ აუცილებლობისა და შემთხვევითობის შეფარდებითი ხასიათი?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ა. პიონტკოვსკის შემდეგი მაგალითი მოაქვს. ერთმა მოქალაქემ მსუბუქად დააშავა მეორე. როდესაც დაჭრილი ამ შემთხვევის გამო საავადმყოფოში მიჰყავდათ, იგი მანქანის კატასტროფაში მოჰყვა და ამის შედეგად გარდაიცვალა. აღნიშნულ შემთხვევაში, — წერს ა. პიონტკოვსკი, — ადამიანის სიკვდილი შემთხვევითი არის და აუცილებელიც. იგი, შემთხვევითია იმ მოქალაქის მოქმედების მიმართ, რომელმაც მსუბუქად დააშავა დაზარალებული, ხოლო აუცილებელია ავტომანქანის მძღოლის მოქმედების მიმართ, რომელმაც ავტომანქანის მართვის წესები დაარღვია<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, პირის სიკვდილი შემთხვევითია როგორც დაჭრის,

<sup>1</sup> ა. ა. პიონტკოვსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 217.

<sup>2</sup> იქვე გვ. 238.

ისე მანქანის კატასტროფის მიმართ რასაკვირველია, მოვლენა „სიკვდილი“ განსაზღვრული მიზეზებით – სატრანსპორტო წესების დარღვევით და სხვ. მისთ. იყო გამოწვეული. მაგრამ ეს მიზეზები არ არიან ღრმა, შინაგანი მიზეზები. ადამიანის სიკვდილი ავტოკატასტროფის შედეგად სრულებითაც არ გამომდინარეობს მისი ბუნების შინაგანი თვისებებიდან, შემთხვევითია თვით ის, რომ მანქანა როგორც ერთი კანონზომიერება შეხვდა ადამიანის ორგანიზმს როგორც მეორე კანონზომიერებას, მაგრამ ადამიანის ორგანიზმის შინაგანი თვისებების გამო ამ გარეგანმა ზემოქმედებამ გარკვეული შედეგი გამოიწვია.

„აუცილებელი მიზეზობრიობის“ თეორია, რომელსაც სურს მხედველობაში მიიღოს დანაშაულებრივი შედეგის არა შემთხვევითი, არამედ მხოლოდ მისი შინაგანად აუცილებელი მიზეზები, ფაქტიურად შეუძლებელს ხდის კონკრეტული მიზეზობრივი კავშირის გარკვევას მთელი მისი სისრულით და მთელი მისი ინდივიდუალური თავისებურებებით. ამ გარემოებაზე სამართლიანად მიუთითებს საბჭოთა ცივილისტი ვ. კოფმანი: „... შედეგის ყოველი კონკრეტული განპირობებულობა სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, ე.ი. ის, რაც ითვლება მიზეზობრივ კავშირად სამართალში, ფილოსოფიური თვალსაზრისით ყოველთვის გარეგანი შემთხვევითობის სფეროში ძევს, ვინაიდან მხოლოდ შემთხვევით ფაქტორთა ზემოქმედება აძლევს ამ მოვლენას ინდივიდუალურ ხასიათს, ანიჭებს მას ისეთ თვისებებს, რაც განასხვავებს მას სხვა მოვლენებისაგან, რომლებშიც იგივე აუცილებლობა ვლინდება“<sup>1</sup>.

ამგვარად დანაშაულებრივი შედეგი არასდროს არ შეიძლება იყოს „შინაგანად აუცილებელი“, ვინაიდან იგი არასდროს არ არის გამოწვეული „შინაგანი მიზეზებით“, არამედ ყოველთვის გარეგანი ზემოქმედებით. მაგალითად, ტყვიის მოხვედრა არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის სიკვდილის შინაგან მიზეზად, ე.ი. მისი ორგანიზმის შინაგანი ბუნების გამოვლინებად. მაგრამ ამ გარეგანმა ზემოქმედებამ ადამიანის სხეულზე იმიტომ გამოიწვია მისი სიკვდილი, რომ მის ორგანიზმს (ამ

<sup>1</sup> В. И. Кофман, Основные вопросы причинной связи в свете общей проблемы гражданской ответственности, „Вестник Ленинградского университета“, 1950, N 10, стр. 118.

შემთხვევაში პასიურ სხეულს) განსაზღვრული შინაგანი თვისებები ახასიათებს, ე.ი. ადამიანი მოკვდავია, მაშასადამე შედეგი წარმოიშვა ორი სხვადასხვაგვარი კანონზომიერების ურთიერთშეხვედრითა და ურთიერთმოქმედებით, ამიტომ იგი ერთსა და იმავე დროს აუცილებელიცაა და შემთხვევითიც.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კრიმინალისტებს შორის არ არის ერთსულოვნება თვით აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის ცნების გარკვევაში. უფრო მეტიც, ხშირად ერთსა და იმავე ავტორს ეს ცნება სხვადასხვაგვარად ესმის. ასე, მაგალითად, პროფ. პიონტკოვსკი აუცილებელ შედეგს ზოგჯერ განსაზღვრავს როგორც ისეთს, რომელიც თანაარსია მოქმედებისათვის, კანონზომიერად გამომდინარეობს მისგან<sup>1</sup>, ხოლო ზოგჯერ მისი შინაარსის ნათელსაყოფად რეალური შესაძლებლობის კატეგორიას იშველიებს. იგი წერს: „დამდგარი შედეგი მაშინ არის მოქმედების აუცილებელი შედეგი, როდესაც უკვე მისი ჩადენის კონკრეტულ პირობებში არსებობდა ამ შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, ე.ი. როდესაც შედეგის დადგომა კანონზომიერი იყო“<sup>2</sup>. პირიქით, „დანაშაულებრივი შედეგი ჩადენილი ქმედობის შემთხვევითი შედეგია, როდესაც მისი ჩადენის კონკრეტულ პირობებში ობიექტურად არ არსებობდა მისი განხორციელების რეალური შესაძლებლობა, როდესაც მისი განხორციელება კანონზომიერ შედეგს არ წარმოადგენდა“<sup>3</sup>. აუცილებლობის ცნებიდან შესაძლებლობის ცნებაზე ასეთ გადასვლას პროფ. ა. პიონტკოვსკი იმით ასაბუთებს, რომ „ამ მოვლენის კანონზომიერი, აუცილებელი შედეგები თავდაპირველად გამოდიან მხოლოდ როგორც რეალურად შესაძლებელნი, როგორც შინაგანად თანაარსნი ამ მოქმედების, ამ შემთხვევის განვითარებისათვის“<sup>4</sup>.

ამგვარად, პროფ. ა. პიონტკოვსკი წინადადებას იძლევა, რათა ნამდვილად არსებული მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევა შეეცვალოს შესაძლებელი მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევით. ჩვენი აზრით,

<sup>1</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, стр. 213.

<sup>2</sup> „Уголовное право, Общая ч.“, М., 1948, стр. 304; „Советское уголовное право. Общая часть“, М., 1952, стр. 188.

<sup>3</sup> „Уголовное право. Общая ч.“, М., 1948, стр. 305.

<sup>4</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, 1961, стр. 215.

ასეთი შეცვლა არაფრით არაა გამართლებული. მოსამართლეს აინტერესებს, ნამდვილად წარმოიშვა თუ არა დანაშაულებრივი შედეგი ადამიანის მოქმედების წყალობით, და არა ის, ჰქმნიდა თუ არა ადამიანის მოქმედება შედეგის წარმოშობის რეალურ შესაძლებლობას.

ასეთი მეთოდი აიგივებს შესაძლებლობას სინამდვილესთან. ჩვენ არ უარყოფთ, რომ რეალური შესაძლებლობა გარკვეული მნიშვნელობით სინამდვილის მხარესაც მოიცავს. შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება რეალურ შესაძლებლობად, როცა მისი ფესვები სინამდვილეშია გადგმული, როცა იგი არსებული პირობებით განისაზღვრება და გულისხმობს სინამდვილეში არსებულ ტენდენციას გარკვეული მიმართულებით განვითარებისა. მაგრამ იმ, მეორე სინამდვილის მიმართ, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, იგი მხოლოდ შესაძლებლობაა და არა სინამდვილე. როცა ვამბობთ, რომ რაიმე მოვლენა რეალურად შესაძლებელია, ამით იმას გამოვხატავთ, რომ რეალურ სინამდვილეში არსებობენ ძალები, რომელთა შეუფერხებელ მოქმედებას შეიძლება მოყვეს გარკვეული მოვლენის წარმოშობა. მაგრამ ეს ამავე დროს იმასაც ნიშნავს, რომ რეალურ სინამდვილეში სხვა ძალებიც არის, რომელთაც შეუძლიათ განვითარების პროცესი სულ სხვა მიმართულებით წარმართონ. რეალურ სინამდვილეში შეიძლება არსებობდნენ პირობები, რომლებიც არა მარტო ერთადერთ შესაძლებლობას ქმნიან, არამედ რამდენსავე შესაძლებლობას; სწორედ ამიტომ გარკვეული სახის შესაძლებლობა შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არც განხორციელდეს. ადამიანის მოქმედებას და საზოგადოებრივ საშიშ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევის დროს ჩვენ ყოველთვის საქმე გვაქვს უკვე განხორციელებულ შესაძლებლობასთან, რომელიც მამასადამე, უკვე აღარ არის შესაძლებლობა, არამედ სინამდვილეს წარმოადგენს. რატომ უნდა შეიცვალოს ნამდვილი მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევა შესაძლებელი მიზეზობრივი კავშირით, ეს გაუგებარია და ამას არც პროფ. ჰიონტკოვსკი და არც მისი რომელიმე მიმდევარი არ გვისაბუთებს.

ვერ დავეთანხმებით დებულებასაც, რომ საზოგადოებრივად საშიშ შედეგი შემთხვევითად უნდა ჩაითვალოს, თუ მოქმედების ჩადენის კონკრეტულ პირობებში ობიექტურად არ იყო მოცემული მისი განხ-

ორციელების რეალური შესაძლებლობა. ცხადია, თუ მოქმედების ჩადენის დროს არსებულ კონკრეტულ პირობებში არ არსებობს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, ეს შედეგი არ შეიძლება განხორციელდეს. მაგრამ თუ საზოგადოებრივად საშიში შედეგი განხორციელდა, უდავოა, რომ მისი განხორციელება შესაძლებელი იყო<sup>1</sup>. ნამდვილი მოვლენა პირველად ყოველთვის შესაძლებლობის სფეროში არსებობს, ვიდრე იგი, სინამდვილედ გადაიქცეოდეს.

იყო სხვა ცდებიც რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენებისა აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის არსების ასახსნელად. ერთადერთი ასეთი ცდა ტ. სერგეევას ეკუთვნის. ტ. სერგეევას აზრით, დანაშაულებრივი შედეგი „აუცილებელ“ ან „ნამდვილ“ მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, როდესაც „პირის ქცევამ, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, ამასთანავე სინამდვილედ გარდაქმნა შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, შექმნილი ან თვით ამ პირის ან სხვა პირების თუ ძალების მიერ, ანდა თუ ამ ქცევამ სხვა პირებთან ან ძალებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო რეალური შესაძლებლობის სინამდვილედ გარდაქმნაში“<sup>2</sup>.

დებულება, რომ ადამიანის მოქმედება მხოლოდ მაშინ არის მიზეზობრივ კავშირში საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, როდესაც მან „სინამდვილედ გარდაქმნა ამ შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა“ ან „აქტიური მონაწილეობა მიიღო რეალური შესაძლებლობის სინამდვილედ გარდაქმნაში“, აგრეთვე სწორად არ ასახავს მიზეზობრივი კავშირის არსებას, რომელიც ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის არსებობს.

ეს დებულება შემდეგი წანამძღვრიდან გამოდის: თავდაპირველად არსებობს დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის შესაძლებლობა, შექმნილი ან თვით დამნაშავეის ან სხვა ძალების მიერ; შემდეგ დამ-

<sup>1</sup> იხ. И. Реннеберг, Объективная сторона преступления, М., 1957, стр. 68-69.

<sup>2</sup> Т. Л. Сергеева, Вопросы виновности и вины в практике Верховного Суда СССР по уголовным делам, М.-Л., 1950, стр. 90. ამ შეხედულებას ემხრობა ცოლისტი გ. მატვევიც. იხ. Г. К. Матвеев, Вина в советском гражданском праве, Киев, 1955, стр. 73, აგრეთვე ნაწილობრივ ი. იოფე, იხ. О. С. Иоффе, Ответственность по советскому гражданскому праву, Л., 1955, стр. 228.

ნამავე ამ უკვე არსებულ შესაძლებლობას სინამდვილედ გადააქცევს.

მოვიმარჯვოთ ეს მსჯელობა შემდეგი კაზუსის განხილვისათვის: ბოროტმოქმედმა ხელი ჰკრა სადგურის ბაქანზე მდგომ კაცს და იგი მატარებლის ბორბლებს ქვეშ ჩააგდო. როდის, რა მომენტში არსებობდა აქ ადამიანის დაღუპვის შესაძლებლობა, რომელიც შემდეგ სინამდვილედ გადაიქცა? ვიდრე კაცი ბაქანზე დგას და მას ხელს არავინ ახლებს, არავითარი შესაძლებლობა მისი სიკვდილისა არ არსებობს ან, უფრო სწორად, ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ დამნაშავეის წარმოდგენაში არსებობს და არა სინამდვილეში. მაგრამ, როცა კაცს ხელი ჰკრეს და მატარებლის ბორბლებს ქვეშ ჩააგდეს, აქ უკვე შესაძლებლობა კი არ არის, არამედ ნამდვილად განხორციელებული შედეგია. ერთი დანაშაულებრივი აქტის ასეთი გათიშვა და იმ მომენტის გამოყოფა, როცა დამნაშავემ ან სხვა ძალამ შექმნა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, მარტო იქ შეიძლება წარმოიდგინოთ, როდესაც შედეგის შესაძლებლობის შექმნის მომენტი დროის მიხედვით დაცილებულია შედეგის ნამდვილად განხორციელების მომენტისაგან; მაგრამ ასეთი რამ სინამდვილეში იშვიათად გვხვდება.

შემდეგ, ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობა დამნაშავემ შექმნა, მაგრამ სინამდვილედ ეს შესაძლებლობა სხვა ძალამ ან თვით დაზარალებულის მოქმედებამ გადააქცია. მაგალითად, ვინმე მოკვლის განზრახვით შეურევს სასმელში საწამლავს და მოწამლულ სასმელს ავადმყოფს მაგიდაზე დაუდგამს. ავადმყოფი თავისი ხელით სვამს მოწამლულ სასმელს და კვდება. მოწამლული სასმელი ავადმყოფს შეიძლება მისცეს მომვლელმაც, რომელმაც საწამლავის შესახებ არაფერი იცის. ამ შემთხვევაში დამნაშავეს თავისი მოქმედებით არ გადაუქცევია დანაშაულებრივი შედეგის შესაძლებლობა სინამდვილედ. სერგეევას ფორმულის მიხედვით ასეთი დამნაშავეის მოქმედება არ არის „აუცილებელ“ მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან და დამნაშავე თავს დააღწევს პასუხისმგებლობას.

სერგეევას ფორმულის მიხედვით, პირი აიცდენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი თავისი დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის იარაღად



აირჩევს შეურაცხ ადამიანს ან ისეთ პირს, ვინც არაბრალეულად მოქმედებს.

დასასრულს ამ ფორმულით შეუძლებელია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დასაბუთება, ვინაიდან არც დამხმარე, რომელიც დანაშაულის ჩასადენად პირობებს ქმნის, და არც წამქეზებელი, რომელიც შთაუნერგავს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის განზრახვას, არ იღებენ არათუ აქტიურ, არამედ არავითარ მონაწილეობას დანაშაულებრივი შედეგის შესაძლებლობის სინამდვილედ გარდაქმნაში.

ზოგიერთი საბჭოთა იურისტის აზრით, მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და მავნე შედეგს შორის მაშინ ატარებს „აუცილებელ“ ხასიათს, როდესაც „ამგვარი ხასიათის მოქმედებას მოყვება ხოლმე ამგვარივე ხასიათის შედეგი, რომელიც აქამდე განხორციელდა“. ამ შეხედულებას საბჭოთა ცივილისტები იზიარებენ<sup>1</sup>. ადვილი შესაძინებია, რომ ეს შეხედულება „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ არსების დადგენისათვის განმაზოგადოებელ განხილვას მიმართავს: იგი მხოლოდ ისეთ ქმედობას თვლის მავნე შედეგის მიზეზად, რომელიც არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყო მისი აუცილებელი პირობა, არამედ საზოგადოდ იწვევს მსგავს შედეგებს.

ეს შეხედულება არაფრით არ განსხვავდება ადეკვატური თეორიისაგან.

საზოგადოდ, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ თეორია ისეთსავე კრიტიკულ მოსაზრებებს იწვევს, როგორც ადეკვატური თეორია. საბჭოთა ლიტერატურაში „აუცილებელი მიზეზობრიობის“ თეორიის წინააღმდეგ გამოთქმული იყო, მაგალითად, შემდეგი მოსაზრება: ამ თეორიას არ შეუძლია დაასაბუთოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად შეგნებულად და განზრახ გამოიყენა „თანამდელი პირობები“, რომლებიც სხვა კანონზომიერებას ეკუთვნიან, ვიდრე ადამიანის მოქმედებაა, როდესაც, მაშასადამე, დანაშაულებრივი შედეგი დამნა-

---

<sup>1</sup> იხ. И. Б. Новицкий и Л. А. Лунц, Общее учение об обязательстве, М., 1950, стр. 308; აგრეთვე Е. А. Флейшиц, Обязательства из причинения вреда и неосновательного обогащения, М., 1951, стр. 57.

შავის მოქმედებიდან „კანონზომიერად“ არ გამომდინარეობდა, მისთვის თანაარსი არ იყო. ასეთ შემთხვევაში „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ მომხრეებმა ან სრულიად უნდა გაათავისუფლონ პირი პასუხისმგებლობისაგან (და მაშინ ყველაზე უფრო მოხერხებული და მზაკვარი ღამნაშავეები დაუსჯელი დარჩებიან) ანდა უნდა აღიარონ, რომ მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინება გადააქცევს შემთხვევით მიზეზობრივ კავშირს აუცილებლად<sup>1</sup>.

პროფ. ა. პიონტკოვსკის აზრით, იმ შემთხვევებში, როდესაც პირი შეგნებულად წარმართავდა მიზეზობრივ კავშირს ისე, რომ მისი ორი დამოუკიდებელი ჯაჭვი ერთმანეთზე გადაეხლართა, „პირის მიერ ჩადენილი ქმედობა არსებითად იცვლის თავის შინაარსს, იგი ისეთ მოქმედებად იქცევა, რომელიც კანონზომიერად იწვევს საზოგადოებრივად საშიშ შედეგს<sup>2</sup>. აღამიანის მოქმედება ასეთ შემთხვევებში უნდა განვიხილოთ როგორც ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა. ამიტომ, თუ პირი ითვალისწინებდა მიზეზობრივი კავშირის თუნდაც ატიპიურ განვითარებას, მაშინ მიზეზობრივი კავშირის მთელი ჯაჭვი აუცილებლობის ხასიათს იძენს<sup>3</sup>. ავიღოთ მაგალითი, როცა სიდოროვი მსუბუქად დაჭრის ალექსეევს და თანაც იცის, რომ ბოროტმოქმედთ გადაწყვეტილი აქვთ გადაწვან საავადმყოფო, სადაც ალექსეევი უნდა მოათავსონ. ასეთ შემთხვევაში, „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ მიმღევართა აზრით, მიზეზობრივი კავშირი სიდოროვის მოქმედებისა და ალექსეევის სიკვდილს შორის არსებობს. მაგრამ თუ სიდოროვმა წინასწარ არ იცის საავადმყოფოს გადაწვის შესახებ, მაშინ ალექსეევის სიკვდილი სიდოროვის მოქმედების შემთხვევითი შედეგია. „ხანძარი, თუნდაც სხვა აღამიანის მიერ გაჩაღებული, სიდოროვმა კაცის მოკვლის საშუალებად გამოიყენა. ეს თავისე-

<sup>1</sup> ეს მოსაზრება აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის თეორიის წინააღმდეგ პირველად ვ. კულრაიკევიმა წამოაყენა. იხ. В. Н. Кудрявцев, К вопросу о причинной связи в праве, „Советское государство и право“, 1950, N 1, стр. 41; იხ. აგრეთვე И. Реннеберг, Объективная сторона преступления, М., 1957, стр. 71; „Lehrbuch des Strafrechts der DDR“, Allgemeiner Teil, 1957, S. 354.

<sup>2</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 240.

<sup>3</sup> იქვე, გვ 240; იხ. აგრეთვე: М. И. Ковалев, П. Т. Васильков, Причинная связь в уголовном праве, М., 1958, стр. 42-43.

ბური შუალობითი მიზეზობრიობაა, ისეთივე შუალობითი, როგორც იმ შემთხვევაში, როცა განსაზღვრული დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად შეურაცხ პირს, არასრულწლოვანს ან ბრალის გარეშე მოქმედ ადამიანს იყენებენ<sup>1</sup>.

ადამიანის მოქმედება რომ გარეგანისა და შინაგანის, ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობაა — ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ ეჭვს-გარეშეა ისიც, რომ მიზეზობრივი კავშირის საკითხი ობიექტურის სფეროს ეკუთვნის და არა სუბიექტურისა, ხოლო პირის შინაგანი, ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქმედობისა და მისი შედეგებისადმი ეკუთვნის არა მიზეზობრივი კავშირის, არამედ ბრალის სფეროს. ამას არც „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ მიმდევრები უარყოფენ. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ მიზეზობრივი კავშირის არსებობა თუ არარსებობა არ შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, ითვალისწინებდა თუ არა პირი მიზეზობრივი კავშირის ყველა რგოლს და მის ყველა შედეგს. მიზეზობრივი კავშირის წმინდა ობიექტურ ცნებაში სუბიექტური მომენტის, ე.ი. გათვალისწინების მომენტის შეტანა აახლოებს „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ თეორიას ადეკვატურ თეორიასთან, რომელიც აგრეთვე იძულებული იყო ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის მანკიერება ბრალეულობის მოშველიებით გამოეწვინებინა.

ცოდნის თუ არცოდნის, გათვალისწინების თუ გაუთვალისწინებლობის მომენტებს არაფერი არ შეუძლიათ შეცვალონ აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიათა არსებობაში. აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიები ობიექტური კატეგორიებია, და ისინი დამოკიდებული არ არიან შეგნებასა და ნებაზე. აქედან ნათელია, რომ მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინებას არ შეუძლია შემთხვევითობა აუცილებლობად გადააქციოს.

დასასრულს, „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ თეორიას სამართლიანად უსაყვედურებენ, რომ თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს მხოლოდ „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი“ წარმოადგენს, მაშინ ამ თეორიას უპირველეს ყოვლისა იმაზე უნდა ეზრუნა, რათა სასამართლოსათვის აუცილებელ და შემთხვევით მიზეზობრივ კავშირთა გასამიჯნავად ზუსტი კრიტე-

<sup>1</sup> მ. კოვალოვი, პ. ვასკოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

რიუმი მიეწოდებინა. „ეს კრიტერიუმი – მთავარია, რაც ესაჭიროება სასამართლოს კონკრეტული საქმის განხილვისათვის<sup>1</sup>. მაგრამ, როგორც დავინახეთ, პრაქტიკისათვის გამოსადეგი ზუსტი კრიტერიუმი ამ თეორიამ ვერ მოგვანოდა. უფრო მეტიც, „აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ სამართლის მეცნიერებას ობიექტურ მიზეზობრივ კავშირთა გასამიჯნავად რაიმე დამატებითი კრიტერიუმი სრულიადაც არ ესაჭიროება და რომ სასამართლოებმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დებულებებით აუცილებლობისა და შემთხვევითობის შესახებ<sup>2</sup>.

ამის წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ თუ მეცნიერმა იურისტებმა ვერ შეძლეს დღემდე შეეჩუშავებინათ ერთგვაროვანი და ნათელი ცნებანი „შემთხვევითი“ და „აუცილებელი“ მიზეზობრივი კავშირისა, მით უფრო ძნელია მოვთხოვოთ ამ ცნებათა სწორი და ერთგვაროვანი გამოყენება სასამართლო ორგანოებს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თუმცა აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის თეორია დიდი ხანია გაბატონებულია ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში თავისი ასახვა ვერ კპოვა. შეიძლება მოიძებნოს მხოლოდ თითო-ორიგაა გადაწყვეტილება, სადაც ამ თეორიის ზეგავლენა ერთგვარად იგრძნობა, და სადაც ამავე დროს მიზეზობრივი კავშირი არასწორად არის უარყოფილი. აქ ეს გადაწყვეტილებებიც:

ქ. ბაქოს ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ სცნო გაუფრთხილებელ მკვლელობაში შოფერი ც., რომელმაც დააჯახა მანქანა გზაზე მიმავალ ი.-ს და მიაყენა მას სხეულის მძიმე დაზიანება, რის გამოც ი. ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა. მაგრამ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა განაჩენი და განჩინება იმ მოტივით, რომ ც.-ს

<sup>1</sup> В. Н. Кудрявцев, К вопросу о причинной связи в праве, „Советское государство и право“, 1950 г., N 1, стр. 43.

Г. К. Матвеев, Вина в советском гражданском праве, Киев, 1955, стр. 75.

მოქმედება მიზეზობრივ კავშირში არ იყო ი.-ს სიკვდილთან. კოლეგიამ თავისი აზრი ასე დაასაბუთა: „... ც.-ს მოქმედება გაუფრთხილებელიც რომ ყოფილიყო, მაინც სიკვდილი მისი უშუალო შედეგი არ იყო. თუმცა ამ შემთხვევაში შედეგი ისეთივეა, როგორც გაუფრთხილებელი მკვლელობის დროს, მაგრამ ეს შედეგი სულაც არ იყო უცილობელი და იგი შეიძლებოდა არც დამდგარიყო“<sup>1</sup>. ამიტომ კოლეგიამ გადააკვალიფიცირა ც.-ს მოქმედება გაუფრთხილებელ სხეულებრივ დაზიანებად.

მეორე საქმეზე სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა არ ცნო მიზეზობრივი კავშირი დაზარალებულისათვის მუცელში მიყენებულ ჭრილობასა და მის სიკვდილს შორის იმ მოტივით, რომ „ამ შემთხვევაში მუცლის ღრუში შემაგალი ჭრილობა არ იყო უცილობლად სასიკვდილო ჭრილობა და ოპერაციის დროს ჭრილობის ორივე ნახვრეტი რომ შეეჭმნიათ, პერიტონიტის განვითარება ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა“<sup>2</sup>.

ეს გადაწყვეტილებები ნათლად გვიჩვენებენ იმ საფრთხეს, რაც „უცილებელი მიზეზობრივი კავშირის“ თეორიასთანაა დაკავშირებული. მოსამართლეს, რომელიც ამ თეორიას გაიზიარებს, ადვილად შეიძლება შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მოქმედებას უცილობლად უნდა გამოეწვია შედეგი, როდესაც მაშასადამე შედეგის აცილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ამან თავის მხრივ შეიძლება იქამდეც კი მიგვიყვანოს, რომ მიზეზობრივი კავშირი ადამიანის დაზიანებასა და მის სიკვდილს შორის მხოლოდ მაშინ ვცნოთ, როცა ჭრილობა უცილობლად სასიკვდილო იყო, ე.ი. მიგვიყვანოს საშუალო საუკუნეებში გაბატონებულ შეხედულებამდე, რომელიც უკვე დიდი ხანია უარყოფილია.

<sup>1</sup> „Советская юстиция“, 1938 г., N 23-24, стр. 81.

<sup>2</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962 г., N 2, стр. 33-34. უნდა აღინიშნოს, რომ ზემდგომმა ინსტანციამ სამხედრო ტრიბუნალის ეს განჩინება სამართლიანად გააუქმა და მიზეზობრივი კავშირის არსებობაც დაადასტურა.

#### §4. მიზეზობრივი კავშირის საკითხი საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში არ არის ერთსულოვნება მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაჭრაში. მაგრამ მაინც აშკარად შეიძლება ტენდენცია მიზეზობრივი კავშირის შეზღუდვისა. უფრო ხშირად მიზეზობრივი კავშირის შეზღუდვა იმაში გამოიხატება, რომ მოითხოვენ პირდაპირი ანუ უშუალო კავშირის არსებობას ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის, ხოლო მაშინ, როცა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ჩართულია მესამე პირთა ან თვით დაზარალებულის ან ბუნების ძალთა მოქმედება, ან როდესაც შედეგის განხორციელებას ხელი შეუწყო დაზარალებულის ორგანიზმის განსაკუთრებულმა თვისებებმა, მიზეზობრივ კავშირს უარყოფენ. ასე, მაგალითად, კ.-ს საქმე რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიამ აღნიშნა, რომ კ.-ის მიერ რ.-ს დაჭრასა და ამ უკანასკნელის სიკვდილს შორის „არ არის უშუალო მიზეზობრივი კავშირი“, ვინაიდან „დაზარალებულ რ.-ს მიყენებული ჰქონდა სხეულის მსუბუქი დაზიანება, რომელსაც არათუ არ შეეძლო დაზარალებულის სიკვდილი გამოეწვია, არამედ რაიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივი მოშლაც კი არ უნდა მოჰყოლოდა“<sup>1</sup>.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებაში პასუხისმგებლობა უარყოფილია იმის გამო, რომ „დ.-ს სიკვდილი... ჭრილობასთან უახლოეს და უშუალო მიზეზობრივ კავშირში არ იყო“<sup>2</sup>.

ასეთივე დადგენილება გამოიტანა სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ი.-ს საქმეზე. „რამდენადაც ი.-ს მოქმედება — უ.-ს დაჭრა, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — უ.-ს სიკვდილთან პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში არ არის, ამდენად ეს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც დამთავრებული მკვლელობა, არამედ როგორც მკვლელობის მცდელობა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „Сборник определений уголовно-кассационной коллегий Верховного Суда РСФСР“, М., 1925. вып. 1, стр. 77-79.

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1956. г., N6, стр. 11.

<sup>3</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1961 г., N42., стр. 10-11.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებას მიზეზობრივი კავშირის შესახებ ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკ იზიარებს. ასე, მაგალითად, პროფ. ვ. მენშაგინი და დოც. ზ. ვიშინსკაია თვლიან, რომ მიზეზობრივი კავშირი ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიყენებული ვნება ამ მოქმედების უშუალო შედეგი იყო<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, მიზეზობრივი კავშირის აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი პირდაპირი ან უშუალოა, მთელ რიგ შემთხვევებში შეუსაბამო დასკვნებამდე მიგვიყვანდა.

უპირველეს ყოვლისა, შეუძლებელი იქნებოდა პასუხისმგებლობის დასაბუთება მაშინ, როცა დამნაშავემ დანაშაულის ჩადენის იარაღად მესამე პირი — შეურაცხი ან მცირეწლოვანი ან ბრალის გარეშე მოქმედი პირი გამოიყენა, რადგან ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ჩართულია მესამე პირთა მოქმედება და იგი პირდაპირ და უშუალო ხასიათს ჰქარავს.

ამავე მოსაზრებებით შეუძლებელია თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დასაბუთება: დამხმარის ან წამქეზებლის მოქმედება არასდროს არ არის დანაშაულებრივი შედეგის უშუალო მიზეზი. თანამონაწილის მოქმედება შედეგთან ყოველთვის ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით არის დაკავშირებული.

საზოგადოდ ძნელი წარმოსადგენია, ყოველ შემთხვევაში, მეტად იშვიათია მიზეზობრივი კავშირის ისეთი განვითარება, როდესაც მოქმედება უშუალოდ გადადის შედეგში, როდესაც მოქმედებასა და შედეგს შორის ჩართული არ არიან გარემოებანი, რომლებიც მიზეზობრივი კავშირის განვითარებას ამა თუ იმ მიმართულებას აძლევენ. ზოგჯერ პირს წინასწარ შეგნებული აქვს ამ გარემოებათა არსებობა და ანგარიშში აქვს მიღებული ეს გარემოებანი დანაშაულებრივი გეგმის შედგენის დროს. ზოგჯერ პირს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ისინი მოქმედების მომენტში. დაბოლოს, მიზეზობრივი კავშირის მსველგლობაში შეიძლება ჩაებან ისეთი მოულოდნელი გარემოებანი, რომელთა გათვალისწინება მოქმედისათვის შეუძლებელი იყო; ამ გარემოებებს შეუძლიათ სულ სხვა

<sup>1</sup> В. Д. Меньшагин и З. А. Вышинская, Советское уголовное право, М., 1950, стр. 102.

მიმართულება მისცენ მიზეზობრივი კავშირის განვითარებას, ვიდრე ეს პირს წინასწარ დასახული პქონდა. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს პირის სუბიექტური დამოკიდებულება ამ გარემოებებისადმი, მაშასადამე, იძისდა მოუხელავად, აგებს თუ არა პირი პასუხს დამდგარი მკვლე-  
გისათვის, ეს ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს იმ წმინდა ობიექ-  
ტურ კავშირზე მოვლენათა შორის, როგორცაა მიზეზობრივი კავშირი.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება სხვა შემთხვევებიც, როდესაც მიზეზობრივი კავშირი უარყოფილია, მაგრამ სასამართლო სხვაგვარად ასაბუთებს მიზეზობრივი კავშირის არარსებობას. აი, ეს შემთხვევებიც, რომლებზედაც ხშირად მიუთითებენ სისხლისსამართ-  
ლებრივ ლიტერატურაში იძის დასამოწმებლად, რომ ჩვენს სასამართლო პრაქტიკას ვიწროდ ესმის მიზეზობრივი კავშირის ცნება:

სპორტსმენი – პირველთანრიგოსანი „სამბოს“ ჭიდაობაში ვინმე ბ. თავის მეგობართან სტუმრად იყო და იქ მყოფ ამხანაგებს რიგრიგობით ეჭიდებოდა. როცა იგი ს.-თან ჭიდაობდა და უნდოდა იგი თავზე გადა-  
ესროლა, ს.-მ ფეხებში ხელი სტაცა, ორივე წაიქცა, ბ.-მ იატაკს თავი დაარტყა და იქვე გარდაიცვალა. რსფსრ უმაღლეს სასამართ-  
ლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ჩრდილო ოსეთის ასსრ-ის უმაღლესი სასამართლოს განჩინება, რომ-  
ლითაც ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ ბ.-ს გაუფრთხილებლობით მკე-  
ლელობაში და მიუთითა, რომ ს.-ს მოქმედება არ არის მიზეზობრივ კავშირში ბ.-ს სიკვდილთან, რომელიც უბედური შემთხვევის შედე-  
გად უნდა ჩაითვალოს<sup>1</sup>.

მეორე საქმის შინაარსი ასეთია: ყ. ცნობილ იქნა დამნაშავედ რკინიგ-  
ზის ტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევაში, რის შედეგა-  
დაც მატარებელმა, რომელიც მას მიჰყავდა, ს. გასრისა.

რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საქმის წარმოება მოსპო, თანაც თავის გან-  
ჩინებას საფუძვლად დაუდო ყ.-ს მოქმედებასა და ს.-ს სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობა. კოლეგიამ მიუთითა, რომ ყ.-ს არავითარი გამაფრთხილებელი წესები არ დაურღვევია და გამორ-  
იცხული არ არის, რომ ს. თვით ჩაუყარდა მატარებელს ბორბლებში,

<sup>1</sup> „Советская юстиция“, 1960 г, N 9, стр. 28-29.



ჯნაიდან ფსიქიკურად დაავადებული იყო და თანაც იმ მომენტში ბევრი ღვინო ჰქონდა დალუული<sup>1</sup>.

მესამე მაგალითი: კ.-მ ქვაფენილზე მძინარე მთვრალი ბ. შეაძწნია, წამოაყენა იგი, გამოფხიზლების მიზნით სილაც გააწნა და თავისი გზა განაგრძო, ზოლო ბ.-მ ბარბაც-ბარბაცით შუა ქუჩისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ამ დროს მიმავალ სატვირთო მანქანას ბორბლებში ჩაუვარდა. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ უარყო მიზეზობრივი კავშირის არსებობა კ.-ს მოქმედებასა და ბ.-ს სიკვდილს შორის, თუმცა კ.-ს მოქმედება ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო ასეთი შედეგისა. „კ.-ს მაშინ შეიძლებოდა დაკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, — ნათქვამია კოლეგიის განჩინებაში, თუ დადგენილი იქნებოდა, რომ მის მოქმედებაში აბეზრობის ნიშნებია, ან მაშინ, მის მოქმედებასა და ბ.-ს დალუპავს შორის მიზეზობრივი კავშირი რომ ყოფილიყო. არც ერთი და არც მეორე მოცემულ შემთხვევაში დადგენილი არ ყოფილა“<sup>2</sup>.

ასევე შეზღუდულად არის გაგებული მიზეზობრივი კავშირის ცნება ბ.-ს საქმეზე გამოტანილ განჩინებაში. გ., ბ.-ის ნებადაურთავად შეჯღე მის ცხენზე და დააჭენებდა. ბ.-მ რომ ეს დაინახა, დაეწია მხედარს, ჩამოაგდო ცხენიდან და სილაც გაარტყა. შეშინებული გ. გაიქცა, ღობეზე რომ ხტებოდა, დაეცა და ფეხი მოიტეხა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც სისხლის მოწამელის შედეგად გარდაიცვალა. ამ შემთხვევაშიც სსრკ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ მიუთითა, რომ „გ.-ს სიკვდილი განსასჯელის მოქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში არ იყო“<sup>3</sup>.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში განსასჯელები სწორად არიან განთავისუფლებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ იმის მაგივრად, რომ სასამართლოს მათი გამართლების საფუძვლად საზოგადოებრივი საშიშროების ან „ბრალის არარსებობაზე მი-

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного Суда РСФСР“, 1961 г., № 6, стр. 9-10.

<sup>2</sup> „Сборник постановлений пленума и определенных коллегии Верховного Суда Союза ССР (1938 и первое полугодие 1939 г.)“, М., 1940, стр. 104.

<sup>3</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949 г., №11, стр. 42.

ეთითუბინა, იგი ამტკიცებს მიზეზობრივი კავშირის არარსებობას განსასჯელთა მოქმედებასა და შედეგს შორის.

ასე, მაგალითად, პირველ საქმეზე რსფსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგია ამტკიცებს, რომ „არც ს.-ს და არც ბ.-ს ჭიდაობის ნებადართავი ხერხებისათვის არ მიუძღრათ“ და რომ „ბ.-ს სიკვდილი... შედეგი იყო უბედური შემთხვევისა, რომელსაც ს. არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა“<sup>1</sup>.

ის, რომ ს.-ს ჭიდაობის ნებადართული ხერხები არ გამოუყენებია, ამტკიცებს ს.-ს მოქმედებაში საზოგადოებრივი საშიშროების და არა მიზეზობრივი კავშირის არარსებობას, ხოლო ის, რომ ს. არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ბ.-ს სიკვდილი, ადასტურებს ბრალის და არა მიზეზობრივი კავშირის არარსებობას.

მატარებლის მემანქანის საქმეში მიზეზობრივი კავშირის არარსებობას იმით ამტკიცებენ, რომ, ჯერ ერთი, მემანქანეს არ დაურღვევია მატარებლის ექსპლოატაციის წესები, ხოლო მეორე, იმით, რომ შედეგის განხორციელებას ხელი შეუწყო თვით დაზარალებულის მოქმედება<sup>2</sup>. მაგრამ თუ მატარებელმა, რომელსაც ჟ. მართავდა, კაცი გასრისა უაზრობა იმის მტკიცება, რომ მემანქანის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის არ იყო მიზეზობრივი კავშირი. ის გარემოება, რომ მემანქანეს მატარებლის ექსპლოატაციის წესები არ დაურღვევია, ადასტურებს მხოლოდ მისი მოქმედების არამართლსაწინააღმდეგო და არასაზოგადოებრივად საშიშ ხასიათს და არა მიზეზობრივი კავშირის არარსებობას: დაზარალებულის მოქმედების ჩართვამ მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეიძლება გამორიცხოს არა მიზეზობრივი კავშირი, არამედ ბრალი, თუ ასეთი მოქმედების გათვალისწინება პირისათვის შეუძლებელი იყო.

განსაკუთრებით ნათლად ჩანს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სხვადასხვა წანამძღვართა აღრევა ბ.-ს საქმეზე. სსრკ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინებაში ამ საქმეზე ნათქვამია: „რამდენადაც ბ.-ს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ გ. ცხენიდან ჩამოსვლის შემდეგ გაიქცევა, ფეხს მოიტეხავს და სისხლი მოეწამლება,

<sup>1</sup> „Советская юстиция“, 1960 г., N 9, стр. 28-29.

<sup>2</sup> „Бюллетень Верховного Суда РСФСР“, 1961 г. N 6, стр. 9-10.

რის შედეგადაც გარდაიცვლება, ამდენად ბ.-ს მოქმედება დანაშაულის შემადგენლობას არ შეიცავს. გ.-ს სიკვდილი განსასჯელის მოქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში არ არის“<sup>1</sup>.

როგორც დავინახეთ, ყველა მოტიანილ შემთხვევაში სასამართლო ფაქტურად ადასტურებს ბრალის ან საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობას, იმის მაგიერად, რომ დასაბუთოს მიზეზობრივი კავშირის არარსებობა. მაგრამ რად დასჭირდა სასამართლოს ბრალის არარსებობის დადასტურება, თუ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი? იქ, სადაც ადამიანის მოქმედება ჩართული არ არის მიზეზობრიობის ჯაჭვში, იქ ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების საკითხები არც უნდა წარმოიშვას, რადგან არ არსებობს პასუხისმგებლობის პირველი, ძირითადი, ობიექტური წინამძღვარი. სწორედ ის გარემოება, რომ სასამართლოები მოტიანილ შემთხვევებში იძულებულნი არიან ამტკიცონ საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალის არარსებობა, უდავოდ ადასტურებს, რომ თვით მათ დამაჯერებლად არ მიაჩნიათ მიზეზობრივი კავშირის უარყოფა.

მეორე მომენტიან კიდევ დამახასიათებელი ზემომოტიანილი შემთხვევებისათვის. როდესაც სასამართლოები ცდილობენ დაამტკიცონ განსასჯელთა მოქმედებაში მიზეზობრივი კავშირის არარსებობა, ისინი ამ მოქმედებას განიხილავენ საერთო მიზეზობრივი ჯაჭვიდან ამოწყვეტილად, იმ კონკრეტული პირობებისაგან განყენებით, რომლებიც თან ახლდნენ ამ მოქმედებას. მაგრამ განა რაიმე მიზეზი შეიძლება მოქმედებდეს მისი თანმხლები პირობების გარეშე? ასეთი რამის მტკიცება მიზეზისა და შედეგის დიალექტიკურ ხასიათს არ შეესაბამება. მიზეზის და შედეგის ასეთი იზოლირებული განხილვა მათი თანმხლები პირობების გარეშე არსებითად მიზეზობრივი კავშირის განმაზოგადოებელ განხილვას მოგვაგონებს, რაც დამახასიათებელია ადეკვატური თეორიისათვის. განმაზოგადოებელი შეხედულების თვალსაზრისით, ზემომოტიანილ შემთხვევებში მიზეზობრივი კავშირი მართლაც შეიძლება უარყოფილ იქნეს. ქვაფენილიდან ადამიანის აყენება და მისი გრძობაზე მოყვანა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს საერთო ხელისშემწყობ პირობას ადამიანის სიკვდილისათვის. ამგვარადვე ცხენიდან კაცის ჩამოგდება და მისთვის სილის გარტყმაც, თავისთავად ცხადია, არ წარმოადგენს საზოგადო

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949 г., N 11, стр. 42.

ხელისშეწყობ პირობას მისი სიკვდილისათვის. მიზეზობრივი კავშირი ამ შემთხვევაში ატიაიურად, არაჩვეულებრივად მიმდინარეობდა. მაგრამ თუ აღნიშნულ მოქმედებებს ავიღებთ არა განყენებულად, იზოლირებულად, არამედ იმ კონკრეტულ პირობებთან კავშირში, რომლებშიც მათ ჰქონდათ ადგილი, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს მოქმედებანი დამდგარი შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდნენ.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ განსასჯელებს პასუხი უნდა მოეთხოვოთ მათ მიერ ჩადენილი ქმედობისათვის? — არავითარ შემთხვევაში.

ძირითადი მიზეზი, რაც განაპირობებს საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დღეისათვის სისამართლო პრაქტიკაში მიზეზობრივი კავშირის ცნების შეზღუდვას „აუცილებელი“ ან „პირდაპირი“ თუ „უშუალო“ მიზეზობრივი კავშირით, არის ის, რომ მიზეზობრივ კავშირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობა ეძლევა. უკვე მიზეზობრივი კავშირის მეშვეობით სურთ მიაღწიონ სამართლიან და სოციალისტური კანონიერებისათვის შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მიზეზობრივი კავშირის საკითხის განხილვისას არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღმანის მოქმედებას და საზოგადოებრივად მავნე შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით ჯერ კიდევ არ წყდება პასუხისმგებლობის პრობლემა, არამედ მასთან ერთად აუცილებელია ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და მოქმედის ბრალის დადგენა. მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევა მხოლოდ დასაწყისი მომენტია, იგი მართლედნ ერთი მოვლენიდან მეორე მოვლენის წარმოშობას ხსნის. მიზეზობრივი კავშირის ცნება არ შეიცავს რაიმე შეფასებით მომენტებს, რომლებიც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა წინამძღვრების მოშველიების გარეშე, მოგვცემენ სამართლიანი და სოციალისტური მართლშეგნებისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. მიზეზობრივი კავშირი ადგენს პასუხისმგებლობის წმინდა ობიექტურ საზღვარს: არ შეიძლება დაეყენოთ საკითხი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალეულობის შესახებ, თუ პირის მოქმედება ხელს არ უწყობდა შედეგის განხორციელებას. ხოლო სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია მიზეზობრივ კავშირს სისხლის სამართალში არ აკისრია.

## §5. მიზეზობრივი კავშირის ცნება სისხლის სამართალში

1. პირველი დებულება, რომელიც ურყევად არის აღიარებული საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში, არის ის, რომ სამართლის მეცნიერებამ არ უნდა შექმნას მიზეზობრივი კავშირის ხელოვნური, წმინდა იურიდიული ცნება, არამედ უნდა გამოიყენოს ის ცნება, რომელიც დადგენილია დიალექტიკური მატერიალიზმის მიერ<sup>1</sup>. გასაგებია ამიტომ, რომ საბჭოთა კანონმდებლობა მიზეზობრივი კავშირის ცნების განსაზღვრებას არ იძლევა<sup>2</sup>.

ყოველი მიზანდასახული მოქმედების ჩადენის დროს ადამიანს „წინ აქვს ობიექტური სამყარო, იგი დამოკიდებულია მასზე, მით განსაზღვრავს თავის მოქმედებას.“<sup>3</sup> ასევე ხდება დანაშაულის ჩადენის დროსაც. ადამიანი თავისი დანაშაულებრივი მიზნის განსახორციელებლადაც ობიექტური გარესამყაროს კანონებს, მექანიკურ, ფიზიკურ და სხვ მიზეზობრიობას იყენებს. ამიტომ, როგორც სწორად მოუთითებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი ი. ლექშასი, — მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს არა „იურიდიული კაუზალური კანონები“, არამედ ბუნების ის კანონები, რომლებიც ადამიანმა თავისი მიზნებისათვის გამოიყენა<sup>4</sup>.

ამგვარად მიზეზობრივი კავშირის საკითხის გამოკვლევის ამოცანა სამართალში ის კი არ არის, რომ დადგენილ იქნას მიზეზობრივი

---

<sup>1</sup> ბურჟუაზიულ სამართლის მეცნიერებაში, პირიქით, მეტად გავრცელებულია შეხედულება, რომ სამართლის მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის საკუთარი ცნება უნდა შემუშავოს. „ფილოსოფიისაგან არ შეიძლება მოველოდეთ, — ამბობს ბურჟუაზიული კრიმინალისტი ტრაეგერი, — მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაწყვეტას სამართალში, ფილოსოფიას სულ სხვა ამოცანები აქვს გადასატრეული ამ საკითხში, ვიდრე იურიდიულ მეცნიერებას“ (იხ. L. Traeger, Das Kausalbegriff im Straf- und Zivilrecht, Marburg, 1904, S. 2). ამასთან დაკავშირებით ბურჟუაზიულ სამართალში შექმნილია მთელი რიგი თეორიები, რომელთაც მიზეზი ესმით წმინდა იურიდიულად და არა ფილოსოფიურად, ასეთა, მაგალითად, თეორია „ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის“, „ეულგარული მიზეზის“, „პრობითი საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის“ მიზეზის შესახებ და სხვ მისთ.

მიზეზობრივი კავშირის საკითხი საკანონმდებლო წესით რეგულირდება ავსტრიის 1852 წლის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 134-ე), აგრეთვე იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. მე-40 და 41-ე).

<sup>2</sup> ვი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 185.

<sup>3</sup> იხ. J. Lekschas, Die Kausalität bei der verbrecherischen Handlung, Berlin, 1952, S. 67.

კავშირის სპეციფიკური იურიდიული კანონზომიერებანი, არამედ ის, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ზოგადი დებულებანი მიზეზობრივი კავშირის შესახებ სწორად იქნას გამოყენებული სამართლის სპეციფიკური მიზნებისათვის.

2. ვიდრე კრიმინალისტი დააყენებდეს საკითხს მიზეზობრივი კავშირის შესახებ, მან კარგად უნდა წარმოიდგინოს ის დასაწყისი და საბოლოო მომენტები, რომელთა მიზეზობრივი დამოკიდებულება მას აინტერესებს. ამ მომენტების დადგენა მჭიდროდ არის დაკავშირებული მიზეზისა და შედეგის ხელოვნური იზოლირების ცნებასთან.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მარქსიზმის კლასიკოსების თანახმად, „მიზეზისა და შედეგის ადამიანური გაგება ყოველთვის რამდენადმე ამარტივებს ბუნების მოვლენათა ობიექტურ კავშირს, მხოლოდ დაახლოებით ასახავს მას, ხელოვნურად აცალკევებს ერთი მთლიანი მსოფლიო პროცესის ამა თუ იმ მხარეს.“<sup>1</sup>

კრიმინალისტიკისათვის ასეთ დასაწყის და საბოლოო მომენტებს, რომელთა ურთიერთდამოკიდებულების გამორკვევა მას აინტერესებს, წარმოადგენს ადამიანის მოქმედება და საზოგადოებრივად საშიში შედეგი. მათი ხელოვნური იზოლირება უნდა მოხდეს მოვლენათა საერთო მთლიანობიდან, თუ გვსურს გავარკვიოთ მათი მიზეზობრივი დამოკიდებულება.

მიზეზისა და შედეგის იზოლირების ცნება ისე კი არ უნდა იქნას წარმოდგენილი, თითქოს მეცნიერების ერთი დარგის წარმომადგენლისათვის რაიმე გარკვეული მოვლენის მიზეზი ერთი გარემოება იქნება, ხოლო სხვა დარგის მეცნიერებისათვის იმავე მოვლენის მიზეზი სულ სხვა გარემოება იქნება. მიზეზისა და შედეგის ხელოვნური იზოლირების პრინციპის ასეთი გაგება საბჭოთა ლიტერატურაშიც გვხვდება. მაგალითად, პროფ. ა. ნ. ტრაინინის აზრით, „თუ ა.-ს მიერ გასროლილი ტყვიით მოკვდა ბ., მედიკოსათვის ბ.-ს სიკვდილის მიზეზი გულის ქსოვილისა და ძარღვების გაწყვეტა იქნება; მექანიკოსისათვის – თოფის წამლის აფეთქებით გამოწვეული ტყვიის მოძრაობის კანონები; კრიმინალისტიკისათვის – ეს მიზეზი შეიძლება მხოლოდ ადამიანის მო-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ. 190

ქმდება იყოს, ვინაიდან სისხლის სამართლის წინაშე მხოლოდ ის საკითხი წარმოიშევა, რა პირობებში შეიძლება ადამიანის მოქმედება ჩაითვალოს დამდგარი შედეგის მიზეზად და, მამასადამე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძვლად<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, შედეგის გამომწვევ მრავალრიცხოვან ფაქტორთა შორის კრიმინალისტს აინტერესებს მხოლოდ ადამიანის ქცევა, ვინაიდან მხოლოდ ამ ქცევას უკავშირდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო ადამიანის ქცევის მრავალრიცხოვან შედეგთა შორის კრიმინალისტს აინტერესებს მხოლოდ ის საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომელიც აფუძნებს ამ პასუხისმგებლობას ან ზეგავლენას ახდენს მის ოდენობაზე.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს გამოკვლევის ამოცანების მიხედვით მოვლენის მიზეზიც იცვლებოდეს. ასეთი დებულების აღიარება იმ არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანდა, თითქოს თვით მიზეზობრივი კავშირის ცნებასაც სხვადასხვა მეცნიერებებში სხვადასხვა შინაარსი აქვს.

როგორც სწორად მიუთითებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი ი. ლექმასი, ცალკეული მეცნიერებანი სრულიად არ ეძებენ ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა მიზეზებს, არამედ მიზეზობრივი ჯაჭვის გამოკვლევისას მის სხვადასხვა პუნქტებამდე მიდიან და მიზეზობრივი ჯაჭვის სწორედ იმ რგოლთან ჩერდებიან, რომელიც ამ მეცნიერებას აინტერესებს. ასე, მაგალითად, როცა სხვადასხვა სპეციალობის პირები (ექიმი ან იურისტი) იკვლევენ სიკვდილის მიზეზს, ისინი სულაც არ მიდიან სხვადასხვა დასკვნამდე ამ საკითხის თაობაზე. მაგრამ ექიმი უფრო დაწვრილებით იკვლევს კაუზალური მიმდინარეობის ცალკეულ რგოლებს და შემდეგ წყვეტს გამოკვლევას იმ პუნქტთან, რომელიც წარმოადგენს მისთვის ინტერესს, ხოლო მოსამართლე, იყენებს — რა სპეციალისტის დასკვნებს, განაგრძობს თავის გამოკვლევას იმ პუნქტამდე, რომელიც მისთვისაა საინტერესო, ე.ი. დანაშაულებრივ ქმელობამდე. „ეს რომ სხვაგვარად ყოფილიყო, — აღნიშნავს ი. ლექმასი, — მოსამართლე

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 164-165.

სისხლის სამართლის საქმეზე ვერ გამოიყენებდა სპეციალისტების დასკვნებს, რომლებსაც მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“<sup>1</sup>.

მეორე შეცდომა, რომელსაც უშვებენ ხელოვნური იზოლირების პრინციპის გამოყენებისას სისხლის სამართალში, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ქცევას და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს განიხილავენ იმ პირობებისაგან მოწყვეტით, რომელშიც ეს ქცევა მიმდინარეობს და რომლებმაც ამ შედეგის წარმოშობას ხელი შეუწყვეს. ასეთი განხილვა აუცილებლად მიგვიყვანს მიზეზობრივი კავშირის განმაზოგადოებელ ცნებად. მიზეზობრივი კავშირის საკითხის გამორკვევისას კრიმინალისტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ არც ერთი მოვლენა არ წარმოადგენს ერთადერთ იზოლირებულად მოქმედი მოვლენის შედეგს. მიზეზისა და შედეგის იზოლირების პრინციპი სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მიზეზი და შედეგი ნამდვილად იზოლირებულად არსებობენ და რომ რაიმე მოვლენას შეუძლია წარმოშვას მეორე მოვლენა გარეშო პირობებისაგან დამოუკიდებლად. როგორც უკვე განმარტებული იყო, მიზეზობრივი კავშირი შეუძლებელია გაგებულ იქნეს ურთიერთზემოქმედების გარეშე.

ამიტომ არასწორად იქცევიან ის კრიმინალისტები, რომლებიც მკვეთრ ზღვარს ღებენ მიზეზობრიობასა და მოვლენათა ურთიერთზემოქმედებას შორის. ასე აკეთებს მაგალითად, მ. კოვალიოვი, რომლის აზრით, „ძრავალი გაუგებრობა, რომელსაც ადგილი აქვს აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის კრიტიკულად განხილვის დროს, ხშირად იმის შედეგია, რომ ეს კრიტიკოსები მიზეზობრივი კავშირის ცნებას სხვადასხვა ფაქტორთა ურთიერთზემოქმედების ცნებით ცვლიან. ჩვენ ვთვლით, რომ საბოლოო ანგარიშში მიზეზი ყოველთვის თავისი თავის სწორია“<sup>2</sup>.

საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში მართებულად მიუთითებენ, რომ მიზეზისა და შედეგის ერთმნიშვნელობა მეტაფიზიკური ლოგიკის თვალსაზრისის ანარეკლს წარმოადგენს. „შედეგი ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი იქნება თავისი მიზეზის მიმართ, თუ მათ ამოვგლეჯთ მოვლენათა საყოველთაო კავშირისა და ურთიერთზემოქმედ-

<sup>1</sup> J. Lekschas, op. cit. p. 67.

<sup>2</sup> М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч.1, Свердловск, 1960, стр. 192.



ბიდან, თუ მოვახდენთ მათ აბსტრაგირებას სხვა მოვლენათა მასის ზემოქმედებისაგან<sup>1</sup>, — აღნიშნავს მ. როზენტალი<sup>1</sup>. სწორედ ამაზე მივი-  
თითებს, როზენტალის აზრით, ფ. ენგელსი, როდესაც აღნიშნავს, რომ  
თუ მოვლენები ამოვგლიჯეთ საყოველთაო კავშირიდან და იზოლირე-  
ბულად გავიაზრეთ, „ამ შემთხვევაში ცვლადი მოძრაობანი წარმოს-  
დებიან ერთნი როგორც მიზეზნი, მეორენი კი როგორც შედეგ-მო-  
ქმედებანი.“<sup>2</sup> „ხოლო ნივთთა ნამდვილი კაუზალური მიზეზობრივი ურთ-  
იერთობა, ენგელსის აზრით, შეიძლება მხოლოდ მაშინ გავიგოთ, თუ  
უნივერსალური ურთიერთზემოქმედებიდან გამოვალთ. ეს უკანასკნე-  
ლი ხსნის, თუ რატომ არ შეიძლება ყოველთვის მოვითხოვოთ მიზეზ-  
შედეგის კავშირის ერთმნიშვნელობა“<sup>3</sup>.

ენგელსს არაერთხელ მოუტანია კონკრეტული მაგალითი იმის  
საჩვენებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ურთიერთზემოქმედებას მიზე-  
ზობრივი კავშირის არსის გარკვევისათვის: „მოძრაობის გადატანა,  
რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ ხდება, — წერს ენგელსი, — როდესაც  
არსებობს ყველა სხვადასხვანაირი პირობა, რომლებიც ხშირად  
ძლიან ბრავალფეროვანი და რთული არიან, განსაკუთრებით მანქანებში  
(ორთქლის მანქანა, საკეტანი თოფი სასხლეტით, საფეთქით და თოფის  
წამლით). ერთიც რომ აკლდეს, მოძრაობის გადატანას ადვილი არ  
ეჩნება, სანამ ეს პირობა არ შეიქმნება. ამ შემთხვევაში შეიძლება  
საქმე ასე წარმოიდგინონ, თითქოს მხოლოდ ამ უკანასკნელი პირო-  
ბის განხორციელებამ უნდა აღძრას პირველად ძალა და თითქოს ეს  
ძალა ფარული სახით მოთავსებული იყოს რომელიმე სხეულში —  
ფრთწოდებული ძალის მატარებელში (თოფის წამალი, ნახშირი).  
მგრამ სინამდვილეში იმისათვის, რომ მოძრაობის სწორედ ეს სპე-  
ციალური გადატანა გამოწვეულ იქნეს, უნდა არსებობდეს არა მარ-  
ტო ეს სხეული, არამედ ყველა სხვა პირობაც“<sup>4</sup>.

ამ ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ, ენგელსის აზრით, მიზეზობრივი  
კავშირი ჩართულია მოვლენათა ურთიერთზემოქმედებაში. მიზეზი ენ-  
გელსს ესმის როგორც ერთობლიობა ყველა აუცილებელი პირობისა,

<sup>1</sup> М. М. Розенталь, Принципы диалектической логики М., 1960, стр. 251.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 238.

<sup>3</sup> მ. მ. როზენტალი, დასახ. ნაშრ., გვ. 251.

<sup>4</sup> ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 293.

რომელთა გარეშეც უწყებულ დროსა და უწყებულ ადგილას მოვლენა-შედეგი არ წარმოიშობოდა, და არა როგორც დროისა და სივრცის პირობებიდან მოწყვეტით, ყველა თანამდევ გარემოებათაგან იზოლირებით, აღებული ძალა, რომელიც ფარულად რაიმე სხეულში იმყოფებოდა და გარეშე ბიძგის შედეგად ამოქმედდება. ყოველი ცალკეული პირობა აუცილებელია შედეგისათვის და თუ რომელიმე მათგანი გამოაკლდა, შედეგიც არ დადგება. აქედან დასკვნა: მიზეზობრივ კავშირში შედეგთან იმყოფებოდა არა რომელიმე ერთი, განსაკუთრებული ძალის შემცველი პირობა, არამედ ყოველი აუცილებელი პირობა, ე.ი. ისეთი პირობა, ურომლისოდაც მოვლენა – შედეგი არ წარმოიშვებოდა.

ეს დებულება ძალაში რჩება მაშინაც, როცა საქმე შეეხება ადამიანის ქცევის საზოგადოებრივად საშიში შედეგის წარმოშობას.

ადამიანი ყოველთვის დროისა და ადგილის გარკვეულ პირობებში მოქმედებს. გარემოებანი, რომლებიც მოქმედების დროს არსებობდნენ ან შემდეგ შეუერთდნენ მოქმედებას, უეჭველად ზეგავლენას ახდენენ მიზეზობრივი კავშირის განვითარებაზე ამა თუ იმ მიმართულებით. ცხადია ამიტომ, რომ ადამიანის მოქმედება არასდროს არ არის ერთადერთი მიზეზი ობიექტურ გარესამყაროში განხორციელებული ცვლილებისა. „რამდენადაც დამნაშავე არასდროს არ მოქმედებს ამა თუ იმ შემთხვევაში არსებული, ადგილისა და დროის პირობებისაგან დამოუკიდებლად, – ლაპარაკობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტი ი. რენებერგი, – ეს პირობები მეტად თუ ნაკლებად განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენენ დამნაშავეის მიერ ამოძრავებული მიზეზობრივი ჯაჭვის ყველა რგოლის კონკრეტულ მსვლელობაზე და მიზეზობრივი კავშირიც საბოლოო ანგარიშში ამ პირობებზეა დამოკიდებული“<sup>1</sup>.

აქედან დასკვნა: თუ ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, ე.ი. თუ მან სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო საზოგადოებრივად საშიში შედეგის წარმოშობას, ეს საკმარისია, რომ ვცნოთ მიზეზობრივი კავშირის არსებობა ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. ამ შეხედულებას საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში

<sup>1</sup> И. Реннеберг, Объективная сторона преступления, М., 1957, стр. 61.

იზიარებენ პროფ. ა. ნ. ტრანინი<sup>1</sup> და პროფ. ვ. ნ. კუდრიავეცი<sup>2</sup>, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურაში — პროფ. ი. ლექშასი<sup>3</sup> და ი. რენებერგი<sup>4</sup>, აგრეთვე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს ავტორები<sup>5</sup>. ი. ლექშასმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ თეზისში — *conditio sine qua non*, რომელშიც, მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს ზემომოტანილი დებულება და რომელიც ეკვივალენტური თეორიის მიმდევრებს მათ მიერ წამოყენებულ დებულებად მიაჩნიათ, არაფერი არ არის იდეალისტური, რომ ეს თეზისი უფრო ადრე გამოთქმული იყო ფილოსოფოს-მატერიალისტთა, კერძოდ, ჰობსის მიერ და რომ ამ თეზისს იყენებდნენ მარქსი და ენგელსიც თავიანთ შრომებში<sup>6</sup>.

3. მაგრამ როგორ უნდა დადგინდეს, რომ ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელი პირობა იყო?

ადამიანის ქცევა მაშინ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელ პირობად, როდესაც ქმედობის გარეშე შედეგი არ განხორციელდებოდა. ხოლო იმის დასადგენად, განხორციელდებოდა თუ არა საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოქმედების გარეშე, შეიძლება გამოვიყენოთ ქმედობის აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი, ეი. ჩენს წარმოდგენაში დაუშვათ, რომ ეს ქმედება ადამიანს არ ჩაუდგია. თუ ასეთი აზრობრივი გამორიცხვისას აღმოჩნდება, რომ შედეგი მაინც დადგებოდა, თანაც დადგებოდა სწორედ იმ დროს და იმ სახით, როგორც იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მოქმედება არ ყოფილა მიზეზობრივ კავშირში შედეგთან. ხოლო, პირიქით, თუ აღმოჩნდება, რომ მოქმედების არარსებობის შემთხვევაში შედეგი ან სრულიად არ დადგებოდა ან სხვა დროს თუ სხვა წესით დადგებოდა, ვიდრე იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ადასტურებს,

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Состав преступления по советскому уголовному праву, М., 1951, стр. 107-108.

<sup>2</sup> В. Кудрявцев, Ответственность за причинение преступных последствий по советскому уголовному праву, М., 1953, стр. 37.

<sup>3</sup> იხ. J. Lekschas, op. cit.

<sup>4</sup> И. Реннеберг, Объективная сторона преступления, М., 1957, стр. 60-75.

<sup>5</sup> იხ. Lehrbuch des Strafrechts der DDR, Allgemeiner Teil, Berlin, 1957, S. 342 f.f.

<sup>6</sup> J. Lekschas, op. cit., p. 24-25.

რომ ადამიანის მოქმედება იყო საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებელი პირობა, მისი *conditio sine qua non*<sup>1</sup>.

ზოგიერთი კრიმინალისტი, რომელიც აღიარებს, რომ ადამიანის მოქმედება მაშინ არის მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, როდესაც იგი მისი ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, *conditio sine qua non* იყო, უარს ამბობს აზრობრივი გამორიცხვის მეთოდზე. ასე, მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტიები პროფ. ი. ლექშასი და პროფ. ი. რენებერგი თვლიან, რომ ასეთი მეთოდი დაკავშირებულია მიზეზობრივი კავშირის იდეალისტურ გაგებასთან, რომლის მიხედვით იგი ჩვენი აზროვნების კატეგორიას წარმოადგენს<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი ისევე არ არის დაკავშირებული მიზეზობრივი კავშირის იდეალისტურ გაგებასთან, როგორც დებულება *conditio sine qua non*. აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი მხოლოდ დამხმარე, ტექნიკური ხერხია იმის დასადგენად, განხორციელდებოდა თუ არა შედეგი ადამიანის მოქმედების გარეშე. ამ მეთოდის მეშვეობით მიზეზობრივი კავშირის დადგენა გულისხმობს ადამიანთა წინასწარი გამოცდილების, მათ მიერ დაგროვილი ცოდნის გამოყენებას. განა ასეთი წინასწარი გამოცდილების გამოყენებაზე არ მიგვიითიუბს ფ. ენგელსი, როდესაც წერს: „როცა თოფში საფეთქს, წამალსა და ტყვიას ვდებთ, ვისვრით და მოველით ცლით წინასწარ ცნობილ ეფექტს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ ყველა მისი დეტალებით ანთების, წვისა და აირად უეცარი გარდაქმნის გამო აფეთქების მთელ პროცესს, აირის წნევას ტყვიაზე. და აქ სკეპტიკოსს უკვე აღარ შეუძლია თქვას, რომ ადრინდელი ცდიდან არ გამოძინარეობს, რომ შემდეგშიც ასე იქნება“<sup>3</sup>. თუ ჩვენ წინასწარი გამოცდილებიდან უკვე ვიცით განსაზღვრულ მოვლენათა მიზეზები, სრულიადაც არ არის საჭირო ყოველთვის გაკვირვორით ცდა. საკმარისია მხოლოდ ჩვენს აზროვნებაში აღვადგინოთ

<sup>1</sup> ასევე ესმის აუცილებელი პირობის არსი პროფ. ვ. კულრავეცკეს, მისი აზრით ეს ისეთი პირობაა, რომლის გარეშე შედეგი არ დადგებოდა (იხ. В. Н. Кудрявцев, *объективная сторона преступления*, М., 1960, стр. 195).

<sup>2</sup> იხ. J. Lekshas, *op. cit.* p. 25 ი. რენებერგი, *ციტ. ნაშრ.*, გვ. 59-60.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 236.

იგი. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ თოფში ჩადებული არ იყო ტყვია, ეი აზრობრივად გამოვრიცხავთ მიზეზობრივი დამოკიდებულებიდან ტყვიას, ადვილად შეიძლება დავადგინოთ, რომ თოფი არ გაისვრის, მაშასადამე, თოფში ტყვიის ჩადება არის *conditio sine que non* გასროლისა. აზრის სწორედ ასეთ ოპერაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც აზრობრივი გამორიცხვის მეთოდს ვიყენებთ.

აზრობრივი გამორიცხვის მეთოდს ზოგიერთი კრიმინალისტი იმ მოსაზრებით უარყოფს, რომ მისმა პრაქტიკულმა გამოყენებამ შეიძლება არასწორ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანოს. ასე, მაგალითად, საბჭოთა ცივილისტი ბ. ს. ანტიმონოვი ამტკიცებს, რომ ასეთმა მეთოდმა მკვლევარი შეიძლება „მძიმე და ხშირად სასაცილო მდგომარეობაშიც ჩააყენოს“<sup>1</sup>.

ეჭვს გარეშეა, რომ ცალკეულ შემთხვევებში იმის დადგენა, განხორციელდებოდა თუ არა საზოგადოებრივად საშიში შედეგი ადამიანის მოქმედების გარეშე, შეიძლება ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდეს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ჩვეულებრივად მიმართავს ექსპერტს, რომელსაც სპეციალური ცოდნისა და წარსული გამოცდილების საფუძველზე შეუძლია პასუხი გასცეს ამ კითხვაზე. როგორც სწორად მიუთითებს პროფ. ვ. კულდრიაეცკევი, მოსამართლეს შედარებით იშვიათად უხდება ექსპერტისათვის მიმართვა მიზეზობრივი კავშირის დასადგენად. ჩვეულებრივად, „საქმის გარემოებანი იმდენად მარტივია, რომ მოსამართლე მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის შეიძლება დასჯერდეს მიზეზშედეგთა ჯაჭვიდან იმ გარემოების აზრობრივ გამორიცხვას, რომლის როლიც მან უნდა შეამოწმოს“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> Б. С. Антимонов, К вопросу о понятии и значении причинной связи в гражданском праве. „Труды научной сессии ВКЮН 1-6 июля 1946 г.“, М., 1948, стр. 74. აზრობრივი გამორიცხვის მეთოდის მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი აგრეთვე ი. სამოშჩენკოც, რომლის აზრით მისი გამოყენების დროს, ჩვენ უფრო „უპარჩილობთ“, ვიდრე რეალურ მეთოდს ვიყენებთ. იხ. И. Самошенко, К вопросу о причинности в области юридической ответственности, „Вопросы общей теории советского права“, М., 1960, стр. 380.

<sup>2</sup> В. Н. Кудрявцев, Ответственность за причинение вредных последствий по советскому уголовному праву. М., 1953, стр. 37.

წმ. მიზეზობრივ ფაქტორთა არატოლფასოვნება და მისი მნიშვნელობა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დადგენისათვის

იმ დებულების წინააღმდეგ, რომ ადამიანის მოქმედება მაშინ არის მიზეზობრივ კავშირში საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, როდესაც იგი მისი ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, ილაშქრებს ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი.

პირველად ყოველსა, მიუთითებენ, რომ თეზისი *conditio sine qua non* საერთოდ უვარგისია ერთი მოვლენის მეორე მოვლენისაგან წარმოშობის ასახსნელად, რომ ეს თეზისი არსებითად გვიხსნის არა მიზეზობრივ დამოკიდებულებას ორ მოვლენას შორის, არამედ საერთო ურთიერთკავშირს და ურთიერთზემოქმედებას. კერძოდ, სისხლის სამართალში ამ თეზისმა შეიძლება განუსაზღვრებლ მიზეზობრიობამდე მიგვიყვანოს, ვინაიდან რაიმე მოვლენის აუცილებელი პირობა თვით არის შედეგი სხვა აუცილებელი პირობისა და ა.შ. უსაზღვრობამდე, ამ თეზისის საფუძველზე, — მიუთითებენ დებულების — *conditio sine qua non*-ის მოწინააღმდეგენი, — ადამიანის სიკვდილი მიზეზობრივ კავშირშია არა მარტო თოფის გასროლასთან, არამედ მკვლელის დაბადებასთანაც. ან კიდევ უფრო შორს რომ წავიდეთ, — თოფის წამლის გამოგონებასთანაც, ვინაიდან თოფის წამალი რომ გამოგონებული არ ყოფილიყო, კაცი მისგან არ მოკვდებოდა.

ეს კრიტიკული მოსაზრება მიმართულია არა მარტო სისხლის სამართალში აუცილებელი პირობის დებულების გამოყენების წინააღმდეგ, არამედ საერთოდ თვით პრინციპის — *conditio sine qua non*-ის წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ მეცნიერების ყოველი დარგი მისთვის საინტერესო მიზეზობრივ დამოკიდებულებათა გამოკვლევისას იყენებს აუცილებელი პირობის ცნებას. ეს ნათლად ჩანს ფ. ენგელსის სიტყვებიდანაც, რომ მოძრაობა შეიძლება გადატანილ იქნას ერთი სხეულიდან მეორე სხეულზე, თუ განზორციელდა ყველა აუცილებელი პირობა და რომ ერთ-ერთი აუცილებელი პირობის არარსებობის შემთხვევაში მოძრაობის გადატანა არ მოხდებოდა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 293.

რა თქმა უნდა, ყოველი მოვლენა, რომელიც რაიმე მოვლენის შედეგაა, თავის მხრივ სხვა მოვლენის წარმომშობ მიზეზად იქცევა, ხოლო ყოველი მოვლენა, რომელმაც მეორე მოვლენა გამოიწვია, თავის მხრივ სხვა წინამორბედი მოვლენითაა გამოწვეული. ამ თვალსაზრისით მიზეზობრივი კავშირი უსაზღვროა და მსოფლიო ურთიერთზემოქმედებაში გადდის, მაგრამ მიზეზობრივი კავშირის დადგენა ყოველთვის გულისხმობს მიზეზ-შედეგის ხელოვნური იზოლირების პრინციპის გამოყენებას. რამდენადაც მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ განსაზღვრული მოვლენების მიმართ, რომლებიც ხელოვნურად იზოლირებული არიან მსოფლიო ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედებისაგან, ამდენად მას საზღვარი უდევს.

მაგრამ სად უნდა მოვებნოთ საზღვარი სისხლის სამართალში, როდესაც ვაღვნთ ადამიანის მოქმედების მიზეზობრივ დამოკიდებულებას საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, რამდენადაც უნდა შევიჭრათ მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში და სად უნდა შევწყვიტოთ ჩვენი გამოკვლევა? ცხადია, ჩვენ არ გვჭირდება ისე შორს წასვლა, რომ ვიკვლიოთ დამნაშავეის დაბადება ან თოფის წამლის გამოგონება როგორც მკვლელობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, ვინაიდან ამ აქტებთან სისხლის სამართალს არავითარი კავშირი არა აქვს. რამდენადაც სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის საკითხს ვიკვლევთ, ამდენად ჩვენი შეჭრა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში წინასწარაა განსაზღვრული ამ ამოცანით. მიზეზობრივი რგოლის გამოკვლევა წყდება იქ, სადაც იგი აღარ წარმოადგენს არავითარ ინტერესს სისხლის სამართლისათვის, ე.ი. სადაც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალეულობა უკვე აღარ შეიძლება ივარაუდებოდეს.

„აუცილებელი პირობის“ თეორიის მომხრეების აზრით, ბრალის პრინციპის მოშველიება ყოველთვის არ შევლის საქმეს და შეიძლება მითითებულ იქნას შემთხვევები, როდესაც „აუცილებელი პირობის“ თეორიის გამოყენებას შეუძლია მიგვიყვანოს არასწორ პრაქტიკულ დასკვნამდე. ამ აზრით დასაბუთებისათვის მოჰყავთ შემთხვევების ორი კატეგორია:

1. დამნაშავე განზრახ ჩაიდენს მოქმედებას, რომლითაც სურს გამოიწვიოს საზოგადოებრივად საშიში შედეგი. პირისათვის სასურველი

შედეგი მართლაც განხორციელდება, მაგრამ სულ სხვაგვარად, ვიდრე ეს დამნაშავეს ჰქონდა გათვალისწინებული. მაგალითად, ვინმემ მოკვლის განზრახვით ესროლა თავის მტერს და ფეხში მსუბუქად დაჭრა, დაჭრილი გარდაიცვალა მომვლელთა დაუდევრობით (ცუდი მკურნალობით სისხლი მოეწამლა). მიუთითებენ, რომ ასეთ და ანალოგიურ შემთხვევებში, როდესაც ადამიანის სიკვდილის უშუალო მიზეზი იყო თვით დაზარალებულის ან მესამე პირთა ან ბუნების ძალთა მოქმედება ან დაზარალებულის განსაკუთრებული ფსიქიკური ან ფიზიკური თავისებურებანი, არასწორი იქნება, რომ პირი მიცემული იქნას პასუხისმგებლობაში დამთავრებული მკვლელობისათვის, ხოლო ასეთი დასკვნა გარდაუვალად გამომდინარეობს აუცილებელი პირობის თეორიიდან.

ასეთ შემთხვევაში ჩვენი სასამართლო პრაქტიკა, როგორც დავინახეთ, ხშირად უარყოფს მიზეზობრივი კავშირის არსებობას. გავიხსენოთ სსრკ უმაღლეს სასამართლოს პლენუმის დადგენილება ი.ს.საქმეზე. ი.-მ მოკვლის განზრახვით დანით დაჭრა უ.ჭრილობა ხუთი-ექვსი სანტიმეტრით იყო დამორებული გულიდან. ეს ჭრილობა სასამართლომ ჩათვალა სხეულის მძიმე, სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებად. დაჭრილი საავადმყოფოში მიიყვანეს და სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციის დროს გამოირკვა, რომ თუმცა დაზარალებულს ღრმა ჭრილობა ჰქონდა მიყენებული მნიშვნელოვან სასიცოცხლო ორგანოებში, მაგრამ არც ერთი ეს ორგანო დაზიანებული არ აღმოჩნდა. ავადმყოფს ოპერაცია იმ მიზნით გაუკეთეს, რომ შეემოწმებინათ გულ-მუცლის ღრუს მდგომარეობა. მაგრამ უ.გარდაიცვალა ასფიქსიით, რომელიც ნარკოზის მიცემის შედეგად იყო გამოწვეული. პლენუმმა ი.დამნაშავედ ცნო მკვლელობის მცდელობაში. „რამდენდაც ი.-ს მოქმედება — უ.-ს დანით დაჭრა, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებოდა მის სიკვდილთან, — ეს მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს არა როგორც დამთავრებული დანაშაული — მკვლელობა, არამედ როგორც მკვლელობის მცდელობა“<sup>1</sup>.

პლენუმის საბოლოო დასკვნა სწორია, მაგრამ იყო თუ არა საჭირო ამ სწორი დასკვნის მისაღებად მიზეზობრივი კავშირის ხელოვნურად

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1961, N 4, стр. 10-11.



შეზღუდა, ე.ი. პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის მოთხოვნა, რასაც, როგორც დაინახეთ, ზოგჯერ შეუძლია გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უსაფუძვლო უარყოფა – ჩვენი აზრით, არა!

აღნიშნული კაზუსის ანალიზი შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანს:

1) ი.-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია უ-ს სიკვდილთან, ვინაიდან ეს მოქმედება რომ არ ყოფილიყო, შედეგი არ განხორციელდებოდა; 2) ეს მოქმედება ამავე დროს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგოა; 3) დაბოლოს, ი. მოქმედებდა უ-ს მოკვლის განზრახვით, ე.ი. ითვისწინებდა თავისი მოქმედების შედეგად უ-ს სიკვდილს და სურდა კიდევაც ასეთი შედეგი. და მაინც ი. პასუხს არ აგებს დამთავრებული მკვლელობისათვის. მაგრამ არა იმიტომ, რომ უ-ს სიკვდილი მიზეზობრივ კავშირში არ არის ი.-ს მოქმედებასთან, არამედ იმიტომ, რომ ი.-ს განზრახვა არ მოიცავს კონკრეტულ შედეგს – ე.ი. უ-ს სიკვდილს ნარკოზის მიღებით გამოწვეული პირისღებინების შედეგად. ეს სულ სხვა კონკრეტული შედეგია, ვიდრე ის, რომელსაც ი. ითვისწინებდა და რომელიც მას სურდა. საქმე ის არის, რომ განზრახვისათვის საჭიროა, რათა პირი ითვისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარების ძირითად რგოლებს, რამდენადაც ი. არა თუ არ ითვისწინებდა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ასფიქსიის ჩართვას, არამედ არც შეეძლო გაეთვალისწინებინ იგი, ამდენად მან პასუხი უნდა აგოს არა დამთავრებული მკვლელობისათვის, არამედ მკვლელობის მცდელობისათვის<sup>1</sup>.

2. შემთხვევათა მეორე კატეგორია, რომელთა გადაწყვეტა, „აუცილებელი პირობის“ თეორიის მოწინააღმდეგეთა აზრით, ამ თეორიას არ ძალუძს, ის შემთხვევებია, როდესაც პირს სურს, რომ დანაშაულებრივი შედეგი სრულიად არაჩვეულებრივი გზით განხორციელდეს. და მოვლენათა საოცარი დამთხვევის გამო შედეგი მართლაც იმ გზით განხორციელდა, როგორც ამას დამნაშავე ნატრობდა. მაგალითად, მამინაცვალი ჭექა-ქუხილის დროს გზავნის თავის გერს ტყეში ძროხების მოსარეკად იმ იმედით, რომ ტყეში მუხი ჩამოვარდება და გერს მოკლავს. მოვლენათა არაჩვეულებრივი დამთხვევის გამო მართლაც ასე მოხდა. ან სიძე ზღვის კურორტზე საგზურს უყიდის თავის სიდედრს

<sup>1</sup> ამ საკითხზე დაწერილებით იხ. თავში ბრალის შესახებ.

იმ იმედით, რომ სიღვდრი ზღვაში დაიხრჩობა, სიღვდრი ზღვაში მარ-  
თლაც დაიხრჩო.

„აუცილებელი პირობის“ მიხედვით, — ამტკიცებენ მისი მოწინააღმ-  
დეგენი, — მამინაცვლის და სიძის პასუხისმგებლობა მკვლევლობისათვის  
დასაბუთებულია. გერი რომ მამინაცვალს ტყეში არ გაეგზავნა ან სიძ-  
ეს სიღვდრი რომ ზღვაზე არ გაეგზავნა, ასეთი შედეგი არ განხორ-  
ციელდებოდა. განზრახვაც არის, ვინაიდან დანაშაულებრივი შედეგი  
სწორედ ისე განხორციელდა, როგორც ეს დამნაშავეს ჰქონდა წარ-  
მოდგენილი და სურდა.

ასეთი საყვედური „აუცილებელი პირობის“ თეორიის მიმართ დაუს-  
აბუთებელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასუხისმგებლობის საკითხი  
არ წყდება მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის დადასტურებით, არამედ  
მისთვის აუცილებელია მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა  
და ბრალის არსებობაც. მიზეზობრივი კავშირი და ბრალი წარმოად-  
გენენ მომენტებს, რომლებიც ზღუდავენ პასუხისმგებლობას. მხოლოდ  
სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ყველა წანამძღვრის არსე-  
ბობის შემთხვევაში შეიძლება მიღწეულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილე-  
ბანი, რომლებიც საბჭოთა მართლმსაჯულების პრაქტიკულ მოთხოვ-  
ნილებებს და კომუნისტური მორალის მოთხოვნას შეესაბამებიან.

ზემოთმოტანილ მაგალითებში — თავიც რომ დავანებოთ მათ ხე-  
ლოვნურ ხასიათს — არ არსებობს არც მოქმედების საზოგადოებრივი  
საშიშროება და არც ბრალი.

შეეჩერდეთ თავდაპირველად საზოგადოებრივ საშიშროებაზე. სა-  
ბჭოთა სისხლის სამართალი როდი სცნობს საზოგადოებრივად საში-  
შად ადამიანის ისეთ ქცევას, რომელმაც სრულიად უმნიშვნელო როლი  
შეასრულა შედეგის წარმოშობაში და მხოლოდ მოვლენათა არაჩვეუ-  
ლებრივი დამთხვევის წყალობით ჩაბმულია როგორც აუცილებელი  
პირობა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში. სისხლის სამართლის  
ნორმები ვერ შესძლებდნენ ნამდვილად და რეალურად შეესრულები-  
ნათ დანაშაულთა თავიდან აცილების ამოცანა, ვერ მოახდენდნენ მო-  
ქალაქეებზე ზემოქმედებას მათი ქცევისათვის სწორი მოტივების შე-  
ქმნის მეშვეობით, თუ ისინი ისეთ ქცევასაც აკრძალავდნენ, რომელ-  
იც ზიანის განხორციელების სრულიად მინიმალურ, ობიექტურად

გაუთვალისწინებელ შესაძლებლობას შეიცავს. სისხლის სამართალი რომ ასეთ მოქმედებასაც უწევდეს ანგარიშს და მასაც უკავშირებდეს პასუხისმგებლობას, ეს მეტიმეტად შეზღუდავდა მოქალაქეთა თავისუფლებას. ადამიანი იძულებული იქნებოდა თავი შეეკავებინა ყოველგვარი, თუნდაც ყოველად უწყინარი, თუნდაც საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებისაგან იმის შიშით, ვაი თუ ამ მოქმედებას გარემოებათა რაიმე, ძნელად წარმოსადგენი, არარეალური, არაჩვეულებრივი დამთხვევის გამო მძიმე შედეგი მოყვესო. ადვილი წარმოსადგენია, რა უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა ასეთი შეხედულება სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე.

მამასადამე, ადამიანის მოქმედება არ შეიძლება ცნობილ იქნას საზოგადოებრივად საშიშად ყოველთვის, როდესაც იგი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო. იმისათვის, რომ ქცევა საზოგადოებრივად საშიშად ჩათვალოს, აუცილებელია იგი ამასთან ერთად შედეგისათვის ხელისშეწყობის განსაზღვრულ ხარისხს აღწევდეს. აქ ჩვენ მივიღვართ კაუზალური არატოლფასოვნების პრინციპამდე, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთ დებულებას წარმოადგენს, და ვრწმუნდებით, რომ ამ პრინციპს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დადგენისათვის.

იბადება კითხვა: როგორი უნდა იყოს შედეგისათვის ხელისშეწყობის ის მინიმალური ხარისხი, რომელიც საკმარისია ადამიანის ქცევის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის?

რამდენადაც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების საკითხი სისხლის სამართლის წმინდა პრაქტიკული საკითხია, ამდენად იგი სისხლის სამართლის ამ პრაქტიკული საჭიროების შესაბამისად უნდა გადაწყდეს. სახელდობრ, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ადამიანის ისეთი მოქმედება, რომელიც თუმცა შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო როლი შეასრულა მანე შედეგის წარმოშობაში, რომ პრაქტიკულად მისი მონაწილეობა არ შეიძლება ანგარიშგასაწევი იყოს. ეს კი თავის მხრივ მაშინ არსებობს, როცა მოქმედება მისი ჩადენის მომენტში არ ჰქმნიდა რეალურ შესაძლებლობას ზემოქმედება მოეხდინა მოვლენათა

ფაქტიურ მსვლელობაზე. ავიღოთ ზემოთ მოტანილი მაგალითები: მამინაცვლის მიერ ჭექა-ქუხილის დროს გერის ტყეში გაგზავნა ან სიძის მიერ სიდედრის ზღვაზე გაგზავნა. განა შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მოქმედებანი მათი ჩაღენის მომენტში შეიცავდნენ სიკვდილის შესაძლებლობას, რომ მათი მონაწილეობა შედეგის წარმოშობაში პრაქტიკული თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია? — რა თქმა უნდა, არა, თუ ჩვენ რეალურ შესაძლებლობაზე ვილაპარაკებთ და არა ფორმალურ შესაძლებლობაზე, რომლის თვალსაზრისით შესაძლებელია ყოველივე, რაც არ შეიცავს ისეთ ლოგიკურ წინააღმდეგობას, როგორცაა რკინის ხე ან მაგარი სითხე. შესაძლებელია, რომ ხვალ მთვარე დაეცეს დედამიწას ან თურქეთის სულთანი ერთ მშვენიერ დღეს რომის პაპი გახდეს. მაგრამ სისხლის სამართალი როგორც პრაქტიკული მეცნიერება ასეთ შესაძლებლობას ანგარიშს ვერ გაუწევს. ტყეში გაგზავნილი კაცის მეხისაგან სიკვდილი ან ზღვაში დახრჩობით კურორტზე გაგზავნილი კაცის სიკვდილი იმდენად დაუჯერებელია, რომ არავის არ შეუძლია წინასწარ ივარაუდოს ამ გზით კაცის მოკვლა, ამიტომ თუ ასეთი ფანტასტიკური დამთხვევა მაინც მოხდა, ეს არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც პირის მიერ დასახული მიზნის რეალურად განხორციელება.

ჩვენი მსჯელობის ნათელსაყოფად საკმარისია ერთგვარად შევცვალოთ პირველი, ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითი: მამინაცვალი, რომელსაც სურს თავიდან მოიცილოს გერი, ჭექა-ქუხილის დროს მიაბამს მას მაღალი მთის სადგურის მწვერვალზე მდგომი შენობის მეხამრიდზე. აქ კაცის სიკვდილისათვის ხელის შეწყობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პირველ მაგალითში: მეხის ჩამოვარდნა სწორედ ამ ადგილას უკვე აღარ იქნება რაღაც ფანტასტიკური დამთხვევა სასურველისა და რეალობისა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეის მოქმედება მისი ჩაღენის მომენტში შეიცავდა მოვლენათა მსვლელობაზე ზემოქმედების შესაძლებლობას სწორედ იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ეს მსვლელობა ფაქტიურად წარიმართა.

ამრიგად, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების უკიდურეს საზღვარს წარმოადგენს მოქმედების მიერ შექმნილი შესაძლებლობა მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე ზემოქმედების მოხდენისა.

პირიქით, თუ მოქმედების მონაწილეობა შედეგში იძენად უმნიშვნელოა, რომ იგი არ ქმნის შედეგის იმ გზით წარმოშობის რეალურ შესაძლებლობას, რა გზითაც იგი ფაქტიურად განხორციელდა, მოქმედება ვერ ჩაითვლება საზოგადოებრივად საშიშად, თუნდაც იგი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყოს.

ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითებში არ შეიძლება ვილაპარაკოთ არც განზრახვაზე სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით.

განზრახვა არ შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც პირი ვერ იყარაუღებს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას, ვინაიდან არა აქვს რეალური შესაძლებლობა ზემოქმედება მოახდინოს მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაზე. პირი შეიძლება ოცნებობდეს ასეთ შედეგზე, მაგრამ თუ შედეგი მოვლენათა რაღაც არაჩვეულებრივი დამთხვევის გამო მაინც განხორციელდა, ეს იქნება არა სუბიექტის ნების რეალიზაცია, არამედ პირის ოცნებისა და სინამდვილის მოულოდნელი დამთხვევა.

განზრახვის ასეთი ცნება შეესაბამება საბჭოთა ფსიქოლოგიის მოძღვრებას ნდომის შესახებ. ფსიქოლოგიაში უბრალო სურვილს ანუ წადილს განასხვავებენ ნდომისაგან. სურვილი ნიშნავს უბრალო მისწრაფებას განსაზღვრული საგნისაკენ, როდესაც სუბიექტი ჯერ კიდევ არ ფიქრობს საშუალებებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ამ საგნის დაუფლება. პირიქით, ნდომას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც „მიზნის ცოდნას ემატება მისი რეალიზაციის განწყობა, დარწმუნება, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია, და წარმართვა მოქმედებისა შესაბამისი საშუალებების დაუფლებისათვის. ნდომა — ეს არის სწრაფვა არა თავისთავად სურვილის საგნისაკენ, არამედ მისი დაუფლებისაკენ, მიზნის განხორციელებისაკენ. ნდომა არის იქ, სადაც სასურველია არა მარტო მიზანი თავისთავად, არამედ მოქმედებაც, რომლითაც მას მივაღწევთ“<sup>1</sup>. მაშასადამე არ შეიძლება ვილაპარაკოთ ნდომაზე მაშინ, როდესაც ჩვენი სურვილის განხორციელებას დაუძლეველი დაბრკოლება ელოდება. „თუ ჩვენთვის რაიმე ძალიან ძველი შესასრულებელია ანდა სრულიად შეუსრულებელი, მაშინ ჩვენ კი არ გვინება ეს, არამედ გვსურს ან გვწაღია (желание, Wunsch).

<sup>1</sup> С. М. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 514.

ნებელობა მხოლოდ მას ეხება; რისი შესრულებაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული. ხოლო, რაც ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, ის ნებელობის საგანს არასდროს არ შეადგენს“<sup>1</sup>!

განზრახვა გულისხმობს იმ საშუალებათა შერჩევას, რომელთა მეშვეობით უნდა განხორციელდეს დანაშაულებრივი შედეგი. ნებით მოცული მხოლოდ ის შედეგი იქნება, რომელიც ნების ბატონობის სფეროში ძვეს, ე.ი. რისი მიღწევაც ადამიანისათვის ხელმისაწვდომია. პირიქით, ის, რაც ადამიანის ნების ბატონობის სფეროში არ შედის, რისი განხორციელებაც ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული, არ შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის განზრახვის საგანს.

მაშასადამე, განზრახვა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა პირი ითვალისწინებს, რომ მას შესაძლებლობა აქვს ჩაერიოს მოვლენათა ფაქტიურ მსვლელობაში და ზემოქმედება მოახდინოს მათზე. ხოლო გაუფრთხილებლობას შეუძლია ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა პირს შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მას თავისი მოქმედებით შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე.

თუ ამ თვალსაზრისით ზემოთმოტანილ მაგალითებს განვიხილავთ, მათში განზრახვის ელემენტებს ვერ აღმოვაჩენთ. არ შეიძლება ითქვას, რომ მაშინაცვალს, რომელიც ჭექა-ქუხილის დროს გერს ტყეში გზავნის, აქვს მისი სიკვდილის განზრახვა: იგი არ ითვალისწინებს გერის სიკვდილის რეალურ შესაძლებლობას, ასეთი შედეგი მის ნებაზე დამოკიდებული არ არის და ამიტომ იგი მისი წადილის და არა მისი ნების სფეროში ძვეს. იგივე ითქმის მეორე მაგალითზეც.

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ ბრალის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი. ზემოთმოტანილ მაგალითებში კი უკვე საზოგადოებრივი საშიშროების საკითხი გადაწყდა უარყოფითად.

---

<sup>1</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 147-148.

## §7. მიზეზობრივი კავშირის „გაწყვეტის“ საკითხი

მიზეზობრივი კავშირის განსაკუთრებით რთულ შემთხვევებს ის შემთხვევები წარმოადგენენ, როდესაც ერთი პირის საზოგადოებრივად საშიშ და ბრალეულ ქცევას უერთდება ან ბუნების ძალთა ან თვით დაზარალებულის ან მესამე პირთა მოქმედება, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაზე და არსებითად სხვა მიმართულებით წარმართავს ამ განვითარებას.

ასეთ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადასაჭრელად ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი მიმართავს ეგრეთ წოდებულ „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ცნებას. „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ცნება სხვადასხვა კრიმინალისტს სხვადასხვაგვარად ესმის, ზოგს უფრო ფართოდ, ზოგს კი უფრო ვიწროდ.

სახელდობრ, ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ცნება არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვინმე დანაშაულებრივი განზრახვით რაიმე მოქმედებას იღენს, მაგრამ ვიდრე ეს მოქმედება პირის მიერ ნასურვებ შედეგს გამოიწვევდა, იგივე შედეგი განხორციელდება სხვა, ახალი პირის მოქმედებისაგან დამოუკიდებელი მიზეზით. მაგალითად, ა.-მ სასიკვდილოდ დაჭრა ბ., მაგრამ ვიდრე ბ. მოკვდებოდა, მას პირველი მოქმედებისაგან საესეებით დამოუკიდებლად, ესერის გ. და იქვე კლავს. „ასეთ შემთხვევებში, — ლაპარაკობს ს. პოზნიშევი, — ერთი შედეგის მიზეზობრივობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაიწყო მაგრამ იგი გაწყვიტა სხვა ძალამ, რომელმაც მსგავსი შედეგი გამოიწვია“<sup>1</sup>.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორი არ არის. ასეთ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის საკითხი თავდაპირველად მოქმედი პირის — ა.-ს მოქმედებასა და ფაქტიურად დამდგარ შედეგს (ბ.-ს სიკვდილი გ.-ის ტყვეობით) შორის არც უნდა აღძრულიყო, რადგან ა.-ს მოქმედება არ წარმოადგენს ბ.-ს სიკვდილის აუცილებელ პირობას. ა.-ს მოქმედება რომ არც ყოფილიყო, ასეთი შედეგი მაინც დადგებოდა იმავე წესით და იმავე გზით, როგორც ფაქტიურად დადგა.

<sup>1</sup> С. В. Познышев, Основные начала науки уголовного права, М., 1912, стр. 335.

წარმოდგენა „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ შესახებ, როგორც ჩანს, წარმოშობილია ყალბ ნიადაგზე: ჯერ კითხულობენ, შეეძლო თუ არა პირველ მოქმედებას თავისთავად გამოეწვია დანაშაულებრივი შედეგი – და ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებენ, შემდეგ ამ წარმოდგენილ მიზეზობრივ კავშირს აიგივებენ ნამდვილ მიზეზობრივ კავშირთან და, ბოლოს, შემდგომ შემოერთებულ პირობას განიხილავენ როგორც ძალას, რომელმაც გაწყვიტა უკვე არსებული მიზეზობრივი კავშირი. ამრიგად ასეთი მსჯელობის დროს ნამდვილი მიზეზობრივი კავშირი შეცვლილია შესაძლებელი მიზეზობრივი კავშირით.

თავისთავად ცხადია, რომ თუ მიზეზობრივი კავშირი არსებობდა არა სინამდვილეში, არამედ მხოლოდ მსჯელობის სუბიექტის წარმოდგენაში, არც მის გაწყვეტაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ამიტომ კრიმინალისტთა უმრავლესობა, თვით ისინიც კი, ვინც საერთოდ მომხრეა „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ცნებისა, ზემოთმოტანილ შემთხვევაში უარყოფს „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტას“.

„მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტას“, მათი აზრით, ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც თავდაპირველი მოქმედება წარმოადგენდა ფაქტიურად განხორციელებული შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, მაგრამ ახალ გარემოებათა ჩარევის გამო მიზეზობრივი კავშირის განუთარებამ გადაუხვია დასახულ გზას. მოვიტანოთ მაგალითები:

ა) ა. სასიკვდილოდ დაჭრის ბ.-ს და მას უგონო მდგომარეობაში ტოვებს ტყეში, სადაც მას კლავს მენი;

ბ) ა. დაჭრის ბ.-ს, უკანასკნელი ბოლვის მდგომარეობაში მოიგლეჯს ბინტს, რომლითაც შეხვეულია ჭრილობა და სისხლის დენით კვდება;

გ) ა. დაჭრის ბ.-ს, უკანასკნელი მიმართავს დახმარებისათვის ექიმს, მაგრამ ექიმის მიერ სანიტარული წესების დაუცველობის შედეგად ბ.-ს სისხლი ეწამლება და კვდება;

დ) ა. დაჭრის ბ.-ს და უმწეო მდგომარეობაში ტყეში ტოვებს, გ. სარგებლობს ბ.-ს უმწეო მდგომარეობით და ჰკლავს მას.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ა.-ს მოქმედება არის მავნე შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, *conditio sine qua non*, ა.-ს რომ ბ. არ დაეჭრა, შემოერთებული მეორე გარემოება მავნე შედეგს ამ სახით ვერ გამოიწვევდა. პირველმა გარემოებამ განაპირობა მეორე



გარემოების მოქმედების შესაძლებლობა, ხოლო ამ უკანასკნელმა – საბოლოოდ განხორციელებული შედეგი. მაგრამ შედეგი განხორციელდა არა უშუალოდ პირველი პირის მოქმედებით, არამედ ახალი დამოუკიდებელი ძალების შემოერთებით, რომლებსაც მოქმედების მომენტში პირველი პირი არ ითვალისწინებდა.

„მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ თეორიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ შემდგომ შემოერთებული ძალა, რომელმაც მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობა სულ სხვა მიმართულებით წარმართა, წყვეტს მიზეზობრივი კავშირის არსებობას პირველ მოქმედებასა და შედეგს შორის, რომ პირველი მოქმედება არ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს „ქმედით პირობას“ (ბრკაძე), „მიზეზს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით“ (ბარი), „პირობას, რომელიც შეიძლება სათვალავში იქნეს მიღებული“ (ლიპმანი) და ა.შ.

„მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ცნება ასახულია იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის 41-ე მუხლში, რომლის სათაურია „მიზეზთა შეერთება“, ნათქვამია:

„წინამორბედ, ერთდროულ ან შემდგომ შემოერთებულ მიზეზთა შეერთება, თუნდაც ეს მიზეზები დამოკიდებული არ იყვნენ დამნაშაის მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე, არ გამორიცხავს მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა თუ უმოქმედობასა და შედეგს შორის.

შემდგომ წარმოშობილი მიზეზები მხოლოდ მაშინ გაწყვეტენ მიზეზობრივ კავშირს, როდესაც მართო ისინი საკმარისი იყვნენ შედეგის წარმოსაშობად. ასეთ შემთხვევაში, თუ წინასწარი მოქმედება ან უმოქმედობა თავისთავად დანაშაულებრივი ქმედობაა, მომარჯვებული უნდა იქნას ამ უკანასკნელისათვის გათვალისწინებული სასჯელი.

ზემოთმოტანილი დებულებანი გამოყენებულ უნდა იქნან იმ შემთხვევაშიც, როდესაც წინასწარ, იმავდროულ ან შემდგომ შემოერთებულ მიზეზს სხვა პირის უკანონო მოქმედება წარმოადგენს“.

ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტას“ ნებისყოფის მეტაფიზიკური თავისუფლებით ასაბუთებს. ამტკიცებენ რა, რომ ადამიანის ნებელობითი მოქმედება აბსოლუტურად არაფრით არ არის დეტერმინირებული, ისინი იბულებული არიან აღი-

არონ, რომ ადამიანის ყოველი ნებელობითი მოქმედება წყვეტს მანამდე არსებულ მიზეზობრივ კავშირს და დასაბამს აძლევს ახალ მიზეზობრივ ჯაჭვს. ასეთ მნიშვნელობას შერაცხადი ადამიანის ნებელობით მოქმედებას მიაწერენ. ასე, მაგალითად, ფ. ლისტი მიუთითებდა, რომ გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსით, რომელიც ნებისყოფის თავისუფლების იდეას მისდევს, „შერაცხადი პირის თავისუფალი და განზრახი მოქმედება სამართლისათვის ყოველთვის მიზეზთა ახალი დამოუკიდებელი რიგის წარმოშობას ნიშნავს და იგი გამორიცხვს მიზეზობრივ კავშირს ნებისყოფის პირველ განხორციელებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის“<sup>1</sup>.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში წამოყენებული იყო მეორე დებულება, რომლითაც ზოგიერთ კრიმინალისტს სურდა შეეცვალა „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ცნება. ეს დებულება „რეგრესის აკრძალვის“ სახელწოდებითაა ცნობილი. თეორია, „რეგრესის აკრძალვის“ შესახებ არ უარყოფს მიზეზობრივი კავშირის არსებობას პირველ მოქმედსა და საბოლოო მავნე შედეგს შორის და უკვე აღარ ამტკიცებს, რომ სხვა ადამიანის შემოერთებული მოქმედება ყოველთვის ახალ მიზეზობრივ ჯაჭვს იწვევს. ამის მაგიერად იგი ამტკიცებს, რომ გერმანულ კანონმდებლობას „სურს შეზღუდოს მოქმედების სისხლის-სამართლებრივი შეფასება და ამ მიზნით იგი მოითხოვს რეგრესიის აკრძალვას იმ აზრით, რომ განსაზღვრულ მიზეზებს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას არ მიაწერენ“<sup>2</sup>. ასევე რ. ფრანკის აზრით, მიზეზად სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არ უნდა ჩაითვალოს პირობა, რომელიც წინ უსწრებდა შედეგის წარმოშობაზე თავისუფლად და შეგნებულად (ე.ი. ბრალეულად) მიმართულ პირობებს<sup>3</sup>.

„მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ან „რეგრესიის აკრძალვის“ თეორიებმა, თუ ისინი თანმიმდევრულად იქნებიან გამოყენებული, უნდა აღიარონ მიზეზობრიობის გაწყვეტა ან აკრძალონ რეგრესი პირვანდელი მოქმედებისადმი არა მარტო მაშინ, როცა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ჩაბმულია სხვა პირის განზრახი მოქმედება,

<sup>1</sup> Ф. Лист, Учебник уголовного права, Общая часть, М., 1903, стр. 133.

<sup>2</sup> Liszt – Schmidt, Lehrbuch des deutschen Strafrechts, Berlin, 1927, S. 160.

<sup>3</sup> R. Frank, Das Strafgesetzbuch für das Deutsche Reich, 18, Auflage, 1931,

არამედ ყოველთვის, როცა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ჩაება შერაცხადი პირის თავისუფალი ნებელობითი მოქმედება. მაგრამ ამ შემთხვევაში აღნიშნული თეორიები დაუძლეველი დაბრკოლებების წინაშე აღმოჩნდებიან. მათ არ შეუძლიათ დაასაბუთონ პირის პასუხისმგებლობა არც ერთ შემთხვევაში, როდესაც იგი იყენებს შედეგის მისაღწევად სხვა შერაცხადი პირის მოქმედებას. მაგალითად, ა. სარგებლობს ბ.-ს ახლომხედველობით, დაარწმუნებს მას, რომ საგანი, რომელიც ბუჩქებს უკან მოსჩანს, კურდღელია და ურჩევს ამ საგანს თოფი ესროლოს. შერაცხადი ადამიანის თავისუფალი ნებელობითი მოქმედებით „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ დოგმის თვალსაზრისით აღიარებულ უნდა იქნას, რომ ა.-ს მოქმედებასა და კაცის სიკვდილს შორის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, იგი გაწყვეტილია ბ.-ს მოქმედებით. მაშასადამე, ა.-მ პასუხი არ უნდა აგოს კაცის მოკვლისათვის. ანალოგიური სიძნელე წარმოიშვება იმ შემთხვევაშიც, როდესაც შედეგი გამოწვეულია ორი პირის მოქმედებით ისეთ პირობებში, როცა თითოეულმა მათგანმა მეორე პირის მოქმედების შესახებ არაფერი არ იცის. აქ თითოეული მათგანის მოქმედების მიზეზობრივი კავშირი გაწყვეტილია მეორეს მოქმედებით, მაშასადამე, გამოდის, რომ არც ერთმა მათგანმა შედეგისათვის პასუხი არ უნდა აგოს. დაბოლოს, მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის თვალსაზრისით ძნელია თანამონაწილეთა (წამქეზებელთა და დამხმარეთა) პასუხისმგებლობის დასაბუთება, ვინაიდან ამსრულებლის მოქმედება ყოველთვის გაწყვეტს მიზეზობრივ კავშირს თანამონაწილეთა მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ თეორიას აღიარებდნენ პროფ. ა. ა. ჟიჟილენკო<sup>1</sup>, აგრეთვე პროფ. ა. პიონტკოვსკი<sup>2</sup> და პროფ. ა. ტრაინინი<sup>3</sup> თავიანთ ადრინდელ შრომებში.

<sup>1</sup> იხ. А. А. Жижиленко, Преступления против личности, М.-Л., 1927, стр. 15.

<sup>2</sup> იხ. А. А. Понотковский, Уголовное право, ч. общая, М., 1924, стр. 149; მსოფ. Советское уголовное право, т. 1, М., 1929, стр. 259; იხ. აგრეთვე „Учебник уголовного права, Общая ч.“, ВИЮН, М., 1943, стр. 20.

<sup>3</sup> А. Н. Трайнин, Уголовное право, ч. Общая, М., 1929, стр. 320-321.

„მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ წინააღმდეგ სამართლიანად გაილაშქრა პროფ. მ. დ. შარგოროდსკიმ, რომელმაც მიუთითა, რომ „ერთხელ წარმოშობილი მიზეზის მოქმედება, რომელიც დიალექტიკურად ვითარდება, არ შეიძლება შეწყდეს“<sup>1</sup>.

ამ დებულებას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ცნება შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. იგი, ერთი მხრივ, გულისხმობს, რომ მიზეზის მოქმედება უკვე დაიწყო, ხოლო, მეორე მხრივ, – რომ ეს მოქმედება არ ყოფილა, ვინაიდან შედეგის განხორციელებას ხელი შეუშალეს რაღაც ძალებმა. ამავე დროს თვით „მიზეზის“ ცნებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა არსებობს შედეგი, იმგვარადვე, როგორც „შედეგის“ ცნებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მიზეზის მიმართ. „მიზეზი, რომელიც არ მოქმედებს, მიზეზი არაა“ – მიუთითებდა ფ. ენგელსი<sup>2</sup>.

აქედან ცხადია, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტის“ ცნება არ შეიძლება არსებობდეს. აღამიანის მოქმედება ან არის მიზეზობრივ კავშირში საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან, – და მაშინ არავითარ შემოერთებულ გარემობას არ ძალუძს იგი გაწყვიტოს, ან იგი არ არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან, – ხოლო ამ შემთხვევაში უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტაზე, ვინაიდან მიზეზობრივი კავშირი სრულიად არ არსებობდა.

ის შემთხვევები, რომლებშიც ბურჟუაზიული კრიმინალისტები „მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტას“ ხედავენ, პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლების შესაბამისად უნდა გადაწყდეს: პირი პასუხს აგებს მანვე შედეგისათვის, თუ მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიში და ბრალეული იყო.

ავიღოთ მაგალითად, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ჩართულია ბუნების ძალთა მოქმედება. როგორც უკვე მითითებული იყო, დანაშავე თავისი დანაშაულებრივი მიზნის განსახორციელებლად იყენებს ბუნების კანონებს და ამიტომ მიზეზობრივი

<sup>1</sup> М. Д. Шаргородский, Причинная связь в уголовном праве, „Ученые труды ВЮОН“, вып. X, 1947, стр. 199.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 262.

კავშირის დადგენის დროს ამ კანონზომიერებათაგან აბსტრაგირება დაუშვებელია. თუ ეს კანონზომიერებანი სწორედ იმ მიმართულებით მოქმედებენ, რომლებიც მათ დამნაშავეის მოქმედებამ განზრახ მისცა, რა თქმა უნდა, არავის არ მოუვა თავში ამტკიცოს მიზეზობრივი კავშირის „გაწყვეტა“, ასეთ „გაწყვეტაზე“ მხოლოდ მაშინ მიუთითებენ, როცა ბუნების ძალთა მოქმედება სულ სხვა მიმართულებით წავიდა, ვიდრე ეს დამნაშავეს გათვალისწინებული ჰქონდა ან შეეძლო გაეთვალისწინებინა.

ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: ჩხუბის დროს კ.-მ თავში ჩაარტყა რ-ს აგური და ამით სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა, მაგრამ დაზარალებულის ორგანიზმში მსუბუქი ჭრილობის მეშვეობით მოხვდა ტეტანოსის ბაცილა და ავადმყოფი გარდაიცვალა<sup>1</sup>. კ.-ს მოქმედება ასეთი შედეგის ერთერთი აუცილებელი პირობა იყო: რომ მას რ.-სათვის აგური არ ესროლა და იგი მსუბუქად არ დაეჭრა, ჭრილობაში აგურიდან ტეტანოსის ბაცილა არ შევიდოდა, დაზარალებული არ მოკვდებოდა. მაგრამ კ.-მ არ შეიძლება პასუხი აგოს არც განზრახი და არც გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის, ვინაიდან ასეთი შედეგი მისი ბრალით მოცული არ არის: კ. არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მის მიერ მიწიდან აღებულ აგურზე ტეტანოსის ბაცილა იქნებოდა და იგი რ-ს მოკლავდა. მაშასადამე პასუხისმგებლობის საკითხი წყდება არა მიზეზობრივი კავშირის, არამედ ბრალის საფუძველზე.

ზოგჯერ მიზეზობრივი კავშირის გარკვეული მიმართულებით წარმართვას ხელს უწყობს თვით დაზარალებულის გაუფრთხილებელი მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ დაზარალებულის ბრალზე. როგორ უნდა გადაწყდეს პასუხისმგებლობის საკითხი დაზარალებულის ბრალის დროს?

ამ კითხვაზე ასე უნდა ვუპასუხოთ: დაზარალებულის ბრალი თავის-დათავად არ გამორიცხავს მიზეზობრივ კავშირს დამნაშავეის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. დაზარალებულის ბრალის დროს პირის პასუხისმგებლობა შეიძლება გამორიცხულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მოქმედება არ იყო საზოგადოებრივად

<sup>1</sup> „Сборник определенных уголовной кассационной коллегии Верховного Суда РСФСР 1925 г.“, вып. I, М., 1925, стр. 77-79.

საშიში ან ბრალეული. ხოლო თუ პირს, მიუხედავად დაზარალებულის ბრალისა, შეეძლო გაეთვალისწინებინა საზოგადოებრივად საშიში შედეგი, იგი დაზარალებულის ბრალის მიუხედავად, მაინც აგებს პასუხს.

ავიღოთ მაგალითები, როცა პასუხისმგებლობა გამოირიცხულია. ბ. აშრობდა სადგომის კედლებს მანგალის მეშვეობით. მან გააფრთხილა ჩ., რომ სადგომიდან გასულიყო. ჩ. მართლაც გავიდა ოთახიდან, მაგრამ შემდეგ, მიუხედავად გაფრთხილებისა, დაბრუნდა და მშუთრისაგან გარდაიცვალა<sup>1</sup>.

სოფელ ხურდალეთიდან ბაქოსაკენ სატვირთო ავტომანქანა მიღიოდა, ავტომანქანის გაჩერების დროს შოფერ გ.-სთან მივიდა მოქალაქე კ. და სთხოვა, იგი ოჯახითურთ ბაქოში წაეყვანა. გ. დათანხმდა. როდესაც კ.-ს საცხოვრებელ სახლს მიუახლოვდნენ, კ.-მ არ დაუცადა მანქანის გაჩერებას, ისე ჩამოხტა და მანქანას უკანა ბორბლებში ჩაუვარდა. მძიმე დაზიანების შედეგად კ. გარდაიცვალა<sup>2</sup>.

ორივე შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი არსებობს. მანგალის მეშვეობით სადგომის კედლების გაშრობა პირველ შემთხვევაში, ავტომანქანის მართვა მეორე შემთხვევაში დაზარალებულთა სიკვდილის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, მაგრამ არც ბ.-სა და არც გ.-ს მოქმედება არ იყო საზოგადოებრივად საშიში და ბრალეული. ამიტომ არც ერთი მათგანი პასუხს არ აგებს ადამიანის სიკვდილისათვის.

მაგრამ, თუ მიუხედავად დაზარალებულის ბრალისა, პირი მართლ-საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და თანაც შესაძლებლობა ჰქონდა საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელება გაეთვალისწინებინა, იგი პასუხს აგებს ამ შედეგისათვის. მოვიტანოთ ამის საილუსტრაციო მაგალითი. შ. მიცემული იყო პასუხისგებაში იმისათვის, რომ სადგურზე მორიგეობის დროს თვალყურს არ ადევნებდა შეშის გადმოტვირთვას, ამიტომ ვერ შენიშნა, რომ სადგურის გზებზე შეშის დაწყობის დროს დარღვეული იყო გაბარიტი, რის გამოც ექვსი მგზავრი, რომელიც მატარებლის კიბეზე იდგა, დაზიანდა. სამხედრო ტრიბუნალმა მოსამზა-

<sup>1</sup> იხ. „Сборник постановлений Пленума и определенний коллегий Верховного Суда СССР (1938 г. и 1-е полугодие 1939)“, М., 1940, стр. 103.

<sup>2</sup> იხ. „Сборник постановлений Пленума и определенний коллегий Верховного Суда СССР (второе полугодие 1939 г.)“, М., 1941, стр. 106.

დებულ სხდომაზე შ.-ს მიმართ საქმის წარმოება მოსპო იმ საბაბით, რომ „თუმცა შემის დალაგების გაბარიტი დარღვეული იყო, მაგრამ ეს არ ჭნადა საფრთხეს მატარებლის მიმოსვლისათვის, ხოლო მგზავრებს ვაგონის კიბეზე დგომა აკრძალული აქვთ“<sup>1</sup>. სსრკ უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის სამხედრო კოლეგიამ სამხედრო ტრიბუნალის მოსამზადებელი სხდომის განჩინება გააუქმა და მიუთითა: „... სამხედრო ტრიბუნალმა თითონ სცნო, რომ სადგურის გზებზე შეშა გაბარიტის დარღვევით იყო დაწყობილი, ხოლო საქმის მასალით დადასტურებულა, რომ ამ დარღვევამ უბედური შემთხვევა გამოიწვია. ასეთ პირობებში ტრიბუნალს საფუძველი არ ჰქონდა საქმე მოესპო“<sup>2</sup>. როცა სამხედრო ტრიბუნალმა დადასტურა, რომ მ.-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება მიზეზობრივ კავშირში იყო ადამიანის დაზიანებასთან, იგი ვალდებული იყო გამოეკვლია ბრალის საკითხი, ე.ი. შეეძლო თუ არა შ.-ს გაეთვალისწინებინა, რომ მგზავრების ერთი ნაწილი მატარებლის სადგურთან მიახლოებისას, შეიძლება გამოვიდეს ვაგონის კიბეზე და დაზიანდეს. აღსანიშნავია, რომ სსრკ უმაღლეს სასამართლოს სამხედრო რკინიგზის კოლეგიის დადგენილება გამოქვეყნებულია შემდეგი სათაურით: „დაზარალებულის გაუფრთხილებლობა არ ათავისუფლებს ბრალდებულს პასუხისმგებლობისაგან დარღვევისათვის, რომელმაც, თუნდაც დაზარალებულის გაუფრთხილებლობით, მძიმე შედეგები გამოიწვია, თუ ეს შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული, ბრალდებულს რომ თავის მხრივ წესები არ დაერღია“<sup>3</sup>.

ზოგჯერ დაზარალებულის გაუფრთხილებლობა ამსუბუქებს ბრალდებულის ბრალს და შესაბამისად სასჯელის შემსუბუქებასაც იწვევს. ასე, მაგალითად, მწველელ კ.-ს საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა კოლმეურნეობაში გაუფრთხილებლობით ხანძრის გაჩენა და ამით კოლმეურნეობისათვის დიდი ზარალის მიყენება, სსრკ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ნათქვამია: „მაგრამ სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო კ.-ს ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სახელდობრ ის, რომ თვით კოლმეურნეობას არ

<sup>1</sup> „Сборник постановлений Пленума и определенний коллегий Верховного Суда СССР 1943 г.“, М, 1948, стр. 75.

<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> იქვე.

დაუცავს ხანძრის საწინააღმდეგო ელემენტარული ღონისძიებანი; ფერმაზე არ იყო წყლით სავსე კასრები და სხვა ხელსაწყოანი, რისი მეშვეობითაც ხანძრის ლიკვიდაცია ადვილი იქნებოდა“<sup>1</sup>.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს პასუხისმგებლობის საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობა გართულებულია მესამე პირთა მოქმედებით, რომელიც დაკავშირებული არ იყო ბრალდებულის დანაშაულებრივ ქმედობასთან. მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

პ. ცნობილი იყო დამნაშავედ ზღვაოსნობის წესების დარღვევაში, რამაც გემების დაჯახება გამოიწვია. პ.-მ გაასაჩივრა ეს განაჩენი იმ მოტივით, გემების დაჯახებაში ბრალი მიუძღვის გემის კაპიტანსო სსრკ უმაღლეს სასამართლოს კოლეგიის განჩინებაში ამ საქმეზე ნათქვამია: „პ.-ს ეს მითითება უსაფუძვლოა, ვინაიდან, კიდევაც რომ დასტურდეს შემხვედრი გემის კაპიტანის შ.-ს ბრალი, ეს მაინც არ ხსნის ბრალს და პასუხისმგებლობას პ.-ს, რომელმაც უხეშად დაარღვია ნაოსნობის წესები...“<sup>2</sup>.

მაგრამ ცხადია, თუ პირველ მოქმედს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა მესამე პირთა მოქმედების ჩაბმა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, იგი პასუხს ვერ აგებს ბრალის არარსებობის გამო. განსაკუთრებით ძნელია მიზეზობრივი კავშირის განვითარების გათვალისწინება იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირთა მოქმედება განზრახია.

ამგვარად, საბოლოოდ შეიძლება ასეთ დასკვნამდე მივიდეთ:

მიზეზობრივი კავშირის „გაწყვეტის“ ცნება, რომელსაც ხშირად მიმართავენ ბურჟუაზიული კრიმინალისტები, ყალბი და საფუძველს მოკლებული ცნებაა. თუ მიზეზობრივი კავშირი უკვე არსებობდა, იგი არ შეიძლება ჩვთვალთ არარსებულად, ხოლო თუ იგი არ არსებობდა, არც შეიძლება გამწყდარიყო. შემთხვევები, რომლებსაც ბურჟუაზიული კრიმინალისტები მიზეზობრივი კავშირის „გაწყვეტის“ შემთხვევებით ასაბუთებენ, სინამდვილეში უნდა გადაწყდეს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალის საფუძველზე.

<sup>1</sup> „Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного Суда СССР 1943 г.“, 1948, стр. 193.

<sup>2</sup> იხ. „Сборник определенных уголовной кассационной коллегии Верховного Суда СССР 1943 г.“, М., 1948, стр. 75.



**დანაშაულის ობიექტური მხარე (გაბრაქლება)**

**მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივი  
უმოქმედობის დროს**

თავში დანაშაულებრივი ქმედობისა და მისი შედეგის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადამიანის ქცევა, რომელთანაც შეიძლება დაკავშირებულ იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც პოზიტიურ მოქმედებაში, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებაში. მოქმედებისაგან თავის შეკავება, ე.ი. უმოქმედობა თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა: წმინდა უმოქმედობად და შერეულ უმოქმედობად.

წმინდა უმოქმედობის დელიქტებს ლათინურად ეწოდებოდათ *delicta ommissiva*, ხოლო შერეული უმოქმედობის დელიქტებს – *delicta commissiva per omissionem*.

წმინდა უმოქმედობის დელიქტის ჩამდენი არღვევს მაგალბელ ნორმას. მაგალითად, პირი, რომელიც დახმარებას არ აღმოუჩენს განსაცდელში მყოფ პირს (მუხ. 130-ე), არღვევს ნორმას, რომელიც ავალბებს მას აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირს. შერეული უმოქმედობის დელიქტის ჩადენის დროს დაძნაშავე არღვევს როგორც ამკრძალავ, ისე მაგალბელ ნორმას. მაგალითად, დედა, რომელმაც საზრდო არ მისცა ახლადშობილს და ამით მოკლა იგი, არღვევს ამკრძალავ ნორმას – „არ მოკლა“ და ამავე დროს მაგალბელ ნორმას – „საზრდო მიეცი შვილს“.

წმინდა უმოქმედობის შემადგენლობის მაგალითებია: სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის თავის არიდება (მუხ. 81-ე), ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადთა გადახდისათვის თავის არიდება (მუხ. 83-ე). დანაშაულის განუცხადებლობა (მუხ. 90-ე, 206-ე), მოწმის ან ექსპერტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისათვის თავის არიდება (მუხ. 198-ე) და ა.შ.

თავისთავად ცხადია, დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებ-

ული მოვალეობის შეუსრულებლობა მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, როცა მოქმედების შესრულება პირისათვის შესაძლებელი იყო. თუ მოწმე იმიტომ არ გამოცხადდა სასამართლოში ჩვენების მისაცემად, რომ იგი ბოროტმოქმედებმა შეიპყრეს, იგი პასუხს არ აგებს, ვინაიდან მისი უმოქმედობა ფიზიკური ძალით არის გამოწვეული და მის ნებელობით ქცევას არ წარმოადგენს.

შერეული უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან იგი მიზეზობრივი კავშირის პრობლემასთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ზერელე განხილვის თვალსაზრისით სულ ერთია, დედამ მოახრჩო თავისი ძუძუმწოვარი შვილი, თუ შიმშილით მოკლა იგი; მაგრამ თეორიული თვალსაზრისით აქ მეტად რთული საკითხი იბადება: სახელდობრ, არის თუ არა დედის უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან თუ ეს უმოქმედობა მხოლოდ წმინდა იურიდიული თვალსაზრისით არის გათანაბრებული დანაშაულებრივი შედეგის მოქმედებით წარმოშობასთან?

## §1. უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში

დანაშაულებრივი უმოქმედობა სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი ცნებაა. მას რიგი სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია. ეს თავისებურებანი შეეხება არა მარტო უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს, არამედ მის მართლწინააღმდეგობასაც.

უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხის თეორიული დამუშავება ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერების აღმოცენებიდან იწყება<sup>1</sup>. შუა საუკუნეების დოქტრინა, იმდროინდელი პერიოდის სისხლის სამართლის მეცნიერების მდგომარეობის შესაბამისად, დანაშაულებრივ უმოქმედობას მხოლოდ ადამიანის პიროვნების წინააღმდეგ

---

<sup>1</sup> უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხის ისტორია და ძველი თეორიები დაწერილებით არის გადოცხადებული შემდეგ ნაშრომებში: Н. Д. Сергеевский, о значении причинной связи в уголовном праве, Т. II, Ярославль, 1880; Н. С. Таганцев, о преступлениях против жизни по русскому уголовному праву, СПб, 1873, т. 1, стр. 147-165; მისივე, Курс русского уголовного права, кн. I, СПб 1878, стр. 280-296.

მპართული დანაშაულის განხილვისას ეხებოდა. კანონიკური სამართლის ზეგავლენით, რომელიც დანაშაულს ცოდვასთან ათანაბრებდა, პირი, რომელიც ხელს არ შეუშლიდა მოყვასის სიკვდილს და ამით ქრისტიანული მორალის მოთხოვნას დაარღვევდა, ისევე ისჯებოდა, როგორც მკვლელი. დახმარების აღმოუჩენლობასა და უმოქმედობით სიკვდილის მიყენებას შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ამჩნევდნენ.

ბურჟუაზიულმა სისხლისსამართლებრივმა დოქტრინამ თავდაპირველად მოითხოვა იმ პირის პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რომელმაც ხელი არ შეუშალა მანვე შედეგის განხორციელებას.

ნაცვლად მოყვასის დახმარების ზოგადი მოვალეობისა, წამოყენებული იყო იდეა სპეციალური მოვალეობისა, რომელიც განსაზღვრული იურიდიული საფუძვლიდან უნდა გამომდინარეობდეს. ასე მაგალითად, ფოიერბახის შეხედულებით, დანაშაულებრივი შედეგის არაცდენას მხოლოდ მაშინ შეიძლება მოყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როდესაც პირი კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე მოვალე იყო იგი აეცდინა. ამრიგად, საკითხის სიძიძიე გადატანილი იყო უმოქმედობის მართლწინააღმდეგობაზე. ფოიერბახს საკითხი უმოქმედობის მიზეზობრიობის შესახებ არ დაუყენებია.

საკითხი უმოქმედობის დროს მიზეზობრივი კავშირის შესახებ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში პირველად ლიუდენმა დააყენა. ამის შემდეგ მრავალი ბურჟუაზიული კრიმინალისტი შეეცადა გადაეწყვიტა აღნიშნული საკითხი, მაგრამ, როგორც ღავინახავეთ, ყველა ეს ცდა უნაყოფო აღმოჩნდა ამოსავალი მეთოდოლოგიური წანამძღვრების მანკიერების გამო. ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა უმრავლესობას მიზეზობრივი კავშირი წმინდა მექანიკურად ესმოდა. აქედან დასკვნა: თვით უმოქმედობა, როგორც ასეთი, აბსოლუტური არარაობაა, მას არ ძალუძს რაიმე წარმოშვას. ამიტომ ისინი მიზეზობრივ მომენტს ეძებდნენ არა თვით უმოქმედობაში, არამედ ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ დადებით მოქმედებაში ან იმ პირის შინაგან პროცესში, რომელმაც ხელი არ შეუშალა დანაშაულებრივი შედეგის დადგომას.

ასე, მაგალითად, ლიუდენს მიაჩნდა, რომ მიზეზობრივი ხასიათი აქვს არა თავისთავად უმოქმედობას, არამედ მის თანმხლებ დადებით მოქმედებას, რომელიც დამდგარი შედეგის ქმედითი მიზეზია. ლიუდე-

ნის თეორიის უსუსურობა თვით ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა გამოავლინეს. ანეგლოტური სახით წარმოადგინა იგი კრუგმა, რომელმაც მოსწრებულად შენიშნა, რომ ლიუდენის თეორიის მიხედვით, თუ დღემ შეიღს ძუბუ არ აწოვა და ბავშვი მოკვდა, მისი სიკვდილის მიზეზად უნდა ჩაითვალოს დედის მიერ წინდის ქსოვა, თუ იგი ბავშვის სიკვდილის დროს ამ საქმეს აკეთებდა<sup>1</sup>.

უმოქმედობის მიზეზობრიობის ახსნის მეორე ცდა ეკუთვნის კრუგს, გლაზერსა და მერკელს. ისინი მიზეზობრიობას ხელავდნენ პირის იმ დადებით მოქმედებაში, რომელიც წინ უსწრებდა უმოქმედობას<sup>2</sup>.

აღნიშნული თვალსაზრისის წინააღმდეგ სერიოზული მოსაზრებები იქნა წამოყენებული. უპირველეს ყოვლისა აღინიშნა, რომ დადებით მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებდა უმოქმედობას, შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს ადგილი. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ასეთ მოქმედებას ადგილი აქვს, ეს თვალსაზრისი მაინც დიდ სიძნელეს ქმნის. ვთქვათ წინა, დადებითი მოქმედება, რომელსაც მიზეზობრივ ძალას მიაწერენ, ბრალის გარეშე იყო ჩადენილი, ხოლო პირს ბრალეული ფსიქიკური განწყობილება დაებადა შემდგომი უმოქმედობის დროს, რომელიც აღნიშნული ავტორების აზრით, მიზეზობრივ ძალას მოკლებულია? როგორ უნდა დაასაბუთონ ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა?

დასახელებული ავტორები ამტკიცებენ, რომ უმოქმედობის დროს წარმოშობილ განზრახვას უნდა მიეცეს უკუძალა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს წინა დადებითი მოქმედება და შემდგომი უმოქმედობა განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანობა.

შემდგომ წარმოშობილი განზრახვის წინა მოქმედებაზე გადატანა კქმნის ბრალის დაუსაბუთებელ პრეზუმეციას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ შეუძლებელია ერთ მთლიანობად განვიხილოთ დადებითი მოქმედება და შემდგომი უმოქმედობა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც თავისი ობიექტური, ისე სუბიექტური სტრუ-

<sup>1</sup> იხ. Н. Д. Сергеевский, о значении причинной связи в уголовном праве, Ярославль, 1880, т. II, стр. 87.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, Merkel-Liepmann, Die Lehre von der verbrechen und strafe, stuttgart, 1912, SS. 133-139.

ქუთით და რომლებიც შეიძლება ერთმანეთისაგან დაშორებულნი იყვნენ არა მარტო დროსა და სივრცეში, არამედ მთელი რიგი მათ შორის მდებარე მოქმედებებით.

დასასრულ, თუ უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობისათვის საფუძველი დამნაშავეის წინა დადებით მოქმედებაში ძვეს, აქედან ლოგიკურად გამოდინარეობს, რომ უმოქმედობა არ შეიძლება განხილული იქნას როგორც დანაშაულის ჩადენის დამოუკიდებელი ფორმა, უმოქმედობის პრობლემა საერთოდ უნდა მოიხსნას და ეს ცნება გაძვეებული უნდა იქნას სისხლის სამართლიდან. ასეთი დასკვნა მართლაც გააკეთა რევოლუციამდელმა რუსმა კრიმინალისტმა ი. ფოინიციკიმ. მისი შეხედულებით, პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ დადებით მოქმედებას, ხოლო უმოქმედობა დადებითი მოქმედების მარტოდენ ერთ-ერთი საფეხურია, რომელიც ამ ერთიანობის ნაწილს შეადგენს<sup>1</sup>.

ი. ფოინიციკიმ ვერ შეძლო თავიდან აეცილინა კრუგის, გლაზერისა და მერკელის თეორიის ნაკლოვანებანი და დაემტკიცებინა, რომ უმოქმედობას დამოუკიდებელი ხასიათი არა აქვს. ფოინიციკის თეორიის წინააღმდეგაც ძალას ინარჩუნებს ძირითადი შენიშვნა, რომელიც აღნიშნულ მეცნიერთა წინააღმდეგ იქნა წამოყენებული: არ შეიძლება ერთიანობაში განვიხილოთ ორი დამოუკიდებელი აქტი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თავიანთი ობიექტური ბუნებით, ისე პირის სუბიექტური დამოკიდებულებით თავისი ქცევისადმი.

უმოქმედობაში მიზეზობრიობის ელემენტის გამონახვის ცდა ეკუთვნის ე.წ. ინტერფერენციის თეორიას<sup>2</sup>. ამ თეორიის წარმომადგენელთა აზრით, უმოქმედობა მხოლოდ გარეგნულად გვეჩვენება უარყოფითად, სინამდვილეში იგი რაღაც დადებითს შეიცავს. ამ დადებით მომენტს ეს თეორია ადამიანის ფსიქიკურ სფეროში ეძებდა. უმოქმედობა გულისხმობს შედეგის თავიდან აცილებისკენ მიმართული ნებელობითი იმპულსის ჩახშობას, და ამ აზრით იგი კაუზალურია გარეგანი შედეგისათვის. ნებას რომ არ ებრძანებინა კუნთებისათვის შეეჩერებინათ

<sup>1</sup> იხ. И. Фойницкий, Мошенничество по русскому праву, ч. II, СПб, стр. 214-219.

<sup>2</sup> ამ თეორიის ძირითადი წარმომადგენლება ბური (იხ. M. Buri, Über die Begehung durch unterlassung, Leipzig, 1875) და განი (M. Gand, Du delit de comission par omission, Paris, 1900).

თავდაპირველად წარმოშობილი მოქმედების სტიმული, მაშინ პირველი ნებელობითი იმპულსი შედეგის წარმოშობას წინ გადაელობებოდა.

ინტერფერენციის თეორია სწორად ვერ გვისურათებს ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს. უმართებულაა, თითქოს ყოველთვის, როდესაც ადამიანი ხედავს, რომ ვინმე საფრთხეშია, მას აუცილებლად ებადება ამ საფრთხის აცდენის სურვილი. ჯერ ერთი, ასეთ სტიმულს შეიძლება სრულიად არ ჰქონდეს ადგილი, განსაკუთრებით, თუ ადამიანი ცივი ეგოისტია და სხვის გასაჭირს არაფრად აგდებს. მეორე, მართლაც რომ დაებალოს პირს ისეთ პირობებში მოქმედების სტიმული, იგი შეიძლება არ აღწევდეს ისეთ ინტენსიობას, რომ კუნთებს ესაჭიროებოდეს ნების ბრძანება მოქმედების სურვილის დასა-თრგუნავად. შეძლებ, ინტერფერენციის თეორია სრულიად უძლურია დაასაბუთოს მიზეზობრივი კავშირი გაუფრთხილებლობითი უმოქმედობის დროს, როცა მოქმედების სტიმული არც შეიძლება წარმოიშვას, ვინაიდან სუბიექტს საფრთხე სრულიად არა აქვს შეგნებული.

საერთოდ ინტერფერენციის თეორიას პრიმიტიულად აქვს წარმოდგენილი გადაწყვეტილების ჩამოყალიბების პროცესი. მოქმედების სტიმული მეტად იშვიათად გადაიქცევა ნებელობით იმპულსად. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც „ადამიანში წარმოშობილი ზრახვა არ იწვევს არავითარ შინაგან წინააღმდეგობას, ხოლო თვით იმ მიზნის განხორციელება, რომელიც ამ ზრახვას შეესაბამება — არავითარ გარეგან დაბრკოლებას“<sup>1</sup>. მაგრამ თუ წარმოშობილ ზრახვას სხვა მოტივების მხრივ დაბრკოლება გადაელობება, მაშინ იგი აღარ გადაიქცევა ნებელობით იმპულსად, გადაწყვეტილება გვიანდება და მოტივების ბრძოლა იწყება.

დასასრულს, თუ ინტერფერენციის თეორიას მივიღებთ, მაშინ პასუხისმგებლობა მთლიანად და მარტოოდენ დამოკიდებული უნდა იქნას სუბიექტის შინაგან ფსიქიკურ მდგომარეობაზე და არა მის გარეგან გამოვლინებაზე, რომელიც ყველა ჩამოთვლილ კომბინაციაში შეიძლება ერთნაირი იყოს.

ბინდინგმა სცადა ინტერფერენციის იდეა ადამიანის ფსიქიკის სფეროდან გარეგან სფეროში გადაეტანა. იგი უმოქმედობის მიზეზობრი-

<sup>1</sup> С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1946, стр. 515.

ობის მომენტის დასაბუთებისას გამოდის თავისი მიზეზობრიობის თეორი-  
დან, რომლის მიხედვითაც მიზეზს წარმოადგენენ დადებითი, ე.ი. შედეგის  
ხელშემწყობი პირობები, რომლებიც სძლევენ ნეგატიურ, ე.ი. შედეგის  
ხელშემშლელ პირობებს.

ბინდინგის შეხედულებით, დანაშაულებრივი უმოქმედობის დროს  
ადამიანის ყოფაქცევა ორ ძირითად აქტად იყოფა. პირველ აქტად  
ბინდინგი თვლის პირის აქტიურ მოქმედებას, რომელიც გულისხმობს  
როგორც დადებითი (ე.ი. შედეგის ხელშემწყობი), ისე უარყოფითი  
(ე.ი. შედეგის ხელშემშლელი) პირობების წარმოშობას. ასე მაგალ-  
თად, თუ კარგი მცურავი დაიყოლიებს ცუდ მცურავს მასთან ერთად  
გასცუროს ზღვაში, მისი მოქმედება დადებითი, ე.ი. მანე შედეგის  
ხელშემწყობი პირობაა, ვინაიდან ცუდ მცურავს ექმნება დახრჩობის  
საფრთხე, მაგრამ ამავე დროს იგი უარყოფითი პირობაცაა, ვინაიდან  
კარგ მცურავს გადაწყვეტილი აქვს მას დახმარება აღმოუჩინოს, ამ-  
რიგად, პირველ მოქმედებას ეძლევა ხელშემშლელი პირობის მნიშ-  
ვნელობა მანე შედეგისათვის ხელის შეშლის გადაწყვეტილების წყ-  
ალობით. მეორე აქტს წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგისათვის  
ხელის შეშლის გადაწყვეტილების მოსპობა. ეს აქტი გარეგნულად  
უმოქმედობის ფორმით ვლინდება. სინამდვილეში კი, ბინდინგის აზრით,  
იგი შეიცავს აქტიურ მიზეზობრივ მომენტს, რომელიც ხელშემშლე-  
ლი პირობის მოსპობაში გამოიხატება<sup>1</sup>.

ბინდინგის თეორია მრავალჯერ იყო გაკრიტიკებული თვით ბურ-  
ჟუაზიული სწავლულების მიერ. უპირველეს ყოვლისა მიუთითებდ-  
ნენ, რომ „ხელშემშლელ“ პირობას, ე.ი. ზიანის მიყენების თავიდან  
აცილების გადაწყვეტილებას შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს ადგ-  
ილი. მაგალითად, თუ მეისრე მოეწყობა სამსახურში თავიდანვე იმ  
განზრახვით, რომ ხელი არ შეუშალოს მატარებლის მარცხს, ასეთ  
შემთხვევაში „ხელშემშლელი პირობა“ არ გვექნება. ასე რომ, თუ  
მეისრემ ისარი არ გადასწია და მატარებლის მარცხი თავიდან არ  
აიცილა, უარყოფითი პირობის მოსპობას და მასთან ერთად უმოქმე-  
დობის მიზეზობრიობას ადგილი არ ექნება. ასეთი დასკვნის თავიდან

---

<sup>1</sup> იხ. K. Binding, Die Normen und ihre Übertretung, B. 2, Lipzig, 1916. SS. 546-608.

ასაცილებლად ბინდინგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მოცემულ შემთხვევაში შედეგს იწვევს დადებითი მოქმედება (სამსახურში მოწყობა), რომ აქ არსებობს არა დანაშაულებრივი უმოქმედობა, არამედ, დანაშაულებრივი მოქმედება. მაგრამ აქ თავს იჩენს ახალი სიძნელე: წარმოვიდგინოთ, რომ სამსახურში მოწყობისას მეისრეს განზრახული ჰქონდა მატარებლის ავარია გამოეწვია, ხოლო ავარიის მომენტში იგი ბოროტგანმზრახველებმა შეკრეს და მას არ ჰქონდა შესაძლებლობა ისარი გადაეწია. ბინდინგმა უნდა ცნოს მეისრის პასუხისმგებლობა დადებითი მოქმედებით მარცხის გამოწვევისათვის, რამდენადაც სამუშაოზე მოწყობისას მას განზრახული ჰქონდა ზიანის მიყენება, ხოლო მომდევნო ამბებს მნიშვნელობა არა აქვთ. დასასრულ, თუ უმოქმედობას მიზეზობრივი ხასიათი აქვს შინაგანი მომენტის წყალობით, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ბინდინგის თეორია მხოლოდ სიტყვიერად განსხვავდება ინტერფერენციის თეორიისაგან, სინამდვილეში კი ერთხვევა მას, ვინაიდან მიუთითებს არა იმ მომენტებზე, რომლებსაც გარესამყაროში აქვთ ადგილი, არამედ პროცესებზე, რომლებიც ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარეობენ.

ბინდინგის თეორიის ამ ნაკლის გამოსწორებას ნ. სერგეევსკი შეეცადა. მისი აზრით შედეგისათვის ხელის შეშლის გადაწყვეტილება, ე.ი. წმინდა ფსიქიკური აქტი, არ შეიძლება ჩაითვალოს „ნამდვილ ხელშემშლელ პირობად“. სერგეევსკი შეეცადა „ხელშემშლელი პირობა“ ობიექტურ სფეროში აღმოეჩინა. „ხელშემშლელ პირობად“ – ამტკიცებდა სერგეევსკი, – უნდა ჩაითვალოს „ადამიანის ძალთა ნამდვილი წარმართვა განსაზღვრული მიმართულებით, მისი ნამდვილი ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება“<sup>1</sup>. ასე მაგალითად, კარგმა მცურავმა მართო თავის გულში კი არ უნდა გადაწყვიტოს დაეხმაროს ცუდ მცურავს, არამედ დასაწყისში ნამდვილად უნდა ეხმარებოდეს მას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ უმოქმედობა სპობს მანევ შედეგის „ხელშემშლელ პირობას“ და მოქმედებაში შეჰყავს მანევ შედეგის ხელშემწყობი ძალები. ხოლო თუ პირი თავიდანვე არ უწევდა დახმარებას ცუდ მცურავს და უკანასკნელი დაიღუპა, აქ, სერგეევსკის

<sup>1</sup> Н. Д. Сергеевский, О значении причинной связи в уголовном праве, ч. II, стр. 156.



აზრით, შედეგი გამოწვეულია არა უმოქმედობით, არამედ მოქმედებით.

ამგვარად, სერგეევსკის აზრით, უმოქმედობას მხოლოდ მაშინ აქვს მიზეზობრივი ხასიათი, როდესაც იგი წყვეტს ადამიანის მოქმედებას, რომელიც მაგნე შედეგის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, და როდესაც ასეთი პირობის მოსპობამ აქტიური ძალა დაუბრუნა ადამიანის წინა დღებით მოქმედებას.

სერგეევსკის დამსახურება იმაშია, რომ იგი შეეცადა თვით უმოქმედობაში გამოენახა აქტიური, მიზეზობრივი მომენტი. ამასთან იგი ამას აკეთებს გონებამახვილურად და, ერთი შეხედვით, დამაჯერებლად. მაგრამ სინამდვილეში მისი ცდაც უნაყოფო აღმოჩნდა. იგი ემყარებოდა მექანიკურ მიზეზობრიობას. მექანიკური მიზეზობრიობის თვალსაზრისით კი უმოქმედობაში არ შეიძლება რაიმე ისეთი აქტიური მომენტი დაეინახოთ, რომელსაც შეეძლება მოსპოს გარემოში არსებული პირობები. უმოქმედობას არ შეუძლია შეცვალოს ძალთა მექანიკური თანაფარდობა, დაუბრუნოს წინა მოქმედებას ძალა. ამიტომ გამოთქმები: „უარყოფითი პირობის მოსპობა“ „წინა მოქმედებისათვის ძალის მიცემა“ და ა.შ. სერგეევსკისათვის მხოლოდ ხატოვანი გამოთქმებია, რომელთაც რეალური მნიშვნელობა არა აქვთ. ისინი რეალური შინაარსის მატარებლად მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, თუ სერგეევსკი დაემყარებოდა ადამიანის ქცევის განსაკუთრებულ კანონზომიერებას, სწორ წარმოდგენას ადამიანის ქცევის უნარზე ზემოქმედება მოახდინოს გარემოში მიმდინარე პროცესებზე.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში გაბატონებულია თეორია, რომელიც უარყოფს მიზეზობრივ კავშირს უმოქმედობის დროს. ეს თეორია იმ დებულებას ემყარება, რომ უმოქმედობა თავისთავად არარაობაა, რომ მას აქტივობა არ ახასიათებს და ამიტომ არც შეუძლია მექანიკური ზეგავლენა მოახდინოს.

ამ თეორიის წარმომადგენელთა შეხედულებით, იქ სადაც ლაპარაკობენ უმოქმედობის მიზეზობრიობაზე, საქმე გვაქვს არა მიზეზობრიობასთან, არამედ შედეგის დადგომის ხელშეუშლელობასთან: პირი არ ასრულებს განსაზღვრულ მოქმედებას, რომლის შესრულებასაც მას მართლწესრიგი ავალებდა და რომელსაც შეეძლო ხელი შეემალა მაგნე შედეგის დადგომისათვის. მაგნე შედეგს კი „ბუნებრივი,

მკანნიკური მიზეზობრიობის თვალსაზრისით იწვევს არა ის არარაობა, რასაც სინამდვილეში უმოქმედობა წარმოადგენს<sup>1</sup>, არამედ სულ სხვა, დადებითი, ქმედითი ძალები<sup>1</sup>.

ამ შეხედულების ყველაზე უფრო თანამიმდევარი წარმომადგენლები წინადადებას იძლევიან სავსებით გაძევებულ იქნას ტერმინი „მიზეზობრივი კავშირი“ დანაშაულებრივი უმოქმედობის სფეროდან და იგი შეიცვალოს ტერმინით „უმოქმედობის რელევანტობა“. ამგვარად, უმოქმედობის დროს პასუხისმგებლობის საფუძველად აცხადებენ არა უმოქმედობის მიზეზობრიობას, არამედ უმოქმედობის მართლწინააღმდეგობას: კანონი დანაშაულებრივი შედეგისათვის ხელის არშემშლას ათანაბრებს მის გამოწვევასთან, თუ პირს ჰქონდა მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება. ამის შესაბამისად, იკვლევენ, „როდის არის უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო, როდის არის შედეგისათვის ხელის არშემშლა გათანაბრებული მის გამოწვევასთან“<sup>2</sup>.

მაგრამ იბადება კითხვა: რატომ უთანაბრდება ზოგიერთ შემთხვევაში შედეგისათვის ხელშეუშლელი მიზეზობრიობას? რაში უნდა ვეძებოთ ასეთი გათანაბრების საფუძველი?

ამ საკითხზე შემდეგ პასუხს იძლევიან: უმოქმედობის დასჯადობას კანონი მიზეზობრიობის ანალოგიას მიმართავს ანდა უშვებს ისეთი კავშირის არსებობას, რომელიც შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც კვაზიმიზეზობრივი ურთიერთობა<sup>3</sup>. მაგრამ ასეთ მეთოდს არ შეიძლება მოვლენათა მეცნიერული ახსნის პრეტენზია ჰქონდეს. თურია, რომელიც უარყოფს რეალურ მიზეზობრივ კავშირს უმოქმედობას და დამდგარ შედეგს შორის და ფიქციას, ანალოგიას და სხვ. მისთ. მიმართავს, ყოველგვარ რეალურ ნიადაგს სცილდება და ფანტაზიის სფეროში გადადის.

---

<sup>1</sup> იხ. Э. Я. Немировский, Основные начала уголовного права, Одесса, 1917 г., стр. 407.

<sup>2</sup> გერმანულ ლიტერატურაში უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს უარყოფენ Ф. Лист. Учебник уголовного права, Общая часть, М., 1903, стр. 141; L. Tracger. Das Problem des Unterlassungsdelikte im Straf-und Zivilrecht, Marburg, 1913; K. Stooss, Lehrbuch des Oesterreichischen Strafrechts, Wienn und Leipzig, 1909. SS. 103-105; A. Graf zu Dohna, Der Aufbau der Verbrechenslehre, Bonn, 1936. SS. 11-14 და სხვ.

<sup>3</sup> იხ. ფ. ლისტის, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

ამრიგად, აღნიშნულმა თეორიამ ვერ შეძლო აეხსნა, თუ რაზეა დამყარებული შედეგის შერაცხვა იმ პირისათვის, ვინც ხელი არ შეუშალა მის განხორციელებას. უდავოა მხოლოდ ერთი ფაქტი: პირმა დაარღვია მოქმედების მოვალეობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ არის აგებული უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობა როგორც პასუხისმგებლობა შედეგისათვის და არა როგორც პასუხისმგებლობა მოვალეობის დარღვევისათვის.

## §2. უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში

საკითხი უმოქმედობის მიზეზობრიობის შესახებ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მართალია, ბევრი კრიმინალისტი და ცივილისტი ამ საკითხს დადებითად წყვეტს, მაგრამ ზოგიერთი საბჭოთა იურისტი კატეგორიულად უარყოფს ადამიანის უმოქმედობის კაუზალურ მნიშვნელობას. ასეთი შეხედულების არიან პროფ. მ. შარგოროდსკი და გ. ტიშეიკო, ხოლო სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში — პროფ. ბ. ანტიმონოვი და პროფ. ე. ფლეიშიცი. ამ ავტორთა შეხედულებით, უმოქმედობას, როგორც ასეთს, არაფერი არ შეუძლია გამოიწვიოს, პასუხისმგებლობა წარმოიშობა არა უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის გამო, არამედ იმის გამო, რომ პირმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა, არ განახორციელა ის მოქმედება, რომელიც მაინც შედეგს თავიდან აგვაცდენდა.

აღნიშნული ავტორები არ უარყოფენ იმას, რომ უმოქმედობა, ისევე, როგორც დადებითი მოქმედება, მოძრაობის განსაზღვრული ფორმაა. მაგრამ, მათი შეხედულებით, უმოქმედობაზე როგორც მოძრაობის ფორმაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როდესაც უმოქმედობას განვიხილავთ არა იზოლირებულად, არამედ მოვლენათა საერთო ურთიერთშემოქმედებაში. გამომდინარე იქიდან, რომ მიზეზსა და შედეგს აზრი აქვთ მხოლოდ საერთო ურთიერთშემოქმედებიდან იზოლირებული ორი მოვლენის მიმართ, ისინი ასეთ დასკვნას აკეთებენ: ასე იზოლირებულად განხილული უმოქმედობა არის ნული, სიცარილე, რომელსაც არაფერი შეუძლია წარმოშვას.

ასე მაგალითად, პროფ. ბ. ანტიმონოვი აცხადებს: „საესებით მარ-

თებულად მიუთითებენ, რომ როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა მოძრაობის მხოლოდ სხვადასხვა ფორმებია. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ასეთ შემთხვევაში მოძრაობა განიხილება იმ ფართო თვალსაზრისით, რომელიც ურთიერთზემოქმედების ცნებას შეესაბამება. ხოლო როდესაც ვიხილავთ ურთიერთზემოქმედების ნაწილაკს – ფაქტების ცალკეულ მიზეზობრივ ვაჭვს, – ჩვენ ნათლად უნდა ვხედავდეთ თვისობრივ განსხვავებას მოქმედებასა და მოქმედების არარსებობას, ე.ი. უმოქმედობას შორის<sup>1</sup>.

ასევე პროფ. მ. შარგოროდსკი აღიარებს, რომ თუ უმოქმედობას განვიხილავთ არა იზოლირებულად, არამედ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან კავშირში, სადაც უმოქმედობას ჰქონდა ადგილი, მაშინ უმოქმედობის მიზეზობრივი სასიათი უდავო აღმოჩნდება. „მაგრამ საქმე ის არის, რომ მიზეზი და შედეგი არსებობენ, და მათზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ორი მოვლენა გამოთიშულია ურთიერთზემოქმედებიდან – ხოლო მაშინ უმოქმედობა არაფერს არ იწვევს“<sup>2</sup>.

მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მიზეზისა და შედეგის იზოლირება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მიზეზს შეუძლია იმოქმედოს ადგილისა და დროის პირობების გარეშე. ეს იქნებოდა მიზეზობრივი კავშირის მეტაფიზიკური გაგება. მარქსიზმის კლასიკოსები არასდროს არ იხილავენ მიზეზობრივ კავშირს მოვლენათა ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთდაპირისპირებულობისაგან მოწყვეტით პირიქით, „მხოლოდ ამ უნივერსალური ურთიერთმოქმედებიდან – აბობს ენგელსი, – მივალთ ნამდვილ მიზეზობრივ ურთიერთობამდე“<sup>3</sup>. მარქსიზმი გვასწავლის, რომ მიზეზობრივი კავშირის ცნებას აზრი აქვს მხოლოდ ორი მოვლენის მიმართ, რომლებიც იზოლირებულად არიან აღებული, მაგრამ მიზეზი და შედეგი არ წარმოადგენენ ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ, გაყინულ, უცვლელ ცნებებს. მიზეზისა და შედეგის ცნებებს მიმართებითი ხასიათი აქვთ. ის, რაც

<sup>1</sup> Б. С. Антимонов, Значение вины потерпевшего при гражданском правонарушении, М., 1951, стр. 144.

<sup>2</sup> М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы причинной связи в теории права, „Советское государство и право“, 1956 г., N 7, стр. 50.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 238.

ადგილისა და დროის ერთ პირობებში მიზეზია, სხვა პირობებში შეიძლება შედეგად იქცეს და პირიქით. ამრიგად, მიზეზისა და შედეგის ცნებები არათუ უპირისპირდებიან ურთიერთზემოქმედების პრინციპს, არამედ, პირიქით, გულისხმობენ მას, ამით კი ბათილდება ძირითადი მოსაზრება, რომელსაც აყენებენ უმოქმედობის მიზეზობრიობის წინააღმდეგ, ვინაიდან თვით ამ შეხედულებების მომხრენიც კი აღიარებენ, რომ თუ უმოქმედობას განვიხილავთ არა იზოლირებულად, არამედ სივრცისა და დროის განსაზღვრულ პირობებში, მაშინ ვერ უარყოფთ, რომ მას შეუძლია განსაზღვრული შედეგი გამოიწვიოს.

კრიმინალისტიები, რომლებიც უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს უარყოფენ, თვლიან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უმოქმედობა ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც დადებითი მოქმედების შედეგის წარმოშობა. ასეთი გათანაბრების საფუძველს, ისინი მოქმედების სამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ხედავენ.

მაგრამ აღნიშნული კრიმინალისტიები ვერ ხსნიან, რატომ არის, რომ უმოქმედობა ზოგჯერ ისევე ისჯება, როგორც საზოგადოებრივად საშიში შედეგის წარმოშობა, ხოლო სხვა შემთხვევაში კანონმდებელი სჯის საჯალდებულო მოქმედების შეუსრულებლობას როგორც დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს და არ შეურაცხავს პირს შედეგს, რომელიც ამ მოქმედების შესრულებით შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო. დანაშაულთა უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგალითად, დანაშაულის განუცხადებლობა, როდესაც სისხლის სამართლის კანონი მოვალეობას აკისრებს პირს შეატყობინოს სათანადო ორგანოს დანაშაულის ჩადენის შესახებ (მუხ. 206-ე), დახმარების აღმოუჩენლობა პირისათვის, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა (მუხ. 130-ე) და ა.შ

უმოქმედობის მიზეზობრიობის უარყოფამ თანმიმდევრულად უნდა მივიყვანოს მიზეზობრივი კავშირის უარყოფამდე ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ვინმე დადებითი მოქმედებით სპობს იმ ძალას, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივად საშიში შედეგის ასაცდენად. განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები: ბოროტმოქმედი ხელფენს შეუკრავს რკინიგზის დარაჯს, რომელიც ამის გამო ვერ ახერხებს მძანქანის გაფრთხილებას საფრთხის შესახებ. ამას შედეგად მოყვება

მატარებლის ავარია; გაძარცვის ერთ-ერთი თანამონაწილე გაიტყუებს მაღაზიის დარაჯს ან გაართობს მას ბანქოს თამაშით თუ საინტერესო საუბრით, რითაც სარგებლობენ დანარჩენი თანამონაწილენი და მაღაზიას ძარცვავენ. თუ უარყოფთ უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს, მაშინ შეუძლებელი იქნება მიზეზობრივად დავაკავშიროთ იმ პირის აქტიური მოქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა სხვა პირს თავისი მოვალეობა შეესრულებინა, და დამდგარი დანაშაულებრივი შედეგი, ვინაიდან ამ მოქმედებასა და შედეგს შორის ჩართულ უმოქმედობას, რომელიც „სიცარიელეს“ ქმნის, მიზეზობრივი ჯაჭვი უნდა გაეწყვიტა.

პროფ. მ. შარგოროდსკი მართლაც აკეთებს ასეთ დასკვნას. „განსაზღვრული დამოკიდებულება შედეგთან, — ამბობს იგი, — შეიძლება გამომდინარეობდეს არა მარტო იქიდან, რომ ადამიანი თავისი მოქმედებით იწვევს შედეგს ან თავისი უმოქმედობით უშვებს მის დადგომას, არამედ იქიდანაც, რომ სუბიექტის მოქმედება სპობს იმ დაბრკოლებას, რომელიც წინ ელობებოდა შედეგის განხორციელებას. მაგალითად, თუ ა.-მ დააკავა მილიციელი, რომელსაც სურდა ხელი შეეშალა ბ.-სათვის გ.-ის მკვლელობაში, ა. უეჭველად ხელს უწყობს შედეგის განხორციელებას<sup>1</sup>. თითქოს ამ სიტყვებით პროფ. შარგოროდსკიმ აღიარა ა.-ს მოქმედების მიზეზობრივი ხასიათი. მაგრამ შემდეგი წინადადებით მან ეს სწორი დებულება თვითონვე გააბათილა: „მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქაც, ისევე, როგორც უმოქმედობის დროს, მიზეზობრივ კავშირზე ლაპარაკი შეუძლებელია, და საკითხი იმგვარადვე უნდა გადაწყდეს, როგორც უმოქმედობისას<sup>2</sup>. მაშასადამე, შარგოროდსკის აზრით, პირმა, რომელმაც ხელი შეუშალა სხვა პირს თავისი მოვალეობა შეესრულებინა და მაუნე შედეგი აეცდინა, პასუხი უნდა აგოს აგრეთვე მოვალეობის შეუსრულებლობისათვის და არა მაუნე შედეგის გამოწვევისათვის. მაგრამ შარგოროდსკის ავიწყდება, რომ ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითებში იმ პირებს, ვინც ხელს უშლიდა სხვებს თავისი მოვალეობის შესრულებაში, თვითონ არავითარი სპე-

<sup>1</sup> М. Д. Шаргородский, Причинная связь в теории права, „Ученые записки ВЮИОН“, вып. X, М., 1947, стр. 188.

<sup>2</sup> იქვე.

ციალური მოვალეობა არ ჰქონდათ დაკისრებული, მაღაზიის დაცვის ან ისრის გადაყვანის მოვალეობა აკისრია სპეციალურად დაქირავებულ დარაჯსა და მეისრეს და არა სხვა პირს; დანაშაულის თავიდან აცილების სპეციალური მოვალეობა აკისრია მილიციელს და არა ყოველ მოქალაქეს. მაშასადამე, ყველა ეს პირი, ვინც აქტიურად შეაფერხა დანაშაულებრივი შედეგის საწინააღმდეგო ძალა, დაუსჯელი უნდა დარჩეს: მის მოქმედებაში არ არის არც მიზეზობრივი კავშირი, არც საფუძველი მიზეზობრიობასთან გათანაბრებისა, ე.ი. სპეციალური მოვალეობა. ასეთ მიუღებელ დასკვნებს გაგვაკეთებინებს უმოქმედობის მიზეზობრიობის უარყოფა.

### §3. მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის

I. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, უმოქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის შეიძლება არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი<sup>1</sup>. ამ შეხედულებას იზიარებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტებიც<sup>2</sup>.

უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათის უარყოფა განპირობებულია მიზეზობრივი კავშირის გაიგივებით მექანიკურ მიზეზობრიობასთან. ვისაც მიზეზობრივი კავშირი ესმის მხოლოდ როგორც მექანიკური მიზეზობრიობა, მან, ბუნებრივია, უმოქმედობა ყოველთვის უნდა განიხ-

---

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, А. А. Пионтковский, Проблема причинности в праве, „Ученые записки ВЮОН и ВЮА“, М., 1949, стр. 88-89; მისვე „Учение о преступлении по советскому уголовному праву, М., 1961, стр. 299-300; В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1957, стр. 174-176; Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М., 1948, стр. 54-55; А. А. Герцензон, Уголовное право, Общая часть, М., 1948, стр. 299-300; В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, стр. 214; მისვე, Противоправное бездействие и причинная связь, „Советское государство и право“, 1967 г., N 5, стр. 28-36; მისვე, Причинность в криминологии, М., 1968, стр. 92-100.

<sup>2</sup> იხ. J. Lekschas, Die Lehre von der Handlung unter besonderer Berücksichtigung strafrechtliche Probleme, Berlin, 1953, SS. 31-32; I. Renneberg, Die objektive Seite des Verbrechens, Berlin, 1955, SS. 15-20; 30-33; Lehrbuch des Strafrechts der DDR, Allgemeiner Teil, 1957, SS. 330-333 და სხვ.

ილოს როგორც სიცარიელე, რომელსაც არ შეუძლია რაიმე წარმოქმნას. სინამდვილეში „საზოგადოების კანონები არ შეიძლება დაიფუძნოს მექანიკისა და ბიოლოგიის კანონებამდე, ვინაიდან საზოგადოებრივი განვითარების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ მას ადამიანთა შეგნებული ქცევა ამოძრავებს“<sup>1</sup>.

გასაგებია ამიტომ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაზღვრული გარემოებების არსებობისას უმოქმედობამ შეიძლება წარმოშვას და იგი მართლაც წარმოშობს მეტად სერიოზულ შედეგებს. „პირის უმოქმედობა განსაზღვრული პირობების არსებობისას არ არის „არარაობა“, არამედ განსაზღვრულ ქცევას წარმოადგენს“<sup>2</sup>. მართლაც, ძნელი არ არის დავრწმუნდეთ იმაში, რომ საზოგადოებრივ კანონზომიერებათა თვალსაზრისით უმოქმედობა ყოველთვის როდია არარაობა, სიცარიელე, არამედ ზოგჯერ განსაზღვრული შინაარსის მატარებელია, რაც გვაიძულებს ანგარიში გავუწიოთ მას, მივიღოთ იგი მხედველობაში, ეს ხდება მაშინ, როდესაც პირი არ ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც აუცილებელი იყო გარკვეული სოციალური კანონზომიერების განვითარების თვალსაზრისით და ამიტომ მოცემულ კონკრეტულ პირობებში მისგან მოსალოდნელი იყო.

ასე მაგალითად, ეჭვგარეშეა, რომ უმოქმედობა შეიძლება წარმოადგენდეს მოტივს, რომელმაც განსაზღვრა სხვა პირების ყოფაქცევა, მან შეიძლება აიძულოს ეს პირები რაიმე აქტიური მოქმედება შესრულონ.

მოვიტანოთ მაგალითი, როდესაც უმოქმედობა ფსიქიკურ ზეგავლენას ახდენს სხვა პირზე, ჰქმნის მისი მოქმედების მოტივს და ამით დანაშაულის ჩადენის ხერხი ხდება: გამყოლი არ აფრთხილებს უსინათლოს, რომ უფსკრულს უახლოვდება, მაშინ როდესაც უკანასკნელი მის გაფრთხილებას მოელოდა, უსინათლო გადადგამს ნაბიჯს უფსკრულისაკენ და იღუპება: რკინიგზის დარაჯი არ აძლევს მოახლოებულ მატარებელს გამაფრთხილებელ სიგნალს, რომ გზა თავისუფალი არ არის; მემანქანე, რომელიც ამის გამო ვარაუდობს, რომ გზა თავისუფალია, განაგრძობს სვლას და მეორე მატარებელს ეჯახება.

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, стр. 55.

<sup>2</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, стр. 227.



ორივე მაგალითში უმოქმედობა არ არის „არარაობა“, სიცარიელე, არამედ მას განსაზღვრული აზრი აქვს: იგი ქმნის მოტივს სხვა პირთა განსაზღვრული ქცევისათვის. როცა გამყოლი არ აფრთხილებს უსინათლოს, რომ იგი უფსკრულს უახლოვდება, მის ღუბილს იგივე მნიშვნელობა აქვს, გამყოლს რომ პირდაპირ ეთქვა — გზა საშიში არ არისო, სწორედ ასევე არავითარი განსხვავება არ არის იმ შემთხვევას შორის, როცა რკინიგზის ღარაჯი უჩვენებს მემანქანეს მწვანე ნიშანს, და იმ შემთხვევას შორის, როცა იგი მას წითელ ნიშანს არ უჩვენებს. გარკვეულ ურთიერთობათა სფეროში ორივე ამ გარემოებას საცესებით ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ისინი ერთნაირ შედეგებს იწვევენ.

მოტანილი შემთხვევები იმდენად ნათლად ცხადყოფენ უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს, რომ ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი, რომელიც საერთოდ უარყოფს უმოქმედობის მიზეზობრიობას, იძულებულია აღიაროს, რომ უმოქმედობა ზოგჯერ შეიძლება ფსიქიკურად მოქმედი მიზეზი გახდეს<sup>1</sup>, მაგრამ ეს ავტორები ივიწყებენ, რომ მოტანილ შემთხვევებს უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, რომ ეს შემთხვევები ადასტურებენ საერთოდ უმოქმედობის მიზეზობრიობას. საცესებით ნათელია, რომ თუ უმოქმედობას საერთოდ მიზეზობრივი ხასიათი არ ექნებოდა, მაშინ იგი არ გამოვლინდებოდა როგორც ფსიქიკურად მოქმედი მიზეზი.

უმოქმედობას შეიძლება ჰქონდეს მიზეზობრივი ხასიათი არა მარტო იმ მხრივ, რომ მოტივაციური ზემოქმედება მოახდინოს სხვა ადამიანის მოქმედებაზე; ამასთან ერთად უმოქმედობა შეიძლება ჩაერთოს მიზეზობრიობის საერთო ჯაჭვში, რომელიც ობიექტურ გარესამყაროში მიმდინარეობს. ავიღოთ ასეთი შემთხვევები: მოლარეს ავიწყდება სალაროს დაკეცვა, რის გამოც შენობაში შეპარული ქურდი

---

<sup>1</sup> ასე მაგალითად, ა. ღონა, რომელიც საზოგადოდ უარყოფს უმოქმედობის მიზეზობრიობას, ამავე დროს აღიარებს, რომ უმოქმედობა შეიძლება იყოს ფსიქიკურად მოქმედი მიზეზი: „...იქ, სადაც მიზეზობრიობის კანონი ადამიანთა მოქმედების მოტივაციის ფორმას იღებს, იქ უმოქმედობა შეიძლება კაუზალურად მოქმედებდეს... იმ ფაქტმა, რომ თუნუქს დაავიწყდა გემზე თუთი იაღჭის აფრიალება, აიძულა მამამისი კლდედან ზღვაში გადაეარდნო“ (A. Graf zu Dohna, Der Aufbau Des Verbrechenslehre, Bonn, 1936, S.113).

ადვილად ახერხებს ფულის წაღებას. შინამოსამსახურე, რომელიც მძარცველებს უთანხმდება, განზრახ ტოვებს ღიად სადარბაზოს კარებს, ბოროტგანმზრახველები შეიპარებიან და ბინას ძარცვავენ. მოლარისა და შინამოსამსახურის უმოქმედობა აუცილებელი რგოლებია მიზეზობრივი ჯაჭვის განვითარებისა, ეს განვითარება განსაზღვრული გზით წარიმართა სწორედ უმოქმედობის წყალობით. იბადება კითხვა: არის თუ არა მიზეზობრიობის თვალსაზრისით განსხვავება იმ შემთხვევას შორის, როცა პირი გააღებს დაკეტილ კარს, რომ ქურდები ბინაში შეუშვას, და იმ შემთხვევას შორის, როდესაც იგი იმავე განზრახვით არ კეტავს ღია კარს. ეფექტობთ, არაეითარი განსხვავება ამ შემთხვევებს შორის არ უნდა იყოს!

2. მოტანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ უმოქმედობას საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში შეიძლება მიზეზობრივი მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგრამ ამით ჯერ კიდევ პასუხი არ გაგვიცია კითხვაზე, თუ როგორ ხდება ზიანის მიყენება, როგორ მყარდება კავშირი რაიმეს არ გაკეთებასა, ე.ი. მოქმედების უარყოფასა და დამდგარ შედეგს შორის. ამ კითხვაზე შეიძლება პასუხი გავცეთ, თუ მხედველობაში მივიღებთ მოვლენათა, კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა განვითარების დიალექტიკურ ხასიათს. „ფილოსოფიურ რვეულებში“ ვ.ი. ლენინმა მოგვცა დიალექტიკის არსის ღრმა დახასიათება: „არა შიშველი უარყოფა, არა ფუჭი უარყოფა, არა სიკეპტიკური უარყოფა, მერყეობა, ეჭვი არის დამახასიათებელი და არსებითი დიალექტიკაში, — რომელიც, უეჭველია, შეიცავს უარყოფის ელემენტს და თანაც როგორც თავის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, — არამედ უარყოფა როგორც მომენტი კავშირისა, როგორც მომენტი განვითარებისა, დადებითის შენახვით, ე.ი. ყოველგვარი მერყეობის გარეშე, ყოველგვარი ეკლექტიკის გარეშე.“<sup>1</sup>

უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხს დიალექტიკურად უნდა მივუდგეთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება ნათელი, რომ უმოქმედობა არ არის ნული, არ არის ლიტონი უარყოფა. ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითებიდან ადვილად შეგვეძლო დარეწმუნებულიყავით ამაში. უმოქმედობა რომ ლიტონი უარყოფა, სრული სიცარიელე

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 225-226.

იყოს, მაშინ მას არ შეეძლო შეექმნა, მაგალითად, ყალბი წარმოდგენა მატარებლის შემანქანისათვის, არ შეეძლო შეცდომაში შეყვანა პირი, რომელმაც სხვა პირს ქონება გადასცა, არ შეეძლო გაეადვილებინა ბოროტგანმზრახველისათვის სალაროს გაქურდვა ან სხვის ბინაში შესვლა.

უმოქმედობის პრობლემისადმი დიალექტიკური მიდგომისას ნათელი ხდება, რომ უმოქმედობა როგორც რაიმე განსაზღვრულის შეუსრულებლობა, შეიძლება წარმოადგენდეს კავშირის მომენტს, განვითარების მომენტს. მაშასადამე, ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება შეიკავდეს რაღაც დადებითს, რომელსაც განმაპირობებელი ხასიათი აქვს. ამისათვის ადამიანის ყოფაქცევა უნდა განვიხილოთ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებთან კავშირში.

ამრიგად, ჩვენ უნდა გამოვიღეთ ადამიანის როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრის პრაქტიკული საქმიანობიდან. სწორედ ეს საქმიანობა თვალნათლივ გვიჩვენებს უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ვ. ლენინის სიტყვები: “პრაქტიკა უფრო მაღალია (თეორიულ) შემეცნებაზე, ვინაიდან მას აქვს არა მხოლოდ ღირსება ზოგადობისა, არამედ უშუალო სინამდვილისაც”<sup>1</sup>.

ადამიანს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს გარესამყაროზე არა მარტო უშუალო „სხეულებრივი“ ჩარევით განსაზღვრულ ურთიერთობებში, არამედ აგრეთვე იმით, რომ გამოიყენოს ქიმიური, ფიზიკური ან ბიოლოგიური მიზეზობრიობა, რომელზედაც იგი ბატონობს.

ნათქვამი ვრცელდება დანაშაულის ჩადენის საშუალებებზეც. კაცის მოკვლა შეიძლება არა მარტო მისი მოხრჩობით ან ცულის დარტყმით, არამედ აგრეთვე მისი გაგზავნით მინდორში, სადაც, წინასწარი შეცნობით, ნაღმა დატოვებული იგივე მომენტი შესაძლებლობას გვაძლევს დავასაბუთოთ უმოქმედობის მიზეზობრივი ხასიათი. ადამიანს შეუძლია გამოიყენოს ბუნების ძალები თავისი მიზნებისათვის ისე, რომ არავითარი დადებითი მოქმედება არ შეასრულოს. ეს მაშინ ხდება, როდესაც თავისი ჩაურევლობით შესაძლებლობას აძლევს რაიმე საშინო ძალებს, რომლებიც მისი ბატონობის სფეროშია, განსაზღვრუ-

<sup>1</sup> ვი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 212.

ლი მიმართულებით იმოქმედონ. ამ ძალების გათავისუფლებით ადამიანი მაგნე შედეგის აუცილებელ პირობას ქმნის და ამგვარად გამოავლინებს თავის ნებას ობიექტურ გარესამყაროში.

ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს პირის უმოქმედობა გარესამყაროში გამოწვეული ცვლილების მექანიკური მიზეზია. მაგრამ იმ მდგომარეობის გამო, რომელიც ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში უჭირავს, და იმ კონკრეტული პირობების წყალობით, რომელშიც ადგილი აქვს უმოქმედობას, პირი შესაძლებლობას იძენს განსაზღვრული მოქმედებისათვის თავის არიდებით უმოქმედება მოახდინოს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაზე. „დანაშაულებრივი უმოქმედობის დროს დამნაშავე გარკვეული საზოგადოებრივად აუცილებელი მოქმედების შეუსრულებლობით ქმნის პირობას იმისათვის, რათა განსაზღვრულმა, უკვე მოქმედმა ან შემდგომ წარმოშობილმა ბუნებრივმა, ტექნიკურმა ან საზოგადოებრივმა პროცესებმა წარმოშონ საზოგადოებისათვის ზიანი ან ზიანის მიყენების საფრთხე“<sup>1</sup>.

უმოქმედობის მიზეზობრიობა რიგი სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება. ამ თავისებურებებს ქვემოთ განვიხილავთ.

3. უმოქმედობასა და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ, ჩაბმული იყო თუ არა პირი თავისი წინა მოქმედებით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში, წარმოადგენდა თუ არა ეს მოქმედება ამ ურთიერთობათა განვითარების აუცილებელ რგოლს. ინდივიდის კონკრეტული მდგომარეობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში აკისრებს მას განსაზღვრული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებას, რის გამო სოციალისტური საზოგადოება სავსებით დასაბუთებულად ვარაუდობს, რომ იგი წარმართავს მის ბატონობაში მოქცეულ ძალებს სწორედ მოცემულ ურთიერთობათა დაცვისა და განვითარების მიმართულებით. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დასაბუთებული ვარაუდი არ მართლდება, როდესაც პირი გამოთიშავს თავის მოქმედებას ამ კანონზომიერებიდან და გზას უხსნის საშიში შედეგების გამოწვევ აქტი-

<sup>1</sup> J. Renneberg, Die objektive Seite des Verbrechens, Berlin, 1955, s16.

ურ ძალებს, ამით მისი უმოქმედობა ხდება საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებელი პირობა.

საზოგადოებრივი ფუნქციები, რომლებსაც სოციალისტური საზოგადოების მოქალაქენი ასრულებენ, თავის იურიდიულ გამოსახულებას პოულობენ სპეციალურ მოვალეობაში, რომელთაც მათ მართლწესრიგი აკისრებს. ამიტომ სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა იმავდროულად ნიშნავს იმ მოქმედების შეუსრულებლობას, რომელსაც მისგან სოციალისტური მართლწესრიგი მოელოდა.

სამართლებრივი საფუძველი, რომელიც აკისრებს პირს მოქმედების მოვალეობას, შეიძლება სხვადასხვა იყოს.

ა) მოქმედების სპეციალური მოვალეობა შეიძლება თვით კანონისაგან გამომდინარეობდეს. ასეთია, მაგალითად, დედის მოვალეობა საზრდო მისცეს ბავშვს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისა და ასეთი უმოქმედობის შედეგად ბავშვის სიკვდილის შემთხვევაში დედა პასუხს აგებს მისი მკვლელობისათვის (თუ არსებობს განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ბრალი).

მართლაც, განა შეიძლება განვიხილოთ დედის უმოქმედობა როგორც რეალურ მნიშვნელობას მოკლებული, როგორც ბავშვის კვების მოვალეობის შიშველი შეუსრულებლობა? ვფიქრობთ, რომ არა! დედა იმყოფება განსაზღვრულ ურთიერთობაში თავის ბავშვთან. ჩვილი ბავშვის უძღურება და დაუცველობა მის არსებობას დამოკიდებულს ხდის დედის ზრუნვისაგან. დედა ჩართულია სოციალური კანონზომიერების საერთო ჯაჭვში და სოციალისტური საზოგადოება მოელის მისგან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც აუცილებელია ამ კანონზომიერების ნორმალური განვითარებისათვის, ამიტომ უმოქმედობა არ წარმოადგენს მოქმედების „ლიტონ უარყოფას“, არამედ ქცევას, რომელმაც ბავშვის სიკვდილი გამოიწვია.

ჩვენი სასამართლო პრაქტიკა სავსებით მართებულად თვლის, რომ ასეთ შემთხვევაში შედეგი უმოქმედობითაა გამოწვეული. ასე მაგალითად, გ.-ს საქმეზე დადგინდა, რომ იგი არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა თავისი ექვსი წლის შვილის მილიასადმი, არ კვებავდა, არ აცმევდა, არ ურეცხავდა თეთრეულს. ამის შედეგად გოგონა მეორე ხარისხის დისტროფიით დაავადდა, მისი ტანი მთლად წყლულებით

იყო დაფარული, რაც მკებნარებმა გამოიწვია. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის აზრით, თუ დადგინდებოდა, რომ გ. განზრახ ქმნიდა ასეთ პირობებს, რათა ბავშვის სიკვდილი გამოეწვია, მაშინ მისი უმოქმედობა უნდა დაკვალიფიცირებულიყო როგორც მკვლელობის მცდელობა<sup>1</sup>. მაშასადამე, ბავშვის სიკვდილის შემთხვევაში, კოლეგიის აზრით, მის დედას პასუხი უნდა ეგო მისი მკვლელობისათვის.

ბ) განსაზღვრული მოქმედების შესრულების მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს იმ მდგომარეობიდან, რომელიც პირს ქვეყნის სახელმწიფო, სამეურნეო და სხვ. სფეროში უკავია. პირის საზოგადოებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული განსაზღვრული ფუნქციების შესრულება მის სპეციალურ მოვალეობად იქცევა, ხოლო სათანადო პირობებში ამ მოვალეობის შეუსრულებლობამ შეიძლება საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა გამოიწვიოს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ქარხნის აფეთქებაში საამქროს უფროსი არ ღებულობს გამაფრთხილებელ ზომებს, რასაც შედეგად მოჰყვა აფეთქება, რომელმაც ადამიანთა მსხვერპლი და სახელმწიფო ქონების დაზიანება გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ უმოქმედობა არარაობაა. საამქროს უფროსს მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით საქმე აქვს განსაზღვრულ საშიშ ძალებთან, მას ევალება ამ ძალების აღაგმვა, რომ რაიმე უბედური შემთხვევა არ მოხდეს. როცა ასეთი პირი თავს იკავებს მოქმედებისაგან, რომელსაც მიზანშეწონილად უნდა წარემართა მათი მოქმედება, და მიუშვებს მათ თავისუფლად იმოქმედონ, ამით იგი ხელს უწყობს ისეთი აქტიური ძალების გაჩენას, რომლებიც საზოგადოებრივად საშიშ შედეგს იწვევენ; ამგვარად პირის უმოქმედობა თვით ერთვის მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვს როგორც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

საბჭოთა სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკა მართებულად ცნობს ასეთ შემთხვევებში მიზეზობრივ კავშირს უმოქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. მაგალითად, ა. ცნობილი იყო დამნაშავედ იმაში, რომ ნიკოლაევის „საოლქო სამშენებლო-

<sup>1</sup> იხ. „Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1944 г.“, М., 1948, стр. 104-105.

სამონტაჟო კონტორის“ სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობაზე მუშაობის დროს, არ შეამოწმა წინასწარ გვირაბის მდგომარეობა, რაც მის მოვალეობას შეადგენდა და ისე ჩაუშვა მუშები გვირაბში; უშიშროების ტექნიკის წესების შეუსრულებლობის შედეგად გვირაბი ჩაინგრა, რამაც ორი მუშა დააზიანა. უკრაინის სსრ უმაღლესმა სასამართლომ სამართლიანად ცნო მიზეზობრივი კავშირი ა.-ს უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის<sup>1</sup>. მართლაც, იმ საზოგადოებრივი ფუნქციის გამო, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ა.-ს მისი სამსახურებრივი მდგომარეობით, იგი მოვალე იყო უზრუნველყო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოება. ამ მოვალეობის შეუსრულებლობით ა.-მ შექმნა პირობა უბედური შემთხვევისათვის, მუშათა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. რამდენადაც ა.-ს უმოქმედობით ამოძრავებულმა ბუნებრივმა პროცესებმა საზოგადოებისათვის მავნე შედეგები გამოიწვიეს, ამდენად პირმა პასუხი უნდა აგოს, თუ, რა თქმა უნდა, უმოქმედობა მისი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შედეგი იყო.

გ) მოვალეობის შესრულების ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს პირის წინასწარი მოქმედებიდან, რომლითაც მან მავნე შედეგის განხორციელების საფრთხე შექმნა. ის, ვინც ასეთი საფრთხე შექმნა და შემდეგ თავს იკავებს მოქმედებისაგან, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს ამ საფრთხისაგან საზოგადოებრივად საშიში შედეგის წარმოშობას, თავისი უმოქმედობით ჰქმნის მავნე შედეგის აუცილებელ პირობას. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც საფრთხე განზრახ არ იყო შექმნილი.

თავისთავად ცხადია, თუ პირმა თავისი დადებითი მოქმედებით განზრახ, მავნე შედეგის გამოწვევის გათვალისწინებით შექმნა საფრთხე, რომელიც შემდეგ სინამდვილედ გადაიქცა, აქ უმოქმედობაზე ვერ ვილაპარაკებთ. თუ, მაგალითად, ვინმემ მოკვლის განზრახვით მისცა თავის მტერს საწამლაკი და შემდეგ არ დააღვეინა მას საწამლაკის საწინააღმდეგო წამალი, არ შეიძლება მისი მოქმედობა ორ ნაწილად გაყუთოთ და განვიხილოთ ჯერ როგორც დადებითი მოქმედებით საფრთხე-

<sup>1</sup> იხ. „Социалистическая законность“, 1954, N 6, стр. 95.

ის შექმნა და შემდეგ – როგორც მოქმედებისაგან თავის შეკავებით საზოგადოებრივად საშიში შედეგის გამოწვევა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთი ფსიქიკურად განწყობილებით დახასიათებულ ერთ განუყოფელ აქტთან – განზრახ მკვლელობასთან, რომელიც დადებითი მოქმედებით არის გამოწვეული.

მაშასადამე, მომდევნო უმოქმედობა შეიძლება განხილულ იქნას დამოუკიდებლად იმ შემთხვევაში, როდესაც იგი თავისი ფსიქიკური თვისებებით სულ სხვა ხასიათს ატარებს, ვიდრე მისი წინამორბედი აქტიური მოქმედება.

წინა აქტიური მოქმედება, რომელმაც მოქმედების ვალდებულება შექმნა, შეიძლება ჩადენილი იყოს ბრალის გარეშე, ხოლო შემდგომი უმოქმედობა შეიძლება გაუფრთხილებელი ან განზრახი იყოს. მაგალითად: კარგი მცურავი შეაგულიანებს ცულ მცურავს ზღვაში საცურაოდ, თანაც პირდება, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენს. იმ მომენტში, როცა ცული მცურავი განსაცდელში აღმოჩნდა, კარგი მცურავი თავისი უდარდულობისა და უპასუხისმგებლობის გამო იძულებულად შორს იყო ცული მცურავისაგან, რომ თავის ამხანაგს დახმარება ვერ აღმოუჩინა. ამ მაგალითში დადებითი მოქმედება (ცული მცურავის შეგულიანება) ჩადენილია არაბრალეულად, რადგან კარგ მცურავს გულწრფელად სურდა თავის ამხანაგს დახმარებოდა; გაუფრთხილებელი ბრალი მას შემდეგ უჩნდება, დახმარების აღმოუჩენლობის მომენტში.

მეორე მაგალითი: შოფერმა შარავზაზე ღამით დააჯახა მთვრალ კაცს მანქანა და დაჭრილი გზაზე მიატოვა, რადგან პასუხისმგებლობის შეეშინდა. ვთქვათ, მანქანის დაჯახებაში შოფერს ბრალი არ მიუძღოდა, უბედური შემთხვევა გამოწვეული იყო თვით დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობით. მაგრამ შოფერის უდანაშაულო მოქმედებამ შექმნა დაზიანებული პირის სიკვდილის საშიშროება. ასეთი საფრთხის შექმნა, თუნდაც პირის გაუფრთხილებლობისა და განზრახვის გარეშე, ავალბდა შოფერს გადაუღებელი დახმარება აღმოუჩინა დაჭრილისათვის, წაეყვანა იგი საავადმყოფოში, გამოეძახა სასწრაფო დახმარება და ა.შ. მაგრამ შოფერი ამას არ აკეთებს.

საიდან წარმოიშვა კარგი მცურავის, შოფერის და სხვ. მოვალეობა



განსაზღვრული მოქმედების შესრულებისა? – ეს მოვალეობა წარმოშობილია მათივე წინასწარი, თუნდაც არაბრალეული, საფრთხის შემქმნელი მოქმედებით.

ვინც თავისი მოქმედებით საფრთხე შექმნა, ის ვალდებულია მიიღოს ზომები ამ საფრთხის ლიკვიდაციისათვის, თუ ვინმემ ტყეში კოცონი დაანთო, ის ვალდებულია წასვლისას ჩააქროს ცეცხლი, რომ ხანძარი არ გაჩნდეს. თუ ვინმემ გაზის ონკანი გახსნა, ის ვალდებულია დახუროს იგი, რომ ხალხი არ მოიხუთოს. შეიძლება ასეთი ვალდებულების შესახებ სპეციალურად არსად ეწეროს, მაგრამ სოციალისტური თანაცხოვრების წესებით იგი უუჭველად იგულისხმება.

ამ შემთხვევათა გადაწყვეტის სიძნელე ბურჟუაზიული იურისტებისათვის, როგორც დავინახეთ, იმაში მდგომარეობს, რომ ვინაიდან ისინი თვით უმოქმედობის მიზეზობრიობას უარყოფენ, ამიტომ იძულებული არიან დაარღვიონ ფუნდამენტური პრინციპი, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის დამთხვევა. ამ პრინციპის უარყოფის შედეგად ისინი იძულებულნი იყვნენ ელიარებიანთ მომდევნო ბრალი, რომელსაც უკუძალა ეძლევა, ე.ი. რომელიც თუმცა უმოქმედობის დროსა წარმოშობილი, მაგრამ ხელოვნურად უნდა იქნას გადატანილი წინა, დადებით მოქმედებაზე (dolus et culpa concequens).

ჩვენი აზრით, ზემოთ მოხსენებული შემთხვევები განხილულ უნდა იქნეს შემდეგნაირად: დადებითი მოქმედება, საიდანაც იწყება მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობა, არ მიიღება მხედველობაში პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრისას, ვინაიდან ამ მომენტში პირს ბრალი არ ჰქონდა; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაუკავშირდეს უმოქმედობას, რომელიც როგორც მიზეზობრივ, ისე ბრალეულ კავშირშია შედეგთან. მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და შედეგს შორის იმითაა დასაბუთებული, რომ პირი არ ასრულებს მისი დადებითი, საფრთხის შემქმნელი მოქმედებით გამოწვეულ ვალდებულებას გაათილოს შექმნილი საფრთხე და თავიდან აიცილიოს მოსალოდნელი მავნე შედეგი. მაშასადამე, თუ მძღოლმა შემთხვევით გზაზე მიმავალი კაცი დააზიანა და შემდეგ მას დახმარება არ აღმოუჩინა, რის გამოც დაჭრილი გარდაიცვალა, მან პასუხი უნდა აგოს ადამიანის

მკვლევლობისათვის, თუნდაც ზიანის მიყენების მომენტში ბრალი არ ჰქონდეს. განზრახი თუ გაუფრთხილებელი მკვლევლობისათვის აგებს პასუხს მძღოლი, – ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, როგორი იყო მისი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგთან. თუ მოქმედებისაგან თავის შეკავების დროს პირი ითვალისწინებდა, რომ დაჭრილისათვის დახმარების აღმოუჩენლობას შეიძლება შედეგად მოყვეს მისი სიკვდილი და შეგნებულად უშვებდა ასეთ შედეგს, პირი პასუხს აგებს ადამიანის განზრახ (ვეენტუალური განზრახვით) მკვლევლობისათვის, ხოლო თუ პირი ითვალისწინებდა ასეთ შედეგს. მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა მის აცდენას, ან არ ითვალისწინებდა, თუმცა შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა იგი, პასუხს აგებს გაუფრთხილებელი მკვლევლობისათვის.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საფრთხის შემქმნელი მოქმედება გამოწვეულია გაუფრთხილებლობით, ხოლო უმოქმედობის დროს პირს განზრახვა ჰქონდა. ასეთ შემთხვევაშიც მოქმედების კვალიფიკაცია ბრალის იმ ფორმის მიხედვით იქნება, რომელიც მას უმოქმედობის დროს ჰქონდა. მაგალითად, შოფერმა გაუფრთხილებლად დააჯახა მანქანა ქუჩაში მიმავალ ქალს, შემდეგ დაინახა, რომ ეს ქალი მისი ყოფილი ცოლია, რომელსაც იგი აღიშენებდა უხდოდა. თუ შოფერის მიერ მისთვის დახმარების აღმოჩენა ქალს სიკვდილისაგან იხსნიდა, მაგრამ შოფერმა შეგნებულად, მოკვლის განზრახვით თავი აარიდა თავისი მოვალეობის შესრულებას, იგი პასუხს აგებს განზრახ მკვლევლობისათვის.

4. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის დასაბუთებულია იმით, რომ პირს კანონის, ხელშეკრულების, წინასწარი საფრთხის შემქმნელი მოქმედებისა თუ სხვ. იურიდიული საფუძვლის გამო ჰქონდა სპეციალური მოვალეობა ემოქმენდა. ამის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევაში, როცა პირს ასეთი სპეციალური მოვალეობა არ აკისრია, მიზეზობრივ კავშირზე მოქმედებისაგან თავის შეკავებასა და მძიმე შედეგს შორის ვერ ვილაპარაკებთ.

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც პირი ისჯება რაიმე მოქმედების შეუსრულებლობისათვის თავისთავად, იმისგან დამოუკიდებლად, დადგა თუ არა მძიმე შედეგი.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ დახმარების აღმოუჩენლობა პრისათვის, რომელიც სიცოცხლისათვის სამშობლოში იმყოფება (მუხ. 130-ე), ან დანაშაულის განუცხადებლობა (მუხ. 206-ე). როგორც ცნობილია, ორივე შემთხვევაში დანაშაული განიხილება როგორც წმინდა უმოქმედობა. ასე მაგალითად, განუცხადებლობა დანაშაულისა, რომელიც მზადდება ჩასადენად, არ განიხილება როგორც ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობა, არამედ ისჯება მხოლოდ განსაკუთრებულ, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში როგორც დამოუკიდებელი, უმოქმედობითი დელიქტი. ასევე დახმარების აღმოუჩენლობა იმ პრისათვის, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე მოელოდა, არ განიხილება როგორც მკვლელობა, თუნდაც საფრთხე ნამდვილად განხორციელდეს და კაცი მოკვდეს, არამედ როგორც დამოუკიდებელი შედეგ-გარეშე დანაშაული – წმინდა უმოქმედობა.

საბჭოთა კანონმდებლობის ასეთი დამოკიდებულება ზემოხსენებული დელიქტებისადმი სავსებით კანონზომიერია. რარიც საშიშიც არ უნდა იყოს სოციალისტური ურთიერთობებისათვის მძიმე დანაშაულის განუცხადებლობა, რარიც უარყოფითადაც არ უნდა აფასებდეს კომუნისტური მორალი მოყვასისათვის დახმარების აღმოუჩენლობას, მაინც ეს დანაშაული არ შეიძლება იმავე სიბრტყეზე დავაყენოთ, როგორც უმოქმედობის მეშვეობით დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა. საზოგადოებრივად საშიში შედეგის გამოწვევა აქ პიროვნების ნებელობითი ქცევის, მისი საქმიანობის სფეროს გარეშე ხდება.

პირი, რომელიც არ აცხადებს, რომ მზადდება დანაშაული, ან არ ეხმარება საფრთხეში მყოფ ადამიანს, არ იყო წინასწარ ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობაში საფრთხეში აღმოჩენილ ობიექტებთან, რომ მათი უსაფრთხოების გარანტი ყოფილიყო. მას თავისი განსაკუთრებული საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო არ ჰქონდა დაკისრებული სპეციალური ვალდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგის აცდენისა, თვითონაც საკუთარი მოქმედებით არ შეუქმნია საფრთხე და ამიტომ არ მიუშვია თავის ნებაზე მის ბატონობაში მყოფი საშიში ბუნებრივი, ფიზიკური და სხვა ძალები, რომ იმოქმედონ საზოგადოებრივად საშიში შედეგის გამოწვევის მიმართულებით. ასეთ პირს მხოლოდ ზოგადი მოქალაქეობრივი მოვალეობა აკისრია დანაშაულის

განცხადებისა ან საფრთხეში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოჩენისა. იგი მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომ შეუძლია უვნებელყოს საფრთხე, რომელიც იმ ურთიერთობათა სფეროს გარეშე წარმოიშვა, რომელშიც იგი თავისი მდგომარეობით ჩამოვლია.

მაგრამ, თუ პირს სპეციალური მოვალეობა აწევს ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას ან აღმოუჩინოს დახმარება საფრთხეში მყოფს, მაშინ მისი უმოქმედობა სხვაგვარად უნდა იქნეს განსჯილი, მაგალითად, თუ მილიციელი, რომელსაც სპეციალურად დაკისრებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვა, არ ასრულებს თავის მოვალეობას და ამით ხელს უწყობს სოციალისტური ქონების გატაცებას, მაშინ მისი უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან და, თუ ამავე დროს ამ უმოქმედობასთან ბრალიც იყო დაკავშირებული, იგი პასუხს აგებს ქონების დატაცებისთვის ხელის შეწყობისათვის.

5. იმის დადგენა, რომ პირი თავის მდგომარეობის გამო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში, ვალდებული იყო განსაზღვრული მიმართულებით ემოქმედა, ჯერ კიდევ არაა საკმარისი, რომ დაამტკიცოთ მიზეზობრივ კავშირის არსებობა მის უმოქმედობასა და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. აუცილებელია აგრეთვე, რომ პირს, რომელმაც მოსალოდნელი და სავალდებულო მოქმედება არ შეასრულა, ჰქონდეს ფაქტიური შესაძლებლობა ამ მოქმედების შესრულებისა.

ამ დებულებაზე არაერთხელ მიუთითებიათ ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში.

ჩ. და სხვები ცნობილ იქნენ დამნაშავეებად, როდესაც ზესტაფონის სამშობიარო სახლის ექიმებად მუშაობდნენ, დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინეს: არ შეამოწმეს ავადმყოფ ნ.-ს ჯანმრთელობა და დაგვიანებით დაუსვეს მას დიაგნოზი, რის გამოც ავადმყოფი ჩირქოვანი პერიტონიტით გარდაიცვალა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება გააუქმა და საქმე გადააგზავნა ახალი

სასამართლო განხილვისათვის. ამასთან კოლეგიამ აღნიშნა: „საქმის ახალი განხილვისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მსჯავრდებულთა მოქმედებასა და დაზარალებულთა შორის, აგრეთვე შეამოწმოს ჩ.-ს ჩვენება, რომ იგი ორი დღის განმავლობაში ავად იყო და ამიტომ მოკლებული იყო შესაძლებლობას რეგულარულად შეემოწმებინა მშობიარობის მდგომარეობა<sup>1</sup>.

როგორც ამ განჩინებიდან ჩანს, სასამართლო კოლეგია მოითხოვს გამოირკვეს, ჰქონდა თუ არა ბრალდებულ ჩ.-ს ფაქტიური შესაძლებლობა შეესრულებინა მისთვის საეაღდებულო მოქმედება, და ამას უკავშირებს მიზეზობრივი კავშირის საკითხს მის უმოქმედობასა და აკციენტის სიკვდილს შორის.

მაგრამ პირი არ გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მან თავისი წინა ბრალეული მოქმედებით შეუძლებელი გახადა მისთვის საეაღდებულო მოქმედების შესრულება. თუ გამცილებელმა თავისი დახმარების დაპირებით წააქეზა გამოუცდელი ტურისტები წასულიყვნენ საშიში გზით, ხოლო შემდეგ მეტად დაშორდა მათ, თანაც იმედოვნებდა, რომ გადაწყვეტ მომენტში შესძლებდა დახმარების აღმოჩენას, იგი პასუხს აგებს გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის ან სხუელის დაზიანებისათვის, თუნდაც საფრთხის მომენტში იმდენად დაშორებული იყოს ტურისტებისაგან, რომ არ ჰქონდეს ფაქტიური შესაძლებლობა დახმარება აღმოუჩინოს მათ.

ეს დებულება ჩამოყალიბებულია ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სწორად ცნო უფროსი მეისრის მ.-ს მსჯავრდება ტრანსპორტზე შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. მ.-ს დანაშაული იმაში გამოიხატა, რომ იგი სამორიგეოდ მთვრალი გამოცხადდა, რითაც საშიშროება შეუქმნა მატარებლის უსაშიშრო მოძრაობას. „მ.-ს ჩვენებიდან ჩანს — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — რომ იგი სვამდა სპირტიან სასმელებს იმ დღეს, როდესაც მორიგეობა უნდა დაეწყო, თუმცა უნდა გაუთვალისწინებინა, რომ იგი ამით თავს ისეთ პირობებში აყენებდა, რომ ვერ შესძლებდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას და საშიშროებას შეუქმნიდა მატარებლის მოძრაობის უშიშროებასა

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1951 г., N 11, стр. 26.

და სიზუსტეს<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ეს საშიშროება სხვა პირების ჩარევით თავიდან იქნა აცილებული, პლენუმმა მაინც ცნო, რომ „მ. არ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლით შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, რასაც შეეძლო სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნულ მუხლში მითითებული შედეგების გამოწვევა“<sup>2</sup>.

ბ. პირის უმოქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის მესამე, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ პირისათვის სავალდებულო და მისთვის შესაძლებელი მოქმედებით შედეგის დადგომა თავიდან იქნებოდა აცილებული.

თავისთავად ცხადია, რომ უმოქმედობით ზიანის მიყენებაზე შეიძლება მხოლოდ მაშინ ვილაპარაკოთ, როდესაც პირს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მიზეზობრიობის შემდგომ მსვლელობაზე, ხელი შეუშალოს იმ ძალებს, რომლებიც ხელს უწყობენ მანე შედეგის დადგომას, შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ გააუვნებლოს მათი მანე ზემოქმედება.

ეს დებულება არა ერთხელ იყო ხაზგასმული ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ ჩვენი უმაღლესი სასამართლო ორგანოების რამდენიმე განჩინება.

ბ.-მ და გ.-მ, რომლებიც ქ. თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური შემნახველი სალაროს კონტროლიორებად მუშაობდნენ, უყურადღებოდ შეამოწმეს გასავლის ორდერზე შენაბრის ხელმოწერა, რითაც ქონებრივი ზიანი მიაყენეს შემნახველ სალაროს. „... სასამართლომ, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში, — არ გაითვალისწინა, რომ ბ. და გ. არ შეიძლებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემულიყვნენ იმიტომაც, რომ... მათ დაუდევრობასა და 2700 მან. გაცემას შორის არ არსებობდა არავითარი კავშირი, რადგან ფული გაცემულ იქნა მანამდე, ვიდრე ისინი გასავლის ორდერს შესამოწმებლად მიიღებდნენ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1949 г., N 2, стр. 12.

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949 г. N 2, стр. 12.

<sup>3</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1944 г., вып. 6, (XII), стр.

ამ საქმეზე სასამართლო კოლეგიამ განსასჯელნი იმ მოტივით გაამართლა, რომ მათ უმოქმედობასა და შემნახველი საღაროს მიერ ფულის გაცემას შორის არავითარი კავშირი არ იყო: რა ზედმიწევნითაც არ უნდა გაესინჯათ განსასჯელებს ანაბრის გაცემის ოპერაციის სისწორე, ანაბრის გაცემას ხელს ვერ შეუშლიდნენ, ვინაიდან ანაბარი მანამდე იყო გაცემული, ვიდრე ისინი დოკუმენტებს შესამოწმებლად მიიღებდნენ.

ანალოგიურ საფუძვლებს ემყარებოდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგია გემის — „კარამზინის“ — კაპიტანის მესამე თანამეძვის ა.-ს საქმეზე გამოტანილ განჩინებაში. ა.-ს ბრალდებოდა ტრანსპორტზე შრომის დისციპლინის დარღვევა, რამაც გემების დაჯახება გამოიწვია. კოლეგიის განჩინებაში ნათქვამი იყო: „ა.-ს მიერ სსრკ საზღვაო ფლოტის გემზე სამსახურის წესდების 183-ე მუხლის „უ“ და „შ“ პუნქტების დარღვევა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან გემის ზიდზე კაპიტანი არ გამოიძახა, არ არის მიზეზობრივ კავშირში ავარიასთან“<sup>1</sup>. კოლეგიამ დაადგინა, რომ ავარიის ნამდვილი მიზეზი იყო შემხვედრი გემის უფროსი შტურმანის ბ.-ს დაუდევრობა და არა ა.-ს უმოქმედობა, და მიუთითა: „ბ.-ს მიერ საზღვაო ფლოტის გემზე სამსახურის წესდების 183-ე მუხლის „უ“ და „შ“ პუნქტის ფორმალური დარღვევა, რომელიც მიზეზობრივ კავშირში არ არის ავარიასთან, განხილულ უნდა იქნას, როგორც სამსახურებრივი გადაცდომა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“<sup>2</sup>.

ამ განჩინებას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ნათლად გვიჩვენებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მკვეთრად განასხვავებს შემთხვევას, როცა პირის მიერ განსაზღვრული მოქმედების შეუსრულებლობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან, იმ შემთხვევისაგან, როცა პირი თუმცა არ ასრულებს მოქმედების სპეციალურ ვალდებულებას, და ამით არღვევს დადგენილ წესს, მაგრამ ეს დარღვევა მიზეზობრივ კავშირში არ არის საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან.

აღნიშნული დებულება კარგად არის ფორმულირებული აგრეთვე

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1952 г., N 1, стр. 27.

<sup>2</sup> იქვე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინებაში ვ-ს საქმეზე.

საქმის გარემოებები ასეთი იყო. ვ-მ რომელიც სატვიროთო მანქანას მართავდა, 15 წლის ბიჭს მ.-ს გადაუარა. ვ-მ გააჩერა მანქანა, აიყვანა ბავშვი იმ მიზნით, რომ საავადმყოფოში მიეყვანა, მაგრამ როცა დაინახა, რომ ბავშვი უგრძნობ მდგომარეობაშია, პასუხისმგებლობისა შეეშინდა და გადაწყვიტა ბავშვი თავის სახლში წაეყვანა, თანაც აუცილებლობის შემთხვევაში, ექიმი შინ მიეწვია. როგორც კი ვ-მ ბავშვი ოთახში შეიყვანა, იგი გარდაიცვალა. ვ-მ ცოლის დახმარებით ბავშვის გვამი ეზოში დამარხა. სასამართლო კოლეგიამ დაადასტურა, რომ ვ-ს მანქანის მართვის დროს მისი ექსპლოატაციის წესები არ დაურღვევია და ბავშვი თვით მისი საკუთარი გაუფრთხილებლობის გამო ჩაუვარდა ბორბლებში მანქანას, მამასადამე, „მძიმე სხეულებრივი დაზიანება, რომელიც მიზეზობრივ კავშირში იყო შოფერის მიერ მანქანის მართვასთან, ისეთ პირობებში იყო მიყენებული, რომ შოფერს გაუფრთხილებელი ბრალიც კი არ ჰქონდა“<sup>1</sup>. მეორე მხრივ სასამართლო კოლეგიამ, სასამართლო-საექიმო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, დაადასტურა, რომ მ.-ს მიერ მიღებული სხეულის დაზიანება უცილობლად სასიკვდილო იყო და დროულად აღმოჩენილი საექიმო დახმარებაც კი ბავშვს ვერ გადაარჩინდა“<sup>2</sup>. ამიტომ კოლეგიამ სცნო, რომ შოფერი ვ. პასუხს არ აგებს ბავშვის სიკვდილისათვის. მაგრამ ვინაიდან შოფერმა დაარღვია სპეციალური მოვალეობა დახმარება აღმოეჩინა ბავშვისათვის, მან ვ.-ს მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირის შეგნებულად მიტოვება დახმარების აღმოუჩენლად, როცა მიმტოვებელს ევალებოდა ამ პირზე ზრუნვა და შესაძლებლობა ჰქონდა მისთვის დახმარება აღმოეჩინა“<sup>3</sup>.

სსრკ უმაღლეს სასამართლოს კოლეგიის განჩინებაში ვ-ს საქმეზე კარგად არის გაშუქებული დანაშაულებრივი უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობის რამდენიმე საკითხი.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1948 г., вып. II, стр. 17-18.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.



უპირველეს ყოვლისა, კოლეგიამ მართებულად გათიშა შოფერ ვ-ს ქცევა ორ ნაწილად: დადებით მოქმედებად და უმოქმედობად. ვ-ს დადებითი მოქმედება- მანქანის მართვა – მიზეზობრივ კავშირში იყო ბავშვის სიკვდილთან, მაგრამ იმ მომენტში, როცა მანქანა ბავშვს დაეჯახა, შოფერს არ დაურღვევია მოძრაობის წესები და მისი მოქმედება არ იყო არც მართლსაწინააღმდეგო და არც ბრალეული. ამის შემდეგ კოლეგია გადავიდა შოფერის უმოქმედობაზე და დაადგინა, რომ თუმცა შოფერს ჰქონდა სპეციალური მოვალეობა დახმარება აღმოეჩინა ბავშვისათვის, რომელსაც მან, თუმცა უდანაშაულოდ, სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა, მაგრამ მაინც მის უმოქმედობასა და ბავშვის სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არის, ვინაიდან ბავშვი საექიმო დახმარების დროულად აღმოჩენის შემთხვევაშიც მოკვდებოდა. ამგვარად, თუ პირველი აქტის – დადებითი მოქმედების დროს პასუხისმგებლობა ბავშვის სიკვდილისათვის უარყოფილია ბრალის არარსებობის გამო, მეორე აქტის – უმოქმედობის დროს პასუხისმგებლობა უარყოფილია მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო. ამიტომ კოლეგია სავსებით მართებულად მოიქცა, როცა შოფერს პასუხისმგებლობა დააკისრა წმინდა უმოქმედობისათვის – განსაცდელში მიტოვებისათვის.

უმოქმედობის მიზეზობრიობის გამოკვლევამ ჩვენ შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა:

1. უმოქმედობა საზოგადოებრივ ურთირთობათა სფეროში არ ნიშნავს ლიტონ უარყოფასა და სიცარიელეს.

პირი შეიძლება ჩართული იყოს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონზომიერებაში და ამით ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, როდესაც შესაძლებლობა ეძლევა ზეგაეღვნა მოახდინოს იმ ძალებზე, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენენ სოციალისტური მართლწესრიგით დაცული ობიექტებისათვის. თუ პირი გამოეთიშება ამ კანონზომიერებას და შესაძლებლობას აძლევს საშიშ ძალებს საზოგადოებრივად საშიში მიმართულებით განვითარდნენ, იგი თავისი უმოქმედობით განაპირობებს შედეგის დადგომას.

2. ამიტომ განსაზღვრულ პირობებში უმოქმედობა წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს, აუცილებელ მომენტს მიზეზობრივი კავ-

შირის განვითარებაში, რომელიც მანვე შედეგის წარმოშობას იწვევს.

3. მიზეზობრივი კავშირი პირის უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს მაშინ, როდესაც:

ა) იმ ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად, რომლებსაც სოციალისტური საზოგადოება აკისრებს პირს საზოგადოებრივ ურთიერთობათა კონკრეტულ სფეროში, მისგან განსაზღვრული მოქმედების შესრულება კანონზომიერად იყო მოსალოდნელი;

ბ) იმ მოქმედების შესრულება, რომელსაც საზოგადოება პირისაგან კანონზომიერად მოელოდა, შესაძლებელი იყო;

გ) პირისაგან მოსალოდნელი და მისთვის შესაძლებელი მოქმედებით საზოგადოებრივად საშიში შედეგი აცდენილი იქნებოდა.

**დანაშაულის მომზადება  
და მცდელობა**

წინამდებარე ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს გამოარკვიოს დაუმთავრებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, დაადგინოს დანაშაულის განვითარების სტადიების, კერძოდ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ცნებანი და დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის წესის თავისებურებანი.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და ლიტერატურის განხილვასთან ერთად, ნაშრომში ყურადღება ექცევა აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ. ამავე დროს ნაშრომში მოცემულია კრიტიკა ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისა და თეორიისა დანაშაულის მცდელობის შესახებ.

ნაშრომის მიზანია – დაეხმაროს სასამართლოს, პროკურატურისა და ადვოკატურის მომუშავეებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და მასწავლებლებს სისხლის სამართლის ერთ-ერთი რთული და ზოგადი პრობლემის შესწავლაში.

## წინასიტყვაობა

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა უკავშირებს სასჯელის მუქარას განსაზღვრულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობებს, რომელნიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილი არიან როგორც დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობანი. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები ითვალისწინებენ მკვლელობას, სხეულის დაზიანებას, ქონების გატაცებას ან მის დაზიანებას და ა.შ., აღწერენ რა ამ დანაშაულთა შემადგენლობის ყველა ელემენტს როგორც სასჯელის შეფარდების პირობას.

მაგრამ მხოლოდ დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედობის დასჯა არ არის საკმარისი დანაშაულთან საბრძოლველად. დანაშაულთა ჩადენის თავიდან ასაცილებლად საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს დანაშაულის დასჯადობას არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული უკვე დამთავრებულია, როდესაც მაინც შედეგი უკვე განხორციელებულია, არამედ უფრო ადრინდელი საფეხურიდან, როდესაც ჩადენილია მოქმედება, მიმართული დანაშაულის განსახორციელებლად, თუნდაც მას ფაქტიურად არავითარი მაინც შედეგი არ მოჰყოლოდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონმდებელი დამთავრებულ დანაშაულთან ერთად სჯის დაუმთავრებელ დანაშაულსაც ანუ წინასწარ დანაშაულებრივ საქმიანობას.

დაუმთავრებელი დანაშაული მთელ რიგ საკითხებს აყენებს სისხლის სამართლის მეცნიერების წინაშე: რაში მდგომარეობს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლები და განსხვავდებიან თუ არა ისინი დამთავრებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლებისაგან? რომელი საფეხურიდან უნდა დაიწყოს დანაშაულის განსახორციელებლად მიმართული საქმიანობის დასჯადობა? რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების სხვადასხვა საფეხურები? როგორია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა? როგორ უნდა იქნეს შეფასებული დაწყებული, მაგრამ ბოლომდე მიუყვანელი დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვება და სხვ? უკანასკნელი წლების განმავლობაში დაუმთავრებელი დანაშაუ-

ლის საკითხები საბჭოთა იურისტების დიდ ყურადღებას იპყრობს. 1955 წელს გამოვიდა პროფ. ნ. ღურმანოვის მონოგრაფია „დანაშაულის ჩადენის სტადიები საბჭოთა სისხლის სამართალში“, 1958 წელს – ნ. კუზნეცოვას ნაშრომი „პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“ და ი. ტიშკევიჩის მონოგრაფია „მომზადება და მცდელობა სისხლის სამართალში“. დაცულია რამდენიმე დისერტაცია (ნ. კუზნეცოვასი, ი. ტიშკევიჩის, ნ. ლიასის). ამვე საკითხზე საბჭოთა იურიდიულ ჟურნალებში მოთავსებული იყო რამდენიმე წერილი.

მიუხედავად ასეთი დიდი ლიტერატურისა, დაუმთავრებელი დანაშაულის პრობლემა იმდენად რთული და მრავალმხრივია, რომ მთელ რიგ საკითხებზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული აზრთა ერთიანობა და ისინი საღისკუსიო ხასიათს ატარებენ.

ამიტომ გასაგებია, რომ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის საკითხების დამუშავებას დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ საკითხების დამუშავების საჭიროება განსაკუთრებით საგრძნობია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების დამტკიცების შემდეგ. „საფუძვლებში“ შეტანილია საკმარის ვრცელი დადგენილებანი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, მოცემულია როგორც დანაშაულის მომზადების, ისე მისი მცდელობის განსაზღვრებანი, დაზუსტებულია ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის ცნება, წამოყენებულია ახალი კრიტერიუმები დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის და ა.შ. ყოველივე ეს დაწერილებით განხილვას მოითხოვს.

წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს გააშუქოს ახალი კანონმდებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და განიხილოს ის ძირითადი და სადავო საკითხები, რომლებიც დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასთანაა დაკავშირებული.

**დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის  
მოკლე ისტორიული მიმოხილვა**

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ისტორიულად დაკავშირებულია ბრალის პრინციპის განვითარებასა და განმტკიცებასთან. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი სამართალი, რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მავნე შედეგს, როგორც ასეთს, დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას არ იცნობს. გაბატონებული კლასის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ხელყოფა ასეთ საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ იწვევს რეაქციას, როდესაც მას რაიმე მატერიალური ზიანი მოჰყვა. და მხოლოდ სამართლის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დანაშაულის შინაგანი მხარე, მოქმედი პირის ფსიქიკის დამოკიდებულება მის მიერ გამოწვეულ შედეგთან, თანდათანობით სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს.

შინაგანი მომენტის განვითარება შემდგომ ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ერთის მხრით, პასუხისმგებლობა მხოლოდ მავნე შედეგისათვის უკვე უსამართლობად ეჩვენებათ. მარტოოდენ მიზეზობრივ კავშირს მოქმედებასა და მავნე შედეგს შორის აღარ თვლიან საკმარისად პასუხისმგებლობისათვის. თანდათან გზას იკაჟავენ ის აზრი, რომ პიროვნებას შეიძლება პასუხი მოეთხოვოს მისი მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ეს მოქმედება განპირობებული იყო მისი ბრალით, ე.ი. დასაგმობი ფსიქიკური დამოკიდებულებით მოქმედებასთან და მოქმედებით გამოწვეულ შედეგთან. ასე ისახება და ვითარდება ბრალის ცნება. მეორეს მხრით, ბრალის ცნების შემდგომი განვითარება კბადებს შეგნებას, რომ დანაშაულის დასჯისათვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ წმინდა შემთხვევით გარემოებას, განხორციელდა თუ არა მავნე შედეგი. თუ დანაშაულის მოქმედება მიმართული იყო დანაშაულის ჩადენისაკენ, მაგრამ მავნე შედეგის განხორციელებას ხელი შეუშალა რაიმე გარეშე, მის ნებაზე დამოუკიდებელმა გარემოებამ, უსამართლობა იქნება, რომ ასეთი მოქმედების ჩამდენი არ დაისჯოს. ასე წარმოიშვა დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება. „იმ სფეროდ, სადაც შენელებულია ობიექტივიზმის ტრიუმფი, — ლაპარა-

კობს სისხლის სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი მაკარევიჩი, — მცდელობა უნდა ჩაითვალოს. ცხადია, რომ იქ, სადაც გადაშენებულია ფაქტიური მდგომარეობა, შედეგი, სადაც მხედველობაში იღებენ ცვლილებას გარეშე სამყაროში, ხოლო მოქმედი პირის ფსიქიკას განიხილავენ როგორც *quantite negligeeable*-ს, იქ მცდელობის დასჯადობას, — რამდენადაც მას არ გამოუწვევია თავისთავად დასასჯელი ცვლილება გარეშე სამყაროში, — არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა...<sup>1</sup>

ამგვარად, დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტს წარმოადგენს. ძველი სამართალი არ იცნობს არც მოშადებას და არც მცდელობას, როგორც დანაშაულის განვითარების სტადიებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისეთი მოქმედების დასჯადობის საჭიროება, რომელიც დღევანდელი თვალსაზრისით დაუმთავრებელ დანაშაულს წარმოადგენს, ძველ სამართალში სრულიად არ იგრძნობოდა. მაგრამ მოშადებისა და მცდელობის ცნების არარსებობის გამო ძველი სამართალი იმ ხერხს მიმართავდა, რომ ზოგიერთ, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში სჯიდა თვით მოქმედებას როგორც დაუმთავრებელ დანაშაულს და არა როგორც დანაშაულის განვითარების სტადიას. ასეთი ხასიათის ნორმები ჩვენ გვხვდება სამართლის უძველეს ძეგლებში. ასე მაგალითად, XX საუკუნის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ეშნუნის მეფის ბილალამის კანონებში, რომელიც დღემდე ცნობილ უძველეს საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს, გვხვდება ასეთი ნორმები:

„12. კაცმა, რომელსაც მუშქენუმის ყანაში დაიჭურენ... ღღისით შესვენებისას, უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი; ის, ვისაც დაიჭურენ ღამით... უნდა მოკვდეს; ის არ უნდა დარჩეს ცოცხალი.

13. კაცმა, რომელსაც მუშქენუმის სახლში, თვით სახლში, დაიჭურენ ღღისით შესვენებისას, უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი; ის, ვისაც ღამით დაიჭურენ სახლში, უნდა მოკვდეს; ის არ უნდა დარჩეს ცოცხალი“<sup>2</sup>.

ამგვარივე ბუნების ნორმა გვხვდება ისინის მეფის ლიფიტი-იმ-

<sup>1</sup> J. Makarewicz, Einführung in die Philosophie des Strafrechts, Stuttgart, 1906, S. 417.

<sup>2</sup> ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, 1960, გვ. 12.



თარის კანონებში (XX საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე):

„9. უკეთუ კაცი კაცის ბაღში შევა და შეპყრობილი იქნება ქურდობისათვის, მან უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი“<sup>1</sup>.

ის მოქმედებანი, რომლებიც აღნიშნულ კანონებშია აღწერილი – სხეის ყანაში, ბაღში ან სახლში შესვლა ქურდობის მიზნით, უფრო განვითარებული სამართლის თვალსაზრისით დასჯებოდნენ როგორც მოსაზადებელი მოქმედებანი, მაგრამ იქ ისჯებიან როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედებანი.

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ხეთების კანონთა პირველი ტაბულის 93 მუხლი (XV საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე):

„93. უკეთუ ეზოში შეიპყრობენ თავისუფალ კაცს მანამდე, ვიდრე იგი სახლში შევა, მან უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი“<sup>2</sup>.

ამ მუხლში გათვალისწინებული შემადგენლობა თავისი შინაარსით მეტად უახლოვდება ქურდობის მცდელობის შემადგენლობას, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით ისიც არ შეიძლება ჩაითვალოს მცდელობად, ვინაიდან ისჯება როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული.

მცდელობის ცნებას არ იცნობს თვით ისეთი განვითარებული სამართალიც კი, როგორიცაა რომის სამართალი. რომის სამართალშიც, განსაკუთრებით მისი განვითარების მეორე პერიოდიდან (III საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე), იმ ნორმებთან ერთად, რომლებიც ზიანის მიყენების დასჯადობას ითვალისწინებდნენ, გვხვდება ისეთი ნორმები, რომლებიც სჯიან თავისთავად მოქმედებას, მიმართულს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. ასე მაგალითად, დანაშაულად ითვლება მოკვლის მიზნით იარაღით ხელში სიარული, ამავე მიზნით საწამლავის შექმნა, დამზადება, შენახვა ან გადაცემა, მაგისტრატის მოსაკლავად ვისიმე შეგულიანება და ა.შ. მაგრამ ვინაიდან რომის სამართალი მცდელობის ცნებას არ იცნობდა, ამიტომ ყველა ეს მოქმედება ისჯებოდა არა როგორც დაუმთავრებელი დანაშაული, არამედ როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული

<sup>1</sup> ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, 1960, გვ. 19.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 113.

დანაშაული, როგორც *delictum sui generis*<sup>1</sup>.

ამავე სურათს ეხედავთ საშუალო საუკუნეების ადრინდელ სამართალში. აქაც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობანი ითვალისწინებდნენ დანაშაულთა ისეთ შემადგენლობებს, რომელნიც შედეგს არ მოითხოვენ, აქაც ასეთი მოქმედებანი ისჯება როგორც დამთავრებული დამოუკიდებელი დანაშაული. ასეთია, მაგალითად, კაცის გაღაგდება ორმოში, ჭაში ან წყალში, ჩამოგდება კიბიდან, ცხენიდან და სხვ., შარაგზაზე ჩასაფრება, თვითნებურად შესვლა სხვის ბინაში ან მოღობილ ადგილას, ხმლის ამოღება ქარქაშიდან ან მისი მოღერება, საერთოდ თავდასხმა ადამიანზე და სხვა მისთ. ასეთი ხასიათის ნორმები მთელი ფეოდალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენენ. ასე მაგალითად, საშუალო საუკუნეების უძველეს ძეგლში – სალიკურ სამართალში – გვხვდება ასეთი ნორმა: „უკეთუ ვინმე ჭაში ჩააგდებს თავისუფალ ადამიანს და ეს უკანასკნელი იქიდან ცოცხალი ამოვა, დამნაშავეს გადახდება 4.000 დენარი...“ (ტიტ. XLI, §9)<sup>2</sup>. ასეთი სახის დანაშაულებრივ ქმედობებს თანამედროვე სისხლის სამართალში შეკვეცილ შემადგენლობებს ან საფრთხის შემქმნელ დელიქტებს უწოდებენ.

დასავლეთ ევროპაში ზოგადი დებულებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ შემუშავებულ იქნა პირველად იტალიის საშუალო საუკუნეების იურისტების (გლოსატორების) მიერ XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის განმავლობაში. გლოსატორები არა მარტო ხმარობენ ტერმინს „მცდელობა“, არამედ აგრეთვე იძლევიან მის განმარტებასაც. მცდელობის ცნება გლოსატორებს მეტად

---

<sup>1</sup> იხ. K. Binding, Grundriß des Deutschen Strafrechts, Leipzig, 1907, S. 128; L. Bar, Geschichte des Deutschen Strafrechts und der Strafrechtstheorien, Berlin, 1882, S. 36; Mommsen, Römische Strafrechts, 1889, S. 95.

A.Н. Круглевский, Учение о покушении на преступление, т. I. Петроград, 1917, стр. 401-413.

<sup>2</sup> ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, თბილისი, 1950, გვ. 32. იხ. აგრეთვე იმავე პარაგრაფის მე-7 დამატება: „უკეთუ გადაგდებულმა თავი დააღწია სიკვდილის საფრთხეს, გადახდილი იქნება იმ სისხლის ნახევარი, რომელიც უნდა გადაიხადონ მისი სიკვდილის შემთხვევაში, ვინაიდან სიკვდილის შემთხვევაში ყველა ანაზღაურებული უნდა იქნას სათანადო სისხლით“ (იქვე, გვ. 32).

ფართოდ ესმოდათ. იგი მოიცავდა არა მარტო იმ მოქმედებებს, რომლებიც შემდგომ ბუეუაზიულმა სისხლის სამართალმა ამ ცნებას მიაკუთვნა (დანაშაულებრივი შემადგენლობის განხორციელების დასაწყისი), არამედ ყოველ მოქმედებას, რომელიც ჩადენილი იყო დანაშაულის განხორციელების მიზნით (მაშასადამე, მოსამზადებელ მოქმედებასაც). თავდაპირველად მცდელობა მხოლოდ მძიმე დანაშაულის დროს ისჯებოდა, შემდგომ კი, ჯერ ერთი, გაფართოვდა თვით მძიმე დანაშაულის ცნება, და, მეორე, გამოცხადებულ იქნა მცდელობის დასჯადობა ყველა დანაშაულის დროს (XVI საუკ.). გლოსატორების მოძღვრება იცნობდა ნებაყოფლობით თავდანებებული მცდელობის დაუსჯელობას, მაგრამ ეს წესი XVI საუკუნის ბოლოს შეიცვალა და ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობაც დასჯადად გამოცხადდა.

გლოსატორების აზრებს, რომელნიც რომის სამართლის ავტორიტეტით იყვნენ განმტკიცებულნი. როგორც ცნობილია, ნორმატიული ძალა ჰქონდათ. ამიტომ, გასაგებია, რომ მათი დებულებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ საშუალო საუკუნეების იტალიური სამართლის მოქმედ ნორმებად გადაიქცნენ.

გლოსატორების მოძღვრებამ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ ზეგავლენა მოახდინა საშუალო საუკუნეების გერმანულ სამართალზე. ეს ზეგავლენა აშკარად ეტყობა როგორც 1507 წ. ბამბერგის სისხლის სამართლის დებულებას, ისე კარლოს V-ს 1532 წლის სისხლის სამართლის დებულებას (კაროლინას), რომელიც 178-ე მუხლში იძლევა უკვე მცდელობის ცნების ზოგად განსაზღვრებას. კაროლინაც მცდელობას აკუთვნებს არა მარტო მცდელობას უფრო გვიანდელი გაგებით („დანაშაულის განხორციელების დასაწყისი“), არამედ აგრეთვე მოსამზადებელ მოქმედებასაც. მცდელობა ისჯება ყველა იმ დანაშაულის დროს, რომელსაც სისხლისსამართლებრივი სასჯელი მოჰყვება. კაროლინა არ სჯის ნებაყოფლობით მიტოვებულ მცდელობას. სასჯელი მცდელობისათვის იმავე ზომის იყო, რაც დამთავრებული დანაშაულისათვის. კაროლინას დადგენილებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ საფუძვლად დაედო გერმანიის სისხლის სამართლის განვითარებას აღნიშნულ საკითხში.

მოსამზადებელი მოქმედებისა და მცდელობის გამიჯვნა ერთმანეთისაგან უფრო გვიანდელი სამართლის პროდუქტია. ბურჟუაზიულ სამართალში მოსამზადებელი მოქმედების დაუსჯელობა გამოცხადებულ იქნა საფრანგეთის რევოლუციის დროს. საფრანგეთის 1791 წლის სისხლის სამართლის დებულება ამ მხრით მეტად შორს წავიდა. მან გააუქმა არა მარტო მოსამზადებელი მოქმედების, არამედ, როგორც წესი, მცდელობის დასჯადობაც. ამ კოდექსის მიხედვით მცდელობა მარტო ორ შემთხვევაში ისჯებოდა: წინასწარი განზრახვით მკვლელობის და მოწამელის დროს. ეს დადგენილება ძალიან გაუქმებული. უკვე IV წლის 22 პრერიალის კანონი აცხადებს მცდელობას დასასჯელად დამთავრებული დანაშაულის თანაბრად.

ამ კანონის დადგენილებანი გადატანილ იქნა საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. აღნიშნული კოდექსის მიერ მოსამზადებელი მოქმედება, როგორც საერთო წესი, დაუსჯელად არის აღიარებული. მომზადება ისჯება მხოლოდ გამონაკლისის სახით – სახელმწიფო დანაშაულთა ჩადენის დროს. მცდელობა ისჯება ყოველი დანაშაულის (crime) დროს, ხოლო გადაცდომის (delit) დროს იგი ისჯება მარტოოდენ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. 1810 წლის კოდექსი იძლევა მცდელობის ზოგადი ცნების განმარტებას. მცდელობად ითვლება ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც გამოვლინებულია გარეგან მოქმედებაში და რომელსაც თან ახლავს ასრულების დასაწყისი, უკეთუ იგი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი დაშინაშვის ნებაზე დამოუკიდებელი გარემოების გამო. მცდელობას საფრანგეთის კოდექსი სჯის ისევე, როგორც დამთავრებულ დანაშაულს.

საფრანგეთის კოდექსის დადგენილებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ საფუძვლად დაედო სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობებს, რომელნიც ამ კოდექსის ზეგავლენით აუქმებენ მომზადების დასჯადობას. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების XIX საუკუნის სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა, წინააღმდეგ საფრანგეთის კოდექსისა, მცდელობას უფრო მსუბუქად სჯის, ვიდრე დამთავრებულ დანაშაულს.



დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის ისტორია რუსეთის რევოლუციამდელ სამართალში თავისებური გზით მიმდინარეობდა.

რუსეთის უძველესი სამართლის წიგნში – მოკლე რედაქციის „რუსკაია პრავდაში“ გვხვდება მეტად საინტერესო დადგენილებანი, რომელნიც მოგვაგონებენ ევროპის ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლების ზემონახსენებ დადგენილებებს. ასე მაგალითად, „რუსკაია პრავდა“ იცნობს ხმლის ამოღებას, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს. ამ ძეგლის მე-9 მუხლში ნათქვამია: «Оже ли кто вынезь мечь, а не тнеть, то тыи гривну положить» (უკეთუ ვინმე ამოიღებს ხმალს, მაგრამ არ დაარტყამს მას, გრივნა უნდა გადაიხადოს)<sup>1</sup>.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით „რუსკაია პრავდას“ მე-9 მუხლი ადასტურებს, რომ რუსეთის სამართლის ეს ძეგლი უკვე იცნობდა მცდელობის ცნებას. ასეთ აზრს რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში იზარებდა პროფ. ვლადიმირსკა-ბუდანოვი<sup>2</sup>, ხოლო საბჭოთა ლიტერატურაში პროფ. იუშკოვი<sup>3</sup>. მაგრამ როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ისაევი, „რუსკაია პრავდისათვის“ საერთოდ უცხო იყო წარმოადგენა მომზადებასა და მცდელობაზე, როგორც დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების სტადიებზე. ცალკეული მოქმედებანი, რომელთაც თანამედროვე სამართალი მომზადებად და მცდელობად თვლის, განიხილებოდნენ როგორც დამოუკიდებელი დანაშაულნი. კერძოდ, ხმლის ამოღება, შესაძლებელია, შეურაცხყოფელ დანაშაულად ითვლებოდა<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> Памятники русского права под редакцией С.В. Юшкова, вып. I. Госюриздат. М., 1952, стр. 78.

<sup>2</sup> М. Владимирский-Буданов, Хрестоматия по истории русского права, вып. I. 1899, стр. 27. прим. 13.

<sup>3</sup> С.В. Юшков, История государства и права СССР, ч. I-ая, Госюриздат. 1950, стр. 121.

<sup>4</sup> М. М. Исаев, Уголовное право Киевской Руси, Ученые труды ВИЮН, вып. VIII, М., 1946, стр. 162. რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში ამავე აზრს იზარებდნენ: Н. С. Таганцев. Курс русского уголовного права, кн. I. отд. III. С.-Пб. 1878, стр. 170, В. Сергеевич, Лекции и исследования. 1910, стр. 374-375.

რუსეთის სამართალში პირველ ნორმებს დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ მეფე ალექსი მიხეილის ძის 1648/1649 წლის სჯულდებაში ვხვდებით. მაგრამ საკანონმდებლო ძეგლში არ არის მოცემული ზოგადი ნორმა დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ. სჯულდება ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას ცალკეულ დანაშაულთა დროს (უმთავრესად მკვლელობის დროს)<sup>1</sup>. მაგალითად XXII თავის მე-8 და მე-9 მუხლებში ნათქვამია: „а будет чей нибудь человек помыслить смертное убийство на того, кому оно служить или противь его выметь какое оружие, хотя его убить, и ему за такое его дело отсечь руку, а убьеть до смерти и его самого казнить смертию же безо всякие пощады“. როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს, მკვლელობის მცდელობის აღნიშნული შემთხვევა (მოსაკლავად იარაღის აღმართვა) ალექსი მიხეილის ძის სჯულდების თანახმად გაცილებით უფრო მსუბუქად ისჯებოდა, ვიდრე დამთავრებული მკვლელობა. მაშინ, როდესაც დამთავრებული მკვლელობა სიკვდილით დასჯას იწვევდა, მკვლელობის მცდელობა ხელის მოჭრით ისჯებოდა. ცალკეული ნორმები მცდელობის დასჯადობის შესახებ გვხვდება აგრეთვე პეტრე პირველის სამხედრო არტიკულებში (1716 წ.) და საზღვაო წესდებაში (1720 წ.). მცდელობა ისჯებოდა მხოლოდ ზოგიერთი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს. ამ დანაშაულთა რიცხვს ეკუთვნოდა მკვლელობა, თვითმკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა და სხვ. მისთ. პეტრე პირველის კანონმდებლობაში მცდელობის ცნება არ არის გარკვეული და დიფერენცირებული მომზადების ცნებისაგან. ასე მაგალითად, საზღვაო წესდების V წიგნის XV თავის 107-ე მუხლში ნათქვამი იყო: „Всем убийцам и намеренным на то смертная казнь. Все убийцы или намеренные к убийству будут казнены смертной казнию“. როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს, არათუ მცდელობა, არამედ გაცილებით უფრო ადრინდელი სტადიებიც იწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თანაც სასჯელი

<sup>1</sup> იხ. ნ. ტაგანცევი. დასახ. ნაშრ გვ 170; М. Сергеевич, Лекции по истории русского права, 1890, стр. 497-498; მისივე: Лекции и исследования, 1910, стр. 375-376. ამ აზრის საწინააღმდეგოდ პროფ. კრუგლევსკი ამტკიცებს, რომ პირველი დადგენილებანი მცდელობის შესახებ რუსეთის სამართალში გვხვდება მხოლოდ პეტრე პირველის კანონმდებლობაში (კრუგლევსკი, დასახ. თხზ., გვ. 365).

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის მეტად მძიმე იყო. უბრალო მკვლევლობის დროს დაუმთავრებელი დანაშაული ისჯებოდა ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული. კვალიფიციური მკვლევლობის დროს კვალიფიციური სიკვდილით დასჯა იცვლებოდა უფრო მსუბუქი ფორმის სიკვდილით დასჯით. თვითმკვლევლობის ცდა იწვევდა სიკვდილით დასჯას. მხოლოდ ქალის დაწყებული და დაუმთავრებელი გაუპატიურების და აგრეთვე ქურდობის მცდელობის შემთხვევაში სასჯელის ზომა მცირეოდნად მცირდებოდა.

ზოგადი ხასიათის დადგენილებანი მცდელობის შესახებ მოცემული იყო პირველად 1813 წლის სისხლის სამართლის დებულების პროექტში, თუმცა ეს დადგენილებანი ჯერ კიდევ მეტად ბუნდოვან ხასიათს ატარებდნენ. აღნიშნული პროექტი იძლეოდა მცდელობის ცნების თავისებურ განსაზღვრებას და მისი სახეების დაყოფას (დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად). პროექტი ითვალისწინებდა მცდელობის ნაკლებ დასჯადობას დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით. ეს ნორმა პროექტის ზოგად ნაწილში არ იყო მოცემული, მაგრამ შეიძლებოდა გამოტანილი ყოფილიყო განსაკუთრებული ნაწილის დადგენილებებიდან. პროექტი იცნობდა ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის ცნებას, მაგრამ ასეთი მცდელობა არ ათავისუფლებდა მის ჩამდენს პასუხისმგებლობისაგან, თუმცა იწვევდა სასჯელის ერთგვარ შემსუბუქებას.

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც შეტანილი იყო ზოგადი დადგენილებანი მცდელობის შესახებ, არის რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული 1832 წლისა (Свод законов Российской империи). კანონთა კრებული განასხვავებს ერთმანეთისაგან დანაშაულის ჩადენის განზრახვის გამოძლევენებას, დანაშაულის მცდელობას და დამთავრებულ დანაშაულს. დანაშაულის ჩადენის განზრახვის გამოძლევენება კანონთა კრებულში განსაზღვრულია შემდეგნაირად: „Умыслом к преступлению почитается обнаруженное каким либо действием намерение учинить оное, хотябы притом и не было произведено ни самого преступного деяния, ни покушения на оное“ (მუხ. მე-8). მე-9 მუხლში მოცემულია მცდელობის განსაზღვრება: „Покушением к преступлению почитается

намерение учинить оное, когда намерение сие обнаружено таким действием, коего необходимым следствием было бы совершение преступления, если бы сие совершение или не было остановлено собственною волею умышлявшего, или не было отвращено каким-либо внешним препятствием“.

საინტერესო ნორმებია მოცემული კანონთა კრებულში ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის შესახებ. თუ მცდელმა თავისი ნებით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე, თანაც მის მიერ უკვე შესრულებულ მოქმედებაში არ არის რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნები (მაგალითად, ქურდი უიარაღოდ და ძალადობის გარეშე შეიპარა სხვის ბინაში ქურდობის განზრახვით, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და დანაშაულს თავი მიანება), მოსამართლემ ასეთ პირს უნდა შეუფარდოს შემსუბუქებული სასჯელი თავისი შეხედულებისამებრ. ხოლო თუ დანაშაულის ნებაყოფლობით მიმტოვებლის მოქმედებაში არის რომელიმე სხვა დანაშაულის ნიშნები (მაგალითად, ხელის ან იარაღის აღმართვა), მაშინ მცდელობისათვის სასჯელი შემცირებულია, მაგრამ პირმა პასუხი უნდა აგოს იმ დამთავრებული დანაშაულისთვისაც, რომელიც მან ჩაიდინა (მუხ. 117-ე).

როგორც ზემოთ მოტანილი დებულებებიდან ჩანს, კანონთა კრებული დანაშაულის მომზადების ცნებას არ იცნობს. სადავოა, რას მიაკუთვნებდა კანონთა კრებული ისეთ მოქმედებებს, რომლებიც დანაშაულის მომზადებას წარმოადგენენ, — მცდელობას თუ განზრახვის გამოძღვანებას? ტაგანცევის აზრით, დანაშაულის მომზადება უეჭველად შედიოდა განზრახვის გამოძღვანების ცნებაში, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ იგი არასდროს არ ისჯებოდა. საქმე ის არის, რომ კანონთა კრებული ითვალისწინებდა განზრახვის გამოძღვანების დასჯადობას მთელ რიგ მძიმე დანაშაულთა დროს, კერძოდ, სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. მაგრამ განზრახვის გამოძღვანების დასჯა მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლებოდა, სხვა დროს კი იგი დაუსჯელი რჩებოდა.<sup>1</sup> პროფ. ტაგანცევის მიერ გამოთქმული შეხედულების წინააღმდეგ ილაშქრებს პროფ. კრუგლევსკი, რომლის აზრით კანონთა კრებუ-

<sup>1</sup> ნ. ტაგანცევი, დასახ. კურსი, გვ. 141, შენიშვნა 35.



ლი მცდელობის ცნებაში მოსამზადებელ მოქმედებასაც მოიცავდა. ამ დებულების დასამტკიცებლად კრუგლევსკის ის მოსაზრება მოჰყავს, რომ 117-ე მუხლი, სადაც ნებაყოფლობით მიტოვებულ მცდელობაზეა ლაპარაკი, იხსენიებს ისეთ მაგალითებს, რომლებიც არსებითად მომზადებას წარმოადგენენ და არა მცდელობას (ქურდის შეპარვა ბინაში გაქურდვის მიზნით).<sup>1</sup> პროფ. კრუგლევსკის ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით. არათუ იმდროინდელ, არამედ დღევანდელ სისხლის სამართლის ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულებითაც კი ქურდის შეპარვა ბინაში გაქურდვის მიზნით მცდელობად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მოქმედება უშუალოდ მიმართულია დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე და ჰქმნის შესაბამისი უფლების დარღვევის რეალურ საშიშროებას. კრუგლევსკის წინააღმდეგ, პირიქით, უნდა ითქვას, რომ კანონთა კრებულის მიერ მცდელობის განსაზღვრება არაერთარ შესაძლებლობას არ იძლევა მასში დანაშაულის მომზადებაც ვიგულისხმობთ. მცდელობა აქ განსაზღვრულია, როგორც მოქმედება, რომელსაც აუცილებლობით უნდა მოჰყოლოდა დანაშაულის დამთავრება, რომ მას ხელი არ შეშლოდა. ცხადია, ისეთ მოქმედებაზე, რომელიც მომზადებაში შედის (იარაღის ან სხვა საშუალების შექმნა, დამზადება ან სხვა პირობების შექმნა) და რომელიც ჯერ კიდევ მეტად დამორებულია დანაშაულის დამთავრებისაგან, არ შეიძლება ითქვას, რომ მას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა დანაშაულის დამთავრება. პირიქით, როდესაც კანონთა კრებული განსაზღვრავდა დანაშაულის განზრახვის გამოძღაენებას, როგორც ისეთ მოქმედებას, რომელშიც გამოვლინდა დანაშაულის ჩადენის განზრახვა, თუ კი ის მცდელობას არ წარმოადგენდა, ეს განსაზღვრება არსებითად უფრო მომზადების ცნებას მოიცავდა, ვიდრე დანაშაულის განზრახვის გამოძღაენების ცნებას<sup>2</sup>.

უფრო დაწვრილებითი დადგენილებები წინასწარი მოსამზადებელი

<sup>1</sup> კრუგლევსკი, დასახ. ნაშრ., ტ. I. გვ. 375-376. შენიშვნა 2.

<sup>2</sup> ამიტომ სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. ტაგანცევი, რომ სწორედ 1832 წლის კანონთა კრებულის ამ არასწორი ტერმინოლოგიის გამო რუსეთის რევოლუციამდელ სამართალში დიდხანს ურევდნენ ერთმანეთში განზრახვის გამოძღაენებისა და დანაშაულის მომზადების ცნებებს. Н. С. Таганцев, Курс русского уголовного права. Часть общая, книга первая, отдел III, С. II. 1878, стр. 141.

მოქმედების შესახებ მოცემული იყო 1845 წლის სასჯელთა დებულებაში. სასჯელთა დებულება, განზრახვის გამოძღვანებისა და მცდელობის ცნებებთან ერთად, იცნობს დანაშაულის მომზადებასაც. განზრახვის გამოძღვანებად ითვლება წერილობით, სიტყვიერად ან რაიმე მოქმედებით გამოვლინებული წადილი დანაშაულის ჩადენისა, მაგალითად, მუქარა, დაკეცება ან რაიმე ბოროტების ჩადენის წინადადება. მომზადებად ითვლება საშუალების გამოძებნა ან შეძენა დანაშაულის ჩასადენად, ხოლო მცდელობად – ყოველი მოქმედება, რომლითაც იწყება ან გრძელდება ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა. განზრახვის გამოძღვანება, 1845 წლის სასჯელთა დებულების თანახმად, ისჯებოდა მხოლოდ კანონით სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში. მოსამზადებელი მოქმედებისათვის პირი ისჯებოდა, ჯერ ერთი, იმ შემთხვევაში, „უკეთუ ამისათვის გამოყენებული საშუალება კანონსაწინააღმდეგო იყო“ და, მეორე, მაშინ, თუ თვით შეძენა ამ საშუალებისა ჰქმნიდა საფრთხეს რომელიმე კერძო პირის ან რამდენიმე პირის ან საზოგადოებისათვის. ამავე დროს სასჯელთა დებულებაში მითითებული იყო, რომ თუ ბრალის დამამძიმებელ გარემოებებს არა აქვს ადგილი, სასჯელი მომზადებისათვის დაინიშნება მხოლოდ კანონით სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში. მცდელობა ისჯებოდა ყველა დანაშაულის დროს. სასჯელთა დებულება ითვალისწინებდა ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობისა და მომზადების დაუსჯელობას. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პირი ისჯებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტიურად შესრულებული მოქმედება წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულ დამთავრებულ დანაშაულს. ამ დადგენილებებში დაზუსტება შეიტანა 1864 წლის 9 მარტის კანონმა, რომელმაც ოდნავ შეარბილა 1845 წლის სასჯელთა დებულებით გათვალისწინებული მეტად მკაცრი სასჯელები, ხოლო უკიდურესი უვიცობითა და ცრუმორწმუნეობით ჩადენილი მცდელობა გაუთანაბრა განზრახვის გამოძღვანებას. მაშასადამე, ასეთი მოქმედება შეიძლებოდა დასჯილი ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კანონი ითვალისწინებდა განზრახვის გამოძღვანების დასჯადობას, მაგალითად, სახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩადენის დროს.

რუსეთის რევოლუციამდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმები დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს 1903 წლის სისხლის სამართლის დებულებაში აღწევენ: განზრახვის გამოძღვლებას. 1903 წლის დებულება სრულიად არ იხსენიება. მოსამზადებელი მოქმედება ამ დებულების თანახმად ისჯებოდა კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში. მცდელობა დებულებით განსაზღვრული იყო როგორც მოქმედება, რომლითაც იწყება დანაშაულებრივი ქმედობის სისრულეში მოყვანა, უკეთუ იგი ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მძიმე დანაშაულის მცდელობა, დანაშაულთა სამწევროვანი დაყოფის შესაბამისად, რაც 1903 წლის დებულებაში იყო გატარებული, ისჯებოდა ყოველთვის, დანაშაულის მცდელობა – მარტოოდენ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში, ხოლო დარღვევის მცდელობა არასდროს არ ისჯებოდა. მცდელობისათვის 1903 წლის დებულება ითვალისწინებდა შემცირებულ სასჯელს დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით. ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობა და აგრეთვე მცდელობა უვარგისი საშუალებით, რომელიც არჩეული იყო უკიდურესი უვიცობისა და ცრურწმენის გამო, დებულების თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევდა.



ქართული ფეოდალური სამართალი არ იცნობს ზოგად ნორმებს მცდელობის შესახებ. ისევე, როგორც რომისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ სამართალში, აქაც გვხვდება ე.წ. „შეკვეცილი შემადგენლობანი“, რომლებიც საფრთხის შემქმნელ დელიქტებს წარმოადგენენ და ისჯებიან როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული, როგორც *deliktum sui generis*. ასეთია, მაგალითად, მახვილის ამოღება, რომელიც, როგორც ჩანს, ისჯებოდა როგორც შეურაცხმყოფელი დანაშაული. ამ დანაშაულის არსებობაზე ქართულ ფეოდალურ სამართალში მოუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის საქართველოს გეოგრა-

ფიაში: „უკმთუ ვინ იხადის მახვილი ბჭესა ძევისასა ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოკუქმითან კელნი“<sup>1</sup>.

ანალოგიურ ხასიათს ატარებს, ჩვენი აზრით, ბექა-ალბულას კანონების მე-13 მუხლიც. მაგრამ ამ მუხლში მოცემული ნორმის გასაგებად საჭიროა ვერ მე-12 მუხლის შინაარსს გავეცნოთ. მე-12 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ კაცი კაცს დაესხა და მოკლა იგი, თავდამსხმელი ვალდებულია მას ორკეცი სისხლი გადაუხადოს: „და რომელსაცა დასხმოდეს, მისი სისხლი ორკეცია და გერშიცა იმავე წესით“. (ხელნ. A.)<sup>2</sup>.

ამრიგად, მე-12 მუხლში მოცემულია შედეგიანი შემადგენლობის ტაბი. შედეგი კაცის სიკვდილში მდგომარეობს. ამ მუხლისაგან განსხვავებულია მისი მომდევნო (მე-13) მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს იმ შემხვევისათვის, როცა თავდასხმის შედეგად ის, ვისაც დაესხნენ, არ მოკვდარა. მუხლის რედაქცია ასეთია: „და თუ კაცი (არ) მოკუდეს ზედა-დასხმაშია, დედა – წულთა, აფუნჩხეთა, დედა-წულთა შერცხენისათვის საბატიოს კაცისა ნახევარი სისხლი დაუურვოს“ (ხელნ. A.). („თუ კაცი არ მოკვდეს ზედა-დასხმასა, დედა-წულთა აფარვისათვის, დედა-წულთა შერცხენისათვის საბატიოს კაცის სისხლისა ნახევარი დაუურვოს“ (ხელნ. B.)<sup>3</sup>.

ერთის შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აღნიშნული ნორმა მცდელობის ცნებას შეიცავს: წინა მუხლი (მე-12) ლაპარაკობს დამთავრებულ მკვლელობაზე, რომელიც ზედ-მიხდომის დროს არის ჩადენილი და სჯის მას ორკეცი სისხლით, ხოლო მე-13 მუხლი ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის – მკვლელობის მცდელობას, რომელსაც სჯის უფრო მსუბუქად დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით.

მაგრამ აღნიშნული ნორმის დაკვირვებით განხილვა, ჩვენის აზრით, არ ადასტურებს იმას, რომ აქ გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა მკვლელობის მცდელობისათვის. მკვლელობის მცდელობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა ნაგულისხმევი, დანაშაულის შემადგენლობას რომ იგივე

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1941, გვ. 11.

<sup>2</sup> იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 290.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 291.

ობიექტი ჰქონოდა, რაც დამთავრებულ დანაშაულს (ამ შემთხვევაში – ადამიანის სიცოცხლე) და მუხლში ხაზგასმული ყოფილიყო, რომ სუბიექტურადაც თავდამსხმელის მოქმედება სწორედ ადამიანის სიცოცხლის მოსასპობად იყო მიმართული. მაგრამ მე-13 მუხლში სულ სხვა სურათს ვხვდავთ: აქ პირდაპირ არის მითითებული, რომ თუ კაცი არ მოკვდა, თავდამსხმელი ისჯება „დედა-წულთა აფარვისათვის, დედა-წულთა შერცხვენისათვის“. მაშასადამე, ამ დანაშაულის ობიექტი – ოჯახის სიმშვიდე, ოჯახის ღირსებაა. მისი ძირითადი არსი ოჯახის ღირსების შეურაცხყოფაში მდგომარეობს. ამიტომ სასჯელიც შესაფერის ხასიათს ატარებს. სახელდობრ, მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილში მითითებულია:

„და თუ საბატითა კაცთა შუაჩამოსვლითა ჩამოუვიდეს, არა საკვირველია.

თუ ზედა-დამსხმელი დარჩეს, გააშიშვლოს, ჩაათრივოს საწბილოდ შვიდსა ბიჯსა და მეკრემან შოლტით აღმოჰკრას ნაცსა ჩათრევა უბანთა ზედა საჩინოდ ერისა (უნდა). ესე ერთმანეთისა ნებითა ქნან“ (ხელნ. A)<sup>1</sup>.

ეს შემარცხვენიელი სასჯელიც იმის დამადასტურებელია, რომ დანაშაულებრივი ქმედობა შეურაცხყოფელ ქმედობათა რიცხვს ეკუთვნის და ამიტომ სასჯელიც ისეთია დადებული, რომ თვით თავდამსხმელს განაცდევინონ შეურაცხოფის გრძნობა.

ყოველივე ნათქვამიდან, ჩვენის აზრით, ნათლად დასტურდება, რომ ბექა-ალბულას სამართლის ზემოაღნიშნული მუხლი დაუმთავრებელ დანაშაულს კი არ ითვალისწინებს, არამედ დამთავრებულ დანაშაულს, რომელიც ოჯახის სიმშვიდისა და ღირსების წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ, სხვა მუხლებისაგან განსხვავებით, ამ მუხლში მითითებული დანაშაულის შემადგენლობა საფრთხის შემქმნელ დელიქტს წარმოადგენს. ამ მხრივ იგი იმავე ხასიათს ატარებს, როგორსაც ატარებდნენ რომის სამართლისა და ევროპის საშუალო საუკუნეების

---

<sup>1</sup> ხელნაწერი: B „თუ ამაზედა-დამსხმელთა არ გამოართმიდენ, და ესე არჩოს: ნოხებითა ოდენ გააშიშვლებულად ზოლოთა შვიდთა ბიჯთა ჩაათრიონ და მას კაცსა მეკრემან სამი შოლტი ამოჰკრას ნამეტნავსა, რომელი დასხმოდეს ზედა საწბილოდ. ჩათრევა უბანთა ზედა და საჩინოდ ერისა უნდა...“ (იხ. ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 291).

სამართლის ზემოთ მოტანილი შემადგენლობანი (ორმოში ან ჭაში ჩაგდება, ცხენიდან გადმოგდება, შარაგზაზე ჩასაფრება, თვითნებურად შესვლა სხვის ბინაში და ა.შ.).

მაგრამ ამ სახის დანაშაულებრივ ქმედობებთან ერთად, ძველ ქართულ სამართალში გვხვდება ისეთი ნორმები, რომლებიც უეჭველად ადასტურებენ, რომ ამ სამართლისათვის დანაშაულის მცდელობის ცნება უცხო არ იყო. მართალია, განვითარების იმდროინდელ საფეხურზე მცდელობის ზოგადი ცნება ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა შემუშავებულიყო, მაგრამ ერთი დანაშაულის, სახელდობრ მკვლელობის, მიმართ ქართული ფეოდალური სამართლის ნორმები ითვალისწინებენ მცდელობის დასჯადობას. ასეთი ნორმა მოცემულია ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტში, რომელიც თან ერთვის ბექა-ალბუღას სამართლის წიგნს: „134. თუ გამართოს და იგი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, ექუსი ათასი თეთრი დაუურვის სიკუდილისა ცდისათვის, სამი ათასი შეეყრების ცოდვისათვის“<sup>1</sup>.

როგორც ამ მუხლის ტექსტიდან ჩანს, თუ კაცი გამართავს ყოველივეს კაცის მოსაკლავად, მაგალითად, მოუღერებს ხმალს და სხვ., მაგრამ დაზარალებული დამნაშავეზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო სიკვდილს გადარჩება („ღმერთმან მოარჩინოს“), დამნაშავე დაისჯება სიკვდილის ცდისათვის. ამგვარად, 134-ე მუხლი არათუ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მკვლელობის მცდელობისათვის, არამედ სპეციალურ ტერმინსაც ხმარობს ამ ცნების გამოსახატავად („სიკუდილისა ცდისათვის“). ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ სასჯელი სიკვდილის მცდელობისათვის გაცილებით უფრო მსუბუქია, ვიდრე დამთავრებული მკვლელობისათვის.

დანაშაულის მცდელობის ცნებასთან ერთად, ბექა-ალბუღას სამართალი ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის ცნებასაც იცნობს. ეს ნორმაც მკვლელობის შემადგენლობასთან არის დაკავშირებული. მას 133-ე მუხლი ითვალისწინებს: „133. თუ კაცი კაცსა ზედა სალაატოდ წაივდეს, თუ მანვე დაშალოს, ან სხუათა დაამლევინონ, — არა ზედა-აც“<sup>2</sup>. ამ მუხლში აღიარებულია ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის სრული დაუსჯელობა.

<sup>1</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 339.

<sup>2</sup> იქვე.

კანონის სიტყვები „ანუ სხუათა დააშლევინონ“ გაგებულ უნდა იქნეს არა ისე, თითქოს ვინმემ დანაშაულის ჩადენის დროს ხელი შეუშალა დანაშაულებრივი ცდის რეალიზაციას, ასეთი შემთხვევები კანონმდებელს 134-ე მუხლში აქვს ნაგარაუდვეი („თუ გამართოს და იგი კაცი ღმერთმან მოარჩინოს“), არამედ ის, რომ ვინმემ რჩევა-დარიგებით ზემოქმედება მოახდინა პირზე და დაარწმუნა იგი ხელი აუღო დანაშაულის ჩადენაზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბექა-აღბულას სამართლის ეს მუხლები ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები არიან და, მაშასადამე, XI საუკუნეს ეკუთვნიან<sup>1</sup>, ამ ნორმების არსებობა, როგორც ქართული სამართლის მკვლევარები მართებულად აღნიშნავენ, უცვლელად მიუთითებს იმდროინდელი ქართული სამართლის განვითარების მეტად მაღალ დონეზე<sup>2</sup>. როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, მცდელობის ცნების წარმოშობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრალის ცნების განვითარებასთან. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი სამართალი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ქმედობის სუბიექტურ მხარეს, არ შეიძლებოდა მისულიყო დანაშაულის მცდელობის საზოგადოებრივი სამიშროების შეგნებადღე და თვით ამ ცნების არსის ჩამოყალიბებადღე. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯის იდეა შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ იმ სამართლებრივ სისტემაში, რომელსაც ნათლად აქვს წარმოდგენილი დანაშაულის სუბიექტური მხარე და მნიშვნელობას ანიჭებს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის დროს.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის ზემოთ მოყვანილი ნორმები შემთხვევით ხასიათს როდი ატარებენ და მარტო XI საუკუნის ნორმებად როდი ჩაითვლებიან. პირიქით, როგორც ჩანს, ისინი მოქმედებდნენ საუკუნეების განმავლობაში. ამაზე მიუთითებს არა მარტო ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნორმები შეტანილია ბექა-აღბულას სამართალში, არამედ ისიც, რომ მას უფრო გვიანდელ ძეგლებშიც ვხვდებით.

<sup>1</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 43-60.

<sup>2</sup> იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ, „მნათობი“, 1954, №9; ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, 1957, გვ. 35; გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი ელტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში, თბილისი, 1959, გვ. 65-77.

ამ მხრით მნიშვნელოვანია ერთი, მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულის სასისხლო სიგელი, რომელიც გვხვდება ვ. ფუთურიძის მიერ გამოცემულ ქართულ-სპარსულ ისტორიულ დოკუმენტებში. საბუთი წარმოადგენს წყალობის წიგნს, რომელიც მიუცია სვიმონ I-ს გედღონ მაღალაძისათვის, „მისი გვარისათვის სისხლის განჩინების შესახებ“. სიგელში აღნიშნულია, რომ სვიმონ მეფესთან გამოცხადდნენ „კათოლიკე ეკლესიისა შეილნი მაღალას-ძე ქადაგი გედღონ და ძე მათი რომანოზ“, რომელთაც წარუდგინეს მეფეს ძველი სიგელი, ეს სიგელი სვიმონმა განუახლა და განუჩინა მათ „სამართალი სისხლისა“. ამ სიგელის ერთ-ერთი პუნქტი თავისი შინაარსით ბექა-ალბულას კანონების 133-ე და 134-ე მუხლებს იმეორებს. სახელდობრ, იქ ნათქვამია: „თუ ვინმე საღალატოდ წავიდეს და თავადვე დაშალოს ან სხუათა დააშლევინონ, არა ზედა აც. თუ გაჰმართოს და სიკუდილსა ეცადოს და ესე ვითარი კაცი ღ/მერ/თ/მან მოარჩინოს, მისგან მკუდარი იქნების და ნახევარი სისხლი დაეურვოს სიკუდილისა ცდისათვის“<sup>1</sup>.

ამგვარად, სვიმონ მეფის სიგელში, ისევე როგორც ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში, იხსენიება კაცის მოკვლის ცდა, რომელიც ისჯება არა როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული, არამედ როგორც დაუმთავრებელი დანაშაული – მოქმედება, მიმართული განზრახვის განხორციელებაზე. ამასთან ერთად შენარჩუნებულია ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის დაუსჯელობა. მაშასადამე, XI საუკუნიდან მოყოლებული მეთექვსმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებამდე (სვიმონ მეფის სიგელი ზუსტად არის დათარიღებული 1592 წლით) მცდელობის დასჯადობა და ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის დაუსჯელობა საქართველოში მოქმედ ნორმებს წარმოადგენდნენ.

დანაშაულის მცდელობის დასჯადობას ვხვდებით აგრეთვე ქართული ფეოდალური სამართლის უფრო გვიანდელი პერიოდის ძეგლებში. სახელდობრ, ეს ინსტიტუტი გვხვდება აგრეთვე ვახტანგ VI სამართლის წიგნში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დასჯადობა დაუმთავრებელი დანაშაულისა, როგორც დანაშაულის განვითარების სტადიისა, ქართული

<sup>1</sup> ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 46-47.



ფეოდალური სამართლის ამ ძეგლში ისე მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, როგორც ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში. ნორმა მცდელობის დასჯადობის შესახებ მოცემულია ვახტანგის სამართლის წიგნის 59-ე მუხლში. მუხლის ტექსტი ასეთია: „59. თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს, მოღალატედ ან გზაზე სადმე, ან სოფლად ღამით გამოსასვლელს ადგილს თუ სადაც იარაღით სასიკვდილოდ გამომეტებით დაუდგეს და ის საქმე გამოჩნდეს, რომე სდგომოდეს, და მერმე იმ ხანად იმ კაცს აღარ გამოველოს და წამოსულიყოს, თავის გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამ ღმერთსა და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია, ამისათვის მთელი სისხლი მოღალატემ იმ კაცს მისცეს; და თუ გაიაროს, და ან მოკლას და ან დაჭრას, ორკეცი სისხლი მისცეს; ერთი ღალატად დგომისათვის და ერთი სიკვდილისა. და თუ ამ უბრალო კაცმან ის მოღალატე მოკლას, მისი სისხლი არ არის“<sup>1</sup>.

იბადება კითხვა: რა სახის შემადგენლობასთან გვაქვს საქმე ვახტანგის სამართლის წიგნის ამ მუხლში: ე.წ. საფრთხის შემქმნელ შემადგენლობასთან, ე.ი. დამთავრებულ დანაშაულთან, რომელიც ისჯება როგორც *deliktum sui generis*, თუ მკვლელობის მცდელობასთან?

პირველი დებულების სასარგებლოდ შეიძლება მოვიტანოთ ის მოსაზრებანი, რომ, ჯერ ერთი, მუხლი ტერმინს „ცდას“ არ იხსენიებს და მეორე, ის, რომ კაცის ნამდვილად მოკვლის შემთხვევაში კანონი ითვლისწინებს ორმაგ სასჯელს: ერთს – ღალატად დგომისათვის და ერთს – სიკვდილისათვის.

მეუხედავად ამ მოსაზრებებისა, ჩვენის აზრით, აღნიშნული მუხლი სწორედ მცდელობას გულისხმობს. მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ ბოროტგანმზრახველი კაცს სიკვდილის განზრახვით ჩასდგომია. ეს ნათლად ჩანს კანონის სიტყვებიდან: „თუ კაცი... მოღალატედ ან გზაზე სადმე, ან სოფლად ღამით გამოსასვლელს ადგილს თუ სადაც იარაღით სასიკვდილოდ გამომეტებით დაუდგეს.. თავის გუნებით სიკვდილი სდომებია...“. მაშასადამე, კანონში მოცემულია მცდელობის სუბიექტური მხარე, რომელიც მკვლელობის პირდაპირ

<sup>1</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თინა ენუქიძის გამოცემა, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 67.

განზრახვაში გამოიხატება. მეორე მხრით, აქვე მითითებულია, რომ ეს განზრახვა ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი, რადგანაც „ლმერთსა და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზაზე აღარ გამოუვლია...“ მაშასადამე, მოცემულია მცდელობისათვის დამახასიათებელი ობიექტური მხარეც: მოქმედება, მიმართული მაენე შედეგის განსახორციელებლად, რომელიც აცდენილ იქნა დამნაშავეზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

რაც შეეხება მუხლში მოხსენებულ ორმაგ სასჯელს კაცის მოკვლის შემთხვევაში, ეს იმით კი არ უნდა აიხსნას, რომ ღალატით მკვლელობის დროს კანონი ორი დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას ჰხედავს, არამედ იმით, რომ ღალატით (ჩასაფრებით და სხვ. მისთ.) მკვლელობა კანონმდებელს მეტად მძიმე დანაშაულად მიაჩნია, როგორც მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული მზაკვრობით და ამიტომ იგი ასეთ მკვლელობას კვალიფიციურ დანაშაულებრივ ქმედობად თვლის, რისთვისაც უფრო სასტიკ სასჯელს აწევსებს, ვიდრე ჩვეულებრივი განზრახვი მკვლელობისათვის. ასეთი სახის მკვლელობის აღიარება კვალიფიციურ მკვლელობად საშუალო საუკუნეების კანონმდებლობისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ნორმა სიკვდილის მცდელობის შესახებ ვახტანგისაგან უსესხებია და თავის „სამართალში“ შეუტანია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის მოღვაწეს დავით ბატონიშვილს.

სიკვდილის მცდელობაზე დავით ბატონიშვილი ორ ადგილას ლაპარაკობს. პირველად იგი ახსენებს მცდელობას 233-ე მუხლში (თავი კჰ, მუხ. ვ). ამ მუხლის სათაურია: „წადილისათვის სიკუდილისა სხუათა“, ხოლოდ ტექსტში ნათქვამია:

„რომელიცა მწადნელ იყოს სიკუდილად სხვისა და ვერ მოკლას და შეუკრას გზად და ვერარად ავნოს, მაშინ მისცეს სისხლის მესამელი.

და უკეთუ დააკრევეინოს თოფსა და არ გაუვარდეს, იგი იხილე ჭრილობასა შინა – თავსა ოცდამერვესა, კანონსა მეორესა...“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 2330. ციტირებულია დავით ფურცელაძის მიერ დასაბეჭდად მოწოდებული ნაშრომის „სამართალი ბატონიშვილის დავითისას“ – მიხედვით.

კანონი, ე.ი. მუხლი (238), რომელზედაც დავითი მიუთითებს, დასაწყისში თითქმის იმეორებს ვახტანგის სამართლის წიგნის ზემოხსენებულ მუხლს, მაგრამ მეორე ნაწილში, სახელდობრ, სასჯელის საკითხში, მკვეთრად განსხვავდება მისგან. მუხლში ნათქვამია:

„თუ კაცი კაცს მოლაღატედ, ან გზაზედ, ან სოფლად, ღამე თუ დღე, გამოსავლელს ადგილს თუ სადაც, იარაღით სასიკუდილოდ დაუდგეს და მართლად გამოსჩნდეს, რომ სდგომოდეს, და აღარ გამოველოს, მაშინ ამისი სამართალი იხილე თავსა კმ, სამართალსა ვ.

ხოლო უკეთუ კაცმან დააცემინოს თოფი და არ გაუარდეს ანუ გაუარდეს და გასცდეს და მით ვნება ვერარაჲ მე შეამთხვიოს, ამისათვის ვსჯი მე ესრეთ, რომელ მოეკვეთოს მას მარჯუ ჭნე და ანუ მარჯუ ჭნისა მისისა ღირებული სისხლი მიეხადოს, მდგომობისამებრ გუმიისა და პირისა, ამაღ რომელ იკადრა და განიზრახა სიტყვიერისა არსისა მხეცებრითა მრისხანებითა მოვდომად და არა მსახურა ორღანობითმან საჭურველმან. ამისათვის, რად თაცა იმოქმედა, მითვე ჯერ არს დასჯად მისი. თუძცალა ვიხილე მე სამართალსა შინა სანატრელისა მუჟისა ვახტანგისასა, რომელ შეხდომისათვის ზემოხსენებულისა შემთხვევისა განეჩინა სრული სისხლი და კვალადცა ნახევარი, მაგრა შვერაცხე მე ესე მძიმედ და გარეგან ბუნებითისა და ჰსჯულისა, ამაღ რომელ საქმედ შესაძლო აწმყოსა ჟამისად ნამდვილად არა მიიწერე ბის. და მსგავსითავე სახითა მახვილისა დამკერელნი და ვერა დამაწყულულებელნიცა დაისჯებიან“<sup>1</sup>.

ზემოთ მოყვანილი ნორმები მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველად ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დავითი განასხვავებს მცდელობის სახეებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არის მცდელობა დამთავრებულ დანაშაულთან, და მათთვის სხვადასხვა სასჯელებს ითვალისწინებს. მცდელობის ასეთი დაყოფა სხვადასხვა სახეებად დამახასიათებელია საზოგადოდ ფეოდალური სამართლის ძეგლებითთვის. მაგრამ აღსანიშნავია, რომ დავით ბატონიშვილის „სამართალში“ ამ დაყოფას მარტო ის პრინციპი არ უდევს საფუძვლად, თუ

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 2330. ციტირებულია დავით ფურცელაძის მიერ დასაბუქვად მომზადებული ნაშრომის „სამართალი ბატონიშვილის დავითისას“ — მიხედვით გვ. 42.

რამდენად დაშორებულია მოქმედება შედეგის განხორციელებისაგან. ზემოთ მოყვანილ მეორე მუხლში აღწერილია დამთავრებული მცდელობა, ე.ი. ისეთი მცდელობა, როდესაც სუბიექტმა გააკეთა ყოველივე ის, რაც საჭიროდ მიაჩნდა განზრახვის განსახორციელებლად, მაგრამ შედეგი, მის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ განხორციელდა (თოფს დააცემინა, მაგრამ იგი არ გაეარდა, ან გაეარდა მაგრამ ააცდინა და კაცისათვის არავითარი ვნება არ მიუყენებია). ასეთი მცდელობა უპირისპირდება დაუმთავრებელ მცდელობას, როდესაც პირს არ გაუკეთებია ყოველივე ის, რაც მას საჭიროდ მიაჩნდა შედეგის დადგომისათვის (ჩაუსაფრდა, გზა შეუკრა, იარაღით ხელში დაუდგა, მაგრამ კაცმა არ გამოიარა და ა.შ.). მცდელობის ასეთი დაყოფა დამახასიათებელია უკვე გვიანფეოდალური პერიოდის იურისტებისათვის, რაც საფუძველს ვეაძლევეს ვიფიქროთ, რომ ღვეით ბატონიშვილი XVIII საუკუნის ევროპულ იურისპრუდენციას საკმაოდ კარგად იცნობდა.

მეორე მომენტი, რომელიც საყურადღებოა ღვეით ბატონიშვილის პროექტის აღნიშნული მუხლებისათვის, ეს არის სასჯელთა მნიშვნელოვნად შემსუბუქება. ვახტანგ მეფის მიერ დადგენილ სასჯელს მკვლელობის მცდელობისათვის ღვეითი თვლის მეტად „ძძიმედ და გარეგან ბუნებითისა და სჯულისა“.

თუ ვახტანგ მეფე მკვლელობის მცდელობისათვის ყოველთვის მთელ სისხლს აწესებდა, ღვეით ბატონიშვილი ამ დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობისათვის სისხლის მესამედს აწესებს, ხოლო დამთავრებული მცდელობისათვის — მარჯვენა ხელის მოკვეთას ან მარჯვენა ხელის ღირებულ სისხლს. „ამად, რომელ იკადრა და განიზრახა სიტყვიერის არსის მხეცებრითა მრისხანებითა მოკდომად და არა მსახურა ორდანიობითმან საჭურველმან“. მკვლელობის დამთავრებული მცდელობისათვის ხელის მოჭრის დადგენისას ღვეით ბატონიშვილი, როგორც ჩანს, იმყოფებოდა მეფე ალექსი მიხეილის ძის სჯულებების ზეგავლენის ქვეშ, რომელიც მკვლელობის მცდელობისათვის სწორედ ამ სასჯელს ითვალისწინებდა.

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს, რომ არც ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი და არც ღვეით ბატონიშვილის სჯულება არ ათ-

ვისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ჩადენაზე. ამგვარად, XVIII საუკუნის ქართული სამართალი უკვე უარს ამბობს იმ პროგრესულ დებულებაზე, რომელიც XI-XVI საუკუნეებში მტკიცედ იყო მიღებული ამ სამართალში, სახელდობრ – ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის დაუსჯელობაზე. როგორც ჩანს, ამ საკითხში უფრო გვიანდელ ქართულ სამართალზე ზეგავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის სამართალმა, რომელმაც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, XVI საუკუნიდან უარყო ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის დაუსჯელობა.



საბჭოთა სისხლის სამართალში პირველი დადგენილებანი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ გვხვდება უკვე ოქტომბრის დიდი რევოლუციის გატარების პერიოდის დეკრეტებში, რომელნიც მიმართული იყვნენ დამზობილი ექსპლოატატორული კლასების დაძლევისაკენ. სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 5 იანვრის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციის მითვისების ყოველგვარი ცდა განხილული იქნება როგორც კონტრრევოლუციური დანაშაული. სახკომსაბჭოს 1918 წლის 8 მაისის დეკრეტი „მექრთამეობის შესახებ“ მიუთითებდა, რომ „ქრთამის მიღების ან ქრთამის მიცემის მცდელობა დაისჯება როგორც დამთავრებული დანაშაული“. ანალოგიურ ნორმას შეიცავდა სახკომსაბჭოს 1918 წლის 22 ივლისის დეკრეტი „სპეკულაციის შესახებ“. სახკომსაბჭოს 1918 წლის 30 ივლისის დეკრეტი „საგანგაშო ზარის“ შესახებ აგრეთვე ითვალისწინებდა, რომ „აღნიშნული ქმედობის ჩადენის მცდელობა ისჯება როგორც დამთავრებული დანაშაული“. ამგვარივე ხასიათის ნორმებს შეიცავს სრულიად რუსეთის ცაკის საკასაციო განყოფილების 1918 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება „რევოლუციურ ტრიბუნალთა ქვემდებარეობის შესახებ“. ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დეკრეტებში გამოცხადებულ იქნა დაუმთავრებელი დანა-

შაულის პრინციპულად თანაბარი დასჯადობა დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით.

პირველი ზოგადი ხასიათის დადგენილებანი დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ გვხვდება „რსფსრ-ის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში“, რომელიც რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ 1919 წლის 12 დეკემბერს იქნა მიღებული.

„სახელმძღვანელო საწყისებში“ მოცემულია როგორც დამთავრებული დანაშაულის, ისე მომზადებისა და მცდელობის ცნებათა განსაზღვრა. დანაშაულის მომზადებად – „სახელმძღვანელო საწყისების“ თანახმად, ითვლება „იმ პირის მიერ, რომელიც დანაშაულს ამზადებს, დანაშაულის ჩასადენად საშუალებათა, იარაღთა და სხვ მისთა გამონახვა, შეტენა ან მომარჯვება“ (მუხ. 19). მცდელობა განსაზღვრულია, როგორც მოქმედება, „მიმართული დანაშაულის ჩასადენად, როდესაც პირმა შეასრულა ყოველივე ის, რაც მას აუცილებლად მიაჩნდა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი, მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ განხორციელდა“ (მუხ. 18). მე-20 მუხლში აღნიშნული იყო: „დანაშაულის ჩამდენის მიერ დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელების სტადია თავისთავად ზეგავლენას არ ახდენს რეპრესიის ზომაზე, რომელიც დამნაშავის საშიშროების ხარისხით განისაზღვრება“.

როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს, „სახელმძღვანელო საწყისებს“ მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებს.

პირველად ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის განსაზღვრებანი არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს. დანაშაულის მომზადება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ ამოიწურება მარტოდენ დანაშაულის ჩასადენად იარაღის შექმნით ან მომარჯვებით, არამედ მოიცავს ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც ჰქმნის პირობებს მომავალში დანაშაულის ჩასადენად. მეტად ვიწროდ არის განმარტებული აგრეთვე დანაშაულის მცდელობა. „სახელმძღვანელო საწყისებში“ მოცემული განსაზღვრება არსებითად მოიცავს მხოლოდ ე.წ. დამთავრებულ მცდელობას და არაფერს ამბობს დაუმთავრებელ მცდელობაზე. აღნიშნული ნაკლოვანებანი აიხსნება იმით, რომ ამ პერიოდში საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდ-

ბლობა არ იყო საკმაოდ დახვეწილი, თვით კანონმდებელს ჯერჯერობით საკმაო გამოცდილება არ ჰქონდა.

„სახელმძღვანელო საწყისების“ დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს, რომ ისინი სასჯელს უკავშირებენ არა დამნაშავეის საშიშროებას თავისთავად, არამედ დანაშაულებრივ მოქმედებას, რომელიც მცდელობაში ან მომზადებაში გამოიხატება. განზრახვის გამომჟღავნება არ ითვლება დანაშაულად და არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მაგრამ, მეორე მხრივ, მცდელობა და მოსამზადებელი მოქმედება „სახელმძღვანელო საწყისების“ თანახმად, ისევეა ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული. ის გარემოება, თუ რა საფეხურზე შეჩერდა დანაშაულის განხორციელება, არავითარ ზეგავლენას არ ახდენს სასჯელის კონკრეტული ღონისძიების შერჩევაზე. სასჯელის ზომა განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც მე-20 მუხლის თანახმად დანაშაულის სტადია არავითარ ზეგავლენას არ ახდენს რეპრესიის ზომაზე, დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებათა განმარტებას და საერთოდ ამ ცნებათა შეტანას „სახელმძღვანელო საწყისებში“ არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. ა. გერცენზონს, რომელიც უსაყვედურებს „სახელმძღვანელო საწყისებს“ არათანმიმდევრობას აღნიშნულ საკითხში. „დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის გამიჯვნას, — ლაპარაკობს პროფ. გერცენზონი, — თეორიულადაც და პრაქტიკულადაც მარტო მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც სასჯელი განისაზღვრება ან მოქმედების შესაბამისად ან მოქმედის და დანაშაულის საშიშროების შესაბამისად. მაგრამ „სახელმძღვანელო საწყისების“ ავტორებს, რომელნიც აგებდნენ რეპრესიის განსაზღვრის სისტემას მხოლოდ დამნაშავეის საშიშროების პრინციპის მიხედვით, მუხლები დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ სრულიადაც არ სჭირდებოდათ“<sup>1</sup>.

დაბოლოს, „სახელმძღვანელო საწყისების“ თავისებურებას ისიც

<sup>1</sup> А.А. Герцензон, Руководящие начала по уголовному праву РСФСР 1919 года. „Проблемы социалистического права“, сб. 3., 1938, стр. 18.

წარმოადგენდა, რომ იგი არ ითვალისწინებდა ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის დაუსჯელობას.

მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის შემოღება 1919 წლის „სახელმძღვანელო საწყისებში“ განპირობებული იყო ამ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვით. უცხოეთის სამხედრო ინტერვენციასა და შინაგან კონტრრევოლუციასთან გამძაფრებული ბრძოლა მოითხოვდა სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გაძლიერებას სოციალიზმის მტრების წინააღმდეგობის დასაძლევად. რეპრესიის გაძლიერების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა მოსამზადებელი მოქმედების დასჯა, რაც უკვე ხორციელდებოდა პრაქტიკაში, განსაკუთრებით სახელმწიფო დანაშაულთა მიმართ და რაც ფორმალურად იქნა აღიარებული „სახელმძღვანელო საწყისებში“.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში გამოცემულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის პირველი კოდექსები. ამ კოდექსებში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხი სულ სხვაგვარად იქნა გადწყვეტილი. რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი მოსამზადებელ მოქმედებას პრინციპულად დაუსჯელად აცხადებს „მომზადება, – ნათქვამია ამ კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილში, – დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი თავისთავად წარმოადგენს დასასჯელ ქმედობას“. 1922 წლის კოდექსისათვის მცდელობისა და მომზადების გამიჯვნას ამის გამო ღიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ კოდექსი იძლევა ორივე ამ ცნების განმარტებას.

მომზადება კოდექსში განმარტებულია, როგორც „დანაშაულის ჩასადენად იარაღთა, საშუალებათა გამოძებნა, შექმნა ან მომარჯვება ან პირობების შექმნა“. ამგვარად, ამ განსაზღვრებაში დამატებულია „პირობების შექმნა“, რაც მომზადების განსაზღვრებას აუმჯობესებს 1919 წლის „სახელმძღვანელო საწყისებთან“ შედარებით. უფრო სრულყოფილად არის განსაზღვრული აგრეთვე დანაშაულის მცდელობა: „დანაშაულის მცდელობად ითვლება მოქმედება, მიმართული დანაშაულის ჩასადენად, როდესაც მისმა ჩამდენმა არ შეასრულა ყოველივე ის, რაც აუცილებელი იყო მისი ზრახვის სისრულეში მოსაყვანად ან,



თუმცა შეასრულა ყოველივე ის, რასაც აუცილებლად თვლიდა, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“ (მუხ. მე-13). ამრიგად, 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა გამოასწორა ის შეცდომა, რომელიც „სახელმძღვანელო საწყისებში“ იყო დაშვებული და დამთავრებულ მცდელობასთან ერთად დაუმთავრებელი მცდელობაც გაითვალისწინა.

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ის თავისებურება, რომ, თუმცა კოდექსი არ ითვალისწინებს მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებას დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით, მაგრამ იგი მიუთითებს, რომ სასჯელის კონკრეტული ღონისძიების არჩევის დროს სასამართლომ შეიძლება მხედველობაში მიიღოს „მცდელობის შედეგების არ არსებობა ან მათი უმნიშვნელობა“. ამგვარად, წინააღმდეგ „სახელმძღვანელო საწყისებისა“, რომელნიც სასჯელის ოდენობის განსაზღვრის ერთადერთ კრიტერიუმად დამნაშავეის სოციალურ სამიშროებას თვლიდნენ, 1922 წლის კოდექსი მიუთითებს უკვე დანაშაულის ობიექტურ მხარეზე – „მცდელობის შედეგების არარსებობაზე ან მათ უმნიშვნელობაზე“. დაბოლოს, ეს კოდექსი იმითაც განსხვავდება 1919 წლის „სახელმძღვანელო საწყისებიდან“, რომ იგი ითვალისწინებს ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის დაუსჯელობას, რომელზედაც „სახელმძღვანელო საწყისები“ არაფერს არ ამბობდნენ. ანალოგიური ხასიათის დადგენილებანი შეტანილი იყო აგრეთვე საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსშიც.

აღსანიშნავია, რომ მეტად მოკლე ხნის განმავლობაში რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილებამ მოსამზადებელი მოქმედების შესახებ ერთგვარი ცვლილება განიცადა. 1923 წლის 10 ივლისს მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის II სესიის დადგენილება, რომელმაც მე-12 მუხლის უკანასკნელი ნაწილის რედაქცია შემდეგნაირად შეცვალა: „მომზადება არ ისჯება, უკეთუ იგი თავისთავად არ წარმოადგენს ამა კოდექსით დასასჯელ ქმედობას, მაგრამ სასამართლოზეა დამოკიდებული შეუფარდოს პასუხისგებაში მიცემულ პირს, რომელსაც იგი სოციალურად საშიშ პიროვნებად ჩათვლის, სოციალური დაცვის ღონისძიება“.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, 1923 წლის 10 ივლისის დადგენილებამ შემოიღო დანაშაულის მომზადების პრინციპული დასჯადობა, თანაც ამ დასჯადობას ფაქულტატიური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან სასამართლო წყვეტდა მოსამზადებელი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის საკითხს თვითივე კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტის საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით. ამ აზრს იზიარებს, მაგალითად, ნ. კუზნეცოვა. აკრიტიკებს რა 1923 წლის 10 ივლისის დადგენილებას, ნ. კუზნეცოვა მიუთითებს, რომ აღნიშნული კანონი მხედველობაში არ იღებდა თვით მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას და ყველა სახის მოსამზადებელი მოქმედებისათვის მხოლოდ ერთი სახის სასჯელს აწესებდა — 3 წლით გასახლებას<sup>1</sup>.

ნ. კუზნეცოვას შეხედულება მართებულად იქნა გაკრიტიკებული პროფ. ნ. დურმანოვის მიერ, რომელიც სწორად შენიშნავს, რომ ნ. კუზნეცოვა ერთმანეთში ურევს სასჯელისა და სოციალური დაცვის ღონისძიებების ცნებებს, მაშინ როდესაც 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი მკვეთრად განასხვავებდა მათ ერთმანეთისაგან. სასჯელის შეფარდებისათვის აუცილებელი იყო დანაშაულის ჩადენა, ხოლო სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდება დაკავშირებული იყო პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების ცნებასთან<sup>2</sup>. ამიტომ მე-12 მუხლის ახალი რედაქციის გასაგებად საჭიროა გავიხსენოთ, თუ ვის თვლიდა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი სოციალურად საშიშ პირად. ამ ცნების განმარტება მოცემული იყო კოდექსის 49-ე მუხლში. „იმ პირს, — ნათქვამია ამ მუხლში, — რომელიც ცნობილი იქნება სოციალურად საშიშად თავისი დანაშაულებრივი საქმანობის ან მოცემული ადგილის ბოროტმოქმედთა წრესთან კავშირის გამო, სასამართლოს განაჩენით შეიძლება აღეკვეთოს განსაზღვრულ ადგილას ცხოვრების უფლება ვადით არა უმეტეს სამი წლისა“.

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955 г. стр. 85. примеч. 3.

<sup>2</sup> Н. Ф. Кузнецова, Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 18-19.

როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს, სოციალურად საშიში პირის ცნება დაკავშირებული არ იყო კონკრეტული დანაშაულის ჩადენასთან. 49-ე მუხლში მოცემულ ნორმას მიზნად ჰქონდა აღეკვეთა დანაშაულის ჩადენა მომავალში იმ პირებისაგან, ვინც საზოგადოებისათვის საშიშად იქნებოდა ცნობილი. აქედან ცხადია, რომ მე-12 მუხლის ახალი რედაქცია არ გულისხმობდა მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული დასჯადობის შემოღებას. მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენი პირისათვის სოციალური დაცვის ღონისძიების სახით გასახლების შეფარდება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ ამისათვის 49-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები იქნებოდა, ე.ი. თუ მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენი ცნობილი იქნებოდა სოციალურად საშიშად თავისი წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის ან დაშნაშავეთა წრესთან კავშირის გამო. ამიტომ ჩვენ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია ვ. გოლდინერის განცხადება, რომ როგორც 49-ე მუხლის, ისე მე-12 მუხლის 1923 წლის 10 ივლისის რედაქციას ნათლად ეტყობა სუბიექტივიზმის ელემენტები, დაკავშირებული „სუბიექტის სოციალური საშიშროების ცნებასთან“<sup>1</sup>.

მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობა აღდგენილ იქნა 1924 წლის „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საწყისებში“. 1924 წლის „ძირითადი საწყისები“ სრულიად არ ხმარობდნენ ტერმინებს – „მცდელობა“ და „მომზადება“ და, ამის მაგივრად, დამთავრებული დანაშაულის ცნებას უპირისპირებდნენ დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებას. „ძირითადი საწყისების“ მე-11 მუხლში ნათქვამი იყო: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ე.ი. უკეთუ დანაშაულებრივი შედეგი რაიმე მიზეზის გამო არ განხორციელდა, სასამართლო, სისხლის სამართლის კანონით ამ სახის დანაშაულისათვის დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიების არჩევის დროს, ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩამდენი პირის საშიშროების ხარისხით და დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელების ხარისხით“.

„ძირითადი საწყისების“ მითითებამ „დაწყებულ და ბოლომდე მი-

<sup>1</sup> В. Гольдинер, Объективизм и субъективизм в советском уголовном праве, „Вестник советской юстиции“, 1926, N 16, (74), стр. 630-631.

უყვანელ დანაშაულზე“ ღიდი დაეა გამოიწვია ჩვენს სისხლის სამართლის ლიტერატურაში. კრიმინალისტიკის ღიდი ნაწილი იმ თვალსაზრისს დაადგა, რომ „დაწყებული და ბოლომდე მიუყვანელი დანაშაული“ მოიცავს როგორც მცდელობას, ისე მოსამზადებელ მოქმედებას. მეცნიერთა მეორე ჯგუფი, რომელიც მხედველობაში იღებდა ტერმინის – „დაწყებული დანაშაულის“ – მსგავსებას მცდელობის ტრადიციულ განმარტებასთან („დანაშაულის განხორციელების დასაწყისი“), იმ აზრს მიემხრო, რომ „ძირითად საწყისებს“ აქ მხედველობაში აქვთ მხოლოდ მცდელობა და რომ ისინი მომზადებას დასასჯელ მოქმედებად არ თვლიან<sup>1</sup>. აზრთა ამ სხვადასხვაობამ ზეგავლენა მოახდინა შემდგომ საკანონმდებლო დადგენილებათა განვითარებაზეც. სახელდობრ, უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსმა მოსამზადებელი მოქმედება პრინციპულად დაუსჯელად გამოაცხადა, ხოლო დასასჯელი სტადია მცდელობიდან განსაზღვრა. პირიქით, დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდნენ, ე.ი. დასასჯელად გამოაცხადეს როგორც მცდელობა, ისე დანაშაულის მომზადება. მაგალითად, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსით, „რაიზე დანაშაულის მცდელობა და აგრეთვე დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც გამოიხატება იარაღების, საშუალებების გამოძებნაში ან მომარჯვებაში და დანაშაულის პირობების შექმნაში, იღვენება ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული... „საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსს მოსამზადებელი მოქმედება მიაჩნია „დაწყებული დანაშაულის“ ერთ-ერთ სახედ, რომელიც იღვენება იმავე მუხლის საფუძველზე, რომლითაც ისევე დამთავრებული დანაშაული. „უკეთუ დაწყებული დანაშაული, – ნათქვამია ამ კოდექსის მე-19 მუხლში, – თუნდაც იგი მოსამზადებელი მოქმედებით გამოიხატოს, როგორიც არის: დანაშაულის ჩასადენად იარაღის ან სხვა საშუალების გამონახვა და მომარჯვება ან პირობე-

<sup>1</sup> ამას ამტკიცებდა მაგ. პროფ. ნემიროვსკი: „ძირითად საწყისებს“ აქ მხედველობაში აქვთ მცდელობა, რომელსაც კოდექსებში და, ჩვეულებრივად, თეორიამაც განსაზღვრავენ როგორც დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელების დასაწყისს... მაშინ-აღაძე, მომზადებას მე-11 მუხლი არ თვალისწინებს...“ (Э. Я. Немеиrowский, Новейшие изменения советского уголовного законодательства, 1927, стр. 11).

ბის შექმნა და სხვ., ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ე.ი. ქმელობას, რაიმე მიზეზის გამო, დანაშაულებრივი შედეგი არ მოჰყვა, სასამართლომ სოციალური დაცვის იმ ღონისძიების არჩევის დროს, რაც ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული, მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენად საშიშია დანაშაულის ჩამდენი და რამდენად განხორციელებულ იქნა დანაშაულებრივი განზრახვა“.

„ძირითადი საწყისების“ მე-11 მუხლის სხვადასხვაგვარ გაგებას ბოლო მოუღო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს მე-20 პლენუმის დადგენილებამ, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის, ცაკის პრეზიდიუმმა 1928 წლის 31 ოქტომბერს. აღნიშნული დადგენილება განმარტავს, რომ „ძირითადი საწყისები“, როდესაც ისინი „დაწყებულ დანაშაულზე“ ლაპარაკობენ, არ განასხვავებენ დაწყებული დანაშაულის ისეთ სტადიებს, როგორცაა მცდელობა და მომზადება და, მაშასადამე, მე-11 მუხლის საფუძველზე დასასჯელად უნდა ჩაითვალოს როგორც ერთი, ისე მეორე. ამ დადგენილების შესაბამისად, 1929 წელს სათანადო ცვლილება შეაქვთ უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მსგავსად, დასასჯელად გამოაცხადებს მოსამზადებელ მოქმედებასაც. ამგვარად მიღწეულ იქნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ერთიანობა დაუმთავრებელი დანაშაულის დასასჯელობის საკითხში. ამ ერთიანობას საფუძველად დაედო 1924 წლის „ძირითადი საწყისების“ თვალსაზრისი.

დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი სხვადასხვანაირად წყდებოდა საბჭოთა სხვადასხვა საკანონმდებლო პროექტებში: სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1947 წლის პროექტი დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხს უარყოფითად წყვეტდა. ამ პროექტის მე-19 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „მომზადება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ამაზე სპეციალურად იქნება მითითებული ამა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში“. ხოლო პროექტის განსაკუთრებული ნაწილი ითვალისწინებდა მომზადების დასასჯელობის კონტრრეკოლუ-

ციური დანაშაულის (მუხ. 84-ე), სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების კვალიფიციური გატაცების (მუხ. 92-ე, 94-ე), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების კვალიფიციური დაზიანების ან განადგურების (მუხ. 98-ე), განზრახი მკვლელობის (მუხ. მე-100, 101-ე), ყაჩაღობის (მუხ. 137-ე, 138-ე), ფულის და ფასიანი ქაღალდების გაყალბების (მუხ. 184-ე) და ზოგიერთი სახის სამხედრო დანაშაულის დროს (მუხ. 336-ე, 337-ე, 338-ე, 339-ე). ანალოგიურად წყვეტდა საკითხს სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1948 წლის პროექტი.

დიდი მერყეობა არსებობდა მოსაშაღებელი მოქმედების დასასჯელობის თუ დაუსჯელობის საკითხში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მომზადების პერიოდში. საბოლოოდ „საფუძვლებმა“ შეინარჩუნეს მოსაშაღებელი მოქმედების დასჯადობის წინათ არსებული წესი, თუმცა ამავე დროს მკვეთრად განასხვავებენ მომზადებისა და მცდელობის ცნებებს. საფუძვლების ნორმები მომზადებასა და მცდელობაზე განხილულ იქნება ქვემო თავებში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადმოცემის დროს.

დანაშაულის განვითარების სტადიები

§1. დანაშაულის განვითარების სტადიის ზოგადი ცნება

იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანს დაებადა დანაშაულის ჩადენის განზრახვა, იმ მომენტამდე, ვიდრე იგი ამ დანაშაულს განახორციელებდეს, შესაძლებელია საკმაოდ დიდი ხანი გაეიდეს. დანაშაულებრივი მოქმედება ნებელობით, მიზანდასახულ მოქმედებას წარმოადგენს. ადამიანი შეგნებულად ისახავს თავისი მოქმედების მიზანს, ითვალისწინებს სხვადასხვა საშუალებებს მიზნის მისაღწევად, აწონდაწონის ამ საშუალებებს და შემდეგ მოქმედებს თავისი შეფასების შედეგების შესაბამისად<sup>1</sup>. განზრახვი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც პირს, პირველად ყოველისა, ებადება დანაშაულებრივი განზრახვა. იგი წინასწარ ითვალისწინებს იმ მოქმედებებს, რომელთა საშუალებითაც უნდა განახორციელოს დასახული მიზანი, და შედეგს, რომელსაც ამ მოქმედებით მიაღწევს. თავის მხრივ პირის მიერ დასახული დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება, ე.ი. თავდაპირველად მხოლოდ სუბიექტურ სფეროში არსებული მიზნის ობიექტივიზაცია, განსაზღვრულ მოქმედებებს მოითხოვს. მაგალითად, პირმა, რომელმაც მიზნად დაისახა სხვისი ქონების გატაცება, მთელი რიგი მოქმედება უნდა ჩაიდინოს, რათა ამ მიზანს მიაღწიოს: იგი უნდა შევიდეს ბინაში, თავიდან აიცილოს დაბრკოლებანი (გატეხოს გასაღები, ან ამოიღოს ფანჯრის შუშა) და ხელში ჩაიგდოს ქონება. დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებისათვის ზოგჯერ საჭიროა კიდევ უფრო შორეული და რთული წინასწარი მოქმედების ჩადენა: დანაშაულის ჩასადენად სათანადო საშუალებების გამოჩახვა (მაგალითად, საქურდავი იარაღების შეძენა), საჭირო ცნობების შეგროვება (მაგალითად, ბინის განლაგების შესახებ) და სხვ. მისთ. ამგვარად,

<sup>1</sup> იხ. I. Lekschas, Die lehre von der Handlung unter besonderer Berücksichtigung strafrechtlicher probleme, Berlin, 1953; Т.В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, Тбилиси, 1957, стр. 7-18.

დანამაულებრივი განზრახვის ჩასახვასა და მის განხორციელებას შორის შეიძლება გაიაროს განსაზღვრულმა დრომ, რომლის განმავლობაშიც დამნაშავე სხვადასხვა მოქმედებას ასრულებს განზრახული ქმედობისა და დასახული კონკრეტული დანამაულებრივი გეგმის თავისებურებათა მიხედვით. ჩვეულებრივად, რაც უფრო მძიმე დანამაულის ჩადენა აქვს განზრახული დამნაშავეს, მით უფრო რთული და მოხერხებულა მის მიერ არჩეული საშუალებანი, მით უფრო ხანგრძლივი და ძნელია ის გზა, რომლითაც იგი მიისწრაფვის დასახული მიზნისაკენ. პირიქით, როდესაც განზრახვა უეცრად წარმოიშობა და დაუყოვნებლივ მოიყვანება სისრულეში, აქ სრულიად არ არის დანამაულის განვითარების შუალედი რგოლები – წინასწარი დანამაულებრივი საქმიანობა. აქ დამნაშავის მოქმედება უშუალოდ მიმართულია განზრახული შედეგის განხორციელებაზე. მაგალითად, სუბიექტი, მძიმე შეურაცხყოფის ზეგავლენით, წამოავლებს ხელს შემთხვევით დაგდებულ ჯოხს და მიაყენებს მეორე პირს სხეულის დაშავებას.

აქედან ნათელია, რომ ყოველი განზრახი დანამაულის ჩადენა როდი გულისხმობს დანამაულებრივი საქმიანობის თანდათანობით განვითარებას, ყოველ დანამაულს როდი უსწრებს წინ განზრახვის განხორციელების ყველა საფეხური. ზოგჯერ, როგორც ზემოთ მოტანილ მაგალითში, არა გვაქვს არავითარი მოსამზადებელი საქმიანობა: სუბიექტი პირდაპირ და უშუალოდ აღწევს მიზანს. მეორე მხრით, არა ყოველი დაწყებული დანამაულებრივი საქმიანობა აღწევს თავის დასასრულს და იწვევს დანამაულებრივ შედეგს. არსებობს შემთხვევები, როდესაც სუბიექტი ასრულებს ამა თუ იმ წინასწარ მოქმედებას დანამაულის განხორციელებისათვის, მაგრამ დანამაული რაიმე მიზეზის გამო არ თავდება. უკანასკნელ შემთხვევაში სუბიექტის დანამაულებრივი განზრახვა და ის, რაც ფაქტიურად მოხდა, არ შეესაბამება ერთმანეთს, დანამაულის სუბიექტური მხარე უფრო მეტია, ვიდრე მისი ობიექტური მხარე. ეს შეუსაბამობა დანამაულის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეს შორის შეიძლება გამოიხატებოდეს ან იმაში, რომ სუბიექტის მიერ დასახული დანამაულებრივი მიზანი სრულიად განუხორციელებელი დარჩა, ან იმაში, რომ განხორციელდა ნაკლები, ვიდრე სუბიექტს სურდა (მაგალითად, დამნაშავეს სურდა მსხვერპ-



ლის მოკვლა, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ დაიჭრა). ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ დაუმთავრებელ დანაშაულზე.

დაუმთავრებელი დანაშაული გულისხმობს, ერთის მხრით, განზრახვის ობიექტივიზაციას, დანაშაულებრივი საქმიანობის დაწყებას, ხოლო, მეორეს მხრივ, დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობას როგორც უკვე აღვნიშნეთ, განზრახვის აღმოცენებიდან მისი სისრულეში მოყვანამდე შეიძლება დროის საკმაოდ დიდი მანძილი გავიდეს. ამ მანძილზე დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას შეიძლება წინ აღუდგნენ მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებანი და ხელი შეუშალონ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. მაშასადამე, დანაშაულებრივი განზრახვის გადაწყვეტილება შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე ან სტადიაზე შეჩერდეს. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: სახელდობრ, რა მომენტები უნდა ჩაითვალოს დანაშაულის განხორციელების სტადიად და რომელი სტადიიდან იწყება დანაშაულის დასჯადობა?

გაბატონებული შეხედულების თანახმად, განზრახვი დანაშაულის განხორციელებამ თავის განვითარებაში შეიძლება ოთხი სტადია გაიაროს: 1. დანაშაულებრივი განზრახვის გამოძევა მესამე პირებისათვის მისაწვდომი ფორმით (სიტყვიერად, წერილობით და სხვ. მისთ.); 2. დანაშაულის ჩასადენად პირობების მომზადება (იარაღისა და საშუალებების შექმნა, მოპოვება, მომარჯვება, დაბრკოლებათა აცილება და სხვ. მისთ.). დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების ამ სტადიას მოსამზადებელი მოქმედება ეწოდება; 3. დანაშაულის განხორციელების დასაწყისი ანუ დანაშაულის მცდელობა და 4. დაძვარებული დანაშაული.

ზოგიერთი საბჭოთა იურისტის აზრით, ამ ოთხი სტადიის გარდა, დანაშაულის განვითარების დამოუკიდებელ, თუცა დაუსჯელ სტადიას წარმოადგენს განზრახვის აღმოცენება და მისი ფორმირება. ამ შეხედულებას საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქვამდა პროფ. ა. გერცენზონი<sup>1</sup>. დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენებას დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების პირველ სტადიად თვ-

---

<sup>1</sup> А.А. Герцензон, Уголовное право. Часть общая. Издат. ВЮА, М., 1948, стр. 346.

ლიან აგრეთვე სისხლის სამართლის 1952 წლის სახელმძღვანელოს რეკენზენტები, რომელთაც ამავე დროს მეორე სტადიად განზრახვის გამომუდავება მიაჩნიათ<sup>1</sup>.

ჩვენის აზრით, ეს შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. განზრახვის აღმოცენება და მისი ჩამოყალიბება თავის თავად ადამიანის შინაგანი ცხოვრების ისეთ ფაქტს წარმოადგენს, რომელიც სრულიად მიუწვდომელია მესამე პირებისათვის. ცხადია, ამიტომ იგი დანაშაულებრივი საქმიანობის სტადიას არ შეიძლება წარმოადგენდეს. ვერ კიდევ რეკოლუტია მდელი კრიმინალისტი ტაგანცევი მართებულად მიუთითებდა: „დანაშაულებრივი ნების განვითარების ფსიქიკური პროცესი ზოგჯერ შესაძლებელია მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდეს: სურვილი, რომელიც ადამიანს აღებდა, უნდა ჩამოყალიბდეს, განმტკიცდეს, დასახული გზა უნდა განისაზღვროს; ზოგჯერ ბოროტი საქმის განზრახველი დაწვრილებით უნდა ჩაწვდეს მოქმედების კონკრეტულ პირობებს, რათა მისმა ნებამ საზოგადოებისათვის ნამდვილად საშიში ხასიათი მიიღოს და იგი ოცნების სფეროში არ დარჩეს; მაგრამ განზრახვის ფორმირების ეს, ზოგჯერ მეტად რთული პროცესი ადამიანის იუსტიციის ფარგლებს სცილდება: მას (ე.ი. ადამიანის იუსტიციას) არა აქვს ისეთი სახსარი და საშუალება, რომ შეიჭრას აზროვნების ამ ფარულ მუშაობაში, რომელიც სხვებისათვის მიუწვდომელია“<sup>2</sup>.

იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს ის საკითხი, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დანაშაულის განვითარების სტადიად განზრახვის გამომუდავება. როგორც ცნობილია, განზრახვის გამომუდავება ორი მომენტისაგან შედგება: 1. სუბიექტური მომენტისაგან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტს აქვს განზრახვა ჩაიდინოს დანაშაული, და 2. ობიექტური მომენტისაგან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტის დანაშაულებრივი ნება გამოვლინებულია მესამე პირ-

---

<sup>1</sup> Г.А. Кригер, Н.Ф. Кузнецова, Б.М. Леонтьев, В.С. Орлов, Об ошибочном освещении ряда вопросов в вузовском учебнике по общей части советского уголовного права, „Вестник Московского университета“, Серия юридических наук, 1954, N 1, стр. 142.

<sup>2</sup> Н.С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, Часть общая, т. 1+ С.П., 1902, стр. 680.

ბისათვის მისაწვდომი ფორმით. დანაშაულებრივი განზრახვა შეიძლება გამოვლინდეს სიტყვიერად (მაგალითად, ვინმემ გაუზიარა მეგობარს თავისი მტრის მოკვლის გადაწყვეტილება), წერილობით (მაგალითად, დღიურში ჩაწერით) ან რაიმე ისეთი მოქმედებით, რომელიც თუქცა არ ქმნის პირობებს მომავალში დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ადასტურებს სუბიექტის დანაშაულებრივ განზრახვას.

რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში განზრახვის გამოძღვენებას დანაშაულის განვითარების სტადიად არ თვლიდა პროფ. პოზნიშევი. მისი აზრით, დანაშაულის განვითარების პირველ სტადიად მხოლოდ მოსამზადებელი მოქმედება უნდა ჩაითვალოს. თავისი აზრის დასაბუთებისათვის პროფ. პოზნიშევეს შემდეგი მოსაზრებები მოჰყავდა: 1. თუ გამოთქმა „განზრახვის გამოვლინება“ სიტყვა-სიტყვით გაიგებთ, მაშინ განზრახვის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს მთელი დანაშაულებრივი საქმიანობა, მამასადამე, დანაშაულის მომზადება და მცდელობაც; 2. სუბიექტის განცხადება, რომ მას აქვს დანაშაულის ჩადენის განზრახვა, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივი გადაწყვეტილების განმახორციელებელი მოქმედების დასაწყისად“<sup>1</sup>.

პროფ. პოზნიშევის პირველი არგუმენტი, ჩვენის აზრით, არ გამოდგება იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ განზრახვის გამოვლინება დანაშაულის განვითარების სტადიას არ წარმოადგენს. პროფ. პოზნიშევი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ დაძნაშავე თავის განზრახვას დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების ყველა საფეხურზე ამჟღავნებს. მაგრამ სხვა საფეხურებზე, სახელდობრ, მომზადების და მცდელობის დროს, გვაქვს აგრეთვე დამატებითი მომენტებიც (დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა, მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე), მაშინ, როდესაც განზრახვის გამოძღვენების დროს არსებობს მხოლოდ და მხოლოდ პირის დანაშაულებრივი ნების გამოვლინება, რომელსაც თან არ ახლავს რაიმე სხვა მოქმედება.

სხვაგვარად უნდა შეფასდეს პროფ. პოზნიშევის მეორე არგუმენტი. სუბიექტის მიერ დანაშაულებრივი განზრახვის გამოძღვენება

---

<sup>1</sup> С.В. Познышев, Основные начала науки уголовного права Москва, 1912, стр. 345, примечание 1.

მართლაც არ წარმოადგენს ისეთ საფეხურს, რომელიც აახლოებს მას ასე თუ ისე დანაშაულის განხორციელებასთან. ეს მხოლოდ ისეთი მოქმედებაა, რომლის საფუძველზე შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ პირი მომავალში აპირებს დანაშაულის ჩადენას, და არა მოქმედება, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენის რომელიმე საფეხურს ან მის ხელის შემწყობ მომენტს წარმოადგენს. როგორც მართებულად აღნიშნავს ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი, „განზრახვის გამომჟღავნება არათუ არ აახლოვებს სუბიექტს დანაშაულებრივ მიზანთან, არამედ, პირიქით, აშორებს მას. ასეთი სუბიექტის მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს გამაფრთხილებელი ზომები, რის გამოც მისი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება ან სრულიად შეუძლებელი გახდება და ან მეტად ძნელი იქნება. შემთხვევითი არ არის იმიტომ, რომ დამნაშავენი მეტად იშვიათად ამჟღავნებენ თავის დანაშაულებრივ ზრახვებს მანამდე, ვიდრე მოსამზადებელი მოქმედებით ან დანაშაულის აღსრულებით იძულებულნი არ ხდებიან გამოავლინონ იგი“<sup>1</sup>.

ამიტომ, საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობა უკანასკნელ ხანებში მართებულად უარყოფს დანაშაულებრივი განზრახვის გამომჟღავნებას, როგორც დანაშაულის განვითარების განსაკუთრებულ სტადიას<sup>2</sup>.

განზრახვის გამომჟღავნების დაუსჯელობას საბჭოთა სისხლის სამართალში ღრმა პრინციპული საფუძველები აქვს.

პირველად ყოვლისა, განზრახვის გამომჟღავნება არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას. იგი არ ჰქმნის რაიმე საფრთხეს სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველებისათვის, საბჭოთა მართლწესრიგისათვის, ან მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის. მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის შეუპოვრად ებრძოდნენ ისეთ კანონმდებლობას, რომელიც სჯის არა დანაშაულებრივ ქმედობას, არამედ ლიტონ განზრახვას თავისთავად. საკმაოა გავიხსე-

<sup>1</sup> Н.Ф. Кузнецова, Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 30.

<sup>2</sup> იხ. ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრომი, 23-37; Н.Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву. Госюриздат, 1954, стр. 22; И.С. Тишкевич, Приготовление и покушение по уголовному праву. Госюриздат, М., 1958, стр. 30-35.

ნოთ თუნდაც, რა მრისხანებით ესხმოდა თავს კ. მარქსი პრუსიის საცენზურო ინსტრუქციას, რომელიც ყოველგვარ დემოკრატიულ პრინციპებს თელავდა:

„კანონები, რომელნიც მთავარ კრიტერიუმად ხდიან არა მოქმედებას, როგორც ასეთს, არამედ მოქმედი პირის აზრთა წყობას, წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ უკანონობის დადებით სანქციას.

მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მე გამოვაკლენ ჩემს თავს, მე შევდივარ სინამდვილის სფეროში, მე შევდივარ კანონმდებლისათვის დაქვემდებარების სფეროში. ჩემი მოქმედების გარეშე მე სრულიად არ ვარსებობ კანონისათვის, სრულიად არა ვარ მისი ობიექტი... კანონი, რომელიც დევნის ტენდენციისათვის, სჯის არა მარტო იმას, რასაც მე ვაკეთებ, არამედ იმასაც, რასაც მე ვფიქრობ, ჩემი მოქმედებისაგან დამოუკიდებლად“<sup>1</sup>.

ამავე დროს განზრახვის გამოქვლავება ჯერ კიდევ არ ადასტურებს პიროვნების ისეთ საზოგადოებრივ საშიშროებას, რომელიც მოითხოვს მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ღონისძიების მიღებას, არ ადასტურებს იმას, რომ დანაშაულის ჩადენის განზრახვა სუბიექტში ნამდვილად მტკიცეა და განხორციელებულიც იქნება. განზრახვის გამოქვლავებასა და მის სისრულეში მოყვანას შორის მეტად დიდი მანძილია და ამ დროის განმავლობაში სუბიექტს მრავალჯერ შეიძლება დაებადოს სრულიად საწინააღმდეგო აზრები, რომლებიც ხელს შეუშლიან მისი განზრახვის განხორციელებას, ძირიანად შეცვლიან მის ფსიქიკურ განწყობილებას.

„მაგრამ უბრალო განცხადება რაიმეს გაკეთების ზრახვის შესახებ, — ამბობდა კ. მარქსი, — არ შეიძლება იყოს საბაბი ჩემი ღვენიას არც სისხლისა და არც გამასწორებელი პოლიციის მხრით. მხოლოდ საქციელი ამტკიცებს, თუ რამდენად სერიოზული იყო განცხადება“<sup>2</sup>.

სოციალისტური სისხლის სამართალი თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე იცავს დემოკრატიულ პრინციპს, რომლის თანახმად „ლიტონი განზრახვა“ ან „ანტისაზოგადოებრივი სულიერი განწყობილება“ არ შეიძლება წარმოადგენდეს სისხლისსამართლებრივი რეპრესიის საგანს.

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч, изд. 2-ое, т. 1, стр. 14-15.

<sup>2</sup> Там же, т. 6, стр. 242.

„სისხლის სამართლის წესით არ შეიძლება დაისაჯოს არც აზრი, არც სურვილი, არამედ მხოლოდ მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე“, – ნათქვამია რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის 1925 წლის 26 თებერვლის განჩინებაში<sup>1</sup>... „დანაშაულის ჩადენის ცარიელი განზრახვა, რომელიც კონკრეტულ მოქმედებაში გამოხატული არ არის, არ წარმოადგენს დანაშაულს და არ იწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას“ – აღნიშნულია რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და უმაღლესი სასამართლოს სადირექტივო წერილში 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შეფარდების შესახებ<sup>2</sup>. ამავე შეხედულებისაა აგრეთვე უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკა. ამ მხრივ საინტერესო საქმე მოჰყავს ნ. კუზნეცოვას თავის მონოგრაფიაში მომზადებისა და მცდელობის შესახებ, სკვორცოვა მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში საზოგადოებრივი ქონების დაზიანების მომზადებისათვის რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-79 მუხლის 1 ნაწილით. მას ბრალად ედებოდა, რომ ნაეთიანი ბოთლით ხელში მივიდა სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების შენობასთან და აპირებდა მის გადაწვას, მაგრამ თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან შეეშინდა ვიღაც გამლელისა. როგორც საბოლოოდ საქმის მასალებით დადასტურდა, სკვორცოვას არ ჩაუდენია არც მცდელობა და არც მოსამზადებელი მოქმედება შენობის დასაწვავად. საქმეზე მხოლოდ ის იყო დადგენილი, რომ სკვორცოვამ გაანდო ტარასოვას შენობის დაწვის განზრახვა. „მიიღო-რა მხედველობაში, – ამბობს ნ. კუზნეცოვა, – რომ დანაშაულის ჩადენის განზრახვა არ წარმოადგენს დანაშაულის სტადიას და ამიტომ სისხლის სამართლის წესით არ ისჯება, კოლეგიამ საქმე სკვორცოვას ბრალდებისა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-79-ე მუხლის 1 ნაწილით წარმოებით მოსპო“<sup>3</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმად განზრახვის გამოძევა

<sup>1</sup> Сборник определений Уголовной кассационной коллегии Верховного суда РСФСР за 1925 г., вып. 1, стр. 154.

<sup>2</sup> „Судебная практика РСФСР“, 1927, N 1, стр. 11.

<sup>3</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

მართალია, არ ისჯება როგორც დანაშაულის განვითარების სტადია, მაგრამ იგი შეიძლება დაისაჯოს როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, უკეთეს განზრახვის გამოძეღვენება თავისთავად შეიცავს რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს<sup>1</sup>.

ამ აზრის საილუსტრაციოდ მოჰყავთ, მაგალითად მოკლის, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარა თანამდებობის პირის მიმართ მის სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საზოგადოდ მომუშავე აქტივისტის ან დამკვერლის მიმართ, მის საწარმოო თუ საზოგადოებრივ მუშაობასთან დაკავშირებით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72<sup>2</sup>-ე მუხ.). მიუთითებენ აგრეთვე მუქარის ზოგად შემადგენლობაზე, რომელიც გათვალისწინებულია ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით ასე მაგალითად, აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მკვლელობის მუქარას, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს (მუხ. 203-ე). თურქმენეთის სისხლის სამართლის კოდექსშიც შეტანილია ანალოგიური შემადგენლობა: „მკვლელობის ან რაიმე სხვა ძალადური მოქმედების მუქარა, თუ საკმარის საფუძველი არსებობდა იმის სავარაუდოდ, რომ მუქარა სისრულეში იქნება მოყვანილი“ (მუხ. 143-ე). მუქარას ითვალისწინებს აგრეთვე უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად დასასჯელად არის გამოცხადებული „ვინმეს მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, თუ საკმარის საფუძველი არსებობდა, რომ მუქარა სისრულეში იქნება მოყვანილი“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> Советское уголовное право, Часть общая, Госюриздат, 1952, стр. 277-278. А.А. Герцензон, Уголовное право. Часть общая, 1948, стр. 349; В.Д. Меньшагин, З.А. Вышинская, Советское уголовное право, М., 1950, стр. 135; Н.В. Лясс, Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву (автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук), М., 1952, стр. 9; Н.В. Лясс, Понятие и основания наказуемости приготовления и покушения, Ученые записки Ленинградского государственного университета имени А.А. Жданова, Вопросы уголовного права и процесса, Л., 1956, стр. 50.

<sup>2</sup> მუქარის ზოგად შემადგენლობას ითვალისწინებენ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების პროექტები. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 127-ე მუხლის თანახმად, ისჯება „მოკლის, სხუელის მძიმე დამავეების, ან ქონებრივი ზიანის საყოველთაოდ სამიში საშუალებით მიყენების მუქარა, როდესაც მუქარის განხორციელების საფრთხე საკმარის საფუძველია“.

შეხედულება, თითქოს ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთი დამთავრებული შემადგენლობების დასჯადობას, რომლებიც არსებითად განზრახვის გამომჟღავნებას წარმოადგენენ, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩითვალოს.

რაც შეეხება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72<sup>2</sup>-ე მუხლს, ამ მუხლით გათვალისწინებული მუქარა მიმართულია იმ მიზნისაკენ, რომ შეზღუდოს თანამდებობის პირთა და საზოგადოებრივ მუშაკთა თავისუფლება და აიძულოს ისინი ჩაიდინონ მოქმედება, რომელიც ხელს შეუშლის საბჭოთა აპარატის ნორმალურ მუშაობას. მამსადაძემ, ეს არის ხელყოფა ადამიანის თავისუფლებაზე (იძულება), ხოლო მუქარა წარმოადგენს საშუალებას ამ მიზნის განხორციელებისათვის. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მუქარა გათვალისწინებულია როგორც დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედობა, იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დანაშაულებრივი განზრახვის გამომჟღავნება. არსებითად იგი მეტია, ვიდრე უბრალო განზრახვის გამომჟღავნება. იგი იწვევს იმ პირში, ვისაც ემუქრებიან, ერთგვარი შიშის, აღელვების გრძნობას, არღვევს მის სულიერ სიმშვიდეს. მუქარა რომ განზრახვის გამომჟღავნების სახე იყოს, მაშინ მისი ობიექტი ის სიკეთე უნდა ყოფილიყო, რისი დაზიანებაც მუქარის შინაარსს წარმოადგენს. მაგალითად, მკვლევობით მუქარის ობიექტი ადამიანის სიცოცხლე იქნებოდა. მაგრამ მუქარის ობიექტი სულ სხვაა. როგორც დავინახეთ, იგი მიმართულია პიროვნების სულიერი სიმშვიდისა და უსაფრთხოების გრძნობის წინააღმდეგ. მეორე მხრით, მუქარა ყოველთვის როდი წარმოადგენს პიროვნების ნამდვილი განზრახვის გამომჟღავნებას. შესაძლებელია დამუქრებელი მუქარას მხოლოდ შესაშინებლად იყენებდეს და სრულიად არ აპირებდეს თავისი მუქარის ნამდვილად განხორციელებას<sup>1</sup>. ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი საბჭოთა კრიმი-

<sup>1</sup> იხ. М. Д. Шаргородский, Рецензия на учебное пособие проф. А. А. Герцензона – Уголовное право, часть общая, 1948 („Советское государство и право“, 1948, N 12, стр. 60); Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, 1955, стр. 24-26; Н. Ф. Кузнецова, Ответственность за приготовление преступлению и покушение на преступление М., 1958, 32-33.



ნალისტის აზრი, რომ „მუქარა არ შეიძლება ჩაითვალოს განზრახვის გამომჟღავნების სახედ. მუქარის დასჯადობა დაკავშირებული არ არის იმ გარემოებასთან, რომ ზოგჯერ მოქმედება, რომლითაც მუქარა იყო გამოხატული, ამავე დროს სხვა დანაშაულის განზრახვის გამომჟღავნებას წარმოადგენს“<sup>1</sup>.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ისეთი აზრიც იყო გამოთქმული, თითქოს განზრახვის გამომჟღავნების საქციალურ სახეს წარმოადგენდეს პროპაგანდა და აგიტაცია, რომელნიც მოუწოდებენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, შესასუსტებლად ან ამა თუ იმ კონტრრევოლუციური დანაშაულის ჩასადენად. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს 1948 წლის (მე-4) გამოცემაში ნათქვამი იყო: „დამნაშავეს მიერ თავისი განზრახვის გამომჟღავნებას შეიძლება მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი თავისთავად თავისი ფორმით საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს და დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას მოიცავს. ასეთია, მაგალითად, კონტრრევოლუციური დანაშაულის ჩადენის განზრახვა“<sup>2</sup>.

ეს დებულებაც, ჩვენის აზრით, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. კონტრრევოლუციური აგიტაცია და პროპაგანდა ცილდება განზრახვის გამომჟღავნების ფარგლებს. იგი მიმართულია იმისაკენ, რომ შექმნას მოსახლეობაში ანტისაბჭოური განწყობილება და ამით ნიადაგი მოამზადოს კონტრრევოლუციური დანაშაულის ჩასადენად, როგორც პირობების შექმნა კონტრრევოლუციური დანაშაულის ჩასადენად, იგი არსებითად უფრო დანაშაულის მომზადებაა, ვიდრე მისი ჩადენის განზრახვის გამომჟღავნება.<sup>3</sup>

ამგვარად ძალაში რჩება ძირითადი დებულება: სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა არ სჯიან განზრახვის გამომჟღავნებას არც როგორც დანაშაულის განვითარების სტადიას და არც როგორც დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს. დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების პირველ სტადიას

<sup>1</sup> ღურმანოვი, ციტირებული ნაშრომი. გვ. 25.

<sup>2</sup> Уголовное право, Общая часть, Юридиздат Министерства Юстиции СССР, М., 1948, стр. 397.

<sup>3</sup> იხ. ამის შესახებ მოკრინსკი, დასახ. სტატია, გვ. 19. შენიშვნა 1.

დანაშაულის მომზადება წარმოადგენს, მეორე სტადიას – დანაშაულის მცდელობა, მესამე და უკანასკნელს – დანაშაულის დამთავრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არა ყოველი განზრახი დანაშაული გაივლის ყველა ამ სტადიას. სახელდობრ, მთელ რიგ დანაშაულებრივ ქმედებებში წინასწარ მომზადებას შესაძლებელია სრულიად არ ჰქონდეს ადგილი, მაგრამ აღნიშნულ სტადიათა გამოყოფას სისხლის სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკისათვის მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველად ყოვლისა, გამორკვეული უნდა იქნეს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ადამიანის მოქმედება, როდესაც მას დამთავრებულ დანაშაულამდე არ მიუღწევია და უფრო ადრინდელ საფეხურზე შეჩერდა. აქვს თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა იმ გარემოებას, დანაშაულებრივი საქმიანობის რომელ ეტაპზე შეჩერდა დამნაშავე? ამ საკითხზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუ დანაშაულის განვითარების აღნიშნული სტადიები არ იქნა დაწვრილებით შესწავლილი და დახასიათებული.

## §2. დამთავრებული დანაშაულის ცნება

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს ის საკითხი რომელი სტადიით უნდა დაიწყოს დანაშაულის განვითარების სტადიების განხილვა. ზოგიერთი ავტორი დანაშაულის განვითარების სტადიების განხილვას იწყებს დამთავრებული დანაშაულის ცნებით და მხოლოდ შემდეგ გადადის დაუმთავრებელი დანაშაულის სტადიებზე<sup>1</sup>. საბჭოთა ავტორების მეორე ნაწილი კი თვლის, რომ დანაშაულის განვითარების სტადიების განხილვა დაწყებული უნდა იქნეს პირველი, უმდაბლესი სტადიიდან და თანდათანობით გადავიდეს უფრო მაღალ სტადიებზე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, Советское уголовное право. Общая часть, М., 1959, стр. 212, ლურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 32-34.

იხ. მაგალითად, პროფ. შარგოროდსკის რეცენზია სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს 1952 წლის გამოცემაზე („Советское государство и право“, 1953, №8). კიდევ უფრო შორს მიდის კუზნეცოვა, რომელიც თვლის, რომ დამთავრებული დანაშაულის მუქად თუ ნაკლებად დაწვრილებით განხილვა მომზადებისა და მცდელობის საკითხებთან დაკავშირებით სრულიად არ არის საჭირო (6. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 39, შენიშვნა 17). ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება განმარტებული იქნეს დაუმთავრებელი დანაშაული, თუ წინასწარ არ გვეცოდინება, როდის არის იგი დამთავრებული და

დამთავრებული დანაშაულებრივი შემადგენლობა შემადგენლობის ჩვეულებრივ ტიპს წარმოადგენს, ხოლო მცდელობა და მომზადება მისგან არიან ნაწარმოებნი. ამიტომ საეკსპერტო მართებულად უნდა ჩაითვალოს პროფ. დურმანოვის აზრი, რომ „ანალიზი უნდა გაუკეთდეს, პირველად ყოვლისა, იმ მოვლენას, რომელშიც განსაზღვრული თვისებები ყველაზე უფრო სრულად არის გამოხატული. დანაშაულებრივი ქმედობისათვის ეს მოვლენა-დამთავრებული დანაშაულია. დანაშაულებრივი ქმედობის ცალკეული ელემენტები შეიძლება სრულიად არ იყოს მცდელობისა და მომზადების სტადიაში ან არსებობდეს შეკვეცილი ფორმით (ზოგჯერ განზრახვა), მაგრამ ისინი ყოველთვის მოცემული არიან დამთავრებულ დანაშაულში“<sup>1</sup>.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც განხორციელებულია სუბიექტის მიერ განზრახული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი. ამგვარად, დამთავრებულ დანაშაულს ორი მომენტი ახასიათებს: პირველი ის, რომ შესრულებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მითითებული შემადგენლობის ყველა ნიშანი და მეორე, შესრულებულია სწორედ იმ დანაშაულის ნიშნები, რომლის შესრულებისკენაც მიმართული იყო დანაშაულის განზრახვა. ამიტომ თუ ვინმემ მოკვლის განზრახვით ესროლა ადამიანს და მას სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა, გვეჩება არა სხეულის მძიმე დაზიანების დამთავრებული შემადგენლობა, არამედ მკვლელობის მცდელობა.

დამთავრებული დანაშაულის განმარტება მოცემული იყო რსფსრ 1919 წლის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში“<sup>1</sup>. „სახელმძღვანელო საწყისების“ მე-17 მუხლში ნათქვამი იყო: „დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როდესაც მოქმედის ზრახვა ბოლომდე განხორციელდა“. ასეთ განმარტებას არათუ არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, არამედ ამავე დროს თითოეულ ცალკე შემთხვევაში დანაშაულის დამთავრების საკითხის გადაწყვეტის დროს მას შეუძლია გამოიწვიოს ერთგვარი სიძნელენი.

---

მასსადავო, რა ნიშნები უნდა აკლდეს დანაშაულებრივ ქმედობას, რომ იგი დაუმთავრებლად ჩაითვალოს.

<sup>1</sup> დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

ბოროტმოქმედის ზრახვები შეიძლება გაცილებით უფრო შორს მიდიოდნენ, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობა. მაგალითად, ანგარე-ბით მკვლევლობის დროს ბოროტმოქმედის ზრახვა მოიცავს არა მარტო კაცის მოკვლას, არამედ გამორჩენის მიღებასაც (მაგალითად, მემკვიდრეობის მიღებას, ქონების დაუფლებას და ა.შ.). მაგრამ ანგარეობით მკვლევლობის დამთავრებისათვის სულაც არ არის საჭირო, რომ მკვლელმა ნამდვილად მიაღწიოს მის მიერ დასახულ საბოლოო მიზანს. დამთავრებული დანაშაულის იმ განსაზღვრებას, რომელიც მოცემული იყო „რსფსრ-ის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში“<sup>1</sup> შეეძლო შეექმნა ისეთი წარმოდგენა, თითქოს ასეთი გამორჩენის მიღება საჭიროა ამ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. გასაგებია ამიტომ, რომ შემდგომი სისხლის სამართლის კოდექსები ამ განსაზღვრებას აღარ იმეორებენ. უფრო მეტიც, ისინი სრულიად არ განსაზღვრებენ დამთავრებული დანაშაულის ცნებას<sup>1</sup>.

თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ დანაშაულის დამთავრების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი ამ დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის კანონში. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით თაღლითობა განსაზღვრულია როგორც ქონების ან ქონებაზე უფლების მოპოვება ნდობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით. მაშასადამე, ეს დანაშაული დამთავრებულად ითვლება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ბოროტმოქმედი უკვე მოიპოვებს ქონებას ან ქონებაზე უფლებას. იგივე დანაშაული რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლში განსაზღვრულია როგორც

---

<sup>1</sup> დამთავრებული დანაშაულის განსაზღვრას არ შეიცავენ აგრეთვე ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსები. ამ მხრით გამოჩაქვს წარმოდგენა რუსეთის რევოლუციამდელი სისხლის სამართლის დებულება 1845 წლისა, რომელიც მე-10 მუხლში იძლეოდა დამთავრებული დანაშაულის შემდეგ განსაზღვრას: „დანაშაული ჩაითვლება დამთავრებულად, როდესაც სინამდვილეში განხორციელდა დანაშაულის მიერ წინასწარ განზრახული ან მისი მოქმედებიდან წარმოშობილი რაიმე სხვა ბოროტება“. ეს ბუნდოვანი ფორმულა დიდ დავას იწვევდა რევოლუციამდელ ლიტერატურაში და პრაქტიკულ სიძნელეებსაც ქმნიდა. რუსეთის რევოლუციამდელი კრიმინალისტიკა მუთუთებდნენ მის ნაკლოვანებებზე და საჭიროდ თვლიდნენ მის სრულიად ამოღებას სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან (იხ. Н.С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, С.П., 1902, стр. 732).

ნდობის ბოროტად გამოყენება ან მოტყუება ქონების ან ქონებაზე უფლების ან სხვა რამ პირადი გამორჩენის მიღების მიზნით. როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თაღლითობის დამთავრებისათვის არ არის აუცილებელი ქონების ან ქონებრივი უფლების, ან გამორჩენის მიღება; თაღლითობა დამთავრებულია იმ მომენტში, როდესაც სუბიექტი ასეთი მიზნით მოატყუებს მეორე პირს ან მის ნდობას ბოროტად გამოიყენებს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლებოდა ქონების გატაცების მომენტიდან, ხოლო 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ ყაჩაღობას დამთავრებულად თვლის იმ მომენტიდან, როდესაც ბოროტმოქმედი მიმართავს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას ქონების მისაღებად.

ამგვარად, დანაშაულის დამთავრების მომენტი პირობითია და დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო განსაზღვრებზე.

დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ დამთავრებული დანაშაულის ორი სახე. პირველი — ეს ისეთი შემადგენლობებია, რომელნიც დამთავრებულად ითვებიან იმ მომენტიდან, როდესაც დაზიანებულია სამართლის მიერ დაცული ობიექტი. ასეთ შემადგენლობათა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, მკვლელობა, რომელიც დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბოროტმოქმედის მოქმედებას ნამდვილად მოყვა ადამიანის სიკვდილი (მუხ. 144-ე, 145-ე, 146-ე). ასეთივე დანაშაულია სხეულის დაზიანება და ა.შ. ამ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი შემადგენლობები, რომლებიც თავისი დამთავრებისათვის მოითხოვენ დანაშაულის საგნის განადგურებას (განზრახი დაზიანება ქონებისა) ან საგნის გადაწვევას ერთი პირის მფლობელობიდან მეორე პირის მფლობელობაში. ქურდობა, მაგალითად, დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ქონება ამოღებულია მესაკუთრის ან მესამე პირის მფლობელობიდან და გადასულია ბოროტმოქმედის მფლობელობაში. მეორე სახის შემადგენ-

ლობებად ითვლებიან ისეთი შემადგენლობანი, რომელთა დამთავრებისათვის არ არის საჭირო ზიანის მიყენება ამა თუ იმ ობიექტისათვის, არამედ საკმარისია ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა. ასეთია, მაგალითად, ისეთი მოქმედების ჩადენა, რაც წინასწარი შეცნობით ჩაყენებს სხვა პირს იმგვარ საფრთხეში, რომ მას შეიძლება ვენეროული სენი შეეყაროს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამ მეორე სახის შემადგენლობებს საფრთხის შემქმნელ დელიქტებს უწოდებენ. მათ რიცხვს ეკუთვინის სახელმწიფო დანაშაულთა უძრავლესობა, ბანდიტიზმი დ ა.შ.

იმ საკითხზე, თუ რით არის გამოწვეული ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსებში საფრთხის შემქმნელი დელიქტების შეტანა, საბჭოთა ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. პროფ. პიონტკოვსკის აზრით, „ამ საკანონმდებლო-ტექნიკურ ხერხს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კოდექსებისათვის, რომლებითაც მომზადება სრულიად არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო მცდელობა იწვევს სასჯელის სავალდებულო შემცირებას. „შეკვეცილი“ შემადგენლობის შექმნის მეშვეობით, რომლის დროსაც დანაშაულის დამთავრების მომენტი არსებითად მცდელობის სტადიაზე გადატანილი, შესაძლებელი ხდება: 1. დანაშაულის მცდელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სავალდებულო შემცირების არიდება, ვინაიდან იგი თვით განიხილება როგორც დამთავრებული დანაშაული და 2. ისეთი მოქმედების განხილვა მცდელობად, რომელიც საერთო წესით სხვა დანაშაულის ჩადენის დროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს (მომზადებისა). „შეკვეცილი“ შემადგენლობის მეშვეობით მოსამზადებელი მოქმედებაც შეიძლება განხილულ იქნეს დამთავრებულ დანაშაულად.

საბჭოთა სისხლის სამართლისათვის დანაშაულთა „შეკვეცილი“ შემადგენლობის შექმნას არ აქვს ასეთი მნიშვნელობა, რადგან ჩვენი სისხლის სამართლის კანონი არათუ არ ცნობს მცდელობისათვის პასუხისმგებლობის სავალდებულო შემცირებას, არამედ შესაძლებლობას იძლევა აუცილებლობის შემთხვევაში, დასაჯოს მომზადება, როგორც დამთავრებული დანაშაული<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Уголовное право, Общая часть, М., 1948, стр. 396-397.

ამ შეხედულებას არ ეთანხმება პროფ. ღურმანოვი, რომლის აზრით საფრთხის შემქმნელი დელიქტების შეტანა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება დამოკიდებული იყოს საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებაზე, არამედ ყოველთვის განპირობებულია კონკრეტული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათით. „...ეს შემადგენლობანი, – ლაპარაკობს იგი, – შეტანილი არიან კანონში არა კანონმდებლის შეხედულების მიხედვით, არამედ იმიტომ, რომ შემადგენლობის ასეთ აღწერაში ყველაზე უფრო სრულად აისახება დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების თავისებურებანი და, შესაბამისად, ყველაზე უფრო მკვეთრად განისაზღვრება აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებანი“<sup>1</sup>.

ჩვენის აზრით, არც ერთი ეს შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. პროფ. ღურმანოვის მოსაზრებების წინააღმდეგ შეიძლება გავიხსენოთ ის მაგალითები, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ. თაღლითობის შემადგენლობა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედი მოტყუების შედეგად მიიღებს ქონებას ან ქონებრივ უფლებას თუ გამორჩენას (მუხ. 183-ე). ხოლო იგივე დანაშაული, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დამთავრებულად ითვლება უკვე მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა მოტყუებას ან ნღობის ბოროტად გამოყენებას (მუხ. 169-ე). ყაჩაღობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის თანახმად დამთავრებულად ითვლებოდა მხოლოდ გატაცების მომენტიდან. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლით და 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულებით ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება ძალადობის ან ძალადობის მუქარის მომენტიდან<sup>2</sup>. ასეთი მაგალითები სხვაც შეიძლება მოვიტანოთ.

<sup>1</sup> ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

<sup>2</sup> არ შეიძლება დავეთანხმოთ ამიტომ პროფ. ღურმანოვს, თითქოს „საბჭოთა კანონი ყოველთვის თვლიდა და თელის ყაჩაღობას დანაშაულად, რომელიც დამთავრებულია უკვე ადამიანზე თავდასხმის მომენტში, თუნდაც დაშინავემ ვერ შესძლოს სხვისი ქონების დაუფლება, რომელზედაც მიმართული იყო საბოლოოდ მისი მოქმედება“ (ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 46).

მეორე მხრით, არც პროფ. პიონტკოვსკია სავსებით ზუსტი, როდესაც ამტკიცებს, რომ საფრთხის შემქმნელ შემადგენლობათა შეტანას საბჭოთა კანონმდებლობაში არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

კანონმდებელი მიმართავს შემადგენლობის ასეთ ფორმას განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტებზე ხელყოფისას, როდესაც დანაშაულებრივი ხელყოფის წარმატებით დამთავრება შეუძლებლად გახდოდა თვით პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევებში კანონმდებელი დასასჯელად აცხადებს ისეთ მოქმედებებსაც კი, რომლებიც აღნიშნულ ობიექტთა დაზიანების თუნდაც შორეულ და უმნიშვნელო საფრთხეს ქმნიან. ასეთია განსაკუთრებით სახელმწიფო დანაშაულთა უმრავლესობა, რომელთა დროსაც დამთავრებულად ითვლება ყოველი ორგანიზაციული მოქმედება, მიმართული დანაშაულის მოსამზადებლად ან ჩასადენად, აგრეთვე მონაწილეობა ორგანიზაციაში, რომელიც მოეწყო სახელმწიფო დანაშაულის მომზადების ან ჩადენისათვის.

საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში ზოგჯერ განპირობებულია იმით, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მცდელობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ შეიძლება იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას; ამავე დროს კანონმდებელს არ სურს დაუსჯელად დატოვოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანი საფრთხეს ქმნის რაიმე სიკეთისათვის, მაგალითად, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სიცოცხლისათვის, ითვალისწინებს და შეგნებულად უშვებს ასეთ შედეგს, მაგრამ შედეგი არ განხორციელდება. ასეთია, მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლი, 157-ე მუხლის მეორე ნაწილი და სხვა მისთ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფ. დურმანოვის შეხედულებას, თითქოს საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს განზრახვა სცილდება იმ დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტური მხარის ფარგლებს, რომელიც აღწერილია კანონში. „ეწ. ფორმალური დელიქტებისაგან, — ლაპარაკობს პროფ. დურმანოვი, — ეს შემადგენლობები იმით განსხვავდებიან, რომ ბრალეულის პირდაპირი განზრახვით გარემოცულია არა მარტო ის მოქმედებანი, რომ-



ლებიც დანაშაულის შემადგენლობაში შედიან, არამედ აგრეთვე შემდგომი, იმავე ობიექტსა და შედეგზე მიმართული სხვა მოქმედებანი, რომლებიც ამ დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ არიან<sup>1</sup>. მეორე ადგილას პროფ. ღურმანოვი ამბობს: „ყოველ შემთხვევაში ასეთი შემადგენლობანი კონსტრუირებულია მხოლოდ ისეთ განზრახ დანაშაულთა მიმართ, რომლებიც პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი“<sup>2</sup>.

მთელ რიგ შემთხვევებში საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს პასუხისმგებლობისათვის სრულიადაც არ არის საჭირო, რომ პირს სურდეს ვნების მიყენება ობიექტისათვის: საკმარისია, თუ იგი შეგნებულად ქმნის საფრთხეს ამ ობიექტისათვის. პირიქით, თუ ასეთ შემთხვევებში სუბიექტს სურდა ზიანის მიყენება და მან პირდაპირი განზრახვით შექმნა საფრთხე ამა თუ იმ ობიექტისათვის, შესაძლებელია ასეთი პირის ქმედობა არც იქნეს კვალიფიცირებული იმ მუხლით, რომელიც საფრთხის შემქმნელ დელიქტს ითვალისწინებს, არამედ როგორც მცდელობა სხვა, უფრო მძიმე დანაშაულისა. მაგალითად, ბავშვის უმწუროდ დატოვების ან სხვისთვის მიგდების შემთხვევებს ჩვენი სასამართლო პრაქტიკა აკვალიფიცირებდა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს საფრთხის შემქმნელ დელიქტს (იხ. რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმის 1933 წლის 28 ივნისის დადგენილება). ხოლო თუ ბავშვის უმწუროდ დატოვება ჩადენილია მოკვლის პირდაპირი განზრახვით, ქმედობა კვალიფიცირდება როგორც მკვლელობის მცდელობა და არა როგორც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მიტოვება<sup>3</sup>.

დაბოლოს, ასეთი შემადგენლობების შექმნა საკანონმდებლო პოლიტიკის მოსაზრებითაც შეიძლება იქნეს გამოწვეული. სახელდობრ, კანონმდებელს სურს დამთავრების მომენტის უფრო ადრინდელ სტადიაზე გადატანით უფრო მკაცრად დასაჯოს ესა თუ ის ქმედობა. სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობს საბჭოთა კანონმდებელი, როდესაც ყაჩაღობას დამთავრებულად თვლის პიროვნებაზე თავდასხმის მომენ-

<sup>1</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

<sup>2</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

<sup>3</sup> იხ. თ. წერეთლის და ვ. მაყაშვილის რეკენზია ნ. ღურმანოვის დასახ. ნაშრომზე, ჟურნალი „Советское государство и право“, 1957, N 1, стр. 130.

ტიდან. მართალია, პრინციპულად მცდელობა და თვით მოსამზადებელი მოქმედებაც ჩვენთან ისევე ისჯება, როგორც დამთავრებული დანაშაული, მაგრამ ამავე დროს კანონმდებელი მიუთითებს მოსამართლეს – სასჯელის კონკრეტული ღონისძიების არჩევის დროს მხედველობაში მიიღოს, თუ რა სტადიაზე შეჩერდა დანაშაულებრივი ქმედობა. სასამართლო პრაქტიკაში მომზადება, როგორც წესი, არ ისჯება, მცდელობა კი ჩვეულებრივად ისჯება უფრო მსუბუქად, ვიდრე დამთავრებული დანაშაული.

ყაჩაღობის შემადგენლობის დამთავრების გადატანით უფრო ადრინდელ სტადიაზე, რომელიც არსებითად მცდელობას წარმოადგენს, კანონმდებელი შესაძლებლობას იძლევა ამ მეტად საზოგადოებრივად საშიშ დანაშაულთან უფრო მკაცრი და უფრო ეფექტური ბრძოლა გაწარმოოთ.

ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი დანაშაულის ისეთ შემადგენლობას, რომლის დამთავრებისათვის საჭიროა ზიანის განხორციელება, უწოდებს სრულ შემადგენლობას, ხოლო საფრთხის შემქმნელ დელიქტს – „შეკვეცილ შემადგენლობას“. ეს აზრი გამოთქმული იყო ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ბინდინგის მიერ, ხოლო რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში იგი განავითარეს კრუგლევსკიმ და მოკრინსკიმ.

ბინდინგის სწავლება „შეკვეცილ შემადგენლობათა“ შესახებ მჭიდროდაა დაკავშირებული მის ე.წ. ნორმების თეორიასთან. ბინდინგის აზრით, სისხლის სამართლის კანონი მიმართულია არა დამნაშავისაკენ, არამედ სათანადო სახელმწიფო ორგანოებისაკენ, რომელთაც ავალებს დამნაშაისათვის განსაზღვრული სასჯელის შეფარდებას. დამნაშავე სისხლის სამართლის კანონის წინააღმდეგე კი არ მოქმედებს, არამედ პირიქით, მის შესაბამისად, იგი ასრულებს იმ შემადგენლობას, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. ამკრძალავი ნორმა მოცემულია სისხლის სამართლის კანონის გარეთ. დამნაშავე არღვევს იმ ნორმას, რომელიც ფაქტიურად ან, ყოველ შემთხვევაში, ლოგიკურად წინ უსწრებს სისხლის სამართლის კანონს. აქედან ბინდინგი აკეთებს დასკვნას, რომ სამართლის დარღვევა წარმოადგენს ქმედობას, რომელიც არღვევს ნორმას, იმისდა მიუხედავად, დასჯადია თუ არა იგი.

აღნიშნულის შესაბამისად, ბინდინგი განასხვავებს დელიქტებს,

რომელნიც მატერიალურად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, ე.წ. „შეკვეცილი“ დელიქტებისაგან. დანაშაული მატერიალურად (და არა მხოლოდ ფორმალურად) დამთავრებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაშაშავე განახორციელებს ნორმით აკრძალული ქმედობის ყველა ნიშანს. ასეთ დამთავრებულ განზრახ ზიანის მომტან ქმედობასთან ერთად (vollendete vorsätzliche Verletzungs delikte), ბინდინგის აზრით, არსებობენ კიდევ ისეთი დელიქტები, რომელნიც ფორმალურად, კანონის თანახმად, დამთავრებულად ითვლებიან, თუმცა ბუნებრივად ისინი ჯერ კიდევ დამთავრებული არ არიან. კანონმდებელი თითქოს ჰკვეცავს მათ და გადააქვს დამთავრების მომენტი წინა სტადიაზე, რომელიც ჩვეულებრივად მცდელობის სტადიას შეესაბამება (cupirte Erfolgsverbrechen)<sup>1</sup>. რეკოლუციაშემდეგი იურისტის კრუგლევსკის აზრით დელიქტი უნდა ჩაითვალოს სრულ დელიქტად (მატერიალური შემადგენლობის მქონე დელიქტად), როდესაც მის საფუძველად მდებარე ქმედობა მოიცავს ნორმით აკრძალული ქმედობის ყველა ნიშანს, ხოლო შეკვეცილ შემადგენლობად (ფორმალურ დელიქტად), როდესაც მის საფუძველად მდებარე ქმედობა მოიცავს ნორმით აკრძალული ქმედობის მხოლოდ ზოგიერთ ნიშანს<sup>2</sup>. „შეკვეცილ“ დელიქტთა შემადგენლობანი, მოკრინსკის აზრით, განზრახ არიან შეკვეცილნი ობიექტური მხრით, თუმცა სუბიექტური მხარე მთლიანადაა შენარჩუნებული<sup>3</sup>.

„შეკვეცილ შემადგენლობათა“ არსებობას ცნობს აგრეთვე ზოგიერთი საბჭოთა იურისტი. მაგალითად, სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს მე-ნ გამოცემაში აღნიშნულია: „დანაშაულის დამთავრების მომენტის გადატანით დანაშაულებრივი საქმანობის განვითარების ისეთ სტადიაზე, რომელზედაც მას არსებითად ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრული დამთავრებისათვის, იქმნება დანაშაულთა „შეკვეცილი შემადგენლობანი“. აქ თვით ზიანის მიყენების საფრთხე განიხილება როგორც დამთავრებული დანაშაული“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> K.Binding, Die Normen und ihre Übertretung, Leipzig, 1890, V.I.S.S. 9-13.

<sup>2</sup> А.Н. Круглевский, Имущественные преступления, 1913, стр. 45.

<sup>3</sup> С.П. Мокринский, Медицина в ея конфликтах с уголовным правом. „Журнал Министерства юстиции“, 1914, №4, стр. 103; см. аგრეთვე С.П. Мокринский, Покушение и приготовление в советском праве, „Советское право“, 1927, N 1, стр. 67-69.

<sup>4</sup> Советское уголовное право, Общая часть, М., 1959, стр. 213.

„შეკვეცილ შემადგენლობათ“ თუორიას არსებითად იზიარებს აგრეთვე პროფ. ნ. ღურმანოვი. ღურმანოვის აზრით, არსებობს დამთავრებული დანაშაულის ორი ცნება, რომელთაც ლიტერატურაში ხშირად ურევნ ერთმანეთს. „დამთავრებულ დანაშაულზე შეიძლება ვილაპარაკოთ ორი მნიშვნელობით – ან დამთავრებული დანაშაულის კანონში, ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სათანადო მუხლში კონსტრუქციის მნიშვნელობით, და ან სასამართლო პრაქტიკაში კონკრეტული დამთავრებული დანაშაულის განმარტების მიხედვით“<sup>1</sup>.

დამთავრებული დანაშაულის ორი ცნების აღიარება, ჩვენის აზრით, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს. მან შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს მოსამართლის თვალსაზრისი დამთავრებულ დანაშაულზე შეიძლება არ შეესაბამებოდეს კანონის თვალსაზრისს ამავე საკითხზე. მაგრამ განა დასაშვებია, რომ მოსამართლე და კანონი ერთსა და იმავე ცნებას სხვადასხვა მნიშვნელობას მიაწერდნენ? იმგვარადვე, როგორც არ არსებობს ორი ცნება დაუმთავრებელი დანაშაულისა, არ შეიძლება არსებობდეს არც ორი ცნება დამთავრებული დანაშაულისა.

დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებანი თანაფარდოვანი ცნებანი არიან და მათი შინაარსის დადგენა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ასე მაგალითად, თუ დაუმთავრებელი დანაშაული არ შეიძლება ჩადენილ იქნეს გაუფრთხილებლობით, არ არსებობს არც დამთავრებული გაუფრთხილებელი დანაშაულის ცნება. განზრახვა წარმოადგენს დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის საერთო აუცილებელ ნიშანს. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს, როგორც დავინახეთ, განზრახვისა და დანაშაულის ობიექტური მხარის თანაფარდობაში. დაუმთავრებელი დანაშაულის დროს განზრახვა უფრო მეტია, ვიდრე დანაშაულის ობიექტური მხარე. პირი ვერ აღწევს დანაშაულებრივი ქმედობის შედეგს, რომლისკენაც მიართული იყო მისი განზრახვა. პირიქით, დამთავრებული დანაშაული გულისხმობს, რომ განხორციელდა იმ დანაშაულის ყველა შემადგენელი ნიშანი, რომლის ჩადენაც განზრახული ჰქონდა პირს. ამიტომ

<sup>1</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 35.

დაუშთავრებელი დანაშაულის დროს დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური მხარე წონასწორობაში არ არიან ერთმანეთთან. მხოლოდ ამ ასპექტში შეიძლება ვილაპარაკოთ დამთავრებულ დანაშაულზე; არავითარი სხვა ცნება დამთავრებული დანაშაულისა, რომელსაც თითქოს-და იცნობს სასამართლო პრაქტიკა და არ იცნობს კანონმდებელი, არ არსებობს. შესაძლებელია მხოლოდ თვით კანონში მოცემული იყოს დანაშაულის შემადგენლობათა სხვადასხვა ტიპები, რომელთაც სხვადასხვა მომენტზე გადააქვთ დანაშაულის დამთავრება.

ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენენ არც საფრთხის შექმნილი დელიქტები. ამ დელიქტების დროსაც საკითხი დანაშაულის დამთავრების მომენტის შესახებ არ შეიძლება სხვადასხვაგვარად გადაწყდეს კანონისა და მოსამართლის თვალსაზრისით. სასამართლომ ქმედობა სწორედ მაშინ უნდა ჩათვალოს დამთავრებულად, როდესაც მასში მოცემულია იმ შემადგენლობის ყველა ნიშანი, რომლის განხორციელებაზე მიმართული იყო პირის განზრახვა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ტიპს ეკუთვნის ესა თუ ის შემადგენლობა, საჭიროა თუ არა ამ შემადგენლობისათვის ობიექტის ნამდვილად დაზიანება, თუ საკმარისია მისი დაზიანების საფრთხის შექმნა.

მტკიცება, თითქოს დამთავრებული დანაშაულის საკანონმდებლო ცნება არ ემთხვევა მის იმ ცნებას, რომელიც გამოსადევია სასამართლო პრაქტიკისათვის, მეტად მოგვაგონებს „შეკვეცილ შემადგენლობათ“ ბურჟუაზიულ თეორიას, რომელიც არა მარტო თეორიული თვალსაზრისით არის ყალბი, არამედ პრაქტიკულადაც რეაქციული ხასიათის შედეგებს იწვევს.

ობიექტისათვის ზიანის მიმყენებელ და საფრთხის შექმნელ შემადგენლობათა კონსტრუქციამ, როგორც „სრული“ და „შეკვეცილი“ შემადგენლობებისა, საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია. ამ შეხედულების წინააღმდეგ გაილაშქრა პროფ. ა. ტრაინინმა. „შეკვეცილ“ შემადგენლობათა აღიარება, პროფ. ა. ტრაინინის აზრით, აშკარა გაუგებრობაზეა დაფუძნებული. „შემადგენლობა ყოველთვის ერთიანია და ყოველთვის „სავსეა“ იმ კონკრეტული ელემენტებით, რომელთაგანაც იგი კანონის მიხედვით შედგება. თუ აკლია რომელიმე ელემენტთაგანი – არ არის შემადგენ-

ლობა; თუ სახეზეა ყველა ელემენტი, ყოველთვის არის „ძთული“, „სრული“ შემადგენლობა. ნახევარი, ნაწილობრივი, შეკვეცილი შემადგენლობა არ შეიძლება არსებობდეს<sup>1</sup>.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში „შეკვეცილ“ შემადგენლობათა არსებობის ქადაგობა გარკვეულ კლასობრივ ინტერესს ემსახურება. როგორც დავინახეთ, „შეკვეცილ“ შემადგენლობათა თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ბინდინგის ნორმათა თეორიასთან. ნორმათა თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ დამნაშავე არღვევს არა სისხლის სამართლის კანონს, არამედ კანონის გარეთ არსებულ ნორმას, მიზნად ისახავს შეარყიოს კანონით დადგენილი დანაშაულებრივი შემადგენლობის სტაბილობა, გაარღვიოს კანონით შემოფარგლული შემადგენლობის ჩარჩოები და ამით ძირი გამოუთხაროს ბურჟუაზიული კანონიერების, ბურჟუაზიული დემოკრატიულობის ძირითად პრინციპს სისხლის სამართალში, სახელდობრ, პრინციპს „*nul-lum crimen sine lege*“. დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობას იგი უპირისპირებს დანაშაულის რაღაც „ბუნებრივ“ ანუ „ნორმალურ“ შემადგენლობას და ამ „ბუნებრივ“ შემადგენლობას უპირატესობას ანიჭებს საკანონმდებლო შემადგენლობასთან შედარებით.

ვინ უნდა გადაწყვიტოს საკითხი ამ „ბუნებრივი“ შემადგენლობისა და მისი მოხაზულობის შესახებ? ცხადია, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს მოსამართლემ თავისი სუბიექტური შეხედულების მიხედვით, თავისი კლასობრივი ალლოს მიხედვით. რაკი მოსამართლე ყოველთვის გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურება, ცხადია, ეს საკითხი გადაწყდება მოსამართლის მიერ გაბატონებული კლასის ინტერესების სასარგებლოდ ექსპლოატირებულ კლასთა წარმომადგენლების საზიანოდ...

„შეკვეცილ“ შემადგენლობათა აღიარება იძლევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაფართოების და თანამონაწილეობისათვის იმ პირების მოქმედების მიკუთვნების შესაძლებლობას, რომელნიც კანონით აღწერილი შემადგენლობის დამთავრების შემ-

---

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Состав преступления по советскому уголовному праву. М., 1951, стр. 137. ზისიკვ Общее учение о составе преступления. М., 1957, стр. 99-100.

დევ უკავშირდებიან დამნაშავეს. სახელდობრ, ამ შეხედულების თანახმად, შეკვეცილ დანაშაულში თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს, არა მარტო იმ პირის მოქმედება, რომელიც შეუერთდა ძირითადი დამნაშავეის მოქმედებას დანაშაულის შემადგენლობის დამთავრებამდე, არამედ ისეთი მოქმედებაც, რომელიც შეუერთდა მას დანაშაულის შემადგენლობის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ნორმის დარღვევის შეკვეცილი ნაწილის განხორციელებამდე<sup>1</sup>. მაგალითად, ქონების გატაცება, „შეკვეცილ“ შემადგენლობათა მომხრეების აზრით, შეკვეცილი დანაშაულია, რადგან კანონის მიხედვით იგი დამთავრებულად ითვლება ქონების დაუფლების მომენტიდან, მაშინ როდესაც მისი ბუნებრივი დამთავრება გულისხმობს ქონების ფაქტიურად გამოყენებას ქურდის მიერ. აქედან, ყოველივე ის მოქმედება, რომელსაც ადგილი აქვს ქონების გატაცების ფაქტის შემდეგ და რომელიც გამოიხატება უკვე გატაცებული ქონების მითვისებისათვის ხელის შეწყობაში (დამნაშავეისა და დანაშაულის კვალის დაფარვა, დანაშაულის ნაყოფით სარგებლობა ან გატაცებული ქონების გასაღებაში მონაწილეობა და სხვა მისთ.), „შეკვეცილ“ შემადგენლობათა მომხრეების აზრით, ქონების გატაცებაში თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს, რადგან „შეკვეცილ“ შემადგენლობათა მომხრეებს ისეთი ტენდენცია ახასიათებთ, რომ ამ სახის შემადგენლობებს ისინი დანაშაულთა დიდ უძრავლესობას აკუთვნებენ<sup>2</sup>, გასაგებია თუ რა ფართო გასაქანი შეიძლება მისცეს ბურჟუაზიული მოსამართლის სუბიექტივიზმსა და თვითნებობას.

ცხადია, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია, რომელიც მტკიცედ იცავს სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპებს სისხლის სამართალში არ შეიძლება დაეთანხმოს „შეკვეცილ“ შემადგენლობათა კონსტრუქციას. საბჭოთა სისხლის სამართლისათვის არ შეიძლება არსებობდეს არაეითარი „ბუნებრივი“ შემადგენლობა, დაპირისპირებული კანონით დადგენილი შემადგენლობისათვის. ამიტომ საბჭოთა სისხლის

<sup>1</sup> იხ. ა. კრუგლევსკი, დასახ. ნაშრ. გვ. 48.

<sup>2</sup> მაგალითად, მოკრინსკი შეკვეცილ შემადგენლობად თვლის არა მარტო საფრთხის შემქმნელ დელიქტებს, არა მარტო ქონების გატაცებას და სხვა მისთ, არამედ სხულის დაზარებასაც კი (იხ. С. П. Мокринский, Медицина в ея конфликтах с уголовным правом. „Журнал министерства юстиции“ 1914, №4, стр. 107-108).

სამართლის სახელმძღვანელო პოზიცია ამ საკითხში უეჭველად მიუღებელია, რადგან იგი ჩვენი სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს არ შეესაბამება. სახელდობრ, საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად (და ამ შეხედულებას ზემოხსენებული სახელმძღვანელოც იზიარებს) თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც მიზეზობრივ კავშირში დგას დანაშაულებრივ ქმედობასთან, ხოლო ასეთ მოქმედებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მარტოოდენ დანაშაულის შემადგენლობის დამთავრებამდე და არა მის შემდეგ. მართალია ამ საერთო წესიდან რსფსრ-ის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები, გარდა უკრაინის სსრ და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსებისა, ცნობდნენ ერთ გამონაკლისს: სახელდობრ, ისინი თანამონაწილეობას აკუთვნებდნენ დამნაშავეისა და დანაშაულის დაფარვას, თუნდაც წინასწარ შეუპირებელს. მაგრამ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-18 მუხლის თანახმად, დამნაშავეისა და დანაშაულის კვალის დაფარვა, რომელიც წინასწარ არ ყოფილა შეპირებული, არ ითვლება თანამონაწილეობად და იწვევს პასუხისმგებლობას მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი დანაშაული.



**დაუმთავრებელი დანაშაულისათვის  
პასუხისმგებლობის სფუქვლები**

იმისათვის, რათა გამოვარკვიოთ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლები, საჭიროა, პირველად ყოვლისა, დავადგინოთ, თუ რა არის პასუხისმგებლობის საფუძვლები საერთოდ დანაშაულისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია მომზადებისა და მცდელობის დასჯადობის საფუძვლები, განსხვავდებიან თუ არა ისინი დამთავრებული დანაშაულისათვის დასჯადობის საფუძვლებისაგან.

საკითხი, თუ რა უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებად, გადაჭრილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლში. მოგვყავს მუხლის შინაარსი:

„მუხლი 3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები.

სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.

სისხლისსამართლებრივ სასჯელს უფარდებს მხოლოდ სასამართლო“.

როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებაში მისაცემად საჭიროა სამი პირობა: 1. ქმედობა გათვალისწინებული უნდ იყოს სისხლის სამართლის კანონით; 2. იგი უნდა იყოს საზოგადოებრივად საშიში და 3. ჩადენილი იყოს ბრალეულად. ამის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლებად უნდა ჩაითვალოს: 1. ქმედობის შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასთან; 2. მისი საზოგადოებრივი საშიშროება და 3. ბრალეულობა.



საბჭოთა სისხლის სამართალში დიდი ხანია აღიარებულია, რომ პირის მოქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როდესაც იგი შეესაბამება სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. აქედან საბჭოთა კანონმდებლობა ცნობდა ერთ გამონაკლისს; სახელდობრ, იგი უშვებდა სისხლის სამართლის კანონის შეფარდებას ანალოგიით ისეთი ქმედობის მიმართ, რომელიც პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით, მაგრამ არსებითი ნიშნებით უახლოვდებოდა კანონით გათვალისწინებულ ქმედობას (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი). როგორც უკვე დავინახეთ, ახალი საფუძვლები კატეგორიულად უარყოფენ ანალოგიას და მოითხოვენ, რომ ქმედობა შეესაბამებოდეს კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. იმისათვის, რათა გავიგოთ ამ პრინციპის მნიშვნელობა, უნდა გამოვარკვიოთ, თუ რა არის დანაშაულის შემადგენლობა და რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის მის გამოცხადებას პასუხისმგებლობის საფუძვლად.

დანაშაულის შემადგენლობა ეწოდება ყველა იმ ნიშნის ერთობლიობას, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ქმედობას იმისათვის, რომ იგი საზოგადოებრივად საშიშად და დასასჯელად იქნეს აღიარებული. ამ განსაზღვრებაში ხაზი უნდა გაესვას ორ ძირითად მომენტს:

1. დანაშაულის შემადგენლობას ეკუთვნის ის ნიშნები, რომელნიც ახასიათებენ ქმედობას როგორც ობიექტურად საშიშს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, თანაც იმდენად საზოგადოებრივად საშიშს, რომ ეს ქმედობა სისხლის სამართლის წესით უნდა დაისაჯოს.

2. ამ ნიშნების ერთობლიობას ადგენს თვით კანონმდებელი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ან სპეციალურ სისხლის სამართლის კანონში აღწერს დანაშაულებრივ ქმედობას და უკავშირებს მას განსაზღვრულ სასჯელს. მაშასადამე,

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები ქმედობის ის ნიშნებია, რომლებიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში არიან აღწერილი. ეს დებულება განსაკუთრებით ნათლად არის გამოთქმული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი იურისტის – გერაცის შრომაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ: „შემადგენლობა, – ლაპარაკობს იგი, – კანონის შემადგენელი ნაწილია... შემადგენლობაში აღწერილია საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მაგალითად, მკვლელობა, დივერსია, ქურდობა; ამ აღწერილობას (დისპოზიციას) კანონმდებელი უკავშირებს უფლებრივ შედეგს. შემადგენლობისა და უფლებრივი შედეგის (დისპოზიციისა და სანქციის) დაკავშირების მეშვეობით საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ცხადდება დასჯად ქმედობად“<sup>1</sup>.

დანაშაულებრივ და დასჯად ქმედობად მხოლოდ კანონით წინასწარ აკრძალული ქმედობის გამოცხადება პასუხისმგებლობის ლეგლობის პრინციპთანა დაკავშირებული. იგი სხვა სიტყვებით გამოხატავს პრინციპს *nullum crimen, nulla poena sine lege*. სასამართლოს არ შეუძლია თავისი სუბიექტური შეხედულების მიხედვით გამოაცხადოს ესა თუ ის ქმედობა დასასჯელ ან დაუსჯელ ქმედობად. ერთადერთი უზენაესი მსაჯული ამ საკითხში თვით კანონია, ე.ი. სოციალისტური სახელმწიფოს ყველა მშრომელის ნება, განსაკუთრებულ ფორმაში გამოხატული და საყოველთაო ცნობისათვის გამოცხადებული. მხოლოდ თვით კანონს შეუძლია გადაჭრას, ნამდვილად საშიშია თუ არა ესა თუ ის ქმედობა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის და მიზანშეწონილია თუ არა ამ ქმედობასთან ბრძოლა ისეთი ბასრი იარაღით, როგორსაც სისხლისსამართლებრივი სასჯელი წარმოადგენს. ლეგლობის პრინციპი ფორმალური პრინციპია, მაგრამ ამ ფორმალურ პრინციპს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების, მოქალაქის პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიას. იგი იცავს მოქალაქეს საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოების ცალკეული წარმომადგენლების დაუსაბუთებელი ჩარევისაგან მის კანონიერ ინტერესებსა და უფლებებში. ამავე დროს

<sup>1</sup> H. Gerats, Die strafrechtliche Verantwortlichkeit in der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1952, s. 35.

იგი ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საბჭოთა მართლმსაჯულების ზუსტად და ერთგვაროვნად გატარებას. ამიტომ, როდესაც ამბობენ, რომ დანაშაულის შემადგენლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, ეს დებულება ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ პირი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედობა წინასწარ არ არის აღწერილი კანონში, როგორც დანაშაული.

მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები აღწერენ მხოლოდ დამთავრებულ დანაშაულებრივ ქმედობებს და არაფერს ამბობენ მომზადების თუ მცდელობის დასჯალობაზე. ნორმები დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ მოცემულია არა განსაკუთრებული ნაწილის მუხლების დისპოზიციაში, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. დანაშაულის ძირითად, მთავარ ტიპად სწორედ დამთავრებული დანაშაული ითვლება და მისი ყველა ნიშანი, მათ შორის მკენე შედეგიც, სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაშია აღწერილი. ამასთან დაკავშირებით იბალება საკითხი: რა ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან დანაშაულის შემადგენლობა, ერთის მხრით, და მომზადება და მცდელობა, მეორე მხრივ? არის თუ არა მომზადებასა და მცდელობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, თუ მომზადება და მცდელობა ისჯებიან მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს არ შეიცავენ?

მომზადებისა და მცდელობის ცნებათა დამოკიდებულება დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირველად პროფ. ა. ტრანიინმა დააყენა. ა. ტრანიინის აზრით, „კანონში მითითებული შემადგენლობის თუნდაც ერთი ელემენტის არარსებობა გამოიწვევს მთლიანად შემადგენლობის და, მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობას. მცდელობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა, მიუხედავად საერთო პრინციპისა, არ იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობას ჩადენილი ქმედობისათვის, არამედ წარ-

მოშობს განსაკუთრებულ მდგომარეობას – პასუხისმგებლობას დაუმთავრებელი დანაშაულისათვის<sup>1</sup>. ამ დებულების შესაბამისად პროფ. ა. ტრაინინი მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისაგან ე.წ. „შემადგენლობის ნაკლულობას“ და მცდელობას: „შემადგენლობის ნაკლულობის“ დროს სახეზე არ არის რაგინდარა ელემენტი შემადგენლობისა, გარდა შედეგისა; მცდელობის დროს, პირიქით, არა გვაქვს სწორედ შედეგი და სახეზეა შემადგენლობის ყველა სხვა, კანონით გათვალისწინებული ელემენტი<sup>2</sup>.

რჩება თუ არა დაუმთავრებელი დანაშაულის დროს მაინც ძალაში პრინციპი, რომ ადამიანმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ მაშინ, თუ მისი მოქმედება დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება, ამ კითხვაზე პროფ. ა. ტრაინინი პასუხს არ იძლევა. უკანასკნელი წლების საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ეს საკითხი დაეას იწვევს.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, მომზადება და მცდელობა არ შეიცავენ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტს და ამიტომ უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს დებულება, – თითქოს მოქმედების შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობასთან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ურყევ და აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. ასე მაგალითად, ა. სახაროვი, აკრიტიკებდა რა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების 1958 წლის პროექტის მე-3 მუხლს, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად დანაშაულის შემადგენლობას აცხადებდა, წერდა: „ეს ფორმულა არ ამოწურავს კანონიერების პრინციპის მთელ შინაარსს სისხლის სამართალში, ეს პრინციპი გაცილებით უფრო მდიდარი და რთულია. მაგალითად, თანამონაწილეობის, მცდელობისა და მომზადების დროს პირის მოქმედება არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს (მომზადების დროს, როგორც ცნობილია, პირს დაწყებულიც არა აქვს იმ მოქმედებათა შესრულება, რომ-

<sup>1</sup> А.Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, ГОсюриздат, М., 1957, стр. 295.

<sup>2</sup> ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., გვ. 297.

ლებიც შემადგენლობის ობიექტურ მხარეს შეადგენენ), მიუხედავად ამისა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში სავსებით შეესაბამება კანონს<sup>1</sup>.

ეს შეხედულება მართებულად იქნა გაკრიტიკებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. ასე მაგალითად, პროფ. ნ. ღურმანოვი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტს, რომლის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება აღიძრას, ხოლო თუ იგი აღძრულია, — არ შეიძლება გაგრძელდეს და უნდა შეწყდეს პროცესის ყველა სტადიაში, უკეთუ ბრალდებულის მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა. ამგვარადვე 320-ე მუხლის მიხედვით განაჩენის გამოტანის დროს სასამართლომ უნდა დაადგინოს, შეიცავს თუ არა სამართალში მიცემულის მოქმედება დანაშაულის შემადგენლობას და თუ შეიცავს — მან უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი (იხ. აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების კანონმდებლობის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, 43-ე მუხლის მე-5 აბზაცი). აქედან თანმიმდევრობით გამომდინარეობს, რომ მომზადება და მცდელობაც შეიცავენ დანაშაულის შემადგენლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო იძულებული იქნებოდა ასეთ საქმეებზე გამამართლებელი განაჩენი გამოეტანა, ხოლო გამოძიებელსა და პროკურორს უფლება არ ექნებოდათ საქმე აღებრათ<sup>2</sup>.

არასიზუსტე, რომელსაც ზოგიერთი იურისტი ამ საკითხში უშვებს, გაუგებრობაზეა აგებული. როგორც პროფ. ა. ტრაინინი მიუთითებდა, დანაშაულის შემადგენლობის ზოგიერთი ნიშანი შეიძლება არ იქნეს პირდაპირ მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის დისპოზიციაში და ასეთ შემთხ-

---

<sup>1</sup> А. Сахаров, Замечания к проекту основных начал уголовного законодательства Союза ССР и союзных республик. „Советская юстиция“, 1958, N 9, стр. 33; იხ. აგრეთვე, Э.А. Вышинская и А.В. Кузнецов, Некоторые замечания к проекту основных начал уголовного законодательства Союза ССР и союзных республик, „Советское государство и право“, 1958, N 8, стр. 74-75.

<sup>2</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

ვევაში დისპოზიციაში მიუთითებელი ნიშნები შევსებულ უნდა იქნეს ახსნა-განმარტების მეშვეობით<sup>1</sup>. მაგრამ შეიძლება უფრო შორსაც წავიდეთ. შემადგენლობის ზოგიერთი ელემენტი შეიძლება მოცემული არ იქნეს განსაკუთრებული ნაწილის მუხლების დისპოზიციაში, მაგრამ აუცილებლობით იგულისხმებოდეს აქ, ვინაიდან ეს ელემენტი განზოგადოებული სახით მოცემულია ყველა დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში. ამგვარად დანაშაულის შემადგენლობა, გათვალისწინებული კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში, შეივსება ზოგად ნაწილში გათვალისწინებული ნორმებით როგორც მართებულად მიუთითებს ა. სანტალოვი, „მრავალ შემთხვევაში იურიდიული ტექნიკის მოსაზრებით დანაშაულის ცალკეული ნიშნების მითითება ხდება სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის არა განსაკუთრებულ, არამედ ზოგად ნაწილში. ეს შეეხება სუბიექტს, სუბიექტურ მხარეს, განსაზღვრული მნიშვნელობით – ობიექტსაც. არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ მხრივ არც ობიექტური მხარე“<sup>2</sup>.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აწერილია დანაშაულის შემადგენლობის მთავარი, ძირითადი ფორმა – დამთავრებული დანაშაული. კანონმდებელს, რა თქმა უნდა, შეეძლო დანაშაულის თითოეულ დამთავრებულ შემადგენლობასთან ერთად იქვე გაეთვალისწინებინა მცდელობისა და მომზადების შემადგენლობა. მაგრამ ეს მნიშვნელოვნად დაამძიმებდა და გაზრდიდა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილს. ამიტომ საკანონმდებლო-ტექნიკური მოსაზრებით მან ამჯობინა ზოგად ნაწილში მიეთითებინა, რომ დამთავრებულ დანაშაულთან ერთად ისჯება აგრეთვე ისეთი ქმელობაც, რომელიც ამ დანაშაულის შესრულებისაკენაა მიმართული. თავისთავად ცხადია, რომ ძირითადი, მთავარი ტიპის დანაშაულებრივ შემადგენლობად

<sup>1</sup> А. Н. Трайнин. Общее учение о составе преступления, Госюриздат, М., 1957, стр. 260-261.

<sup>2</sup> А. Н. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, Известия высших учебных заведений. Правоведение, 1960, № 1, стр. 102. იხ. აგრეთვე: М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, იქვე, გვ. 88; А. А. Пионтковский, Основания уголовной ответственности, „Советское государство и право“, 1959, II, стр. 58.

ღამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა რჩება, ხოლო მცდელობისა და მომზადების შემადგენლობანი მისგან ნაწარმოები შემადგენლობანი არიან<sup>1</sup>.



როგორც უკვე აღნიშნული იყო, პასუხისმგებლობის მეორე ძირითად პირობას, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მიხედვით, მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს. საზოგადოებრივი საშიშროების მომენტს საბჭოთა სისხლის სამართალი ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ მითითება მასზე გეხვედება საბჭოთა კანონმდებლობის თითქმის პირველსავე აქტებში. ჯერ კიდევ რსფსრ 1919 წლის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში დანაშაული განმარტებული იყო როგორც „მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც საშიშია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოცემული სისტემისათვის...“ (მუხ. მე-6). დანაშაულის ცნების ეს განსაზღვრება კიდევ უფრო კონკრეტიზირებული იყო რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მე-6 მუხლის თანახმად დანაშაულად ითვლებოდა „ყოველი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ემუქრება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის დამყარებულ მართლწესრიგს „(საქართველოს 1923 წლის სისხლ. სამ. კოდექსის მე-6

---

<sup>1</sup> 5. კუზნეცოვას არასწორად მიაჩნია ისეთი გამოთქმები, როგორცაა „დანაშაულის მომზადების შემადგენლობა“ ან „მცდელობის შემადგენლობა“. მისი აზრით, არსებობს მხოლოდ „ღამთავრებული დანაშაულის შემადგენლობა“ (იხ. ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 118-120). მაგრამ ამ დებულებასთან შეუთავსებელია მისი მეორე დებულება, რომლის თანახმად „მომზადებისა და მცდელობისათვის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს პირის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის არსებობა“ (ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ. გვ. 118). 6. კუზნეცოვას შეხედულების დამაჯერებელი კრიტიკა მოცემულია ა. სანტალოვის ზემოთ დასახელებულ წერილში (იხ. „Правоведение“, 1960, I, გვ. 100-101).



მუხლი). ეს განმარტება მცირედენი რედაქციული ცვლილებებით გადატანილი იყო რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლი), რომელშიც ნათქვამი იყო: „საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად (დანაშაულად) ჩაითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რაც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილებისათვის ან არღვევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“.

საზოგადოებრივი საშიშროების მომენტი კიდევ უფრო კონკრეტიზირებულია დანაშაულის ცნების იმ განსაზღვრებაში, რომელიც მოცემულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლში. ამ მუხლში აღნიშნულია: „დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წესწყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ ან სხვა უფლებებს, და აგრეთვე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც ხელყოფს სოციალისტურ მართლწესრიგს“.

ამ განსაზღვრებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამაჟამად ორი მომენტი; პირველი — დანაშაულად ითვლება არა ყოველი ანტი-საზოგადოებრივი ანუ სოციალისტური მართლწესრიგისათვის უცხო ფსიქიკური განწყობილება, არამედ მხოლოდ განსაზღვრული მოქმედება ან უმოქმედობა, და მეორე — დანაშაულად ითვლება მხოლოდ ობიექტურად საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, ე.ი. ისეთი საქციელი, რომელიც ზიანს აყენებს ან საფრთხეში აგდებს საბჭოთა სისხლის სამართლით დაცულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

საზოგადოებრივი საშიშროების მომენტი დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში შეაქვთ აგრეთვე სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებს. ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად „დანაშაულად ითვლება ყოველი საზოგა-

დოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ჩადენილია ბრალეულად და კანონით დასასჯელად არის გამოცხადებული“ (მუხ. მე-2). ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულებრივ ქმედობად თვლის „ისეთ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას, რომლის შედეგებიც გათვალისწინებულია კანონით და გამოწვეულია დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალით“. დანაშაულის ცნების მსგავსი განსაზღვრებანი მოცემულია დანარჩენი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში.

როგორც დაინახეთ, სოციალისტური სისხლის სამართალი მტკიცედ იცავს პრინციპს, რომ სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ პირს, ვინც ცდილობს თავისი მოქმედებით ხელი შეუშალოს კომუნისტურ მშენებლობას, ვინც საფრთხეს ჰქმნის სოციალიზმის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიურ მონაპოვართათვის, მოქალაქის არსებითი ინტერესებისათვის.

ამგვარად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მეორე ძირითად საფუძველად საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა თვლის მოქმედების ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას. მაგრამ რჩება თუ არა მოქმედების ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება პასუხისმგებლობის საფუძველად დაუმთავრებელი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს უკანასკნელი პასუხისმგებლობის რაღაც სხვა საფუძველზეა აგებული?

როგორც უკვე აღნიშნული იყო, დაუმთავრებელი დანაშაულის ცნების წარმოშობა ისტორიულად დაკავშირებულია ბრალის პრინციპის განვითარებასა და განმტკიცებასთან. უფრო მეტიც, ბრალის პრინციპი თავის განსაკუთრებით თანმიმდევარ და მკვეთრ გამოხატულებას სწორედ მცდელობაში პოულობს. მაშინ, როდესაც დამთავრებული დანაშაულის დროს მოქმედების სუბიექტური და ობიექტური მხარე ერთმანეთს ემთხვევა, მცდელობის ან მოსამზადებელი მოქმედების დროს ობიექტური მხარე ნაკლებად არის განვითარებული სუბიექტურთან შედარებით. აქ ისჯება მოქმედება, მიმართული დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის შედეგი, რომელიც წინასწარ ჰქონდა წარმოდგენილი დამნაშავეს და რომლისკენაც იგი მიისწრაფოდა, არ განხორციელებულა. ამგვარად, დაუმთავრებელი დანაშაულის დროს ჩვენ ყოველთვის გვაქვს დანაშაულის შემადგენ-

ლობის არასისრულე, თანაც ეს არასისრულე ყოველთვის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს – დანაშაულის შედეგს და თვით მოქმედებას შეეხება, ხოლო დანაშაულის სუბიექტური მხარე – ბრალი განზრახვის სახით აქ ყოველთვის არის მოცემული.

იმის გამო, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის დროს ჩვენ გვაქვს, ერთის მხრივ, ბრალის სისრულე, ხოლო, მეორე მხრივ, ობიექტური მხარის ნაკლებობა – შედეგის არარსებობა, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძვლის დასაბუთება ერთგვარ სიძნელეს იწვევს.

ამით სარგებლობს ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველი ძვეს მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის შინაგან სულიერ განწყობილებაში, მის ბოროტ ანუ დანაშაულებრივ ნებაში, და სავსებით უარყოფს ობიექტური მომენტის მნიშვნელობას დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. „დასჯის მომენტი მცდელობაში, – ამბობს ბურჟუაზიული იურისტი გერმანი, – არის დანაშაულებრივი ნება... ისჯება ნება და არა შესრულება“<sup>1</sup>. ეს იდეა საფუძვლად უდევს მრავალრიცხოვან სუბიექტურ თეორიებს, რომელნიც დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძველს დანაშაულის ბოროტი ნების ინტენსივობაში, დანაშაულებრივი სულიერი განწყობილების სიმტკიცეში<sup>2</sup>, პიროვნების სოციალურ საშიშროებაში<sup>3</sup> და სხვ. მისთ. ეძებენ“<sup>4</sup>. ამის შესაბამისად, სუბიექტური შეხედულების წარმომადგენლები დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხის გამოკვლევის დროს მთელ თავის ყურა-

---

<sup>1</sup> O.A. Germann, Über den Grund der Strafbarkeit des versuchs, Aarau, 1914, s. s. 183, 186.

<sup>2</sup> E. R. Bierling, Juristische Prinzipienlehre, Tübingen, III, 1905, s.s. 131-132.

<sup>3</sup> A. Prins, Science penale et droit positif, Bruxelles-Paris, 1899, p. 147.

<sup>4</sup> სუბიექტურ თეალსაზრისს დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხში თანმიმდევრობით იცავდა რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი პროფ. კოლოკოლოვი, რომელიც თავის შეხედულებას სპეციალური პრევენციის ამოცანებით ასაბუთებდა. „დაუმთავრებელი დანაშაული, მისი აზრით, უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმისათვის, რათა თავიდან აცილებულ იქნას ის საშიშროება, რომელსაც წარმოადგენს მისი ჩამდენი მომავლისათვის“ (Г. Колоколов, К учению о покушении, М., 1884, стр. 189; იხ. აგრეთვე, გვ. 190 და 227). ამ შეხედულებამ პროფ. კოლოკოლოვი პიროვნების საშიში მდგომარეობის აღქმელ და დანაშაულის სიმპტომატურ გავებამდე მიიყვანა.

დლებას განზრახვის ხასიათს, დანაშაულებრივი ენერჯის ინტენსივობას, ანტისაზოგადოებრივ განწყობილებას აყრობენ. დანაშაულის გარეგანი მხარე მათ მხოლოდ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც იგი დამნაშავის ფსიქიკის თვისების გამოვლინებას წარმოადგენს.

დანაშაულებრივი ნების თვისებებით სურთ სუბიექტივისტებს დაასაბუთონ როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა, ისე მცდელობისა და მომზადების გამიჯვნა, ამ მომენტში ეძებენ ისინი გასაღებს ნებაყოფლობითი მიტოვებული მცდელობისა და უვარგისი მცდელობის საკითხის გადასაჭრელად და სხვ. მისთ. როგორც შეზღვევით დაკინაზავთ, მცდელობის სუბიექტურმა თეორიებმა მოამზადეს ნიადაგი იმპერიალისტური პერიოდის სისხლის სამართლის ერთ-ერთი მეტად რეაქციული მიმართულებისათვის, რომელიც „სოციოლოგიური სკოლის“ სახელწოდებით არის ცნობილი და რომელსაც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე დამნაშავის სოციალური საშიშროების ცნებაზე გადააქვს.

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობა უარყოფენ პასუხისმგებლობის მხოლოდ სუბიექტურად დასაბუთებას. სოციალისტური სისხლის სამართლისათვის დაუმთავრებელი დანაშაულებრივი ქმედობა დანაშაულის ჩადენის ფორმაა და ამიტომ იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს გამონაკლისს პასუხისმგებლობის საერთო საწყისებიდან. თუ მოქმედების ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, ცხადია, იგი უნდა დარჩეს ასეთ წინაპირობად დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დროსაც.

ის გარემოება, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომელიც მხედველობაში ჰქონდა დამნაშავეს, არ განხორციელებულა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ქმედობის გარეგან მხარეს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო სამართლით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნამდვილად დაზიანებაში, არამედ აგრეთვე ასეთი დაზიანების მეტი თუ ნაკლები შესაძლებლობის შექმნაში. ეს მომენტი კარგადაა, სხვათა შორის, ხაზგასმული ბულგარეთისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. ბულგარეთის სახალხო

რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „საზოგადოებრივად საშიშად ითვლება ქმედობა, რომელიც ემუქრება ან ზიანს აყენებს სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ წესწყობილებას ან მასში დამყარებულ წესრიგს“ (მუხ. მე-3), ხოლო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით „საზოგადოებრივად საშიშად ითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც საფრთხეში აგდებს ან ზიანს აყენებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ან სამეურნეო წყობილებას, აგრეთვე მოქალაქეთა პიროვნებას და უფლებებს (§1, პუნ. მე-2).



მაგრამ მოქმედების ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება თავისთავად საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პიროვნება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. ბრალის გარეშე არ არსებობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა – აი, პრინციპი, რომელიც საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ბრალის ცნება, მართალია, არ არის შეტანილი დანაშაულის ცნების საკანონმდებლო განმარტებაში<sup>1</sup>, მაგრამ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი გამოხატულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებში, სადაც ნათქვამი იყო, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენ პირებს სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ისინი მოქმედებდნენ განზრახ ან გაუფრთხილებლობით. კიდევ უფრო მკვეთრად ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი გამოხატულია ახალ „საფუძვლებში“. „საფუძვლების“ მესამე მუხლში ნათქვამია: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება

---

<sup>1</sup> ალბანეთის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსებს ბრალის მომენტი თვით დანაშაულის ცნების განმარტებაში შეაქვთ, რითაც ხაზს უსვამენ ამ მომენტის მნიშვნელობას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.

და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“.

ბრალის მოთხოვნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საფუძვლად უდევს სოციალისტური მართლმსაჯულების ჰუმანურობისა და სამართლიანობის პრინციპები.

სოციალისტური სამართლის ნორმები, მათ შორის სოციალისტური სისხლის სამართლის ნორმები, საბჭოთა მოქალაქეებს განსაზღვრულ მოვალეობებს აკისრებენ. ამ მოვალეობათა შეუსრულებლობა განიხილება საბჭოთა მართლწესრიგის მიერ როგორც გასაკიცხი საქციელი. ასეთი გაკიცხვა სოციალისტური სამართლის მიხედვით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მოქმედების მომენტში პიროვნებას შეეძლო ნორმის მნიშვნელობის შეგნება, გათვალისწინებია თავისი მოქმედების ფაქტური შედეგი და შეეგუებია ეს მოქმედება სოციალისტური სამართლის ნორმის მოთხოვნისათვის. პირიქით, ასეთი გაკიცხვა შეუძლებელია იმ პირის მიმართ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდა ასეთი უნარი (შეურაცხველი პირი), ან მოქმედების დროს არ შეეძლო გათვალისწინებინა თავისი მოქმედების მანვე შედეგი (შემთხვევა).

გაკიცხვა სოციალისტური მართლწესრიგის თვალსაზრისით არის იმავე დროს ზნეობრივი გაკიცხვაც, ხოლო სამართლებრივი მოვალეობის დარღვევა არის იმავე დროს ზნეობრივი მოვალეობის დარღვევა. სწორედ ამიტომ სოციალისტური საზოგადოების წევრები აღიქვამენ სასჯელს როგორც სამართლიან დასჯას იმ ბოროტებისათვის, რაც დამნაშავემ სოციალისტურ მართლწესრიგს მიაყენა.

ამგვარად, სისხლისსამართლის პასუხისმგებლობა სოციალისტურ საზოგადოებაში, ზნეობრივ საწყისებზეა აგებული და სოციალისტური დემოკრატიზმისა და სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპებს გამოხატავს.

რადგანაც დანაშაულის მომზადება და მცდელობა დანაშაულის გამოვლინების ფორმებს წარმოადგენენ, ცხადია ისინი შეიძლება დაისაჯონ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათში გამოვლინებულია სუბიექტის ზნეობრივად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ მოქმედებასა და ამ მოქმედებით გამოწვეულ შედეგთან.



აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა დადგინდეს იქნეს, რამდენად მიზანშეწონილია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა, რატომ არ სჯერდება კანონმდებელი მხოლოდ დამთავრებული დანაშაულის გამოცხადებას დასჯად ქმდობად და რატომ ითვალისწინებს იგი სპეციალურ მუხლში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასაც?

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-20 მუხლის თანახმად, „სასჯელი არა მარტო დასჯაა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს გამოასწოროს და აღზარდოს მსჯავრდადებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აიცილნოს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ“.

როგორც ამ განსაზღვრებიდან ჩანს, სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართალში ახორციელებს როგორც ზოგადი პრევენციის ამოცანებს (სხვა პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის აციენა), ისე კერძო პრევენციის ამოცანებს (დამნაშავის აღზრდა-გამოსწორება, მსჯავრდებულთა მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის აციენა).

ამ მიზნების განსახორციელებლად კანონმდებელი საკმარისად არ თვლის მხოლოდ დამთავრებული დანაშაულის ჩადენის დასჯადობას, არამედ მასთან ერთად ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასაც. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის გამოცხადებით კანონმდებელი ცდილობს შეუქმნას მოქალაქეებს დამატებითი მოტივაცია დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ<sup>1</sup>. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ამიტომ საეცებით

---

<sup>1</sup> ეს აზრი ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს დამთავრებული დანაშაულის დასჯადობის გამოცხადებისას კანონმდებელი მიზნად ისახავს დამთავრებული დანაშაულის ჩადენის აციენას, ხოლო დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის გამოცხადებისას

გამართლებულია ზოგადი პრევენციის ამოცანების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ზოგადი პრევენციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელის მუქარა და ამ მუქარის რეალურად განხორციელება იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის კანონი მაინც დაირღვა, ჰქმნის საზოგადოების მერყევი წევრებისათვის დანაშაულის საწინააღმდეგო მოტივს, რომელმაც უნდა ჩაახშოს დანაშაულის ჩადენის სურვილი. „სასჯელის მუქარა არა მარტო აკავებს ასეთ პირებს დანაშაულის ჩადენისაგან, არამედ ხელს უწყობს მათ აღზრდასაც“<sup>2</sup>. განსაკუთრებით ქმედით ხასიათს იძენს სასჯელის მუქარა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მიმართულია არა მარტო დამთავრებული, არამედ აგრეთვე დაუმთავრებელი დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ. დამნაშავის წარმოდგენა, რომ იგი პასუხს აგებს არა მარტო მაშინ, როცა დანაშაულებრივი შედეგი ნამდვილად განხორციელდა, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ მისი დანაშაულებრივი საქმიანობა უშედეგოდ დამთავრდა, — დამ-

---

მისი მიზანია დანაშაულის მოშადებისა და მცდელობის თავიდან აცილება. ასეთი აზრი არამართულად მიაწერა პროფ. ნ. ღურმანოვმა ნ. ლიასს და ი. ტიშკევიჩს, რომლებიც მოუთითებდნენ, რომ მოშადებისა და მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დადგენა შესაძლებლობას იძლევა ადკევიით დანაშაულებრივი ქმედობა ჩანასახშივე, მის აღრინდელ სტადიებზე და ამით ავიცილინოთ მძიმე შედეგები საბჭოთა სისხლის სამართლით დაკეული ობიექტისათვის. ნ. ღურმანოვი უსაყვედურებს აღნიშნულ პირებს, თითქოს „მათ ავიწყდებათ, რომ არც ერთი დამნაშავე არ აპირებს შეჩერდეს მხოლოდ მოშადებაზე, ან მცდელობაზე, არამედ ყოველთვის მხედველობაში აქვს დამთავრებული დანაშაულის ჩადენა... სასჯელს, რომელიც შეეუარდება დამნაშავეს მოშადებისა და მცდელობის ჩადენისათვის, არ შეუძლია არც ადკევიოს უკვე მომხდარი მოშადება და მცდელობა, არც აიცილინოს სხვა პირების ან ამავე დამნაშავის მიერ სწორედ მოშადებისა და მცდელობის ჩადენა“ (ღურმანოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 8). მაგრამ ი. ტიშკევიჩმა სწორად მოუთითა, რომ ასეთი აზრი საბჭოთა ლიტერატურაში არავის არ გამოუთქვამს. „განა ნათელი არ არის — წერს ი. ტიშკევიჩი, — რომ დანაშაულის აღკვეთა მის აღრინდელ სტადიებზე, ე.ი. მოშადებისა და მცდელობის სტადიაზე, არ ნიშნავს ბრძოლას „სწორედ მოშადებასა და მცდელობასთან“, არამედ დამთავრებული დანაშაულის ჩადენის აღკვეთას იმით, რომ დამნაშავეს საშუალება არა აქვს განაგრძოს დაწყებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენა, რითაც არიდებულ იქნება სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის ზიანის მიყენება“ (ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ. გვ. 20).

Научно-практический комментарий к основам уголовного законодательства Союза ССР и союзных республик под редакцией проф. В.Д. Меньшагина и проф. П.С. Ромашкина, Госюриздат, М., 1960, стр. 72.



ატებით მოტივებს უქმნის პირს დანაშაულის წინააღმდეგ. ზოგჯერ ეს დამატებითი მოტივები აკავებენ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენისაგან, მაშინ როდესაც მარტო დამთავრებული დანაშაულის დასჯა მას არ შეაჩერებდა. რაში მდგომარეობს ამ დამატებითი მოტივების ძალა? დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას პირი იღებს იმ მოტივთა აწონ-დაწონვისა და შეფასების შედეგად, რომლებიც უბიძგებენ მას დანაშაულისაკენ ან, პირიქით, აკავებენ დანაშაულის ჩადენისაგან. სასჯელის მუქარას წინააღმდეგობას უწევს სიამოვნების გრძნობა, რომლის განცდასაც მოელის დამნაშავე დანაშაულის ჩადენისაგან (შურისძიების გრძნობის დაკმაყოფილება, ანგარების მიზნის მიღწევით მიღებული სიამოვნება და სხვ. მისთ.). მაგრამ თუ დამთავრებული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის მუქარას ასეთი მერყევი სუბიექტის ცნობიერებაში უპირისპირდება მიზნის მიღწევით მოსალოდნელი კმაყოფილების გრძნობა, — დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯის პერსპექტივა მის ცნობიერებაში არაფრით არ არის კომპენსირებული. პირი, რომელიც დანაშაულის გზაზე აპირებს შედგომას, ფიქრობს, რომ მან შეიძლება თავისი მიზნების განხორციელებას სრულიად ვერ მიაღწიოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დაისაჯოს. როგორც მართებულად აღნიშნავდა პროფ. ს. მოკრინსკი, „რაც უფრო ნათლად ესმის ინდივიდს, რომ ყველა გზაზე, ყველა შესაძლებელი ფაქტიური კომბინაციის დროს სახელმწიფო უპირისპირებს მას სისხლის სამართლის კანონის მუქარას, მით უფრო მეტად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მუქარა მოახდენს მასზე ზემოქმედებას“<sup>1</sup>.

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა სავესებით გამართლებულია არა მარტო ზოგადი, არამედ აგრეთვე სპეციალური პრევენციის თვალსაზრისითაც. პირი, რომელიც დაუმთავრებელ დანაშაულს ჩადის, ამჟღავნებს ამით თავის საზოგადოებრივ საშიშროებას. ამიტომ სასჯელის ღონისძიების შეფარდება მისი აღზრდა-გამოსწორების მიზნით აუცილებელია.

დაბოლოს, დაუმთავრებელი დანაშაულის დაუსჯელობა ხელს შეუ-

---

<sup>1</sup> С. П. Мокринский, Наказание, его цели и предположения, ч. II, Томск, 1902, стр. 238.

წყობდა უშედეგოდ დამთავრებული ცდის განმეორებას და ამით სა-  
შიშროებას შექმნიდა სოციალისტური საზოგადოებისათვის. როგორც  
სამართლიანად მოუთითებდა პროფ. მოკრინსკი, „სისხლისსამართლებრივი  
ღონისძიებათა მიუღებლობა წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის  
წინააღმდეგ იქნებოდა დანაშაულობის სახელმწიფოებრივი დაზღვევა  
დანაშაულებრივ ავანტურათა წარუმატებლობისაგან“<sup>1</sup>, რაც საბჭოთა  
სამართლისათვის ყოველად შეუწყნარებელია.

---

<sup>1</sup> С. П. Мокринский, Покушение п приготовление в советском праве,  
„Советское право“, 1927, N 1 (25), стр. 75.

დანაშაულის მომზადება

დანაშაულებრივი საქმიანობის პირველ სტადიას მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, საჭკოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, დაწყებული 1924 წლის „ძირითადი საწყისებიდან“, ითვალისწინებს მოსამზადებელი მოქმედების პრინციპულ დასჯადობას.

თავისთავად ცხადია, რომ თუ დამნაშავემ, რომელიც ემზადებოდა დანაშაულის ჩასადენად, უფრო მეტი გააკეთა, ე.ი. თუ იგი გასცდა მომზადების სტადიას და მცდელობის ან დანაშაულის დამთავრების სტადიაში გადავიდა, იგი დაისჯება მცდელობისათვის ან დამთავრებულ დანაშაულისათვის. უფრო მაღალი სტადია შთანთქმავს დანაშაულებრივი საქმიანობის ადრინდელ საფეხურებს. ამგვარად, დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როდესაც პირის მოქმედება მის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეწყვეტილ იქნა სწორედ მომზადების სტადიაზე.

დანაშაულის მომზადება გამიჯნულ უნდა იქნეს, ერთის მხრივ, განზრახვის გამოძევათაგან, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის მცდელობისაგან.

დანაშაულის მომზადების გამიჯნვას განზრახვის გამოძევათაგან დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის განზრახვის გამოძევათაგან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განზრახვის გამოძევათაგან გულისხმობს დანაშაულებრივი განზრახვის გამოვლინებას რაიმე გარეგნული ფორმით. პირს შეუძლია გამოავლინოს დანაშაულის ჩადენის განზრახვა სიტყვიერად (მაგალითად, ვინმესთვის დანაშაულის ჩადენის განზრახვის განდობა), წერილობით (მაგ., დღიურში ჩაწერა) ან რაიმე კონკლუდენტური მოქმედებით, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ დანაშაულებრივი განზრახვის არსებობის შესახებ. მაგრამ ასეთი მოქმედება არ უნდა წარმოადგენდეს ხელის შეწყობას დანაშაულებრივი

განზრახვის რეალურად განხორციელებისათვის. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება განზრახვის გამომქლავება მომზადებისაგან. ეს უკანასკნელი ისეთ მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც შესაძლებლად ხდის ან აადვილებს თვით დანაშაულის განხორციელებას.

იმის დასადგენად, თუ რა ხასიათის მოქმედება წარმოადგენს დანაშაულის მომზადებას, უნდა მივმართოთ, უპირველესად ყოვლისა, დანაშაულის მომზადების საკანონმდებლო განსაზღვრებებს. საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლებით დანაშაულის მომზადებად ითვლებოდა „დანაშაულის ჩასადენად იარაღის ან სხვა საშუალების გამონახვა და მომარჯვება ან პირობების შექმნა და სხვ.“ ანალოგიურად განსაზღვრავს დანაშაულის მომზადებას აგრეთვე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი: „მომზადებას წარმოადგენს მძიმე დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა, საშუალებათა ან იარაღთა გამონახვა და მომარჯვება“ (მუხ. მე-10).

ამ განსაზღვრებას ორი ნაკლოვანება ახასიათებს. პირველი ნაკლოვანება უფრო რელატიური ხასიათისაა. იგი იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულის ჩასადენად იარაღის ან საშუალების გამონახვა და მომარჯვება უპირისპირდება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას, როგორც ამ უკანასკნელისაგან განსხვავებული მოქმედება, მაშინ როდესაც იარაღის ან საშუალების გამონახვა და მომარჯვება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. როგორც მართებულად მიუთითებდა პროფ. ნ. ღურმანოვი, ეს მოქმედებანი საბჭოთა კანონმდებლობამ განსაკუთრებით იმიტომ გამოჰყო, რომ „მოსამზადებელი მოქმედება ყველაზე უფრო ხშირად დანაშაულის ჩასადენად იარაღთა და საშუალებათა გამონახვაში და მომარჯვებაში გამოიხატება“<sup>1</sup>. მოსამზადებელი მოქმედების ზემოთ მოყვანილი განსაზღვრების მეორე ნაკლოვანება იმაში გამოიხატება, რომ მასში აღნიშნული არ არის დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე.

ორივე ეს ნაკლოვანება გამოსწორებულია სსრ კავშირის და

<sup>1</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

მოკემორე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წ. საფუძვლებში. საფუძვლების მე-15 მუხლში ნათქვამია: „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩასადენად საშუალებების ან იარაღების გამონახვა ან მომარჯვება ან პირობების სხვაგვარად განზრახ შექმნა“.

ის გარემოება, რომ საშუალებათა მომზადება წარმოადგენს პირობების შექმნის ერთ-ერთ სახეს, ხაზგასმულია აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით დანაშაულის მომზადებას მიეკუთვნება „განზრახი დანაშაულის ჩასადენად საშუალებების მომზადება, თანამონაწილეთა გამონახვა და საერთოდ პირობების შექმნა მისი აღსრულების დაწყებამდე“. დაბოლოს იგივე მომენტი ხაზგასმულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (§19).

ამგვარად, მოსამზადებელ მოქმედებას უნდა მიეკუთვნოს ისეთი მოქმედება, რომელიც კქმნის პირობებს მომავალში დანაშაულის ჩასადენად, ე.ი. შესაძლებლად ხდის ან აადვილებს დანაშაულის ჩადენას. დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს მოქმედება აუცილებელია დანაშაულის ჩასადენად. ასეთ არასიზუსტეს უშვებს პროფ. ტრაინინი, რომლის აზრით მოსამზადებელი მოქმედება თუმცა დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს არ წარმოადგენს, მაგრამ „აუცილებელი აქტია, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენას“<sup>1</sup>. ზოგჯერ მართლაც დანაშაულის მომზადება ისეთ აქტში გამოიხატება, რომლის გარეშეც დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. ასეთია, მაგალითად, ხელსაწყოთა დამზადება ხელობის სასით ყალბი ფულის გასაკეთებლად. „ამ მოსამზადებელ მოქმედებათა გარეშე შეუძლებელია დანაშაულის ჩადენა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყალბი ფულის ცალკეული ეგზემპლარების ხელით დამზადებას“<sup>2</sup>. მაგრამ სხვა შემთხვევებში მოსამზადებელი მოქმედება შეიძლება ისეთ აქტში გამოიხატებოდეს, რომელსაც მიზნად აქვს ხელი

<sup>1</sup> А.Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, Госюриздат, М., 1957, стр. 301.

<sup>2</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

შეუწყოს ან გააადვილოს დანაშაულის ჩადენა. ეს მომენტი კარგად არის გამოხატული უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის თანახმად მომზადებად ითვლება მოქმედება, რომელიც „ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას ან აუცილებელია მისთვის...“ (§ 19).

მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას, თუნდაც მასში აშკარად გამოვლინდეს დანაშაულის ჩადენის განზრახვა, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად და განხილულ უნდა იქნეს როგორც განზრახვის გამოძეგლენება, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს.

მოსამზადებელ მოქმედებად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მოქმედება, რომელიც თუმცა მიმართულია იმისაკენ, რომ შექმნას პირობები დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ თავისთავად არ ქმნის ამ პირობებს. მაშასადამე, თუ პირი მკვლელობის მიზნით მიემართება თოფის საყიდლად, მაგრამ თოფის ყიდვის ცდა უშედეგოდ თავდება, ასეთი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად. მართებულად აღნიშნავენ პროფ. სტროგოვიჩი ასეთ შემთხვევებზე: „ცხადია, თუნდაც არ დადასტურდეს, რომ სუბიექტმა ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, ასეთ მოქმედებაში მაინც არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა, ვინაიდან ასეთი მოქმედებიდან ნამდვილ მკვლელობამდე მეტად დიდი მანძილია, მეტად გრძელია იმ მოქმედებათა ჯაჭვი, რომლებიც არ შესრულებულა და შეიძლება სრულიად არ შესრულებულიყო“<sup>1</sup>.

დაუსჯელად თვლის ასეთ ქმედობებს აგრეთვე ნ. კუზნეცოვა, მაგრამ, ჩვენის აზრით, მისი დასაბუთება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. იგი აღნიშნავს: „ეს მოქმედებანი ჯერ კიდევ არ ქმნიან საკმარის რეალურ შესაძლებლობას მკვლელობის ან გატაცების ჩადენისათვის და ამიტომ ასეთი „მომზადებისათვის“ პირმა არ შეიძლება პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნის საფუძველზე“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> М.С. Строгович, Приготовление к преступлению по УК ред. 1926 г. „Рабочий суд“, 1927, N 10, стр. 849.

<sup>2</sup> კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

ამგვარი ხასიათის მოქმედებანი რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ უნდა იწვევდეს – ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ უმართებულოა, თითქოს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება აღნიშნულ შემთხვევებში უნდა მოხდეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნის (სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის) საფუძველზე.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნა (საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილი) ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებაში ფორმალურად მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, მაგრამ მოქმედების მცირეწიშენელოვანობისა და მავნე შედეგის არდადგომის გამო იგი საზოგადოებრივად საშიშად არ შეიძლება ჩაითვალოს. იმ მაგალითებში კი, რომლებზედაც აქ არის ლაპარაკი, არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ფორმალურად უდგებიან დანაშაულის მომზადების შემადგენლობას. ისინი არ წარმოადგენენ არც საშუალების შექმნას ან მომარჯვებას, არც რაიმე სხვა სახით პირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად, არამედ მხოლოდ მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია ამ მიზნის განხორციელებაზე. ასეთი ხასიათის მოქმედებანი შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადების მომზადებად. ამიტომ ისინი უფრო განზრახვის გამომჟღავნებას წარმოადგენენ, ვიდრე დანაშაულის მომზადებას.

დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა შესაძლებელია სხვადასხვა მოქმედებებში გამოიხატებოდეს. ასეთ მოქმედებას წარმოადგენს, უპირველესად ყოვლისა, დანაშაულის ჩასადენად იარაღებისა და საშუალებების გამონახვა და მომარჯვება. იარაღად ან საშუალებად უნდა ჩაითვალოს ყოველი საგანი, რომელიც შეიძლება უშუალოდ გამოყენებულ იქნეს დამნაშაის მიერ დანაშაულის ჩასადენად (დანა, თოფი, საწამლავი მკვლელობის ჩასადენად, გასაღები ქურდობის ჩასადენად და სხვ. მისთ.). ამასთან ერთად დანაშაულის საშუალებად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი საგანი, რომელიც შეიძლება მომარჯვებულ იქნეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად

(კიბე ქურდობის ჩასადენად, დასაძინებელი წამალი მსხვერპლის დასაძინებლად და ა.შ.).

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად ისეთი საშუალების გამოჩახვა, რომელიც სავსებით უვარგისი იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, – ეს სპეციალური საკითხია, რომელიც განხილულ იქნება უვარგისი მცდელობის ცნების განხილვასთან დაკავშირებით.

გამონახვად ითვლება იარაღის ან საშუალების საკუთარი ხელით დამზადება, ყიდვა, გაცვლა ან რაიმე სხვა საშუალებებით შექმნა.

იარაღის ან საშუალების მომარჯვებლად ითვლება მათი მოყვანა ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი გახდეს განზრახული დანაშაულის შესრულება, მაგალითად, კიბის მიტანა ქურდობის ადგილას, თოფში ტყვიის ჩადება, საჭმელში საწამლაკის ჩადება და ა.შ.

მოსამზადებელ მოქმედებას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი ცნობების შეგროვება, დანაშაულის ობიექტის ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი იქნეს მის მიმართ დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, მსხვერპლის გატყუება დანაშაულის ადგილისაკენ); საკუთარი თავის მოყვანა ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი იყოს დანაშაულებრივი მოქმედების შესრულება, (მაგალითად, დანაშაულის ადგილისაკენ წასვლა, ჩასაფრება და სხვ. მისთ.), დაბრკოლების წინასწარ აცილება (მაგალითად, ღარაჯის გატყუება ან დათრობა და ა.შ.).

მოსამზადებელ მოქმედებად ითვლება აგრეთვე თანამონაწილეებთან შეთანხმება. ეს მომენტები პირდაპირ აღნიშნულია ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსში (“თანამონაწილეთა გამონახვა”). კიდევ უფრო დეტალურად ამ მომენტზე მიუთითებს უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის თანახმად მოსამზადებელ მოქმედებას ასრულებს აგრეთვე ის პირი, ვინც „მოუწოდებს სხვას დანაშაულებრივი განზრახვის ჩასადენად, შეპირდება ამ მიზნით დახმარებას, კისრულობს სხვისი ზეგავლენით დანაშაულის ჩადენას ან შეუთანხმდება ვინმეს დანაშაულის ერთად ჩადენის შესახებ“ (§ 19). ამისდა მიხედვით მოსამზადებელ მოქმედებად უნდა ჩაითვალოს უშედეგო წაქეზება ან დახმარება. ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „წამქეზებელნი და დამხმარენი იმ შემთხ-



ვევაში, თუ ის პირი, ვისაც ისინი იყოლიებდნენ დანაშაულის ჩასადენად ან რომელსაც ეხმარებოდნენ დანაშაულის ჩადენაში, არ ჩაიდნენ დანაშაულებრივ ქმედობას, სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის“. ასეთივე შეხედულება გატარებულია ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მე-18 მუხლში.

სხვაგვარად წყდება ეს საკითხი ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-7 პარაგრაფის მე-4 პუნქტის თანახმად, „დებულებანი მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ შეეფარდება აგრეთვე წაქეზების და დახმარების მცდელობას“. ანალოგიურად წყვეტს აღნიშნულ საკითხს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. მე-19, ნაწ. 2). აღნიშნულ შეხედულებას საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში იზიარებს ა. სანტალოვი. მისი აზრით, უშედეგო წაქეზება ან დახმარება არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც დანაშაულის მომზადება, ვინაიდან დანაშაულის მომზადებისათვის აუცილებელია განსაზღვრული სუბიექტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით დანაშაულის ამსრულებლისათვის დადგენილი ნიშნები. „ეს ნიშნავს, რომ სამხედრო დანაშაულის მომზადებისათვის პასუხს აგებს სამხედრო მსახური, სამშობლოს დალატის მომზადებისათვის – საბჭოთა კავშირის მოქალაქე, თანამდებობის დანაშაულისათვის – თანამდებობის პირი და ა.შ.“<sup>1</sup>

ჩვენის აზრით, ეს შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, თუ პირი ერთპიროვნულად მოქმედებს, იგი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს სუბიექტის იმ ნიშნებს, რაც დანაშაულის შემადგენლობაშია აღწერილი. მაგრამ რამდენადაც პირის განზრახვა მიმართული იყო იმაზე, რომ სხვაში აღებრა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და მამასადამე სხვისი მეშვეობით ჩაედინა დანაშაული, გაუგებარია რატომ არ შეიძლება განვიხილოთ იგი როგორც მოსამზადებელი მოქმედების ჩადენი, თუ მისი წაქეზება უშედეგო

---

<sup>1</sup> А.И. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, „Правоведение“, 1960, N 1, стр. 104.

აღმოჩნდა. ასეთ მოქმედებათა განხილვა, როგორც წაქეზების მცდელობისა, არ შეესაბამება არც თანამონაწილეობის და არც მცდელობის არსს. მცდელობა – ეს ისეთი მოქმედებაა, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, წამქეზებლის და დამხმარის მოქმედებანი თავისთავად უშუალოდ არასდროს არ არიან მიმართული დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, ამიტომ მცდელობას მათ მოქმედებაში ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამსრულებლის მოქმედებამ მცდელობის სტადიას მიაღწია. როგორც მართებულად მიუთითებენ საბჭოთა ლიტერატურაში, რამდენადაც მომზადება და მცდელობა დანაშაულის განვითარების სტადიები არიან, ამდენად თანამონაწილეობის მცდელობა შეუძლებელია<sup>1</sup>. პირიქით, უშედეგო წაქეზება და დახმარება წარმოადგენენ პირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად. მართებულად აღნიშნავს ი. ტიშკევიჩი, რომ „თუ ამსრულებელმა არ ჩაიდინა არავითარი დანაშაულებრივი, სისხლის სამართლით დასჯადი მოქმედება (დამთავრებული დანაშაული, მცდელობა ან მომზადება), წამქეზებლისა და დამხმარის მოქმედება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თანამონაწილეობა დანაშაულში – დანაშაულებრივი ქმედობა ჩადენილი არ იყო, – არამედ მას აქვს მოსამზადებელი მოქმედების ხასიათი“<sup>2</sup>. და თუ ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის სისხლის სამართლის კოდექსები სჯიან ასეთ მოქმედებას როგორც წაქეზების მცდელობას, ეს იმიტომ, რომ ეს კოდექსები არ იცნობენ მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობას.

მოსამზადებელ მოქმედებად ითვლება აგრეთვე პირის შეკერა დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის შესახებ. ასე, მაგალითად, საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის თეორია ქონების გატაცების მომზადებად თელის ორგანიზებული ჯგუფის შექმნას სოციალისტური ან პირადი ქონების გატაცებისათვის<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დანაშაულის ჩასადენად პირის შეკერის განსაკუთრებით საშიში სახე წარმოადგენს დამოუკიდებელ დამთავრებულ დანა-

<sup>1</sup> იხ. А.Н. Трайнин. Специальные вопросы учения о соучастии, „Ученые записки ВИЮН“, 1940, вып. I, стр. 40; Н.Д. Дурманов, Стадии... 1955, стр. 76.

<sup>2</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

<sup>3</sup> იხ. მაგალითად, А.А. Пшонтковский, В.Д. Меньшагин, Курс советского уголовного права, Особенная часть, т. I, Госюриздат, 1955, стр. 464.

შაულს. ასეთი დანაშაულებრივი ქმედობები გვხვდება, მაგალითად, კანონში „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“. ამ კანონის მე-9 მუხლში გათვალისწინებულია „ორგანიზაციული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის მოსამზადებლად ან ჩასადენად, ისეთი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელსაც მიზნად აქვს ასეთ დანაშაულთა ჩადენა, და აგრეთვე მონაწილეობა ანტი საბჭოურ ორგანიზაციაში“. ასეთსავე ხასიათს ატარებს ბანდიტიზმის შემადგენლობა, რომლის თანახმად დამთავრებულ დანაშაულად ითვლება შეიარაღებული ბანდების ორგანიზაცია (მუხ. მე-14).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს პირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად, ე.ი. ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც უზრუნველყოფს ან აადვილებს შემდგომ დანაშაულის განხორციელებას. მაგრამ თავისთავად მოსამზადებელი მოქმედება ჯერ კიდევ არ არის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ამ მხრივ მართებულად უნდა ჩაითვალოს პროფ. ა. ტრაინინის აზრი, რომ მოსამზადებელი მოქმედების დროს მოცემულია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური ელემენტი — განზრახვა; ხოლო ობიექტურ სფეროში — მოქმედება, რომელიც არ არის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი<sup>1</sup>.

ამ შეხედულებას არ ეთანხმება პროფ. ნ. ღურმანოვი. თავისი აზრის დასაბუთებისათვის პროფ. ღურმანოვს ის არგუმენტი მოჰყავს, რომ მოსამზადებელი მოქმედება თვითონაც შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას, რადგანაც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების შევსება წარმოებს ზოგადი ნაწილის ნორმების მეშვეობით<sup>2</sup>. მაგრამ ეს არგუმენტი სულაც არ აბათილებს პროფ. ა. ტრაინინის მოსაზრებას. ა. ტრაინინს მხედველობაში აქვს არა დანაშაულის შემადგენლობა ფართო გაგებით, არამედ დანაშაულის შემადგენლობა, რომლის ნიშნებიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის

<sup>1</sup> А.Н. Трайнин. Состав преступления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1951, стр. 313-314; его же, общее учение о составе преступления. Госюриздат, м., 1957, стр. 300-302.

ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 64-65.

ცალკეულ მუხლში და რომლითაც ერთი დანაშაულებრივი ქმედობა განსხვავდება სხვა დანაშაულებრივი ქმედობებისაგან. მოსამზადებელ მოქმედებაში, რა თქმა უნდა, არის დანაშაულის მომზადების შემადგენლობა, მაგრამ ეს მოქმედება არ წარმოადგენს იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეულ მუხლში. გასაღების გაკეთება ქურდობის მიზნით არ წარმოადგენს ქონების გატაცების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანს, საწამლაგის ან თოფის შექმნა მკვლელობის მიზნით არ წარმოადგენს ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის დანაშაულის ობიექტური ნიშნის განხორციელებას. ამ საკითხში, ჩვენის აზრით, მართებულად მსჯელობს ნ. ლიასი, რომელიც აღნიშნავს: „მოქმედება, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი, პირდაპირ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციურ ნაწილში, როგორც შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანი. იგი ზუსტად არის განსაზღვრული კანონმდებლის მიერ, მაგალითად — გატაცება, მკვლელობა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, პროპაგანდა და აგიტაცია და ა.შ. მომზადება არ წარმოადგენს ასეთ მოქმედებას, იგი კქმნის მხოლოდ პირობებს მათ შესასრულებლად, მაგალითად, წინასწარი შეთანხმება — ვგუფის ორგანიზაცია გატაცებისათვის, იარაღის შექმნა ქურდობისათვის და სხე“<sup>1</sup>.

ის დებულება, რომ მოსამზადებელი მოქმედება არ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, ასახულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-19 პარაგრაფის თანახმად მომზადებად ითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც თუმცა „დანაშაულის შემადგენლობაში არ შედის, მაგრამ აშუადებს მას“.

ასევე უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს ი. ტიშკევიჩის შეხედულება, რომლის თანახმად მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს დანაშაულის განხორციელების დასაწყისს. ამ აზრის დასამტკიცებლად ი. ტიშკევიჩი მიუთითებს 1924 წლის „ძირითადი საწყისების“ მე-11 მუხლზე, რომელიც დაწყებულ, მაგრამ ბოლომდე მიუყვანულ დანაშაულად თვლიდა არა მარტო მცდელობას, არამედ მომზადე-

<sup>1</sup> Н.В. Лясс, Понятия и основания наказуемости приготовления и покушения. Ученые записки Ленинградского гос. университета. Вопросы уголовного права и процесса, Л., 1956, стр. 51-52.

ბასც. ამასვე ადასტურებს, ი. ტიშკევიჩის აზრით, რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის და უმაღლეს სასამართლოს ღირეპტიული წერილი რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შეფარდების შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოსამზადებელმა მოქმედებამ მხოლოდ მაშინ უნდა გამოიწვიოს პასუხისმგებლობა, როდესაც იგი „გამოვლინდა დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების დაწყების განსაზღვრულ კონკრეტულ ფორმაში“<sup>1</sup>.

1924 წლის „ძირითადი საწყისების“ მე-11 მუხლი, ისევე როგორც საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლები მართლაც ხმარობენ გამოთქმას – „დაწყებული და ბოლომდე მიუყვანელი დანაშაული“, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს გამოთქმა არ შეიძლება სავსებით ზუსტად ჩაითვალოს და, მეორე, ამ გამოთქმის ხმარებას მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ დაეპირისპირებინა დაუმთავრებელი დანაშაული დამთავრებული დანაშაულისათვის<sup>2</sup>. და მართლაც, როგორ შეიძლება ითქვას, რომ სახლის გასაქურდად კიბის შეძენა წარმოადგენს ქურდობის დასაწყისს ან კაცის მოსაკლავად თოფის ყიდვა ნიშნავს მკვლელობის დაწყებას. აღნიშნული მოქმედებანი ისევე არ წარმოადგენენ სათანადო დანაშაულის დაწყებას, როგორც, მაგალითად, გამოცდების ჩასაბარებლად მზადება არ წარმოადგენს გამოცდის ჩაბარების დაწყებას. რაც შეეხება ღირეპტიული წერილის გამოთქმას „დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების დაწყების შესახებ“, ეს გამოთქმაც არ ადასტურებს ი. ტიშკევიჩის აზრს. ღირეპტიული წერილის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება მეტად შეეზღუდა პასუხისმგებლობა მომზადებისათვის და მიეთითებია სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებისათვის, რომ დანაშაულის მომზადებამ მხოლოდ მაშინ უნდა გამოიწვიოს პასუხისმგებლობა, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა ისეთ კონკრეტულ ფორმებში გამოვლინდა, რომლებიც დანაშაულის განხორციელების დასაწყისს უახლოვდებან.

აღსანიშნავია, რომ 1958 წლის „საფუძვლებმა“ ბოლო მოუღეს 1924 წლის „ძირითადი საწყისების“ უზუსტობას მომზადების განსაზღვრების საკითხში. ტერმინი „დაწყებული დანაშაული“ მომზადებ-

<sup>1</sup> იხ. ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 44-51.

<sup>2</sup> იხ. ნ. ლურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

ის მიმართ უარყოფილია. მომზადება, როგორც დანაშაულის ჩასაღენად პირობების შექმნა, უპირისპირდება მცდელობას, როგორც მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე.

ის გარემოება, რომ მოსამზადებელი მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულის დაწყებას, განსაკუთრებით ხაზგასმულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში. ამ კოდექსის მე-15 მუხლით მომზადებად ითვლება „განზრახი დანაშაულის ჩასაღენად საშუალებების მომზადება, თანამონაწილეთა გამონახვა და საერთოდ პირობების შექმნა მისი შესრულების დაწყებამდე“.

სუბიექტური მხრით მოსამზადებელი მოქმედება აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს. პიროვნება ამზადებს პირობებს დანაშაულის ჩასაღენად დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების მიზნით. ეს მომენტი პირდაპირ არის მითითებული საფუძვლების მე-15 მუხლში, სადაც ნათქვამია: „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩასაღენად საშუალებების ან იარაღების გამონახვა თუ მოძიება ან პირობების სხვაგვარად განზრახ შექმნა“ (ხაზგასმულია ჩვენს მიერ, -თწ.). ამავე მომენტს ხაზს უსვამენ ბულგარეთის, ალბანეთის და უნგრეთის სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები.

განზრახვა დანაშაულის მომზადების დროს მიმართული უნდა იყოს არა მოსამზადებელ მოქმედებაზე როგორც ასეთზე, არამედ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. განზრახვა უნდა გარემოცავდეს ყველა იმ გარემოებას, რომელიც შედის დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობაში.

განზრახვა უნდა არსებობდეს თვით მოსამზადებელი მოქმედების ჩადენის მომენტში. ამიტომ თუ ვინმემ იყიდა, მაგალითად, თოფი სანადიროდ ან დანა პურის საჭრელად ან თოკი — სარეცხის გასაფენად, ყველა ეს მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად, თუნდაც შემდგომ სუბიექტს დაებალოს განზრახვა ამ საშუალებების გამოყენებისა რაიმე დანაშაულის (მკვლელობის, ქურდობის ან სხვ. მისთ.) ჩასაღენად.

როგორც უკვე აღნიშნული იყო ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მოსამზადებელ მოქმედებას დანაშაულის განხორციელების დასჯად სტადიად თვლის. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკე-

ბის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლის შესამე ნაწილის თანახმად დანაშაულის მოშაადებისათვის სასჯელი დაინიშნება იმ კანონის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დამთავრებული დანაშაულისათვის. თანაც მითითებული არ არის, რომ მოშაადება ისჯება მარტოდენ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სასამართლო პრაქტიკაში მოსამზადებელი მოქმედების დასჯაობა მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება<sup>1</sup>. ჯერ კიდევ რსფსრ იუსტსახკომისა და უმაღლესისა სასამართლოს სადირექტივო წერილმა 1926 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის შეფარდების თაობაზე მნიშვნელოვნად შეზღუდა მოსამზადებელი მოქმედების დასჯაობის სფერო: „მომზადებაც და მცდელობაც, – ნათქვამია აღნიშნულ წერილში, – ერთნაირად იწვევენ სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას, რამდენადაც მათში პირის სოციალური საშიშროება გამოვლინდება; მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის მოშაადებისათვის სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამზადებელი მოქმედება გამოვლინდა დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების დაწყების განსაზღვრულ კონკრეტულ ფორმაში და ამიტომ იგი სოციალურად საშიშია“<sup>2</sup>.

ამგვარად, სადირექტივო წერილი შესაძლებლად სცნობდა მხოლოდ ისეთი მოსამზადებელი მოქმედების დასჯას, რომელიც თავისი

---

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე: ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 87-90; მისვე, К подготовке проекта Уголовного кодекса СССР, „Социалистическая законность“, 1946, N 7-8, стр. 6; А.А. Пионтковский, Сталинская конституция и проект Уголовного кодекса, 1947, стр. 16.

<sup>2</sup> Судебная практика РСФСР, 1927 г., N 11, стр. 11. საინტერესოა, რომ აღნიშნულ სადირექტივო წერილში მოცემულმა ფორმულამ თავისი გამოხატულება ჰყო ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 1949 წლის სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსში (ამჟამად ეს კოდექსი გაუქმებულია). ამ კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილში ნათქვამი იყო: „დანაშაულის მოშაადება ამ კოდექსის შესაბამისად დაისჯება როგორც დამთავრებული დანაშაული იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება გამოვლინდა დანაშაულებრივი განზრახვის უშუალო განხორციელების დაწყების განსაზღვრულ კონკრეტულ ფორმაში და ამიტომ იგი საზოგადოებრივად საშიშია“. აქ ჩამატებულია მხოლოდ სიტყვა „უშუალო“, რასაც, რა თქმა უნდა, დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ხასიათით („დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების დაწყების განსაზღვრული კონკრეტული ფორმა“) და საზოგადოებრივი საშიშროებით დანაშაულის მცდელობას უახლოვდება, ამ შეხედულებას იზიარებს უფრო გვიანდელი სასამართლო პრაქტიკა. ასეთი სახის მომზადების დასჯის მაგალითი მოჰყავს ი. ტიშკევიჩს ბელორუსიის სსრ სასამართლო პრაქტიკიდან. საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების მედიცინის დის თანამდებობაზე მომუშავე მ.-მ განიზრახა თავის ბინაზე გაეკეთებია აბორტი გ.-ასათვის, რის შესახებაც მათ წინასწარ მოილაპარაკეს. თავისი მორიგეობის დღეს მ.-მ საავადმყოფოდან სახლში წაიღო აბორტის გასაკეთებლად საჭირო ინსტრუმენტები. როდესაც წინასწარი შეთანხმების თანახმად გ. მასთან სახლში მივიდა, მ.-მ დაკეტა ბინა, ფანჯარას საბანი ჩამოაფარა, აადულა წყალი, მოამზადა ინსტრუმენტები და ჩაიცვა თეთრი ხალათი, მაგრამ ამ დროს იგი დააკავეს მილიციის ობერწმუნებულმა და კლინიკური საავადმყოფოს კომენდანტმა, რომლებმაც შეიტყვეს, რომ ამ დღეს მ. თავის ბინაზე აბორტს უკეთებს უცნობ ქალს. სასამართლომ სცნო მ. დამნაშავედ უკანონო აბორტის მომზადებაში (ბელორუსიის სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).<sup>1</sup>

მ.-ს მოქმედება თუმცა ჯერ კიდევ არ გასცილებია მომზადების სტადიას, მაგრამ იგი იმდენად ახლოს არის მცდელობასთან, რომ დანაშაულის დამთავრების შანსები აქ საკმაოდ დიდია. შემთხვევით გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებისათვის, ცხადია, მ. დანაშაულს ბოლომდე მიიყვანდა.

რაც შეეხება უფრო შორეულ მოსამზადებელ მოქმედებებს, ისინი საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში მეტად იშვიათ შემთხვევაში იწვევენ სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას. დანაშაულის მომზადების დაუსჯელობის დასაბუთებისათვის სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოები ჩვეულებრივად მიმართავენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლს (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილი). მაგრამ უფრო ხშირად საქმეები დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედების შესახებ სრულიად არ აღიძვრის.

<sup>1</sup> იხ. ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.



აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მიღებას წინ უსწრებდა ფართო დისკუსია მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის მიზანშეწონილების შესახებ.

საბჭოთა კრიმინალისტიკების ერთი ნაწილი აუცილებლად თვლიდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული დასჯადობის შენარჩუნებას<sup>1</sup>.

საბჭოთა კრიმინალისტიკების მეორე ნაწილი მოითხოვდა პირიქით, მოსამზადებელი მოქმედების საერთო წესით დაუსჯელობას და მის დასჯას ან დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაულის სახით<sup>2</sup> ან კანონით სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> А. Трайнин. Уголовная ответственность за приготовительные к преступлению действия, „Социалистическая законность“, 1953, N 12, стр. 28-33; В.М. Чхиквадзе, Некоторые вопросы советского уголовного права в связи с разработкой проекта Уголовного кодекса СССР, „Советское государство и право“, 1955, N 4, стр. 66-67; Н.Ф. Кузнецова Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву, М., 1958, стр. 71-78; Л. Смирнов, К Основам уголовного законодательства СССР, „Социалистическая законность“, 1957, N 6, стр. 11. Х.Х. Хусейнов, Некоторые замечания по проектам Основных начал уголовного законодательства Союза ССР и союзных республик и Основ уголовного судопроизводства Союза ССР и союзных республик, „Советское государство и право“, 1958, N 10, стр. 106.

<sup>2</sup> М.А. Чельцов, Спорные вопросы учения о преступлении, „Социалистическая законность“, 1947, N 4, стр. 8-9.

<sup>3</sup> А. Пионтковский. Основные вопросы проекта Уголовного кодекса СССР, „Социалистическая законность“, 1954, N 1, стр. 33; его же, Основные вопросы уголовного права в проекте Основных начал уголовного законодательства Союза ССР и союзных республик, „Советское государство и право“, 1958, N 9, стр. 83; М. Ковалев, „Ответственность за приготовительные к преступлению действия“, „Социалистическая законность“, 1954, N 8, стр. 20-23. Н. Дурманов. К подготовке проекта УК, „Социалистическая законность“, 1946, N 7-8; стр. 6; Т. Церетели. Наказуемость приготовления к преступлению по советскому уголовному праву, „Социалистическая законность“, 1954, N 12, стр. 10-14; Т. Церетели, Причинная связь в уголовном праве, 1957, стр. 236-242; თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი საკითხი, „საბჭოთა სამართალი“, 1957, №1, გვ. 47-48; Н.В. Лясс, Понятие и основание наказуемости приготовления и покушения, Ученые записки ЛГУ, Вопросы уголовного права и процесса, 1956, стр. 62-63; Д. Юровский, Кодификация уголовного законодательства Украинской ССР, „Социалистическая законность“, 1957, стр. 14.

ჩვენის აზრით, მოსამზადებელი მოქმედების სტადიაში, როდესაც პირს ჯერ არ დაუწყია დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ განხორციელება, საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების ხარისხი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ სამართლით დაცული სიკეთისათვის რეალური საფრთხის შექმნაზე. მოქმედებას, რომელიც იარაღთა და საშუალებათა შექმნაში, დანაშაულის პირობების შექმნაში გამოიხატება, ჯერ კიდევ არა აქვს ისეთი ქმედითი, ისეთი აქტიური ხასიათი, რომ იგი შედეგის განხორციელების პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავდეს. ამავე დროს, როგორც საერთო წესი, მომზადება დანაშაულის დამთავრებისაგან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული და ამ მანძილზე ადვილად შეიძლება წარმოიშვას გარემოებანი, რომელნიც ხელს შეუშლიან დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებას. როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ა. პიონტკოვსკი, „თუ დანაშაულის მცდელობა ჰქმნის დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების უშუალო საფრთხეს, მომზადება ჰქმნის მხოლოდ პირობებს მომავალში დანაშაულებრივ ქმედობათა ჩასადენად“<sup>1</sup>.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ლიტერატურაში გამოთქმული იყო შეხედულება, თითქოს სწორედ მოსამზადებელი მოქმედება შეიცავდეს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას, მაშასადამე, რეალურ საფრთხეს სამართლებრივი ობიექტისათვის. ამ შეხედულების ავტორი ნ. კუზნეცოვა ამტკიცებს: „დანაშაულის ყველა შესაძლებელი მოსამზადებელი მოქმედებისათვის საერთოა ის, რომ ეს მოქმედებანი ჰქმნიან პირობებს დანაშაულის ჩადენისათვის, და მაშასადამე — შეიცავენ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას“<sup>2</sup>.

ეს შეხედულება, ჩვენის აზრით, საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს. დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა, იარაღის ან საშუალების

<sup>1</sup> Советское уголовное право. Часть общая, М., 1952, стр. 275.

<sup>2</sup> Н.Ф. Кузнецова. Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву, 1958, стр. 43 и др.; მისვე, Некоторые вопросы ответственности за приготовление и покушение по советскому уголовному праву, „Советское уголовное право“, 1955, стр. 118-119.

შებენა ჯერ კიდევ არ გულისხმობს რეალურ საფრთხეს სამართლებრივი სიკეთისათვის. რასაკვირველია, საფრთხის, ე.ი. ვნების განხორციელების შესაძლებლობის ცნება – ფარდობითი ცნებაა და დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რაღაც, თუმცა მეტად მცირე და მეტად შორეული შესაძლებლობა დანაშაულის მომზადებითაც იქმნება. მაგრამ თვით ხასიათი მოსამზადებელი მოქმედებისა და მისი სიშორე დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისაგან საფუძველს არ გვაძლევს ვამტიციოთ, რომ ამ მოქმედებით უკვე იქმნება რეალური და უშუალო საფრთხე დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისა. ის გარემოება, რომ ვინმემ შეიძინა დანა კაცის მოსაკლავად, სრულიად არ ქმნის კაცის ნამდვილად სიკვდილის რეალურ შესაძლებლობას. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ მოსამზადებელი მოქმედება კქმნის იმის შესაძლებლობას, რათა პირი ზომავალში შეუდგეს დანაშაულის განხორციელებას ან გაიადვილოს მომავალში დანაშაულის ჩადენა.

ზემოაღნიშნულიდან ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავდა, რომ მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც საერთო წესით არ შეიცავს რაიმე სერიოზულ საფრთხეს სამართლით დაცული ობიექტისათვის, პრინციპულად არც უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული დაუსჯელობის სასარგებლოდ, გარდა იმისა, რომ იგი ჩვეულებრივად არ შეიცავს საზოგადოებრივ საშიშროებას, მოჰყავდათ კიდევ სხვა მოსაზრებებიც. სახელდობრ:

მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენ პირს ჯერ კიდევ არ ახასიათებს ისეთი საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულებრივი ენერჯის ისეთი ინტენსიობა, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით საჭირო იყოს მის მიმართ სასჯელის შეფარდება. ის მოტივები, რაც საკმაოა მოსამზადებელი მოქმედების ჩასადენად, შეიძლება სრულიადაც არ აღმოჩნდეს საკმარისი დანაშაულის ნამდვილად განსახორციელებლად: მომზადება იმდენად ღიდი მანძილით არის დამორებული დანაშაულის დამთავრებიდან, რომ ამ პერიოდის განმავლობაში სუბიექტს ადვილად შეიძლება აღეძრას დანაშაულის

ჩადენისათვის ხელისშემშლელი მოტივები (შიში სასჯელის ან საზოგადოებრივი გაკიცხვის წინაშე, სიბრალული მომავალი მსხვერპლის მიმართ და სხვების.).

ამავე დროს არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ისიც, რომ მოსამზადებელი მოქმედების დროს განზრახვა შეიძლება კონკრეტიზებულიც არ იყოს. ამ გარემოებაზე მიუთითებს პროფ. ღურმანოვი. „ზოგჯერ, – აღნიშნავს იგი, – მომზადების დროს განზრახვას აქვს განუვითარებელი, არა კონკრეტული და არა სავსებით განსაზღვრული ხასიათი. მაგალითად, სუბიექტმა გადაწყვიტა ქურდობის ჩადენა, ეზადება ამ დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის, სად, როდის, რა ქონებას და რა საშუალებით გაიტაცებს. განზრახვის კონკრეტიზაციას ხშირად ადგილი აქვს მომზადების სტადიის დამთავრების შემდეგ, როდესაც ბრალეული, მის მიერ შექმნილი პირობების საფუძველზე, წყვეტს საკითხს – ჩაიდინოს განსაზღვრული დანაშაული თუ უარი სთქვას მასზე“<sup>1</sup>.

შემდეგ, დანაშაულის მომზადების დასჯადობა შესაძლებლობას ართმევს პირს გამოიყენოს დანაშაულზე ხელის აღებისათვის დადგენილი დაუსჯელობის შეღავათი, რომელიც სუბიექტს ეძლევა წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის მთელს მანძილზე.

დაბოლოს მოსამზადებელი მოქმედების დაუსჯელობის სასარგებლოდ მოქყავდათ აგრეთვე ის არგუმენტიც, რომ ასეთი მოქმედება თავისთავად მეტად გაურკვეველ ხასიათს ატარებს და მისი გამიჯვნა არადანაშაულებრივი, ნებადართული ქმედობისაგან დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მაგალითად, პროფ. ჩელცოვი მიუთითებდა: „პირველად ყოვლისა, ეჭვს გარეშეა, რომ შემთხვევათა დიდი უმრავლესობის დროს დანაშაულის მოსამზადებელ მოქმედებას შესაძლებელია მეტად განუსაზღვრელი ხასიათი ჰქონდეს. თოკი შეიძლება ნაყიდი იყოს როგორც მომავალი მკვლელობის იარაღიც და როგორც საშუალება ბარჯის შესაკრავად“<sup>2</sup>. ამიტომ საგამომძიებლო ორგანოები, როგორც წესი,

<sup>1</sup> Н.Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 72.

<sup>2</sup> М. Чельцов, Спорные вопросы учения о покушении, „Социалистическая законность“, 1947, N 4, стр. 9.

მოკლებული არიან შესაძლებლობას აღძრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის მომზადებისათვის, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი. „უკვე ამ მიზეზის გამო მოსამზადებელი მოქმედება ფაქტიურად დაუსჯელი რჩება. ხოლო კანონის მუქარის მუდმივი არშეფარდება ასუსტებს მის ძალას“<sup>1</sup>.

ზემოთ მოტანილ მოსაზრებებს არ ეთანხმებოდა ნ. კუზნეცოვა, კერძოდ, მას შეეცდომად მიაჩნდა მტკიცება, რომ ჩვეულებრივად მომზადება ისეთ მოქმედებაში გამოიხატება, რომელიც შეიძლება ჩაღენილ იქნეს როგორც დანაშაულებრივი, ისე მართლზომიერი მიზნით. „თუ თოკზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ის ნაყიდა, შეუძლებელია ვინმეს აზრად მოუვიდეს მკვლელობის ასეთი მომზადების“ დასჯა. ზოგიერთი კრიმინალისტიის დებულება მოსამზადებელი მოქმედების „გაურკვეველი ხასიათის“ შესახებ, მაგალითები, რომლებიც მოჰყავთ ამ დებულების დასამტკიცებლად, – თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ მათ არ ესმით სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედობის – დანაშაულის მომზადების ბუნება“<sup>2</sup>.

კუზნეცოვას არგუმენტაცია, ჩვენის აზრით, არ აბათილებს პროფ. ჩელცოვის მიერ მოყვანილი საბუთების დამაჯერებლობას. საქმეც ის არის, რომ რადგანაც მოსამზადებელი მოქმედება, როგორც წესი, ისეთ მოქმედებაში გამოიხატება, რომელიც შეიძლება ჩაღენილ იქნეს მართლზომიერი მიზნითაც (დანის ყიდვა შეიძლება კაცის მოსაკლავად და პურის საჭრელადაც, თოფის შექენა შეიძლება სანადიროდაც და ყაჩაღობის მიზნითაც), ამიტომ საგამომძიებლო ორგანოებს თითქმის არა აქვთ შესაძლებლობა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) დაასაბუთონ დანაშაულის მომზადების არსებობა. ასეთ პირობებში კი, როდესაც მოსამზადებელ მოქმედებათა უდიდესი პროცენტი დაუსჯელი რჩება, სასჯელის მუქარა მომზადების მიმართ პრაქტიკულად მნიშვნელობას ჰკარავს.

ის ავტორები, რომლებიც მოითხოვდნენ დანაშაულის მომზადების საერთო წესით დაუსჯელობას, საჭიროდ თვლიდნენ ამ საერთო წესიდან ზოგიერთი გამონაკლისის დაშვებას. მოქმედების საზოგა-

<sup>1</sup> მ. ჩელცოვი, დასახ. სტატია, გვ 9.

<sup>2</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ 73.

დღებრივი საშიშროების ხარისხის დასადგენად მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის როგორ შესაძლებლობას კქმნის მოქმედება, არამედ აგრეთვე იმასაც, თუ რა ღირებულება აქვს ხელყოფის ობიექტს. თუ ობიექტი, რომელსაც ხელყოფის პირი, მეტად დიდი სოციალური ღირებულებისაა, ქმედობა შესაძლებელია ცნობილი იქნეს საზოგადოებრივად საშიშად იმ მომენტშიც, როდესაც მას არ შეუქმნია ამ ობიექტისათვის ვნების მიყენების რეალური და უშუალო საფრთხე. ასეთ შემთხვევაში სოციალისტურ მართლწესრიგს არ შეუძლია უცადოს დასჯადობისათვის იმ მომენტს, როდესაც აღნიშნული ობიექტი უშუალო საფრთხეში იქნება ჩაყენებული. ამიტომ მიუთითებდნენ, რომ ზოგჯერ მოსამზადებელი მოქმედება შეიძლება საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავდეს და მისი კრიმინალიზაცია საჭირო იყოს. ასე, მაგალითად, სახელმწიფოებრივი დანაშაულის, განზრახი მკვლელობის, სოციალისტური საკუთრების გატაცების და სხვ. მისთ. დროს მვენე შედეგის განხორციელების თუნდაც შორეულმა შესაძლებლობამ შეიძლება დაასაბუთოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დასჯადობა. ამის შესაბამისად მოითხოვდნენ, რომ მოსამზადებელი მოქმედების საერთო წესით დაუსჯელობასთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში აღნიშნული ყოფილიყო, რომ მოსამზადებელი მოქმედება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით მითითებულ შემთხვევაში, ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში ჩამოთვლილი ყოფილიყო ის დანაშაულებრივი შემადგენლობანი, რომელთა მომზადებაც იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის თუ დაუსჯელობის საკითხის განხილვისას ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი უმართებულად უკავშირებდა ამ საკითხს ანალოგიის პრობლემას. ასე, მაგალითად, პროფ. ნ. ღურმანოვი, რომელიც პირდაპირ არ ემხრობოდა მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის ამა თუ იმ წესს, ამტკიცებდა, რომ ამ საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია სისხლის სამართლის კოდექსის კონსტრუქციაზე. მისი აზრით, თუ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შემადგენლობებს ახასიათებს

ფართო, ზოგადი ხასიათის ფორმულირებანი, მაშინ კოდექსში უნდა დარჩეს მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის დღეს არსებული სისტემა. ხოლო თუ კოდექსი სხვაგვარად იქნება აგებული, სახელდობრ, მისი შემადგენლობანი უფრო დაკონკრეტებული და დანაწევრებული იქნებიან და თუ ამავე დროს კოდექსი უარს იტყვის ანალოგიის წესით დასჯადობაზე, მაშინ მიზანშეწონილი იქნება მოსამზადებელი მოქმედება დაისაჯოს. მხოლოდ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში<sup>1</sup>.

პროფ. დურმანოვი არ ასაბუთებდა მის მიერ წამოყენებულ დებულებას და ამიტომ გაუგებარი რჩება, რა კავშირშია მოსამზადებელი მოქმედების დაუსჯელობა სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილებათა კაზუისტურობასთან და ანალოგიის წესით პასუხისმგებლობის უარყოფასთან. ნ. დურმანოვის ამ მოსაზრების წინააღმდეგ საუკეთესო არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ ახალ საფუძვლებში შენარჩუნებულია მომზადების პრინციპული დასჯადობა და ამავე დროს უარყოფილია სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობა<sup>2</sup>.

დანაშაულის მომზადების პრინციპული დაუსჯელობის წინააღმდეგ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებით ილაშქრებდა პროფ. ა. ტრაინინი. ტრაინინის აზრით, დანაშაულის მომზადების დაუსჯელობა საბჭოთა იურისტების წინაშე დააყენებს მეტად ძნელ ამოცანას — მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის ამოცანას. ამ ამოცანის გადაჭრის დროს, პროფ. ტრაინინის აზრით, საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში შეიძლება ფართოდ შემოიჭრას ბურჟუაზიული წყაროებიდან ცნობილი დისკუსიები იმის შესახებ, თუ სად არის ზღვარი, რომელიც ძვეს მომზადებასა და მცდელობას

---

<sup>1</sup> Н.Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, 1955, стр. 96-97.

პროფ. ნ. დურმანოვი არც იმას ასაბუთებდა, თუ როგორ არის დაკავშირებული ანალოგიის უარყოფის საკითხი კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლების კაზუისტურ ხასიათთან. პირიქით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო კაზუისტური ხასიათი აქვთ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებს, მით უფრო მეტაა ხარვეზების არსებობის შესაძლებლობაც და, მაშასადამე, ანალოგიის გამოყენების საკირობაც.

შორის, და სოციალისტური მართლმსაჯულების შესრულებაში შეტანილ იქნეს იურიდიული სქოლასტიკის ელემენტები<sup>1</sup>.

ეს შეხედულება, ჩვენის აზრით, მოკლებულია საფუძველს. ჯერ ერთი ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის სიძნელე სრულიადაც არ გვაძლევს უფლებას ხელი ავიღოთ თვით პრობლემის გადაჭრაზე. საბჭოთა სისხლის სამართალს უხდება არა ნაკლებ ძნელი პრობლემების გადაჭრა, როგორცაა, მაგალითად, მიზეზობრიობის კავშირი, ბრალის ფორმების გამოიყენება (კერძოდ, ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების გამოიყენება), თანამონაწილეთა ცალკე სახეების გამოიყენება ერთმანეთისაგან და სხვ. მისთ. სისხლის სამართლის მეცნიერების ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რათა შეიძულებინათ ზუსტი და ნათელი სისხლისსამართლებრივი ცნებანი და ამით გაუადვილოს პრაქტიკას მისი საქმიანობა. სოციალისტური სისხლის სამართლის მეცნიერება არ იქნებოდა სათანადო სიმაღლეზე, ამ ამოცანის გადაჭრაზე რომ ხელი აეღო.

მეორე, სოციალისტური სისხლის სამართლის მეცნიერება, რომელიც ემყარება მატერიალისტურ მსოფლმხედველობას და შეიარაღებულია მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდით, საკმაოდ ძლიერი და მდიდარია გამოცდილებით, რათა წინ აღუდგეს მისთვის უცხო, იდეალისტურ და ფორმალურ-სქოლასტიკურ შეხედულებათა შემოჭრას.

გარდა ამისა, მომზადებისა და მცდელობის ზუსტი და ნათელი განსაზღვრება თვით სისხლის სამართლის კოდექსში იცავს ჩვენს სისხლის სამართლის მეცნიერებას როგორც უნაყოფო და სქოლასტიკური დავეებისაგან, ისე უცხო ბურჟუაზიული შეხედულებებისა და თეორიების ზეგავლენისაგან.

დაბოლოს, ვერ დავეთანხმებით პროფ. ტრანინის ვერც იმაში, თითქოს დანაშაულის მომზადების პრინციპული დასჯადობის აღიარება ათავისუფლებდეს სასამართლოს მომზადებისა და მცდელობის გამოიყენების აუცილებლობისაგან. ეს საკითხი უკვე დიდი ხანია დგას საბჭოთა სასამართლო ორგანოების წინაშე და გაშუქებულია სოციალ-

---

<sup>1</sup> А. Н. Трайнин, Об уголовной ответственности за приготовительные к преступлению действия, „Социалистическая законность“, 1953, N12, стр. 31-33. ანალოგიური მოსაზრებები მოჰყავს ნ. კუნეცოვას მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის სასარგებლოდ. იხ. მისი: Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву, 1958, стр. 76-78.



ისტურ სისხლის სამართლის თეორიაში, ვინაიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსები ავალევენ მოსამართლეს დაუმთავრებელი დანაშაულის ჩამდენის მიმართ სასჯელის კონკრეტული ღონისძიების არჩევის დროს მხედველობაში მიიღოს „დანაშაულის მომზადება და მისი შედეგების დადგომის სახელოვე“. ამ გარემოების მხედველობაში მიღება კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რა სტადიაზე შეჩერდა დანაშაული – მომზადების თუ მცდელობის სტადიაზე. პროფ. ტრაინინის ამ მოსაზრების არასიზუსტეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თუმცა ახალ „საფუძვლებში“ დატოვებულია მომზადების პრინციპული დასჯადობა, მაგრამ ამასთან ერთად მოცემულია როგორც მცდელობის, ისე მომზადების ცნებათა განსაზღვრება, თანაც მოსამართლეს წინადადება ეძლევა სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინოს „დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელების ხარისხი“.

დანაშაულის მომზადების პრინციპული დაუსჯელობა და სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის კონკრეტული შემთხვევების ზუსტად ჩამოთვლა, პროფ. ტრაინინის აზრით, გამოიწვევდა წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არა შეზღუდვას, არამედ გაფართოებას. თუ კანონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ დანაშაულის მომზადებისათვის პასუხისმგებლობას ადგილი უნდა ჰქონდეს ამა და ამ დანაშაულთა დროს, სასამართლო ამ დანაშაულთა მომზადებას ყველა შემთხვევაში აუცილებლად დასჯის და რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნას მათ მიმართ არასოდეს არ გამოიყენებს. ამავე დროს, პროფ. ტრაინინის აზრით, სასამართლო არასოდეს აღარ გამოიყენებს მე-6 მუხლის შენიშვნას დანაშაულის მცდელობის მიმართაც, რომელიც, წინააღმდეგ მომზადებისა, პრინციპულად დასჯად სტადიად იქნება აღიარებული<sup>1</sup>.

პროფ. ტრაინინის მსჯელობა ამ საკითხში არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. თუ მომზადებისა და მცდელობის პრინციპული დასჯადობის აღიარება არასოდეს არ ბადებს ჩვენს მოსამართლეებში ეჭვს სათანადო შემთხვევებში რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნის (საფუძვლების მე-7 მუხ. მეორე ნაწილის) შეფარდების შესა-

<sup>1</sup> ა. ტრაინინი, დასახ. წერილი, გვ. 32-33.

ძლებლობის შესახებ, გაუგებარია, რატომ უნდა დაიბადოს ეს ეჭვი მომზადების პრინციპული დაუსჯელობის აღიარების შემთხვევაში? სოციალისტური სისხლის სამართლის ღრმად მნიშვნელოვანმა დებულებამ, რომელიც გამოხატულია საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილში, არ შეიძლება ძალა დაკარგოს. იგი მოქმედებს როგორც დამთავრებულ, ისე დაუმთავრებელ დანაშაულთა მიმართ.

აზრთა სხვადასხვაობამ მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობის საკითხში თავი იჩინა თვით საკანონმდებლო აქტების პროექტებშიც. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 1947 წ. და 1948 წლის პროექტები, ასევე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის პირველი ვარიანტი ითვალისწინებდნენ მომზადების დასჯადობას მხოლოდ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებით სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში. 1947 წლის პროექტის განსაკუთრებული ნაწილი მიუთითებდა, მაგალითად, მომზადების დასჯადობაზე შემდეგ შემთხვევებში: კონტრრევოლუციური დანაშაული (მუხ. 84-ე), სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების კვალიფიციური გატაცება (მუხ. 92-ე, 94-ე), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების კვალიფიციური სახის დაზიანება ან განადგურება (მუხ. 98-ე), განზრახი მკვლელობა (მუხ. მე-100, 101-ე), ყაჩაღობა (მუხ. 137-ე, 138-ე), ფულის და ფასიანი ქაღალდების გაყალბება (მუხ. მე-18) და ზოგი სახის სამხედრო დანაშაული (მუხ. 336-ე, 337-ე, 338-ე, 339-ე). როგორც ამ ჩამოთვლიდან ჩანს, 1947 წ. პროექტი ითვალისწინებდა დანაშაულის მომზადების დასჯადობას მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა დროს.

როგორ არის გადაჭრილი დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში?

უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკის 1950 წ. სისხლის სამართლის კოდექსის (ზოგადი ნაწილის) §19-ის თანახმად, მოსამზადებელი მოქმედება დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ სპეციალურად არის მითითებული კანონში.

ანალოგიური ხასიათის ნორმას ითვალისწინებს ბულგარეთის დემოკრატიული რესპუბლიკის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ.

მე-15), რომელიც სჯის მოსამზადებელ მოქმედებას შემდეგ შემთხვევებში: დანაშაული, მიმართული სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ (მუხ. 94-ე), მკვლელობა (მუხ. 133), ყალბი ფულადი ნიშნების, საფოსტო, საღებო ნიშნების, ობლიგაციების დამზადება (მუხ. 236), საზოგადოებრივად საშიში საშუალებებით (ცეცხლით, აფეთქებით) ქონების განზრახი დაზიანება (მუხ. 311).

ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს, რომ „მომზადება და მცდელობა ისჯება სისხლის სამართლის კანონის იმ დებულებათა მიხედვით, რომელნიც ითვალისწინებენ დანაშაულს, რაც ჩადენილი უნდა ყოფილიყო“ (მუხ. მე-10, ნაწ. III). მაგრამ ამავე დროს თვით დანაშაულის მომზადების ცნება ამ კოდექსში მეტად ვიწროდ არის განმარტებული. სახელდობრ, მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „მომზადებად ითვლება მძიმე დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა, საშუალებათა და იარაღთა გამოძებნა და მომზადება“. ამ განმარტებიდან ნათელია, რომ ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯება არა ყველა დანაშაულის მომზადება, არამედ მხოლოდ მძიმე დანაშაულის მომზადება.

ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსი სრულიად არ ხმარობს ტერმინს „დანაშაულის მომზადება“. აღნიშნულ კოდექსში მოცემულია მხოლოდ მცდელობის ცნების განსაზღვრება. §5-ის თანახმად, „საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ჩადენილი კანონით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევის მიზნით, განიხილება როგორც დანაშაულის მცდელობა, თუ ეს შედეგი არ განხორციელდა“. თუმცა ეს პარაგრაფი მცდელობის საკმაოდ ფართო განსაზღვრებას იძლევა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის კრიმინალისტიკაში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ პირველი დასჯადი სტადია დანაშაულის მცდელობაა. ასე, მაგალითად, პროფ. სოლნარევი თავის წერილში ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის შესახებ მიუთითებს: „მეცნიერება და პრაქტიკა იკვლევენ იმ პრობლემას, თუ სად არის ზღვარი დასასჯელ მცდელობასა და მოსამზადებელ მოქმედებას შორის; ამ პრობლემის გამოკვლევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მოსამზადებელი მოქმედება არ წარმოადგენს დასასჯელი ქმედობის საერთო ფორმას და მხოლოდ ზოგიერთი მოქმედება, რომელსაც მომზადების ხასიათი აქვს

(მაგალითად, პირის შეკვრა დანაშაულის ჩადენის მიზნით (§166), ისჯება როგორც დამოუკიდებელი დანაშაული<sup>1</sup>. არ იხსენიებს მოსამზადებელ მოქმედებას არც რუმინეთის, პოლონეთის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსამზადებელი მოქმედება ისჯება მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთი შემთხვევები გვხვდება, მაგალითად, კანონში მშვილობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ<sup>2</sup>. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაბეჭდვასთან დაკავშირებით გამოთქმული იყო აზრი, რომ „სრულიად არ არის საჭირო შეიცვალოს გერმანიაში საკანონმდებლო ტრადიციით დამკვიდრებული პრინციპი, რომლის თანახმად მომზადება და მცდელობა იწვევენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დანაშაულთა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის დროს“<sup>3</sup>. ამ რესპუბლიკის კრიმინალისტიები მოითხოვენ განსაკუთრებით მკვლელობის მომზადების დასჯადობას<sup>4</sup>.



ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსები თუმცა ფორმალურად უარყოფენ დანაშაულის მომზადების დასჯადობას, მაგრამ სინამდვილეში სხვადასხვა ხერხების მეშვეობით ფართოდ სჯიან დანაშაულის მომზადების თვით შორეულ აქტებსაც, ზოგჯერ კი – განზრახვის გამოძღვანებასაც.

ერთ-ერთ ასეთ ხერხს წარმოადგენს მცდელობის ცნების მეტად ფართო განსაზღვრება ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებ-

---

<sup>1</sup> Wl. Solnar, Aktuelle Fragen des Allgemeinen Teils des Tschechoslowakischen Strafrechts, „Beiträge zu Problemen des Strafrechts“, Berlin, 1957, S.12.

<sup>2</sup> იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Allg. Teil, Berlin, 1957, S.444.

<sup>3</sup> I. Lekschas und W. Henning, Zur Neuregelung der Vorbereitung und des Versuchs einer Straftat, „Staat und Recht“, 1958. N 12, S.1280.

<sup>4</sup> დასახ. სახელმძღვანელო, გვ. 444. ი. ლექშასი და ვ. ჰენინგი, დასახ. ნაშრ., გვ. 1280.

ბლობაში. ასე მაგალითად, რუსეთის 1845 წლის სისხლის სამართლის დებულების მე-9 მუხლით მცდელობად ითვლებოდა „ყოველი მოქმედება, რომლითაც იწყება ან გრძელდება ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა“. ცხადია, ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა იწყება უკვე მაშინ, როდესაც სუბიექტი იძენს იარაღს დანაშაულის ჩასადენად ან აწარმოებს მოლაპარაკებას თანამონაწილეებთან, ე.ი. ასრულებს მხოლოდ მოსამზადებელ მოქმედებას. თუმცა სენატის პრაქტიკა ცალკეულ შემთხვევებში 1845 წ. დებულების მე-9 მუხლს ვიწროდ განმარტავდა და მცდელობად მარტო ისეთ მოქმედებას თვლიდა, რომელიც ობიექტურად დანაშაულის შემადგენლობის ნიშნის განხორციელებას წარმოადგენს<sup>1</sup>, მაგრამ მე-9 მუხლის ასეთი განმარტება სინამდვილეში კანონის აზრის შესწორება იყო, ხოლო კანონის ტექსტი, რა თქმა უნდა, დანაშაულის მომზადების დასჯის სრულ შესაძლებლობას იძლეოდა.

მეტად ფართოდ განსაზღვრავდა მცდელობას აგრეთვე დანიის 1886 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის მიხედვით მცდელობად ითვლებოდა „ყოველი მოქმედება, მიმართული იმაზე, რომ ხელი შეუწყოს დანაშაულებრივი ქმედობის შესრულებას ან გამოიწვიოს მისი შესრულება, თუ ეს მოქმედება არ იყო დამთავრებული“ (§45)<sup>2</sup>. ეს დადგენილება უცვლელად იქნა შეტანილი დანიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. თავისთავად ცხადია, რომ „მოქმედება, რომელიც მიმართულია იმაზე, რათა ხელი შეუწყოს დანაშაულებრივი შედეგის შესრულებას“, წარმოადგენს პირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად და მაშასადამე მოსამზადებელ მოქმედებას. ამას არ უარყოფენ არც თანამედროვე დანიელი კრიმინალისტები. ასე, მაგალითად, ფ. მარკუსი აღნიშნავს, რომ ამ დადგენილებით დასასჯელად ითვლება არა მარტო დანაშაულებრივი ქმედობის აღსრულების დასაწყისი, არამედ აგრეთვე მოსამზადებელი მოქმედებაც, რავინდ დაშორებული არ უნდა იყოს იგი დანაშაულის დამთავრებისაგან<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. Н.С. Таганцев, Русское уголовное право, Лекции, ч. общая, т. I, С.-П., 1902, стр. 696.

<sup>2</sup> Современное зарубежное уголовное право, т. I, изд. Иностр. литературы, М., 1957, стр. 140.

<sup>3</sup> Современное зарубежное уголовное право, т. I, изд. Иностр. литературы, М., 1957, стр. 140.

მოსამზადებელი მოქმედების დაუსჯელობის პრინციპს ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ზოგჯერ გვერდს უხვევენ იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ჰქმნიან სპეციალურ ე.წ. „შეკვეცილ“ შემადგენლობებს. ამ შემადგენლობების მიხედვით მოქმედება, რომელიც არსებითად დანაშაულის მომზადებას წარმოადგენს, ისევეა როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა ითვალისწინებს როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს საქურდლად, კაცის მოსაკლავად ან ყალბი ფულის გასაკეთებლად საშუალებების შეძენას. განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემადგენლობები თავებში სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ.

მოსამზადებელი მოქმედების დასასჯელად ზოგჯერ ბურჟუაზიული მოსამართლე მიმართავს სისხლის სამართლის კანონის განერცობით განმარტებას. ცნობილია, თუ რა ფართოდ განმარტავდნენ ფაშისტურ გერმანიაში სახელმწიფო დანაშაულის მზადების შემადგენლობას. ამასთან დაკავშირებით გერმანიის იმპერიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლაიპციგის კომენტარებში (1944წ.) ნათქვამი იყო: „კომუნისტების ყველა მიზანი და მისწრაფება გერმანიაში მოლალატურია. ის, ვინც ფულით ან სხვა სახის შეწირულებით დაეხმარება სახელმწიფო ლალატის მზადებისათვის დაპატიმრებულ პირს, ასრულებს 83 პარაგრაფის მეორე აბზაცის შემადგენლობას (სახელმწიფო ლალატის მომზადება).

ვინც წერილობით გამოხატა თავისი კომუნისტური სულისკვეთება ან თავისი განწყობა ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ და ამით დაადასტურა თავისი კომუნისტური განწყობა, ის უნდა დაისჯოს სახელმწიფო ლალატის მზადებისათვის...“<sup>1</sup>.

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კრიმინალისტიები, „უბრალო ადამიანური თანაგრძნობა ფაშიზმის მსხვერპლთა მიმართ სახელმწიფო ლალატად იყო გამოცხ-

---

<sup>1</sup> იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik. Allg. Teil, B., 1957, S. 451.

აღებული და შკაცრად ისჯებოდა, როგორც ღალატის განსაკუთრებით მძიმე ფორმა“<sup>1</sup>!

აღსანიშნავია, რომ დღევანდელ იმპერიალისტურ ქვეყნებშიც სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ფართოდ მიმართავენ მოსამზადებელი მოქმედებების დასჯადობას ამის შესაძლებლობას იძლევა ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში გამეფებული სუბიექტივიზმი, რომელიც არსებითად მოსამართლის თვითნებობაში გადადის.

---

<sup>1</sup> იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, 'Allg. Teil, B., 1957, S. 451.

**დანაშაულის მცდელობა**

**§ 1. საფრთხის ცნების გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების დადგენისათვის**

დამთავრებული დანაშაული გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის სრულ რეალიზაციას, მაშასადამე, იმ ზიანის განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებულია კანონში როგორც დანაშაულის შედეგი. მცდელობის დროს ის ზიანი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს წარმოადგენს, არ ხორციელდება.

მცდელობა მდგომარეობს ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც ჰქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ზიანის განხორციელების უშუალო საფრთხეს/ სწორედ ამ ნიშნით, ე.ი. სოციალისტური მართლწესრიგით დაცული ობიექტების დაზიანების უშუალო საფრთხის შექმნით, მცდელობა განსხვავდება როგორც დამთავრებული დანაშაულისაგან, ისე მოსამზადებელი მოქმედებისაგან. დამთავრებული დანაშაულის დროს არსებობს არა მარტო ობიექტის დაზიანების საფრთხე, არამედ უკვე რეალიზებული ზიანი, ხოლო დანაშაულის მომზადების დროს ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე ჯერ კიდევ არ არსებობს.

ამგვარად, დანაშაულის მცდელობა გულისხმობს ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც საფრთხეს ჰქმნის ამა თუ იმ ობიექტისათვის.

ეს ნათელი და უდავო დებულება, მისი უფრო ღრმად განხილვის დროს, დიდ სიძნელეს იწვევს. ამ სიძნელეს ჰქმნის საფრთხის ცნება, რომელიც საფუძვლად უდევს დაუმთავრებელ დანაშაულს.

საფრთხე, სისხლის სამართლის მნიშვნელობით, არის მენე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა. მაშასადამე, საფრთხის ცნება ეკუთვნის შესაძლებლობის კატეგორიას.

ბურჟუაზიული იურისტების დიდი უმრავლესობა საფრთხის ცნების განმარტების დროს ეყრება შესაძლებლობის სუბიექტურ-იდეალისტურ გაგებას. ამ შეხედულების მიხედვით, შესაძლებლობა ობიექტურად, რეალურად არ არსებობს, იგი არსებობს მარტოდენ სუბიექტის წარ-



მოდგენაში და გამოჰხატავს სუბიექტის მოლოდინის ხარისხს. ასე გაგებული შესაძლებლობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სუბიექტი ამა თუ იმ დარწმუნებულობით მოელის რაიმე გარემოების განხორციელებას. ამიტომ, ბურჟუაზიული მეცნიერების აზრით, როგორც თვით შესაძლებლობა, ისე მისი ხარისხი სავსებით დამოკიდებულია მსჯელობის სუბიექტის ცოდნაზე. ეხება რა მოსალოდნელობის გამოანგარიშების მთოღს, ბურჟუაზიული ნეო-კანტიანელი ფილოსოფოსი ზიგვარტი ლაპარაკობს: „ის, რაც ამგვარად შეიძლება იქნეს გამოანგარიშებული, არის მხოლოდ ჩვენი სუბიექტური მოლოდინის ხარისხი“...<sup>1</sup>

რეალური ცხოვრების სინამდვილეს, ბურჟუაზიული მეცნიერების აზრით, საქმე აქვს არა შესაძლებლობასთან, არამედ ან აუცილებლობასთან, ან შეუძლებლობასთან. აქედან დასკვნა: ადამიანის მოქმედება ან კაუზალურია შედეგისათვის, ან არაკაუზალური. შესაძლოა რამ აქ არ არსებობს.

თუ ამ მსჯელობას საფრთხის ცნებას შევეფარდებით, მივიღებთ შემდეგ ალტერნატივას. არსებობს მარტოოდენ ან მავნე, ან უვნებელი მოქმედება. საფრთხის შემქმნელი ანუ ნაწილობრივ კაუზალური მოქმედება რეალურ სინამდვილეში არ არსებობს. თუ მავნე შედეგი განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე მოქმედების მომენტში მოცემული იყო ის პირობები, რომელნიც აუცილებელს ხდიდნენ მის განხორციელებას. აუცილებლობა კი გამორიცხავს შესაძლებლობას. პირიქით, თუ მავნე შედეგი არ განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედების შესრულების მომენტშივე გადაწყდა მისი განხორციელების შეუძლებლობა; მაშასადამე მავნე შედეგის შესაძლებლობაზე ლაპარაკი არც კი შეიძლება<sup>2</sup>. და თუ ამა თუ იმ შემთხვევაში მაინც ვლაპარაკ-

<sup>1</sup> Зигварт, Логика, т. II, вып. I, 1908, стр. 265; იხ. აგრეთვე გვ. 273.

<sup>2</sup> ამ შეხედულებას რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში იზიარებდა პროფ. კოლოკოლოვი, რომელიც წერდა: „... თუ სუბიექტის მიერ ჩადენილმა მოქმედებამ არ გამოიწვია განზრახვი ქმედობის განხორციელება, ცხადია, ამ კონკრეტულ პირობებში მას არც შეუძლო გამოეწვია იგი და, მაშასადამე, იგი არც საშიში იყო. როგორც არ უნდა დაბოლოვდეს ესა თუ ის მოქმედება, ყოველ შემთხვევაში, ეს დაბოლოება წარმოადგენს იმ გარემოებათა აუცილებელ შედეგს, რომლებშიც სუბიექტი მოქმედებდა; მაგრამ თუ ჩვენ ვცნობთ განხორციელებული ფაქტების აუცილებლობას, სხვაგვარი შედეგის განხორციელება უკვე ყოველად დაუშვებლად უნდა ვაღიაროთ (Г. Колоколов, К учению о покушении, Москва, 1884, стр. 71-72).“

კობთ მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობაზე, ბურჟუაზიული იურისტების აზრით, ამით მხოლოდ იმას გამოვხატავთ, რომ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით უწყებული შემთხვევის ყველა კონკრეტული გარემოება, ან შიშის თუ ალელეების გამო მხედველობიდან გამოვკრჩა ზოგიერთი ფაქტი, რომელიც სინამდვილეში არსებობდა. ამგვარად, ბურჟუაზიული იურისტების შეხედულების თანახმად, სუბიექტური მსჯელობა საფრთხეზე პროლუქტია ადამიანის ცოდნის შეზღუდულობისა, იგი ყოველთვის ემყარება არასრულ მონაცემებს.

თავისთავად ცხადია, რომ საფრთხის ცნება, ასეთი წმინდა სუბიექტური მნიშვნელობით გაგებული, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის მცდელობის შინაარსის დადგენისათვის. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ ცნებას, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ რეალურ შინაარსს. საფრთხის ცნების სუბიექტური გაგება ემყარება ფორმალური ანუ აბსტრაქტული შესაძლებლობის ცნებას, რომელიც არსებითად გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ იგივეობას საკუთარ თავთან, ე.ი. ფორმალურ თავისუფლებას წინააღმდეგობისაგან. აი, სწორედ შესაძლებლობის ამ ფორმალურ-სუბიექტურ გაგებას ყბად იღებდა ლენინი, როდესაც ამბობდა: „შესაძლებელია ყოველგვარი გარდაქმნა, თვით სულელის გარდაქმნა ჭკვიანად... მაგრამ სინამდვილეში ასეთი გარდაქმნა იშვიათია“<sup>1</sup>.

ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი მაინც ცდილობს მოძებნოს საფრთხის სუბიექტურ ცნებაში რაიმე რეალური ელემენტი და გამოიყენოს საფრთხის ცნება დანაშაულის მცდელობის განმარტებისათვის. ამ რეალურ ელემენტად აღნიშნული ბურჟუაზიული იურისტები თვლიან ფსიქიკურ რეაქციას, შიშისა და მღელვარების იმ გრძობას, რასაც საზოგადოებაში ან დაზარალებულში განსაზღვრული მოქმედება იწვევს.

---

რეალური საფრთხის ცნებას უარყოფდა აგრეთვე გერმანელი კრიმინალისტი ბური. ბურის ზეგავლენით ეს შეხედულება გაიზიარა გერმანიის საიმპერიო სასამართლომ (რაიხსგერიხტმა), რომლის წევრიც ბური იყო. ამ სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო სენატის ერთ-ერთ განჩინებაში ნათქვამია: „უკეთუ მოქმედებამ კონკრეტულ შემთხვევაში უფლებრივი სიკეთე არ დააზიანა ეს აუცილებლად ადასტურებს, რომ მას არც შეეძლო იგი დაესიანებინა, ხოლო თუ მას არ შეეძლო იგი დაესიანებინა, ხოლო თუ მას არ შეეძლო ზიანის გამოწვევა, მაშასადამე, ამ მოქმედებას არც შეუქნია ობიექტური საშიშროება უფლებრივი სიკეთისათვის“ (იხ. R. Hippel, Deutsches Strafrecht, B. II. Berlin, 1930, S. 421).

<sup>1</sup> В. И. Ленин, соч, Изд. 3-е, Т. XIX, стр. 237.

ასეთი ცდა უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს. საფრთხის სუბიექტური განმარტება იმ შედეგამდე მიგვიყვანდა, რომ ამა თუ იმ მოქმედების აღიარება საშიშად ან არასაშიშად დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, შეაძინა თუ არა ეს მოქმედება იმ პირმა, ვის წინააღმდეგაც იგი იყო მიმართული. თუ მოქმედება ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც აღნიშნულმა პირმა უკვე გაიგო, რომ მას მანვე შედეგი არ მოჰყოლია, იგი საშიშ მოქმედებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მას შიშის ან აღელვების გრძნობა არ გამოუწვევია. ამავე დროს ობიექტურად სრულიად არასაშიშო მოქმედება უნდა ჩაითვალოს საშიშად და გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ მან ვინმეს შიშის გრძნობა აღუძრა. დაბოლოს, ერთი და იგივე მოქმედება შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც არასაშიშო, უკეთუ იგი მიმართულია მამაცი და აუშფოთებელი პირის წინააღმდეგ, და როგორც საშიშო- როდესაც იგი მიმართულია მხდალი და ნერვიული კაცის წინააღმდეგ. ამგვარად ქმედობის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია დამოკიდებული იქნება არა თვით მოქმედების თვისებებზე, არამედ იმ პირის ფსიქიკურ განცდებზე, ვისაც თავისი თავი განსაცდელში ჰგონია. ყოველივე აღნიშნულის გამო გასაგებია, რომ ამ თვალსაზრისმა თვით ბურჟუაზიული იურისტების წიაღშივე ჰპოვა უღმობელი კრიტიკა<sup>1</sup>.

ბურჟუაზიული იურისტების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი იმ შეხედულებას იზიარებს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და, კერძოდ, პასუხისმგებლობა მცდელობისათვის არ შეიძლება დასაბუთებულ იქნეს მხოლოდ სუბიექტური ნიშნების მეშვეობით, არამედ საჭიროა, რომ „მოქმედება, რომელშიც მართლსაწინააღმდეგოდ შედეგისაკენ მიმართულმა ნებამ ჰპოვა გამოხატულება, შეეხებოდეს იურიდიულ სფეროს თავისი ობიექტური მნიშვნელობით“<sup>2</sup>. მცდელობის ცნების ამ „ობიექტური“ მნიშვნელობის გამოსარკვევად ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი მიმართავს ისევ საფრთხის ცნებას, მაგრამ ცდილობს შეიტანოს ამ ცნებაში ერთგვარი „ობიექტური“ ელემენტები. ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში განსაკუთრებით გავრცელებულია ზოგადი ანუ აბსტრაქტული საფრთხის თეორია, რომელიც

<sup>1</sup> იხ. O. A. Germann, Über den Grund der Strafbarkeit des Versuchs, Aarau, 1914, S. 26-27.

<sup>2</sup> A. Finger, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, 1904, S. 297.

ემყარება ბურჟუაზიული მეცნიერის კრისის სწავლებას ე.წ. „ობიექტური შესაძლებლობის“ ცნების შესახებ<sup>1</sup>.

აბსტრაქტული საფრთხის თეორიის წარმომადგენლები არსებითად იმეფილოსოფიურ წანამძღვრებს ემყარებიან, როგორც საფრთხის სუბიექტური თეორიები. მათი აზრითაც, შესაძლებლობა რეალურ სინამდვილეში არსებული მდგომარეობის ასახვას კი არ წარმოადგენს, არამედ წმინდა სუბიექტურ მსჯელობას, რომელიც განპირობებულია სინამდვილის ყველა გარემოების არცოდნით და გამოხატავს ამა თუ იმ მოვლენის განხორციელების სუბიექტურ მოლოდინს, რომელიც ამ არცოდნას ემყარება.

რა მნიშვნელობით ლაპარაკობს კრისი „ობიექტურ შესაძლებლობაზე“?

„ობიექტურ შესაძლებლობაზე“ მსჯელობისათვის, კრისის აზრით, მოვლენა არ უნდა იქნეს აღებული მთელი მისი კონკრეტული, ინდივიდუალური გარემოებების პირობებში. „ობიექტური შესაძლებლობის“ ცნება გულისხმობს შეგნებულ აბსტრაქციას ამ მოვლენის ინდივიდუალური თავისებურებებისაგან და მისი მხოლოდ ზოგადი, ტიპური, აბსტრაქტული თვისებების მხედველობაში მიღებას. ამგვარად, ბურჟუაზიული თეორისტების მიხედვით, მსჯელობა ობიექტურ შესაძლებლობაზე იმას კი არ ნიშნავს, რომ უწყვეტულ კონკრეტულ პირობებში არსებობდა რეალური შესაძლებლობა ამა თუ იმ შედეგის განხორციელებისა, არამედ იმას, რომ საზოგადოდ, ტიპურად, ამგვარი ხასიათის მოვლენებს მოსდევთ ხოლმე ამგვარი ხასიათის შედეგები. ეს არის მსჯელობა არა კონკრეტული, არამედ აბსტრაქტული შესაძლებლობის შესახებ. ასეთ მჯელობას, კრისის აზრით, საფუძვლად უდევს საშუალო ცოდნა და საშუალო გამოცდილება, ერთის მხრით, ფაქტების შესახებ, ხოლო, მეორე მხრით, მოვლენების კანონზომიერ კავშირთა შესახებ.

„ობიექტური შესაძლებლობის“ თეორიის საფუძველზე მრავალი ბურჟუაზიული კრიმინალისტი განმარტავს მცდელობას როგორც ისეთ მოქმედებას, რომელიც საზოგადოდ გამოსადეგია იმისათვის, რათა გამოიწვიოს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი.

---

<sup>1</sup> Kries, Über den Begriff der objektiven Möglichkeit und einige Anwendungen desselben, 1888. კრისის სწავლება „ობიექტური შესაძლებლობის“ შესახებ გამოყენებულ იქნა ბურჟუაზიული თეორისტების მიერ არა მარტო საფრთხის ცნების განსახილველათვის, არამედ აგრეთვე ე.წ. ადვკატური მიზეზობრივი კავშირის შექმნისათვის

პირიქით, ისეთი მოქმედება, რომელსაც არა აქვს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევის აბსტრაქტული უნარი, ამ კრიმინალისტების აზრით, გამორიცხულ უნდა იქნეს დასჯადი მცდელობის სფეროდან<sup>1</sup>.

აბსტრაქტული საფრთხის თეორიის გადმოცემამ გვიჩვენა, რომ ეს თეორია ბოლოს და ბოლოს იმავე ფილოსოფიურ წანამძღვრებს ეყარება, რომელსაც საფრთხის სუბიექტური თეორია ეყარებოდა. როგორც პირველი, ისე მეორე თეორია ამჟღავნებს, რომ საფრთხეზე მსჯელობა თავისი ბუნებით უეჭველად სუბიექტური ხასიათისაა. როგორც პირველი, ისე მეორე თეორია საფრთხეზე მსჯელობის დროს აბსტრაგირებული რეალური სინამდვილისაგან განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საფრთხეზე სუბიექტური მსჯელობის დროს მხედველობაში არ მიიღება ისეთი ფაქტები, რომელნიც ცნობილი არ იყო მსჯელობის სუბიექტისათვის, ხოლო საფრთხის აბსტრაქტული გაგების დროს განზრახ და შეგნებულად არ იღებენ მხედველობაში ზოგიერთ პირობებს, რომელთაც ზოგადი, ტიპური ხასიათი არა აქვთ მართლაც, თვით კრისი მის მიერ დადგენილი შესაძლებლობის ცნებას „ობიექტურ შესაძლებლობას“ უწოდებს, მაგრამ ეს „ობიექტური შესაძლებლობა“ მას სრულიადაც არ ესმის როგორც რეალობა, როგორც ნივთთა, საგანთა ობიექტური მდგომარეობა, რომელიც არსებობს მსჯელობის სუბიექტის გარეშე და მხოლოდ აისახება მის ცნობიერებაში. კრისი შესაძლებლობის „ობიექტურ“ ხასიათს იმაში ხედავს, რომ მსჯელობა შესაძლებლობაზე საშუალო ცოდნას ეყარება და ამიტომ მას საყოველთაოდ სავალდებულო ხასიათი აქვს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. მაგალითად, კრისი, დასახ. ნაშრ., გვ. 78-88; M. Liepmann, Einleitung in das Strafrecht, Berlin, S. 70, Henckel, Der Gefahrbegriff im Strafrecht, 1930, S. 37 ff.

<sup>2</sup> შესაძლებლობის ამ სუბიექტურ-იდეალისტურ ხასიათზე ამჟღავნებს ლაპარაკობენ როგორც კრისი, ისე სხვა ბურჟუაზიული თეორიებიც. მაგალითად, ბურჟუაზიული თეორიისტი მიჩიკა წერს: „რადგანაც ამ საშუალო მსჯელობას უეჭველად სუბიექტური ხასიათი აქვს, ამიტომ სწორი არიან ისინი, ვინც მოუთხოვენ საფრთხის ცნების ამ სუბიექტურ მხარეზე. მეორე მხრით, მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ, რომ ასეთი საშუალო მსჯელობა დროის განმავლობაში სტაბილური ხდება, რომ ის წარმოადგენს საფრთხის ელემენტს, რომელიც არსებითად მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში არსებობდა, შემდგომ თვით გარკვეულ სიტუაციაზე გადაგვაქვს და რომ საშუალო მსჯელობა ამ მნიშვნელობით ერთგვარ ობიექტურ ხასიათს ღებულობს“ (A. Miricka, Die Formen der Strafschuld und ihre gesetzliche Regelung, Leipzig, 1903, S. 147; ასევე Traeger, Der Kausalbegriff im Straf- und Zivilrecht, 1929, S. 120-121).

მაგრამ „ობიექტური შესაძლებლობის“ სახელწოდება არ გადა-  
ატყვეს ამ ცნებას მართლაცდა ობიექტური მდგომარეობის გამოშ-  
ატველ ცნებად. კრისი და მისი მიმდევრები ახალი სახელწოდებით  
ცდილობენ გაათრიონ აგნოსტიციზმის ძველი შეხედულებანი. კრი-  
სის „ობიექტურ შესაძლებლობას“ მშვენივრად უდგება ვი. ლენინის  
სიტყვები, ნათქვამი „დიდი ფიზიკოსის და პატარა ფილოსოფოსის“ ა.  
პუანკარეს შესახებ: „ამასთანავე პუანკარე ობიექტურად თვლის საყ-  
ოველთაოს, უმრავლესობის ან ყველას მიერ ცნობილს – ეი. როგორც  
ყოველი მახისტი წმინდა სუბიექტივისტურად სპობს ობიექტურ ჭეშ-  
მარიტებას... საესებით ცხადია, რომ ახალი ტერმინები ოდნავადაც არ  
ცვლიან აგნოსტიციზმის უძველეს ფილოსოფიურ ხაზს, ვინაიდან  
პუანკარეს „ორიგინალური“ თეორიის დედაარსი გამოიხატება ობიექ-  
ტური რეალობისა და ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყ-  
ოფაში (თუმცა იგი სრულიადაც ვერ იჩენს თანამიმდევრობას)...<sup>1</sup>

რით აიხსნება ის გარემოება, რომ მაშინაც კი, როდესაც ბურჟუა-  
ზიული იურისტები ცდილობენ შესაძლებლობის ცნებას ობიექტური  
ხასიათი მიაწერონ, ისინი სუბიექტივიზმს თავს ვერ აღწევენ და შესა-  
ძლებლობის ცნების „გაობიექტივებას“ მხოლოდ აბსტრაქციის მეშვეო-  
ბით ახერხებენ? – ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არ არის.  
სუბიექტური შეხედულება შესაძლებლობის ცნებაზე ლოგიკური აუცი-  
ლებლობით გამომდინარეობს ბურჟუაზიული იურისტების სუბიექტურ-  
იდეალისტური შეხედულებიდან მიზეზობრიობის კავშირის შესახებ.  
იმისდა მიუხედავად, თუ, სახელდობრ, რა ფილოსოფიურ თეორიას  
იზიარებენ ბურჟუაზიული იურისტები ამ კავშირის შესახებ – იუმის  
თეორიას, რომლის მიხედვით მიზეზობრივი კავშირი ჩვეულებისა და  
მის მიერ გამოწვეული რწმენის სუბიექტურ-ფსიქოლოგიური პროდუ-  
ქტია, თუ კანტის თეორიას, რომლის მიხედვით იგი წმინდა რაციონა-  
ლური ცნებაა, შემეცნების კატეგორიაა, რომელიც თვით შესაძლებელს  
კქმნის. ცდას – ყველა მათგანი შეთანხმებულია იმ მხრით, რომ  
უარყოფს გარეშე სამყაროს ობიექტურ კანონზომიერებას, დამოუკი-  
დებელს ადამიანის შეგნებისაგან. „განსხვავება კანტისა და იუმის  
მიზეზობრიობის თეორიებს შორის, – ლაპარაკობს ლენინი, – ეს

<sup>1</sup> ვი. ლენინი, თხზ., გამ. მე-4, ტ. XIV, გვ. 202.

არის მეორეხარისხოვანი განსხვავება აგნოსტიკოსებს შორის, რომელნიც ერთმანეთს უთანხმდებიან ძირითადად: ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყოფაში, და ამით იძულებული არიან ესა თუ ის იდეალისტური დასკვნები გააკეთონ<sup>1</sup>.

ერთ-ერთი ასეთი დასკვნა მიზეზობრიობის კავშირის სუბიექტური იდეალისტური შეხედულებიდან არის შესაძლებლობის ობიექტური ბუნების უარყოფა... ის, ვინც უარყოფს მიზეზობრივ ურთიერთობათა რეალობას, იძულებულია, რა თქმა უნდა, უარყოს რეალური შესაძლებლობის ცნებაც. რეალური შესაძლებლობის არსებობის დამტკიცება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მიზეზობრივ კავშირთა რეალობას ცნობს.

ამრიგად, თუ საფრთხის ე.წ. „ობიექტური თეორია“ ფაქტიურად იმავე სუბიექტური თეორიის ძირითად პრინციპზეა აგებული, ე.ი. სუბიექტურ წარმოდგენაზე მავნე შედეგის განხორციელების შესახებ, მაშინ მის წინააღმდეგ შეიძლება წამოყენებულ იქნეს იგივე მოსაზრებანი, რომელნიც საფრთხის სუბიექტური თეორიის წინააღმდეგ მოგვეყვდა: დასჯა შეიძლება მხოლოდ იმისათვის, რაც სინამდვილეში არსებობს, და არა იმისათვის, რაც მარტოოდენ ჩვენი ცნობიერების პროდუქტია.

დაბოლოს, თავიც რომ დავანებოთ აბსტრაქტული შესაძლებლობის ყალბსა და შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე ცნებას, იგი წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც გამოუსადეგარია საშიშ და უსაშიშრო მოქმედებათა გამიჯვნისათვის. როგორც აღვნიშნეთ, მსჯელობა მოქმედების საშიშროების შესახებ, ამ თეორიის თვალსაზრისით, დასაბუთებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება აბსტრაქცია განსაზღვრული პირობებისაგან, რომელნიც მარტოოდენ კონკრეტულ სიტუაციას ახასიათებს, და მხედველობაში მიღებულია მხოლოდ ზოგადი ხასიათის მქონე პირობები, მაგრამ როგორი უნდა იყოს ამ აბსტრაქციის ხარისხი? რა პირობები უნდა ჩაითვალოს ზოგად პირობებად, ხოლო რა პირობები – ინდივიდუალურ პირობებად, რომელნიც სათვალავში არ იქნებიან მიღებული მოქმედების საშიშ ხასიათზე მსჯელობის დროს? – „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორია ამ საკითხზე პასუხს არ იძლევა. იგი არც ცდილობს განსაზღვროს შესაძლებლობის ის ხარისხი, რომელიც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზ., გამ. მე-4, ტ. XIV, გვ. 15.

პასუხისმგებლობისათვის. როგორც თვით კრისი, ისე მისი მიმდევრები აცხადებენ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებული უნდა იყოს სასამართლოს თავისუფალ მიხედვულებაზე.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა ბურჟუაზიული იურისტების მიერ შემთხვევითი არ არის. ისინი ცდილობენ იურიდიულად დაასაბუთონ და დააკნინონ ის თვითნებობა, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია იმპერიალიზმის პერიოდის ბურჟუაზიული იუსტიციისათვის. მოსამართლეს ფართო გასაქანი ეძლევა, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში თავისუფლად განსაჯოს „აბსტრაქტული შესაძლებლობის“ ის ხარისხი, რომელიც საკმარისია პასუხისმგებლობისათვის. მას შეუძლია უსასრულოდ გააფართოვოს პასუხისმგებლობის ფარგლები, თუ ეს საჭიროა მშრომელთა წინააღმდეგობის დასათრგუნავად და, პირიქით, შეზღუდოს ეს ფარგლები, თუ ამას მოითხოვს გაბატონებული კლასის ინტერესები. სწორედ ამ მოქილობის, ელასტიურობის გამო აბსტრაქტული საფრთხის თეორია, ფართოდ არის გავრცელებული იმპერიალიზმის პერიოდის ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში.



საფრთხის ნამდვილი არსი შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ შესაძლებლობის ცნების შინაარსის გამორკვევის საფუძველზე. შესაძლებლობა სინამდვილის განვითარების პროცესს წარმოადგენს. შესაძლებლობა უნდა განვასხვავოთ სინამდვილისაგან. ერთის მხრით შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე. როგორც დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, „ახალი იბადება ძველის წიაღში; ძველის განვითარების პროცესში: უკვე ძველშია ახლის წარმოშობის შესაძლებლობა“<sup>1</sup>. „მაგრამ ეს ახალი არსებობს არა როგორც ნამდვილი, მოქმედი, არამედ როგორც შესაძლებლობა“<sup>2</sup>. თუ შესაძლებლობა სინამდვილის განხორციელების პროცესს წარმოადგენს, მაშინ იგი აუცილებლად გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როცა განსაზღვრული

<sup>1</sup> დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, თსუ გამოცემა, თბ., 1955, გვ 292.

<sup>2</sup> იქვე.



მოვლენა ჯერ არ განხორციელებულა, ჯერ კიდევ არ გადაქცეულა სინამდვილედ, მაგრამ, მეორეს მხრივ, შესაძლებლობა სინამდვილის გარკვეულ მხარეს წარმოადგენს, რამდენადაც შესაძლებელია მხოლოდ ის, რასაც აქვს სინამდვილედ გადაქცევის უნარი, სინამდვილედ გადაქცევის ტენდენცია. ამ მხრივ რეალური შესაძლებლობა უნდა განვასხვავოთ ფორმალური ანუ ლოგიკური შესაძლებლობის ცნებისაგან. ფორმალურად შესაძლებელია, ყველაფერი, რაც შინაგან წინააღმდეგობას არ შეიცავს, როგორც მაგალითად ხის რკინა. ფორმალური შესაძლებლობის თვალსაზრისით „უაღრესად აბსურდული და უაზრო რამეც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შესაძლებლობა. შეიძლება ამ საღამოს მთვარე დაეცეს დედამიწას... შეიძლება ოსმალეთის სულთანი პაპი გახდეს, ვინაიდან იგი ადამიანია, მან შეიძლება მიიღოს ქრისტეს რჯული, გახდეს კათოლიკე მღვდლად და ა.შ.“<sup>1</sup>.

რეალური შესაძლებლობა წარმოადგენს სინამდვილის მხარეს, რამდენადაც უკვე არსებულ სინამდვილეში მოიპოვება ქმედითი პირობები, რომელთაც აქვთ ტენდენცია სინამდვილედ გადაქცევისა, უნარი წარმოშვან განსაზღვრული შედეგი. რეალურად შესაძლებელი მხოლოდ ის არის, რაც ობიექტური პირობებით არის განსაზღვრული. შესაძლებლობა როგორც სინამდვილის მხარე „შესაძლებლობაა ახალი, მოძალადე სინამდვილისათვის, იმ სინამდვილის, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, ჯერ არ არსებობს“<sup>2</sup>.

მაგრამ თუ შესაძლებლობას თავისი საფუძველი სინამდვილეში აქვს, ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი საფუძველი წინააღმდეგობრივია და ამიტომ შეიძლება განვითარდეს საწინააღმდეგო მიმართულებითაც. როდესაც ვმსჯელობთ, რომ რაიმე მოვლენის განხორციელება შესაძლებელია, ამით ვადასტურებთ, რომ რეალურ სინამდვილეში მოცემულია განსაზღვრული პირობები, რომელთაც კანონზომიერად უნდა მოჰყვეს ამ მოვლენის განხორციელება, მისი სინამდვილედ გადაქცევა. მაგრამ ამავე სინამდვილეში შეიძლება არსებობდნენ სხვა ქმედითი პირობებიც, რომელთაც შეუძლიათ განვითარების პროცესი სხვა მიმართულებით წარმართონ.

<sup>1</sup> Гегель, Сочинения, т. 1, Логика, 1930, стр. 241.

<sup>2</sup> დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, 1955, გვ. 293.

აქედან ცხადია, რომ ის სინამდვილე, რომელიც შესაძლებლობის სფეროში ძვეს, ე.ი. პოტენციალური სინამდვილე ყოველთვის პრობლემატურია, ხოლო თვით მოვლენის განხორციელება ამ პრობლემის გადაჭრას წარმოადგენს. მოვლენის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, რომ ქმედითი პირობები თანდათანობით ძლიერდებიან და სძლევენ მოვლენისათვის ხელშემშლელი პირობების წინააღმდეგობას. სხვადასხვა შესაძლებლობათა წრე თანდათანობით იზღუდება, საწინააღმდეგო შესაძლებლობანი თანდათან ისპობიან და როდესაც პირობათა მთელი ერთობლიობა უკვე განხორციელებულია, განსაზღვრული შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა.

სინამდვილის განხორციელების, ე.ი. შესაძლებლობის ნამდვილობად გადაქცევის პროცესთან დაკავშირებით წარმოიშევა შესაძლებლობის ხარისხების საკითხი. რაც უფრო ინტენსიურია ქმედითი პირობების ძალა და, პირიქით, სუსტია ხელშემშლელი პირობების ძალა, რაც უფრო დიდია შედეგისათვის ხელშემწყობი პირობების წრე, მით უფრო დიდია რაიმე მოვლენის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხი, და პირიქით.

დიალექტიკური მატერიალიზმის მიერ შემუშავებული ცნება შესაძლებლობის შესახებ მკვეთრად განსხვავდება ბურჟუაზიული იურისტების „ობიექტური“ ანუ აბსტრაქტული შესაძლებლობის ცნებისაგან. კრისი და მისი მიმდევრები თვლიან თავისი „ობიექტური შესაძლებლობის“ ცნებას არა რეალური შინაარსის, არამედ ფორმალურ-სუბიექტური ხასიათის მატარებელ ცნებად. ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ შესაძლებლობა გვესმის როგორც რეალური შინაარსის შემცველი, ვინაიდან მისი არსებობისათვის აუცილებელია, რომ რეალურ სინამდვილეში არსებობდეს მისი განხორციელების ქმედითი პირობები, ე.წ. „ობიექტური შესაძლებლობის“ ცნება წარმოადგენს აბსტრაქტული ხასიათის ცნებას, იგი აგებულია კონკრეტული სინამდვილისაგან აბსტრაგირების შედეგად. ჩვენის აზრით კი, შესაძლებლობის ცნება გულისხმობს კონკრეტულ შინაარსს, მისი არსი სინამდვილის კონკრეტული პირობების თანაფარდობიდან დგინდება. „ობიექტურ შესაძლებლობას“ საქმე აქვს მხოლოდ წარმოსახულ, ადამიანის ცნობიერებაში არსებულ შესაძლებლობასთან. ხოლო დიალექტიკური მატერიალიზმისათვის შესაძლებლობა ჩვენი

მსჯელობის პროდუქტი კი არ არის, არამედ მისი ობიექტია. ე.წ. „ობიექტური შესაძლებლობის“ ცნება ლოგიკური თანამიმდევრობით გამომდინარეობს მიზეზობრივი კავშირისა და კანონზომიერების ცნების სუბიექტურ-იდეალისტური გაგებიდან, დიალექტიკური მატერიალიზმისათვის კი შესაძლებლობის ცნება აუცილებელი დასკვნაა ჩვენს გარეშე არსებული ობიექტური სამყაროს რეალობის, მიზეზობრივ კავშირთა რეალობის აღიარებიდან. მსჯელობა ე.წ. „ობიექტურ შესაძლებლობაზე“ ადამიანის ცოდნის შეზღუდულობის ნაყოფია. პირიქით, ჩვენი მსჯელობა შესაძლებლობის შესახებ ემყარება სინამდვილის პირობებისა და იმ კანონების ცოდნას, რომელნიც ამ სინამდვილეში მოქმედებენ. მსჯელობა ე.წ. „ობიექტურ შესაძლებლობაზე“ გაურკვეველი და არათვალსაჩინოა, მაშინ როდესაც დიალექტიკური მატერიალიზმის მსჯელობას შესაძლებლობის შესახებ გარკვეულობა და თვალსაჩინოება ახასიათებს.

თუ ჩვენ შესაძლებლობის ცნებას საფრთხის ცნების განმარტებისათვის გამოვიყენებთ, დავინახავთ, რომ საფრთხე, ე.ი. მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როდესაც კონკრეტულ სინამდვილეში მოცემულია მისი განვითარების ქმედითი პირობები, რომლებიდანაც კანონზომიერად მოსალოდნელია მავნე შედეგის ნამდვილად განხორციელება. როდესაც ჩვენ ვხედავთ ჩამოზვაკებულ კლდეს, ჩვენ ვამბობთ, რომ სახლს, რომელიც ამ კლდის ძირში დგას, ნგრევის რეალური საშიშროება მოელის. დაე, ბურჟუაზიულმა კრიმინალისტებმა ამტკიცონ — თუ ადამიანის შეგნებული მოქმედების წყალობით კლდის ჩამოზვაკება თავიდან იქნა აცილებული ან მისი დაცემა სხვა მხარეს იქნა წარმართული, — თავიდანვე არავითარი საფრთხე არ ყოფილაო. ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ სახლის დანგრევის საშიშროება არსებობდა რეალურად და კონკრეტულად, რომ ამ საშიშროების საფუძველი იყო კლდის უკვე დაწყებული ჩამოწოლა და რომ ადამიანის მოქმედებამ ხელი შეუშალა ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევას.

ეს რეალური საფრთხე, რეალური და უშუალო შესაძლებლობა დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობისა არსებობს დანაშაულის მცდელობის დროს. სწორედ ამიტომ წარმოადგენს დანაშაულის

მცდელობა, მის მომზადებასთან შედარებით, უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველ მოქმედებას და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მიუხედავად მოსამზადებელი მოქმედების პრინციპული დასჯადობისა, ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში იგი იშვიათად ისჯება, ხოლო მცდელობა, პირიქით, როგორც საერთო წესი, სასჯელს იწვევს. ამ გარემოებაზე ზოგჯერ ის კრიმინალისტებიც მიუთითებენ, რომელთა აზრით, ჩვენს კანონმდებლობაში წაშლილია ყოველგვარი ზღვარი მცდელობასა და მოსამზადებელ მოქმედებას შორის. ასე, მაგალითად, პროფ. მოკრინსკი აღნიშნავდა: „...როდესაც საქმე გვაქვს ისეთ მოქმედებასთან, რომელსაც ჩვეულებრივად მცდელობად თვლიან, მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათის საკითხის გადაწყვეტისათვის არ არის საჭირო ჩაფიქრება. მაგრამ როდესაც ისეთი მოქმედების ნიშნები გვაქვს, რომელსაც ჩვეულებრივად მომზადებას აკუთვნებენ, სასამართლომ ფრთხილად უნდა გადაჭრას საკითხი, სოციალურად საშიშია თუ არა მოქმედება და არის თუ არა პოლიტიკურად მიზანშეწონილი სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა გამოყენება“<sup>1</sup>. მცდელობის დანაშაულებრივი ხასიათის საკითხის გადაჭრას „არ სჭირდება ჩაფიქრება“ სწორედ იმიტომ, რომ მცდელობა დანაშაულებრივი საქმიანობის დაბოლოების უშუალო და რეალურ შესაძლებლობას შეიცავს.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი ილაშქრებს იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომ მცდელობა დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის რეალურ შესაძლებლობას შეიცავს. ასე, მაგალითად, ნ. კუზნეცოვას აზრით, მცდელობა შედეგის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას კი არ შეიცავს, არამედ მის აუცილებლობასაც; ხოლო დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, ნ. კუზნეცოვას აზრით, უკვე დანაშაულის მოსამზადებელ მოქმედებაში მოცემული.

თუ მივიღებთ, — წერს ნ. კუზნეცოვა, — რომ მცდელობა შედეგის განხორციელების მხოლოდ რეალურ შესაძლებლობას ჰქმნის, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, თითქოს შესაძლებლობა თავისთავად გარდაიქმნება სინამდვილედ (ამ შემთხვევაში — დანაშაულებრივი

<sup>1</sup> С.П. Мокринский, Покушение и приготовление в советском праве. „Советское право“, 1927, N 1, стр. 65.

შედგის ნამდვილად განხორციელებად), ვინაიდან დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად არავითარი სხვა მოქმედება არ არის საჭირო, გარდა იმ მოქმედებისა, რომლითაც ხორციელდება მცდელობა — ან სრულდება დანაშაული — ეს სულერთია. დანაშაულის აღმსრულებელ მოქმედებას კანონზომიერად და აუცილებლობით მოყვება დანაშაულებრივი შედეგი. დანაშაულებრივი მოქმედების გაწყვეტა შესრულების სტადიაზე გვაძლევს დანაშაულის მცდელობას<sup>1</sup>.

ნ. კუზნეცოვას ზემოთ მოყვანილი მსჯელობა, ჩვენის აზრით, გაუგებრობაზეა აგებული.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ნ. კუზნეცოვას იმაში, თითქოს დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება იძლევა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ და უშუალო საშიშროებას. რა თქმა უნდა, საფრთხის ცნება — ფარდობითი ცნებაა და შედეგის განხორციელების რაღაც, თუმცა მეტად უმნიშვნელო საშიშროება მოსამზადებელი მოქმედების დროსაც არსებობს. მაგრამ მოსამზადებელი მოქმედების ხასიათი და ამ მოქმედების სიშორე დანაშაულის დაბთავრების სტადიიდან საფუძველს არ გვაძლევს მივაწეროთ მას ვნების წარმოშობის უშუალო და რეალური საშიშროება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ნ. კუზნეცოვა ერთმანეთში ურევს შესაძლებლობისა და აუცილებლობის ცნებებს. შესაძლებლობა შეიცავს მოვლენის განხორციელების ტენდენციას, მაგრამ იგი შეიძლება სინამდვილედ არ გადაიქცეს. „სინამდვილის განვითარების პროცესი წინააღმდეგობათა ბრძოლის პროცესია: ორი საწინააღმდეგო მომენტი ებრძვის ერთმანეთს; ეს იმის მაჩვენებელია, რომ თვით სინამდვილეში არის შესაძლებლობა იმისა, რომ ამ ბრძოლის პროცესში ან ერთი გაიმარჯვებს ან მეორე“<sup>2</sup>.

სწორედ ეს მომენტი ახასიათებს მცდელობას. მცდელობა ხომ ყოველთვის გულისხმობს იმას, რომ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელებულა. ეს იმიტომ ხდება, რომ დანაშაულებრივი შედე-

---

<sup>1</sup> Н.Ф. Кузнецова; Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву. Изд. Моск. унверс., М., 1958, стр. 81-82.

<sup>2</sup> დალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, 1955, გვ. 294.

გის წარმოშობის საშიშროებას, რომელიც ადამიანის მოქმედებითაა შექმნილი, წინაღუდგა სხვა შესაძლებლობა. რეალურ სინამდვილეში თავი იჩინეს სხვა პირობებმა, რომლებმაც ხელი შეუშალეს შედეგის განხორციელებას.

შესაძლებლობის ამ წინააღმდეგობრივი ხასიათის უგულვებელყოფამ და შესაძლებლობის მაგივრად აუცილებლობის ცნების გამოყენებამ ნ. კუზნეცოვა შემდეგ შეუსაბამო დასკვნამდე მიიყვანა: „მოქმედება, რომლითაც მცდელობა ხორციელდება, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების მხოლოდ რეალურ შესაძლებლობას როდი შეიცავს, იგი წარმოადგენს სუბიექტის შემოქმედ, მიზეზობრივ საქმიანობას, რომელიც შედეგის განხორციელების შესაძლებლობას, რაც მოსამზადებელი მოქმედებით არის შექმნილი, სინამდვილედ — განხორციელებულ დანაშაულებრივ შედეგად აქცევს“<sup>1</sup>. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ თუ შედეგი უკვე განხორციელდა, ეს დამთავრებული დანაშაულია, და არა მცდელობა. ამ არეუ-ღარეუამდე კუზნეცოვა იმის გამო მივიდა, რომ მცდელობაში იგი შედეგის განხორციელების აუცილებლობას ხედავს.

შრომის სხვა ადგილებში ნ. კუზნეცოვა ცდილობს თავიდან აიცილოს ეს შეუსაბამო დასკვნა და შემდეგ ფორმულას აყენებს: „მოქმედება, რომლითაც ხორციელდება მცდელობა, ისეთია, რომ თუ დანაშაულებრივი საქმიანობა დაუბრკოლებლად განვითარდა, იგი თვით იწვევს დანაშაულებრივ შედეგს, დანაშაულის შესრულებისაკენ მიმართული მოქმედების კანონზომიერ დაბოლოებას“<sup>2</sup>. პირიქით, „მოსამზადებელი მოქმედება, ჰქმნის რა ზიანის მიყენების პირობებს, წანამძღვრებს, შესაძლებლობას, თავისით არასდროს არ გამოიწვევს შედეგს“<sup>3</sup>.

სინამდვილეში ადამიანის მოქმედება, იზოლირებულად, თავისთავად აღებული, არასდროს არ იწვევს დანაშაულებრივ შედეგს. ყოველი დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობისათვის აუცილებელია პირობათა ერთობლიობა, რომლის გამოკლების შემთხვევაში შედეგი არ განხორციელდებოდა. მაგალითად, ადამიანს სურს მოწამლოს სხვა ადამიანი და სასმელში საწამლავს ურევს. დანაშაულებრივი შედეგის წარ-

<sup>1</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

<sup>2</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

<sup>3</sup> იქვე.

მოშობისათვის აუცილებელია მეორე პირმა ეს სასმელი დალიოს. საწამლავის მიწოდება ადამიანისათვის მკვლელობის მცდელობაა, თუმცა საწამლავის მიწოდებით შედეგი თავისთავად არ განხორციელდება. ხოლო კუზნეცოვას აზრით, აქ გვექნება არა მცდელობა, არამედ მოსამზადებელი მოქმედება, ვინაიდან თვით ეს მოქმედება შედეგს არ გამოიწვევს.

ის შეხედულება, რომ მცდელობა შეიცავს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ საფრთხეს, გაკრიტიკებულია საბჭოთა ლიტერატურაში საწინააღმდეგო თვალსაზრისითაც. ასე, მაგალითად, პროფ. ნ. ღურმანოვის აზრით, მცდელობა ყოველთვის როდი ქმნის დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ საფრთხეს. „ეს სწორია მცდელობის ძალიან ბევრი შემთხვევის მიმართ, — აღნიშნავს ნ. ღურმანოვი, — მაგრამ ზოგჯერ... მცდელობას ისეთი ხასიათი აქვს, რომ იგი არ ჰქმნის ობიექტისათვის რეალურ საფრთხეს“<sup>1</sup>. ასეთი ხასიათის მცდელობად ნ. ღურმანოვი თვლის მცდელობას უვარგისი საშუალებებით და უვარგის ობიექტზე, როდესაც მოქმედებას არათუ კონკრეტულ შემთხვევაში არ გამოუწვევია ობიექტის დაზიანება, არამედ არც შეეძლო იგი გამოეწვია<sup>2</sup>.

რამდენადაც პროფ. ნ. ღურმანოვის მოსაზრება შეეხება მხოლოდ უვარგის მცდელობას, ამ მოსაზრებას ჩვენ დაწვრილებით შევხებით უვარგისი მცდელობის საკითხის განხილვის დროს. ეხლა კი აღვნიშნავთ, რომ თუ მოქმედება არ შეიცავს დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის ტენდენციას, ე.ი. თუ შედეგის წარმოშობა ამ მოქმედებიდან კანონზომიერად მოსალოდნელი არ იყო, ასეთი მოქმედება, ჩვენის აზრით, არც შეიცავს მცდელობის ნიშნებს, არამედ იგი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ როგორც მოსამზადებელი მოქმედება ან როგორც დანაშაულებრივი განზრახვის გამოვლინება.

<sup>1</sup> Н.Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1955, стр. 111.

<sup>2</sup> Н.Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1955, стр. 49.

## §2. დანაშაულის მცდელობის ცნების განსაზღვრება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

დანაშაულის მცდელობის ცნების განსაზღვრება საბჭოთა სისხლის სამართალში პირველად მოცემული იყო რსფსრ-ის 1919 წლის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში./სახელმძღვანელო საწყისების მე-18 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება მოქმედება, მიმართული დანაშაულის ჩასადენად, როდესაც მისმა ჩამდენმა შეასრულა ყოველივე, რასაც საჭიროდ თვლიდა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ დადგა მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. ეს განსაზღვრება მეტად არასრულყოფილი იყო. იგი მოიცავდა მხოლოდ დამთავრებულ მცდელობას და არაფერს ამბობდა დაუმთავრებელ მცდელობაზე, ე.ი. ისეთ მცდელობაზე, როდესაც პირს არ შეუსრულებია ყოველივე ის, რაც მას საჭიროდ მიაჩნდა დანაშაულის ჩასადენად.

ეს ნაკლი გამოასწორა რსფსრ-ის 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსმა. ამ კოდექსის მე-13 მუხლი შემდეგნაირად განსაზღვრავს მცდელობას: „დანაშაულის მცდელობად ითვლება მოქმედება, მიმართული დანაშაულის ჩადენაზე, როდესაც მისმა ჩამდენმა არ შეასრულა ყოველივე ის, რაც აუცილებელი იყო მისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ან როდესაც მან თუმცა შეასრულა ყოველივე, რასაც აუცილებლად თვლიდა, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ დადგა მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

ამ განსაზღვრებაში გამოსწორებულია 1919 წლის სახელმძღვანელო საწყისების ნაკლოვანება: იგი მოიცავს არა მარტო დამთავრებულ, არამედ აგრეთვე დაუმთავრებელ მცდელობასაც. მაგრამ, მეორე მხრივ დაუმთავრებელი მცდელობა იძენდა ფართოდ არის განმარტებული, რომ არსებითად იგი მოსამზადებელ მოქმედებასაც მოიცავს. მართლაც, /1922 წლის კოდექსის მე-13 მუხლი ლაპარაკობდა მოქმედებაზე, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად და რომელსაც შედეგი არ მოჰყვა იმის გამო, რომ დაზნაშავემ არ შეასრულა ყოველივე ის, რაც აუცილებელი იყო დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ეს მომენტები მომზადებასაც ახასიათებს. მომზადებაც წარმოადგენს მოქმედებას, მიმართულს დანაშაულის ჩასადენად, მაგალითად, იარაღის



შებენა მკვლელობისათვის წარმოადგენს მოქმედებას, მიმართულს დანაშაულის ჩასადენად. მომზადების დროსაც დანაშაულებრივი შედეგი არ ხორციელდება დამნაშავეის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო. მაგალითად, სუბიექტმა ვერ მოახერხა შებენილი იარაღის გამოყენება კაცის მოსაკლავად, რადგან იარაღი მას უნახეს და ჩამოართვეს, თუმცა იმ პერიოდის ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა არ აძლევდა მკვლელობის ცნებას ასეთ ფართო მნიშვნელობას და მკვლელობად მხოლოდ ისეთ მოქმედებას თვლიდა, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ასრულებას წარმოადგენდა, მაგრამ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი იძლეოდა საფუძველს მკვლელობის გავრცობითი განმარტებისათვის. ამიტომ მართებულად მიუთითებს ნ. კუზნეცოვა, რომ „სასამართლოებს უძნელდებოდათ დანაშაულის მომზადების გამოიყენა დანაშაულის დაუმთავრებელი მკვლელობისაგან, ვინაიდან მომზადების დროსაც სუბიექტი არ ასრულებს ყოველივე იმას, რასაც აუცილებლად თვლის დანაშაულის განსახორციელებლად. ამავე დროს, რამდენადაც რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა მომზადების დასჯადობას, ამდენად მომზადებისა და მკვლელობის გამოიყენის საკითხს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ნაწილი იყო პრობლემისა დანაშაულებრივი და არადანაშაულებრივი ქმედობების გამოიყენის შესახებ“<sup>1</sup>.

1924 წლის „ძირითადი საწყისები“ როგორც ცნობილია, ტერმინს „მკვლელობა“ სრულიად არ ახსენებენ. ისინი აერთიანებენ მთელ დასასჯელ წინასწარ დანაშაულებრივ საქმიანობას ერთ ცნებაში – „დაწყებული და ბოლომდე მიუყვანელი დანაშაული“.

1924 წლის „ძირითადი საწყისების“ მე-11 მუხლში ნათქვამი იყო: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ე.ი. დანაშაულებრივი შედეგი რაიმე მიზეზის გამო არ განხორციელდა, სასამართლომ სოციალური დაცვის იმ ღონისძიების არჩევის დროს, რაც ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული, მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის ჩამდენი პირის საშიშროების ხარისხი და დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი“.

<sup>1</sup> Н. Ф. Кузнецова. Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву, Изд. Моск. ун-та, М., 1958, стр. 13-14.

მცდელობის ცნების განსაზღვრებას არ იძლევიან აგრეთვე რსფსრ-ის 1926 წლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, თანაც ზოგიერთი მათგანი სულაც არ ახსენებს ტერმინს „მცდელობა“ (საქართველოს სსრ და ბელორუსიის სსრ კოდექსები), დანარჩენები კი ამ ტერმინს იცნობენ, მაგრამ მცდელობის ცნებას არ განსაზღვრავენ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მე-16 მუხლში მოცემულია მცდელობის განმარტება.

რამდენადაც 1924 წლის „ძირითადი საწყისების“ მიხედვით, მცდელობასთან ერთად, მოსაშაღებელი მოქმედებაც ისჯებოდა, ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი თვლიდა, რომ მცდელობისა და მოშაღების განსაზღვრებას და მათ ერთმანეთისაგან გამიჯვნას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ამ შეხედულებას 1929 წელს იზიარებდა პროფ. ა. ტრაინინი. მისი აზრით, „საბჭოთა კანონმდებლობის სისტემაში... მცდელობისა და მოშაღების განსხვავებას მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს: რამდენადაც მე-19 მუხლი დასასჯელი წინასწარი მოქმედების მთელ სფეროს მოიცავს, რამდენადაც შემდეგ „დანაშაულის მოშაღების ხარისხი“ და „მისი შედეგების განხორციელების სიახლოვე“ სასამართლოს თავისუფალი შეფასების საგანს შეადგენს, იმდენად „მცდელობისა“ და „მოშაღების“ ცნებების გამოყენებას არსებითად ყოველივე საფუძველი ეცლება; აქ ტრადიციის პატივისცემა მეტია, ვიდრე რეალური მდგომარეობის გათვალისწინება“<sup>1</sup>. ამის შესაბამისად, პროფ. ა. ტრაინინი მოითხოვდა წინასწარი დანაშაულებრივი მოქმედების აბეკარ განმარტებას: „პირის მოქმედება, მიმართული შედეგის განხორციელებაზე, უკეთეს ეს შედეგი არ განხორციელდა...“<sup>2</sup>

ეს შეხედულება არ იყო გაზიარებული საბჭოთა იურიდიულ

---

<sup>1</sup> А.Н. Трайнин, Уголовное право. ч. общая, М., 1929, стр. 328-329. ამავე მოსაზრებას გამოთქვამს მოკრინსკი: „მოშაღებისა და მცდელობის ცნებათა შეერთება მეტად ადვილებს მოსამართლის ამოცანას, ვინაიდან ათავისუფლებს მას მათ შორის საზღვრის მოძებნის აუცილებლობისაგან და ერთი კალმის მოსმით აუქმებს იმ მრავალრიცხოვან თუორიებს, რომლებიც ამ მიზნით იყო შექმნილი“, С.П. Мокрушский, Приготовление и покушение в советском праве, „Советское право“, 1927, N 1, стр. 65.

<sup>2</sup> А.Н. Трайнин, Уголовное право. ч. общая, М., 1929, стр. 329.

ლიტერატურაში უკანასკნელი წლების განმავლობაში, რამდენადაც თვით კანონი მოითხოვს მოსამართლისაგან, რათა მან სასჯელის კონკრეტული ღონისძიების დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს, თუ რა სტადიაზე შეჩერდა დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება, ვინაიდან ამ მომენტს ღიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების დადგენისათვის, ამდენად დანაშაულის მცდელობისა და მომზადების ცნებათა გამოიყენას და ზუსტად განსაზღვრას ღიდი პრინციპული მნიშვნელობა ეძლევა.

ამასთან ერთად, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ისეთი აზრიც იყო გამოთქმული, რომ თვით კანონში ზუსტად გამოიყენა მცდელობისა და მომზადებისა შეუძლებელია, ვინაიდან „მომზადება ხშირად გადაღის მცდელობაში და მთელ რიგ მოქმედებას მათ შორის შუალედი ადგილი უჭირავს“<sup>1</sup>. არსებითად ამავე შეხედულებას იზიარებდა პროფ. ა. ტრაინინი უკანასკნელ წლებშიაც. სახელდობრ, წერილში, რომელიც მან მოსამზადებელ მოქმედებას მიუძღვნა და რომელშიც იგი მოსამზადებელი მოქმედების პრინციპულ დასჯადობას ასაბუთებდა, პროფ. ა. ტრაინინი ამტკიცებდა, რომ მოსამზადებელი მოქმედების დაუსჯელობა დააყენებს მოსამართლეთა წინაშე მომზადებისა და მცდელობის ცნებათა გამოიყენის ამოცანას, „ეს ამოცანა კი არ შეიძლება ადვილად გადასაწყვეტად ჩაითვალოს“<sup>2</sup>.

როგორც ლიტერატურაში უკვე აღნიშნული იყო, საკითხის სიძნელე არ შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს იმისათვის, რათა უარყოფილ იქნეს განსაზღვრულ ცნებათა საკანონმდებლო გზით გადაჭრა. პირიქით, სწორედ ეს სიძნელე უნდა წარმოადგენდეს საბაბს საკანონმდებლო განმარტებების მოცემისა და ამით მოსამართლის მუშაობის გაადვილებისათვის<sup>3</sup>. სისხლის სამართლის კანონმდებლობის

<sup>1</sup> Рогинский и Карпинский, Уголовный кодекс РСФСР. Комментарий, М., 1936, стр. 61.

<sup>2</sup> А.Н. Трайнин, Уголовная ответственность за приготовительные к преступлению действия, „Социалистическая законность“, 1953, N 12, стр. 31-32.

<sup>3</sup> М.И. Ковалев, Ответственность за приготовительные к преступлению действия „Социалистическая законность“, 1954, N 8, стр. 21; Т. Церетели, Наказуемость приготовления к преступлению по советскому уголовному праву, „Социалистическая законность“, 1954, N 12; И.С. Тишкевич, Приготовление и покушение по уголовному праву, Госюриздат, М., 1958, стр. 100-101.

ღირსებას შეადგენს მისი კონსტრუქციების ნათელი და მკვეთრი ხასიათი, მის განმარტებათ სიზუსტე და გარკვეულობა. ხოლო ისეთი ძირითადი ცნებების არ განსაზღვრა, როგორცაა მცდელობა და მომზადება და მათი განმასხვავებელი კრიტერიუმის გამოძენის დაკისრება სასამართლო პრაქტიკისათვის, ერთის მხრით, მეტად მძიმე ამოცანა იქნებოდა მოსამართლეებისათვის, ხოლო, მეორე მხრით, ხელს არ შეუწყობდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მასშტაბის განსაზღვრულობას. ამიტომ საბჭოთა იურისტების უმრავლესობა იმ თვალსაზრისს იზიარებდა, რომ თვით კოდექსში აუცილებლად უნდა იქნეს მოცემული როგორც მოსამზადებელი მოქმედების, ისე მცდელობის განსაზღვრა.

როგორ უნდა იქნეს განსაზღვრული დანაშაულის მცდელობის ცნება სოციალისტურ სისხლის სამართალში?

თუ მცდელობად ისეთი მოქმედება უნდა ჩაითვალოს, რომელიც კქმნის დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის საფრთხეს, ე.ი. მოქმედება, რომელსაც კანონზომიერად შეიძლება მოჰყვეს დანაშაულებრივი შედეგი, გასაგებია, რომ მცდელობის ცნება არ შეიძლება სუბიექტურად იქნეს განმარტებული.

ამის გამო, ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია მცდელობის ცნების ის განსაზღვრება, რომელიც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 1950 წლის კოდექსშია მოცემული. ამ კოდექსის მიხედვით, დანაშაულის მცდელობად ითვლება „საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, ჩადენილი კანონით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევის მიზნით, უკეთეს შედეგი არ განხორციელდა“ (§5). თუმცა მითითება მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ ხასიათზე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დაისაჯოს მხოლოდ და მხოლოდ ლიტონი განზრახვა, ლიტონი დანაშაულებრივი ნება, მაგრამ მაინც ეს ფორმულა იმდენად ფართოა, რომ მცდელობასთან ერთად მოსამზადებელ მოქმედებასაც მოიცავს, მოსამზადებელი მოქმედებაც ხომ ისეთი მოქმედებაა, რომელიც ჩადენილია „კანონით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევის მიზნით“. მაშ როგორ უნდა განვასხვავოთ მცდელობა, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი სჯის, და მომზადება, რომელიც ამ კოდექსის თანახმად,

დაუსჯელად ითვლება? ცხადია, ამ ცნებათა განმასხვავებელი ნიშანი კანონის ფორმულაში არა ჩანს<sup>1</sup>.

მცდელობის განსაზღვრებისათვის შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო საკმაოდ გავრცელებული საკანონმდებლო ფორმულა – „მოქმედება, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის განხორციელების დაწყებას“. მართლაც, ამ განსაზღვრას საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ჰყავდა თავისი მომხრეები, მაგალითად, რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 1946 წლის კომენტარებში აღნიშნულია, რომ მცდელობა ჩვეულებრივ ესმით, როგორც ასრულების დასაწყისი<sup>2</sup>.

ანალოგიურად განსაზღვრავენ მცდელობის ცნებას ზოგიერთი სახალხო დემოკრატიული ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსები.

ასე, მაგალითად, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის მცდელობად თვლის მოქმედებას, „რომლითაც დამნაშავე შეუდგა განზრახი დანაშაულის შესრულებას, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა“ (§17).

ამგვარადვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით „მცდელობად ითვლება მოქმედება, რომლითაც დაწყებულია, მაგრამ დამთავრებული არ არის განზრახი დანაშაულის შესრულება“ (მუხ. მე-16).

ჩვეულებრივად დაწყებულ დანაშაულად ითვლება მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომლითაც სრულდება დანაშაულის შემადგენლობა, ე.ი. მოქმედება, რომელსაც აღმასრულებელი მოქმედება ეწოდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „დაწყებული დანაშაულის“ ცნება არ გამოდგება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მცდელობის ცნების განმარტებისათვის და მისი მოსაშზადებელი მოქმედებისაგან გამოეყნისათვის.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, არც 1924 წლის „ძირითადი

---

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე Wl. Solnar, Aktuelle Fragen des Allgemeinen Teils des Tschechoslowakischen Strafrechts, Beiträge zu Problemen des Strafrechts, Berlin, 1956, S. 12. მისი აზრით, ეს განმასხვავებელი ნიშანი დაზუსტებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაში.

<sup>2</sup> А.Трайнин, В. Меньшагин, Э. Вышинская, Уголовный кодекс РСФСР. Комментарий, М., 1946, стр. 27; იხ. აგრეთვე Д. Шаргородский, Вина и наказание в советском уголовном праве, М., 1945, стр. 21.

საწყისები“ და არც მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის გარდა, მცდელობის ცნების განსაზღვრებას არ იძლეოდნენ. „ძირითად საწყისებში“ მომზადება და მცდელობა გაერთიანებული იყო ერთ ცნებად და დასასა-  
ათებული როგორც „დაწყებული დანაშაული, რომელიც ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი“. მამსადაძე, „დაწყებული დანაშაულის“ ქვეშ იგულისხმებოდა არა მარტო მცდელობა, არამედ მომზადებაც. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლიდან, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „უკეთუ დაწყებული დანაშაული, თუნდაც იგი მოსამზადებელი მოქმედებით გამოიხატებოდეს...“ ასევე ესმოდა „დაწყებულ დანაშაულის“ ცნება სასამართლო პრაქტიკასაც. სახელდობრ, რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის და უმაღლეს სასამართლოს სადირექტივო წერილში რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენების შესახებ მითითებული იყო, რომ მოსამზადებელი მოქმედება უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, „უკეთუ იგი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების დასაწყისის განსაზღვრულ კონკრეტულ ფორმაში გამოვლინდა“. რამდენადაც საჭკოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით „დაწყებული დანაშაული“ მოსამზადებელ მოქმედებასაც ნიშნავს, აძლენად ამ ტერმინის გამოყენებამ მცდელობის ცნების განსაზღვრისათვის შეიძლება ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიოს, თუმცა იგი არსებითად ზუსტად გამოხატავს ამ ცნების შინაარსს.

არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს მცდელობის ცნების ის განსაზღვრებაც, რომელსაც უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი იძლეოდა. აღნიშნული კოდექსი მცდელობად თვლიდა „მოქმედებას, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასაღწეად...“<sup>1</sup>

<sup>1</sup> საჭკოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად არასწორად მოუთხოვენ, თითქოს უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი განმარტავს მცდელობას, როგორც „მოქმედებას, უშუალოდ მიმართულს დანაშაულის ჩასაღწეად“ (იხ. მაგალითად, М.Д. Шаргородский, Преступления против жизни и здоровья. М., 1948, стр. 256; Советское уголовное право. Общая часть. Госкниздат, М., 1959, стр. 216 და სხვ). სინამდვილეში უკრაინის კოდექსის მე-16 მუხლში სიტყვა „უშუალოდ“ არ გვხვდება. საიდან შემოვიდა ჩვენს ლიტერატურაში ის აზრი, თითქოს უკრაინის სსრ სსკ-ის მე-16 მუხლი ამ სიტყვას ხმარობს, გაუგებარია.

დანაშაულის მცდელობის ასეთ განსაზღვრებას საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. ა. გერცენზონი იზიარებდა. მისი აზრით, მცდელობად უნდა ჩაითვალოს „მოქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ რომელსაც სუბიექტზე დამოკიდებული ან მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო დანაშაულებრივი შედეგი არ მოჰყოლია“<sup>1</sup>. ორივე აღნიშნული განსაზღვრება არსებითად იმეორებს მცდელობის ცნების იმ განსაზღვრებას, რომელსაც 1922 წლის კოდექსი იძლეოდა, ამიტომ მათ შესახებ შეიძლება ითქვას ყოველივე ის, რაც 1922 წლის კოდექსის მე-13 მუხლის შესახებ იყო ნათქვამი, სახელდობრ: დანაშაულის ჩასადენად მიმართულ მოქმედებად მომზადებაც შეიძლება ჩაითვალოს; ამიტომ ეს განსაზღვრება მეტად ვრცელია, იგი მთელი დაუმთავრებელი დანაშაულებრივი საქმიანობის სფეროს მოიცავს.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია მცდელობის განსაზღვრება, დაკავშირებული დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან. ასეთი განსაზღვრება მოცემულია პროფ. ა. ტრაინინის შრომაში დანაშაულის შემადგენლობის შესახებ. მისი აზრით, „დანაშაულის მცდელობა არსებობს იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემულია ამ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, გარდა ერთისა — შედეგისა“<sup>2</sup>. ამ შეხედულებას საესებით იზიარებს ნ. კუზნეცოვა<sup>3</sup>.

დანაშაულის მცდელობის ასეთი განსაზღვრება, ჩვენის აზრით, მეორე უკიდურესობაში ვარდება. იგი მეტად ვიწროა და არსებითად მარტოოდენ დამთავრებულ მცდელობას მოიცავს, ე.ი. ისეთ მცდელობას, როდესაც დამნაშავემ შეასრულა ყოველივე ის, რაც საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის, მაგრამ ეს შედეგი, დამნაშავეს ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ განხორციელდა. მაგრამ ასეთი სახის მცდელობასთან ერთად არსებობს დაუმთავრებელი მცდელობაც, რომლის დროსაც არ შეიძლება ითქვას, რომ „განხორციელებულია ამ დანაშაულის ყველა ელემენტი, გარდა ერთისა — შედეგისა“. თუ ბოროტმოქმედმა მტერს თოფი დაუმიზნა,

<sup>1</sup> А. А. Герцензон, Уголовное право, М., 1948, стр. 354.

<sup>2</sup> А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1959, стр. 297.

<sup>3</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 82-83.

მაგრამ შესამე პირმა მას ხელი სტაცა და შეაჩერა, ეს მკვლელობის მცდელობაა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მკვლელობის ობიექტური მხარის შემადგენლობა აქ მთლიანად არის განხორციელებული<sup>1</sup>.

ა. ტრანინის შეხედულებასთან ახლოს დგას ნ. ლიასის მიერ მოცემული განსაზღვრება მცდელობისა. მისი აზრით „მცდელობა არის სუბიექტის მიერ ისეთი განზრახვი მოქმედების ჩადენა, რომელიც შედის დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეში და მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად...“<sup>2</sup> ეს განსაზღვრება თავიდან იცილებს იმ ნაკლოვანებას, რაც ა. ტრანინის ფორმულას ჰქონდა, მაგრამ მას მეორე ნაკლოვანება ახასიათებს. ის მეტ ყურადღებას აქცევს საკითხის ფორმალურ მხარეს, ვიდრე მის არსს. შესაძლებელია მოქმედება დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენდეს, მაგრამ ამავე დროს მომზადების სტადიას არ ცილდებოდეს. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ჩასაფრება კვალიფიციური მკვლელობის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია, მაგრამ თავისთავად ჩასაფრება წარმოადგენს მხოლოდ პირობების მომზადებას მომავალი მკვლელობისათვის და უშუალო საფრთხეში არ აყენებს მომავალ მსხვერპლს. მაშასადამე იგი მოსამზადებელი მოქმედების სფეროს არ სცდება. ხოლო ლიასის ფორმულის თანახმად, იგი მცდელობად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენის აზრით, მცდელობის ისეთ საკანონმდებლო ფორმულას, რომელიც ყველაზე უკეთესად გამოხატავს მცდელობის მატერიალურ არსს, წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული ფორმულა, რომლის თანახმად მცდელობა არის მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე. დანაშაულის მცდე-

<sup>1</sup> როგორც საესებით მართებულად შენიშნავს პროფ. ნ. ღურმანოვი, „ხშირად დაუმთავრებელ დანაშაულს სწორედ ის ახასიათებს, რომ შესრულებული არ არის მოქმედებათა მთელი რიგი, ეს განმასხვავებელი ნიშანი განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც დანაშაული შედგება ორი ერთმანეთისაგან დროის მიხედვით დაშორებული მოქმედებისაგან, როგორცაა, მაგალითად, სპეკულაცია (Н.Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 113).

<sup>2</sup> Н.В. Лясс, Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Л., 1952, стр. 12.



ლობის ცნების ასეთი განმარტება მიღებულია კორეის სახალხო რესპუბლიკის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 16), ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის 1952 წ. სისხლის სამართლის კოდექსში (მუხ. 10), დაბოლოს, აღნიშნული ფორმულა გაიზარეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლებმა. საფუძვლების მე-15 მუხლში ნათქვამია: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩადენაზე, უკეთუ ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დაძნალების ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, უეჭველად წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ საფრთხეს. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მოსაზრებები:

როგორც უკვე აღნიშნული იყო, რეალური საფრთხე არსებობს მაშინ, როდესაც ობიექტურ სინამდვილეში მოცემულია პირობები, რომელთაც აქვთ ტენდენცია ვნების გამოწვევისა. მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე, სწორედ ასეთ ტენდენციას შეიცავს; ასეთ მოქმედებას კანონზომიერად შეიძლება მოჰყვეს დანაშაულებრივი შედეგი, თუ მის განხორციელებას ხელი არ შეუშალა რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ.

ამავე დროს, მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე, უშუალოდ წინ უსწრებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას. ამიტომ მიზეზობრივი კავშირის სხვა მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა აქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების სხვა, შედეგიდან უფრო დაშორებულ სტადიებზე.

დაბოლოს, ის გარემოება, რომ დაძნალებამ ისეთი მოქმედება ჩაიდინა, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, აღიღებს დანაშაულებრივი შედეგის რეალურად განხორციელების შანსებს იმ მხრივაც, რომ ამ მომენტიდან სუსტდება დანაშაულის ხელშემშლელი მოტივების ძალა და, პირიქით, იზრდება დანაშაულის ხელშემწყობი მოტივების სიძლიერე. ეს მოსაზრება განსაკუთრებით დამაჯერებლად განავითარა რუსმა კრიმინალისტმა მოკრინსკიმ: „სუბ-

იექტს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ განსაზღვრული მომენტიდან იგი შესაძლებლობას ჰქარავს, თუ დასჭირდა, ისე ახსნას თავისი მოქმედება, თითქოს მას არავითარი დანაშაულებრივი განზრახვა არ ჰქონდა. შეგნება, რომ იგი დამნაშავეა, არა მარტო სულიერად, არამედ გარეგნულადაც დამლუპველად მოქმედებს სოციალურად შემაფერხებელ წარმოდგენებზე და აიძულებს მას იჩქაროს, იმ შიშით, რომ მოუსწრებენ, ხელს შეუშლიან, გამოამჟღავნებენ. თუ კეისარი აყონებდა და ყოყმანობდა იმ მომენტამდე, ვიდრე რუბიკონს გადაივლიდა (მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლებოდა იგი რომის კანონების მიხედვით სენატის ნების ამკარა მოწინააღმდეგედ, სახელმწიფო დამნაშავედ), მან ერთბაშად გამოიჩინა ენერგია, სიმტკიცე და მოქმედების სისწრაფე, როგორც კი მდინარეს გასცდა; „Jacta est alea“.<sup>1</sup>

ამგვარად ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, ზეგავლენას ახდენს დანაშაულებრივი განზრახვის განვითარებაზე, ზოლო ეს, თავის მხრით, გამოიწვევს დანაშაულის მისაღწევად მიმართული ახალი მოქმედების ჩადენას. ამაში არ შეიძლება არ დაეინახოთ კერძო გამოხატულება იმ დიალექტიკური ურთიერთზემოქმედებისა, რომელიც საზოგადოდ არსებობს დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებს შორის.

იმ შეხედულებას, რომ მცდელობა წარმოადგენს მოქმედებას, უშუალოდ მიმართულს დანაშაულის განხორციელებაზე, საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი ჰყავს საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში<sup>2</sup>. მაგრამ ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით, აღნიშნულ ფორმულას კიდევ ესაჭიროება დაზუსტება. ასე, მაგალითად, პროფ. ნ. დურმანოვის აზრით, „განმარტება მცდელობისა, როგორც დანაშაულის ჩადენაზე უშუალოდ მიმართული მოქმედებისა, კონკრეტულ ბუღუნდა იქნეს მითითებით, რომ მცდელობის დროს დამნაშავე უკვე

<sup>1</sup> С.П. Мокринский, Наказание, его цели и предположения т. III, Томск, 1905, стр. 433-434; его же, Покушение и приготовление в советском праве, „Советское право“, 1927, N 1, стр. 73.

<sup>2</sup> იხ. Советское уголовное право. Часть общая, М., 1952, стр. 279; Советское уголовное право. Общая часть, М., 1959, стр. 216; М. И. Якубович и В.Ф. Кирпиченко, Советское уголовное право, М., 1958, стр. 116.

ახორციელებს ობიექტის ხელყოფას<sup>1</sup>. ამისდამიხედვით, ნ. დურმანოვი განსაზღვრავს მცდელობას როგორც „მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაზე, როდესაც დამნაშავემ უკვე ხელყო ობიექტი. მომზადების დროს, მცდელობისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არ არის ობიექტის ხელყოფა“<sup>2</sup>.

მცდელობის ცნების ასეთი „კონკრეტიზაცია“ არათუ ხელს არ უწყობს ამ ცნების შინაარსის ზუსტად დადგენას, არამედ პირიქით, აბუნდოვნებს მას. თავის მხრივ, დასადგენი ხდება, როდის შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტმა უკვე განახორციელა ობიექტის ხელყოფა? თუ დანაშაულის ობიექტი გავიგეთ ისე, როგორც იგი ესმით სოციალისტური სისხლის სამართლის ლიტერატურაში, ე.ი. როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა, მაშინ „ობიექტის ხელყოფის“ ცნება მეტად ფართოა, იგი მოიცავს მოსამზადებელ მოქმედებასაც, ვინაიდან ყოველი დანაშაული აუცილებლად მიმართულია რაიმე სოციალისტური ურთიერთობის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ობიექტის ცნება უფრო ვიწროდ იქნება გაგებული, სახელდობრ, როგორც საგანი, რომელიც განიცდის უშუალო ზემოქმედებას, მაშინ პროფ. დურმანოვის ფორმულა მეტად ვიწროა და შეიძლება შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი მცდელობისათვის მოითხოვს ხელყოფის ობიექტის ნამდვილად დაზიანებას, რაც, რა თქმა უნდა, არ არის დამახასიათებელი მცდელობისათვის. ყოველ შემთხვევაში, ეს განსაზღვრება სულაც არ მოიცავს დაუმთავრებელ მცდელობას ან მცდელობას ადგილზე არმყოფ ობიექტზე, როდესაც „უშუალო შეხებას ობიექტთან“ ადგილი არა აქვს<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, „მოქმედება უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე“, გაგებულ უნდა იქნეს არა ობიექტური თვალსაზრისით, ე.ი. როგორც

---

<sup>1</sup> Н.Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1955, стр. 108.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. თ. წერეთლის და ვ. მაყაშვილის რეცენზია პროფ. ნ. დურმანოვის დასახელებულ ნაშრომზე ჟურნალში „Советское государство и право“, 1957, №1, стр. 131. იხ. აგრეთვე ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 83-85, და ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 103-104.

მოქმედება, რომლითაც ნამდვილად იწყება დანაშაულის ასრულება, არამედ სუბიექტურად, როგორც დამნაშავეის ნების სუბიექტური წარმართვა დანაშაულის შესასრულებლად. თუ სუბიექტი ფიქრობს, რომ მისი მოქმედება მიმართულია დანაშაულის შესრულებაზე, უკვე ადგილი აქვს მცდელობას, თუნდაც სინამდვილეში დანაშაულის უშუალოდ შესრულებას ადგილი არ ჰქონდეს. ასე, მაგალითად, პროფ. შარგოროდსკი ამტკიცებს, რომ „ჩვენი კანონმდებლობა ამ საკითხში სუბიექტურ თეორიას იზიარებს“<sup>1</sup>.

ამ შეხედულებას, ჩვენის აზრით, არავითარი საფუძველი არა აქვს არც საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში და არც საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და პრაქტიკაში. მისი მიღება იქნებოდა იმის აღიარება, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი, საბჭოთა სისხლის სამართლის რანაზმად, არის მხოლოდ სუბიექტის საზოგადოებრივი საშიშროება და არა, მასთან ერთად, მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროებაც. პროფ. შარგოროდსკის შეხედულება ეწინააღმდეგება დანაშაულის ცნების განმარტებას საბჭოთა სისხლის სამართალში. როგორც 1924 წლის ძირითადი საწყისების, ისე ახალი საფუძველების თანახმად, მოქმედების ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს და მხოლოდ ბრალი, დანაშაულის მხოლოდ სუბიექტური მხარე პასუხისმგებლობას ვერ დაასაბუთებს. პროფ. შარგოროდსკის სუბიექტური თეორიის წინააღმდეგ შეიძლება მოყვანილ იქნეს იგივე მოსაზრება, რომელიც მ.ე. მაიერს მოჰყავდა გერმანელი კრიმინალისტის ბირლინგის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს გერმანიის 1871 წლის ჰისხლის სამართლის კოდექსის 42 პარაგრაფის ფორმულა — მცდელობა როგორც „ასრულების დასაწყისი“ — სუბიექტურად ესმოდა. „სულ სხვაა განზრახვის განხორციელების დასაწყისი, — წერდა მ.ე. მაიერი, — და სულ სხვაა თვით იმ მოქმედების განხორციელების დაწყება, რომლის ყველა ნიშანი ზუსტად განსაზღვრულია. როდესაც ვინმე მიაწვება რამდენიმე ცენტნერის სიმძიმის ქვას იმ განზრახვით, რომ დასძრას იგი ადგილიდან, ის ცდილობს განხორციელოს განუხორციელებელი; ეს შეიძლება ჩავთვალო-

<sup>1</sup> М.Д. Шаргородский, Преступления против жизни и здоровья. Москва, 1948, стр. 256.

ოთ მისი განზრახვის განხორციელების დასაწყისად, მაგრამ სასაცილო იქნებოდა, რომ პიროვნების ფიზიკური ძაბვა ჩაგვეთვალა ქვის ადგილ-დან დაძვრის დასაწყისად<sup>1</sup>.

ამგვარად, საფუძვლების მე-15 მუხლის გამოთქმა: „მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე“, გაგებულ უნდა იქნეს ობიექტურად. იგი ნიშნავს ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც არა მარტო სუბიექტის წარმოდგენაში, არამედ რეალურად იწყებს დანაშაულის განხორციელებას. ეს ისეთი მოქმედებაა, რომელსაც კანონზომიერად უნდა მოჰყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი, იმისათვის რომ რაიმე შემთხვევით გარემოებას არ შეეშალა ხელი.

ის მომენტი, რომ მცდელობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, განასხვავებს მცდელობას მოსამზადებელი მოქმედებისაგან. მოსამზადებელი მოქმედება, როგორც უკვე აღნიშნული იყო, წარმოადგენს მხოლოდ პირობების შექმნას იმისათვის, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს ან გაადვილდეს დანაშაულის ჩადენა, მაშინ როდესაც მცდელობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც თვით დანაშაულის შესრულებას წარმოადგენს. ამიტომ სწორი არიან ის კრიმინალისტები, რომლებიც მცდელობის მოქმედებას დანაშაულის აღმასრულებელ მოქმედებას უწოდებენ<sup>2</sup>.

მეორე მხრით, მცდელობა უნდა განვასხვავოთ დამთავრებული დანაშაულისაგან და ამ განსხვავებამ თავისი გამოხატულება უნდა ჰქონოს მცდელობის საკანონმდებლო განსაზღვრებაში.

როგორც ცნობილია, მცდელობა იმით განსხვავდება დამთავრებული დანაშაულისაგან, რომ მცდელობის დროს დანაშაულებრივი შედეგი განხორციელებული არ არის. როგორ უნდა გავიგოთ ეს დებულება? რა დანაშაულებრივ შედეგზეა აქ ლაპარაკი?

დამთავრებული დანაშაულის ცნების ანალიზის დროს<sup>3</sup> აღნიშნუ-

---

<sup>1</sup> M. E. Mayer, Versuch und Teilnahme. 'Die reform ReichsStrafgesetzbuchs', Berlin, 1910, S. 336.

<sup>2</sup> ასე მაგალითად, ნ. კუზნეცოვა განსაზღვრავს მცდელობას, როგორც „დანაშაულის განზრახ შესრულებას, რომელიც არ დაბოლოვდა სუბიექტის მიერ ჩანაფიქრი დანაშაულებრივი შედეგით მასზე დაბოუკიდებელი მიზეზების გამო“ (იხ. ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 89).

იხ. თავი მეორე, §2.

ლი იყო, რომ დანაშაულის დამთავრება ორ მომენტზეა დამოკიდებული: ჯერ-ერთი, შესრულებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონში აღწერილი შემადგენლობის ყველა ნიშანი და მეორე, შესრულებული უნდა იყოს სწორედ იმ დანაშაულის ნიშნები, რომლის შესრულებისკენაც მიმართული იყო დამნაშავის განზრახვა. აქედან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

ვთქვათ, ვინმემ მოკვლის განზრახვით ესროლა თავის მტერს და მიაყენა მას სხეულის დაზიანება. განსაზღვრული მავნე შედეგი – ადამიანის სხეულის დაზიანება – აქ განხორციელებულია. მაგრამ ეს არ არის ის მავნე შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია მკვლელობის შემადგენლობით. ამიტომ ასეთ შემთხვევაში გვექნება არა დამთავრებული დანაშაული, სახელდობრ, სხეულის დაზიანების დამთავრებული შემადგენლობა, არამედ დაუმთავრებელი დანაშაული – მკვლელობის მცდელობა.

მეორე მხრით, დამთავრებული დანაშაულისათვის საჭირო არ არის იმ საბოლოო მიზნის მიღწევა, რომლის განსახორციელებლადაც ჩაიდინა დამნაშავემ დანაშაული და რომელიც დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული არ არის. მაგალითად, დამნაშავემ მოკლა მეორე პირი იმ მიზნით, რათა მისგან შემკვიდრეობა მიეღო. დამნაშავის ამ მიზნით მიუღწევლობა – ე.ი. შემკვიდრეობის არ მიღება – არ გადააქცევს მის დანაშაულს დაუმთავრებელ დანაშაულად, ვინაიდან მკვლელობის შემადგენლობა არ ითვალისწინებს ამ ნიშანს – შემკვიდრეობის მიღებას – როგორც თავის ერთ-ერთ ელემენტს.

დაბოლოს, დანაშაულის დამთავრების მომენტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი სისხლის სამართლის კანონში ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობა. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, თაღლითობად ითვლება ანგარებით ქონების ან ქონებაზე უფლების მოპოვება ნდობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით. მაშასადამე, ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბოროტ-მოქმედმა უკვე მოიპოვა ქონება ან ქონებრივი უფლება. ხოლო დაზარალებულის მოტყუება ქონების ან ქონებრივი უფლების მოპოვების მიზნით იქნება არა დამთავრებული დანაშაული, არამედ თაღლითობის

მცდელობა. მაგრამ სხვაგვარად გადაწყდება თაღლითობის დანაშაულის დამთავრების საკითხი რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსით. ამ კოდექსის 169-ე მუხლის მიხედვით თაღლითობად ითვლება ნღობის ბოროტად გამოყენება ან მოტყუება ქონების ან ქონებრივი უფლების ან სხვა პირადი გამორჩენის მისაღებად. თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობა ამ მუხლში ისეა აღწერილი, რომ დანაშაულის დამთავრებისათვის საჭირო არ არის ქონების ან ქონებრივი გამორჩენის თუ უფლების მიღება. უკვე მოტყუება ან ნღობის ბოროტად გამოყენება თავისთავად მოგვცემს თაღლითობის დამთავრებულ დანაშაულს.

ამა თუ იმ მოქმედების აღიარება მცდელობად თუ დამთავრებულ მოქმედებად ან მცდელობად თუ მომზადებად დამოკიდებულია ამგვარად დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში. ამიტომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეული ცალკეული დანაშაულის თავისებურებათა მხედველობაში მიღებით. აქ კი შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი სახელმძღვანელო ხასიათის მითითებების წამოყენება.

1. თუ, მოქმედებით შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მცდელობას, არამედ დამთავრებულ დანაშაულს.

თუ, მაგალითად, ვინმემ გაიტაცა ქონება და გადაძალა გატაცების ადგილის ახლოს, რათა შემდეგ მოხერხებულ მომენტში წაეღო იგი, აქ გვექნება არა მცდელობა, არამედ დამთავრებული დანაშაული. ს. ცნობილი იყო დამნაშავედ მასში, რომ ღია ვაგონიდან მოიპარა ერთი ტომარა სოდა, გადაძალა იგი გზაზე და ელოდებოდა საბარგო მატარებელს, რომ ამ მატარებლით წაეღო მოპარული სოდა სახლში. მაგრამ ქურდობა შეამჩნია დაცვის მუშაკმა ა.-მ., რომელმაც ს. დააკავა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის კოლეგიამ 1949 წ. 3 მაისის დადგენილებაში მართებულად მიუთითა, რომ ს.-ს მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც სოციალისტური ქონების დამთავრებული გატაცება<sup>1</sup>. ამგვარადვე დადგენილებაში მ.-ს საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი პირდაპირ მიუთითებს: „საქმის გარემოებათა მიხედვით... მ.-მ წინასწარი შეთ

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“ за 1949 г., N 9, стр. 19.

ანხმებით ს-სთან, ჩაიღინა ქონების ქურდობა და გამოიტანა ეს ქონება საერთო საცხოვრებლიდან. ამ პირობებში არასწორია კოლეგიის მითითება, რომ მ.-მ მხოლოდ სცადა ქურდობის ჩაღენა... ის გარემოება, რომ მ.-მ და ს.-მ მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლეს გატაცებული ქონების რეალიზაცია, არ გადააქცევს მათ მოქმედებას მცდელობად, ვინაიდან ქურდობა უნდა ჩაითვალოს დამთავრებულად იმ მომენტიდან, როდესაც გატაცებული ქონება გადავიდა დამნაშავეის მფლობელობაში და არა იმ მომენტიდან, როდესაც მოხდა ქონების რეალიზაცია“<sup>1</sup>.

ის დებულება, რომ მოქმედება, რომლითაც შესრულებულია დანაშაულის სრული შემადგენლობა, უკვე აღარ წარმოადგენს მცდელობას, ყოველთვის როდი ხორციელდება ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში.

რამდენიმე პირმა შ.-ს მეთაურობით მოაწყო შეიარაღებული ბანდა მოქალაქეებზე თავდასხმისა და მათი გაძარცვის მიზნით. მაგრამ როდესაც ისინი მიემგზავრებოდნენ ქ. იზბორსკის რაიონში პირველი თავდასხმის მოსაწყობად, ბოროტმოქმედნი შეიპყრეს. პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დააკვალიფიცირა მათი მოქმედება რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 59<sup>3</sup>-ე მუხლით.

რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ეს განჩინება არასწორად ჩათვალა. კოლეგიის აზრით, ბანდიტთა ჯგუფის საქმიანობა მოსამზადებელ მოქმედებას არ გასცილებია, მათ ვერ მოასწრეს თავისი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება, ვინაიდან შეპყრობილ იქნენ თავდასხმის დაწყებამდე, და ამიტომ მათი დანაშაული კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც ბანდიტიზმის მცდელობა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ თავის მხრივ მართებულად გააუქმა რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განჩინება და აღნიშნა: „ასეთი განმარტება არ გამომდინარეობს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 59<sup>3</sup>-ე მუხლის შინაარსიდან. ამ მუხლის თანახმად ბანდიტიზმად ითვლება შეიარაღებული ბანდების ორგა-

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, за 1948 г., вып. III, стр. 10. ამვე შეხედულებას იზიარებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის თეორია. იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Allg. Teil, Berlin, 1957, S.S. 430-431.



ნიზაცია და მონაწილეობა მათში და მათ მიერ ორგანიზებულ თავდასხმებში. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 59<sup>3</sup>-ე მუხლის აზრით ბანდიტიზმის დამთავრებული შემადგენლობისათვის სულაც არ არის საჭირო სამივე აღნიშნული ნიშნის ერთობლიობა, თითოეული ცალკე ნიშანი იძლევა ბანდიტიზმის დამთავრებულ შემადგენლობას. რამდენადაც კოლეგიამ თავის განჩინებაში დაადასტურა... გაძარცვათა ჩასადენად წინასწარ ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფის არსებობა..., ამდენად ბრალდებულები ცნობილი უნდა იქნენ დამნაშავეებად არა ბანდიტიზმის მომზადებაში ან მცდელობაში, არამედ დამთავრებულ ბანდიტიზმში, თუმცა მათი დანაშაულებრივი მიზნები არ განხორციელებულა მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო<sup>4</sup>.

2. მცდელობას ადგილი აქვს ყველა შემთხვევაში, როდესაც პირმა ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელსაც რაიმე ახალი მოქმედების გარეშე მის მხრივ უნდა მოჰყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ ეს შედეგი არ განხორციელდა მასზე დამოუკიდებელ გარემოებათა გამო.

ბ. ცნობილ იყო დამნაშავედ მასში, რომ მან მიიყვანა თავისი დედინაცვალი არხთან, მოკვლის განზრახვით ხელი ჰკრა მას და წყალში ჩააგდო. ქალი გადაარჩინეს გამელელებმა, რომლებმაც შემთხვევით გაიგონეს მისი ყვირილი<sup>2</sup>. აქ ადგილი აქვს მცდელობას, ვინაიდან ბ-მ გააკეთა ყველაფერი, რასაც მისი მხრით რაიმე ახალი მოქმედების ჩადენის გარეშე უნდა მოჰყოლოდა ქალის სიკვდილი, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა დამნაშავეზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

3. მცდელობას ადგილი აქვს აგრეთვე მაშინ, როდესაც პირი უშუალოდ დაესხა თავს ხელყოფის ობიექტს და შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას, თუმცა მოქმედება ვერ დაამთავრა. მაგალითად, სუბიექტმა ხელი სტაცა ნივთს, მაგრამ ვერ მოახერხა მისი გატაცება, რადგან ამ დროს შენიშნეს და დააგდებინეს.

4. მცდელობას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც დამნაშავემ მოაზარდა ყველა პირობა დანაშაულის ჩასადენად და უკვე გადადის იმ მოქმედებაზე, რომლითაც უშუალოდ ხორციელდება დანაშაულის შემადგენ-

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, за 1947 г., вып. IV, стр. 22.

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“ за 1951 г., N 4, стр. 19.

ლობა. მაგალითად, პირმა მოკელის განზრახვით დაუმიზნა თოფი თავის მტერს. ქურდი შევიდა სადგომში, საიდანაც აპირებს ქონების გამოტანას.

ამგვარად, მცდელობის განსაზღვრების დროს საკმარისი არ არის იმაზე მითითება, რომ ეს არის მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე, არამედ აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული, რომ აქ მოქმედებით დანაშაულის შემადგენლობა ბოლომდე განხორციელებული არ ყოფილა.

საბჭოთა ლიტერატურაში დავას იწვევს ის საკითხი, საჭიროა თუ არა მითითება იმ გარემოებაზე, რომ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი სუბიექტის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, თუ მცდელობა შეიძლება ეწოდოს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც სუბიექტმა ნებაყოფლობით მიატოვა.

პროფ. ა. გერცენზონის აზრით, მცდელობად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩასადენად მიმართული მოქმედება, რომელსაც დანაშაულებრივი შედეგი არ მოჰყვა როგორც სუბიექტზე დამოკიდებული, ისე მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო<sup>1</sup>.

საბჭოთა კრიმინალისტიკების მეორე ნაწილი მცდელობის ასეთ განმარტებას უმართებულოდ თვლის. მათი აზრით, მცდელობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც იგი სუბიექტზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დაბოლოვდა. ასეთ აზრს პროფ. ნ. ღურმანოვი იმით ასაბუთებს, რომ რუსულ ენაზე სიტყვა „покушаться“, „покуситься“ ნიშნავს რაღაც ნებადართულის, არასასიამოვნოს ჩადენას და, რადგანაც დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვება ხარისხობრივად განსხვავდება დანაშაულის მცდელობისაგან, ამიტომ „მცდელობის“ ცნება მხოლოდ ამ უკანასკნელს უნდა მოიცავდეს<sup>2</sup>, ჩვენის აზრით, ეს არგუმენტები ვერ დაასაბუთებენ პროფ. ნ. ღურმანოვის შეხედულებას. ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ სუბიექტმა დანაშაულის ჩასადენად მიმართული მოქმედება ნებაყოფლობით მიატოვა, სულაც არ გადააქცევს უკვე ჩადენილი მცდელობის მოქმედებას ნებადართულ, სასიამოვნო მოქმედებად. ამ მოქმედების დაუსჯელობა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განსაზღვრული მოსაზრებებით აიხსნება. მეო-

<sup>1</sup> А.А. Герцензон, Уголовное право. Ч. Общая, М., 1948, стр. 354.

<sup>2</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

რეც, სხვა ენებზე, ამ ტერმინს შესაძლებელია სულაც არ ჰქონდეს ასეთი არასასიამოვნო რამის ჩადენის მნიშვნელობა. მაგალითად, ქართული ენის მიხედვით, კაცი შეიძლება შეეცადოს როგორც დანაშაულის ჩადენას, ისე კეთილშობილი, კარგი საქმის გაკეთებასაც.

უფრო სწორი იქნება აღინიშნოს, რომ ტერმინი „დანაშაულის მცდელობა“ შეიძლება ორი მნიშვნელობით გავიგოთ. ფართო მნიშვნელობით იგი ნებაყოფლობით მიტოვებულ დანაშაულსაც მოიცავს. მაგრამ ვიწრო მნიშვნელობით, იგი მხოლოდ დასასჯელ მცდელობას ნიშნავს. ამიტომ ჩვეულებრივად, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსებში მოცემულია ხოლმე დასჯადი მცდელობის განსაზღვრება, იგულისხმება ისეთი მცდელობა, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია სუბიექტის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად მცდელობა განსაზღვრული უნდა იქნეს როგორც მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე, უკეთუ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი სუბიექტის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ყველა ეს მომენტი ზედმიწევნით ზუსტად არის მოცემული მცდელობის იმ განსაზღვრებაში, რომელსაც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი საფუძვლები იძლევიან. როგორც უკვე დავინახეთ, საფუძვლების მე-15 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე, თუ ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშაის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.



ისევე, როგორც მოსამზადებელი მოქმედება, მცდელობაც შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლები პირდაპირ მიუთითებენ ამ გარემოებაზე. საფუძვლების მე-15 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი მოქმედება.

განზრახვაზე, როგორც მცდელობის სუბიექტურ მხარეზე, მიუთითებენ აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (§17) და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 15).

დანარჩენი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კოდექსები თუმცა პირდაპირ არ მიუთითებენ განზრახვაზე, მაგრამ ამ კოდექსებში მოცემული მცდელობის განსაზღვრების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ისინიც მცდელობისათვის განზრახვას მოითხოვენ. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის კოდექსით მცდელობად ითვლება „საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, ჩადენილი კანონით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევის მიზნით...“ (§5). შედეგის გამოწვევის მიზანი აუცილებლად გულისხმობს განზრახვას, თანაც პირდაპირ განზრახვას.

რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მცდელობად ითვლება „დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენის გადაწყვეტილება, გამოხატული ისეთ მოქმედებებში, რომლებიც მიმართულია დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენაზე...“ (მუხ. 96). აქაც მითითება „დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენის გადაწყვეტილებაზე“ ნათლად ადასტურებს, რომ რუმინეთის კანონმდებლობას მხოლოდ განზრახვი მოქმედება მიაჩნია მცდელობად. გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება არ შეიძლება არსებობდეს.

განზრახვას მცდელობის დროს უნდა ახასიათებდეს ყველა ის ნიშანი, რაც ახასიათებს განზრახვას დამთავრებული დანაშაულის დროს. არავითარი სპეციალური განზრახვა მცდელობისა არ არსებობს. პირის ნება მიმართულია არა დამთავრებული, არამედ დამთავრებული დანაშაულის განხორციელებაზე. ამიტომ სუბიექტი უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს, მათ შორის მიზეზობრივ კავშირს თავის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის.

მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინება არ გულისხმობს მისი ყოველი რგოლის დეტალურად წინასწარ განჭვრეტას. განზრახვის დროს პირი უნდა ითვალისწინებდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარების ძირითად მომენტებს. თუ ასეთი სახის გათვალისწინებას ად-

გილი არა აქვს, არ შეიძლება ვილაპარაკოთ განზრახვაზე კონკრეტულად განხორციელებული შედეგის მიმართ. მაგალითად, თუ ვინმემ მოკვლის განზრახვით ესროლა თავის მტერს და დასჭრა იგი, ხოლო ეს უკანასკნელი დაიღუპა საავადმყოფოში გაჩენილი ხანძრის გამო, აქ არა გვაქვს მავნე შედეგის გათვალისწინება. სუბიექტი არათუ არ ითვალისწინებდა მიზეზობრივი კავშირის განვითარებას თავის მოქმედებასა და კონკრეტულად განხორციელებულ შედეგს შორის, არამედ მას არც შეეძლო მისი გათვალისწინება. მაშასადამე, პირმა შეიძლება პასუხი აგოს არა დამთავრებული მკვლელობისათვის, არამედ მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის<sup>1</sup>.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებების მიხედვით განზრახვისათვის საჭიროა არა მარტო დანაშაულის შემაღენლობის ფაქტიური ნიშნების გათვალისწინება, არამედ აგრეთვე მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება. ვთქვათ, პირი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით სხეულებრივ დაზიანებას აყენებს მეორე პირს და სურს ამ დაზიანების მიყენება, მაგრამ ამავ დროს დარწმუნებულია, რომ იმ პირობებში, რომელშიც იგი მოქმედებს, ნებადართული აქვს სხეულებრივი დაზიანება, მაშასადამე, მას არა აქვს შეგნებული თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. თუ ამ მოქმედებას მავნე შედეგი მოჰყვა და თანაც პირს შეეძლო გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, მან პასუხი უნდა აგოს არა განზრახვი, არამედ გაუფრთხილებელი სხეულებრივი დაზიანებისათვის. მაგრამ თუ მოქმედებას არაეითარი შედეგი არ მოჰყოლია, ამ შემთხვევაში სუბიექტი სრულიად არ აგებს პასუხს, ვინაიდან როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გაუფრთხილებელი მცდელობა შეუძლებელია.

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე Т.В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, Тбилиси, 1957, стр. 141-142.

<sup>2</sup> იხ. Т. Церетели, К вопросу о понятии вины, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960, №1, გვ. 143-144.



ბურჟუაზიული ქვეყნების სისხლის სამართლის ლიტერატურაში დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმ საკითხზე, თუ რას წარმოადგენს მცდელობა და როგორ უნდა გაიმიჯნოს იგი მოსამზადებელი მოქმედებისაგან.

როგორც ამ ნაშრომის ისტორიულ ნაწილში იყო აღნიშნული, საშუალო საუკუნეების სამართლის ლიტერატურა არ განასხვავებდა მომზადებას მცდელობისაგან და მცდელობის ცნების ისეთ ფართო განმარტებას იძლეოდა, რომელიც მოსამზადებელ მოქმედებასაც მოიცავდა. ამ შეხედულებამ, როგორც უკვე დავინახეთ, ზეგავლენა მოახდინა ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე.

თავისი გამარჯვების პირველ ხანებში, როდესაც ბურჟუაზია ჯერ კიდევ პროგრესულ კლასს წარმოადგენდა და იბრძოდა ფეოდალიზმის თვითნებობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული კანონიერების დამყარებისათვის, ბურჟუაზიული კრიმინალისტიკები ილაშქრებდნენ საშუალო საუკუნეებში გავრცელებული, პასუხისმგებლობის სუბიექტივისტური კონცეფციის წინააღმდეგ. დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხში ეს ტენდენცია კპოვებს თავის გამოხატულებას იმაში, რომ ამ პერიოდის ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობანი განსაზღვრავენ მცდელობის ცნებას ობიექტური ნიშნების მიხედვით, სახელდობრ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ჩამოყალიბდა ფორმულა მცდელობისა, როგორც დანაშაულის აღსრულების დასაწყისისა. მცდელობის ასეთი განსაზღვრა (commencement d'exécution) პირველად მოცემული იყო საფრანგეთის რევოლუციური კანონმდებლობით, სახელდობრ IV წლის 22 პრერიალის კანონით, და შემდეგ იგი 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსში გადავიდა.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი შემდეგნაირად განსაზღვრავს მცდელობას:

„მუხ. 2. დანაშაულის ყოველი მცდელობა (tentative), რომელიც აღსრულების დასაწყისში (commencement d'exécution) გამოვლინდა, უკეთესი იგი შეწყვეტილი იყო ან ვერ დაბოლოვდა მხოლოდ ისეთი

გარემოებების გამო, რომლებიც ამსრულებლის ნებაზე არ იყო დამოკიდებული, უთანაბრდება თვით დანაშაულს“.

ეს ფორმულა – „აღსრულების დასაწყისი“ – გადატანილ იქნა მთელი რიგი ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსებში. ასე, მაგალითად, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის დებულების 43 პარაგრაფში ნათქვამია: „ვინც დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენის გადაწყვეტილებას გამოავლინებს ისეთი მოქმედებით, რომელიც ამ დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენის შესრულების დასაწყისს წარმოადგენს, უკეთუ დანაშაული ან გადაცდომა არ დამთავრებულა, უნდა დაისაჯოს მცდელობისათვის“. ამგვარადვე რუსეთის რევოლუციამდელი 1903 წლის სისხლის სამართლის დებულება განსაზღვრავდა: „მოქმედება, რომლითაც იწყება იმ დანაშაულებრივი ქმედობის შესრულება, რისი ჩადენაც სურდა დამნაშავეს, უკეთუ იგი არ დამთავრებულა დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჩაითვლება მცდელობად“. დაახლოებით ასევე განმარტავენ მცდელობის ცნებას ბელგიის 1867 წ. სისხლის სამართლის დებულება (§51), იაპონიის 1908 წ. სისხლის სამართლის კოდექსი (§43), არგენტინის 1921 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 42-ე) და სხვ.

ზემოაღნიშნული ფორმულის შესაბამისად ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ლიტერატურაში წარმოიშვა მთელი მიმართულება, რომელიც ამტკიცებდა, რომ დაუმთავრებელი დანაშაული შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა გამოვლინდა მოქმედებით, რომელიც უკვე დანაშაულის აღსრულების დასაწყისს წარმოადგენს. ეს მიმართულება ცნობილია მცდელობის ობიექტური თეორიის სახელწოდებით. ობიექტური თეორიის მომხრეები უარყოფენ არა მარტო ლიტონი განზრახვის, არამედ აგრეთვე მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობასაც, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობა პირდაპირ გათვალისწინებულია კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ან როდესაც იგი ისჯება როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული. ასეთ დანაშაულებრივ შემადგენლობას წარმოადგენს, მაგალითად, სახელმწიფოებრივი ღალატის მომზადება.

მცდელობის ობიექტურმა თეორიებმა, რამდენადაც ისინი ფეოდალური მართლმსაჯულების თვითნებობას და სუბიექტივიზმს

ებობდნენ, დადებითი როლი შეასრულეს. მაგრამ რამდენადაც ისინი წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ, მათ არ შეეძლოთ უზრუნველყოთ კანონიერების დაცვა ასეთი სქოლასტიკური მეთოდებით<sup>1</sup>. მრავალრიცხოვანი ბურჟუაზიული თეორიები ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თავიანთი სქოლასტიკური დავის შედეგად სრულიად დააბნიეს საკითხი და თვით ბურჟუაზიულ იურისტებში ერთგვარი პესიმიზმი გამოიწვიეს. ასე, მაგალითად, კლასიკური მიმართულების ერთ-ერთი მეთაური რუსეთის რევოლუციამდელ სისხლის სამართალში ნ. სერგეევსკი აღნიშნავდა, რომ „ის საკითხი, თუ სად თავდება მომზადება და სად იწყება მცდელობა, არ შეიძლება ზოგად თეორიულად იქნეს გადაჭრილი“<sup>2</sup>.

უცხოურ ლიტერატურაში ამავე შეხედულებას გამოთქვამდა ფ. ლისტი, რომლის აზრით, კანონს არ შეუძლია არაავითარი სახელმძღვანელო კრიტერიუმის მოცემა და უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მცდელობისა და მომზადების გამიჯვნის საკითხი მოსამართლეს დაკისრებოდა<sup>3</sup>.

სამრეწველო კაპიტალიზმიდან იმპერიალიზმისაკენ გადასვლის პერიოდში, რომელსაც საერთოდ ახასიათებს ბურჟუაზიის მიერ მისივე კანონიერების რღვევა და მოსამართლის თავისუფალი მიხედულობის გაფართოება, სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ისევე როგორც სამართლის მეცნიერების სხვა დარგებში, უხვად აღმოცენდნენ სუბიექტური თეორიები, რომლებმაც დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხშიც იჩინეს თავი. ეს თეორიები დაუმთავრებელი დანაშაულის პასუხისმგებლობის საფუძველს დანაშაულის სუბიექტურ მხარეში ჰხედავენ.

სუბიექტური თეორიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის –

---

<sup>1</sup> იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1957, S.S. 448-449.

<sup>2</sup> Н.Д. Сергеевский, Русское уголовное право. Пособие к лекциям. Петроград, 1915, стр. 302.

Ф. Лист, Учебник уголовного права. Пер. с 12 нем. изд. Ф. Ельяшевич. М., 1903, стр., 221. იხ. აგრეთვე, A. Prins, Science penal et droit positif, Bruxelles – Paris, 1899, p. 132. A. Finger, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, 1904, S. 310.



ბურის აზრით — მცდელობა გულისხმობს დამთავრებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნაწილის არარსებობას. მაგრამ თუ ობიექტურ შემადგენლობას აკლია რაიმე ნაწილი, თუნდაც სულ უმნიშვნელო, მაშინ ის, რაც ობიექტურად განხორციელდა, ყოველგვარ მნიშვნელობას ჰკარგავს: აქ არ არის არც მთელი სამართალდარღვევა, არც ნახევარი, არც საზოგადოდ მისი რაიმე ნაწილი. პირიქით, დანაშაულის სუბიექტური მხარე სრული მოცულობით არის მოცემული. ამიტომ, ბურის აზრით, მცდელობის არსი მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულებრივ ნებაში უნდა ვეძებოთ: „მცდელობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტური ფაქტებიდან თვალსაჩინოდ ჩანს, რომ ეს მოქმედება ჩადენილი იყო სისხლის სამართლის კანონის დარღვევის მიზნით, ვინაიდან აქ ჩვენ გვაქვს ნება, რომელიც... უპირისპირებს თავის თავს სისხლის სამართლის კანონს...<sup>1</sup>

ბურის შეხედულებას იზიარებდა გერმანიის საიმპერიო სასამართლოს სისხლის სამართლის სენატი, რომლის დადგენილებებში არაერთხელ ყოფილა მითითებული, რომ მცდელობას ადგილი აქვს არა იმ მომენტიდან, როდესაც ნამდვილად დაიწყო დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც სუბიექტი ჰფიქრობს, რომ იგი იწყებს დანაშაულის განხორციელებას<sup>2</sup>.

ამგვარად, სუბიექტური თეორიის წარმომადგენელთა აზრით, მცდელობის დროს ისჯება არა ობიექტურად განხორციელებული, ობიექტურად საშიშროების შემქმნელი ქმედობა, არამედ მხოლოდ დანაშაულებრივი განზრახვა. რაც შეეხება გარეგან მოქმედებას, ამ უკანასკნელს მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი ადასტურებს დანაშაულებრივი ნების არსებობას. მაშასადამე, გარეგანი მოქმედება წარმოადგენს ბოროტი ნების, პიროვნების ანტისოციალური ფსიქიკური განწყობილების არსებობის დამამტკიცებელ ფაქტს. როგორც ამ გადმოცემიდან ჩანს, მცდელობის სუბიექტური თეორიები

---

<sup>1</sup> Buri, Abhandlungen aus dem Strafrechte, 1862, S. 55. სუბიექტური თეორიის მთავარი წარმომადგენლები, ბურის გარდა, იყვნენ დასავლეთის ლიტერატურაში ბაუერი, კესტლინი, ბირლინგი, პრინსი, გერმანი და სხვ. რუსულ ლიტერატურაში — ჩებიშველიძე-ტირიაკვი და კოლოკოლოვი.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. Lehrbuch des Strafrechts des Deutschen Demokratischen Republic, 1957, S.S. 449-450.

ასაბუთებენ სიმპტომატურ შეხედულებას დანაშაულზე. ამით მათ ნიადგი მოამზადეს სოციოლოგიური სკოლის წარმოშობისათვის ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში.

როგორც არაერთხელ ყოფილა მითითებული თვით ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ლიტერატურაში, მცდელობის სუბიექტურ თეორიებს არ ძალუბთ მოგვეცენ განმასხვავებელი ნიშანი მომზადებასა და მცდელობას შორის<sup>1</sup>. დანაშაულებრივი ნების სიმტკიცე ან ანტისოციალური განწყობილების სერიოზულობა შეიძლება სავსებით ერთნაირი იყოს განზრახვი დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების ყველა ეტაპზე. მაშასადამე, თუ მოსამართლე დაადგენს სერიოზული კანონსაწინააღმდეგო ნების არსებობას, იგი აღარ უნდა დაელოდოს პირის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენას, რომლითაც მან ნამდვილად საფრთხეში ჩააყენა სამართლის მიერ დაცული ობიექტი, არამედ შეუძლია დასაჯოს უფრო ადრინდელი სტადიაც. სუბიექტური თეორიები აფართოებენ დასჯადობის სფეროს. მათ შესაძლებლად მიაჩნიათ არა მარტო ადრინდელი მოსამზადებელი მოქმედების, არამედ თვით განზრახვის გამომქლავების დასჯადობაც.

დამახასიათებელია, რომ სუბიექტურმა თეორიებმა განსაკუთრებით დიდი გავრცელება კპოვეს პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ. იმპერიალისტური პერიოდის მთელი რიგი კანონმდებლობა უკვე პირდაპირ ითვალისწინებს მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობას, ასეთია დანიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები (§21, ნაწ. I). ასეთივე ნორმა შეტანილი იყოს იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის წინასწარ პროექტში, რომელიც 1921წ. შეადგინა იმპერიალიზმის პერიოდის ერთ

---

<sup>1</sup> რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში მცდელობის სუბიექტური თეორიები საუბუქლიანად იქნა გაკრიტიკებული. იხ. მაგალითად: Полегаев, Границы наказуемости покушения, „Юридический вестник“, 1863, N 11, стр. 38-39; Н.С. Таганцев. Курс русского уголовного права, часть общая, кн. I, отд. III, 1878, стр. 158-159; его же, Лекции по русскому уголовному праву, 1902, стр. 692-693; А.Ф. Кистяковский, Элементарный учебник общего уголовного права, Часть общая, Киев, 1882, стр. 544; А.Н. Круллевский, Учение о покушении, т. II, Петроград. 1918. стр. 37-58; უცხოეთის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში იხ. განსაკუთრებით А.Е. Overbeck, Die Erscheinungsformen des Verbrechens im Lichte der modernen Strafrechtsschule, Leipzig, 1909.

ერთი მეტად რეაქციული სისხლისსამართლებრივი სკოლის ცნობილმა წარმომადგენელმა ენრიკო ფერიმ. ეს პროექტი ამკარად შლიდა ყოველგვარ ზღვარს მცდელობასა და მოსამზადებელ მოქმედებას შორის, უფრო მეტიც, იგი სრულიად არ ახსენებდა მომზადებისა და მცდელობის ცნებებს. პროექტის მე-16 მუხლში მოცემულია შემდეგი ნორმა: „როდესაც დანაშაული ჩადენილი არ იქნა შემთხვევითი გარემოების გამო, მოსამართლეს შეუძლია, მიიღებს რა მხედველობაში ჩადენილი ქმედობის თვისებებს, გამოიყენოს სანქცია, რომელიც გათვალისწინებულია დამთავრებული დანაშაულისათვის“... ეს ფორმულა იმდენად ფართოა, რომ, ცხადია, იგი მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ჩადენილია თუნდაც მეტად შორეული მოსამზადებელი მოქმედება. უფრო მეტიც, იგი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო თვით განზრახვის გამოძლეავენების მიმართაც.

გასაგებია, რომ მცდელობის ცნების სუბიექტურმა გაგებამ, რომელიც იძლეოდა არათუ მოსამზადებელი მოქმედების, არამედ აგრეთვე არასასურველი ფსიქიკური განწყობილების დასჯის შესაძლებლობას, დიდი პოპულარობა მოიპოვა ფაშისტური ხელისუფლების ბატონობის პერიოდში, ამ მომენტს „დაემატა უკვე ცნობილი, სამართლის მიმართ მტრულად განწყობილი ნორმატიული სისხლისსამართლებრივი იდეოლოგიის თეზისები. ეს იდეოლოგია, სამართლის ნამდვილ შემოქმედად სთვლის მოსამართლეს, რომელიც გადააქცევს კანონს სამართლად მისი განმარტებისა და გამოყენების მეშვეობით. ფაშისტურ სასამართლო პრაქტიკაში, ამ სწავლების შესაბამისად, საკმარისი იყო უბრალო ეჭვი, რომ პირს აქვს ანტიფაშისტური განწყობილება და სასამართლოს შეეძლო მკაცრად დაესაჯა იგი სახელმწიფო ღალატის მომზადებისათვის<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ მცდელობის სუბიექტურ თეორიებს ამჟამად დიდი გასავალი აქვს დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში.

---

<sup>1</sup> Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Allgemeiner Teil, Berlin, 1957, S. 451.

### §3. მცდელობის სახეები

მცდელობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვაგვარ მოქმედებებში, რომელთაგან ზოგიერთი უფრო მეტად დაშორებულია შედეგიდან, ხოლო ზოგიერთი იმდენად ახლოს არის შედეგთან, რომ დამნაშავეს შედეგის წარმოშობისათვის რაიმე სხვა მოქმედების ჩადენა არ ესაჭიროება. ამისდა მიხედვით სისხლის სამართლის ლიტერატურაში და კანონმდებლობაში ადგილი ჰქონდა მცდელობის სახეთა კლასიფიკაციის ცდებს.

1. ნაშრომის ისტორიულ ნაწილში მითითებული იყო, რომ მცდელობის ცნება პირველად იტალიის იურისპრუდენციაში წარმოიშვა საშუალო საუკუნეებში, თანაც მცდელობის ცნებას დასაწყისში ისეთ ფართო მოცულობა ჰქონდა, რომ იგი ფაქტიურად მოსამზადებელ მოქმედებასაც მოიცავდა. ამისდა მიხედვით საშუალო საუკუნეების იტალიელი კრიმინალისტები მცდელობას ორ სახედ ჰყოფდნენ – *conatus remotus* და *conatus proximus* (შორეული და უახლოესი მცდელობა), თანაც არსებითად *conatus remotus*-ს აკუთვნებდნენ ისეთ მოქმედებას, რომელიც ამჟამად დანაშაულის მომზადებაში შედის, ხოლო *conatus proximus* მოიცავდა დანაშაულის უშუალოდ აღსრულებას. უფრო გვიანდელ სამართალში მცდელობის ამ ორ სახეს დაემატა კიდევ მესამე სახე – *Delictum perfectum*, რომელიც მეორე სახიდან გამოიყო და რომელიც ნიშნავდა ისეთ მცდელობას, როდესაც პირმა გააკეთა ყოველივე ის, რაც მისი მხრით უნდა ყოფილიყო შესრულებული, რომ დანაშაულებრივი შედეგი დაბოლოებულიყო<sup>1</sup>. განსაკუთრებით ზუსტად ამ ცნების შინაარსი ფორმულირებული იყო მე-18 საუკუნეში გერმანელი იურისტის კლაინის მიერ. კლაინი განასხვავებდა მცდელობის ორ სახეს: მცდელობას ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით (*versuchten Delikt*) და დამთავრებულ მცდელობას (*delictum perfectum*). პირველ ცნებას იგი თავისი მხრით ჰყოფდა ორ სახედ, რომელნიც თავისი შინაარსით ადრინდელი იტალიელი იურისტების *conatus remotus* და

<sup>1</sup> R. Frank, *Vollendung und Versuch*. „Vergleichende Darstellung des Deutschen und Ausländischen Strafrechts“, Allgemeiner Teil, Berlin, B. V, 1908, S. 199.

conatus proximus ცნებებს შეესაბამებოდნენ. ამგვარად, გერმანიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკმაოდ დიდხანს, თვით ფოიერბახის შრომებშიაც, გვხვდება მცდელობის სამი სახე: conatus remotus – conatus proximus – delictum perfectum.

დროთა განმავლობაში, როგორც ცნობილია, უარყოფილ იქნა მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობა და ამასთან დაკავშირებით მოისპო მცდელობის სამწევროვანი დაყოფაც. დარჩა მცდელობის ორი სახე, რომელთაც გერმანულ ლიტერატურაში შრეტერის შემდეგ (Handbuch des peinlichen Rechts, 1818) უწოდებენ დამთავრებულ (beendigter Versuch) და დაუმთავრებელ მცდელობას (unbeendigter Versuch). ასეთი დაყოფა შეტანილი იყო მე-19 საუკუნის დასაწყისის სისხლის სამართლის კოდექსებში, სახელდობრ, ვირტემბერგის, ბრუნსვეიგის, საქსონიის, ბადენის და სხვა კოდექსებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კოდექსებში დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის ცნებათა შეტანას პრაქტიკული მიზანი ჰქონდა, ვინაიდან ეს კოდექსები დამთავრებული მცდელობისათვის უფრო მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებდნენ, ვიდრე დაუმთავრებელი მცდელობისათვის. გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსში გაუქმებულია ასეთი განსხვავება და დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის ცნებანი ინარჩუნებენ პრაქტიკულ მნიშვნელობას მხოლოდ ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის და ქმედითი სინანულის (tätige Reue) განმარტების დროს.

მცდელობის დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის რევოლუციამდელ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. ეს დაყოფა პირველად 1845 წლის სასჯელთა დებულებაში იყო მოცემული. 1845 წლის დებულება იცნობდა მცდელობის ზოგად ცნებას, რომლიდანაც გამოჰყოფდა, როგორც მცდელობის განსაკუთრებულ სახეს, ისეთ მცდელობას, რომლის დროსაც დამნაშავემ გააკეთა ყველაფერი, რაც მას შეეძლო საჭიროდ ჩათვალა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, თუ მის მიერ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო განზრახული ბოროტება არ განხორციელდა. ასეთივე ნორმა დარჩა 1866 წლის რედაქციის სასჯელთა დებულების 115-ე მუხლში, თუმცა ცოტაოდენი ცვლილებით. სახელ-

დობრ, 1864 წლის 9 მარტის კანონის თანახმად, რომელიც შევიდა 1866 წლის დებულებაში, ნაცვლად სიტყვებისა „გააკეთა ყველაფერი, რაც მას შეეძლო საჭიროდ ჩაეთვალა“, ნათქვამი იყო „გააკეთა ყველაფერი, რასაც საჭიროდ თვლიდა“. ამგვარად დამთავრებული მცდელობა სუბიექტური თვალსაზრისით იყო განმარტებული. აღნიშნულ დადგენილებათა თანახმად, დამთავრებული მცდელობა უფრო მკაცრ სასჯელს იწვევდა, ვიდრე დაუმთავრებელი მცდელობა.

1903 წლის სისხლის სამართლის დებულების შემდგენებმა გაილაშქრეს მცდელობის ორ სახედ დაყოფის წინააღმდეგ. რამდენადაც 1903 წლის დებულება არ ითვალისწინებდა უფრო მძიმე სასჯელს დამთავრებული მცდელობისათვის, ამიტომ მათ საერთოდ საჭიროდ არ დაინახეს ამ დაყოფის დატოვება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

აღსანიშნავია, რომ მცდელობის დაყოფას სახეებდ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არის მცდელობის მოქმედება დამთავრებულ დანაშაულთან, ითვალისწინებდა ზოგიერთი ისეთი კოდექსიც, რომელიც არ აწესებდა სხვადასხვა სასჯელს დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობისათვის. ასე, მაგალითად, საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსით მცდელობად ითვლება მოქმედება, რომლითაც გამოვლინდა დანაშაულის აღსრულების დასაწყისი. „უკეთუ იგი შეაწყვეტინეს ან უკეთუ იგი უშედეგო დარჩა ამსრულებლის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“ („si elle n'a pas été suspendue ou si elle n'a manqué son effet que par des circonstances indépendantes de la volonté de son auteur...“). საფრანგეთის სისხლის სამართლის ლიტერატურაში მეორე სახის მცდელობა ჩვეულებრივად ცნობილია უშედეგო დანაშაულის სახელწოდებით (délit manqué).

უშედეგო დანაშაულის ცნებას იცნობენ ზოგიერთი თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსებიც. შვეიცარიის 1937 წლის კოდექსი განასხვავებს მცდელობას (მუხ. 21) და უშედეგო დანაშაულს (მუხ. 22). მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ვინმე დაიწყებს დანაშაულის ან გადაცდომის შესრულებას, მაგრამ ბოლომდე არ მიიყვანს თავის ბრალეულ საქმიანობას, ხოლო უშედეგო დანაშაულს — მაშინ, როდესაც დამნაშავე ბოლომდე მიიყვანს თავის დანაშაუ-

ლებრივ საქმიანობას, მაგრამ ვერ მიაღწევს იმ შედეგს, რაც საჭიროა დანაშაულის ან გადაცდომის დამთავრებისათვის. იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ამგვარადვე განასხვავებს მცდელობას, როდესაც მოქმედება ბოლომდე არ იყო მიყვანილი, და მცდელობას, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია.

ისევე, როგორც საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსისათვის, შვეიცარიისა და იტალიის სისხლის სამართლის კოდექსებისათვის ამ დაყოფას იმდენად დიდი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვთ, როგორც რევოლუციამდელი რუსეთის კანონმდებლობისათვის, ვინაიდან ეს კოდექსები არ განასხვავებენ მცდელობის სხვადასხვა სახეების დასჯადობას. მაგრამ ეს დაყოფა ინარჩუნებს მნიშვნელობას ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობისა და „ქმედითი მონანიების“ საკითხისათვის.

ბურჟუაზიულ იურისტებს შორის განუწყვეტელი სქოლასტიკური დავა მიმდინარეობს იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა გაემიჯნოთ მცდელობის აღნიშნული ორი სახე, მაგრამ ერთგვაროვანი და დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა აღნიშნული საკითხისა დღესაც არ არის მიღწეული.



საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მცდელობის დაყოფა ორ სახედ მოცემული იყო რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ამ პერიოდში მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსებში. ამ კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დაუმთავრებელი მცდელობა განმარტებული იყო როგორც ისეთი მცდელობა, რომლის დროსაც დაზნაშავეს „არ გაუკეთებია ყოველივე ის, რაც აუცილებელი იყო მისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად“, ხოლო დამთავრებული, — როგორც ისეთი მცდელობა, რომლის დროსაც დაზნაშავემ „თუმცა გააკეთა ყოველივე ის, რასაც იგი აუცილებლად თვლიდა, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის ცნებას იცნობდა აგრეთვე უკრაინის სსრ 1927 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, თუმცა აღნიშნული კოდექსი ამ ცნებებს სხვაგვარად განსაზღვრავდა.

როგორც 1924 წლის ძირითად საწყისებში, ისე მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედ კოდექსებში (გარდა უკრაინის სსრ კოდექსისა) მცდელობის ცნება განმარტებული არ ყოფილა. ხოლო მცდელობის ცნების იმ განმარტებაში, რომელსაც 1958 წლის საფუძვლები იძლევიან, არ არის მოცემული ამ ცნების დაყოფა ორ სახედ – დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად. აქ ზოგადად არის მოხსენიებული, რომ „დანაშაული ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი დამნაშავეის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი: არის თუ არა საჭირო მცდელობის დაყოფა ორ სახედ – დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობად? აქვს თუ არა ასეთ დაყოფას რაიმე თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა?

მცდელობის დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად დაყოფის წინააღმდეგ საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში ილაშქრებენ ა. ტრაინინი<sup>1</sup>, უფრო გვიან ნ. კუზნეცოვა და სხვ. კერძოდ, ნ. კუზნეცოვას მოჰყავს ამ დაყოფის წინააღმდეგ შემდეგი მოსაზრებები:

ჯერ ერთი, ასეთი დაყოფა არ არის გამოწვეული მცდელობის მოქმედებათა ბუნებით, რამდენადაც მცდელობის მოქმედებანი წარმოადგენენ დანაშაულის აღმასრულებელ ერთიან და განუყოფელ მოქმედებებს. ამ მოქმედებათა ყოველი ნაწილი ერთნაირად აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, ერთნაირ დამოკიდებულებაშია დანაშაულის შემადგენლობასთან.

მეორე, მცდელობის მოქმედება მეტ წილად წარმოადგენს ერთს, და თანაც იმდენად სწრაფად მიმდინარე აქტს, რომ დასაწყისისა და დაბოლოების გაყოფა პრაქტიკულად მეტად ძნელია.

მესამე – დაყოფას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ორივე შემთხვევაში დანაშაული ბოლომდე არ ხორციელდება დამნა-

<sup>1</sup> А. Трайнин, Уголовное право, Часть общая, М., 1929, стр. 332.



შავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. „ამიტომ დანაშაულის შესრულების ხარისხი, საქმის სხვა გარემოებათაგან იზოლირებულად აღებული, ყოველთვის როდი მეტყველებს შესრულებული მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე“<sup>1</sup>.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ნ. კუზნეცოვას შეხედულებას ერთგვარი საფუძველი აქვს კანონში იმდენად, რამდენადაც ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ მოითხოვს დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის სხვადასხვაგვარად დასჯადობას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველები არც მომზადებისა და მცდელობის სხვადასხვაგვარად დასჯადობას მოითხოვენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ორივე ცნების განმარტებას იძლევიან. ეს იმიტომ ხდება, რომ დანაშაულის აღსასრულებელი მოქმედების სიახლოვე დანაშაულის მთლიანად განხორციელებასთან არ არის მოკლებული ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას. საფუძვლების მე-15 მუხლის III ნაწილის თანახმად, სასამართლომ, სასჯელის დანიშვნის დროს, მხედველობაში უნდა მიიღოს, სხვა გარემოებებთან ერთად, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხიც. ამ მომენტის დადგენისათვის კი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, დაამთავრა თუ არა მცდელმა თავისი მოქმედება მთლიანად, თუ მას მცდელობის მოქმედება ბოლომდე არ შეუსრულებია. როდესაც მცდელმა მხოლოდ დაიწყო დანაშაულებრივი საქმიანობის აღსრულება, მაგალითად, დაუმიზნა თოფი, მაგრამ ჯერ არ გაუსროლია, აქ უფრო მეტია შესაძლებლობა, რომ მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ჩაერევიან შემაფერხებელი ძალები, რომლებიც ააცდენენ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას (მაგალითად, ხელი სტაცეს და წაართვეს თოფი), ვიდრე მას შემდეგ, რაც სუბიექტმა უკვე ბოლომდე განახორციელა თავისი მოქმედება, მაგალითად, გაისროლა თოფი. ამავე დროს აღსრულების დასაწყისში, როდესაც ძირითადი, გადამწყვეტი მოქმედება ჯერ კიდევ ბოლომდე შესრულებული არ არის, როგორც წესი, თვით სუბიექტის საზოგადოებრივი საშიშროებაც ისე არ ვლინდება, როგორც დამთავრებული მცდელობის დროს. მართებულად მიუთითებდა თავის დროზე რეკოლუციამდე-

<sup>1</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ 94.

ლი რუსი კრიმინალისტი პროფ. კოლოკოლოვი, რომ სწორედ უკანასკნელი აქტი, მაგალითად, თოფის გასროლა მოითხოვს დანაშაულებრივი ნების სრულ დაძაბვას<sup>1</sup>.

დაუმთავრებელი მცდელობის დროს, როგორც ჩვენს ლიტერატურაში იყო აღნიშნული, „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ დამნაშავე ნებაყოფლობით ხელს აიღებს შემდგომ დანაშაულებრივ საქმიანობაზე, რომელიც აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად“<sup>2</sup>.

დაბოლოს, მცდელობის დაყოფას ორ სახედ – დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის საკითხის გადაჭრისათვის. საქმე ის არის, რომ დაუმთავრებელი მცდელობის დროს ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის შესრულებაზე პასიურ ფორმაში გამოიხატება, ხოლო დამთავრებული მცდელობის დროს – ყოველთვის აქტიურ ფორმაში.

კუნძეცოვას მითითება, თითქოს მცდელობის მოქმედება ყოველთვის ერთ, სწრაფად განხორციელებულ აქტს წარმოადგენს, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მართალია ზოგიერთ აღსრულების მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს ასეთი ხასიათი და ამან შეიძლება გამოიხატოს არათუ დაუმთავრებელი მცდელობის შესაძლებლობა, არამედ ზოგჯერ საერთოდ ყოველგვარი მცდელობის შესაძლებლობაც. მაგრამ ეს საბუთი არ შეიძლება განვაზოგადოთ და მის საფუძველზე მთლიანად უარვეყოთ მცდელობის ორ სახედ დაყოფა<sup>3</sup>.

საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობას ამიტომ კანონზომიერად მიაჩნია მცდელობის გაყოფა ორ სახედ – დაუმთავრებულ და დამთავრებულ მცდელობად<sup>4</sup>. მაგრამ სადავოდ ითვლება ის კრიტერი-

<sup>1</sup> იხ. Уголовное уложение, Проект редакционной комиссии и объяснения к нему. т. I, С.П., 1897, стр. 427, примечание.

<sup>2</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ 164.

<sup>3</sup> ამ საკითხზე სწორად მსჯელობს ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ 164-165.

<sup>4</sup> იხ. Советское уголовное право, Общая часть, 1959, стр. 216-217. 6, ლურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ 142-147; ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ 163-177; В.Ф. Кириченко, Значение ошибки по советскому уголовному праву, М., 1952, стр. 91; М.И. Якубович, В.Ф. Кириченко, Советское уголовное право, М., 1958, стр. 117-118 და სხვ.

უმი, რომლის მიხედვით მცდელობის ეს ორი სახე განსხვავებულ უნდა იქნეს ერთმანეთისაგან.

ზოგიერთი კრიმინალისტიკის აზრით, ამ განსხვავებას საფუძვლად უნდა დაედოს სუბიექტური კრიტერიუმი, ე.ი. თვით დაზნაშავის წარმოდგენა იმის შესახებ, შეასრულა თუ არა მან ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის. ამისდა მიხედვით დაუმთავრებელ მცდელობად თვლიან ისეთ მცდელობას, „რომლის დროსაც პირს არ გაუკეთებია ყოველივე ის, რაც მას საჭიროდ მიაჩნდა თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად“, ხოლო დამთავრებულ მცდელობად ისეთს, „რომლის დროსაც პირმა გააკეთა ყველაფერი, რასაც აუცილებლად თვლიდა თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ შედეგი მაინც რატომღაც არ განხორციელდა“.<sup>2</sup>

სუბიექტურ შეხედულებას დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის გამიჯვნის დროს იზიარებდა უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი. 1922 წლის კოდექსი ამ საკითხში არათანამიმდევრობას იჩენდა, მაშინ, როდესაც დაუმთავრებელ მცდელობას იგი ობიექტური თვალსაზრისით განსაზღვრავდა (მოქმედების ჩამდენს „არ გაუკეთებია ყოველივე ის, რაც აუცილებელი იყო მისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად“), დამთავრებულ მცდელობას იგი, პირიქით, სუბიექტური ნიშნებით ახასიათებდა („თუმცა გააკეთა ყველაფერი, რაც მას აუცილებლად მიაჩნდა, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“)<sup>3</sup>.

სუბიექტური შეხედულება დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის განსაზღვრის საკითხზე სამართლიანად იყო გაკრიტიკებული უკანასკნელ ხანს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. პირველად ყოვლისა, მხედველობაში მისაღებად ის მოსაზრება, რომ რამდენადაც საბჭოთა სამართალი დანაშაულის მცდელობას და მოსამზადებელ მოქმედებას ობიექტური ნიშნების მიხედვით განსაზღვრავს და განასხვავებს ერთიმეორისაგან, ლოგიკური თანამიმდევრობა მოითხ-

<sup>1</sup> Советское уголовное право, Общая часть, М., 1959, стр. 216-217.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>3</sup> ამ შესაბამობაზე მართებულად მიუთითებს პროფ. ნ. ლურმანოვი თავის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, გვ. 147.

ოვს, რომ მცდელობის სხვადასხვა სახეების გამოიჯენის დროსაც ეს ობიექტური კრიტერიუმი იყოს შენარჩუნებული<sup>1</sup>. „ჩვენი კანონი, ლაპარაკობს ნ. კუზნეცოვა, ... მოითხოვს მოსამართლისაგან მოქმედების შედეგთან სიახლოვის ხარისხის მხედველობაში მიღებას. მისი ობიექტური შეფასების საფუძველზე. ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა იქნებოდა საბჭოთა მატერიალური სისხლის სამართლის და სისხლის საპროცესო სამართლის ძირითადი პრინციპების დარღვევა“<sup>2</sup>.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სუბიექტურმა კრიტერიუმმა შეიძლება დიდი სხვადასხვაობა და მერყეობა გამოიწვიოს აღნიშნული ორი სახის მცდელობის გამოიჯენაში, რამდენადაც იგი მოითხოვს დამნაშავეთა სუბიექტური შეხედულებებისა და თავისებურებების მხედველობაში მიღებას იმ წმინდა ობიექტური ფაქტის დასადასტურებლად, მოათვა თუ არა სუბიექტმა თავისი აღმასრულებელი მოქმედება, მიმართული შედეგის განხორციელებაზე, თუ ეს მოქმედება ბოლომდე არ მიუყვანია. სუბიექტური შეხედულების მიხედვით ვერ ჩათვლება დამთავრებულად ისეთი მცდელობა, როდესაც სუბიექტმა გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, თუ იგი არასწორი წარმოდგენის გამო ფიქრობს, რომ კიდევ რაღაც დარჩა გასაკეთებელი, და, პირიქით, მცდელობა დამთავრებულად უნდა იქნეს ცნობილი, თუ სუბიექტს არ გაუკეთებია ყოველივე ის, რაც მისი მხრით საჭირო იყო აღსრულების მოქმედების მოსათავებლად, თუ იგი შეცდომით ფიქრობს, რომ მან ყველაფერი, აუცილებელი შედეგისათვის, უკვე გააკეთა.

დაბოლოს, ამას ემატება პროცესუალური ხასიათის მოსაზრებანიც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. ტიშკევიჩი, „ძალიან ძნელა, ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა იმის დამტკიცება, რომ დამნაშავე თვლიდა თავის მოქმედებას საკმარისად საზოგადოებრივად საშიში შედეგის მისაღწევად, მით უმეტეს, რომ დამნაშავე, როგორც წესი, უარყოფს ამას“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 93-94.

<sup>2</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

<sup>3</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 159. თვითონ ი. ტიშკევიჩის აზრით, დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის გამოიჯენისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ორივე კრიტერიუმი, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური. მაშასადამე, დამთავრებული მცდელობა იქნება მხოლოდ მაშინ, თუ პირმა არა მარტო გააკეთა ყოველივე ის, რაც მისი

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო, მცდელობის დაყოფას ორ სახედ, ჩვენის აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს ობიექტური ნიშანი. მაგრამ ეს ობიექტური ნიშანი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს დამთავრებული მცდელობა არის მაშინ, როდესაც პირმა გააკეთა ყოველივე ის, რაც აუცილებელი იყო შედეგის მისაღწევად. ასეთი ფორმულა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი იქნებოდა. ვინაიდან თუ სუბიექტმა გააკეთა ყოველივე ის, რაც ნამდვილად აუცილებელი იყო შედეგის მისაღწევად, მაშინ შედეგი აუცილებლად დადგება. თვით შედეგის განუხორციელებლობა მიუთითებს იმაზე, რომ, მაშასადამე, სუბიექტის მიერ ყველაფერი გაკეთებული არ ყოფილა. ამიტომ ამ განმარტებაში ერთგვარი შესწორება უნდა იქნეს შეტანილი.

ჩვენის აზრით, დაუმთავრებელ მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირმა თუმცა დაიწყო დანაშაულის აღსრულება, მაგრამ თავისი მოქმედება ბოლომდე არ მოუყვანია. მაგალითად, ქურდი შეიპყრეს იმ მომენტში, როდესაც იგი ცდილობდა მალაზიის კარის შემტვრევას, მკვლევლობის მცდელს ხელიდან გააგდებინეს დანა, რომელიც მან მოუღერა დასარტყმელად თავის მტერს. იმისათვის, რომ დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდეს, საჭიროა დამნაშავის შემდგომი მოქმედება (მალაზიაში შესვლა და ნივთის ხელში აღება, დანის დარტყმა და ა.შ.). აქ დამნაშავეს არ გაუკეთებია ყოველივე ის, რისი გაკეთებაც მისი მხრით საჭიროა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად და ამიტომ ამ სტადიაზე დამნაშავეს ჯერ კიდევ შეუძლია ხელი აიღოს მცდელობის ბოლომდე მიყვანაზე.

დამთავრებულ მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირმა გააკეთა ყოველივე ის, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მაგალითად, პირმა ესროლა თავის მტერს, მაგრამ ვერ მოახვედრა. აქ პირმა გააკეთა ყველაფერი,

---

მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, არამედ ამავე დროს სწორად თვლის, რომ შესრულებულია ასეთი მოქმედება (იხ. ი. ტიმსკევიჩი, დასახ. ნაშრ, გვ. 162). ჩვენის აზრით, ეს დებულება ეწინააღმდეგება თვით ტიმსკევიჩის მიერ ზემოთ მოყვანილ აზრს. გარდა ამისა, ი. ტიმსკევიჩს არ შეუძლია განსაზღვროს მცდელობის სახე ისეთ შემთხვევებში, როდესაც ის, რაც სუბიექტმა ნამდვილად გააკეთა და ის რაც მან, მისი წარმოდგენით, გააკეთა, სინამდვილეში არ შეესაბამება ერთმანეთს.

რაც მასზე იყო დამოკიდებული, შედეგის მისაღწევად, მაგრამ რაღაც გარეშე გარემოებამ ხელი შეუშალა შედეგის განხორციელებას. ამიტომ ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მცდელობაზე ხელის აღებას (მცდელობა უკვე დამთავრდა), არამედ მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების თავიდან აცილვას.

ე.წ. ფორმალურ დანაშაულთა დროს შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობა; თუ სუბიექტის მიერ მოქმედება, რომელიც თავისთავად დასჯადია, უკვე შესრულებულია, ადგილი ექნება დამთავრებულ დანაშაულს და არა დამთავრებულ მცდელობას. ასე რომ მცდელობის დაყოფას დამთავრებულად და დაუმთავრებლად მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ე.წ. მატერიალური დანაშაულის დროს; აქ შესაძლებელია როგორც მცდელობის მოქმედებათა არასრული რეალიზაცია, ისე მათი სრული რეალიზაცია (ორივე შემთხვევაში უშედეგოდ).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცდელობის დაყოფას ორ სახედ მნიშვნელობა აქვს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გამორკვევისათვის, რაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს დაუმთავრებელი მცდელობა ყოველთვის უფრო მსუბუქ სასჯელს უნდა იწვევდეს, ვიდრე დამთავრებული. სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლე მხედველობაში იღებს მთელ რიგ სხვა გარემოებებს, რომელნიც მხოლოდ მათ ერთიანობაში უნდა იქნეს აწონილ-დაწონილი. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მცდელობის სახეებად დაყოფას ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის საკითხის გადაჭრისათვის. მაგრამ ამ საკითხზე სპეციალურ თავში გვექნება საუბარი.

#### §4. უვარგისი მცდელობა

უვარგისი მცდელობის საკითხზე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია დაწერილი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი სრულიად უარყოფს უვარგისი მცდელობის პრობლემის არსებობას. ასე, მაგალითად, ნ. კუზნეცოვას აზრით, „ე.წ. „უვარგისი მცდელობის“ ბუნება იგივეა, რაც დანაშაულის ყოველი სხვა მცდელობისა, ეს მცდელობაც წარმოადგენს დანაშაულის განზრახ შესრულებას, რომელიც არ დაბოლოვდა სუბიექტის მიერ

განზრახული დანაშაულებრივი შედეგით მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მხოლოდ ე.წ. „უვარგისი მცდელობის“ დროს დანაშაულებრივი შედეგის განუხორციელებლობის მიზეზს წარმოადგენს სუბიექტის ფაქტიური შეცდომა ხელყოფის საგანსა და საშუალებებში, მაგრამ ასეთი დეტალი საკმაო საფუძველს არ გვაძლევს იმისათვის, რომ გამოვყოთ ასეთი მცდელობა განსაკუთრებულ სახედ, თანაც ისეთი უხეირო სახელწოდებით, როგორცაა „უვარგისი მცდელობა“, „მცდელობა უვარგისი ობიექტზე“, „მცდელობა უვარგისი საშუალებებით“<sup>1</sup>.

მაგრამ გამოსარკვევი სწორედ ის საკითხია, ახასიათებს თუ არა ე.წ. „უვარგისი მცდელობას“ ის ნიშნები, რომლებიც წარმოადგენენ მცდელობის აუცილებელ მომენტებს. ეს კითხვა იდენტურია შემდეგ კითხვისა: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ე.წ. უვარგისი მცდელობა მცდელობად იურიდიული მნიშვნელობით?

ამ საკითხში ლოგიკურად თანამიმდევრულად მსჯელობენ სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები, რომლებიც საერთოდ მცდელობას მხოლოდ სუბიექტური ნიშნების მიხედვით ახასიათებენ და მოითხოვენ უვარგისი მცდელობის დასჯადობას, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც შეიძლება აღმოჩენილ იქნეს დანაშაულის სუბიექტური ნიშნები. მაგრამ თუ დანაშაულის ცნებას ობიექტური ნიშნის მიხედვით განვსაზღვრავთ, მაშინ შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ უვარგისი მცდელობა საერთოდ მცდელობის ჩვეულებრივი სახეა და მისგან არაფრით არ განსხვავდება. ნ. კუნცეოვა განსაზღვრავს მცდელობას როგორც დანაშაულის აღმასრულებელი მოქმედების დაწყებას, თანაც ახასიათებს ამ მოქმედებას როგორც ისეთს, რომელსაც თავის თავად უნდა გამოეწვია დანაშაულებრივი შედეგი, როგორც დანაშაულის აღმასრულებელი მოქმედების კანონზომიერი დაბოლოება<sup>2</sup>. უფრო მეტიც, იგი მცდელობის მოქმედებას თვლის „სუბიექტის შემოქმედებით, მიზეზობრივ საქმიანობად, რომელიც გადააქცევს დანაშაულებრივი შედეგის შესაძლებლობას, რაც მოსამზადებელი მოქმედებით არის შექმნილი, სინამდვილედ — განხორციელებულ დანაშაულებრივ შედეგად“<sup>3</sup>.

მაგრამ ყოველივე ეს ე.წ. უვარგისი მცდელობას არ ახასიათებს.

<sup>1</sup> ნ. კუნცეოვა, დასახ. ნაშრ., გვ 96.

<sup>2</sup> იქვე, გვ 80-82.

<sup>3</sup> იქვე, გვ 82.

მას არ შეუძლია არც თავისთავად, არც კანონზომიერად გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი, ამ მოქმედებას არასდროს, არავითარ პირობებში არ შეიძლება ჰქონდეს მიზეზობრივი ხასიათი ამ შედეგის მიმართ. მაშასადამე, უვარგისი მცდელობა, ნ. კუზნეცოვას შეხედულების შესაბამისად, არ უნდა ყოფილიყო გათანაბრებული მცდელობის ჩვეულებრივ შემთხვევებთან.

უვარგისი მცდელობის ცნების საჭიროებას უარყოფს აგრეთვე ი. ტიშკევიჩი, რომელიც ამტკიცებს, რომ „ყოველი საშუალება, გამოყენებული დამნაშავეის მიერ, თუ მან არ გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი, ამ კონკრეტული შედეგისათვის ერთნაირად უვარგისია. მაგრამ იგი ვარგისი იქნებოდა, დამნაშავეს რომ შეცდომა არ დაეშვა ან საშუალების ამორჩევის ან მათი გამოყენების დროს, ე.ი. დანაშაულის საშუალება ისეთი რომ ყოფილიყო, როგორც იგი იმ პირს წარმოედგინა, ვინც იგი გამოიყენა“<sup>1</sup>.

ი. ტიშკევიჩის ასეთი მსჯელობიდან ლოგიკური აუცილებლობით გამოდინარეობს მცდელობის წმინდა სუბიექტური გაგება და არა ობიექტური განსაზღვრა მცდელობისა, რომელსაც იგი იძლევა თავისი ნაშრომის დასაწყისში და რომლის თანახმად „მცდელობის დროს დამნაშავე იდენს ისეთ მოქმედებას, რომლითაც შეიძლება განხორციელებულ იქნეს სათანადო დანაშაულის შემადგენლობა“<sup>2</sup>. ცხადია, რომ აბსოლუტურად უვარგისი საშუალების შესახებ ეს არ ითქმის. უვარგისი მცდელობის მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც გამოყენებული საშუალება ამორჩეულ იქნა მხოლოდ უკიდურესი უეცრობისა და ცრუ მორწმუნეობის გამო, მოქმედება არათუ არ წარმოადგენს დანაშაულის აღსრულების დასაწყისს, არათუ არ შეიცავს დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობის უშუალო საშიშროებას, არამედ არსებითად განზრახვის გამომჟღავნების სტადიაზეა შეჩერებული. თუმცა ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი ამტკიცებს, რომ თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოებაში ამ საკითხს არა აქვს აქტუალური მნიშვნელობა, ვინაიდან დღეს უკვე აღარ მოიპოვებიან ისეთი ცრუმორწმუნე და უეციი პირები, რომლებიც მიმართავენ

<sup>1</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 81 (ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — თწ.).



შელოცვას ან სხვ. მისთანას დანაშაულის ჩასადენად<sup>1</sup>. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ნ. ღურმანოვი, „როდესაც ვლადიმერ-აკობთ უკიდურეს უეცილობაზე, არ უნდა წარმოვიდგინოთ აუცილებლად პიროვნება, რომელიც საერთოდ მთლიანად არის მეტად ჩამორჩენილი, უეციო. საკმარისია უეციობა, სრული უცოდინარობა იმ სფეროში, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ასეთ საშუალებათა არჩევასთან“<sup>2</sup>. ამავე დროს, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გამორიცხული არ არის ჩვენშიც თითო-ოროლა იმდენად ჩამორჩენილი პირის არსებობა, რომ მას ზებუნებრივი ძალების მოქმედებაც სწამდეს. ასეთი საქმეები სასამართლომდე რომ არ შეიძლება მივიდეს, ეს გასაგებიცაა, ისინი წინასწარი გამოძიების სტადიასაც ვერ აღწევენ.

მართებულად იქცევიან ამიტომ საბჭოთა კრიმინალისტიები, რომლებიც არ უარყოფენ უვარგისი მცდელობის პრობლემის მნიშვნელობას და იძლევიან მისი გადაჭრის ცდას<sup>3</sup>.

უვარგისი მცდელობის საკითხის გადაჭრის დროს, ჩვენის აზრით, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვეულებრივად ლიტერატურაში „უვარგისი მცდელობის“ ცნებაში აერთიანებენ ხოლმე არსებითად სხვადასხვაგვარ მოვლენებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად უნდა გადაწყდეს. ასე, მაგალითად, უვარგისი საშუალებებით მცდელობას აკუთვნებენ ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სუბიექტის მიერ არჩეული საშუალება სავსებით გამოსადგეია პირის დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა რაიმე შემთხვევითი გარემოების გამო, მაგალითად, გეგმის განხორციელებისას დაშვებული შეცდომის გამო, და ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სუბიექტის მიერ არჩეული საშუალება გამოუსადეგარია დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად და მას არავითარ პირობებში არ შეეძლო გამოეწვია აღნიშნული შედეგი. დაბოლოს, უვარგისი მცდელობას აკუთვნებენ აგრეთვე მცდელობას ადგილზე არმყოფ ობიექტზე.

<sup>1</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 172-173.

<sup>2</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

<sup>3</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 151-161; Советское уголовное право, Общая часть, 1959, стр. 223-224; В.Ф. Кириченко, значение ошибки по советскому уголовному праву. Изд. АН СССР, М., 1952, стр. 52-56 და სხვ.

ჩვენის აზრით, ეს შემთხვევები სწორად შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავემყარებით მცდელობის ნების ზოგად განმარტებას და ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევას.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მცდელობა გულისხმობს დანაშაულის განხორციელების უშუალო საფრთხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მცდელობის მოქმედებას აქვს ობიექტური ტენდენცია დანაშაულის განხორციელებისა, იგი კანონზომიერად იწვევს ასეთ შედეგს. თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით პირველი ჯგუფის შემთხვევებს განვიხილავთ, ე.ი. ისეთ შემთხვევებს, როდესაც სუბიექტის მიერ ამორჩეული საშუალება საზოგადოდ გამოსადეგია შედეგის განხორციელებისათვის, მაგრამ უწყებულ კონკრეტულ პირობებში რაღაც შემთხვევითმა გარემოებამ ხელი შეუშალა დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, ცხადია, ეს შემთხვევები უნდა ჩაითვალოს მცდელობად ჩვეულებრივი მნიშვნელობით, რომელიც პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს. ეს მოქმედებანი არა მარტო სუბიექტის განზრახვას ამჟღავნებენ, არამედ ობიექტურადაც კჭმნიან დანაშაულის განხორციელების საშიშროებას და მათი გამოყოფისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ის ფაქტი, რომ შემთხვევითი გარემოების გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, სრულიადაც არ ადასტურებს მისი განხორციელების შეუძლებლობას. შესაძლებლობა სწორედ იმიტომ არის შესაძლებლობა, რომ იგი შეიძლება სინამდვილედ გადაიქცეს და შეიძლება არ გადაიქცეს. შემთხვევითი გარემოების გამო დანაშაულის ბოლომდე განუხორციელებლობა დამახასიათებელია საერთოდ ყოველგვარი მცდელობისათვის და ამ მხრით აღნიშნული შემთხვევები არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენენ. ამიტომ, თუ ვინმემ გაისროლა რევოლვერიდან, რომელშიც ტყვია ჩადო და შემდეგ აღმოჩნდა, რომ გასროლის წინ მესამე პირს ტყვია ამოუღია, ან თუ ვინმემ მოამზადა საწამლავი კაცის მოსაკლავად, მაგრამ მიცემის მომენტში შეცდომით საწამლავის მაგივრად უვნებელი ფხვნილი მისცა, ყველა ამ შემთხვევაში გამოყენებულია საშუალება, რომელსაც კანონზომიერად შეიძლებოდა მოჰყოლოდა კაცის სიკვდილი, საშუალება, რომელსაც აქვს ობიექტური ტენდენცია და არა მარტო სუბიექტური მიზანდასახულობა დანაშაულებრივი

შედეგის განხორციელებისა, მაშასადამე, ჩადენილია სავსებით ვარგისი მცდელობა, რომელიც საზოგადოებრივად საშიშია და სასჯელს იმსახურებს.

სხვაგვარად უნდა გადაწყვედეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ვინმე ცდილობს ჩაიდინოს დანაშაული ისეთი საშუალებებით, რომელსაც იგი მხოლოდ უკიდურესი უეცრობისა და ცრუმორწმუნეობის გამო თვლის გამოსადეგ საშუალებად თავისი მიზნის განხორციელებისათვის, მაგალითად, ვინმე ცდილობს მოკლას თავისი მტერი შაბის მეშვეობით ან შელოცვით და ა.შ., თანაც სავსებით დარწმუნებულია, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, ან ვინმე ცდილობს მუცელი მოუწყვიტოს ქალს წითელი ღვინის მეშვეობით. ამ შემთხვევაში დანაშაულის განხორციელებლობა განპირობებულია არა რაიმე შემთხვევითი გარემოებით, არამედ თვით გამოყენებული საშუალებების ბუნებით. ამ საშუალებებს არათუ არ შეუძლიათ საფრთხეში ჩააგდონ ადამიანის სიცოცხლე, არამედ ისინი თვით შორეულ მოსამზადებელ მოქმედებასაც კი არ წარმოადგენენ, ვინაიდან არც აადვილებენ და არც შესაძლებლად ჰქმნიან მომავალში აღმასრულებელი მოქმედების ჩადენას. ამიტომ ასეთი მოქმედებანი არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად და დასასჯელად.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობა უარყოფს ასეთ შემთხვევებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. პროფ. პიონტოკოვსკის აზრით, „როდესაც უვარგისი მცდელობა სუბიექტის აშკარა უეცრობის გამო ემყარება ისეთ წარმოდგენას მოვლენათა კავშირის შესახებ, რაც რეალურ სინამდვილეში სრულიად არ არსებობს... იგი არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“<sup>1</sup>. ამგვარადვე გ. ზლობინი და ვ. კუდრიავცევი თვლიან რომ ეს მოქმედებანი არ შეიძლება ცნობილ იქნენ საზოგადოებრივად საშიშად, ვინაიდან მათ არასდროს არ შეუძლიათ გამოიწვიონ მანე შედეგი<sup>2</sup>. პროფ. დურმანოვი მართებულად მიუ-

<sup>1</sup> Советское уголовное право, Общая часть, М., 1959, стр. 224.

<sup>2</sup> Т. Злобин и В. Кудрявцев, Рецензия на книгу В.Ф. Кириченко. „Значение ошибки по советскому уголовному праву“. „Социалистическая законность“, 1952, N 11, стр. 82.

თითებს, რომ „აღნიშნულ შემთხვევებში საერთოდ არ არსებობს არც დანაშაულის მოსამზადებელი და არც მისი აღმასრულებელი მოქმედება“, არამედ შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ „განზრახვის გამოძღვანება, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს“<sup>1</sup>.

ანალოგიურ შეხედულებას იზიარებენ აღნიშნულ საკითხზე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კრიმინალისტები. ასე, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის კრიმინალისტიკის პროფ. სოლნარჟის აზრით, „ეგრეთ წოდებული უვარგისი საშუალებებით მცდელობის დროს პრაქტიკას, როგორც ჩანს, არავითარი სიმჩნელენი არ ელობება, ვინაიდან ასეთი მცდელობა საზოგადოებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. ცხადია, ის შემთხვევები, როდესაც ასეთი უვარგისი საშუალება გამოყენებულია მიზეზობრივ კავშირთა არცოდნის გამო, დაუსჯელი უნდა დარჩეს“<sup>2</sup>.

შემაღნიშნული მოსაზრებების გამო, ჩვენ არასწორად მიგვაჩნია მოსკოვის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1952 წლის 24 იანვრის განჩინება ე-ს საქმეზე. ე-მ შეუმხაპუნა ორ ქალს მუცლის მოშლის მიზნით მის მიერ გაკეთებული ხსნარი, რომელიც სავსებით უვარგისი აღმოჩნდა მუცლის მოსაშლელად. სახალხო სასამართლომ ე-ს მოქმედებაში სცნო უკანონო აბორტი, ხოლო მოსკოვის საოლქო სასამართლომ ეს განაჩენი ძალაში დატოვა<sup>3</sup>.

უკანონო აბორტის მცდელობაზე, რამდენადაც გაკეთებული ხსნარი აბსოლუტურად უვარგისი იყო ამ მიზნისათვის, ჩვენის აზრით, ლაპარაკი შეუძლებელია. ადვოკატმა სავსებით მართებულად მიუთითა, რომ ე-მ პასუხი უნდა აგოს არა უკანონო აბორტის მცდელობისათვის, არამედ თაღლითობისათვის. თუ ე-ს მიერ დამზადებული ხსნარი საშიში იყო ქალების ჯანმრთელობისათვის და თანაც ე-ს აღნიშნული გარემოება შეგნებული ჰქონდა, ასეთ შემთხვევაში სასა-

<sup>1</sup> ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

<sup>2</sup> W. Solnar, Aktuelle Fragen des Allgemeinen Teils des Tschechoslowakischen Strafrechts. „Beiträge zu Problemen des Strafrechts“. Berlin, 1956, S. 12.

<sup>3</sup> მაგალითი მოყვანილია ნ. კუნეცოვას დასახელებული შრომიდან, გვ. 102.

გართლოს მისი მოქმედება შეეძლო დაეკვალიფიცირებინა როგორც სხეულის დაშავების მცდელობა.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა უვარგისი მცდელობის საკითხს სპეციალურად არ აწესრიგებს. განსაკუთრებულ ნორმებს უვარგისი საშუალებებით მცდელობის შესახებ ვხვდებით რუმინეთის და უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში.

რუმინეთის კოდექსი განასხვავებს ისეთ შემთხვევას, როდესაც „დანაშაულის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა გამოყენებულ საშუალებათა გაფუჭებისა და არასაკმარისობის გამო ან იმის გამო, რომ სამართლის დამრღვევმა წინდაუხედავად აირჩია დრო და ადგილი, სადაც ჩადენილი უნდა ყოფილიყო დანაშაულებრივი ქმედობა“ (მუხლი. 99, ნაწ. I) და ისეთ შემთხვევას, როდესაც „ქმედობის განხორციელების შეუძლებლობა გამოწვეული იყო ქმედობის განსახორციელებლად ნახმარი საშუალებით“ (მუხ. 99, ნაწ. IV), პირველი სახის მცდელობა დასჯადია, ხოლო მეორე სახის ქმედობას რუმინეთის კოდექსი დაუსჯელად აცხადებს. თავისთავად ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში უკვე აღარ შეიძლება მცდელობა უვარგისად ჩაითვალოს და რუმინეთის კოდექსი არც უწოდებს მას უვარგისს. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც ამორჩეული საშუალება თავისი თვისებებით გამოსადეგია დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად, მაგრამ რაიმე შემთხვევითი გარემოების გამო იგი არაეფექტური აღმოჩნდა.

მეორე შემთხვევაში საკითხი შეეხება ისეთ საშუალებას, რომელსაც თავისი ბუნების გამო არ შეუძლია დანაშაულის განხორციელება. ასეთი მოქმედება, რუმინეთის კოდექსის თანახმად, არ არის ობიექტურად მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე და ამიტომ არც შეიძლება მცდელობად ჩაითვალოს.

ცოტა სხვაგვარად სწვევტს საკითხს უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის მიხედვით, სასჯელი შეიძლება შეუზღუდველად შემსუბუქდეს ან დანაშაულის შემსრულებელი შეიძლება სრულიად არ იქნეს ცნობილი ბრალეულად და განთავისუფლდეს სასჯელისაგან, თუ მან ჩაიღინა ხელყოფა... უვარგისი და

ამავე დროს უსაფრთხო საშუალებებით (მე-18 პარაგრაფის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი).

ამგვარად უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად უვარგისი საშუალებების გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს ორგანიზაციული შედეგი: 1. სუბიექტს შეიძლება შეუმცირდეს სასჯელი და 2. იგი შეიძლება ცნობილი არ იქნეს დაზარალებულად და სრულიად განთავისუფლდეს სასჯელისაგან. იმ საკითხის გადაჭრა, თუ როდის უმცირდება პირის სასჯელი და როდის თავისუფლდება იგი სასჯელისაგან, დამოკიდებულია თვით მოსამართლეზე. მოსამართლე ამ საკითხს გადაწყვეტს საქმის კონკრეტულ გარემოებათა აწონდაწონისა და მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეფასების შედეგად. რამდენადაც უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, დანაშაულად ითვლება მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ არჩეული საშუალება არ ასაბუთებს მცდელობის საზოგადოებრივ საშიშროებას, ასეთი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მცდელობად სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით და დაისაჯოს.

შედარებით უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს ის შემთხვევები, რომლებიც ცნობილი არიან ლიტერატურაში უვარგისი ობიექტზე მცდელობის სახელწოდებით. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ტერმინი „მცდელობა უვარგისი ობიექტზე“ სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დიდ დავას იწვევს. პროფ. ნ. დურმანოვი წინადადებას იძლევა ეს ტერმინი შეიცვალოს ტერმინით „მცდელობა არარეალურ ობიექტზე“, ვინაიდან პირველი ტერმინი წარმოადგენს საფუძველს უნაყოფო დავისათვის იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა საბჭოთა სისხლის სამართალში საერთოდ არსებობდეს უვარგისი ობიექტი<sup>1</sup>. ვ. კირიჩენკოს აზრით, „უვარგისი ობიექტზე მცდელობის“ მაგივრად უმჯობესია ვინმართ ტერმინი „უვარგისი საგანი“, რადგან ზემოხსენებულ შემთხვევებში უვარგისია არა ობიექტი, არამედ ხელყოფის საგანი. მოქმედებას არ შეუძლია ზიანი მიაყენოს საზოგა-

<sup>1</sup> ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

დოქტორი ურთიერთობებს სწორედ თავდასხმის საგნის უვარგისობის გამო<sup>1</sup>. ამვე შეხედულებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის ლიტერატურაში იზიარებს პროფ. ი. ლექმასი<sup>2</sup>, ჩვენს ლიტერატურაში – ნ. კუზნეცოვა<sup>3</sup> და ი. ტიშკევიჩი<sup>4</sup>. პროფ. ლექმასის აზრით, რამდენადაც ობიექტად სოციალისტურ სამართალში ითვლება საზოგადოებრივი ურთიერთობა და რამდენადაც სუბიექტს განზრახული ჰქონდა ზიანი მიყენებინა სამართლით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, ამდენად არსებობს დამნაშავეის თავდასხმის ობიექტიც. ამიტომ, თუმცა კანონი იცავს ადამიანის სიცოცხლეს და არა გვამს, მაგრამ „პირის მოქმედება, რომელიც განპირობებული იყო წარმოდგენით, რომ ბავშვი ცოცხალია, არღვევს ჩვენს დემოკრატიულ წესრიგს, რომელიც მიმართულია ადამიანის ცხოვრების დასაცავად“<sup>5</sup>. ამგვარადვე ი. ტიშკევიჩი მიუთითებს, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში დანაშაულის ობიექტად ითვლება არა ნივთი, საგანი, არამედ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, და „უვარგის ობიექტზე“ მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როდესაც პირი ხელყოფს ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელსაც სოციალისტური სამართალი არ იცავს<sup>6</sup>.

არც ერთი ზემოთ მოყვანილი შეხედულება, ჩვენის აზრით, არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს.

ტერმინი „არარეალური ობიექტი“, რომელსაც პროფ. დურმანოვი გვაწოდებს „უვარგისი ობიექტის მაგივრად“, არ გამოხატავს ჩვენთვის საინტერესო ცნების არსს. გვამი, რომელსაც ესერიან მოკვლის განზრახვით, საკუთარი ნივთი, რომელსაც შეცდომით სხვისი ნივთის მაგივრად იპარავს სუბიექტი, თავისთავად არსებობენ, გარეშე რე-

<sup>1</sup> В.Ф. Кириченко, Значение ошибки по советскому уголовному праву, Изд. АИИ СССР, М., 1952, стр. 47.

<sup>2</sup> იხ. Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, Berlin, 1957, S. 437-438.

<sup>3</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 98-99.

<sup>4</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 170-171.

<sup>5</sup> Lehrbuch des Strafrechts der Deutschen Demokratischen Republik, 1957, S. 437.

<sup>6</sup> ი. ტიშკევიჩი, გვ. 98-99.

ალური სინამდვილის ფაქტებს წარმოადგენენ, მაგრამ გამოუსადეგარი არიან როგორც მკვლევარობის ან ქურდობის ობიექტები. გარდა ამისა, როგორც მართებულად აღნიშნავს ნ. კუზნეცოვა, თუ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთაც იცავს სისხლის სამართლის კანონი, რეალურად არ არსებობენ, არამედ არსებობენ მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში, ე.ი. არსებითად არარეალური არიან, ასეთ შემთხვევაში სუბიექტის მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მოჩვენებით დანაშაულად<sup>1</sup>.

რაც შეეხება „ობიექტის“ შეცვლას „საგნით“, ეს მტკიცება, ჩვენის აზრით, დაცვის ობიექტისა და ხელყოფის უშუალო ობიექტის არევით არის გამოწვეული. მკვლევარობის ამკრძალავი ნორმა იცავს ადამიანის სიცოცხლეს, ქურდობის ამკრძალავი ნორმა იცავს საკუთრებას (პირადს ან სოციალისტურს), შესაბამისად, ობიექტი აქ არის ადამიანის სიცოცხლე, საკუთრების უფლება. ამავე დროს ხელყოფის (და არა დაცვის) ობიექტი მკვლევარობის დროს არის ის ცოცხალი ადამიანი, ვისზედაც მიმართულია მოქმედება, ქურდობის დროს – ის ნივთი, რომელსაც იტაცებს სუბიექტი. მაგრამ, როდესაც ადამიანის მოქმედება მიმართულია გვამის წინააღმდეგ, აქ არ შეიძლება ითქვას, რომ ხელყოფის უშუალო ობიექტი, ე.ი. ის, რაზედაც დამნაშავე რეალურად ახორციელებს თავდასხმას, არის ადამიანი, ვინაიდან სინამდვილეში მოქმედება მიმართული იყო გვამის წინააღმდეგ. ასევე, როდესაც სუბიექტი სხვისი ნივთის მაგივრად იპარავს საკუთარ ნივთს, ხელყოფის ობიექტი სინამდვილეში საკუთარი საკუთრებაა. იმდენად, რამდენადაც ამ ობიექტებზე ხელყოფით დანაშაული არ შეიძლება განხორციელდეს, ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ვილაპარაკოთ უვარგის ობიექტზე.

ჩვენის აზრით, ე.წ. „უვარგისი ობიექტის“ შემთხვევები უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად. თუ თავდასხმის უშუალო ობიექტი, რომლის მიმართაც სუბიექტი ახორციელებდა თავის დანაშაულებრივ განზრახვას, თავისი ბუნებით ისეთი თვისებების მქონეა, რომ საერთოდ გამოსადეგია ასეთი დანაშაულის განსახორციელებლად, მაგრამ დანაშაულის დაბოლოებას ხელი შეუშალა რაიმე შემთხვევითმა გარე-

<sup>1</sup> ნ. კუზნეცოვა. დასახ. ნაშრ., გვ. 97.



მოებამ, აქ არავითარ უვარგის მცდელობას არა აქვს ადგილი და ეს შემთხვევა უნდა დაისაჯოს როგორც ყოველი სხვა მცდელობა. მაგალითად, ადამიანს ესროლეს, მაგრამ იგი აღმოჩნდა ჩაცმული ჯავშანში, რომელიც ტყვიას არ უშვებს.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც თავდასხმის ობიექტი თავისი თვისებებით გამოსადეგი არ არის დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად. არ შეიძლება ჩავთვალოთ მკვლელობის მცდელობად გვამისათვის სროლა ან ქურდობის მცდელობად – საკუთარი ნივთის მოტაცება. ასეთ შემთხვევაში არსებობს არა მცდელობა, არამედ მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც ჩვენი კანონმდებლობის თანახმად არ გამოირიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

უვარგის ობიექტზე მცდელობას ითვალისწინებს უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად სასჯელი შეიძლება შეუზღუდველად შემცირდეს ან პირი სრულიად გათავისუფლდეს სასჯელისაგან, თუ ადგილი ჰქონდა ხელყოფას უვარგის ობიექტზე (§18, პ. 1ა).

უვარგისი მცდელობიდან უნდა განვასხვავოთ მცდელობა ადგილზე არმყოფ ობიექტზე. მაგალითად, პირი ისერის რევოლვერს საწოლის მიმართულებით, ფიქრობს რა, რომ მისი მტერი ამ დროს ჩვეულებისამებრ ლოგინში წევს და სძინავს, მაგრამ უკანასკნელი ამ დროს ოთახიდან გასული აღმოჩნდება, ანდა ქურდი ხელს ჩაუყოფს ჯიბეში გამკლელს, მაგრამ ჯიბე ცარიელი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში პირის მოქმედებით შექმნილი იყო რეალური საფრთხე ადამიანის სიცოცხლისათვის, პირადი საკუთრებისათვის; დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა მხოლოდ შემთხვევითი გარემოების გამო, ამიტომ აქ საქმე გვაქვს დასჯად მცდელობასთან. სავსებით მართებულად მიუთითებს პროფ. დურმანოვი, რომ ასეთი შემთხვევები არ შეიძლება მიეკუთვნოს მცდელობას „არარეალურ ობიექტზე“ და რ.ომ მათ არავითარი სპეციფიკური თავისებურება არ ახასიათებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 6. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 154.



როგორც თვით ბურჟუაზიული კრიმინალისტები მიუთითებენ, ძნელად მოიპოვება სისხლის სამართალში ისეთი სადავო საკითხი, როგორიც არის უვარგისი მცდელობის დასჯადობა<sup>1</sup>. მიუხედავად აურაცხელი შრომებისა, რომლებიც ამ საკითხს მიეძღვნა, დღემდე ეს პრობლემა ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში გადაუჭრელად ითვლება. ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი ამ პრობლემას იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევს, რომ მცდელობის ობიექტურ და სუბიექტურ თეორიებს შორის არსებული დავის საფუძველს სწორედ აქ ეძებს. „ალბათ, არავინ მიემხრობოდა სუბიექტურ თეორიას, — აღნიშნავს მ.ე. მაიერი, — ამას რომ საჭიროდ არ თვლიდეს უვარგისი მცდელობის საკითხისათვის“<sup>2</sup>.

ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში უვარგისი მცდელობის პრობლემას პირველად განსაკუთრებული ყურადღება მიუძღვნა ა. ფოიერბახმა, რომელმაც იგი მცდელობის ობიექტური თეორიის თვალსაზრისით გადაჭრა. ფოიერბახის აზრით, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე მიმართული მოქმედება უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედება თავისი ობიექტური თვისებების მიხედვით მიზეზობრივ კავშირშია განზრახულ შედეგთან, ე.ი. ობიექტურად საშიშია. „ის, ვინც დანაშაულებრივ ქმედობად თვლის მოჩვენებითი საწამლავის მიცემას, გვამის მოკვლის განზრახვას და სხვ., ერთმანეთში ურევს სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს, უშიშროების პოლიციის საწყისებს და დასჯის უფლებას; მან უნდა ჩათვალოს დამნაშავედ მკვლელობის დასჯად მცდელობაში ის ბავარიელიც, რომელიც სალოცავში წავიდა, რათა შელოცვით მოეკლა თავისი მეზობელი“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> R. Frank, Vollendung und Versuch. V.D., Allg. Teil, B.V. 1908, S. 243.

<sup>2</sup> M.E. Mayer, Versuch und Teilnahme. „Die Reform des Reichsstrafgesetzbuchs“. Berlin, 1910, S. 334.

<sup>3</sup> ციტირებულია ფრანკის მიხედვით იხ. R. Frank, Vollendung und Versuch. „Vergleichende Darstellung...“, B.V. Berlin, 1908, S. 244.

შემდგომ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, განსაკუთრებით მიტერმაიერის (1816 წ.) დროიდან მეტად გავრცელდა უვარგისი მცდელობის დაყოფა ორ სახედ: აბსოლუტურად უვარგისი და შეფარდებით უვარგისი მცდელობად, თანაც თითოეული მათგანი თავისი მხრით იყოფოდა მცდელობად უვარგისი ობიექტზე და მცდელობად უვარგისი საშუალებებით. აბსოლუტურად უვარგისი მცდელობად აცხადებენ ისეთ მცდელობას, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გამოიწვიოს განზრახული დანაშაულებრივი შედეგი (მაგალითად, კაცის მოკვლა შელოცვით, უკვე მკვდარი კაცის მოკვლა და ა.შ.), ხოლო შეფარდებით უვარგისი მცდელობად – ისეთ მცდელობას, როდესაც არჩეული საშუალება ან ობიექტი თავისთავად გამოსადეგია დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა რაიმე შემთხვევითი გარემოების გამო (მაგალითად, თოფი არ გაეარდა, ვინაიდან მასში ჩადებული ვაზნა აღმოჩნდა მისი შეუსაბამო, კაცი არ მოკვდა, ვინაიდან მას ტანზე ჯავშანი ჰქონდა და ა.შ.). პირველი სახის მცდელობას ობიექტური თეორიები დაუსჯელად აცხადებენ, ხოლო მეორე სახის მცდელობას დასასჯელად თვლიან.

თუ ობიექტური თეორიის წარმომადგენლები ცდილობენ მცდელობის დასჯადობის შეზღუდვას, მცდელობის სუბიექტური თეორიები პირიქით, ასახუთებენ ყოველგვარი უვარგისი მცდელობის დასჯადობას.

იმას, რომ საერთო წესით დასჯილ უნდა იქნას უვარგისი მცდელობაც, სუბიექტური თეორიის წარმომადგენლები აშკარად აღიარებენ. მაგალითად, შვეიცარიელი კრიმინალისტი გერმანი აცხადებს, რომ „თუ მცდელობა ისჯება იმის გამო და იმდენად, რამდენადაც იგი დანაშაულებრივ ნებას შეიცავს, მაშინ ჩვეულებრივ მცდელობასთან ერთად უნდა დაისაჯოს, კერძოდ, უვარგისი მცდელობაც“<sup>1</sup>. მეორე სუბიექტივისტი, გერმანელი კრიმინალისტი ბირლინგი, დიდი ალტაცებით იხსენიებდა გერმანიის საიმპერიო სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო განყოფილების პრაქტიკას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხში

---

<sup>1</sup> O.A. Germann, Über den Grund der Strafbarkeit des Versuchs, Aarau, 1914, S. 148-149.

სუბიექტურ თვალსაზრისს ატარებდა<sup>1</sup>. რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში უვარგისი მცდელობის დასჯადობას მოითხოვდა პროფ. კოლოკოლოვი. უვარგისი საშუალებებით ჩადენილ მცდელობასა და მცდელობის ჩვეულებრივ შემთხვევებს შორის, მისი აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება, რომელიც გაამართლებდა მცდელობის ამ ორი სახის სხვადასხვაგვარ განსჯას, ვინაიდან „უვარგისი საშუალებებით მცდელობის დროს ჩვენ ისეთივე უფლება გვაქვს დავადასტუროთ სუბიექტის მიდრეკილება აღნიშნული დანაშაულის ჩადენისაკენ და, მაშასადამე, მისი სერიოზული საშიშროება საზოგადოებისათვის, როგორც conatus-ის ჩვეულებრივი შემთხვევების დროს“<sup>2</sup>. ასეთივე შეხედულების არის პროფ. კოლოკოლოვი უვარგისი ობიექტზე მცდელობის შესახებაც. „თავის თავად ცხადია, – ამბობს იგი, – რომ ობიექტის უვარგისობა, რომლის მიმართაც შესრულდა დანაშაულებრივი მოქმედება, სრულიადაც არ გვართმევს უფლებას ვალიაროთ, რომ დამნაშავეს უეჭველად აქვს უნარი მართლწესრიგის დარღვევისა და რომ, ამგვარად, იგი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისათვის. ამიტომ ცხადია, რომ თუ ჩვენ სწორი შეხედულება გვაქვს დაუმთავრებელი დელიქტის დასჯადობაზე, მაშინ სისხლის სამართლის რეაქცია უნდა დაუუკავშიროთ უვარგისი ობიექტზე მცდელობასაც“<sup>3</sup>.

ამგვარად, მცდელობის სუბიექტური თეორიის თვალსაზრისით უნდა ეცნოთ, რომ ქალი, რომელიც ცდილობდა მოეწამლა თავისი ქმარი შაბის მეშვეობით, დამნაშავეა მკვლელობის ცდაში<sup>4</sup> ან და ფეხშიძიე ქალი, რომელიც ცდილობდა მოეწამლა მუცელი წითელი ღვინის მეშვეობით, დამნაშავეა აბორტის მცდელობაში<sup>5</sup>, ვინაიდან თავისი სულიერი განწყობილების მხრით ისინი ისევე საშიში არიან,

<sup>1</sup> E.R. Bierling, Juristische Prinzipienlehre, B. III, Tübingen, 1905, S. 132.

<sup>2</sup> Колоколов, К учению о покушении. Москва, 1884, стр. 231.

<sup>3</sup> Колоколов, К учению о покушении, Москва, 1884, стр. 232.

<sup>4</sup> შემთხვევა რუსეთის რევოლუციამდელი სასამართლო პრაქტიკიდან, სენატის გადაწყვეტილება ლოდინას ქალის საქმეზე, იხ. Уголовное уложение, Проект редакционной комиссии и объяснения к нему, т. I, 1897, стр. 434.

<sup>5</sup> გერმანიის საიმპერიო სასამართლოს 1880 წ. 30.III-ის დაჯგ. იხ. Проект рел. комиссии Угол. уложения, т. I, стр. 391.

როგორც ის პირები, რომელნიც თავიანთი მიზნების მისაღწევად სავსებით გამოსადეგ საშუალებას მიმართავენ. „ჭკუის ნაკლებობას, რის გამოც ისინი მათ მიერ ხმარებულ საშუალებებს სავსებით ვარგის საშუალებად თელიდნენ, ძალიან ნაკლები მნიშვნელობა აქვს მათი ნების მიმართულებასთან შედარებით. ინტელექტუალური დეფექტი აქ სავსებით იფარება მორალური დეფექტით“<sup>1</sup>. სუბიექტურმა თეორიამ დასჯადად უნდა აღიაროს აგრეთვე ის ქალი, რომელიც თავის თავს შეცდომით ფეხმძიმედ თვლიდა და ცდილობდა მოეცილებია სინამდვილეში არარსებული ნაყოფი, ანდა ქალი, რომელიც ცდილობდა მოეკლა თავისი ახლად შობილი ბავშვი, ბავშვი კი მკვლარდშობილი აღმოჩნდა<sup>2</sup>. ყველა ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი ნება თავისი ინტენსიობით არაფრად არ ჩამოუვარდება იმ სუბიექტის ნებას, რომელიც ცდილობს ჩაიდინოს დანაშაული სავსებით ვარგისი ან ნამდვილად არსებული ობიექტის მიმართ, სუბიექტური შეხედულების თანახმად სრულიად თანამიმდევარი იქნებოდა ისეთი შემთხვევების დასჯაც, რომელნიც თვით სუბიექტივისტების აზრითაც „ფიზიკური და ფსიქიკური მიზეზობრიობის გარეშე დგანან“, მაგრამ უეჭველად მოწმობენ, რომ დანაშაულის ჩამდენს ისეთივე მტკიცე დანაშაულებრივი ნება აქვს, როგორც იმას, ვინც დანაშაულის განსახორციელებლად, ჩვეულებრივ, ნორმალურ საშუალებებს მიმართავს. მე მხედველობაში მაქვს ისეთი საშუალებანი, რომელთა ხმარებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ პიროვნების ცრუმორწმუნეობისა და სრული უეცრობის გამო, მაგალითად, შელოცვა, და სხვ.

მაგრამ სინამდვილეში სუბიექტივისტები ასე შორს არ მიდიან და ვერ ბედავენ ამ უკიდურესი დასკვნის გამოტანას. უმრავლესობა იძულებულია აღიაროს ამგვარი შემთხვევების დაუსჯელობა, რათა თავიდან აიცილოს მართლშეგნების საწინააღმდეგო და ხშირად, აბსურდული გადაწყვეტილებანი. თანაც თავიანთი ულოგიკობისა და

---

<sup>1</sup> A.F. Overbeck. Die Erscheinungsformen des Verbrechens im Lichte der modernen Strafrechtsschule, Leipzig, 1909, S. 21.

<sup>2</sup> გერმანიის საიმპერიო სასამართლოს სისხლის სამართლის განბის 1880 წ. 10.VI-ის დადგენილება იხ. Уголовное уложение, Проект редакционной комиссии, т. I, стр. 391.

არათანმიმდევრობის დასაფარავად ისინი იძულებულნი არიან მიმართონ სხვადასხვაგვარ, მეტად ხელოვნურ მსჯელობას<sup>1</sup>. მაგალითად, ზოგიერთი სუბიექტივისტი ამტკიცებს, რომ ცრუმორწმუნეობით საშუალებების ხმარების დროს ჩვენ უნდა დავეშვათ სუბიექტის შერაცხეაუნარობის პრეზუმპცია<sup>2</sup>. მაგრამ ცრუმორწმუნეობა სრულიადაც არ არის ადამიანის შერაცხეაუნარობის დამამტკიცებელი საბუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს სუბიექტივისტი გერმანი, „წარსული საუკუნეების მოსახლეობის ნახევარი შერაცხეაუნაროდ უნდა ჩაგვეთვალა“<sup>3</sup>.

სუბიექტივისტთა მეორე ჯგუფი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამგვარი საშუალებების ხმარების დროს არ არსებობს ნამდვილი ნება დანაშაულის ჩადენისა, რომ აქ ჩვენ გვაქვს მხოლოდ უბრალო სურვილი, მაგრამ ეს სურვილი თავისთავად საკმარისი არ არის განზრახვის არსებობის დასამტკიცებლად. განზრახვისათვის აუცილებელია სერიოზული ნება, რომელიც არ შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც დამნაშავეს არა აქვს სწორი წარმოდგენა მიზეზობრიობის კავშირზე მოქმედებასა და მის შედეგს შორის<sup>4</sup>. ამის საწინააღმდეგოდ სავსებით სამართლიანად ამბობენ, რომ აღნიშნულ შემთხვევებში სუბიექტს აკლია არა ნება, არამედ ცოდნა „ის, ვინც ცრუმორწმუნე საშუალებებს მიმართავს, იმგვარადვე დარწმუნებული მათ სინამდვილეში, როგორც ყოველი სხვა პირი, რომელიც დანაშაულის განსახორციელებლად სავსებით ცნობილ საშუალებებს ხმარობს. მას შეიძლება ისეთივე ინტენსივობით სურდეს დანაშაულის ჩადენა, როგორც ყოველ სხვა დამნაშავეს“<sup>5</sup>. ბოლოს, განზრახვისათვის სრულიადაც არ არის საჭირო, რომ დამნაშავეს ჰქონდეს წარმოდგენა შესრულების ყოველ წვრილმანზე. საკმაოა,

<sup>1</sup> ამ გარემოებას არ მალავენ ზოგიერთი სუბიექტივისტებიც. იხ. მაგალითად, გერმანი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად, Колоколов, К учению о покушении, стр. 232; ნაწილობრივ Спасович, Учебник уголовного права, 1, 1863, стр. 138.

<sup>3</sup> იხ. გერმანი, დასახ. ნაშრ., გვ. 138.

<sup>4</sup> ასეთ შეხედულებას იზიარებდნენ ბური და აგრეთვე ბარი. მითითება ამ ავტორზე: იხ. გერმანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62; Круглевский, Учение о покушении, т. II, стр. 395-396; Таганцев, Курс, т. I, отд. III., стр. 223-224.

<sup>5</sup> Круглевский, Учение о покушении, т. II, стр. 396-397.

თუ სუბიექტი ზოგადად მაინც ითვალისწინებს მიზეზობრიობის კავშირს თავის მოქმედებასა და შედეგს შორის<sup>1</sup>.

სუბიექტივისტების მესამე ჯგუფი აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დაუსჯელობის საფუძველს იმ პიროვნების ნების უშიშროებაში ეძებს, რომელიც ასეთ საშუალებებს მიმართავს. მაგალითად, გერმანი თვლის, რომ „სიმპათეტიკური მცდელობის დროს არსებობს პრეზუმპცია უვნებელი ნებისა, ხოლო მცდელობის სხვა შემთხვევებში – პრეზუმპცია საშიში და, მაშასადამე, დასასჯელი ნებისა“<sup>2</sup>. მაგრამ ეს მოსაზრებაც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. იმ გარემოებიდან, რომ პიროვნების განზრახვა განუხორციელებელია, სრულიადაც არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს მის ნებას ამის გამო საკმაო სიმტკიცე არ ჰქონდეს. ამ მხრით სავსებით შეიძლება დავეთანხმოთ მ.ე. მაიერს, რომელიც ამბობდა: „ფეხბძიძე ქალს, რომელიც ცდილობს მოიშალოს მუცელი უვარგისი საშუალებით, ცრუმორწმუნე კაცს, რომელიც სასაფლაოს ეზოში ღამით ჩამარხავს თავისი მტრის პერანგს, ყველა ამ, ჩვენთვის ცნობილ ფიგურას ამოძრავებს დანაშაულებრივი ნება, რომელიც არ შეიძლება უმნიშვნელოდ ჩაითვალოს“<sup>3</sup> და თუ სუბიექტის სოციალური საშიშროება იმით განიზომება, შეიძლება თუ არა მოველოდეთ მისგან მომავალში ამგვარი მოქმედების განმეორებას, მაშინ ამ მხრით ის პირი, რომელიც ცრუმორწმუნე საშუალებებს მიმართავს, არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, ვინც სავსებით გამოსადეგ საშუალებას ხმარობს. ვის შეუძლია მოგვცეს იმის გარანტია, რომ პიროვნება, რომელიც ცდილობს მოსპოს თავისი მტერი ზებუნებრივი ძალების მეშვეობით, არ გაიმეორებს თავის ცდას ეფექტური საშუალებით, როდესაც დარწმუნდება წინათ ხმარებული საშუალების უვარგისობაში? ასეთი პიროვნება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ოკერბეკი, საუკეთესო ობიექტია სპეციალური პრევენციისათვის. „როგორც მორალური, ისე ინტელექტუალური მხრით გამოსწორება და შთაგონება აქ სავსებით გამოსადეგი და საიმედო იქნებოდა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Таганцев, Курс, т. II, стр. 224;

<sup>2</sup> გერმანი, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

<sup>3</sup> მ.ე. მაიერი, დასახ. ნაშრ., გვ. 341.

<sup>4</sup> ოკერბეკი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

დაბოლოს, სუბიექტური თეორიის თანამიმდევრობით განხორციელება მოითხოვს აგრეთვე ე.წ. პუტატიური დელიქტების დასჯას. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც პიროვნება დარწმუნებულია თავისი მოქმედების დასასჯელ ხასიათში, თუმცა სინამდვილეში ეს მოქმედება დანაშაულს არ წარმოადგენს: მაგალითად, უკეთუ ჩვენში ქალი, რომელიც ქმარს ღალატობს, შეცდომით ფიქრობს, რომ იგი სჩადის სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობას. „ვინაიდან, — ამბობს ნაბოკოვი, — თვით სახელწოდება: *delictum putativum* გვიჩვენებს, რომ დანაშაული აქ მოქმედი პირის ფსიქიკაშია მოცემული, ის, ვინც მის მიერ ჩადენილ მოქმედებას შეცდომით დანაშაულად თვლის, სუბიექტივისტური თვალსაზრისით იმგვარადვეა სასჯელის ღირსი, როგორც იქნებოდა მაშინ, რომ არ ცდებოდას“<sup>1</sup>.

მაგრამ სუბიექტივისტები ვერ ბედავენ ასეთი დასკვნის გაკეთებას. თანაც ისინი ცდილობენ დაასაბუთონ პუტატიური დელიქტების დაუსჯელობა იმით, რომ განზრახვა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ, სასჯელთ დაშუქებულ დანაშაულებრივ ქმედობას, ამ შემთხვევაში კი არა გვაქვს სწორედ დანაშაულის შემადგენლობა. ამიტომ ნება აქ, მათი აზრით, არ შეიძლება საშიშად ჩაითვალოს. ასე მსჯელობს, მაგალითად, გერმანი, როდესაც ცდილობს გამოყოფს პუტატიური დელიქტი მცდელობისაგან. „მცდელობის დროს, — ლაპარაკობს იგი — განზრახვას დანაშაულებრივი ხასიათი აქვს, ნება მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის ასრულებაზე, ამიტომ იგი საშიში და დასჯადია. პუტატიური დელიქტის დროს განზრახვა არ არის დანაშაულებრივი, ნება მიმართულია ისეთი მოქმედების ჩადენაზე, რომელთანაც სასჯელი დაკავშირებულია მხოლოდ მოქმედი პირის წარმოდგენაში და არა ნამდვილად: ამიტომ ნება საშიში არ არის და, ბუნებრივია, არ უნდა დაისაჯოს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Набоков, Психическая оценка виновности и объективная мера наказуемости покушения, Сб. статей, С.-Петербург. 1904, стр. 80. იხ. აგრეთვე ბირკმაიერი. იგი სავსებით ემხრობა ნაბოკოვის მოსაზრებებს, რომელნიც ამ უკანასკნელმა გამოსთქვა კრიმინალისტიკის ინტერნაციონალურ კონგრესზე პეტერბურგში 1902 წ. (K. Birkmeyer, Studien zu dem Hauptgrundsatz der modernen Richtung im Strafrecht, „Nicht die Tat, sondern der Täter ist zu bestrafen“, Leipzig, 1909, S. 31).

<sup>2</sup> გერმანი, დასახ. ნაშრ., ვ. 36.



ამის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკეთეს პიროვნების ნება მიმართულია ისეთ მოქმედებაზე, რომელსაც იგი დანაშაულად თვლიდა, თუნდაც ეს მოქმედება სინამდვილეში დანაშაულს არ წარმოადგენდეს, ამგვარი ნება არ შეიძლება საესებით უშიშარ და უვნებელ ნებად ჩაითვალოს, ვინაიდან წარმოდგენამ მოქმედების დასჯადობაზე არ შეაჩერა ეს პირი, აღნიშნული წარმოდგენა არ გადაიქცა კონტრ-მოტივად, რომელსაც ხელი უნდა შეეშალა პიროვნებისათვის მისი აზრით დასჯადი ქმედობის ჩადენის დროს. რა გარანტია გვაქვს, რომ სხვაგვარ გარემოებაში, როდესაც ქმედობა ნამდვილად არის დასჯადი და არა მხოლოდ სუბიექტის აზრით, წარმოდგენა მისი დასჯადობის შესახებ შეაჩერებს მას ამ მოქმედების ჩადენისაგან რა გარანტიაა იმისა, რომ სუბიექტი ამ შემთხვევაშიც არ უგულვებელყოფს სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნას? ნება, აშკარად მიმართული მართლწესრიგის წინააღმდეგ, უეჭველად ღირსია სასჯელისა, უკეთეს პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ დაშინების პირად თვისებებში ძვეს.

ამგვარად, მცდელობის სუბიექტური თეორიიდან საესებით თანამდევრულად გამოდინარეობს, რომ ყოველგვარი, თუნდაც სრულიად უვარგისი საშუალებებით ჩადენილი და სრულიად უვარგისი ობიექტზე მიმართული მცდელობა და, აგრეთვე პუტატიური დელიქტი უნდა დაისაჯოს ისევე, როგორც ჩვეულებრივი მცდელობა.

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მეტად გავრცელდა თეორია ე.წ. შემადგენლობის ნაკლულობისა, რომელიც ცდილობს გადაჭრას საკითხი წმინდა დოგმატიკური თვალსაზრისით.

ამ თეორიის მიხედვით, მცდელობა არსებობს მაშინ, როდესაც შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი და არ არის მხოლოდ ამ შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი. პირიქით, თუ არ არის შემადგენლობის სხვა ნიშნები, გარდა შედეგისა, აქ გვაქვს არა მცდელობა, არამედ შემადგენლობის ნაკლულობა. მაგალითად, შეცდომით საკუთარი ნივთის გატაცების დროს არ არის შემადგენლობის ნიშანი – „სხვისი“ ნივთი, ან არაფუნქციონირებადი ქალის აბორტის დროს არ არის შემადგენლობის ნიშანი „ფუნქციონირება“,

მოკვლის განზრახვით უკვე გარდაცვლილი კაცისათვის თოფის სროლის დროს არ არის შემადგენლობის ნიშანი „ცოცხალი“ ადამიანი. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი, არ არსებობს დანაშაულებრივი ქმედობა. მართალია, თვით სუბიექტი თავის მოქმედებას დანაშაულად თვლის, მაგრამ სინამდვილეში ეს მოქმედება არ შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას და ამიტომ მხოლოდ მოჩვენებით (პუტატიურ) დელიქტს წარმოადგენს<sup>1</sup>. ამ შემთხვევებს „შემადგენლობის ნაკლულობის“ მომხრეები განასხვავებენ მცდელობისაგან. მცდელობის დროს მოქმედება არ არის დამთავრებული, არ არსებობს შედეგი, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი. პირიქით, „შემადგენლობის ნაკლულობის“ დროს ქმედობა დამთავრებულია (პირმა ესროლა მკვლარს; კაცმა მოიპარა თავისი ნივთი). ამიტომ იგი არ შეიძლება მცდელობად ჩაითვალოს<sup>2</sup>.

ამ შეხედულების წინააღმდეგ შეიძლება მოყვანილ იქნეს მთელი რიგი მოსაზრება.

„შემადგენლობის ნაკლულობის“ თეორია გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომელიც თავისთავად მოითხოვს დამტკიცებას, მაგრამ რომელიც აღნიშნული თეორიის წარმომადგენლებს აპრიორულად აქვთ დაშვებული: შემადგენლობისათვის და ქმედობის დასჯადობისათვის დანაშაულის შედეგს თითქოს სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შემადგენლობის სხვა ელემენტებს. თუ დანაშაულის შემადგენლობას მხოლოდ შედეგი აკლია, ქმედობა მაინც დასჯადია, ხოლო თუ მას აკლია რომელიმე სხვა ნიშანი — იგი არ შეიძლება დასჯადად ჩაითვალოს<sup>3</sup>. მაგრამ ეს დებულება არაფრით არ არის დასაბუთებუ-

---

<sup>1</sup> ამ შეხედულების მომხრეები ბურჟუაზიულ ლიტერატურაში არიან: R. Frank, Vollendung und Versuch. V.D. Allg. Teil, B.V. 1908, 252-255; Graf zu Dohna, Der Aufbau der Verbrechenslehre, Bonn, 1936, S. 48-50, T. Rittler, Lehrbuch des Osterreichischen Strafrechts, Allgemeiner Teil, Wien. 1954, S. 254-260.

<sup>2</sup> იხ. რ. ფრანკი, დასახ. ნაშრ., გვ. 253.

<sup>3</sup> ასე, მაგალითად, ღონას აზრით, „დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობის დასჯადობა“ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დასაშვები, კანონმდებელს, მცდელობის დასჯადობასთან ერთად, საკუთალურად რომ გაეთვალისწინებინა შემდეგი დებულება: „ვინც მოქმედებს ყალბი წარმოდგენის გამო, რომ ამით კანონით დადგენილ შემადგენლობას აზორციელებს, ის უნდა დაისაჯოს მცდელობის შესახებ არსებული ძირითადი დებულებების შესაბამისად“ (იხ. ღონა, დასახ. ნაშრ., გვ. 49).

ლი. როგორც მართებულად მიუთითებენ თვით ბურჟუაზიული იურისტებიც, „თუ საკითხს დოგმატიკურად განვიხილავთ, შედეგის არარსებობაც „შემადგენლობის ნაკლულობად“ უნდა ჩაითვალოს. ფაქტიურად – და ეს გადამწყვეტია – შემადგენლობის ყველა ნიშანი, შედეგიც და სხვა ყველა, სამართლებრივი თვალსაზრისით ერთნაირად აუცილებელია და არსებითად ერთნაირად მნიშვნელოვანია“<sup>1</sup>. ამიტომ არ არსებობს არავითარი იურიდიული საფუძველი იმისათვის, რომ შემადგენლობიდან გამოვყოთ მხოლოდ ერთი ნიშანი – შედეგი და მისი არარსებობის შემთხვევაში მოქმედება მაინც დასჯადად გამოვაცხადოთ, ხოლო ყველა სხვა ნიშნის არარსებობის შემთხვევაში ვამტკიცოთ მოქმედების დაუსჯელობა.

„შემადგენლობის ნაკლულობის“ თეორია ასაბუთებს მხოლოდ იმ შემთხვევების დაუსჯელობას, როდესაც შედეგის გარდა მოქმედებას აკლია შემადგენლობის რომელიმე სხვა ნიშანი. აქედან მათ გამოჰყავთ დასკვნა იმ შემთხვევების დაუსჯელობის შესახებ, რომელთაც ტრადიციულად ეწოდებათ მცდელობა უვარგის ობიექტზე, ასეთი მცდელობა, ამ თეორიის მიხედვით, ყოველთვის დაუსჯელად უნდა იქნეს აღიარებული, ე.ი. დაუსჯელი რჩება არა მარტო ისეთი შემთხვევები, როდესაც ობიექტი თავისი ზოგადი თვისებების მიხედვით არ შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობით დახასიათებულ ობიექტს, არამედ ისეთიც, როდესაც ეს თვისებები ობიექტს შემთხვევით არ აღმოაჩნდა ან როდესაც ობიექტი შემთხვევით არ დაზიანდა ადგილზე არყოფნის გამო. სახელდობრ, ამ შეხედულების თანახმად არ დაისჯება არა მარტო ტყვიის სროლა ხის კუნძისათვის ან გვამისათვის, არამედ აგრეთვე ტყვიის სროლა ცარიელი ლოგინის მიმართულებით, მაშინ როდესაც ადამიანს მეორე ოთახში ეძინა, ან ხელის ჩაყოფა ცარიელ ჯიბეში ან გატეხა რკინის ყუთისა, რომლიდანაც ცოტა ხნის წინათ ამოიღეს ძვირფასეულობა.

პირიქით, „შემადგენლობის ნაკლულობის“ თეორიიდან თანამიმდევრობით გამომდინარეობს მცდელობის დასჯადობა ყველა შემთხვევაში, როდესაც ნახმარია უვარგისი საშუალება, ვინაიდან მითითება საშუალებაზე ჩვეულებრივად არ შედის დანაშაულის შემადგენლობა-

<sup>1</sup> R. Hippel, Deutsches Strafrecht, B. II, Berlin, 1930, S. 342.

ში (გარდა ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისისა). ამიტომ ამ შეხედულების თანახმად უნდა დაისაჯოს ის პირიც, ვინც თავისი განზრახვის განსახორციელებლად მიმართავს ისეთ საშუალებებს, რომელნიც თავიანთი ბუნებით ვერასდროს ვერ გამოდგებიან დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად და მხოლოდ სუბიექტის უეცობის გამო იქნენ გამოყენებული ამ მიზნის მისაღწევად.

დაბოლოს შეცდომად უნდა ჩაითვალოს „შემადგენლობის ნაკლულობის“ გაიგივება ე.წ. პუტატიურ ანუ მოჩვენებით დელიქტებთან. პუტატიურ დანაშაულად ითვლება ისეთი ქმედობის ჩადენა, როდესაც პირს სწორად აქვს წარმოდგენილი ქმედობის ფაქტიური მხარის ნიშნები, მაგრამ იგი სცდება მის იურიდიულ კვალიფიკაციაში, დანაშაულად მიაჩნია ის, რაც სინამდვილეში დანაშაულს არ წარმოადგენს. ხოლო ე.წ. „შემადგენლობის ნაკლულობის“ დროს პირს სწორად აქვს წარმოდგენილი ქმედობის იურიდიული თვისებები, სწორად აფასებს მას როგორც დანაშაულს, მაგრამ იგი სცდება ფაქტიურ გარემოებაში.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო „შემადგენლობის ნაკლულობის“ თეორია უარყოფილ უნდა იქნეს როგორც იურიდიული თვალსაზრისით უსაფუძვლო და ამავე დროს უსამართლო დასკვნების გამოწვევი.

**დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთა დროსაც  
შეუძლებელია მომზადება და მცდელობა**

1. დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთა დროსაც შეუძლებელია მომზადება და მცდელობა დანაშაულის სუბიექტური მხარის თვისებების გამო

როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაულის მომზადება და მცდელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. გაუფრთხილებელ მცდელობას სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ცნობს. ამავე თვალსაზრისს ადგია სისხლის სამართლის ლიტერატურაც. თუმცა ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ლიტერატურაში იყო ცდები დაესაბუთებინათ მცდელობის შესაძლებლობა გაუფრთხილებელი დანაშაულის დროსაც, მაგრამ ის იურისტებიც კი, რომელნიც ამტკიცებდნენ ასეთ შესაძლებლობას, არ მოითხოვდნენ გაუფრთხილებელი მცდელობის დასჯადობას.

გაუფრთხილებელ მცდელობას შესაძლებლად ცნობდა, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტი ბინდინგი. როგორც ცნობილია, ბინდინგი ორი სახის გაუფრთხილებლობის მომხრე იყო: ერთი — ეს არის ისეთი გაუფრთხილებლობა, როდესაც პირი არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგს და მეორე — ისეთი გაუფრთხილებლობა, როდესაც პირი ნათლად ითვალისწინებს შედეგს და სურს კიდევაც იგი, მაგრამ არ ითვალისწინებს მის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს (ე.წ. სამართლებრივი გაუფრთხილებლობა)<sup>1</sup>. აი, ამ მეორე სახის გაუფრთხილებლობის დროს ბინდინგს შესაძლებლად მიაჩნდა მცდელობა, მაგრამ არ ცნობდა მისი დასჯადობის საჭიროებას.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მცდელობას გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს დასაშვებად თვლის პროფ. შარგოროდსკი. გაუფრთხილებელი მცდელობა შესაძლებელია, მისი აზრით, ისეთი გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს, როდესაც მოქმედება ჩადენილია

<sup>1</sup> K. Binding, Grundriß des Deutschen Strafrechts, Allgemeiner Teil, Leipzig, 1907, S. 130.

განზრახ, ხოლო შედეგი დადგა გაუფრთხილებლობით. „ისეთი განზრახი მოქმედების დროს, რომელსაც მოჰყვა გაუფრთხილებელი შედეგი, საესე-ბით დასაშვებია როგორც მოშალება, ისე მცდელობა“<sup>1</sup>. შარგოროდსკის ეს შეხედულება დაკავშირებულია მის მიერ გაუფრთხილებელი ბრალის ცნე-ბის თავისებურ გაგებასთან. იგი ამტკიცებს, რომ მცდელობის დროს „გაუფრთხ-ილებლობა შესაძლებელია როგორც თვით იმ მოქმედების მიმართ, რომელ-საც შედეგად მოჰყვა სიკვდილი, ასევე მხოლოდ შედეგის მიმართაც, მაშინ როდესაც თვით მოქმედება განზრახაა ჩადენილი“<sup>2</sup>. პირველი სახის გაუფრთხ-ილებლობას იგი უწოდებს დაუღვერობას, ხოლო მეორე სახე, მისი აზრით, თვითიმედოვნებას წარმოადგენს.

ეს მსჯელობა ადასტურებს, რომ შარგოროდსკის არასწორად აქვს წარმოდგენილი გაუფრთხილებლობის ბუნება და ეს არასწორი წარმოდგენა საფუძველია შემდგომი მცდარი დასკვნებისა.

ჯერ ერთი, შარგოროდსკი განზრახვას უწოდებს იმას, რომ სუბიექტს შეგნებული აქვს თვით მოქმედება როგორც ასეთი (დედამ ლოგინში ჩააწვინა ბავშვი, მონადირემ დააცემინა ჩახმახს, თანაც ფიქრობდა, რომ თოფში ვაზნა არ არის). სინამდვილეში, სუბიექტს შეიძლება შეგნებული ჰქონდეს თავისი მოქმედება არა მარტო გან-ზრახვის, არამედ აგრეთვე ორი სახის გაუფრთხილებლობის და თვით შემთხვევის დროსაც. მაგალითად, მონადირემ გაისროლა თოფი უღრან ტყეში და შემთხვევით მოახვედრა ადამიანს, ისე რომ არ შეეძლო შედეგის გათვალისწინება. შარგოროდსკის მსჯელობას რომ გავყვეთ, აქ უნდა იქნეს ცნობილი განზრახვა თოფის გასროლის მიმართ და შემთხვევა შედეგის მიმართ. სინამდვილეში აქ ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანის ნებისმიერ, შეგნებულ მოქმედებასთან, რომელსაც ბრალთან არაერთი კავშირი არა აქვს. ბრალის ცნება გულისხმობს ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტთან, კერძოდ, დანაშაულებრივ შედეგთან, და მხოლოდ მო-ქმედების შეგნება თავისთავად ამ მოქმედებას ბრალეულ, მით უმეტეს, განზრახ მოქმედებად ვერ გადააქცევს. ამიტომ სავსებით მართებუ-

<sup>1</sup> М.Д. Шаргородский, Рецензия на книгу А.Н. Трайнина, „Учение о составе преступления“, „Советская книга“, 1947, N 5, стр. 72.

<sup>2</sup> М.Д. Шаргородский, Преступления против жизни и здоровья, Госюриздат, М., 1947, стр. 197.

ლად მიუთითებს ი. ტიშკევიჩი, რომ „მდ. შარგოროდსკი ერთმანეთში ურევს ორ სრულიად სხვადასხვა ცნებას: მოქმედების შეგნებულად ჩადენას, რომელიც სისხლისსამართლებრივ ცნებას არ წარმოადგენს, და დანაშაულებრივი ქმედობის განზრახ ჩადენას, რაც სისხლის სამართალში ბრალის ერთ-ერთი ფორმის აღმნიშვნელია. რა თქმა უნდა, პირი, რომელიც ფიქრობს, რომ რევოლვერში ვაზნა არ არის და მოსწვევს მის ჩახმახს ამხანაგის შეშინების მიზნით, შეგნებულად ასრულებს განსაზღვრულ მოქმედებას, მაგრამ ის არ მოქმედებს განზრახ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, ე.ი. არ ასრულებს შეგნებულად სწორედ დანაშაულებრივ მოქმედებას“<sup>1</sup>.

მეორე, საბჭოთა ლიტერატურაში მართებულად იყო მითითებული, რომ მცდელობისა და გაუფრთხილებლობის ცნებანი იურიდიული თვალსაზრისით შეუსაბამო ცნებებს წარმოადგენენ. მცდელობა როდი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ დანაშაულებრივი საქმიანობა ობიექტურად დაწყებულია. მცდელობის კონსტიტუციური ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულებრივი ნება მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე. გაუგებარია, პრაქტიკულად როგორ უნდა დაისაჯოს ადამიანი გაუფრთხილებელი მცდელობისათვის? მაგალითად, ვინმემ გაისროლა თოფი ისეთ პირობებში, რომ ამას შეიძლებოდა რაიმე უბედური შემთხვევა მოჰყოლოდა, თუმცა არ ითვალისწინებდა უბედური შემთხვევის დადგომის შესაძლებლობას. რომელი დანაშაულის მცდელობისათვის უნდა დაისაჯოს იგი: მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების თუ სხეულის მსუბუქი დაზიანების გაუფრთხილებელი მცდელობისათვის? აქედან ცხადია, რომ გაუფრთხილებლობით მცდელობა იურიდიული თვალსაზრისით უაზრობაა და მის დასჯადობას არც ერთი საკანონმდებლო სისტემა არ ითვალისწინებს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. ს. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 196.

<sup>2</sup> ეს, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხავს ისეთი დამთავრებული საფრთხის შემქმნელი დანაშაულის დასჯადობას, რომელსაც არავითარი მაგნე შედეგი არ მოჰყოლია. ასე, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯება დარღვევა ტექნიკური რეჟიმისა, საწარმოო-ტექნიკური დისციპლინისა ან მუშაობის პირობებისა, რაც უზრუნველყოფს წარმოების უშიშროებას, და აგრეთვე თამბაქოს მოწვევა, მიუხედავად მისელა ან ძილი საწარმოს აფეთქება სამიშ სააქროში (მუხ. 103-ე). ან 58<sup>17</sup>-ე მუხლის თანახმად ისჯება ტრანსპორტის მომუშავეთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა არა მარტო მაშინ, თუ ამას კანონით გათვალისწინებული შედეგი მოჰყვა, არამედ მაშინაც, თუ იგი საფრთხეში აგდებს მოძრაობის წესიერებას ან უშიშროებას,

სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადაოდ ითვლება ის საკითხი, შეიძლება თუ არა მცდელობა ევენტუალური განზრახვის დროს.

კრიმინალისტიკის დიდი უძრავლესობა მცდელობისათვის საჭიროდ თვლის პირდაპირ განზრახვას<sup>1</sup>. პირიქით, ზოგიერთი კრიმინალისტი იმ შეხედულებას იზიარებს, რომ მცდელობა შესაძლებელია არა მარტო პირდაპირი, არამედ აგრეთვე ევენტუალური განზრახვით<sup>2</sup>. დაბოლოს, საბჭოთა კრიმინალისტიკების მესამე ვგუფი პრინციპულად დასაშვებად თვლის მცდელობას ევენტუალური განზრახვის დროს, მაგრამ უარყოფს ასეთი მცდელობის დასჯადობას პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებების გამო<sup>3</sup>.

---

მაგრამ აღნიშნული მოქმედებანი ისევე არა როგორც გაუფრთხილებელი დანაშაულის განვითარების სტადია, არამედ როგორც განსაკუთრებული დამთავრებული დანაშაული იხ. ამის შესახებ ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ 192-193.

იხ. მაგალითად, Советское уголовное право, Общая часть. М., 1959, стр. 217; Н.Д. Дурманов, დასახ. ნაშრ., стр. 122-126; А.Н. Трайнин, Состав преступления по советскому уголовному праву, М., 1951, стр. 319-320; его-же, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 307; С.П. Мокринский, Покушение и приготовление в советском праве. „Советское право“, 1927, N 1, стр. 76.

რუსეთის რევოლუციამდელ ლიტ-ში უარყოფდნენ მცდელობას ევენტუალური განზრახვის დროს: Н. С. Таганцев, Курс русского уголовного права, кн. I, отд. III, СПб. 1878, стр.: 175-176, его-же, Лекции, т. I, 1902, стр. 702-703; Г. Колоколов, К учению о покушении, Москва, 1884, стр. 93-94; Мокринский, Медицина в её конфликтах с уголовным правом, Журнал министерства юстиции, 1914, №4, стр. 103-104; Станкевич, К учению о формах виновности, Журн. Министерства юстиции, 1915, №5, стр. 68-69.

<sup>2</sup> Немировский, Советское уголовное право, Одесса, 1926, стр. 84; В. Лившиц, К вопросу о понятии эвентуального умысла, „Советское государство и право“, 1947, N 7, стр. 43.

რუსეთის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში მცდელობა ევენტუალური განზრახვით შესაძლებლად მიაჩნდათ შემდეგ ავტორებს: А.Н. Круглевский, Учение о покушении на преступление, т. II, 1918, стр. 187-189; Н.Д. Сергеевский, Русское уголовное право. Пособие к лекциям, 1915, стр. 305; С.В. Познышев, Основные начала науки уголовного права, Москва, 1912, стр. 359-363.

<sup>3</sup> М.М. Исаев, А.А. Пионтковский, Вопросы уголовного права, уголовного процесса и военно-уголовного права в судебной практике Верховного суда РСФСР, М., 1947, стр. 38-39; Уголовное право. Часть общая, 1943, стр. 186; Н.В. Лясс, Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Л., 1952, стр. 6.



აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გავიხსენოთ ევენტუალური ანუ არაპირდაპირი განზრახვის ცნება და მისი განსხვავება პირდაპირი განზრახვისაგან.

1958 წლის საფუძვლების თანახმად „დანაშაული ითვლება განზრახ ჩადენილად, როდესაც მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების თუ უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, გათვალისწინებული ჰქონდა მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგები და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდა მათ განხორციელებას“ (მუხ. მე-8).

ამ მუხლის თანახმად, პირდაპირი განზრახვა გულისხმობს, გარდა მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებისა, თვით დანაშაულებრივი შედეგის გათვალისწინებას და სურვილს. იმ შემთხვევებთან ერთად, როდესაც სუბიექტი ითვალისწინებს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგს და სურს ეს შედეგი, საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურა აკუთვნებს პირდაპირ განზრახვას ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც პირი ითვალისწინებს მისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების აუცილებლობას და, თუმცა პირდაპირ არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს მას. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივად საშიში შედეგი სუბიექტის წარმოდგენაში აუცილებლობით არის დაკავშირებული მის მოქმედებასთან და სუბიექტის მიერ ნასურვები მთლიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს<sup>1</sup>.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს ევენტუალური განზრახვის დროს. აქ შედეგი სუბიექტის წარმოდგენაში არ არის დაკავშირებული მის მოქმედებასთან აუცილებლობით. სუბიექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის მხოლოდ შესაძლებლობას, თანაც ეს შედეგი მისთვის არასასურველია. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ნ. დურმანოვი, „ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი შეიგნებს მხოლოდ იმას, რომ მრავალ სხვა შედეგთან ერთად,

---

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე: Советское уголовное право, общая часть, Госюриздат, М., 1959, стр. 166-167; В.Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, Госюриздат, М., 1957, стр. 32-34.

შეიძლება ეს შედეგიც განხორციელდეს. მაგრამ ამ შედეგის მიმართულებით იგი არავითარ მოქმედებას არ იღენს...

არავითარი საფუძველი არა გვაქვს მრავალი შესაძლებელი შედეგისაგან, რომელთა განხორციელებასაც უშვებს ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი, ამოვარჩიოთ ყველაზე მძიმე და ბრალად ჩაუთვალოთ ბრალდებულს სწორედ ამ შედეგის მიღწევის მცდელობა<sup>1</sup>.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი სასამართლო პრაქტიკა ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტის დანაშაულს აკვალიფიცირებს იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგი განხორციელდა იმ შედეგთაგან, რომელთაც სუბიექტი ითვალისწინებდა. სახელდობრ, თუ განხორციელდება, მაგალითად, ადამიანის სიკვდილი, ევენტუალური განზრახვით მოქმედი დაისჯება დამთავრებული მკვლელობისათვის, თუ მოქმედების შედეგი იყო სხეულის მძიმე დაზიანება – სუბიექტი დაისჯება სხეულის მძიმე დაზიანებისათვის, თუ შედეგი იყო სხეულის მსუბუქი დაზიანება – ის დაისჯება მსუბუქი დაზიანებისათვის, ხოლო თუ არავითარი შედეგი არ დამდგარა, სუბიექტი სულ არ დაისჯება, უკეთუ მისი მოქმედება თავისთავად რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.

ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის დადგენილებაში „ავტოტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევასთან დაკავშირებულ დანაშაულთა კვალიფიკაციის შესახებ“ ნათქვამი იყო:

„2. მოძრაობის წესების დარღვევა ავტომანქანის სხვა მძღოლთა მიერ, რომლებიც ავტოტრანსპორტის მუშაკები არ არიან, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს:

ა) მოძრაობის წესების ისეთი დარღვევა, რომელსაც მოჰყვა უბედური შემთხვევები – ადამიანთა სიკვდილი ან სხეულის დაზიანება, უკეთუ საქმით დადასტურებულია, რომ დამნაშავეს გათვალისწინებული ჰქონდა ასეთი შედეგის შესაძლებლობა და შეგნებულად უშვებდა მათ, კვალიფიცირებულ უნდა იქნეს შესაბამისად როგორც განზრახი მკვლელობა ან სხეულის განზრახი დაშავება

<sup>1</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების მიხედვით<sup>1</sup>.

ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევას ამ შედეგების მიმართ ევენტუალური განზრახვის არსებობის დროს აღნიშნული შედეგები არ მოჰყოლია, პლენუმი წინადადებას იძლევა ასეთი მოქმედება დაკვალიფიცირდეს არა როგორც მცდელობა რომელიმე ამ დანაშაულისა, არამედ როგორც დამთავრებული დანაშაული, გათვალისწინებული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75<sup>1</sup> მუხლით (მოძრაობის წესების დარღვევა).

ის გარემოება, რომ პლენუმი ევენტუალური განზრახვით ჩადენილ დანაშაულს აკვალიფიცირებს განხორციელებული შედეგის მიხედვით, ნათლად ადასტურებს, რომ იგი არ ცნობს შესაძლებლად მცდელობას ამ სახის განზრახვის დროს.

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობაზე პირდაპირ მიუთითებს სსრკ უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1959 წლის 21 დეკემბრის განჩინება ა.-ს საქმეზე. „მკვლელობის მცდელობა, — ნათქვამია განჩინებაში, — შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ხოლო არაპირდაპირი განზრახვის დროს პასუხისმგებლობა განისაზღვრება ფაქტიურად განხორციელებული შედეგის მიხედვით“<sup>2</sup>.

მცდელობას ევენტუალური განზრახვით ლოგიკურად დასაშვებად თვლის 1952 წლის სისხლის სამართლის სახელმძღვანელო (ზოგადი ნაწილი). მაგრამ ამავე დროს უარყოფს მისი დასჯის შესაძლებლობას პროცესუალური ხასიათის მოსაზრების გამო: „როდესაც დანაშაულებრივი შედეგი, რომლის მიმართ პირს ევენტუალური განზრახვა ჰქონდა, ფაქტიურად არ დადგა, ევენტუალური განზრახვის დამტკიცება ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან პიროვნებას ხშირად წარმატებით შეუძლია უარყოს მის მიერ ამ შედეგის შეგნებულად დაშვება; აღნიშნულ გარემოებათა გამო წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის დასჯა-

<sup>1</sup> Сборник действующих постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924-1957 г., М., 1958, стр. 36.

<sup>2</sup> Бюллетень Верховного суда СССР, 1960, N 5, стр. 37.

ლობას ფაქტიურად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის რეალიზაციის პროცესში<sup>1</sup>.

სახელმძღვანელოს მითითება შედეგის განუხორციელებლობის შემთხვევაში ევენტუალური განზრახვის დამტკიცების სიძნელეზე სწორია, მაგრამ იგი არ წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის პრინციპულ დასაბუთებას, არამედ მხოლოდ წმინდა პროცესუალური ხასიათის მოსაზრებას. მთავარი სწორედ ის არის, შესაძლებელია თუ არა „ლოგიკურად“ მცდელობა ევენტუალური განზრახვით? როგორც უკვე აღვნიშნეთ – ეს შეუძლებელია. სავსებით მართებულად მსჯელობს ამ საკითხზე პროფ. ა. ტრანინი: „ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენის დროს, როგორც ცნობილია, პირს არ სურს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება. მაგრამ, თუ არ სურს, მას არც შეუძლია „ლოგიკურად“ მოემზადოს დანაშაულის ჩასადენად ან მოახდინოს მისი განხორციელების მცდელობა“.<sup>2</sup>

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის უარყოფა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის კანონი ყოველთვის დაუსჯელად ტოვებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სუბიექტი ითვალისწინებს შედეგის შესაძლებლობას და, მიუხედავად ამისა, ჰქმნის ამა თუ იმ ობიექტისათვის საფრთხეს. როგორც უკვე აღვნიშნული იყო, საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსები იცნობენ მთელ რიგ ისეთ დანაშაულებრივ შემადგენლობებს, რომელნიც დამთავრებულად ითვლებიან საფრთხის შექმნის მომენტიდან. თანაც ასეთი შემადგენლობანი ზოგჯერ შეტანილია კანონში ზიანის მომტან შემადგენლობათა პარალელურად. ასეთ შემთხვევებში, თუ აღვნიშნული მოქმედება ჩადენილია პირდაპირი განზრახვით და მას ზიანი არ მოჰყვა, გვეჩნება სათანადო ზიანის მომტანი დანაშაულის მცდელობა, მაგრამ თუ იგივე მოქმედება ჩადენილია ევენტუალური განზრახვით, ზიანის არგანხორციელების შემთხვევაში მოქმედების კვალიფიკაცია მოხდება საფრთხის შემქმნელი დელიქტის მიხედვით.

მაგალითად, რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზდიუმის 1933

<sup>1</sup> დასახ. სახელმძღვანელო, გვ. 280.

<sup>2</sup> ა. ტრანინი, დასახ. თხზ., გვ. 319.

წლის 8 მაისის განმარტების თანახმად, უსუსური ბავშვების მიგდების ან უმწეო მღვდომარეობაში დატოვების შემთხვევაში დამნაშავე პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის<sup>1</sup> მიხედვით (უმწეოდ დატოვება ადამიანისა, რომელიც ჩავარდნილია სიცოცხლისათვის საშიშ მღვდომარეობაში ან მოკლებულია შესაძლებლობას გადაირჩინოს თავი დალუპვისაგან მცირეწლოვანების, მიხრწნილობის, ავადმყოფობის ან სხვა უმწეო მღვდომარეობის გამო, უკეთუ ის, ვინც განსაცდელში მყოფი უმწეოდ დატოვა, მოვალე იყო ეზრუნა მისთვის). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვების მიგდებას ან უმწეო მღვდომარეობაში დატოვებას შედეგად მოყვა ბავშვის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება, დამნაშავენი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში განზრახვი მკვლელობის ან სხეულის განზრახვი მძიმე დაზიანებისათვის<sup>2</sup>. ცხადია, თუ მიგდება ან უმწეოდ დატოვება მკვლელობის ან სხეულის მძიმე დაზიანების პირდაპირი განზრახვით მოხდა, დამნაშავენი პასუხს აგებენ ამ დანაშაულის მცდელობისათვის. ამ მხრივ საინტერესო საქმე მოჰყავს ნ. კუზნეცოვას, „ტ., რომელსაც ჰყავდა ერთი წლის ბავშვი, არ ზრუნავდა მასზე, ტოვებდა მას უმეთვალყურეოდ, უჭმელს, შეგნებულად არ მიჰყავდა ბავშვი საბავშვო ბაგაში ან საბავშვო სახლში, აჭმევდა მას უმ კარტოფილს, ბოლოს და ბოლოს მან მიატოვა ბავშვი ტყეში, სადაც იგი ნახეს მძიმე მღვდომარეობაში: ბავშვის ტანი შეჭმული იყო ჭიანჭველებისაგან, იგი დიდხანს ვერ ანძრევდა ხელ-ფეხს“<sup>3</sup>. სასამართლომ სავსებით მართებულად დააკვალიფიცირა ტ.-ს მოქმედება როგორც მკვლელობის მცდელობა. ამ მაგალითში დედას არა მარტო გათვალისწინებული ჰქონდა, არამედ სურდა კიდევაც ბავშვის დალუპვა. ამიტომ მისი მოქმედება უეჭველად მკვლელობის მცდელობას წარმოადგენს.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება მცდელობის საკითხი ალტერნატიული განზრახვის დროს. ალტერნატიული განზრახვის დროს სუბიექტი ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება

<sup>1</sup> საქ. სისხ. სამ. კოდ. 163-ე მუხლი.

<sup>2</sup> С.С. Аскарханов и А.Н. Иодковский, Справочник по вопросам судебной практики, М., 1937, стр. 118.

<sup>3</sup> მოსკოვის საოლქო სასამართლოს 1951 წლის არქივი, საქმე №22-2086, მოყვანილია ნ. კუზნეცოვას დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 112.

მოპყვეს ერთ-ერთი დანაშაულებრივი შედეგი. მაგალითად, გაქცეული პატიმარი, რომელსაც სურს თავიდან აიცილინოს შეპყრობის საფრთხე, ესვრის თანამდებობის პირს, რომელსაც სურს მისი შეპყრობა, თანაც ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოპყვეს ან სიკვდილი ან დაჭრა თანამდებობის პირისა. თუ მსხვერპლი მოკვდა, დამნაშავე პასუხს აგებს დამთავრებული მკვლელობისათვის. საკითხის ასე გადაჭრა არავის არ მიაჩნია სადავოდ. მაგრამ სადავოა დამნაშავეის მოქმედების კვალიფიკაცია იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა უფრო მსუბუქი შედეგი — ე.ი. კაცი დაიჭრა. ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში დამნაშავეის მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც სხეულის დამთავრებული დაშავება, ვინაიდან დამნაშავეის მიერ გათვალისწინებული ერთ-ერთი ქმედობის განხორციელება აუქმებს განზრახვის ყველა სხვა ელემენტის იურიდიულ მნიშვნელობას, რაც მეორე დანაშაულს შეხებოდა. ასე, მაგალითად, პროფ. ტაგანცევის აზრით, ერთ-ერთი შედეგის რეალიზაცია სპობს მეორე შედეგის მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის<sup>1</sup>. ჩვენის აზრით, ეს შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. თუ სუბიექტი ითვალისწინებდა უფრო მძიმე შედეგს და სურდა ეს მძიმე შედეგი (ამ შემთხვევაში სიკვდილი) და თუ ამავე დროს მან ჩაიდინა მოქმედება უშუალოდ მიმართული ამ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, ყველა საფუძველი არსებობს მის მოქმედებაში უფრო მძიმე დანაშაულის მცდელობის ცნობისათვის. ის გარემოება, რომ ამ განზრახვასთან ერთად მას ალტერნატიულად მეორე, უფრო მსუბუქი დანაშაულის განზრახვაც ჰქონდა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ბრალდებულის მძიმე განზრახვის მხედველობაში მიუღებლობის საფუძველი<sup>2</sup>.

ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირის მოქმედებას არავითარი დანაშაულებრივი შედეგი არ მოპყვა.

<sup>1</sup> Н.С. Таганцев, Лекции, стр. 703. საბჭოთა ლიტერატურაში ამ შეხედულებასთან ახლოს არის პროფ. უტევსკის შეხედულება ალტერნატიულ განზრახვაზე (Б.С. Утевский, Вина в советском уголовном праве, М., 1950, стр. 208).

<sup>2</sup> მართებულად მსჯელობს ამ საკითხზე ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 127-128.

დაბოლოს, გამოსარკვევია ის საკითხი, შეიძლება თუ არა მომზადება და მცდელობა აფექტური განზრახვის დროს.

ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ზოგიერთი კრიმინალისტიკის მიერ გამოთქმული იყო შეხედულება, რომ აფექტური განზრახვის დროს მცდელობა შეუძლებელია, ვინაიდან დანაშაულებრივი განზრახვის წარმოშობასა და დანაშაულის შესრულებას შორის ასეთი განზრახვის შემთხვევაში დროის არავითარი მანძილი არ არის. აღნიშნული მსჯელობა სამართლიანია მხოლოდ მომზადების მიმართ, რომელიც მართლაც დროის მიხედვით დაშორებულია დანაშაულის შესრულებასაგან. ხოლო რაც შეეხება მცდელობას, მცდელობა აფექტური განზრახვის დროს თეორიულადაც შესაძლებელია და პრაქტიკაშიც გვხვდება.

გ.-ს ბრალად ედებოდა, რომ მან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოიწვია ქმრის მიერ მიყენებულმა მძიმე შეურაცხყოფამ, ესროლა ამ უკანასკნელს „ნაგანის“ სისტემის რევოლვერიდან და დაჭრა იგი. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მის მოქმედებაში სცნო უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობა და დააკვალიფიცირა მისი მოქმედება რსფრს-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 138-ე მუხლებით (საქ. სს კოდექსის მე-19, 146-ე მუხ.)<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> М.М. Исаев и А.А. Пионтковский, Вопросы уголовного права, военно-уголовного права и уголовного процесса в практике Верховного суда СССР, М., 1947, стр. 51-52.

§2. დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთა დროსაც შეუძლებელია მომზადება და მცდელობა დანაშაულის ობიექტური მხარის თვისებების გამო

წინა პარაგრაფში დავინახეთ, რომ ქმედობის სუბიექტური მხარის თავისებურება ზოგჯერ გამორიცხავს დანაშაულის მომზადებასა და მისი მცდელობის შესაძლებლობას. მაგრამ დანაშაულის მცდელობისა და მისი მომზადების შესაძლებლობა შეიძლება გამორიცხულ იქნეს აგრეთვე დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტური მხარის თავისებურებებით.

პირველ რიგში აქ უნდა შევჩერდეთ ე.წ. წმინდა უმოქმედობაზე, ე.ი. ისეთ დანაშაულზე, რომლის დროსაც კანონმდებელი სჯის მოქმედებისაგან თავის შეკავებას თავისთავად, იმისდა მიუხედავად, მოჰყვა თუ არა ამ უმოქმედობას მანვე შედეგი. წმინდა უმოქმედობის მაგალითს წარმოადგენს გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხ.), განუცხადებლობა, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული (კანონი სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, მუხ. 26-ე), ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისათვის თავის არიდება (იქვე, მუხ. მე-17), მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება (მუხ. მე-18), მოწმის, ექსპერტის, თარჯიმნის ან თანამოწმის მიერ თავის არიდება მოკვლევის, გამოძიების ან სასამართლო ორგანოს დაბარებით გამოცხადებისაგან (მუხ. 93-ე, ნაწ. I) და ა.შ.

ის საკითხი, შესაძლებელია თუ არა დაუმთავრებელი დანაშაულის არსებობა წმინდა უმოქმედობის დროს, სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადავოდ ითვლება. ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი შესაძლებლად თვლის ასეთ შემთხვევებში მცდელობის არსებობას. ასე, მაგალითად, მეიერის აზრით, თუ პირი წინასწარ აყენებს თავის თავს ისეთ მდგომარეობაში, რომ სათანადო მომენტში მისთვის შეუძლებელი იქნება მოვალეობის შესრულება, იგი შეიძლება დაისაჯოს მცდელობისათვის<sup>1</sup>.

წმინდა უმოქმედობის დროს მცდელობის შესაძლებლობას ბურ-

<sup>1</sup> H. Meyer, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Leipzig, 1907, S.S. 169-170.



ქუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში უშვებენ აგრეთვე ფინგერი<sup>1</sup>, ლისტი<sup>2</sup>, ფრანკი<sup>3</sup> და სხვ ამ უკანასკნელთა აზრით, დამთავრებული მცდელობა წმინდა უმოქმედობის დროს სავესებით წარმოსადგენია. ამის საილუსტრაციოდ ფრანკს მოჰყავს მაგალითი, როდესაც კრიტიკულ მომენტში სუბიექტი უარს ამბობს კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, მაგრამ ვინმე აიძულებს მას შეასრულოს ეს მოვალეობა<sup>4</sup>. პირიქით, ეს ავტორები შეუძლებლად თვლიან წმინდა უმოქმედობის დროს დაუმთავრებელ მცდელობას. თუ ვინმე წინასწარ დათვრა, რათა სათანადო ვადაზე მისთვის შეუძლებელი იყოს მოვალეობის შესრულება, ამ მოქმედებაში, ფრანკის აზრით, არ შეიძლება დავინახოთ დანაშაულებრივი ქმედობის აღსრულების დასაწყისი<sup>5</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში წმინდა უმოქმედობის დროს მომზადებისა და მცდელობის შესაძლებლობას აღიარებს ნ. კუზნეცოვა, რომელიც აღნიშნულ საკითხს უკავშირებს ე.წ. „ფორმალური“ დანაშაულებრივი შემადგენლობის პრობლემას. უარყოფს რა ფორმალური დანაშაულებრივი შემადგენლობების არსებობას და აღიარებს რა დანაშაულის შედეგს ყოველი დანაშაულებრივი შემადგენლობის აუცილებელ ელემენტად, ნ. კუზნეცოვა ფიქრობს, რომ „ყველა განზრახი დანაშაული... გაივლის პირობების შექმნის, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობის (მოსამზადებელი მოქმედების) სტადიას და დანაშაულის შესრულების სტადიას“<sup>6</sup> და რომ სინამდვილეში არ არსებობს ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ობიექტური მხარის თავისებურებანი გამორიცხავენ ამ დანაშაულთა მომზადებისა და მცდელობის შესაძლებლობას<sup>7</sup>. მაგალითისათვის ნ. კუზნეცოვას მოჰყავს შემდეგი შემთხვევა: ვასილიევა-იუჟინამ, რომელსაც სურდა თავი გაენთავისუფლებინა თავისი შვილისაგან, სთხოვა თავის მოსამსახურეს წაეყვანა ხუთი წლის ბავშვი მოსკოვის ერთ-ერთ

<sup>1</sup> A. Finger, Lehrbuch des Deutschen Strafrechts, Berlin, 1904, S. 317.

<sup>2</sup> Ф. Лист, Учебник, 1903, стр. 224.

<sup>3</sup> R. Frank, Vollendung und Versuch, „Vergleichende Darstellung des Deutschen und ausländischen Strafrechts“. B.V. Berlin, 1908, S. 210-211.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 211.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 211.

<sup>6</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 122-123.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 123-124.

ხალხმრავალ ქუჩაზე და იქ დაეტოვებია. მოსამსახურემ ეს დავალება შეასრულა, მაგრამ მოსამსახურეს რომ ბავშვი ქუჩაში მიტოვების მაგიერად მილიციაში მიეყვანა და მართლმსაჯულების ორგანოებისათვის ეცნობებია, რომ მზადდება დანაშაული, მაშინ ვასილიევ-იუჟინას პასუხი უნდა ეგო „განსაცდელში დატოვების მომზადების ან ამ დანაშაულის მცდელობისათვის რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-156-ე მუხ. თანახმად“<sup>1</sup>.

კრიმინალისტიკის მეორე ნაწილი, პირიქით, შეუძლებლად თვლის დაუშთავრებელი დანაშაულის არსებობას წმინდა უმოქმედობის დროს. ასე, მაგალითად, რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში პროფ. ნ. ტაგანცევი ამტკიცებდა, რომ „ასეთ შემთხვევაში თვით უმოქმედობის დანაშაულებრიობა დამოკიდებულია განსაზღვრული პირობების დადგომაზე, უფრო ხშირად – დროის განსაზღვრულ მომენტზე; ამიტომ პირის მთელი საქმიანობა, რომელიც წინ უსწრებს ამ მომენტს, მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას, ხოლო თუ ეს მომენტი დადგა, განხორციელებულია დანაშაულის მთელი შემადგენლობა, ასე რომ ამ კონსტრუქციის დროს ძნელი წარმოსადგენია მოქმედება, რომლითაც იწყება ან გრძელდება დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა“<sup>2</sup>.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ამ შეხედულებას იცავს, პირველად ყოვლისა, პროფ. პიონტკოვსკი, რომელიც თვლის, რომ სუბიექტის მოქმედება იმ მომენტამდე, ვიდრე არ დამდგარა კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულების ვადა, მოკლებულია ყოველგვარ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას<sup>3</sup> ამავე აზრს იზიარებენ პროფ. დურმანოვი<sup>4</sup>, ი. ტიშკევიჩი<sup>5</sup> და სხვ.

<sup>1</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ 124.

<sup>2</sup> Н.С. Таганцев, Лекции, I, стр. 704; იხ. აგრეთვე მისივე, Курс, II, стр. 178. ტაგანცევის გარდა, ამავე შეხედულებას რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში იზიარებდნენ: Г. Колоколов, К учению о покушении, М., 1884, стр. 95, 221; С.В. Познышев, Основные начала науки уголовного права, 1912, М., стр. 360; Уголовное уложение. Проект редакционной комиссии и объяснения к нему, т. I, С-П., 1897, стр. 418.

<sup>3</sup> Советское уголовное право, Часть общая, М., 1959, стр. 218.

<sup>4</sup> ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ 129.

<sup>5</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ 205.

ჩვენის აზრით, დაუმთავრებელი დანაშაულის შესაძლებლობის საკითხი წმინდა უმოქმედობის დროს არ შეიძლება ერთგვაროვნად გადაწყდეს მოსამზადებელი მოქმედებისა და მცდელობის მიმართ. მაშინ როდესაც წმინდა უმოქმედობა არ გამორიცხავს მოსამზადებელი მოქმედების არსებობის შესაძლებლობას, მცდელობა ასეთი შემადგენლობების დროს შეუძლებელია. თუ, მაგალითად, მოწმე, სასამართლოში გამოცხადებისათვის თავის არიდების მიზნით, მიემგზავრება ისეთ შორეულ ადგილას, რომ სასამართლოს სხდომაზე დანიშნულ დღეს მას არ შეუძლია გამოცხადდეს, ეს ლოგიკურად შეიძლება ჩავთვალოთ მოსამზადებელ მოქმედებად. სხვა საკითხია, დასჯის თუ არა სასამართლო ასეთ მოსამზადებელ მოქმედებას. ჩვეულებრივად იგი იმდენად მცირე საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს, რომ სუბიექტი განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

სულ სხვაა მცდელობა. იგი ლოგიკურად შეუძლებელია არსებობდეს წმინდა უმოქმედობის დროს. როდის შეიძლება ითქვას, რომ აქ გვაქვს მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე? სუბიექტის საქციელს არ შეიძლება ჰქონდეს ასეთი ხასიათი იმ მომენტამდე, ვიდრე მოვალეობის შესრულების პირობები ჯერ არ განხორციელებულა, მაგალითად, ვიდრე სასამართლოს სხდომის დღე, როდესაც მოწმე უნდა გამოცხადდეს სასამართლოში, ჯერ არ დამდგარა. მაგრამ თუ მოვალეობის შესრულების პირობა (ვადა) უკვე განხორციელდა, დანაშაული იმავე მომენტში დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი მომზადებისა და მცდელობის შესახებ შერეული უმოქმედობის დროს, ე.ი. ისეთი შედეგიანი დელიქტის დროს, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის მეშვეობით (*delicta commissiva per omissionem*). ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტი ასეთი დანაშაულის დროსაც უარყოფდა მცდელობის შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, სპასოვიჩის აზრით, რამდენადაც მცდელობა გულისხმობს დანაშაულებრივი განზრახვის შესრულების დასაწყისს, ე.ი. მოქმედე-

ბას, პირდაპირ მიმართულს დანაშაულის შესრულებაზე, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მცდელობა უმოქმედობის დროს, რომელიც გამორიცხავს დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების დასაწყისს და ისევეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედეგი უკვე განხორციელდა<sup>1</sup>.

მცდელობა შერეული უმოქმედობის დროს უნდა უარყონ ლოგიკურად იმ მეცნიერებმა, რომელთა აზრითაც უმოქმედობა არ შეიძლება იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან. ხოლო თუ ჩვენ ვცნობთ უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს დანაშაულებრივი შედეგის მიმართ, მაშინ ლოგიკურად გამორიცხული არ არის ისეთი მომენტის არსებობა, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ უმოქმედობის მეშვეობით უკვე შექმნილია მისი განხორციელების რეალური საფრთხე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ითქვას, რომ სუბიექტის უმოქმედობა უშუალოდ მიმართულია მისი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე. ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კრიმინალისტების შეხედულება, რომ შერეული უმოქმედობის დროს როგორც მომზადება, ისე მცდელობა სავსებით დასაშვებია<sup>2</sup>. ამავე აზრს იზიარებს საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა.

გ.-ს ქალი ცნობილი იყო დამნაშავედ მასში, რომ იგი არავითარ ზრუნვას არ იჩენდა თავისი ო წლის ბავშვის მილიას მიმართ: არ აჭმევდა, არ აცმევდა მას, არ ურეცხავდა ტანისამოსს და ბავშვი ისეთ მდგომარეობაში მიიყვანა, რომ იგი მეორე ხარისხის დისტროფიით დაავადდა და მთელი სხეული დაიარებული ჰქონდა მკბენარებისაგან. მშვიერი ბავშვი იძულებული იყო ქუჩა-ქუჩა ევლო და ემათხოვრა. სასამართლომ სცნო, რომ მსჯავრდებულის მოქმედება გამოწვეული იყო ბავშვის მოკვლის სურვილით; გ.-ს ქალი თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა და ეშინოდა, რომ ბავშვი მას შეზღუდავდა. საქმის ასეთი გარემოების აღიარების შემდეგ სასამართლომ გ.-ს მოქმედება დააკვალიფიცირა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-73<sup>2</sup>-ე მუხლით (არასრულწლოვანთა წაქეზება ან ჩაბმა დანაშაულის ჩასა-

<sup>1</sup> В. Спасович, Учебник уголовного права, т. I, С.П., 1863, стр. 133-134.

<sup>2</sup> იხ. Уголовное право, Часть общая, М., 1959, стр. 128, იხ. აგრეთვე: ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 128; ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 206-207

დენად, აგრეთვე არასრულწლოვანის იძულება სპეკულაციისათვის, პროსტიტუციისათვის, მათხოვრობისათვის). სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და 1944 წ. 15 მარტის განჩინებაში მიუთითა: „სასამართლომ არასწორად დააკალიფიცირა მსჯავრდებულის მოქმედება რსფსრ სს კოდექსის მე-19 და 73<sup>2</sup>-ე მუხლებით. პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თუ მართებულად მივიჩნევთ სასამართლოს დასკვნას, რომ გ. განზრახ ქმნიდა ბავშვისათვის ცხოვრების ისეთ პირობებს, რომლებსაც შეეძლო გამოეწვია მისი სიკვდილი, მაშინ გ.-ს მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა ყოფილიყო როგორც მკვლელობის მცდელობა, ე.ი. რსფსრ სს კოდექსის მე-19 და 136-ე მუხლების მიხედვით“<sup>1</sup>.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში დავას იწვევს აგრეთვე საკითხი, შესაძლებელია თუ არა მცდელობა ისეთი „ფორმალური დანაშაულის“ დროს, რომელიც დადებითი მოქმედებით სრულდება. ზოგიერთი კრიმინალისტი საზოგადოდ უარყოფს მცდელობის შესაძლებლობას ყოველი „ფორმალური დანაშაულის“ დროს<sup>2</sup>. მეორე უკიდურესობაში ვარდებიან ის კრიმინალისტები, რომლებიც თვლიან, რომ მომზადება და მცდელობა შესაძლებელია ყოველი „ფორმალური დანაშაულის“ დროს. ამ შეხედულებას საბჭოთა ლიტერატურაში გამოთქვამენ პროფ. ა. ტრაინინი<sup>3</sup> და ნ.კუზნეცოვა<sup>4</sup>, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, საერთოდ უარყოფენ „ფორმალური დელიქტის“ ცნებას. ნ. კუზნეცოვას აზრით, დანაშაულის მცდელობისა და მომზადების არსებობა პრინციპულად დასაშვებია ისეთი დანაშაულის დროსაც, რომელიც სრულდება მოქმედების ერთი სწრაფი აქტით, მაგალითად, შეურაცხ-

---

<sup>1</sup> Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда Союза ССР за 1944, М., 1948, стр. 105.

<sup>2</sup> საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში ამ აზრს იზიარებენ: А. А. Герцензон, Уголовное право, Часть общая, М., 1948, стр. 346; В. М. Чхиквадзе, Военно-уголовное право, Часть общая, М., 1946, стр. 222-223.

რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში ამ შეხედულებას იზიარებდა პროფ. ნ. კოლუკოლოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 222-223. იხ. აგრეთვე, გვ. 226.

ა. ტრაინინი, დასახ. ნაშრ., 1957, გვ. 303-305.

<sup>4</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 121-128.

ყოფის, ცილისწამების და სხვა, უმთავრესად „სიტყვიერი“ დანაშაულის დროსაც. აქ „ხელშემწილელ გარემოებათა ჩარევა, ბუნებრივია, ერთგვარად გაძნელებულია, მაგრამ გამორიცხვული არ არის“<sup>1</sup>.

დაბოლოს, არსებობს მესამე შეხედულება, რომლის თანახმად, აღნიშნული საკითხი არ შეიძლება ერთგვაროვნად გადაწყდეს ყველა სახის ფორმალური დანაშაულის დროს. ასე, მაგალითად, პროფ. ა. პიონტოკოვსკის აზრით, „მომზადება და მცდელობა შეუძლებელია აგრეთვე (გარდა წმინდა უმოქმედობისა — თ.წ.) აქტიური მოქმედებით ჩადენილი იმ „ფორმალური დანაშაულის“ დროს, რომელშიც მოქმედების პირველივე აქტი უკვე მთლიანად ახორციელებს ამ დანაშაულს. მომზადება და მცდელობა შესაძლებელია ყველა სხვა დანაშაულის მიმართ, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით“<sup>2</sup>.

ჩვენ საკვებით ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ დანაშაულის შემადგენლობის ისეთი კონსტრუქციის დროს, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა ხორციელდება მოქმედების უკვე პირველივე აქტით, როგორც მომზადება, ისე მცდელობა ლოგიკურად და პრაქტიკულად შეუძლებელია. ძნელი წარმოსადგენია მცდელობა, კერძოდ, სიტყვით ან მოქმედებით შეურაცხყოფის დროს. ვიდრე შეურაცხმყოფელი სიტყვა ჯერ წარმოთქმული არ არის ან შეურაცხმყოფელი მოქმედება შესრულებული არ არის, იურიდიულად არაფერი არ განხორციელებულა, ხოლო თუ სიტყვა წარმოთქმულია ან მოქმედება დაწყებულია და მათში უკვე გამოძღვანდა შეურაცხმყოფელი ხასიათი, დანაშაული უკვე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს<sup>3</sup>. ამას ის გარემოებაც უნდა დაემატოს, რომ შეურაცხყოფა არ არსებობს, თუ ის პიროვნება,

---

<sup>1</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 123, რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში ამ აზრს იზიარებდა ა. კრუგლევსკი, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 204-205.

<sup>2</sup> იხ. Советское уголовное право, Общая часть, М., 1959, стр. 218, ამავე აზრს იზიარებს ერთაქტიანი ფორმალური დანაშაულის მიმართ პროფ. ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში მცდელობას ერთაქტიანი ფორმალური დანაშაულის დროს შეუძლებლად თვლიდნენ: Н. С. Таганцев, Курс, II, стр. 179, его же, Лекции, стр. 704-705; С. В. Познышев, Основные начала, стр. 360 и др.

<sup>3</sup> იხ. А. А. Жижиленко, Преступления против личности, М.-Л., 1927, стр. 90-93.

რომლის მიმართაც წარმოთქმული იყო შეურაცხყოფელი სიტყვები, თავს არა გრძნობს შეურაცხყოფილად. რამდენადაც შეურაცხყოფის ცნება აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ პიროვნებამ უნდა შეიცნოს თავისი თავი შეურაცხყოფილად, ხოლო ამ მომენტიდან კი დანაშაული უკვე დამთავრებულია, იურიდიულად შეურაცხყოფის მცდელობა არ შეიძლება იქნეს კონსტრუირებული<sup>1</sup>.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი იძლევა დანაშაულის შემადგენლობის ისეთ კონსტრუქციას, რომელიც გამორიცხავს მომზადებისა და მცდელობის შესაძლებლობას.

ასე, მაგალითად, მომზადებას და მცდელობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი დასჯადობის აუცილებელ პირობად თვლის რაიმე გარკვეული ზიანის განხორციელებას. ასეთი შემადგენლობის მაგალითს წარმოადგენს განზრახ ისეთი ქმედობის ჩადენა, რომელსაც მოჰყვა წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათი დამხმარე გამართულობათა მოქმედების შეჩერება, ნათესების გადახმობა ან წყლით წალეკვა (მუხ. 79<sup>1</sup>-ე). თუ აღნიშნული შედეგები არ განხორციელდა, კანონი ასეთ მოქმედებას დაუსჯელად თვლის. შეუძლებელია მცდელობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც კანონი ითვალისწინებს განსაზღვრულ სასჯელს მძიმე შედეგის განხორციელების შემთხვევაში, ხოლო ამ შედეგის არარსებობის დროს სჯის მოქმედებას თავისთავად უფრო მსუბუქი სასჯელით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულია სამშენებლო მუშაობათა დროს სავალდებულო გამაფრთხილებელი წესების დარღვევა, უკეთუ ამას მძიმე შედეგი

---

<sup>1</sup> იხ. Курс советского уголовного права, Особенная часть, т. I, М., 1955, стр. 659.

ამავე მოსაზრებით არ შეიძლება მცდელობა წერილობითი შეურაცხყოფის დროსაც. აბსტრაქტულად შეიძლებოდა წარმოგვედგინა, რომ ასეთი შეურაცხყოფა დამთავრებულია წერილის მიღების მომენტში, ხოლო მცდელობა იქნება შეურაცხყოფელი წერილის ფოსტის ყუთში ჩაგდება, მაგრამ ვიდრე შეურაცხყოფელი წერილი მიღებული არ არის ადრესატის მიერ, საერთოდ უცნობია, იგრძნობს თუ არა იგი თავის თავს შეურაცხყოფილად. ხოლო იმ მომენტიდან, რაც ადრესატი გაეცნო წერილს და თავი შეურაცხყოფილად იცნო, დანაშაულებრივი ქმედობა უკვე დამთავრებულია. მცდელობას წერილობითი შეურაცხყოფის დროს შესაძლებლად თვლიდა ჟაჟილენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

მოჰყვა. კანონი აღკვეთავს ამ დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას, ვინაიდან ამავე მუხლის მეორე ნაწილში ითვალისწინებს იმავე მოქმედებას, უკეთუ მას აღნიშნული შედეგი არ მოჰყოლია.

არ შეიძლება მომზადება და მცდელობა აგრეთვე მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტების დროს. ეს დანაშაულებრივი შემადგენლობანი გულისხმობენ განზრახვას ძირითადი დანაშაულის მიმართ, ხოლო გაუფრთხილებლობას მძიმე შედეგის მიმართ. ასეთია, მაგალითად, სხეულის მძიმე დაშავება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი (მუხ. 151). რამდენადაც მძიმე შედეგი სუბიექტის განზრახვი ბრალით არ არის მოცული, ამდენად მცდელობა აქ შეუძლებელია. შედეგი რომ განზრახვი ბრალით ყოფილიყო მოცული, მაშინ გვექნებოდა არა სხეულის განზრახვი დაშავება, არამედ განზრახვი მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა.

არ შეიძლება მომზადება და მცდელობა ისეთი დანაშაულებრივი შემადგენლობების დროსაც, რომლებისთვისაც კანონი მოითხოვს როგორც აუცილებელ პირობას ან მძიმე შედეგის განხორციელებას ან ამ შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ნ. ღურმანოვი, „უკეთუ მოქმედება ასეთ შესაძლებლობას შეიცავდა. თუნდაც შედეგი განხორციელებული არ იყოს, ადგილი აქვს დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს და არა მცდელობას. ხოლო თუ ასეთი მძიმე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა საერთოდ არ არსებობდა, ... არ არის არც დანაშაულის შემადგენლობა და, მაშასადამე, არ რჩება ადგილი არც დასჯადი მცდელობისათვის“<sup>1</sup>.

დაბოლოს, საინტერესოა საკითხი, შესაძლებელია თუ არა დანაშაულის მომზადება და მცდელობა საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს, ან როგორც ზოგიერთი კრიმინალისტი უწოდებს, ე.წ. „შეკვეცილი შემადგენლობების“ დროს.

ჩვენის აზრით, საფრთხის შემქმნელი დელიქტების დიდი რაოდენობის მიმართ ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. ასეთი შემადგენლობების შექმნის მეშვეობით კანონმდებელს შესაძლებლობა ეძლევა დასაჯოს, წინასწარი საქმიანობის უფრო აღრინდელი სტადია (მცდელობის მცდელობა), ხოლო ზოგჯერ თვით მოსამზადებელი

<sup>1</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 131.



მოქმედება. ასეთი შემადგენლობის მაგალითს წარმოადგენს ბანდიტიზმი, რომელიც დამთავრებულად ითვლება უკვე ბანდის ორგანიზაციის მომენტიდან, ყაჩაღობა, რომელიც დამთავრებულად ითვლება პიროვნების მიმართ ძალადობის ხმარების ან ძალადობის მუქარის მომენტიდან და ა.შ. როგორც ბანდიტიზმის, ასევე ყაჩაღობის დროს შესაძლებელია წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობა. ასე, მაგალითად, ბანდიტიზმის მომზადებად უნდა ჩაითვალოს მიზანმიუღწეველი ცდა ბანდის ორგანიზაციისა, ყაჩაღობის მომზადებად – პირობების შექმნა მომავალში ყაჩაღობის ჩასადენად და სხვ. მისთ.

მცდელობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მთელი რიგი სხვა დანაშაულებრივი ქმედობების დროს. მაგრამ ეს უკვე სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის საკითხების შესწავლისას უნდა იქნეს გაშუქებული.

## დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯალობა

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯალობის რაიმე ფორმალური ხასიათის შეზღუდვებს. ამიტომ საბჭოთა კანონმდებლობის ნორმების სიტყვასიტყვითი განმარტებიდან თითქოს ისეთი დასკვნა გამოძინარეობს, რომ მომზადება და მცდელობა უნდა დაისაჯოს ყველა დანაშაულის დროს, გარდა ისეთი დანაშაულებრივი ქმედობებისა, რომელთა დროსაც მომზადება და მცდელობა ამ დანაშაულთა ბუნების გამო შეუძლებელია. მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთება შეცდომა იქნებოდა. იგი ეწინააღმდეგება დანაშაულის მატერიალურ განმარტებას საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

ზოგიერთ შემთხვევაში პირის მიერ ჩადენილი ქმედობა შეიძლება ფორმალურად შეიცავდეს დანაშაულის მომზადების ან დანაშაულის მცდელობის შემადგენლობის ფორმალურ ნიშნებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ სცნოს ეს მოქმედება დანაშაულად იმის გამო, რომ მოქმედება არ არის საზოგადოებრივად საშიში.

დებულება, რომ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის შემთხვევაში პირი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში, ღიდი ხანია შეტანილია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და სოციალისტური სისხლის სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ პრინციპად ითვლება. ასეთი ხასიათის ნორმა თავდაპირველად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში იყო შეტანილი. სახელდობრ, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსს 1925 წლის 9 თებერვალს დაემატა მუხ. 4-ა შემდეგი შინაარსისა: „გარდა ამისა, პროკურორს და სასამართლოს უფლება აქვთ უარი განაცხადონ სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრის შესახებ და აგრეთვე მოსპონ სისხლის სამართლის საქმის წარმოება იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის ქმედობა თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს,

მაგრამ არ შეიძლება ცნობილ იქნეს საზოგადოებრივ საშიშად (სისხ. სამართლის კოდექსის მე-ნ მუხ.) თავისი უმნიშვნელობის, ან მისი შედეგების მცირე მნიშვნელობის თუ უმნიშვნელობის გამო, ან მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ან შემდგომი წარმოება აშკარად მიზანშეუწონელია“.

როგორც ამ მუხლის ტექსტიდან ჩანს, იგი შეიცავდა ორ ნორმას: 1) პროცესუალურს – საქმის აღძვრაზე უარის თქმა ან საქმის მოსპობა სისხლის სამართლის დევნის მიზანშეუწონლობის გამო და 2) მატერიალურს – საქმის არაღძვრა ან მოსპობა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო<sup>1</sup>.

მალე გამოირკვა, რომ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოები მეტად ფართოდ იყენებდნენ სწორედ პროცესუალურ ნორმას (სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეუწონლობა). თანაც „გაურკვეველი კრიტერიუმი საქმის აღძვრის ან წარმოების შემდგომი განგრძობის მიზანშეუწონლობისა არ წარმოადგენდა საკმაოდ ნათელ სახელმძღვანელო საწყისს იმ საქმეთა გასამიჯნავად, რომელნიც უნდა იწვევდნენ ან არ უნდა იწვევდნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“<sup>2</sup>. ამასთან დაკავშირებით რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა 1925 წ. 18 ნოემბრის დადგენილებით მიუთითა სასამართლოებს შეეზღუდათ მე-4-ა მუხლის შეფარდება მხოლოდ ისეთი შემთხვევებით, როდესაც ქმედობა ან მისი შედეგები იყო უმნიშვნელო, ხოლო შემდგომ რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იყო ნორმა შემდეგი შინაარსისა: „არ წარმოადგენს დანაშაულს მოქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად უდგება ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს, მაგრამ აშკარა მცირემნიშვნელობისა და მავნე შედეგის არარსებობის გამო მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“ (მე-ნ მუხლის შენიშვნა). ანალოგიური ნორმა, მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით, შეტანილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში: „სისხლის სამართლის წესით დევნა შეიძლე-

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, изд. АН СССР, М.-Л., 1948, стр. 261.

ბა მოისპოს პროცესის ყოველ სტადიაში, უკეთუ ჩადენილი ქმედობა, თუნდაც იგი ფორმალურად საზოგადოებრივ-საშიში ქმედობის ნიშნებს შეიცავდეს, მეტად უმნიშვნელოა და მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია...“ (მუხ. მე-4<sup>1</sup>). ამ ნორმის ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შემთხვევაში სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოები ვალდებული კი არ იყვნენ მოესპოთ საქმე, არამედ ამისი უფლება ჰქონდათ, მაშინ როდესაც რსფრსის სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი მოქმედება, როგორც საზოგადოებრივ საშიშროებას მოკლებული, სრულიად არ შეიძლება დანაშაულად ჩათვალოს.

მე-6 მუხლის შენიშვნაში მოცემული ნორმა, მისი დიდი პრინციპული მნიშვნელობის გამო, შენარჩუნებულ იქნა შემდგომ კანონმდებლობაში. სახელდობრ, იგი შევიდა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში შემდეგი რედაქციით: „არ ჩაითვლება დანაშაულად მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირემნიშვნელოვანების გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“ (მუხ. მე-7, ნაწ. მე-2).

ზემოაღნიშნული ნორმა, თავისთავად ცხადია, არ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს უფლება აქვთ, თავისი სუბიექტური შეხედულების მიხედვით, კორექტივი შეიტანონ კანონში და კანონმდებლის მიერ დასჯადად გამოცხადებული ქმედობა საერთოდ დაუსჯელად აღიარონ. მაგრამ ცხოვრებაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც თუმცა ქმედობა ფორმალურად შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ მისი საზოგადოებრივი საშიშროება იმდენად უმნიშვნელოა, რომ არსებითად იგი უკვე აღარ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. ეს აზრი კარგად იყო გამოთქმული რსფსრ იუსტსახკომისა და უმაღლესი სასამართლოს 1927 წ. 15 იანვრის საინსტრუქციო წერილში. „მე-6 მუხლის შენიშვნის შეფარდების დროს, – ნათქვამია ამ წერილში, – სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ იგი არ შეიძლება განხილულ

იქნეს როგორც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილ დანაშაულთა შემადგენლობის ნიშნების საერთო ფაქტიური გაუქმება; განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილ დანაშაულთა შემადგენლობის ნიშნები სავალდებულოა სასამართლოებისათვის და მოსამართლეებმა უნდა, იხელმძღვანელონ ამით ბრალდებულისათვის ინკრიმინირებულ ქმედობათა დანაშაულებრიობის განსაზღვრის დროს. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა კარგავს თავის სოციალურად საშიშ შინაარსს იმის გამო, რომ მოქმედება აშკარად მცირემნიშვნელოვანია და მას მაინც შედეგი არ მოჰყოლია“. თუმცა ამ წერილმა ამჟამად დაჰკარგა თავისი სავალდებულო ძალა, მაგრამ მასში გამოთქმული დებულება დღესაც მართებულად უნდა ჩაითვალოს.

საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შეფარდება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა მოქმედება შეესაბამება დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ნიშნებს. მაგრამ ცხადია მოქმედების უმნიშვნელო საზოგადოებრივი საშიშროება უფრო ხშირად სწორედ დაუმთავრებელი დანაშაულის დროს გვხვდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გამორკვევას, თუ როგორ უნდა იქნეს დადგენილი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, რა კრიტერიუმებით უნდა ისარგებლონ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებმა იმ საკითხის გადასაჭრელად, არის თუ არა პირის მიერ ჩადენილ მოქმედებაში საზოგადოებრივი საშიშროების ის მინიმალური ხარისხი, რომელიც აფუძნებს ქმედობის დანაშაულებრივ ხასიათს.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების საკითხის გადაჭრისათვის მნიშვნელობა აქვს მთელ რიგ გარემოებებს, რომელთა შორის პირველ რიგში დასახელებული უნდა იქნეს პირის მოქმედებით შექმნილი საფრთხის ოდენობა, ხელყოფის ობიექტის ღირებულება, და იმ ზიანის მოცულობა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ობიექტის ხელყოფამ.

როგორც წინა თავებში უკვე გარკვეული იყო, მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების მხოლოდ უმნიშვნელო საფრთხეს, როგორც საერთო წესი, არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად. პირიქით, მცდე-

ლობა, რომელიც ქმნის დანაშაულის განხორციელების უშუალო საფრთხეს, როგორც წესი, საზოგადოებრივ საშიშროებას მოიცავს.

მაგრამ მხოლოდ ეს მომენტი, ე.ი. დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხი არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ გადაწყვეტ მომენტად დაუმთავრებელი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროებისა და დასჯადობის საკითხის გადაჭრისათვის<sup>1</sup>. მასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ობიექტის ღირებულებას, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია სუბიექტის ხელყოფა, თუ ობიექტი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია დამნაშავეის ხელყოფა დიდი სოციალური ღირებულებისაა, სასამართლოს შეუძლია ცნოს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოქმედებას არ შეუქმნია ამ ობიექტის ნამდვილად დაზიანების უშუ-

---

<sup>1</sup> 6. კუზნეცოვა გვისაყვედურებს, თითქოს ჩვენ დაუმთავრებელი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთების დროს მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ იმ მომენტს, თუ რამდენად ახლოს არის მოქმედება დამთავრებასთან სივრცისა და დროის მხრივ იგი წერს: „ასე ვერ დავეთანხმებით პროფ. თ. წერეთლის შეხედულებას, რომელიც თვლის, რომ მომზადება, რამდენადაც იგი ყოველთვის უფრო შორს არის შედეგიდან, ვიდრე მცდელობა, ვეღვა პირობებში ნაკლებად საშიშა“ (Н. Ф. Кузнецова, Некоторые вопросы ответственности за приготовление и покушение. „Советское государство и право“, 1955, N 5, стр. 118).

6. კუზნეცოვა ზუსტად არ გადმოცემს ჩვენს შეხედულებას. ვერ ერთი, ქედობის სახლოვე შედეგთან სივრცეში და დროში, ჩვენის აზრით, წარმოადგენს არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ მომენტს, რომელიც ახასიათებს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების საშიშროებას, რაც მოქმედებით არის შექმნილი.

მორე, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხიც, ჩვენის აზრით, არის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი მომენტი, რომელიც ასაბუთებს მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას.

შესამე, ჩვენ არასდროს არ ვკითქვამს, რომ დანაშაულის მცდელობა ვეღვა პირობებში უფრო საშიშა, ვიდრე მისი მომზადება; მაგრამ თანაბარ პირობებში, კერძოდ ხელყოფის ობიექტის ერთნაირი ღირებულებისა და მოსალოდნელი ენების მოცულობის ერთგვარობის დროს, რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ მომზადება, რომელიც შედეგის წარმოშობის მხოლოდ უმნიშვნელო შესაძლებლობას შეიცავს, საზოგადოებრივად ნაკლებ საშიშა, ვიდრე მცდელობა. ეს შეხედულება გამოთქმული იყო ჩვენ მიერ შემდეგ შრომებში: Т. В. Церетели и В. Г. Макашвили, Состав преступления как основание уголовной ответственности. „Советское государство и право“, 1954, N 5, стр. 75-77; Т. Церетели, Наказуемость приготовления к преступлению по советскому уголовному праву. „Социалистическая законность“, 1954, N 12; მისივე, Причинная связь в уголовном праве, Тбилиси, 1957, стр. 237-240.

ალო საფრთხე, მაშასადამე, როდესაც მოქმედებას არ მიუღწევია მცდელობის სტადიისათვის. მაგალითად, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან სოციალისტური ქონების გატაცების მძიმე შემთხვევების დროს მკვლე შედეგის განხორციელების შორეულმა შესაძლებლობამაც კი შეიძლება დაასაბუთოს ქმედობის დასჯადობა და საზოგადოებრივი საშიშროება. მაშასადამე, სასამართლოს შეუძლია დასჯადად ცნოს ასეთ დანაშაულთა მომზადებაც. პირიქით, როდესაც ქმედობა მიმართულია ისეთი ობიექტის წინააღმდეგ, რომელსაც სოციალისტური მართლწესრიგის თვალსაზრისით შედარებით ნაკლები ღირებულება აქვს, ასეთ შემთხვევაში დანაშაულის განხორციელების უშუალო საფრთხეც ყოველთვის როდია საკმარისი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და დასჯადობის დასაბუთებისათვის, და მოსამართლეს შეუძლია, მიუხედავად მცდელობის სტადიის არსებობისა, მიუყენოს ქმედობას „საფუძვლების“ მე-7 მუხლის მეორე ნაწილი.

აქედან, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს, თითქოს მნიშვნელოვან ობიექტზე დაუმთავრებელი ხელყოფის ყველა შემთხვევა აუცილებლად უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას<sup>1</sup>. ზემოთ დასახელებულ ორ მომენტთან ერთად, მოქმედების

---

<sup>1</sup> ასეთ დასკვნას სავსებით უმართებულად მოგვაწერს ჩვენ პროფ. ნ. ღურმანოვი. მისი აზრით, დაუმთავრებელი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების დადგენის დროს ჩვენ მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ ხელყოფის ობიექტის ხასიათს და ამიტომ დასასჯელად ვთვლით მკვლელობისა და სოციალისტური საკუთრების გატაცების მომზადების ყველა შემთხვევას. „ამავე დროს, — მუთითებს პროფ. ნ. ღურმანოვი, — ამ შემთხვევებშიც პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს არა მარტო ობიექტის, არამედ მოსამზადებელი მოქმედების ყველა კონკრეტული თავისებურების გათვალისწინებით“ (ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 91). — სინამდვილეში ჩვენ არსად არასდროს არ გამოვივითქვამს ისეთი აზრი, თითქოს დაუმთავრებელი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და დასჯადობა უნდა გადაწყდეს მხოლოდ ერთი მომენტის — ხელყოფის ობიექტის ხასიათის გათვალისწინებით, არამედ ყოველთვის მუთითობდით მთელ რიგ გარემოებებზე, რომლებიც ერთიანად უნდა იქნენ აწონ-დაწონილი აღნიშნული საკითხის გადაჭრისას (იხ. განსაკუთრებით Т.В. Церетели и В.Г. Макашвили, Состав преступления как основание ответственности, „Советское государство и право“, 1954, N 5, стр. 77; Т.В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, Тбилиси, 1957, стр. 237-240).

საზოგადოებრივი საშიშროების საკითხის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ზიანის სიდიდეს, რომელიც შეიძლება მოუვიდეს ობიექტს ხელყოფის განხორციელების შედეგად. თუ, მაგალითად, ქმედობამ მიაღწია მცდელობის სტადიას, თანაც იგი მიმართულია დიდი ღირებულების ობიექტის – სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს პირს განზრახული აქვს სულ უმნიშვნელო ზიანის მიყენება ამ საკუთრებისათვის (მაგალითად, რამდენიმე მანეთის ღირებულების საქონლის მოპარვა), სასამართლოს შეუძლია ასეთი მოქმედება აშკარად უმნიშვნელოდ ცნოს და „საფუძვლების“ მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე საქმე წარმოებით მოსპოს. ცხადია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ სახელმწიფო რეალურად ნაკლებად დაზარალდა, არამედ იმას, რომ არსებობდა მცირე ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ამ მომენტზე მართებულად მიუთითებს პროფ. ღურმანოვი, რომელიც აღნიშნავს: „თუ მოქმედება მიმართული იყო მნიშვნელოვანი ზიანის ან განუსაზღვრელი სიდიდის ზიანის მისაყენებლად, ხოლო სინამდვილეში მიყენებულია უმნიშვნელო ზიანი, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მცირემნიშვნელოვან ქმედობაზე...“<sup>1</sup>.

ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი საბჭოთა სასამართლოს პრაქტიკიდან:

ვ.-ს ბრალად ედებოდა, რომ კ.-სთან ერთად ვაგონის დათვალიერების დროს მოგლიჯა ლუქი და გააღო ვაგონის კარები, ამის შემდეგ ვაგონთან დარაჯად დადგა, ხოლო კ. შიგ შევიდა სახელმწიფო ქონების გატაცების მიზნით, კ.-მ მოახერხა მხოლოდ 5 კოლოფი პაპიროსის მოპარვა, ვინაიდან ვ.-მ იგი გააფრთხილა, რომ ვაგონს უახლოვდება მატარებლის შემდგენი ს.. ვ. დააკავეს, ხოლო კ.-მ გაქცევა მოასწრო. ვ. პასუხისმგებლობაში იყო მიცემული „სახელმწიფო და საზოგადო საკუთრების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით, მაგრამ რკინიგზის სახაზო სასამართლომ საქმე ვ.-ს მიმართ წარმოებით მოსპო. თავის განჩინებას სახაზო სასამართლომ საფუძველად დაულო გატაცებული ქონების უმნიშვნელო რაოდენობა.

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, Понятие преступления, М.-Л., 1948, стр. 266.



სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის კოლეგიამ 1949 წლის 12 მაისის განჩინებით გააუქმა რკინიგზის სახაზო სასამართლოს ეს განჩინება, თანაც მიუთითა, რომ ქონების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით გატაცების მიზეზი იყო ვაგონის შემდგენის ს.-ის მოქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა დამნაშავეებს სრული მოცულობით განეზორციელებინათ თავისი დანაშაულებრივი განზრახვა<sup>1</sup>.

ამ მომენტის მნიშვნელობაზე სპეციალურად მიუთითა თავის მოხსენებაში სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე 1957 წ. ივნისში უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. მოროზოვმა. მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ სასამართლოები არასწორად უფარდებენ 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულებას „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილი გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“, ვინაიდან მხედველობაში იღებენ მხოლოდ ფაქტიურად გატაცებული ქონების ოდენობასა და ღირებულებას და ამავე დროს ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო გაცილებით უფრო მეტი ღირებულების ქონების გატაცებაზე, მაგრამ ეს განზრახვა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი დამნაშავეზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ნ. მოროზოვს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ვინმე სოროკინი შეიპარა ბუფეტში და მოასწრო 3 ქილა კონსერვის, ერთი კოლოფი პაპიროსის და ერთი კოლოფი ყელეს მოპარვა. მოროზოვმა აღნიშნა: „სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ სოროკინს მიუსწრეს და დააკავეს დანაშაულის ჩადენის ადგილას იმ მომენტში, როდესაც მან მხოლოდ დაიწყო საქონლის მოპარვა. საქონლის ის მცირე რაოდენობა, რისი აღებაც სოროკინმა მოასწრო, არ აძლევდა სასამართლოს უფლებას მსჯავრი დაედო მისთვის სახელმწიფო ქონების წვრილი გატაცების გამო, რამდენადაც საქმის ყველა გარემოებიდან ჩანს, რომ სოროკინის განზრახვა მიმართული იყო გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის საქონლის გატაცებაზე. ასეთ პირობებში სოროკინის მოქმედება განხილული უნდა ყოფილიყო როგორც იმ გატაცების მცდელობა, რომელიც გათვალისწინებულია 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1949, N 9, стр. 20-21.

<sup>2</sup> „Бюллетень Верховного суда СССР“, 1957, N 4, стр. 16.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების საკითხის გადაჭრის დროს საბივე ზემოთ მოხსენებული მომენტი ერთობლივად უნდა იქნეს გათვალისწინებული და არა იზოლირებულად. თანაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მაგნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხი უკუპროპორციულ მიმართებაშია ორ უკანასკნელ მომენტთან. მაშასადამე, რაც უფრო მეტია ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება და რაც უფრო დიდია შესაძლებელი ზიანის მოცულობა, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების მით უფრო მცირე შესაძლებლობაა საკმარისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის. და პირიქით: რაც უფრო მცირეა ობიექტის საზოგადოებრივი საშიშროება და შესაძლებელი ზიანის მოცულობა, მით უფრო დიდი უნდა იყოს შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, რომ დაასაბუთოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება.

აღნიშნული სამი ძირითადი მომენტის გარდა, თავისთავად ცხადია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მთელი რიგი სხვა გარემოებანი: დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი, სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვა, რომელშიც ჩადენილია დანაშაული და ა.შ. ზოგჯერ მოსამზადებელი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება განისაზღვრება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით დანაშაულის შესრულებისათვის (მაგალითად, ყალბი ფულის გაკეთების დროს), მისი სირთულით და ა.შ.

ამგვარად, შეიძლება მივიდეთ შემდეგ დასკვნამდე: თუმცა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფორმალურ შეზღუდვებს დაუშთავრებელი დანაშაულის დასჯადობის მხრივ, როგორც ამას აკეთებენ ზოგიერთი ბურჟუაზიული კანონმდებლობანი, მაგრამ საბჭოთა მოსამართლეს ზოგჯერ შეუძლია არ დასაჯოს ასეთი ქმედობა, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში იგი შეიძლება მოკლებული იყოს საზოგადოებრივ საშიშროებას და ამიტომ დანაშაულად ვერ ჩაითვლება.

უკანასკნელ ხანს საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისა, დანაშაულთა წინასწარ აცდენისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების უზრუნველყოფის ფუნქციების ნაწილობრივ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემასთან დაკავ-

შირებით, მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შეფარდების შემთხვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ“ ნათქვამია: „სასამართლოებმა უფრო ფართოდ უნდა გადასცენ საზოგადოებრიობას განსახილველად საქმეები ისეთი სამართალდარღვევების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენენ, და მოსპონ ასეთი საქმეების სისხლისსამართლებრივი წესით წარმოება სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად“. ანალოგიური ხასიათის მითითება მისცა საგამომძიებლო-საპროკურორო ორგანოებს სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა. 1959 წლის 20 ივლისის N 43 ბრძანებაში ნათქვამია, რომ ის პირები, რომელთა საქმეებიც „საფუძვლების“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ისპობა, შეიძლება გადაეცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა კოლექტივებს, მათი შუამდგომლობის თანახმად, საზოგადოებრივი ღონისძიებების შეფარდების მეშვეობით აღზრდა-გამოსწორებისათვის.

ცხადია, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის ჩამდენი პირებიც ამ საერთო წესს ექვემდებარებიან. მათ მიმართ „საფუძვლების“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმის მოსპობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი გადაცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა შესაფარდებლად.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მსგავსად, არ ითვალისწინებს მცდელობის დასჯადობის ფორმალურ შეზღუდვებს. რამდენადაც ეს კოდექსებიც დანაშაულის ძირითად მატერიალურ ნიშნად მის საზოგადოებრივ საშიშროებას თვლიან, მცდელობის ფაქტიურად დასჯადობის საკითხი მათთანაც ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც ჩვენში.

გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვით დანაშაულის მცდელობა ისევეა, თუკი კანონით გათვალისწინებული არ არის მისი დაუსჯელობა

(მუხ. 97-ე, ნაწ. I), ხოლო გადაცდომის მცდელობა ისჯება მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ სპეციალურად მითითებულია კანონში (მუხ. 98-ე, ნაწ. I).

აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადად ითვლება საერთოდ ისეთი დანაშაულის მცდელობა, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დანიშნულ იქნეს საპრობილეში მკაცრი მოთავსება არა ნაკლებ ხუთი წლისა, სხვა შემთხვევაში მცდელობა ისჯება, თუ ამაზე პირდაპირ მითითებულია კანონში<sup>1</sup>.

ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის სხვადასხვა სისტემები არსებობს. ბურჟუაზიულ კანონმდებლობათა უმეტესობა ითვალისწინებს მცდელობის დასჯადობას მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედობის დროს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო თავში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის ისტორიის შესახებ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მიღებულ 1791 წლის კოდექსში მცდელობა ისჯებოდა მხოლოდ ორი დანაშაულის დროს – წინასწარი განზრახვით მკვლელობისა და მოწამვლის დროს. მაგრამ შემდგომმა რევოლუციურმა კანონმდებლობამ შეცვალა ეს წესი და მიიღო მცდელობის დასჯადობის ახალი სისტემა, რომელიც უცვლელი სახით შევიდა 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, ხოლო შემდეგ ამ კოდექსიდან ბევრი ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ იქნა ნასესხები. ამ სისტემის თანახმად, დანაშაულის (crime) მცდელობა ისჯება ყოველთვის (მუხ. მე-2), გადაცდომის (delit) მცდელობა ისჯება მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია კანონში (მუხ. მე-3), ხოლო დარღვევის (contravention) დროს მცდელობა არასდროს არ ისჯება. ამგვარადვე გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის დებულება სჯის მცდელობას დანაშაულის დროს (Verbrachen) ყოველთვის, ხოლო გადაცდომის დროს (Vergehen) – მარტო კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხ-

<sup>1</sup> იხ. А. Муида, Уголовное право Югославии. Современное зарубежное уголовное право, т. I, Изд. иностр. лит., М., 1957, стр. 531.

ვევებში (§43), ამ სისტემას იზიარებდა რუსეთის რევოლუციამდელი 1903 წლის სისხლის სამართლის დებულებაც, რომელიც 49-ე მუხლში ადგენდა, რომ მძიმე დანაშაულის მცდელობა ისჯება ყოველთვის, ხოლო დანაშაულისა – კანონით განსაკუთრებით მითითებულ შემთხვევებში. იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მასში მიღებული ორწევრიანი დაყოფის შესაბამისად (დანაშაული – გადაცდომა), მცდელობა ისჯება მხოლოდ დანაშაულის დროს (მუხ. 54-ე).

ზოგი თანამედროვე ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს მხოლოდ იმ დანაშაულთა მცდელობას, რომლებსაც კანონით გათვალისწინებულია განსაზღვრული სახის სასჯელი. მაგალითად, დანიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, ისჯება ისეთი დანაშაულის მცდელობა, რომელიც იწვევს უფრო მძიმე სასჯელს, ვიდრე პატიმრობა (არესტი), თუკი კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (პატიმრობის (არესტის) მაქსიმალური ვადა დანიის კოდექსით არის ორი წელი).

ამ საკანონმდებლო სისტემისაგან განსხვავდება ისეთი სისტემა, რომლის თანახმად მცდელობა ისჯება მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში. ამ სისტემას იზიარებენ ფინეთის 1894 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, არგენტინის 1921 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, იაპონიის 1907 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და სხვ.

ბურჟუაზიული კოდექსების შედარებით მცირე რაოდენობა ითვალისწინებს მცდელობის დასჯადობას ყველა დანაშაულის დროს. ამ კოდექსთა რიცხვს ეკუთვნიან, მაგალითად, ავსტრიის 1852 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (§8) და შვეიცარიის 1937 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 21-ე).

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ დანაშაულთა ცალკეულ სახეებს, მაგალითად, მკვლელობას, სხეულის დაშავებას, ქურდობას, ყაჩაღობას და ა.შ., აყალიბებენ დანაშაულის შემადგენლობებს როგორც დამთავრებულ დანაშაულს და არაფერს ამბობენ დაუმთავრებელ დანაშაულზე. დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა პირდაპირ და უშუალოდ არ გამოძინარეობს განსაკუთრებული ნაწილის მუხლიდან. პირიქით, კანონმდებელს ზოგად ნაწილში სჭირდება სპეციალური მითითება, რომ დამთავრებულ დანაშაულთან ერთად ისჯება მომზადება და მცდელობაც. ამგვარად დანაშაულის ძირითად ფორმას წარმოადგენს დამთავრებული დანაშაული, ხოლო მომზადება და მცდელობა მისგან წარმოებული დელიქტები არიან. „რა თქმა უნდა, – აღნიშნავდა ს. მოკრინსკი, – კანონი ითვალისწინებს მოკვლის, გაუპატიურების, ცეცხლის წაკიდების ცდასაც, მაგრამ მანაც ლოგიკურად, სისხლის სამართლის კანონის დაწერის დროს კანონმდებელი გამოსავალ პუნქტად თვლის მოქმედებას, რომელმაც დასახელებული შედეგი წარმოშვა“<sup>1</sup>.

რამდენადაც მცდელობა და მომზადება დამოუკიდებელ დანაშაულებრივ ქმედობებს კი არ წარმოადგენენ, არამედ დანაშაულის გამოვლინების ფორმები არიან, ამდენად დანაშაულის მცდელობისა და მომზადების ჩადენა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ამ დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას. ამ გარემოებაზე ნათლად მიუთითებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლი, რომლის შესამე ნაწილში ნათქვამია: „სასჯელი დანაშაულის მომზადებისა და დანაშაულის მცდელობისათვის ინიშნება იმ კანონის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის“.

---

<sup>1</sup> С. Мокринский, Покушение и приготовление в советском праве, „Советское право“, 1927, N 1, стр. 56.

მეორე მხრით, იმ გარემოების აღსანიშნავად, რომ დანაშაული ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი და მცდელობის ან მომზადების სტადიაზე შეჩერდა, აუცილებელია მითითება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას. ამ მოთხოვნას ჩვენი სასამართლოები ყოველთვის როდი ასრულებენ, რაც ჰქმნის არაზუსტ წარმოდგენას პირის მიერ ფაქტიურად ჩადენილ მოქმედებაზე და ზოგჯერ იწვევს სასჯელის ღონისძიების არაზუსტ განსაზღვრას. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს ასეთი ნაკლი ჩვენი სასამართლოების მუშაობაში. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის განჩინებაში გ.-ს საქმეზე ნათქვამია: „რამდენადაც ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა მკვლელობას, არამედ მხოლოდ მკვლელობის მცდელობას, ეს მოქმედება უნდა ყოფილიყო კვალიფიციური რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის „ა“ პუნქტით მე-19 მუხლის მეშვეობით და არა უამისოდ, როგორც ეს გააკეთა ყირგიზეთის სსრ უმაღლესმა სასამართლომ“<sup>1</sup>. ანალოგიური მითითება მიცემული იყო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1943 წლის 17 ნოემბრის განჩინებაში კ.-ას საქმეზე: „სპეკულაციური მიზნით საქონლის შესყიდვა არის მომზადება და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 10 თებერვლის დადგენილების შესაბამისად ასეთი მოქმედება კვალიფიციურულ უნდა იქნეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19-107-ე მუხლებით. სასამართლოს მიერ კვალიფიკაციაში დაშვებულმა შეცდომამ ზეგავლენა მოახდინა ბრალდებულისათვის მისჯილი სასჯელის ვადაზეც – საჭიროა უფრო მსუბუქი სასჯელი“<sup>2</sup>.

ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ცნობს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის სავალდებულო შემცირებას, როგორც ეს მიღებულია მრავალ ბურჟუაზიულ სისხლის სამართ-

<sup>1</sup> „Советская юстиция“, 1939, N 2, стр. 74.

<sup>2</sup> Сборник постановлений Пленума и определенной коллегий Верховного суда СССР за 1943 г., М., 1948, стр. 77-78.

ლის კოდექსში. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დეკრეტებში ცალკეულ დანაშაულთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მითითებული იყო, რომ მომზადება და მცდელობა ისჯება ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული. რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კოდექსებში აღნიშნული იყო, რომ „დანაშაულის მცდელობა ისჯება როგორც ჩადენილი დანაშაული, თანაც მცდელობის მანვე შედეგების არარსებობა ან უმნიშვნელობა შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მოსამართლის მიერ სასჯელის ღონისძიების განსაზღვრის დროს...“ 1924 წლის „ძირითად საწყისებში“ ეს ნორმა ცოტა სხვაგვარად იყო ფორმულირებული: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ე.ი. უკეთუ დანაშაულებრივი შედეგი რაიმე მიზეზის გამო არ განხორციელდა, სასამართლო სოციალური დაცვის იმ ღონისძიების არჩევის დროს, რაც აღნიშნულია სისხლის სამართლის კანონით ამ სახის დანაშაულისათვის, ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩამდენი პირის საშიშროების ხარისხით და დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხით“ (მუხ. მე-11). ასევე იყო ფორმულირებული საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი. ცოტაოდენად განსხვავდებოდა ამ რედაქციისაგან რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის რედაქცია. ამ მუხლში ნათქვამი იყო: „რაიმე დანაშაულის მცდელობა, აგრეთვე დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება... იღვენება ისევე, როგორც დამთავრებული დანაშაული, თანაც სასამართლო სასამართლო-გამასწორებელი სოციალური დაცვის ღონისძიების არჩევის დროს ხელმძღვანელობს მცდელობის ან მომზადების ჩამდენი პირის საშიშროების ხარისხით, დანაშაულის მომზადებით და მისი შედეგების განხორციელების სიახლოვით, აგრეთვე იმ მიზეზების განხილვით, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

დაბოლოს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლის თანახმად, „სასჯელი დანაშაულის მომზადებისა და დანაშაულის მცდელობისათვის დაინიშნება იმ კანონით,



რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის“.

ერთ ხანს საბჭოთა ლიტერატურაში გაისმოდა ხმები, რომ თვით კანონში უნდა იქნეს გათვალისწინებული სასჯელის სავალდებულო შემცირება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. ასე, მაგალითად, ჟურნალ „Советская юстиция“-ს სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო: „... სადავოდ შეიძლება აღმოჩნდეს ის საკითხიც, ზომ არ უნდა იწვევდეს სასჯელის სავალდებულო შემცირებას იმ პირის მოქმედება, რომელსაც ბრალი მიუძღვის მომზადებასა და მცდელობაში?“<sup>1</sup>

ჩვენის აზრით, მოსამართლის შეზღუდვა ასეთი ფორმალური კრიტერიუმით არ შეესაბამება სოციალისტური სისხლის სამართლის საერთო პრინციპებს. ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც შემცირებული პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის გამართლებული არ იქნებოდა არც ზოგადი და არც სპეციალური პრევენციის ამოცანებით და სოციალისტური მართლშეგნებით. ასეთია, პირველად ყოვლისა, ის შემთხვევები, როდესაც დამნაშავის მოქმედებას თუმცა მის მიერ ნასურვები შედეგი არ მოჰყვა, მაგრამ სამაგიეროდ მოჰყვა სხვა მძიმე შედეგები, როდესაც, მაშასადამე, ფორმალურად ადგილი აქვს მცდელობას, მაგრამ არსებითად მძიმე ენება განხორციელდა. შემდეგ, ცალკეულ შემთხვევებში უკვე მცდელობის სტადიაზე სუბიექტმა შეიძლება გამოამჟღავნოს ისეთი მძიმე ბრალი, ისეთი დიდი საზოგადოებრივი საშიშროება, რომ მისთვის შემსუბუქებული სასჯელის დანიშვნა მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ ტყეში გააუპატიურა მრავალშვილიანი დედა, წაართვა მას 732 მან. ფული და ხუთი მეტრი ტილო, რის შემდეგ ჩადენილ დანაშაულთა დასაფარავად გადაწყვიტა მისი მოკვლა. ამ მიზნით პირში ჩასჩარა ჭინჭრემოხვეული ჯოხი, გაუჭრა მუცელი, მკერდში ჩაართყა დანა და, როდესაც დარწმუნდა, რომ ა. უკვე მკვდარია, მიიძალა. სინამდვილეში ა. მკვდარი არ იყო. მიუხედავად სიცოცხლისათვის მძიმე სხეულებრივი დაშავებისა, იგი სიკვდილს გადაარჩინეს საავადმყოფოში, სადაც შემთხვევითმა გამე-

<sup>1</sup> „Советская юстиция“, 1939, N 2, стр. 74.

ლელემა მიიყვანეს. მკვლელობის მცდელობისათვის ს.-ს მიუსაჯეს რსფსრ სს კოდექსის მე-19-136 მუხლით და 1954 წლის 30 აპრილის დადგენილებით სიკვდილით დასჯა. განაჩენი ძალაში დატოვა რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, მაგრამ რსფსრ-ის პროკურორმა რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმში პროტესტი შეიტანა. პროტესტში პროკურორი მოითხოვდა სიკვდილით დასჯის შეცვლას თავისუფლების აღკვეთით იმ მოტივით, რომ მკვლელობა ბოლომდე არ იყო მიყვანილი. უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა 1957 წლის 21 მაისის დადგენილებაში მოუთხა:

„პროტესტის მითითება, რომ მკვლელობის მცდელობის დროს სასჯელად დახვრეტა არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, კანონს არ ემყარება.

რსფსრ სს კოდექსი არც ერთი მუხლის სანქციაში არ ითვალისწინებს სპეციალურ სასჯელს დანაშაულის მცდელობისათვის, არ არსებობს აგრეთვე სპეციალური სანქცია მკვლელობის მცდელობისათვის.

კანონი ასეთ შემთხვევებში მიუთითებს რსფსრ სს კოდექსის მე-19 მუხლზე, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულის ჩადენის მცდელობა იდგენება როგორც დამთავრებული დანაშაული. თანაც კანონი მოითხოვს სასამართლოსაგან სასჯელის ღონისძიების დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს დანაშაულის მცდელობის საშიშროების ხარისხი; დანაშაულის მომზადება; შედეგების განზორციელების სიახლოვე; მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“<sup>1</sup>.

შემდეგ, გადმოსცემს რა ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებს და დამნაშავის განსაკუთრებულ სოციალურ საშიშროებას, პრეზიდიუმი დასძენს: „ასეთ ვითარებაში სასამართლოს სრული უფლება ჰქონდა მიეყენებინა მსჯავრდებულ ს.-თვის სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წ. 30 აპრილის დადგენილება „განზრახვი მკვლელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Бюллетень Верховного суда СССР“, 1957, N 4, стр. 42.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 48.

ანალოგიური ხასიათისაა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 1 აგვისტოს განჩინება ტ.-ს საქმეზე. ტ.-მ შეიტყუა 6 წლის გოგონა სასაფლაოზე, გააუპატიურა იგი და დანაშაულის დაფარვის მიზნით გადაწყვიტა მოეკლა, რისთვისაც რამდენჯერმე თავში ჩაარტყა პასატიუი. დარწმუნდა რა, რომ ბავშვი მკვდარია, ტ. მიიმალა. ბავშვი შემთხვევით ცოცხალი აღმოჩნდა. სასწრაფო ქირურგიული დახმარებისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენების შედეგად იგი სიკვდილს გადაარჩინეს. კოლეგიამ თავის განჩინებაში მიუთითა: „ტ.-ს მიმართ სიკვდილის დასჯის შეფარდება სწორია, ვინაიდან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმე – მცირეწლოვანის გაუპატიურება და ამ დანაშაულის დაფარვის მიზნით, მისი მოკვლის მცდელობა, აგრეთვე ტ.-ს პიროვნება: იგი არაერთხელ ყოფილა პასუხისგებაში მიცემული და თანაც დანაშაული მან ჩაიდინა პატიმრობიდან ვადაძღე განთავისუფლების შემდეგ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. სასამართლო კოლეგია თვლის, რომ აღნიშნულ გარემოებებს ამ შემთხვევაში მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე იმას, რომ ბავშვი სიკვდილს გადაარჩა, რაც მოხდა დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, საკსებით მართებულად იქცევა ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც არ ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირებას, არამედ ავალებს მოსამართლეს სასჯელის კონკრეტული ღონისძიების არჩევის დროს გაითვალისწინოს შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა მთელი ერთობლიობა. მაგრამ აქედან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისეთი დასკვნა გავაკეთოთ, თითქოს ჩვენი კანონმდებლობა მხედველობაში არ იღებს მოქმედების ობიექტურ თვისებებს და არ იძლევა სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას შედეგის განუხორციელებლობის შემთხვევაში. საბჭოთა კანონმდებლობის ზემომოყვანილი ნორმები, რომელნიც მიუთითებდნენ, რომ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი, „შედეგის

<sup>1</sup> „Советская юстиция“, 1960, N 14, стр. 29.

განხორციელების სიახლოვე“ და ა.შ., ნათლად ადასტურებენ, რომ შედეგის განუხორციელებლობა და მოქმედების შეჩერება მცდელობის და, მით უმეტეს, მომზადების სტადიაზე აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სასამართლოს მიერ როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. ამ მომენტზე განსაკუთრებით ნათლად მიუთითებს „საფუძვლების“ მე-15 მუხლი, რომლის მიხედვით მომზადებისა და მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს „დამნაშავეის მიერ ჩადენილი მოქმედების ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელების ხარისხი და მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

როგორც კანონის ტექსტიდან ჩანს, სასამართლომ მომზადებისა და მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს 3 გარემოება:

ა) დამნაშავეის მიერ ჩადენილ მოქმედებათა ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება. იმ მომენტების განხილვის დროს, რომლებიც ასაბუთებენ მოქმედების ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სტადიაზე შეჩერდა დანაშაულებრივი ქმედება, რამდენად ახლოს არის პირი დანაშაულის დაბოლოებასთან. ამიტომ მეორე გარემოება, ე.ი.

ბ) დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელების ხარისხი არსებითად ერთ-ერთი პირობაა, რომელიც მოქმედების ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს განსაზღვრავს. მაგრამ კანონმდებელმა ეს მომენტი სპეციალურად გამოჰყო იმის გამო, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს. ეს მომენტი მიგვიითითებს, რომ მოსამართლემ სხვა თანაბარ პირობებში უფრო რბილად უნდა განსაჯოს დაუმთავრებელი დანაშაული დამთავრებულ დანაშაულთან შედარებით.

ჩვენი სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის მხედველობაში იღებს აღნიშნულ მომენტს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებაში პირდა-

პირ მითითებულა: „ვინაიდან სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებას წარმოადგენს და შეეფარდება ისეთ პირებს, ვინც ჩაიდინა განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, იგი როგორც წესი, არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახი მკვლელობის მცდელობის დროს. ასეთ შემთხვევებში სიკვდილით დასჯა შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლისის სახით, როდესაც საქმის თაობაზე დადგენილი იქნება განსაკუთრებით მძიმე გარემოებანი, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულის და დამნაშავის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას და რომელთაც უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე იმ ფაქტს, რომ დაზარალებული ცოცხალი გადარჩა, თანაც დამნაშავეზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“<sup>1</sup>.

დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელების ხარისხის მხედველობაში მიღება იმასაც ნიშნავს, რომ სასამართლომ თანაბარ პირობებში უფრო მსუბუქად უნდა დასაჯოს მოსამზადებელი მოქმედება, ვიდრე მცდელობა. ამ გარემოებაზე მიუთითებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის დასკვნა ს.-სა და მ.-ს საქმეზე, რომელშიც ნათქვამია: „საბჭოთა სისხლის სამართლის კანონი სჯის არა მარტო მცდელობას, არამედ აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მომზადებასაც. ამავ დროს კანონი მიუთითებს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის მომზადების ხარისხი, მისი შედეგების განხორციელების სიახლოვე, აგრეთვე მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. როგორც საერთო წესი, მცდელობა უნდა დაისაჯოს უფრო მკაცრად, ვიდრე მომზადება, ვინაიდან მცდელობის დროს დამნაშავე უკვე შეუდგა დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებას და განზრახვის არსებობა უკვე ეჭვს აღარ იწვევს“<sup>2</sup>.

გ) მესამე მომენტი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის ღონისძიების განსაზღვრის დროს, ეს არის მიზეზები, რის გამოც დანაშაული

<sup>1</sup> Бюллетень Верховного суда СССР, 1960, N 4, стр. 52.

<sup>2</sup> იხ. М.М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного суда СССР, ВЮЗИ, М., 1948, стр. 106-107.

ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ეს მიზეზები შეიძლება მრავალგვარი იყოს და მოქმედების ან მოქმედის საზოგადოებრივი საშიშროების ამ თუ იმ ხარისხზე მიუთითებდეს. მაგალითად, მცდელობის უშედეგოდ დამთავრების მიზეზი შეიძლება იყოს დამნაშავეის გამოუცდელობა, დაზარალებულის ან მესამე პირთა წინააღმდეგობა, შეცდომა, რომელიც დაშვებული იყო დამნაშავეის მიერ დანაშაულებრივი გეგმის შედგენის ან შესრულების დროს, ობიექტის დაცულობა, ბუნების ძალთა მოქმედება და ა.შ. თუ ეს მიზეზები მდგომარეობენ დამნაშავეის ნაკლებ გამოცდილებაში, მის არამტკიცე ნებისყოფაში, რის გამო იგი გაბედულად ვერ მოქმედებს დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად, მოსამართლემ მათ უნდა მიაწეროს ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებათა მნიშვნელობა.

ცხადია, რომ ამ სამი გარემოების გარდა, რაც მე-15 მუხლშია აღნიშნული, მოსამართლემ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს აგრეთვე ზოგადი ხასიათის გარემოებანი, რომელნიც დადგენილია სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელის დანიშნვისათვის (იხ. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, მუხ. 32-34-ე).

კანონით მითითებულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიმართოს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლს. ამ მუხლის თანახმად, „უკეთუ სასამართლო, გაითვალისწინებს რა საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს და დამნაშავეის პიროვნებას, საჭიროდ მიიჩნევს დაუნიშნოს მას კანონით ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი ან გადაეიდეს სხვა, უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელზე, მას შეუძლია ამგვარად შეამსუბუქოს სასჯელი, ოღონდ აუცილებლად უნდა მიუთითოს შემსუბუქების მოტივებზე“.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი მოითხოვ-

და ჩვენს კანონმდებლობაში სპეციალური მუხლის შეტანას, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სასამართლოს უფლება შეამციროს სასჯელი დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. ასე, მაგალითად, პროფ. ღურმანოვის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს უფლება ჰქონდეს შეამციროს სასჯელი ამ დანაშაულისათვის დადგენილი სანქციის უმდაბლესი საზღვრის ნახევრამდე, ხოლო მოსამზადებელი მოქმედებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს – ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე<sup>1</sup>.

ჩვენის აზრით, რამდენადაც საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს ზოგადი ნორმა უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ან უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესახებ, ანალოგიური ნორმის გათვალისწინება სპეციალურად დაუმთავრებელი დანაშაულისათვის ზედმეტია<sup>2</sup>.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობანი, გარდა რუმინეთის კანონმდებლობისა, არ ითვალისწინებენ სასჯელის საეკლდებულო შემცირებას დაუმთავრებელი დანაშაულის დროს.

უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად მოსამართლეს შეუძლია შეუზღუდველად შეამციროს სასჯელი მცდელობისათვის (§18 პ.3), მაგრამ ეს არის არა მოვალეობა, არამედ უფლება მოსამართლისა. რაც შეეხება მომზადების დასჯადობას, მას მიძღვნილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული პარაგრაფი (§19).

ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსიც ითვალისწინებს სასჯელის ფაქულტატიურ შემცირებას. ამ კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მცდელობის დროს შეამციროს დანიშნული სასჯელი ნახევრამდე, ხოლო სიკვდილით დასჯა შეცვალოს თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ 15 წლისა.

დანარჩენი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობანი ავალეებენ სასამართლოს სასჯელის დანიშვნის დროს მხედ-

<sup>1</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

<sup>2</sup> ნ. ღურმანოვის შეხედულების კრიტიკისათვის იხ. ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

ველობაში მიიღოს მთელი რიგი გარემოებანი, მაგალითად, ჩეხოსლო-  
ვაკიის კოდექსი: — 1) მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე  
არ იქნა მიყვანილი და 2) დანაშაულის განხორციელების სიახლოვე  
(§5, პ. 2); ალბანეთის კოდექსი: 1) დანაშაულის მომზადების ხარისხი,  
2) მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი  
და 3) მისი შედეგების განხორციელების სიახლოვე (მუხ. 10).  
მონღოლეთის კოდექსი — 1) მცდელობის და მომზადების ჩამდენი  
პირის საშიშროებ, 2) დანაშაულის მომზადების ხარისხი და 3)  
მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი  
(მუხ. 18) და ა.შ. ამგვარად, აღნიშნული კოდექსები დაუმთავრებელი  
დანაშაულის დასჯადობის საკითხში საბჭოთა სისხლის სამართლის  
კანონმდებლობის პოზიციას იზიარებენ.



ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მცდე-  
ლობის დასჯადობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებები არსებობს.

ის ბურჟუაზიული იურისტები, რომლებიც მცდელობის ობიექ-  
ტურ თეორიას იზიარებენ და ამგვარად, ძირითად მნიშვნელობას  
ობიექტურ მომენტს მიაწერენ, თანამიმდევრულად მოითხოვენ მცდე-  
ლობის ნაკლებ დასჯადობას დამთავრებულ დანაშაულთან შედარე-  
ბით. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული კრიმინალისტი Loeb წერდა:  
„თუ გარეგან მომენტს მცდელობის დროს არ განვიხილავთ როგორც  
ირელევანტურ ფაქტორს, შეუძლებელია მოვითხოვოთ, რომ უმნიშ-  
ვნელო ზიანის მიმყენებელი ისევე დაისაჯოს, როგორც დიდი ზიანის  
მიმყენებელი“<sup>1</sup>. ასევე მსჯელობდა ფრანგი კრიმინალისტი რუ, რომელიც  
აკრიტიკებდა საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდე-  
ქსში მიღებულ წესს მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის  
ერთგვარად დასჯადობის შესახებ. „მკვლელობის მცდელობასა და  
მკვლელობას შორის, — ამტკიცებდა იგი, — ერთი განსხვავებაა —

---

<sup>1</sup> W. Loeb, Der Versuch im Reichsstrafgesetzbuch und im Vorentwurf, Bre-  
slau, 1913, S. 57.



მსხვერპლის სიცოცხლე, რომელიც პირველ შემთხვევაში შენარჩუნებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში — არა. ვერასდროს ვერ ვაიძულებთ ნაფიც მსაჯულებს და თვით მოსამართლეებსაც, რომ მათ თავიანთი ვერდიქტით აღმართონ ეშაფოტი იმ პირისათვის, ვინც მკვლელობის მცდელობა ჩაიდინა. მაგრამ თუ ისინი ამას არ აკეთებენ, რად უნდა იყოს ეს კანონში ჩაწერილი?!”<sup>1</sup>

ამ შეხედულების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებენ სუბიექტური თეორიების წარმომადგენლები. შვეიცარიელი კრიმინალისტი, სუბიექტური თეორიის თანმიმდევარი დამცველი გერმანი თავის შრომაში მცდელობის დასჯადობის საფუძვლების შესახებ, თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ მცდელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი დანაშაულებრივი ნებაა, და აქედან გამოჰყავს დასკვნა: „ცხადია, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება თავისთავად არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სასჯელის გადიდების (ხოლო, პირიქით, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებლობა თავისთავად — სასჯელის შემცირების) საფუძველად“<sup>2</sup>.

ამავე შეხედულებას ანვითარებდა სოციოლოგიური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი, ბელგიელი კრიმინალისტი პრინსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის სხვადასხვანაირად დასჯადობის მომხრეები მხედველობაში არ იღებენ იმ გარემობას, რომ სასჯელის ძირითადი დანიშნულებაა დაიცვას საზოგადოება დამნაშავეის ურჩი ნებისყოფისაგან.

„შეცდომაა ვიფიქროთ, — წერდა იგი, — თითქოს ხალხის სინდისი ყოველთვის განასხვავებს მცდელობას და დამთავრებულ დანაშაულს. როდესაც გაბოროტებული ბანდიტი მხეცურად ჩასცემს თავის მსხვერპლს დანას ან რამდენიმე ტყვიას მოახვედრებს მას თავის რევოლვერიდან, მაგრამ მსხვერპლის არაჩვეულებრივი გამძლეობის ან ექიმთა ხელოვნების წყალობით მსხვერპლი გადარჩება, ყოველი ადამიანი ჩათვლის დამნაშავეს, რომელმაც მიზანს ვერ მიაღწია, ჩვეულებრივ დამნაშავედ და მოიწონებს ამ შემთხვევაში მცდელობისა და დამთავრებული დან-

<sup>1</sup> Roux, Cours de droit criminel francais, Paris, 1927, p.114.

<sup>2</sup> O.A. Germann, Über den Grund der Strafbarkeit des Versuchs, 1914, S.

აშაულის გათანაბრებას, როგორც ამას აკეთებს საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსი<sup>1</sup>“.

ამ აზრთა სხვადასხვაობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ბურჟუაზიული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც.

ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსების ერთი ნაწილი ითვალისწინებს სასჯელის სავალდებულო შემცირებას მცდელობის დროს. ამ კანონმდებლობათა რიცხვს ეკუთვნის გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის დებულება, რუსეთის რევოლუციამდელი 1903 წლის სისხლის სამართლის დებულება, არგენტინის 1921 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, ფინეთის 1894 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და სხვ.

ბურჟუაზიული კოდექსების მეორე ნაწილი მცდელობას სჯის ისევე, როგორც დამთავრებულ დანაშაულს. ამ პოზიციას იზიარებს საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, ავსტრიის 1852 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი და სხვ.

დაბოლოს, ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსების მესამე ჯგუფი ითვალისწინებს სასჯელის ფაქულტატიურ შემსუბუქებას მცდელობისათვის, ე.ი. მოსამართლეს შეუძლია, მაგრამ იგი ვალდებული არ არის უფრო მსუბუქად დასაჯოს მცდელობა, ვიდრე დამთავრებული დანაშაული. მცდელობის დასჯადობის ასეთივე წესი შემოღებულია შვეიცარიის 1937 წ. სისხლის სამართლის კოდექსში, დანიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, იაპონიის 1908 წლის სისხლის სამართლის კოდექსში და სხვ.

---

<sup>1</sup> A. Prins, Science penale et droit positif, Bruxelles – Paris, 1899, p. 147.

**ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე**

მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნული ნორმა საბჭოთა სისხლის სამართალში თავიდანვე ჩამოყალიბებული არ ყოფილა. სახელდობრ, იგი ცნობილი არ იყო რსფსრ 1919 წლის სახელმძღვანელო საწყისებისათვის. პირველად იგი 1922 წლის კოდექსში იქნა შეტანილი. ამ კოდექსის მე-14 მუხლში აღნიშნული იყო, რომ მცდელობა, რომელიც მცდელის მიერ ნებაყოფლობით ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ისჯება როგორც ის დანაშაული, რომელიც მის მიერ ფაქტიურად იყო ჩადენილი. 1924 წლის „ძირითად საწყისებში“ არ იყო ნორმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ. მიუხედავად ამისა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსმა გაითვალისწინა აღნიშნული ნორმა, ერთმანეთისაგან მცირედით განსხვავებული რედაქციით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილში ნათქვამი იყო: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი იმის გამო, რომ ამ დანაშაულის ჩამდენმა ხელი აიღო მის დამთავრებაზე, სასამართლო სოციალური დაცვის ღონისძიებას გადაუწყვეტს მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რაც ფაქტიურად უკვე შესრულებულია“. ითვალისწინებენ ამ ნორმას აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი საფუძვლები. „ის ბირი, — ნათქვამია საფუძვლების მე-16 მუხლში, — ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტიურად შესრულებული ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს“.

აღნიშნული ნორმის შესაბამისად, საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში მტკიცედ არის დამკვიდრებული, რომ თუ პირი ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ჩადენაზე, იგი თავისუფლდება პა-

სუხისმგებლობისაგან მომზადების ან მცდელობისათვის და დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ ჩადენილი ქმედობა შეიცავს რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას.

ამ ინსტიტუტის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს, პირველად ყოვლისა, ის, რომ აცდენილი უნდა იქნეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება და, მეორე, ის, რომ დანაშაული ბოლომდე არ უნდა იქნეს მიყვანილი თვით იმ პირის ნება-სურვილის გამო, რომელმაც ჩაიდინა მომზადება ან მცდელობა. სწორედ იმ მომენტით, რომ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელებულა მოქმედის ნებაზე დამოკიდებული მიზეზების გამო, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე განსხვავდება დასჯადი მომზადების ან მცდელობისაგან, რომლის დროს შედეგი არ ხორციელდება დანაშაულის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მაგრამ თუ ზემოხსენებულ ნიშანს, რომელიც მოქმედების სუბიექტურ მხარეში მდგომარეობს, ასეთი არსებითი მნიშვნელობა აქვს, იბადება საკითხი, ხომ არ უნდა ვეძებოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველი მხოლოდ ამ ნიშანში. სწორედ ამ მიმართულებით მიდიან მრავალრიცხოვანი სუბიექტური თეორიები ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში<sup>1</sup>. სუბიექტური შეხედულების მიხედვით ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის დამთავრებაზე ადასტურებს მტკიცე დანაშაულებრივი ნების არარსებობას, მოქმედის განწყობილების შეცვლას და ა.შ., ერთის სიტყვით, ადასტურებს, რომ პირს არ ახასიათებს ისეთი თვისებები, რომლებიც მიუთითებენ მის საზოგადოებრივ საშიშროებაზე და მის მიმართ დასჯითი ღონისძიების გამოყენების საჭიროებაზე.

ნებაყოფლობით ბოლომდე მიუყვანილი დანაშაულის დაუსჯელობის ასეთი დასაბუთება, ჩვენის აზრით, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს.

---

<sup>1</sup> ჩვენ დაწერილებით არ შეუვლებით ამ თეორიების განხილვას. საკმარისია აღნიშნოთ ამ თეორიების ძირითადი დებულებები. ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის შესახებ ბურჟუაზიული თეორიების დაწერილებით განხილვა მოცემულია შემდეგი რევოლუციამდელი ავტორების შრომებში: Г. Колоколов, К учению о покушении, М., 1884, стр. 139-145; С.П. Мокринский, Наказание, его цели и предположения, Часть II \_ Значение результата, Томск, 1902, стр. 247-264; А.Н. Круглевский, Учение о покушении на преступление, т. I, Петроград, 1918, стр. 54-80.

ამ შეხედულების საფუძველზე შეუძლებელი იქნებოდა პასუხისმგებლობის მოხსნის დასაბუთება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე არა კეთილშობილი, არამედ არაზნეობრივი მოტივის გამო. პასუხისმგებლობის მოხსნა რომ მხოლოდ იმას ემყარებოდეს, რომ სუბიექტი, მისი სულიერი განწყობილების შეცვლის გამო, აღარ არის სოციალურად საშიში პიროვნება, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ხომ მისი მოქმედების მოტივების ხასიათი იქნებოდა. მაგრამ არც ერთი საბჭოთა კრიმინალისტი და არც ჩვენი სასამართლო პრაქტიკა არ თვლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნის პირობად იმ მოტივების ზნეობრივ ხასიათს, რომლებმაც განაპირობეს სუბიექტის განწყობილება. ჩვეულებრივად მონანიების, სინდისის ქენჯნის, მსხვერპლის შებრალებისა და სხვა მისთ. მოტივების გარდა; მოჰყავთ ხოლმე ისეთი მოტივები, როგორცაა დანაშაულის გამჟღავნებისა და სასჯელის შიში, დანაშაულის ჩადენის არახელსაყრელობა და ა.შ. თავისთავად ცხადია, ამ უკანასკნელ შემთხვევებში დაუსჯელობა არ შეიძლება ახსნილ იქნეს პიროვნების სოციალური საშიშროების არარსებობით. პირიქით, თუ ჩვენ პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველად სუბიექტის ანტისოციალურ ფსიქიკურ განწყობილებას ვაღიარებთ, ასეთი პირების დასჯა საკვსებით გამართლებული იქნება. როგორც საკვსებით მართებულად აღნიშნავდა რევოლუციამდელ რუსულ ლიტერატურაში პროფ. მოკრინსკი, „ადვილად შეიძლება მოხდეს რომ ნებაყოფლობით ხელის ამღები საჭიროებს გამასწორებელ ღონისძიებებს და იზოლაციასაც კი“<sup>1</sup>.

სუბიექტური შეხედულების უსწორობა მტკიცდება აგრეთვე მთე-

---

<sup>1</sup> С.П. Мокринский, Наказание, его цели и предположения, т. II, Томск, 1902, стр. 264. ასეთივე მოსაზრება ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში წამოყენებული იყო ოვერბეკის მიერ. მისი აზრით, სოციოლოგიურმა სკოლამ, რომელიც მკვლელობის საკითხში, ისე როგორც ყველა სხვა საკითხში, სუბიექტურ შეხედულებას იზიარებს, მხოლოდ მაშინ უნდა გაანთავისუფლოს პირი პასუხისმგებლობისაგან, როდესაც დანაშაულზე ხელის აღება წარმოადგენს ანტისოციალური განწყობილების არარსებობის სიმპტომს. მაგრამ დანაშაულზე ხელის აღება მხოლოდ მაშინ იქნება ამის სიმპტომი, როდესაც იგი გამოწვეული არ არის ქვენა მოტივით, ყოველ შემთხვევაში ასოციალური მოტივით (A. Overbeck, Die Erscheinungsformen des Verbrechens im Lichte der modernen Strafrechtsschule, Leipzig, 1909, S. 50).

ლი რიგი სხვა მოვლენებით, რომლებიც ამ ინსტიტუტთან არიან დაკავშირებული. სუბიექტური თეორია ვერ აგვიხსნის, მაგალითად, რატომ არის, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე არ ათავისუფლებს სუბიექტს პასუხისმგებლობისაგან მის მიერ ჩადენილი მოქმედებისათვის, თუკი ეს მოქმედება დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. დაუსჯელობის საფუძველი რომ მხოლოდ პირის სოციალური საშიშროების მოსპობა იყოს, მაშინ აშკარად უმართებულო იქნებოდა პირის დასჯა იმ დამთავრებული დანაშაულისათვის, რომელიც ერთობლიობაშია მცდელობასთან და რომლისთვისაც პირს ჩვენი კანონმდებლობა პასუხისმგებლობას არ უხსნის. თუ ეს პირი, შეცვლილი განწყობილების გამო, უკვე აღარ არის სოციალურად საშიში, დასჯითი ზემოქმედება მასზე კერძო პრევენციის თვალსაზრისით მოკლებულია ყოველსავე აზრს.

დაბოლოს, დანაშაულზე ხელის აღების დაუსჯელობის სუბიექტურად დასაბუთების წინააღმდეგ საინტერესო მოსაზრება მოჰყავს ნ. კუხნეცოვას. იგი მიუთითებს, რომ ჩვენი კანონმდებლობა შეიცავს სპეციალურ ნორმას — რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლსა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებს (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების 43-ე მუხლი), რომლის თანახმად სასჯელი არ შეეფარდება იმ პირს, ვინც საქმის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არის საზოგადოებრივად საშიში. ეს მუხლი შეეფარდება იმათაც, ვინც დამთავრებული დანაშაული ჩაიდინა, და იმათაც, ვინც ჩაიდინა მომზადება ან მცდელობა, თანაც სასჯელის შეუფარდებლობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ პირის ყოფაქცევის შესწავლის საფუძველზე.

ასე არ ხდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს. ჯერ ერთი ასეთ საქმეს სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოები სრულიად არ მიიღებენ განსახილველად, ხოლო თუ საქმე უკვე აღძრულია, საგამომძიებლო ორგანო, როგორც კი გამოირკვევა ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი, საქმეს მაშინვე წარმოებით მოსპობს, სასამართლო კი გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს, თანაც

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბრალდებულის დახასიათებას, თუნდაც უარყოფითს<sup>1</sup>.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური მომენტი არ არის ის ძირითადი მომენტი, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობის და სასჯელის მოხსნას ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის დროს. რა თქმა უნდა, დანაშაულზე ხელის აღება, როგორც საერთო წესი, ადასტურებს პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების სრულ მოსპობას., მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ამას შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს.

ჩვენის აზრით, დანაშაულზე ხელის აღების დაუსჯელობის ძირითადი საფუძველი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ ასეთი ხელის აღება სპობს სუბიექტის ქმედობის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას. ის საზოგადოებრივი საშიშროება, რომელიც საერთოდ ახასიათებს დაუმთავრებელ დანაშაულს და რომელიც დანაშაულის განხორციელების ობიექტურ შესაძლებლობაში მდგომარეობს, ისპობა თვით იმ პირის მიერ, რომელმაც ეს საშიშროება შექმნა. სავსებით მართებულად აღნიშნავს პროფ. ნ. დურმანოვი: „... დანაშაულის ჩასადენად მიმართული მოქმედებების შეწყვეტის აქტი ნიშნავს იმას, რომ მიზეზობრივი კავშირის განვითარება ამ შედეგის მიღწევის მიმართულებით ისპობა... მაშასადამე, იმ პირის მოქმედებაში, ვინც ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე, არ არის დანაშაულის ძირითადი მატერიალური ნიშანი – მოქმედებისა და პირის საზოგადოებრივი საშიშროება. ამ ძირითადი ნიშნის არსებობის გარეშე ქმედობა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი და დასჯადი“<sup>2</sup>.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ დანაშაულზე ხელის აღება სპობს მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, ეს დებულება უფლებას

---

<sup>1</sup> ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 178-179. ეს განსხვავება განსაკუთრებით ნათელი იქნება, თუ ვავიხსენებთ, რომ 1958 წლის სისხლის სამართალწარმოების საფუძველების 43-ე მუხლის თანახმად იმ პირის მიმართ, ვინც საქმის განხილვის მომენტისათვის საზოგადოებრივ საშიშროებას აღარ წარმოადგენს, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად.

<sup>2</sup> ნ. დურმანოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 189; ასევე ნ. კუზნეცოვა, დასახ. ნაშრ. გვ. 180-181; И.И. Слущкий, Обстоятельства, исключающие уголовную ответственность, Ленинград, 1956, стр.11

არ გვაძლევს მოვაქციოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საზოგადოებრივი საშიშროების გამოძრისხველ ისეთ მოქმედებათა კატეგორიაში, როგორცაა აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, საეაღდებულო ბრძანების ან პროფესიული ფუნქციის შესრულება და ა.შ. ამ შეცდომას უშვებდა ი. სლუცკი თავის საღოქტორო დისერტაციაში – „გარემობანი, რომლებიც გამოძრისხვენ საზოგადოებრივ საშიშროებას საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“<sup>1</sup>, რისთვისაც მართებულად იქნა გაკრიტიკებული პროფ. ღურმანოვის მიერ. ღურმანოვი მიუთითებს, რომ მაშინ, როდესაც აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და სხვ. მისთ. თავიდან ბოლომდე საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებებია, იგივე არ შეიძლება ითქვას ნებაყოფლობით დანაშაულის ბოლომდე არმიყვანაზე. ასეთი მოქმედება მხოლოდ აქარწყლებს წინასწარ დანაშაულებრივ საქმიანობას. „ნებაყოფლობით ხელის ამღებს არაფერი დადებითი არ შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი მხოლოდ სწყვეტს თავის საკუთარ საზოგადოებრივად საშიშ საქმიანობას“<sup>2</sup>.

ამ მოსაზრებას ისიც უნდა დაემატოს, რომ რამდენადაც აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა და უმართლობის გამოძრისხველი სხვა გარემობანი თავიდანვე მოკლებული არიან საზოგადოებრივ საშიშროებას, მათი ჩადენა თავიდანვე არ წარმოშობს სახელმწიფოსათვის დასჯის უფლებას. პირიქით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს ისპობა სახელმწიფოს დასჯის უფლება, რომელიც უკვე წარმოშობილი იყო და რომელიც გაბათილდა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების მოსპობის გამო.

---

<sup>1</sup> Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук, Л., 1954, стр. 5. აღსანიშნავია, რომ შემდგომ ი. სლუცკიმ შესწორება შეიტანა თავის შეხედულებაში. მოვეიანებით იგი აღნიშნავდა, რომ თუ გარემობანი, რომლებიც ჩამოთვლილია პირველ ჯგუფში (ე.ი. აუცილებელი მოგერიება და სხვ. მისთ.) სასარგებლონი და მართლზომიერნი არიან საფუძველშივე და ხელს უწყობენ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებას და განვითარებას... „აქ მოქმედება, რომელიც მისი ჩადენის მომენტში საზოგადოებრივად საშიში იყო, რამდენიმე ხნის გავლის შემდეგ ქარგავს თავის წინანდელ მნიშვნელობას“ (И.И. Слущкий, Обстоятельства, исключающие уголовную ответственность, Л., 1956, стр. 11-12).

<sup>2</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 192.



გარდა აღნიშნული მომენტისა, რომელიც აბათილებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ხელის აღების საშიშროებას, აღსანიშნავია კიდევ მისი დაუსჯელობის მეორე საფუძველი, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარეობს. ეს არის საბჭოთა სახელმწიფოს მისწრაფება დაიცვას სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა მოტივაციური ზეგავლენით იმ პირის მიმართ, რომელმაც გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა. თუ დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის დამსჯელ ნორმას, რომელიც სასჯელის მუქარას შეიცავს, მიზნად აქვს გააფრთხილოს ყველა მოქალაქე, რათა ისინი არ დაადგნენ დანაშაულის გზას, მოახდინოს მათზე მოტივაციური ზემოქმედება, რომ ამით წინააღმდეგობა გაუწიოს დანაშაულის ხელისშემწყობ მოტივებს, ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის დაუსჯელობა მიზნად ისახავს შეუქმნას იმ სუბიექტს, ვინც უკვე დანაშაულის გზას დაადგა, უკან გამობრუნების სტიმული. სახელმწიფო, ფორმირებახის მოსწრებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამით დამნაშავისათვის „ოქროს ხიდს“ აგებს, ჰპირდება რა სუბიექტს დაუსჯელობას, თუ იგი გადაიფიქრებს და თუნდაც უკანასკნელ მომენტში გადაწყვეტს შეაჩეროს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა. ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის შიში, რომ დაუსჯელობის ასეთი პრემია ამცირებს მცდელობის დამსჯელი ნორმის მოტივაციურ ძალას, უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. როგორც სწორად აღნიშნავდა პროფ. მოკრინსკი, — „სასჯელზე ხელის აღება... მით უფრო ადვილია სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის, რომ ეს თითქმის არ არყევს მუქარის ძალას. დამნაშავე მხოლოდ მეტად იშვიათ შემთხვევაში უწევს ანგარიშს დაუსჯელი ნებაყოფლობითი თავდანებების შეღავათს, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში პოულობს მასში განსაკუთრებულ წახალისებას დანაშაულებრივი საქმიანობისადმი“<sup>1</sup>.

სასჯელისაგან განთავისუფლების პერსპექტივამ შეიძლება განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინოს დამნაშავეზე იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის დაწყების შემდეგ იგი მერყეობს სინანულის, სასჯელის შიშის და სხვ. მისთ. ზეგავლენით.

<sup>1</sup> მოკრინსკი, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 264.

ზემონათქვამის შემდეგ სავსებით გასაგებია, რომ ჩვენი კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ მოითხოვენ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აძლების დაუსჯელობისათვის მოტივების რაიმე განსაკუთრებულ ხასიათს, არ მოითხოვენ უთუოდ ისეთი კეთილშობილური მოტივების არსებობას, როგორცაა მსხვერპლის შებრალება, სინანული და ა.შ.

გასაგები ხდება აგრეთვე ისიც, რომ სასჯელისაგან სუბიექტს ათავისუფლებს არა ყოველგვარი აცდენა დანაშაულებრივი შედეგისა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც პირის მოქმედების ნებაყოფლობითი აქტით არის განპირობებული, რომ პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც დამნაშავეს წინაშე თავისუფალი არჩევანი იყო ან ბოლომდე მიეყვანა დანაშაული ან ხელი აეღო მასზე და მან დანაშაულზე ხელის აღება აირჩია. თუ დაუსჯელობის საფუძველი — მოტივაციური ზეგავლენაა პირზე, რათა იგი დანაშაულის გზიდან უკან გამობრუნდეს, ცხადია, რომ პირის გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული თავისუფლად და არა მის ფსიქიკაზე დამოუკიდებელი, გარეშე ძალების ზეგავლენით.

დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება შეიძლება მოხდეს როგორც მცდელობის, ისე მომზადების მომენტში. მომზადების დროს დანაშაულზე ხელის აღება გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე აღარ განაგრძობს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, თუმცა შესაძლებლად მაინც მისი ბოლომდე მიყვანა. ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც დამნაშავენი ამა თუ იმ მოტივით თავს ანებებენ დანაშაულის შესრულებას უკვე მომზადების სტადიიდან.

პატიმრები პ., ვ., და ლ. შეუთანხმდნენ ერთმანეთს და მოემზადნენ პატიმრობიდან გასაქცევად. პ.-მ მართლაც განახორციელა თავისი განზრახვა, დანარჩენებმა კი ხელი აიღეს მასზე. სსრ კავშირის სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ 1944 წ. 18 ნოემბრის განჩინებაში მართებულად მიუთითა, რომ რადგანაც ვ.-მ და ლ.-მ მხოლოდ მოსამზადებელი მოქმედება ჩაიდინეს და თვითონვე ხელი აიღეს თავისი განზრახვის განხორციელებაზე, მათ შეეძლოთ პასუხი ეგოთ მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რაც ფაქტიურად ჩაიდინეს, მაგრამ რამდენადაც ამ მოქმედებაშიც არავითარი დანაშაულის ნიშნე-

ბი არ არის, ამიტომ ისინი უნდა განთავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან<sup>1</sup>.

როდესაც მოქმედებამ მცდელობის სტადიას მიაღწია, ამ შემთხვევაში უნდა გავარჩიოთ დანაშაულზე ხელის აღება დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის დროს. დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ხელის აღება გულისხმობს სუბიექტის პასიურობას, ე.ი. იმას, რომ პირი არ განაგრძობს თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას. დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულისათვის თავის დაწებება დიდი თავისებურებებით ხასიათდება და ამიტომ ამ საკითხს ცალკე განვიხილავთ.

დაუმთავრებელი მცდელობის დროს ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე პირი გააკეთებდეს ყველაფერს, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სტადიაზე თავის დაწებებისათვის არ არის საჭირო რაიმე აქტიური მოქმედების ჩადენა, არამედ საკმარისია, რომ პირი აღარ მოქმედებდეს, მაგალითად, ქურდმა გატეხა კარი სახლში შესასვლელად, მაგრამ გამობრუნდა ისე, რომ არაფერი წაუღია, აღმართა ხელი დანის დასარტყმელად, მაგრამ არ დაარტყა და ა.შ.

თუ დანაშაულის აღმასრულებელი მოქმედება, დამნაშავის გეგმის თანახმად, რამდენიმე ცალკეული აქტისაგან შედგება, რომელთაც მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ განახორციელონ დანაშაულებრივი განზრახვა, ასეთ შემთხვევაში დანაშაულზე ხელის აღება შესაძლებელია უკანასკნელი გადამწყვეტი აქტის შესრულებამდე. მაგალითად, მკვლელობის განზრახვით მსხვერპლს ეძლევა საჭმელში პატარა პატარა დოზით საწამლავე, თანაც დანაშაულებრივი შედეგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რამდენიმე ასეთი დოზის მიცემის შედეგად. დანაშაულზე ხელის აღება ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე მიცემული არ არის უკანასკნელი მომაკვდინებელი დოზა. ეს შემთხვევა არ უნდა ავურიოთ იმ შემთხვევაასთან, როდესაც დამნაშავემ მისცა მსხვერპლს ისეთი დოზის საწამლავე, რომელსაც იგი საკმარისად თვლიდა კაცის მოსაკლავად, მაგრამ მისი

---

<sup>1</sup> Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного суда Союза ССР, 1944 г., М., 1948, стр. 154-155.

ვარაუდი არ გამართლდა. აქ ადგილი აქვს დამთავრებულ მცდელობას, ანუ ე.წ. უშედეგო დანაშაულს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გულისხმობს ხელის აღებას მცდელობის განმეორებით ჩაღწახზე. ამიტომ არა გვაქვს ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის დამთავრებაზე იმ შემთხვევაშიც, როცა პირმა ესროლა მსხვერპლს, ვერ მოახვედრა და მეორეთ თავისი მცდელობა აღარ განუმეორებია. აქ ადგილი აქვს დამთავრებულ მცდელობას, რომელსაც შედეგი არ მოჰყვა დანაშაულებზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო და არა დამნაშავის მიერ დანაშაულზე ხელის აღების გამო.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტმა საესებით მიატოვა დანაშაულებრივი საქმიანობა და არა მაშინ, როცა პირმა დროებით შესწყვიტა მოქმედება, იმ მიზნით, რომ განაგრძოს იგი უფრო მოხერხებულ დროს და უფრო მოხერხებულ პირობებში. მაგალითად, პირმა შეწყვიტა ქურდობა, რათა მეორე დღეს მიიტანოს დანაშაულის ადგილას ტექნიკური იარაღები, რომლებიც გაუადვილებენ მას დანაშაულის ჩადენას, დანაშაულებრივი მოქმედების ასეთი დროებითი შეწყვეტა არ სპობს არც ქმედობის და არც პირის საზოგადოებრივ საშიშროებას.

დანაშაულზე ხელის აღების დაუსჯელობის ძირითადი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ხელის აღება სუბიექტის მიერ ნებაყოფლობით უნდა მოხდეს. როდის უნდა ჩაითვალოს დანაშაულზე ხელისაღება ნებაყოფლობით განხორციელებულად – ეს საკმაოდ რთული და პრაქტიკულად ზოგჯერ ძნელად გადასაწყვეტი საკითხია. სისხლის სამართლის თეორიაშიც ეს საკითხი გაცხოველებულ დავას იწვევს. რა თქმა უნდა, შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევები, რომლებიც არავითარ ეჭვს არ იწვევენ და საკამათონიც არ არიან. თუ, მაგალითად, ბანდიტმა მიატოვა თავისი მცდელობა იმის გამო, რომ მსხვერპლი არ შეშინდა, მედგრად დაუხვდა, რევოლვერიც ამოიღო და ბანდიტს დაუმიზნა. აქ, ცხადია, მცდელობა ნებაყოფლობით არ არის მიტოვებული. მეორე მხრით, თუ იმავე ბანდიტმა მიატოვა თავისი ბოროტი განზრახვა იმის გამო, რომ შეებრალა მსხვერპლი – ძალზე შეშინებული მოხუცი ქალი, რომელმაც საკუთარი დედა მოაგონა და სინდისის ქენჯნა აღუძრა, აქაც საკითხი

მარტივად წყდება – არავის ეჭვი არ შეეპარება, რომ საქმე გვაქვს ნებაყოფლობით მიტოვებულ მცდელობასთან.

მაგრამ ავიღოთ ასეთი შემთხვევები: დამნაშავემ მოამზადა საწამლავი თავისი მტრის მოსაკლავად, მაგრამ ეს შეამჩნია მესამე პირმა და დაემუქრა გამუდმებით, თუ იგი თავს არ დაანებებს დანაშაულს. დამნაშავე მართლაც შეშინდა და საწამლავი მოსპო, თუმცა ფაქტიური შესაძლებლობა ჰქონდა დანაშაული ბოლომდე მიეყვანა, ან მეორე შემთხვევა: ქურდები შევიდნენ საწყობში, მაგრამ რადგანაც იქ რაიმე მნიშვნელოვანი ღირებულების საქონელი არ აღმოჩნდა, მათ „არ იკადრეს“ წვრილმანი საქონლისათვის გარჯა და უკან გაბრუნდნენ. რა არის ამ შემთხვევებში: ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაული თუ ხელშეშლილი მცდელობა?

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ შეუძლია შეუფერხებლად ბოლომდე განახორციელოს თავისი განზრახვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაწყვეტს ხელი აიღოს მასზე. ამგვარად სუბიექტის ცნობიერებაში ადგილი აქვს ასეთ მსჯელობას: მე შემიძლია ბოლომდე მივიყვანო დანაშაული, მაგრამ არ მსურს ეს. პირიქით, თუ სუბიექტი მსჯელობს: მე მსურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ეს ჩემთვის შეუძლებელია, აქ ადგილი აქვს არა ნებაყოფლობით მიტოვებას, არამედ ხელშეშლილ მცდელობას. ამ დებულებიდან მთელი რიგი დასკვნები გამოძინარეობს.

ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულის ჩადენაზე ადგილი არა აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტმა ვერ განახორციელა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა იმის გამო, რომ სადგომში, სადაც შევიდა, არ აღმოჩნდა ნივთები, რომელთა მოპარვაც სურდა.

ს. და მ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ მასში, რომ ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით გადაწყვიტეს მოეპარათ საქონლის ვაგონიდან სურსათ-სანოვაგე. ამ მიზნით მათ მოგლიჯეს ვაგონს ლუქი, გააღეს იგი, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ ვაგონში სურსათი არ არის, არამედ მანუფაქტურაა, გამობრუნდნენ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის დასკვნაში ამ საქმეზე აღნიშნულია: „ის, რომ ბრალდებულებმა

დანაშაული ბოლომდე ვერ მიიყვანეს, მათ ნებაზე არ იყო დამოკიდებული. ქურდობის მიტოვება ამ შემთხვევაში არ იყო მცდელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ქურდობა ჩადენილი არ ყოფილა სურსათ-სანოვავის არარსებობის გამო, მსგავსად იმისა, როგორც ქურდს, რომელიც ვინმეს ხელს ჩაუყოფს ჯიბეში, არ შეუძლია ჩაიდინოს დამთავრებული დანაშაული, თუ შემთხვევით ჯიბეში საფულე არ აღმოჩნდება<sup>1</sup>.

საინტერესოა ერთი საქმე, რომელმაც საბჭოთა ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ფ. და პ., რომელნიც მუშაობდნენ სარეზონანტო მატარებელზე, ომის პერიოდში შეუთანხმდნენ ერთმანეთს გაპარულიყვნენ სამუშაოდან და ამ განზრახვის განსახორციელებლად გადაწყვიტეს გაეტაცებინათ თავიანთი პირადი საბუთები, რომელნიც უფროსის განკარგულებაში იმყოფებოდა. ამ მიზნით მათ მოიპარეს ჩემოდანი, მაგრამ ვინაიდან იქ შენახულ საბუთებს შორის თავისი საბუთები ვერ აღმოაჩინეს, აღარ განახორციელეს დეზერტირობის განზრახვა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო რკინიგზის კოლეგიამ გაანთავისუფლა ისინი პასუხისმგებლობისაგან დეზერტირობის მომზადებისათვის, ვინაიდან სცნო მათ მოქმედებაში დეზერტირობის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიიდან<sup>2</sup>.

პროფ. შარგოროდსკის აზრით, ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. ფ. და პ. იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ დანაშაულებრივი განზრახვა, ვინაიდან საბუთების გარეშე მათ გაქცევა არ შეეძლოთ<sup>3</sup>.

ამ შეხედულებას აკრიტიკებს ი. ტიშკევიჩი, რომელიც თვლის, რომ „საბუთების გატაცების უშედეგო ცდა არ იწვევდა დეზერტირობის ფიზიკურ შეუძლებლობას, ვინაიდან განზრახვაზე ხელის აღების მომენტში მათი შეპყრობისა და დანაშაულის გახსნის უშუალო საშიშროება ჯერ კიდევ არ არსებობდა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> М.М. Исаев. Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного суда СССР., Москва, 1948, стр. 106.

<sup>2</sup> Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного суда Союза ССР, 1944 г., М., 1948, стр. 155.

<sup>3</sup> М. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права. Изд. Ленинградского университета, М., 1955, стр. 131.

<sup>4</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

ი. ტიშკევიჩის შეხედულება, ჩვენის აზრით, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ნებაყოფლობით ხელის აღება არ გულისხმობს იმას, რომ დამნაშავეს აქვს ფიზიკური შესაძლებლობა დანაშაულის ბოლომდე მიყვანისა. როგორც უკვე აღნიშნული იყო, სუბიექტს უნდა ჰქონდეს იმის შეგნება, რომ მას შეუძლია დაუბრკოლებლად ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული, მაგრამ არ სურს ეს. მოცემულ შემთხვევაში კი სხვა სურათი გვაქვს. ფ.-სა და პ.-ს დანაშაულებრივი გეგმით გათვალისწინებულია პირადი საბუთების გატაცება და ამის შემდეგ გაქცევა. ამ საბუთების გარეშე ისინი შესაძლებლად არ თვლიან გაქცევას. პირიქით, ისინი მსჯელობენ ასე: „ჩვენ გვსურს გაქცევა, მაგრამ არ შეგვიძლია, ვინაიდან ხელთ არა გვაქვს საბუთები“. ამიტომ, ჩვენის აზრით, სასამართლოს უფლება არ ჰქონდა ჩათვალა მათი მოქმედება ნებაყოფლობით მიტოვებულ მომზადებად.

ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე არსებობს მაშინაც, როდესაც სუბიექტს ფაქტიურად არ ჰქონდა შესაძლებლობა ბოლომდე მიეყვანა დანაშაული, თუმცა თვითონ დარწმუნებული იყო, რომ მას ამის შესაძლებლობა აქვს. თუ ქურდმა ნებაყოფლობით მიანება თავი სახლის კარის შემტვრევას, თუმცა ეს შესაძლებლად მიაჩნდა, სინამდვილეში კი სახლი ისე იყო გამაგრებული, რომ მისი შემტვრევა ერთი კაციისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო, აქ მაინც ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას.

პირიქით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი არა აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის შემაფერხებელი გარემოება არსებობს მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში და არა რეალურად. მაგალითად, ღამით ქურდი ღამობს შევიდეს სახლში სადაც არავინ ეგულება. უეცრად გაიგონებს ფეხის ხმას და შეშინებული გარბის. სინამდვილეში ეს იყო არა ფეხის ხმა, არამედ ფოთლების შრიალი. აქ დამნაშავეს არ დაუნებებია თავი დანაშაულისათვის ნების თავისუფალი გადაწყვეტილების გამო. დამნაშავეს წარმოდგენაში არ არსებობდა ასეთი არჩევანი: „მე შემიძლია ბოლომდე მივიყვანო დანაშაული და მისი მიტოვება თუ გაგრძელება სავსებით ჩემზე დამოკიდებული“. პირიქით სუბიექტი ფიქრობს, რომ დანაშაულის განხორციელებას წინ გადაეღობა დიდი დაბრკოლება.

არა აქვს მნიშვნელობა მოტივის, რომელმაც განაპირობა სუბიექტის გადაწყვეტილება ხელი აეღო დანაშაულის ჩადენაზე. ეს მოტივი შეიძლება იყოს გულწრფელი სინანული, მსხვერპლის შებრალება, ზნეობრივი ზიზღი მის მიერ განზრახული ბოროტი საქმის მიმართ. მაგრამ დანაშაულზე ხელის აღების მოტივი შეიძლება იყოს აგრეთვე შიში, რომ ადრე თუ გვიან საქმე გაიხსნება და მას დააპატიმრებენ, სახელი შეურცხვება და ა.შ. ჩვენი სასამართლო პრაქტიკა ამ დებულების მეტად საინტერესო ილუსტრაციას იძლევა.

„სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულების I მუხლის საფუძველზე ვ.-ს რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წლის 23 თებერვლის განაჩენით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ ვ.-მ რომელიც რკინიგზაზე მოლარედ მუშაობდა 1947 წლის 15 დეკემბერს ჩასდო სალაროში ძველი ნიმუშის საკუთარი ფული 1218 მანეთის რაოდენობით და აიღო სალაროდან 1218 მანეთის ბილეთი თითო მანეთის ღირებულებისა, თანაც სალაროს უწყისში ჩაწერა, თითქოს ეს ბილეთები გაყიდული იყო. ბილეთები ვ.-მ შინ წაიღო იმ განზრახვით, რომ ფულის რეფორმის შემდეგ მიეყიდნა ისინი მგზავრებისათვის ახალი ნიმუშის ფულზე, მაგრამ ამ მიმართულებით შემდეგ აღარ უმოქმედნია. თავისი უმოქმედობა მან თავდაპირველად რევიზიის შიშით ახსნა, მერე კი იმით, რომ შეიგნო თავისი მოქმედების უკანონობა და მოინანია ჩადენილი ქმედობა. 1947 წლის 21 დეკემბერს გაჩხრეკის დროს გამჩხრეკთა თვალწინ მან ღუმელში შეაგდო 1118 ბილეთი, დანარჩენი ბილეთები კი ჩააბარა. საქმის მასალებით დადასტურდა აგრეთვე, რომ ვ.-ს შეეძლო ამ ათი ღლის განმავლობაში, გაესაღებია წამოღებული ბილეთები, მაგრამ ეს მან არ გააკეთა.

უმადლეს სასამართლოს პლენუმმა 1948 წლის 2 აპრილის დადგენილებაში ამ საქმეზე მიუთითა: „იმისდა მიუხედავად, გამოწვეული იყო თუ არა ხელის აღება ბილეთების გაყიდვის უკანონობის შეგნებით თუ შესაძლებელი პასუხისმგებლობის შიშით, ეს ხელის აღება განხილულ უნდა იქნეს როგორც ნებაყოფლობით მიტოვება დაწყებული



დანაშაულისა. ამ პირობებში, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ვ-ს მოქმედება, რომელიც ბილეთების გამოტანაში გამოიხატება, არ შეიძლება დაისაჯოს...<sup>1</sup>.

ამგვარად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა პასუხისმგებლობის მოხსნა არ დაუკავშირა დანაშაულზე ხელის აღების კეთილშობილურ მოტივს — დამნაშავეის მიერ თავისი მოქმედების უკანონო ხასიათის შეგნებას, არამედ შესაძლებლად სცნო ნებაყოფლობით ხელის აღება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გამოწვეულია მხოლოდ პირის შიშით, რომ მისი დანაშაული გამჟღავნებული იქნება და იგი დაისჯება.

მაგრამ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მომავალში დანაშაულის გამჟღავნებისა და სასჯელის შიში, რომელიც, მაგალითად, ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო დანაშაულზე ხელის აღების მიზეზი და რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, და შიში, რომელიც თვით დანაშაულის ჩადენის მომენტში კონკრეტულად აღეძრა პიროვნებას, რომ მას დანაშაულის აღვილზე წაასწრებენ და შეიპყრობენ. ამ უკანასკნელის მაგალითს წარმოადგენს ო.-ს საქმე. ამ უკანასკნელმა შეწყვიტა დაზარალებულ ჩ.-ს გაუპატიურების მცდელობა მას შემდეგ, რაც მ.-მ ყვირილი მორთო და ო.-მ დაინახა, რომ მახლობლად ხუთი კაცი მუშაობდა. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1941 წლის 28 მაისის განჩინებაში სავსებით მართებულად მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ო.-ს მიერ დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვებას<sup>2</sup>. მართლაც, ო.-ს არ ჰქონდა არჩევანი — მიატოვოს თუ არ მიატოვოს დანაშაული. მას არ შეეძლო დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, თუმცა ამისი სურვილი ჰქონდა.

აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სუბიექტი ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე მომზადების და

---

<sup>1</sup> М.М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного суда СССР, М., 1948, стр. 104 (საზგაშუალო ჩვენს მიერ — თ.წ.).

<sup>2</sup> Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного суда СССР, 1941 г., М., 1944, стр. 84.

დაუბთავრებელი მცდელობის დროს. დიდ დავას იწვევს საკითხი, შესაძლებელია თუ არა დანაშაულზე ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს, ე.ი. იმ შემთხვევებში, რომლებსაც ბურჟუაზიული სისხლის სამართალში ქმედით სინანულს უწოდებენ.

საბჭოთა კრიმინალისტიკის ერთი ნაწილი უარყოფს დამთავრებული მცდელობის დროს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას.

პირველად ეს შეხედულება საბჭოთა სისხლის სამართალში პროფ. მ. შარგოროდსკიმ დაასაბუთა. მისი აზრით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია მას შემდეგ, რაც დამნაშაემ ყველაფერი გააკეთა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგალითად, მკვლელობის მიზნით მისცა მსხვერპლს საწამლაი, ხოლო შემდეგ შეებრაღა მსხვერპლი და საწინააღმდეგო წამლის მიღებით გადაარჩინა იგი სიკვდილს. აქ შედეგის განხორციელება თუ განუხორციელებლობა უკვე აღარ არის დამოკიდებული დამნაშაეის ნებაზე, არამედ გარეშე პირობებზე — მსხვერპლის ორგანიზმის გამძლეობაზე, გამოძახებული ექიმის დროულად მოსვლაზე, საწამლაის საწინააღმდეგო საშუალების ეფექტურობაზე და ა.შ.. იმ პირის დასჯა, ვინც მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადა, მაგრამ მსხვერპლი სიკვდილს ვერ გადაარჩინა, და პირიქით, იმ პირის დაუსჯელობა, ვინც უფრო ბედნიერი აღმოჩნდა და სიკვდილი აიცილნა, იქნებოდა სასჯელის საკითხის გადაჭრა არა დამნაშაეის ბრალის მიხედვით, არამედ წმინდა ობიექტური, შემთხვევითი გარემოების მიხედვით, რომელიც სუბიექტის ნებაზე დამოკიდებული არ იყო. საკითხის ასეთი გადაჭრა, პროფ. შარგოროდსკის აზრით, არ შეესაბამება ჩვენს სისხლის სამართალს, რომლისთვისაც უცხოა ობიექტური შერაცხვა. ამიტომ პროფ. შარგოროდსკი თვლის, რომ დამთავრებული მცდელობის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, არამედ მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ მონანიებას, რომელმაც შეიძლება შეამსუბუქოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მაგრამ ვერ მოხსნის მას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> М. Д. Шаргородский, Преступления против жизни и здоровья, М., 1948, стр. 260; его же, Вопросы общей части уголовного права (законодательство и судебная практика), Л., 1955, стр. 132-133.

ამგვარადვე, ი. ტიშკევიჩის აზრით, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ პირი არ განაგრძობს დანაშაულის ჩადენას. „დამთავრებული მცდელობის შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღება გამოირიცხულია, ვინაიდან დამნაშავემ უკვე გააკეთა ყველაფერი, რასაც აუცილებლად თვლიდა თავისი წადილის განსახორციელებლად. ამ მოქმედებებს უკვე თავისთავად შეეძლოთ გამოეწვიათ დანაშაულებრივი შედეგი, ამისათვის რომ ხელი არ შეეშალათ დამნაშავეზე დამოუკიდებელ გარემოებებს“<sup>1</sup>.

ჩვენის აზრით, არსებობს სრული საფუძველი გავავრცელოთ დადგენილებანი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ იმ შემთხვევებზეც, როდესაც პირი დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებამდე ხელს შეუწყობს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებას. თავიდან ცხადია, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას თვით სუბიექტის აქტიურმა მოქმედებამ შეუშალა ხელი, და არა მაშინ, როდესაც ხელშემშლელი გარემოება დამნაშავეზე დამოკიდებული არ იყო. დამთავრებულ მცდელობაზე ხელის აღების დროსაც არსებობს ყველა ის საფუძველი, რაც განაპირობებს საერთოდ დანაშაულზე ხელის აღების დაუსჯელობას. ეთქვას, ვინმემ თავისი მტერი მდინარეში გადააგდო, მაგრამ ვიდრე მსხვერპლი ჩაიძირებოდა, მოინანია თავისი საქციელი, წყალში გადახტა და კაცი სიკვდილს გადაარჩინა. ან ვინმემ ხახლის დაწვის მიზნით გადაასხა მას ნავთი და ცეცხლიც მოუკიდა, მაგრამ ვიდრე ცეცხლი გაძლიერდებოდა, თვითონვე ჩააქრო და სახლი დაწვას გადაარჩინა. ამ შემთხვევებში პირი თავისი საკუთარი ნებით აბათილებს იმ საშიშროებას, რომელიც შექმნილი იყოს მის მიერ ადამიანის სიცოცხლისათვის ან სახლისათვის. მაშასადამე, იხსნება პასუხისმგებლობის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური საფუძველი. დაბოლოს, მართლწესრიგი დანაშაულებრივი შედეგის

---

<sup>1</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 226. ანალოგიურ შეხედულებას იზიარებენ: В.Д. Меньшагин и З.А. Вышинская, Советское уголовное право. М., 1950, стр. 142; Н.В. Лясс, Стадии развития преступной деятельности по советскому уголовному праву. Автореферат диссертации, Л., 1952, стр. 13.

განხორციელება დანაშაულის განვითარების ყველა სტადიაზე. გაუგებარია, რატომ უნდა ეთქვა მას უარი ამ მიზნისათვის ისეთი ძლიერი სტიმულის გამოყენებაზე, როგორიცაა დაუსჯელობის დაპირება დანაშაულის ბოლომდე მოუყვანლობის შემთხვევებში.

არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს პროფ. შარგოროდსკის და ი. ტიშკევიჩის მტკიცება, თითქოს „ქმედით სინანულის“ დაუსჯელობა იქნებოდა ჩვენს კანონმდებლობაში ობიექტური შერაცხვის პრინციპის აღიარება. ეს მოსაზრება გამართლებული იქნებოდა მხოლოდ მაშინ, დანაშაულზე ხელის აღების დაუსჯელობის ერთადერთი საფუძველი რომ სუბიექტური მომენტი იყოს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის დაუსჯელობის ძირითადი საფუძველი – მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების მოსპობაა. აღსანიშნავია, რომ ობიექტური მომენტი მართო ამ შემთხვევაში როდი თამაშობს ასეთ როლს. ცნობილია, რომ გაუფრთხილებლობით ან ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაული ისჯება მხოლოდ მაშინ, როცა შედეგი უკვე განხორციელდა, რაც, იმას კი არ ადასტურებს, რომ ჩვენს კანონმდებლობაში ობიექტური შერაცხვის ნიშნებია შენარჩუნებული, არამედ იმას, რომ სუბიექტურ მომენტთან ერთად ობიექტური მომენტიც წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თანასწორფასოვან წანამძღვარს. ასე რომ პასუხისმგებლობის მოსპობა ან, პირიქით, მისი დატოვება იმისდა მიხედვით, მოახერხა თუ არა მცდელმა შედეგის თავიდან აცილება, სრულიად არ ადასტურებს ობიექტური შერაცხვის შემოღებას ჩვენს სამართალში.

იმ აზრის სასარგებლოდ, რომ დანაშაულზე ხელის აღება დამთავრებული მცდელობის სტადიაზეც არის შესაძლებელი, შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე წმინდა დოგმატიკური ხასიათის მოსაზრებებიც.

რსფსრ-ის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმდროინდელი კოდექსების შესაბამისი მუხლები ლაპარაკობდნენ „მცდელობაზე, რომელიც ბოლომდე არ იყო მიყვანილი“. მუხლის ასეთი რედაქცია გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ წესი სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ გაგვერცელებია დამთავრებულ მცდელობაზეც. რსფსრ

1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში დებულება დანაშაულზე ხელის აღების შესახებ ფორმულირებული იქნა სხვაგვარად. მაგალითად, საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ნათქვამი იყო: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი იმის გამო, რომ ამ დანაშაულის ჩამდენმა ხელი აიღო მის დამთავრებაზე...“ იგივე აზრი კიდევ უფრო ნათლად არის გამოხატული 1958 წლის „საფუძვლების“ მე-16 მუხლში: „პირი, რომელიც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე...“ ასეთი რედაქცია მიუთითებს კანონმდებლის სურვილზე გაავრცელოს დაუსჯელობის წესი დანაშაულისათვის თავის დანებებაზე დამთავრებული მცდელობის დროსაც.

ასეთივე დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ მცდელობის ცნების საკანონმდებლო განმარტებიდანაც, რომლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩადენაზე, თუ ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

თუ მცდელობად მხოლოდ ისეთი მოქმედება უნდა ჩაითვალოს, რომელიც ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ცხადია, დასჯად მცდელობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა იმის გამო, რომ მას ხელი შეუშალა თვით მცდელმა<sup>1</sup>.

თუ პროფ. შარგოროდსკი და ი. ტიშკევიჩი თანამიმდევრულად უარყოფენ დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობას, ნაკლებ თანამიმდევრობას იჩენს ამ საკითხში პროფ. ი. სლუცკი. ერთის მხრით, იგი ამტკიცებს, რომ „ცხოვრებაში გვხვდება შემთხვევები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა დამთავრებული მცდელობის დროსაც, როდესაც მცდელი მიიღებს ღონისძიებებს დანაშაულებრივ შედეგთა ასაცდენად“<sup>2</sup>, ხოლო, მეორე

<sup>1</sup> ეს არგუმენტი საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში მართებულად წამოაყენა ნ. კუზნეცოვამ, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 165, 170.

<sup>2</sup> И.И. Слущкий, Обстоятельства, исключающие уголовную ответственность, 1956, стр. 32.

მხრივ, სლუცკი თვლის, რომ ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებლობა მაინც გამორიცხული არ არის, თუმცა იგი შეიძლება შემსუბუქებულ იქნეს, ხოლო ზოგჯერ სრულიად მოიხსნას<sup>1</sup>.

მაგრამ თუ დანაშაულზე ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს პრინციპულად შესაძლებელია, მაშინ ცხადია, ამას უნდა მოჰყვეს მხოლოდ ის იურიდიული შედეგი, რასაც ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის — ე.ი. პასუხისმგებლობის სავსებით მოხსნა. ყოველგვარი სხვანაირი დასკვნა „საფუძვლების“ მე-16 მუხლის საწინააღმდეგო იქნებოდა, ვინაიდან ეს მუხლი დანაშაულზე ხელის აღების არავითარ სხვა იურიდიულ შედეგს არ ითვალისწინებს<sup>2</sup>.

ასევე არათანმიმდევრულად უნდა ჩაითვალოს პროფ. ნ. დურმანოვის შეხედულება. ერთის მხრით იგი შესაძლებლად თვლის დანაშაულზე ხელის აღებას დამთავრებული მცდელობის დროს, ხოლო მეორე მხრით იგი არ აერცვლებს ნორმას დანაშაულზე ხელის აღების შესახებ ხელის აღების ყველა შემთხვევაზე, არამედ მეტად ზღუდავს მის გამოყენებას. მისი აზრით, ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე დამნაშავის მოქმედებამ დაიწყო თავისი მანე ზემოქმედება ობიექტზე და პირვანდელი მდგომარეობა მთლიანად შეიძლება იქნეს აღდგენილი ან შეიძლება შეიქმნას ახალი უსაშიშრო მდგომარეობა, რომელიც სავსებით გამორიცხავს შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. ასეთია, პროფ. დურმანოვის აზრით, ის შემთხვევები, როდესაც მცდელი ხელიდან გამოსტაცებს მსხვერპლს საწამლავს იმ მომენტში, როცა უკანასკნელი აპირებდა მის დალევას, ან როდესაც პირი, რომელმაც ჩართო ელექტრონის ქურა ხანძრის გამოწვევის მიზნით, დაბრუნდება და გამორთავს მას და ა.შ. პირიქით, „ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია, თუ დამნაშავის მოქმედებამ უკვე დაიწყო ამა თუ იმ ფორმით დამაზიანებელი

---

<sup>1</sup> И.И. Слуцкий, *Обстоятельства, исключающие уголовную ответственность*, 1956, стр. 33.

<sup>2</sup> ი. სლუცკის შეხედულების არათანმიმდევრობაზე მიუთითებენ: М. Шаргородский, *Вопросы общей части уголовного права*, Л., 1955, стр. 132, прим. 1; ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 236-239.

ზემოქმედება ობიექტზე და თუ შემდგომი შედეგი ან მისი მოსპობა უკვე აღარ არის საესებით დამნაშავეზე დამოკიდებული<sup>1</sup>. მაგალითად, პროფ. ღურმანოვი შესაძლებლად არ თვლის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას იმ შემთხვევაში, როცა პირმა მისცა თავის მტერს მოკვლის განზრახვით საწამლავი, შემდეგ კი მოინანია თავისი დანაშაული და საწამლავის საწინააღმდეგო წამლის მიცემით მსხვერპლი სიკვდილს გადაარჩინა.

ჩვენის აზრით, აღნიშნული ორი კატეგორიის შემთხვევებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არსებობს. თუ ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება იმ მომენტში, როცა პირმა მსხვერპლს ხელიდან გამოსტაცა საწამლავი, რატომ არ უნდა ვცნოთ იგი იმ შემთხვევაში, როცა მან წყლიდან ამოიყვანა მის მიერ გადაგებული კაცი ან როცა მსხვერპლმა საწამლავი უკვე დალია, მაგრამ უვნებელი გადარჩა თვით მცდელობის მოქმედების გამო. ორივე შემთხვევაში ადამიანის გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ მცდელობის მოქმედებით მოხდა. ორივე შემთხვევაში დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მცდელობის აქტიური საქმიანობის გამო. რა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ პირველ შემთხვევაში იგი გავანთავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან, მეორეში კი — არა<sup>2</sup>.

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის დამთავრებული მცდელობის დროს აუცილებელია შემდეგი პირობები:

ა) დანაშაულებრივი შედეგი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი დროის მიხედვით დაცილებულია მოქმედებისაგან<sup>3</sup>.

დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულზე ხელის აღება

<sup>1</sup> ნ. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

<sup>2</sup> ღურმანოვის შეხედულების საფუძვლიანი კრიტიკა მოცემულია ნ. კუზნეცოვას დასახ. ნაშრომში, გვ. 168.

<sup>3</sup> „იგი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, — აღნიშნავს პროფ. ა. პიონტოკოსკი, — როცა პირის მიერ დანაშაულებრივი შედეგის მიღწევაზე მიმართულ ყველა მოქმედებასა და მის ნამდვილ განხორციელებას შორის არის მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მანძილი მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში“ (Советское уголовное право, Общая часть, М., 1959, стр. 222).

შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ აქტიურ მოქმედებაში. მაშინ როდესაც დანაშაულის მომზადებისა და დაუმთავრებელი მცდელობის დროს დანაშაულზე ხელის აღებისათვის საკმარისია უმოქმედობა, შემდგომი მოქმედებისაგან თავის შეკავება, აქ პირი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს პასიური მაყურებლის როლით. მან მოქმედებაში მოიყვანა ვნების მომტანი ძალები, რომელთაც უკვე მისი შემდგომი საქმიანობის გარეშე შეუძლიათ გამოიწვიონ დანაშაულებრივი შედეგი. ამიტომ დამთავრებული მცდელობის ჩამდენს მოეთხოვება აქტიური ჩარევა მოვლენათა მსვლელობაში, რათა მიზეზობრივი კავშირის ჩარხი უკან შემოაბრუნოს. მაგალითად, იგი ვალდებულია ჩააქროს ხანძარი, რომელიც სახლის დასაწვავად გააჩინა, ამოიყვანოს მღინარიდან კაცი, რომელიც მოკვლის მიზნით ჩააგდო, მისცეს საწამლაკის საწინააღმდეგო წამალი იმ პირს, ვისაც წამალი დააღვეინა და ა.შ. არ არის აუცილებელი, რომ მცდელმა ყველა ეს მოქმედება მხოლოდ თავისი საკუთარი ხელით შეასრულოს. მასთან ერთად შეიძლება მოქმედებდნენ სხვა პირებიც, მაგალითად, ექიმი, რომელიც გამოიძახა მცდელმა, და ა.შ.. ყოველ შემთხვევაში სხვა პირების ჩარევა, ისევე როგორც შედეგის თავიდან აცილება უნდა მოხდეს მცდელის ინიციატივითა და მისი მეცადინეობით.

ბ) მცდელის მეცადინეობის წყალობით შედეგი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. თუ მიუხედავად მცდელის გულწრფელი მონანიებისა და მის მიერ ყოველგვარი ღონისძიებების მიღებისა, დანაშაულებრივი შედეგი მაინც განხორციელდა, დანაშაულზე ხელის აღებას ადგილი არა აქვს. თუ დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა, მაგრამ არა მცდელის აქტიურ მოქმედებათა შედეგად, არამედ მის ნებაზე დამოუკიდებელ შემთხვევით გარემოებათა გამო, ამ შემთხვევაშიც მცდელი არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ მისი მოქმედება, მიმართული დანაშაულებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად, მიღებულ იქნება მხედველობაში როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

გ) დანაშაულზე ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს, ისევე როგორც დაუმთავრებელი მცდელობის დროს უნდა იყოს ნებაყოფლობითი. მაგრამ რაიმე ფორმალურ შეზღუდვებს, მაგალითად, მოთხოვნას, რომ დანაშაულის ჩადენა არ იქნეს ცნობილი მესამე



პირებისათვის, ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს<sup>1</sup>. ამიტომ მასზე ვრცელდება ყველაფერი, რაც ნათქვამი იყო დაუმთავრებელი მცდელობის დროს დანაშაულზე ხელის აღების შესახებ.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაულზე ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდებოდეს. ამიტომ დანაშაულის დამთავრების შემდეგ სუბიექტის მიერ მიღებული ღონისძიებანი, მიმართულნი შემდგომი მავნე შედეგების თავიდან ასაცილებლად, არ გაანთავისუფლებენ პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან „საფუძვლების“ მე-16 მუხლის თანახმად. ასეთმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქება („საფუძვლების“ 33-ე მუხლი, პუნქტ. I და მე-8); ხოლო ზოგჯერ იგი შეიძლება ადასტურებდეს დანაშაულის ჩამდენი პირის საზოგადოებრივი საშიშროების მოსპობას, რასაც შეიძლება მოჰყვეს სუბიექტის განთავისუფლება სასჯელისაგან („საფუძვლების“ 43-ე მუხლი). მაგრამ, მაშინ როდესაც დანაშაულზე ხელის აღების დროს პირის მოქმედება არ განიხილება როგორც დანაშაული, ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სპობს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, დანაშაულის ჩადენის შემდეგ „ქმედითმა მონანიებამ“ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ სასჯელის მოხსნა და არა მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათის გაქარწყლება. ამ უკანასკნელის კარგი მაგალითი გვხვდება ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში.

ვ, რომელიც მუშაობდა ზენკლად რკინიგზის სახელოსნოში, ცხოვრობდა იმავე რკინიგზის მოლარე გ.-სთან ერთად. ერთ დღეს ვ-მ

<sup>1</sup> პირიქით, ზოგიერთი ბურჟუაზიული კოდექსი სასჯელისაგან განთავისუფლების აუცილებელ პირობად თვლის, რომ დაშნაშავემ აიცილნოს თავისი მოქმედების დანაშაულებრივი შედეგები იმ მომენტამდე, ვიდრე მესამე პირებისათვის ცნობილი გახდება დანაშაულის ჩადენა (იხ. მაგალითად, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის დებულების 46-ე მუხლის 2 პუნქტი). მაგრამ ის გარემოება, რომ დანაშაული ცნობილი გახდა მესამე პირებისათვის, ყოველთვის როდი სპობს დანაშაულზე ხელის აღების ნებაყოფლობით ხასიათს. შეიძლება, მაგალითად, დანაშაულის შესახებ შეიტყოს მესამე პირმა, მაგრამ ეს გარემოება დაშნაშავემ არ იცოდეს. ასეთ შემთხვევაში სუბიექტის გადაწყვეტილება დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების შესახებ არ არის გარედან თავზე მოხვეული, გარემომცველი პირობებით ნაიბუღევი, არამედ მცდელის საკუთარი ნებით განპირობებული. გერმანიის სისხლის სამართლის დებულების ამ ნორმის კრიტიკა იხ.: W. Loeb. Der Versuch, 1913, S. S. 44-45.

და მისმა მეგობარმა ს.-მ მოპარეს გ.-ს სალაროს გასაღები, ღამით შეიპარნენ სალაროში და გაიტაცეს 15.541 მან. ფული და სხვადასხვა ღოკუმენტები. ბინაზე დაბრუნების შემდეგ ვ.-ს და ს.-ს აღებრათ შიში სასჯელის წინაშე და მათ გადაწყვიტეს ჩადენილი დანაშაული გ-სათვის გაენდოთ. მართლაც გააღვიძეს გ. და ჰკითხეს რჩევა, როგორ მოქცეულიყვნენ. გ. მაშინვე მილიციაში წავიდა, ხოლო ვ. და ს. დაბრუნდნენ სალაროში, უკანვე ჩადეს მოპარული ფული და ღოკუმენტები, შემდეგ შინ დაბრუნდნენ და მილიციას დაელოდნენ. მილიციას მათ გადასცეს აგრეთვე 100 მან. ფული, რომელიც შემთხვევით ჯიბეში ჩარჩათ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1948 წლის 11 იანვრის დადგენილებაში სავსებით მართებულად მიუთითა, რომ ვ.-ს და ს.-ს მიერ ნაქურდალი ქონების ნებაყოფლობით დაბრუნება არ წარმოადგენს გარემოებას, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს დანაშაულის კვალიფიკაციაზე ან ბრალულობის საკითხზე, ვინაიდან მსჯავრდებულთა მოქმედებაში არის ყველა ნიშანი დამთავრებული დანაშაულისა. მაგრამ უმაღლესი სასამართლოს აზრით, ნაქურდალი ქონების ნებაყოფლობით დაბრუნება ადასტურებს, რომ ვ. და ს. არ არიან საზოგადოებრივად საშიში პირები, რის გამოც უმაღლესმა სასამართლომ რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე მათ მიმართ აღძრული საქმე წარმოებით მოსპო.

საბჭოთა ლიტერატურაში სადავოდ ითვლება ის საკითხი, შეიძლება თუ არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ე.წ. საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროს, თუ ამ დელიქტის შემადგენლობა ფორმალურად უკვე დამთავრებულია, მაგრამ შედეგი ჯერ არ განხორციელებულა. ამ შეხედულებას იცავდა პროფ. მოკრინსკი. მისი აზრით, არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება თუ გამოუყენებლობა დამოკიდებული იყოს იმ წმინდა ტექნიკური და შემთხვევითი ხასიათის გარემოებაზე, სრული შემადგენლობის სახით არის ფორმულირებული კანონდებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობა თუ „შეკვეცილი“ შემადგენლობის სახით. საფრთხის შემქმნელი შემადგენლობების შესახებ მოკრინსკი იმ შეხედულებას ავითარებდა, რომ ამ შემადგენლობის შესრულება ბუნებრივად გრძელდება მას შემდეგაც, როცა იგი ფორმალურად დამთავრებულია.

აქედან მას, ცხადია, ისეთი დასკვნა უნდა გამოეტანა, რომ დანაშაულზე ხელის აღება შესაძლებელია დელიქტის ბუნებრივ დამთავრებამდე, ე.ი. დანაშაულებრივი შედეგის ნამდვილად განხორციელებამდე<sup>1</sup>.

უკანასკნელ ხანებში მსგავს შეხედულებას იზიარებს პროფ. სლუცკი, იმ განსხვავებით, რომ იგი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროსაც შესაძლებლად თვლის როგორც პასუხისმგებლობისაგან სრულიად განთავისუფლებას, ისე მის შემსუბუქებას<sup>2</sup>.

ზემოთ ჩვენ აღნიშნული გექონდა „შეკვეცილ“ შემადგენლობათა თეორიის უსაფუძვლოება. საბჭოთა მოსამართლეს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა კრიტერიუმი დანაშაულის დამთავრების თუ დაუმთავრებლობის საკითხის გადაჭრისათვის, გარდა იმ მითითებისა, რომელიც მოცემულია თვით კანონში, სახელდობრ, მას არ შეუძლია დანაშაული დაუმთავრებლად სცნოს იმ მომენტში, როდესაც კანონმდებელს იგი დამთავრებულად მიაჩნია. ეს იქნებოდა მეტისმეტი გაფართოება მოსამართლის თავისუფალი მიხედულებისა, მოსამართლისათვის კანონმდებლის ნების შესწორების უფლების მინიჭება. ვინაიდან საფრთხის შექმნის შემადგენლობების დროს დანაშაული დამთავრებულია უკვე იმ მომენტში, როცა ობიექტის დაზიანების საშიშროება შეიქმნა, ცხადია, აქ ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულზე არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. დამთავრებული დანაშაულის დროს საბჭოთა კანონმდებელი შესაძლებლად თვლის არა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, არამედ პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ თავიდან აიცილია ჩადენილი დანაშაულის მავნე შედეგები ან ნებაყოფლობით აანაზღაურა მიყენებული ზიანი ან მოსპო მიყენებული ვნება („საფუძვლების“ 33-ე მუხლის I პუნქტი). რაც შეეხება სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლებას, იგი შეიძლება მოხდეს არა იმის გამო, რომ კანონმდებელი სცნობს ასეთ შემთხვევაში დანაშაულზე ხელის აღებას, არამედ მხოლოდ იმ მოტივით, რომ პირი არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას<sup>3</sup>.

<sup>1</sup> С.П. Мокринский, Покушение и приготовление в советском праве. „Советское право“, 1927, N 1, стр. 67.

<sup>2</sup> ი. სლუცკი, დასახ. ნაშრ., გვ. 29-30.

<sup>3</sup> როგორც ყოველთვის, აქაც გამოირჩეული არ არის აგრეთვე საფუძვლების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის შეფარდების შესაძლებლობა.

სწორედ ამ გზით მიდის ჩვენი სასამართლო პრაქტიკაც. შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც ჩვენ შეხვდულვებას ადასტურებენ.

რკინიგზის სახაზო სასამართლომ მიუსაჯა რ.-ს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 59<sup>3ა</sup>-ე მუხლით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა იმისათვის, რომ მან, სადგურზე მორიგედ ყოფნის დროს, არ შეამოწმა ისრების სისწორე და მისცა მატარებლის მიღების ნებართვა. უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1940 წლის 22-29 იანვრის დადგენილებით ზედმეტად მკაცრად ჩათვალა ეს სასჯელი და შესცვალა იგი თავისუფლების აღკვეთით ორი წლის ვადით. სასჯელის შემსუბუქებას საფუძვლად დაედო ის მოსაზრება, რომ რ-მ თვითონვე შეუშალა ხელი მატარებლების დაჯახებას<sup>1</sup>.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის 1945 წლის 7 მარტის განჩინებაში მ.-ს საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა იარაღის უკანონოდ შენახვა, ნათქვამია, რომ ვინაიდან მ. „ნებაყოფლობით გამოცხადდა შინსახკომის ორგანოებში და ჩააბარა რევოლვერი, რომელიც მას ჰქონდა, სასამართლოს მიერ მისთვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით – უნდა ჩაითვალოს მკაცრად“<sup>2</sup>.

ასეთი მაგალითი სხვა მრავალიც შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ დამთავრებული საფრთხის შემქმნელი დელიქტის დროს ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე შეუძლებელია.

სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა საინტერესო ნორმებს შეიცავს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი კოდექსები პირდაპირ მიუთითებენ დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვების შესაძლებლობაზე დამთავრებული მცდელობის დროს. ასე, მაგალი-

---

<sup>1</sup> იხ., В. Меньшагин, К вопросу об определении наказания по советскому уголовному праву, Ученые записки ВЮОН, вып. I, М., 1940, стр. 48-49.

<sup>2</sup> „Судебная практика Верховного суда СССР“, 1945, вып. V (XXI), стр. 21.

თად, ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის III აბზაცის თანახმად მცდელობის ჩადენის დროს პირი არ დაისჯება, თუ მან: 1) ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ან 2) აიცილინა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება. ასევე რუმინეთის კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, მცდელობა არ დაისჯება, თუ ამსრულებელმა ნებაყოფლობით შეწყვიტა დაწყებული მცდელობა ან დანაშაულის ფაქტის გახსნამდე ნებაყოფლობით აიცილინა თავისი მოქმედების შედეგები. დანაშაულზე ხელის აღებას და დანაშაულებრივი შედეგის აცდენას ერთმანეთს უთანაბრებს აგრეთვე უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი. ამ კოდექსის §18 ერთნაირ იურიდიულ შედეგებს აწესებს იმ პირისათვის, ვინც ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე, და იმ პირისათვის, რომელმაც მოქმედების ჩადენის შემდეგ აიცილინა ამ მოქმედების დანაშაულებრივი შედეგების განხორციელება. რაც შეეხება დანარჩენი სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებს, ისინი თუმცა შედეგების აცდენას ცალკე არ გამოყოფენ, მაგრამ ნორმას დანაშაულზე ხელის აღების შესახებ ისეთ რედაქციას აძლევენ, რომ იგი ამ შემთხვევებსაც მოიცავს. მაგალითად, ალბანეთის, კორეის და მონღოლეთის სისხლის სამართლის კოდექსები ლაპარაკობენ იმ შემთხვევებზე, როცა დანაშაული ჩადენილი არ ყოფილა პირის საკუთარი ნების გამო.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პირი განთავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის, რომელზედაც მან ხელი აიღო. მაგრამ სუბიექტმა პასუხი უნდა აგოს იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ ფაქტიურად შესრულებული მოქმედება შეიცავს რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს. ეს დებულება „საფუძვლების“ მე-16 მუხლში ფორმულირებულია შემდეგნაირად:

„პირი, რომელიც ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტიურად მის მიერ ჩადენილი ქმედობა შეიცავს რაიმე სხვა დანაშაულის ნიშნებს“.

თავისთავად ცხადია, რომ თუ პირის მოქმედებაში ისეთი დამთავრე-

ბული დანაშაულის ნიშნებია, რომლებიც ერთობლიობაში იყო მცდელობასთან, მომზადების ან მცდელობისათვის პასუხისმგებლობის მოსპობა არ აბათილებს პასუხისმგებლობას ამ დამთავრებული დანაშაულისათვის. მაგალითად, თუ პირმა მკვლელობის მიზნით უკანონოდ იარაღი შეიძინა, მაგრამ შემდეგ მკვლელობის ჩადენაზე ხელი აიღო, მან პასუხი უნდა აგოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლით იარაღის უკანონოდ ტარებისათვის. ან თუ პირმა მოკვლის განზრახვით თავის მსხვერპლს საწამლავი მისცა, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია, შემდეგ კი თვითონვე იხსნა მსხვერპლი სიკვდილისაგან, მან პასუხი უნდა აგოს სხეულის დაშავებისათვის.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, თუ დამთავრებული მცდელობის დროს დამნაშავემ ვერ მოახერხა შედეგის აცდენა, ასეთი პირი არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან როგორც დანაშაულზე ხელის აძლბი. მაგრამ სასამართლოს შეუძლია შეუშუბუქოს მას სასჯელი („საფუძვლების“ 33-ე მუხლი, პ. მე-8) ანდა სრულიად გაანთავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან როგორც საზოგადოებრივ საშიშროებას მოკლებული („საფუძვლების“ 43-ე მუხლი).

დანაშაულზე ხელის აძლების ანალოგიურ შედეგებს ითვალისწინებენ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობანი. გამონაკლისს ამ მხრით წარმოადგენენ უნგრეთის და მონღოლეთის სისხლის სამართლის კოდექსები. უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ასეთ პირს შეუზღუდველად შეუმციროს სასჯელი ან სრულიად არ სცნოს იგი ბრალეულად და არ დაუნიშნოს სასჯელი (მუხ. მე-2, აბზ. „ბ“). მონღოლეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულზე ხელის აძლების მოტივები და ის გარემოება, თუ ფაქტიურად რა მოქმედებანი შეასრულა მომზადების ან მცდელობის ჩამდენმა და საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით დაუნიშნოს სუბიექტს სასჯელის შესაბამისი ღონისძიება ან სრულიად გაანთავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან (მუხ. მე-18, აბზ. მე-2). როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს, უნგრეთის და მონღოლეთის სისხლის სამართლის კოდექსები არ თვლიან დანაშაულზე ხელის აძლებას ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროე-

ბის გამოძრვიცხველ გარემოებად. ისინი შესაძლებლად თვლიან პასუხ-ისმგებლობისაგან განთავისუფლებას მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩადენის მოტივები და სხვა გარემოებანი მიუთითებენ სუბიექტის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობაზე, ხოლო სხვა შემთხვევაში მოითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას. აღსანიშნავია, რომ სასჯელის შემსუბუქებაც კი მოსამართლის უფლებაა და არა მოვალეობა.

ერთგვარ თავისებურებებს წარმოადგენს დანაშაულზე ხელის აღება თანამონაწილეობის დროს. ეს საკითხი ორ ნაწილად უნდა გაიყოს: 1) ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და 2) თანამონაწილეთა მიერ ხელის აღება დანაშაულზე.

როცა ამსრულებელი ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულზე, პირადად მისთვის იმ გარემოებას, რომ დანაშაულში მონაწილეობას იღებდნენ სხვა პირები, არავითარი შნიშვნელობა არა აქვს. იგი საერთო საფუძველზე განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ როგორია ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის პასუხისმგებლობა ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ხელის აღების დროს? მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებინათ დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების გამო. აგებენ თუ არა პასუხს თანამონაწილენი?

ეს საკითხი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორია საერთოდ ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის იურიდიული შედეგები. ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის კანონმდებლობებში ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის იურიდიული შედეგების შესახებ სხვადასხვა სისტემები არსებობს. საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსის, რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების და მთელი რიგი სხვა კოდექსების მიხედვით დანაშაულისათვის ნებაყოფლობით თავის დანებება სპობს არა მარტო ქმედობის დასჯადობას, არამედ მის დანაშაულებრივ ხასიათსაც. გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის, ფინეთის 1894 წლის სისხლის სამართლის კოდექსის და სხვ. კოდექსების მიხედვით ქმედობა დანაშაულად რჩება, ისპობა მხოლოდ მისი დასჯადობა. დაბოლოს, მესამე ჯგუფის კოდექსებით, მაგალითად, იაპონიის, იტალიის, შვეი-

ცარიისა და სხვ. ნებაყოფლობით ხელის აღება არ სპობს დასჯადობასაც კი. მოსამართლეს შეუძლია შეამსუბუქოს სასჯელი ან გაანთავისუფლოს პირი პასუხისმგებლობისაგან თავისი საკუთარი მიხედულების მიხედვით<sup>1</sup>.

უკანასკნელი ორი საკანონმდებლო სისტემის დროს, რამდენადაც მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი არ ისპობა, ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ხელის აღება განიხილება როგორც წმინდა პირადი ხასიათის გარემოება, რომელმაც შეიძლება ამსრულებელი გაანთავისუფლოს სასჯელისაგან ან შეუშვიროს მას პასუხისმგებლობა. ასეთი პირადი ხასიათის გარემოება, ცხადია, ზეგავლენას ვერ მოახდენს დანარჩენ თანამონაწილეებზე. ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსში ეს დებულება პირდაპირ არის მოცემული. ამ კოდექსის მე-5 მუხლის მეოთხე პარაგრაფის მიხედვით ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ხელის აღება არ ვრცელდება იმ ამსრულებლებზე, წამქეზებლებზე და დამხმარეებზე, რომელთაც არ აუღიათ ხელი დანაშაულზე.

უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან პირველი სისტემის მიმდევარი კანონმდებლობანი. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობანი ემყარებიან თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას, რომლის მიხედვით თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა სავსებით განისაზღვრება ამსრულებლის მოქმედებით. აქედან ცხადია, რომ როდესაც ამსრულებელი თავს დაანებებს დაწყებული დანაშაულის დამთავრებას, ეს კანონმდებლობანი იძულებული არიან აღიარონ თანამონაწილეთა მოქმედების დაუსჯელობაც.

ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის აღნიშნული სიძნელე არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნობს ნებაყოფლობით მიტოვებული მცდელობის არა მარტო დაუსჯელობას, არამედ უდანაშაულო ხასიათსაც. ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ჯერ-ერთი, პრინციპულად არ იზიარებს თანამონაწილეობის აქცე-

---

<sup>1</sup> შეეცარიის კოდექსით სასჯელისაგან განთავისუფლება მოსამართლეს შეუძლია, თუ ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი ჰქონდა დაუბთავრებელი მცდელობის დროს, ხოლო დამთავრებული მცდელობის დროს მოსამართლეს უფლება აქვს მხოლოდ შეამსუბუქოს სასჯელი.



სორულ თეორიას. და, მეორე, იგი დასჯადად თვლის მოსამზადებელ მოქმედებასაც. რამდენადაც ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის მოქმედება წარმოადგენს პირობების შექმნას დანაშაულის ჩასაღწეოდ, ამდენად ასეთი პირები შეიძლება დაისაჯონ როგორც მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენნი. სწორედ ასეთ შეხედულებას იზიარებს საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა<sup>1</sup>.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობიდან სპეციალურ ნორმას ამ საკითხზე ითვალისწინებს ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსი. აღნიშნული კოდექსის მე-14 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წამქეზებელი და დამხმარე პასუხს აგებენ მოსამზადებელი მოქმედების ჩადენისათვის იმ შემთხვევაშიც როცა ის პირი, რომელიც წააქეზებს ან რომელსაც დახმარება აღმოუჩინეს, არ ჩადენს დანაშაულს. აქ იგულისხმება როგორც ის შემთხვევა, როცა წაქეზება უშედეგო აღმოჩნდა, ისე ის შემთხვევა, როცა ამსრულებელმა ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე.

საკითხის ასეთ გადაწყვეტას უახლოვდება ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსიც, რომლის მე-7 პარაგრაფის მე-3 პუნქტის თანახმად, წამქეზებლის და დამხმარის დასჯადობა დამოკიდებული არ არის ამსრულებლის დასჯადობაზე, რამდენადაც ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის მომზადებას არ სჯის, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ ამსრულებელმა ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე მცდელობის სტადიიდან, დამხმარე და წამქეზებელი პასუხს აგებენ მცდელობისათვის.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას აღიარებენ აგრეთვე უნგრეთის და მონღოლეთის სისხლის სამართლის კოდექსებიც, რომლებიც არ ითვალისწინებენ ამსრულებლის აუცილებლად განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ხელის აღების დროს, არამედ მხოლოდ ფაქულტატურ უფლებას აძლევენ მოსამართლეს გაანთავისუფლოს ასეთი პირი სასჯელისაგან ან შეუშუბუქოს მას სასჯე.

---

<sup>1</sup> იხ. Советское уголовное право, Общая часть, М., 1959, стр. 241-242; 6. ღურმანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 203; ი. სლუცკი, დასახ. ნაშრ., გვ. 35; ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 254.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულზე ხელს აიღებენ თანამონაწილენი?

პირველად ყოვლისა, საჭიროა გამოვარკვეოთ, თუ რაში შეიძლება გამოიხატებოდეს თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ხელის აღება. წამქეზებელი და დამხმარე უშუალო მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში არ იღებენ. ისინი მიზეზობრივად უკავშირდებიან დანაშაულებრივ შედეგს ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით; წამქეზებელი – იმით, რომ აღძრავს ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, დამხმარე – ან იმით, რომ განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას ან იმით, რომ პირობებს ქმნის ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩასადენად. ან გასაადვილებლად. მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი, რომელსაც მათ ბიძგი მისცეს, შემდგომ უკვე მათზე დამოუკიდებლად მოქმედებს. ამიტომ გასაგებია, რომ დანაშაულებრივი შედეგის არგანხორციელება მათი უბრალო უმოქმედობით არ შეიძლება იქნეს მიღწეული. წამქეზებელმა და დამხმარემ აქტიურად უნდა იმოქმედონ, რათა ხელი შეუშალონ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანას<sup>1</sup>. მაგალითად, წამქეზებელმა და დამხმარემ უნდა დაარწმუნონ ამსრულებელი, რომ მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული ან ფიზიკურად აღუკვეთონ მას დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა საკუთარი ძალღონით, სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინების მეშვეობით და ა.შ. მხოლოდ გამონაკლისის სახით დამხმარეს შეუძლია უმოქმედობითაც აიღოს ხელი დანაშაულის ჩადენაზე – იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარეს ისეთი მოქმედების შესრულება ეკისრებოდა, რომლის გარეშე დანაშაულის ჩადენა შეუძლებელი იყო, და დამხმარემ უარი განაცხადა ამ მოქმედების ჩადენაზე. მაგალითად, შინამოსამსახურე დაპირდა ქურდთა ჯგუფს, რომ ღამით ჩუმად გააღებდა ბინის კარებს, მაგრამ შემდეგ ამაზე უარი განაცხადა, რის გამოც ქურდები ბინაში ვერ შევიდნენ.

---

<sup>1</sup> არასწორად ასაბუთებს აქტიური მოქმედების აუცილებლობას ი. ტიშკევიჩი. მისი აზრით, „თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. ამიტომ თანამონაწილის ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ის, რომ მან შეწყვიტოს მონაწილეობა დანაშაულის შესრულებაში“ (დასახ. ნაშრ., გვ. 247) – თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არის საკმარისი ამსრულებლისათვის დანაშაულებრივი საქმიანობის შეწყვეტა?

თანამონაწილენი განთავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ მიღებული ღონისძიებებით დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება თავიდან იქნა აცდენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქმედება, მიმართული დანაშაულებრივი შედეგის ასაცდენად, შეიძლება გახდეს საფუძველი მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებისა.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობათაგან აღნიშნულ საკითხს პირდაპირ აწესრიგებენ ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის და რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსები.

ჩეხოსლოვაკიის კოდექსის თანახმად, წამქეზებლები და დამხმარენი არ დაისჯებიან, თუ მათ ნებაყოფლობით ხელი შეუშაღეს დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენას იმ პირის მიერ, ვინც მათ წააქეზეს ან ვისაც დახმარება აღმოუჩინეს (§7 პ. მე-5).

უნგრეთის კოდექსის თანახმად, დანაშაულის მომზადების დროს წამქეზებელს ან დამხმარეს, რომელნიც ნებაყოფლობით ხელს აიღებენ დანაშაულის ჩადენაზე და ეცდებიან სხვა თანამონაწილეებიც დაარწმუნონ, რომ მათაც მიანებონ თავი დანაშაულს, იმისდა მიუხედავად, ნამდვილად აიცდინეს თუ არა ამ მოქმედებით დანაშაულის ჩადენა, სასჯელი განუსაზღვრელად შეუმცირდებათ ან ისინი სრულიად განთავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. ასეთივე წესია გათვალისწინებული იმ პირისათვის, ვინც აცნობებს ხელისუფლების წარმომადგენელთ, რომ მზადდება დანაშაული (§ 19, ნაწ. მე-3, პუნქტი „ბ“ და „გ“). ამგვარად კანონი ითვალისწინებს ასეთ წესს მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულმა მოსამზადებელ სტადიას მიაღწია. ხოლო თუ დანაშაულმა მცდელობის სტადიას მიაღწია, ასეთ შემთხვევაში წამქეზებელს და დამხმარეს სასჯელი შეიძლება შეუმცირდეთ ან სრულიად მოეხსნათ, უკეთუ მათ თავისი აქტიური მოქმედებით და ნებაყოფლობით ხელი შეუშაღეს დანაშაულის ჩადენას ან აიცდინეს დანაშაულებრივი შედეგების განხორციელება. გარდა ამისა, სასჯელისაგან შეიძლება განთავისუფლდეს დამხმარე ამ პირობების გარეშეც, თუ თვით ამსრულებელზე გავრცელდა წესი სასჯელის შემცირების ან სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ (§18, პუნ. მე-3). მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ ამსრულებელმა ნებაყოფლობით

ხელი აიღო დანაშაულზე და სასამართლომ მას სასჯელი განუსაზღვრელად შეუმცირა ან იგი სასჯელისაგან სრულიად გაანთავისუფლა, ეს შემცირება ან განთავისუფლება გავრცელდება იმ დამხმარეზეც, რომელსაც თავისი მხრით არ მიუღია ზომები დანაშაულის ასაცდენად.

თავისებურია აგრეთვე რუმინეთის კოდექსის დადგენილებებიც აღნიშნულ საკითხზე. ამ კოდექსის თანახმად, წამქეზებელი და დამხმარენი არ დაისჯებიან, თუ დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის დაწყებამდე ნებაყოფლობით ხელი შეუშალეს ქმედობის ჩადენას ან შესაძლებლობა არ მისცეს დანარჩენ თანამონაწილეებს გამოეყენებინათ მოპოვებული საშუალებანი განზრახული ქმედობის შესასრულებლად ან ჩასადენად (მუხ. 123-ე, ნაწ. მე-6).

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიკის აზრით, ეს მუხლი ისე უნდა იქნეს გაგებული, თითქოს თანამონაწილენი მაშინ განთავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, როცა ამსრულებლის მოქმედება მომზადების სტადიას არ გასცილებია. ასე, მაგალითად, ი. ტიშკევიჩის აზრით, „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დანაშაულებრივი ქმედობის დასაწყისად რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსი თვლის მხოლოდ მცდელობას (მომზადება როგორც დანაშაულის სტადია ამ კოდექსით არ ისჯება), შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსი შესაძლებლად თვლის წამქეზებლისა და დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მხოლოდ იმ სტადიაზე, როცა ამსრულებელი მოსამზადებელ მოქმედებას ასრულებს“<sup>1</sup>.

ეს შეხედულება მოკლებულია საფუძველს. რუმინეთის კოდექსი დანაშაულის მომზადებას არა სჯის. მაშასადამე, თუ ამსრულებელი მომზადების სტადიას არ გასცილებია, წამქეზებელი და დამხმარე ისედაც არ დაისჯებიან. მაშ რისთვის დასჯირდებოდა რუმინეთის კოდექსს სპეციალური მითითება, რომ ამ სტადიაზე მათ შეიძლება მოეხსნათ სასჯელი (რომელიც სულ ერთია არ შეიძლება დაედოთ), თუ ისინი ხელს შეუშლიან დანაშაულის შესრულებას? აქედან ცხადია, რომ რუმინეთის კოდექსს მხედველობაში აქვს სწორედ მცდელობამდე

<sup>1</sup> ი. ტიშკევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 248.

მიღწეული დანაშაული და იგი ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან თანამონაწილეს, რომელმაც ამ სტადიაზე შეუშალა ხელი ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში მიზანშეწონილია პირდაპირ იქნეს გათვალისწინებული იმ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, რომლებიც ხელს აიღებენ დანაშაულის ჩადენაზე. ასეთი ნორმა შეტანილია საქართველოს სსრ 1959 წ. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში. ამ პროექტის მე-19 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „აღნიშნული მუხლი ვრცელდება იმ თანამონაწილეებზედაც, რომლებმაც ნებაყოფლობით მიიღეს ღონისძიებანი დანაშაულის ასაცდენად, უკეთუ ამ ღონისძიებათა შედეგად დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა	3
----------	---

## მოკლვრება დანაშაულზე

### თავი პირველი

დანაშაულის ცნების განსაზღვრება	5
§1. ზოგადი დებულებანი	5
§2. დანაშაული როგორც ადამიანის ნების გარეგანი გამოვლინება	7
§3. დანაშაული როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა	11
§4. დანაშაული როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა	32
§5. ბრალეულობა როგორც დანაშაულის ცნების ნიშანი	36
§6. დასჯადობა როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანი	47
§7. საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობა, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. მოქმედებისა და მოქმედის საზოგადოებრივი საშიშროების მოსპობა დანაშაულის ჩადენის შემდეგ	49
§8. დანაშაულთა კლასიფიკაცია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით	64

### თავი მეორე

დანაშაულის შემადგენლობა	77
§1. დანაშაულის შემადგენლობის ცნება და მისი მნიშვნელობა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ანალოგიის აკრძალვა	77
§2. სისხლის სამართლის კანონი და დანაშაულის შემადგენლობა	89
§3. ქმედობის შესაბამისობა დანაშაულის შემადგენლობისადმი, მისი მართლწინააღმდეგობა და საზოგადოებრივი საშიშროება	94
§4. დანაშაულის ცნება და დანაშაულის შემადგენლობის ცნება	100
§5. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები	103
§6. ბურჟუაზიული თეორიები დანაშაულის შემადგენლობის შესახებ	114

## თავი მესამე

დანაშაულის ობიექტური მხარე დანაშაულდგენის ძირითადი და მისი შემდეგი .....	131
§1. დანაშაულებრივი ქმედობა როგორც ადამიანის ქცევის აქტი. ნებელობითი ქცევის არსი .....	131
§2. მოქმედებისაგან თავის შეკავება როგორც ნებელობითი ქცევა .....	145
§3. ქმედობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა .....	148
§4. ბურჟუაზიული თეორიები მოქმედების შესახებ .....	151
§5. დანაშაულის შედეგი .....	164
§6. დანაშაულის შემადგენლობათა დაყოფა შედეგგარეშე და შედეგიან დანაშაულად .....	171

## თავი მეოთხე

დანაშაულის ობიექტური მხარე (გაბრკალება) მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში .....	177
§1. მიზეზობრივი კავშირის საკითხი ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში .....	177
§2. მიზეზობრივი კავშირი დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით ....	202
§3. მიზეზობრივი კავშირის საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში .....	209
§4. მიზეზობრივი კავშირის საკითხი საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში .....	228
§5. მიზეზობრივი კავშირის ცნება სისხლის სამართალში .....	235
§6. მიზეზობრივი ფაქტორთა არატოლფასოვნება და მისი მნიშვნელობა ქმედობის საზოგადოებრივი სამიშროების დადგენისათვის .....	244
§7. მიზეზობრივი კავშირის „გაწყვეტის“ საკითხი .....	253

## თავი მესამე

დანაშაულის ობიექტური მხარე (გაბრკალება) .....	263
მიზეზობრივი კავშირი დანაშაულდგენის შემოქმედების დროს .....	263
§1. უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი ბურჟუაზიულ სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში .....	264

§2. უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში .....	273
§3. მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის .....	277

## **დანაშაულის მომზადება და მცდელობა**

წინასიტყვაობა .....	299
---------------------	-----

### **თავი პირველი**

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა .....	301
--	-----

### **თავი მეორე**

დანაშაულის განვითარების სტადიები .....	333
§1. დანაშაულის განვითარების სტადიის ზოგადი ცნება .....	333
§2. დამთავრებული დანაშაულის ცნება .....	344

### **თავი მესამე**

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის კასუსისმგებლობის სწუპვლები .....	359
---	-----

### **თავი მეოთხე**

დანაშაულის მომზადება .....	377
----------------------------	-----

### **თავი მესამე**

დანაშაულის მცდელობა .....	406
§ 1. საფრთხის ცნების გამოყენება დანაშაულის მცდელობის ცნების დადგენისათვის .....	406
§2. დანაშაულის მცდელობის ცნების განსაზღვრება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში .....	422
§3. მცდელობის სახეები .....	450
§4. უკარგისი მცდელობა .....	460



## თავი მეექვსე

- დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთა დროსაც  
შეუძლებელია მომზადება და მცდელობა ..... 483.
1. დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთა დროსაც შეუძლებელია  
მომზადება და მცდელობა დანაშაულის სუბიექტური მხარის  
თვისებების გამო ..... 483
- §2. დანაშაულებრივი ქმედობანი, რომელთა დროსაც  
შეუძლებელია მომზადება და მცდელობა დანაშაულის  
ობიექტური მხარისთვისებების გამო ..... 494

## თავი მეშვიდე

- დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ..... 504

## თავი მერვე

- მეზაყოსლობით ხელის აღება დანაშაულზე ..... 529

თინათინ ფერეთლის  
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

## სისხლის სამართლის პრობლემები

### I ტომი

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2007

რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი  
ტექ. რედაქტორი ი. ნავროზაშვილი  
კორექტორი მ. კილაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
აღ. ყაზბეგის გამზ. №45  
e-mail: [info@meridianpub.com](mailto:info@meridianpub.com)

